

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Tamaz Vasadze

**Literature
in Search
of Verity**



**Tbilisi
2010**

თამაზ ვასაძე

ლიტერატურა
ჭეშმარიტების
ძიებაში



თბილისი
2010

UDC(უაკ) 821.353.1.09.
გ-224

რედაქტორი
მაკა ელბაქიძე

დიზაინერი
სოსო ტაბუცაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე, პაატა ახრახაძე

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი, 2010
მერაბ კოსტავას ქ. 5
© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ტელ. 99-53-00; E-mail: litinst@litinstituti.ge

ISBN 978-9941-0-2240-1

სარჩევი

დავით გურამიშვილი

შუაგულის გადანაცვლება.....	9
არაამაყი ქართველი.....	18

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მთაწმინდის მთვარე	20
საბედისწერო ძალა	28
თავისუფლებისკენ მოძრაობა.....	34

ილია ჭავჭავაძე

გახედვა ილიასკენ.....	36
ორგვარი ცნობიერება.....	40
გზაჯვარედინზე.....	48
ზნეობრივი დილემა	59
„ყოვლად ძლიერი მშვენიერება“	64

აკაკი წერეთელი

ღირსების აღსადგენად.....	76
--------------------------	----

ვაჟა-ფშაველა

ჰუმანიზმის განწირულება.....	79
გამაერთიანებელი ტანჯვა.....	84
სხვა სიმართლე.....	91

„გველის მჭამელი“—	
„მოწინება სიცოცხლის მიმართ“	101
დავით კლდიაშვილი	
იგავი თავკერძობის შესახებ.....	113
ფარული შინასამყარო.....	117
ვასილ ბარნოვი	
დაცემები და ზეალსვლები.....	125
წამებული ღმერთი.....	134
ნიკო ლორთქიფანიძე	
საერთო ელფერი.....	146
ტირანის სახეცვალება.....	152
ყალბი მითის რღვევა	154
გაბრძოლება	166
მიხეილ ჯავახიშვილი	
იდეოლოგია და ხასიათი.....	170
„ავტორს ასამართლებენ გმირები“	179
თვალისახელა	187
ლეო ქიაჩელი	
სულის თავგადასავლები.....	194
„ჰაკი აძბა“	198
ცდუნება	203

გერონტი ქიქოძე

რეალისტის სიმართლე და სისადავე.....	209
გრიგოლ რობაქიძე	
განსაცდელი.....	215
გალაკტიონ ტაბიძე	
ენიგმატური სახე და ანალიზი.....	223
სულიერი წყურვილი.....	228
მუსიკალურობის საფუძველი.....	231
გიორგი ლეონიძე	
სიცოცხლის პოეზია.....	235
ტიციან ტაბიძე	
ტრაგიკული ექსტაზი.....	238
ვალერიან გაფრინდაშვილი	
სანატრელი და რეალური.....	241
შოთა ჩანტლაძე	
„ზეცა და ირონია“.....	247
რწმენის ტრაგიკომედია.....	253
გურამ რჩეულიშვილი	
ბედნიერება სიკვდილის ფონზე.....	256
ყველაზე დიდი ვნება.....	274

ოთარ ჭილაძე

სივრცის ორი სახე.....279

ბესიკ ხარანაული

აზრის სილაღე.....283

ჯემალ ქარჩხაძე

თავისუფალ პიროვნებად ყოფნა.....288

ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაა

დროის სიღრმიდან ჩვენამდე.....291

სტადიები.....295

ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაა.....304

სიკვდილის პირისპირ310

განმმარტებელი.....314

ლიტერატურული კერპთაყვანისმცემლობა.....318

პროზა პოეზიის ქვეყანაში322

ეროვნული და დასავლური

ინდივიდუალიზმი თუ ეგოიზმი.....328

ქართული ორსახოვნება331

თავმომწონეობის ბანგი.....334

მყარი სახელმწიფოს გარეშე.....339

ეროვნული და დასავლური344

ილიას ფორმულა ჩვენს დროში.....347

დავით გურამიშვილი

შუაგულის გადანაცვლება

ავტობიოგრაფიულობა გურამიშვილის „დავითიანის“ ერთ-ერთი ძირეული თავისებურებაა, მაგრამ მაინც ამ წიგნში ავტორის ცხოვრების კონკრეტული ფაქტები მხოლოდ საბაბად გვევლინება სინამდვილის რელიგიურ-სიმბოლური გააზრებისთვის და თითქმის მთლიანად ქრება მასში.

ერთადერთი ბიოგრაფიული ფაქტი, რომელიც ისეა გადმოცემული, რომ მისი კონკრეტულობა სიმბოლურ სახეობრიობაში არ არის ჩაკარგული, ლეკების მიერ გურამიშვილის დატყვევების და მისი ტყვეობიდან თავდახსნის ამბავია. სიმბოლურ-სპირიტუალური ლირიკა „დავითიანის“ ამ ნაწილში თანაარსებობს ავტორის თავგადასავლის საგნობრივ თხრობასთან, ცხოვრებისეულ სიტუაციათა მღელვარე პოეტურ აღდგენასთან.

ამ ამბისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი გურამიშვილის ცხოვრების საბედისწერო გარდატეხის პუნქტია, მისი ემპირიული და სულიერი ბიოგრაფიის მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მომენტია, გურამიშვილის მსოფლმიმართების ძირითადი ჩამომყალიბებელია.

დატყვევება სრულიად ახალგაზრდა, ოცდასამი წლის გურამიშვილისთვის — ცხადია, თავიდანვე რელიგიურად განწყობილი ადამიანისთვის — აღმოჩნდება ტანჯვის ის გამოცდილება, რომლის მეტვეობითაც გაუღრმავდება, განუმტკიცდება რწმენა და დაუმყარდება ღმერთთან ცოცხალი შინაგანი კავშირი, ქრისტიანული მსოფლგანცდა ერთიანად ეუფლება და მოუკვეთელად შეეზრდება მის სულიერ სამყაროს. თანამედროვე ცნებათა ენაზე რომ ვთქვათ, გურამიშვილი ხვდება ექსტრემალურ, ზღვრულ სიტუაციაში, სადაც ადამიანი განიცდის დიდ შინაგან ძვრებს, გაშიშვლებულად ხედავს თავისთავს და სამყაროს, ამონმებს თავის ფასეულობებს, თვალი ეხილება უცნობ ჭეშმარიტებაზე; ანდა ხელახლა აღმოაჩენს თითქოსდა მანამდეც ნაცნობ ჭეშმა-

რიტებას, ეს კი ნიშნავს, რომ რაც იცოდა განყენებულად, ფორმალურად, თურმე უშუალოდ და მწვავედ ეხება პირა-დად მას.

ექსტრემალური სიტუაციის ცნება და მისი გააზრება არ-სებითად ტანჯვის ქრისტიანულ ინტერპრეტაციას ემყარება. ქრისტიანულ მსოფლხედვას ტანჯვის ფენომენი ესახება ცოდვების საზღაურად და ცოდვებისგან განმნმენდად, ადა-მიანის სულის, მისი რწმენის გამომცდელად და გამომრნთო-ბად; ტანჯვით ადამიანი შინაგანად უახლოვდება ქრისტეს, ტანჯულ ღმერთს, შინაგანად განიცდის და ეზიარება ცხოვ-რების ქრისტიანული გაგების ჭეშმარიტებას; ტანჯვა ადა-მიანის და სინამდვილის გახლეჩა, ის ამჟღავნებს, რომ ამ-ქვეყნიური რეალობა არასაიმედო საყრდენია, რომელიც შე-იძლება უცწრად გამოეცალოს ადამიანს; იგი, ქრისტიანული თვალთახედით, ააშკარავებს, რომ ადამიანი მხოლოდ საკუ-თარ ძალებს ვერ დაენდობა, მხოლოდ თავისთავის იმედად ვერ იქნება, რომ ის თავისი არსებობის ყველაზე ღრმა გან-ზომილებაში ღმერთის გარეშე დაუცველი და უმწეოა; ტანჯ-ვა შესაძლებელია გამოუვალ სასონარკვეთილებაში ჩამგდე-ბიც იყოს, მაგრამ იგი შეიცავს პოტენციას, პიროვნების ყოფიერების შუაგული მისი საკუთარი არსებიდან ღმერთში გადაანაცვლოს.

ტანჯვა, რომელიც გურამიშვილს ხვდა წილად, მასში სწორედ ყოფიერების შუაგულის გადაანაცვლებას ინვევს. თავისუფლების სრულიად მოულოდნელი დაკარგვა და ბუ-ნებრივი ცხოვრებისეული სამყაროდან კატასტროფული სიმ-კვეთით მოწყვეტა, ფიზიკური გვემა, დამცირება, სიკვდი-ლის შიში და აბსოლუტური მარტობა აიძულებს გურამიშ-ვილს, მთელი არსებით შეტრიალდეს ტრანსცენდენტური სამყაროსკენ, ეძიოს ღმერთი, მიესწრაფოს მასთან სულიერ სიახლოვეს და ერთიანობას.

„დავითიანში“ პირველად აქ წარმოდგება ღმერთი უშუა-ლო სულიერი ურთიერთობისთვის მისაწვდომ პიროვნულ არსებად, არა იმდენად თავდავინყებული პიმნების შორეულ და აბსტრაქტულ ობიექტად, რამდენადაც უინტიმურეს აღ-სარებათა და ლოცვათა კონკრეტულ გულისხმიერ ადრესა-ტად. „ერთია იცოდე ღმერთი როგორც ტრანსცენდენტური და სუვერენული „მე“ და რაღაც სულ სხვაა, შენ თვითონ,

მთელი შინაგანი სისავსით (საკუთარი ყოფიერებით, სისხლით და ხორცით) შეხვიდე ცოცხალ კავშირში, რომელშიც შექმნილი სუბიექტურობა პირისპირ აწყდება ტრანსცენდენტურ სუბიექტურობას და თრთოლვით და სიყვარულით ეძიებს მასში ხსნას. რელიგია არსებითად არის ის, რაც არავითარი ფილოსოფია არ შეიძლება იყოს: პიროვნების ურთიერთობა პიროვნებასთან მთელი მისი რისკით, საიდუმლოთი, შიშით, ნდობით, აღფრთოვანებით და ტკივილიანი ლტოლვით“ (ჟ. მარიტენი).

მარტოობაში, უმწეობაში და შიში ედება სათავე გურა-მიშვილის ამგვარ ახალ ურთიერთობას ღმერთთან.

„მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი, არცა მაქვებდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი; ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი...“.

ღმერთის ძიებას თავდაპირველ ბიძგს აძლევს ღმერთის-გან მიტოვებულობის მტკივნეული გრძნობა. ტყვეობაში გურამიშვილის სულიერი არსებობის დრამატულ პერიპეტიას შეადგენს შემაძრნუნებელი მარტოობის, ღმერთისგან მონყვეტილობის განცდა და ამ მარტოობის გადალახვის, ღმერთთან სულიერი მიახლოების სანუკვარი წადილი და იმედი.

„შენის ვერ ხილვის სევდითა სულსა რისთვისა მაძრობა? მზევ, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაზრობა“;

„განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა-მზისა მთიებო, ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო!“.

სულის სილრმეში მიმდინარეობს აგზნებული და ამასთანავე უაღრესად ფაქიზი საუბარი ღმერთთან როგორც ცოცხალ და კონკრეტულ სუბიექტთან, ინდივიდუუმთან, რომელსაც შეიძლება უბრალოდ უთხრა „შენ“. „შენ“ მიემართება შორეულს, ოღონდ ახლომყოფებზე ახლობელს. ახლომყოფთა შორის არ არის, ვინაც შეიძლებოდა მისთვის გამხდარიყო „შენ“ — შენიშნავს რევაზ სირაძე „დავითიანის“ ამ რკალის ერთ-ერთი ლექსის განხილვისას. ტანჯვის და მარტოობის უფსკრულიდან ამომავალი გურამიშვილის ხმა ცდილობს მიწვდეს ღვთაებრივ პიროვნებას, ერთადერთს, ვინც შეიძლება გამოეხმაუროს: „არსადა მყავს მისამართი, მე შენ მოგმართეო“. მისთვის ხსნა არის ეგრეთნოდებული „მარტოსულის აღმაფრენა მარტოსულისკენ“. ეს აღმაფრენა, ღმერ-

თისკენ ლტოლვა თავისი სიმძლავრით ქართულ პოეზიაში, ალბათ, შეუდარებელია.

„საყვარელო, სახით თქმულო უსასყიდლო მარგალიტო! ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მზევ, მზეთა-მზის მაგალითო! გევედრები შემიბრალო, თავს მომჭრიან მანგალითო, ოდეს სული ამომგლიჯონ, შენკე მისწი მანგანითო! მტანჯვენ, სომეო, ან ვით დაგთმო, ვით უმანკოვ ტრედო-გვრიტო? შენ, შარბათი, ვით დაგლვარო და ძიმნარის წვენი ვხვრიტო; ბნელსა ვზივარ, გეაჯები სასინათლო ამიხვრიტო, ამოვს-ძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭვრიტო“.

ნიშანდობლივია, რომ „ფსალმუნში“, რომელიც გურამი-შვილისთვის რელიგიური პოეზის ეტალონს წარმოადგენს, უხვად არის მტანჯველი მარტოობის ექსპრესიული გამოხატულებები; იგი აღსავსეა ღმერთის სიახლოვეს მოკლებული მარტოსულის ჩივილით, მოთქმით („როდემდე დამივიწყებ, უფალო სამუდამოდ? როდემდე იქნები პირმიქცეული ჩემ-გან“; „ღმერთო ჩემო! მოგიხმობ დღისით და არ მიპასუხებ, ღამით — და არ არის სიმშვიდე ჩემთვის“...).

მარტოობა, რომელიც თავისთავიდან ბადებს ურთიერთობის წყურვილს, ყველაზე სრულად, სრულფასოვნად და-იძლევა სიყვარულში, „მარტოობათა გაცვლის ცდაში“ (ორტეგა-ი-გასეტი). და ეს ეხება ღმერთისადმი სიყვარულსაც. გურამიშვილის ლექსი „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სცი-ოდა და მზე ღრუბლის გამო თვალით არა ჩანდა, იმაზე თქმული“ ამ სიყვარულის აღმოცენების გაცხადებაა. სიყვარული, მითუმეტეს ღმერთისადმი სიყვარული, მოასწავებს საყვარელი არსებისთვის ყველასთან და ყველაფერთან შე-დარებით უპირობო უპირატესობის მინიჭებას, მის აპსოლუტურ გამორჩევას და არჩევას. ლექსში სწორედ ასეთი არჩევის, უპირატესობის მინიჭების იდუმალი და საზეიმო აქტია აღბეჭდილი: მოსიყვარულე თვალი ხილულ მზეს („თინა-თინს“), მატერიალურ მშვენიერებას მოწყდება და უხილავი მზისკენ, ღმერთისკენ მიმართავს მზერას; ლექსის ავტორის ცნობიერებაში არსებითი ძვრა, შემობრუნება, ფასეულობრივი ორიენტაციის შეცვლა ხდება.

„სჯობს ვეტრფიალო მზეთამზეს, მზისათვის თავი ვახე-ლო, ნათლისა გავხდე მიჯნური, რადგან თვალებსა ვახელო,

მის უკეთესი მოყვარე სად ვპოვო, სადა ვახელო? მზე მიწენს, თუ მზის სანაცვლოდ თინათინს ხელი ვახელო“.

არჩევანის, გადახყვეტილების მიღების აქტს აირეკლავს სიტყვიერი ფორმაც, რომელიც ხაზვასმულად მეორდება („ზურგთ მძიმე ტვირთი მყიდია ცოდვისა, არ სუბუქია... სჯობს ვეტროიალო მზეთა-მზეს, მომფინოს მზისა შუქია“).

ახლადშობილი სიყვარულის, საყვარელი არსებისთვის სრული უპირატესობის მინიჭების და შინაგანი შემობრუნების გაცხადება სრულდება ერთგულების ფიცის მსგავსი უმაფრესი პოეტური გამონათქვამით:

„რაგინდ მე ასრე გავგიუდე, თავი ვახალო ტინზედა, მხეცნი, ფრინველნი ვასერო ჩემსა ხორცსა და ტვინზედა! იგ მარგალიტი თაღლითზე, ოქრო გავცვალო სინზედა, ვგონებ არც მაშინ გავცვალო იგი მზე თინათინზედა“.

სიყვარული საყვარელი არსების ჭეშმარიტი ინტუიტური შემეცნებაა, ღმერთიც მხოლოდ მან შეიძლება „იცოდეს“, ვისაც იგი უყვარს. ამას ეფუძნება ღმერთის მისტიკური წვდომა. გურამიშვილი ერთმანეთს უპირისპირებს ღმერთის გონებისმიერი შემეცნების ცდას და მასთან სიყვარულით ზიარებას. ის, ვინც ღმერთის გონებით შეცნობას ცდილობს, ვერაფერს აღწევს („ვერ სცნობს შენს გზასა და კვალსა!“). მხოლოდ სიყვარულით შეიძლება ღმერთთან სულიერი მიახლოება, შეხება, უშუალო ერთიანობის განცდა.

„ვის უყვარხარ, მიაჩნიხარ, თუმც არ იცის, სადაც ზიხარ, შენთვის სწვავს ხორცსა და ძვალსა, ის სცნობს შენს გზასა და კვალსა!“.

გურამიშვილი დრამატულად მიელტვის ღმერთთან ამგვარ მიახლოებას. ეს მიახლოება მისთვის ღვთისგან „ჭეშმარიტი გზის“ შეტყვობის ტოლფასია („ვით მე გთხოვე, ჭეშმარიტი გზა შენ მაუწყეო!“). „ჭეშმარიტ გზას“, როგორც გურამიშვილის მხატვრული აზროვნებისთვის საერთოდ არის დამახასიათებელი, საგნობრივი და ზოგადი, სულიერი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ, ეს არის ტყვეობიდან თავისდაღნევის გზა და, მეორე მხრივ, — მართალი ცხოვრების გზა. ეს მნიშვნელობები ერთმანეთს მთლიანად ერწყმის — ტყვეობიდან თავდახსნა შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტ, ღვთისთვის სასურველ ყოფიერების წესზე მოქცევით.

და აი, გურამიშვილს „ჭეშმარიტ გზას“ აუწყებს საკუთარი გული, რომელშიც უკვე გაღვიძებულია ღმერთისადმი სიყვარული, ღმერთის შემცნობი ძალა.

„გულმან მითხრა: ადეო! რაღათ მაიცადეო? თუ არა იქ, ვით იქნას, რაც რომ დაიქადეო? ჯერ რაც უფალთ ყალანი გედვას, გარდიხადეო, სთხოვე, ძალა მან მოგცეს, ვისგანც დაიბადეო, კვლავ წადი და განხეთქე მტერთ მახე და ბადეო; მას კაცს, ღვთისა საყვარელს, მიჰყევ, თავი ანდეო, ვისაც დავით ხადოდეს, უფლად შენ მას ხადეო! აადეო, ადეო! გულით მაინადეო! შორს ახლიხარ საყვარელს, ახლოს განემზადეო, სახე მისი, სურათი თვალწინ მაილანდეო, მის წინ ისე სტიროდე, იქ მას შეაბრალდეო! თუ გწადს, შენსა საყვარელს გულით შეუყვარდეო, შენთვის ლახვრით დაჭრილსა სისხლსა ცრემლით ბანდეო; განაგდეო, დადეო, ნუ სულ ავსა გაზდეო; დამორჩილდი უფალსა, ხადე, უდალადეო; სული, გული მუსვრილი ღვთის წინაშე დადეო! საყვარელი გიყვარდეს, სხვას ნურავის დაზდეო, მის გაყრასა ნუ იტყვი, რაგინდ თავს აწამდეო, თორემ დიალ გიძულებს, შენ რომ სხვასა ყვანდეო, დავითისა მცნებაზე დადექ, არ გარდახდეო!“.

ეს ლექსი — „სვინიდისისის მხილება დავითისა ოდეს დატყოებულმან გამოპარვა გაივლო გულშია“ — ყველაზე ხილულად, სრულად და განზოგადებულად ამჟღავნებს ავტორის სულიერ სამყაროში ტყვეობისას მომზდარ გარდატეხას — ღმერთისკენ რადიკალურ შებრუნებას, ღვთის რწმენაზე და იმედზე ერთიანად დამყარებას, მისდამი მთლიანად დამორჩილებას და თავის მიძღვნას, მის მიმართ ერთგული სიყვარულით აღვსებას. მთავარი და ცხოველმყოფელი ზნეობრივი კანონი, რომელიც გურამიშვილის სულის სიღრმეში შეაღწევს და რომელსაც იგი მთელ ამ გარდატეხასთან ერთად დავით ფსალმუნთმეტყველის მსოფლმხედველობასთან აკავშირებს, არის სინაული, ღმერთის წინაშე ცოდვილობის განცდა, გამოვლენილი წრფელ ლოცვა-ვედრებაში.

აქ უშუალოდ ვადევნებთ თვალს ღრმად ნაგრძნობი და უჩვეულო სიმკვეთრით დანახული ჭეშმარიტების მიერ პიროვნების სულიერი არსების ენერგიულად და სავსებით გამსჭვალვას, ახალი „შინაგანი ადამიანის“ დაბადებას, გურამიშვილის ცნობიერებაში იმ რელიგიურ-ზნეობრივი მრნამ-

სის საბოლოო გამოკვეთის და გამყარების აქტს, რომელიც საფუძვლად ედება „დავითიანს“.

ახალი, ღრმა რელიგიური გამოცდილება ასაზრდოებს მხნეობას და გაპედულებას, ქმედების უნარს, რომელიც ტყვეობიდან თავდასახსნელად არის საჭირო („მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია“).

სიზმარი, რომელშიც გურამიშვილს ღვთის წარმოგზავნილი არსება ეცხადება და თავისი წარმომგზავნელის ნებას ამცნობს, გაპარვისკენ აქეზებს, ასევე გაპარვისას გამოვლენილი ღვთაებრივი მფარველობის სხვა ნიშნები ფიზიკური სიცხადით დაანახებს გურამიშვილს, რომ ჭეშმარიტება, რომელიც ეუწყა და რომელიც მან მთელი არსებით შეითვისა, უტყუარია. განუზომელ მადლიერებას, განცვიფრებას, აღფრთოვანებას ინვევს ღმერთის სიდიადე და ამავე დროს სიახლოვე, მისი მოწყალეობა, ღვთის რწმენის გამაოგნებელი და-დასტურება, რაც ამ რწმენას კიდევ უფრო აღრმავებს, დაუნგრეველად მტკიცეს ხდის. ამას გვიმხელს ღმერთის, განსაკუთრებით კი ღვთისმშობლის მიმართ აღვლენილი ჰიმნები, აგრეთვე ოდა „ფსალმუნის“ ავტორისადმი („სიმღერა დავით გურამიშვილისა, ტყვეობიდამ გამოსვლის დროს დავითის შესხმა“), რომელთა სახეობრივი სიუხვე სიყვარულის და ბედნიერების სიუხვის უკუფენაა. აღმოჩნდება, რომ „დავით (ფსალმუნთმეტყველს) რაც უთქვამს“, მართლაც „სწორია“ — „სწორია“, რომ ღმერთი ადამიანის „ფარი“ და „ბურჯია“, „მტერთა მახისგან“ დამხსნელია; რომ ღმერთის სიდიადის გრძნობით აღსება და მისი გამოთქმა, სულიერი მსხვერპლ-შენირვა მაგიური ძალის მქონეა; რომ, რაც მთავარია, სინანული, ცოდვის აღიარება და შეწყალების ვედრება, ღმერთის მორჩილება და მასთან სულიერი სიახლოვის გამუდმებული ძიება ხსნის საწინდარია, გადამრჩენელია...

ტყვეობაში ყოფნა და ღმერთის დახმარებით ტყვეობიდან თავდალწევა ერთ-ერთი ნიშანდობლივი ბიბლიური მოტივია. თავის ხვედრს გურამიშვილი იაზრებს როგორც ამ ბიბლიური მოტივის თანხმიერს („ცათა შინა ისრაელთა საზდო უნვი-მეო, ეგრეცა ნათლის სვეტითა ღამე ავლინეო, ქვეყანასა ვარ უცხოსა დაკარგული ტყვეო, ზედა მთასა ავართასა, ან მა-მეშველეო“). ბიბლიაში ტყვედ ყოფნა ღვთის სასჯელია,

ტყვეობიდან გათავისუფლება — ღვთის წყალობა, რწმენის გამღვივებელი და გამაძლიერებელი.

ტყვეობა ღვთის სასჯელია „დავითიანშიც“. გურამიშვილის დატყვევების ამბავი უშუალოდ მოსდევს, აგრძელებს ღმერთის მიერ ქართველების ცოდვებისთვის დასჯის ამბავს — როგორც საქართველოში მომხდარი უტედურებაა ქართველების მიმართ ღვთის რისხვის გამოვლინება, ასევე გურამიშვილის დატყვევება არის საკუთრივ მისი დასჯა. „დავითიანში“ წარმოსახული გურამიშვილის განსაცდელის ეს საზრისი იკვეთება აგრეთვე მის შინაგან მხატვრულ მიმართებაში ღმერთის მიერ ადამიანების შერისხვის სხვა ისტორიათა გადმოცემასთან (ადამის და კაენის განკითხვა, წარღვნა, ბაბილონის გოდოლის დაქცევა).

სასჯელი, ღმერთის მიერ მოვლენილი ტანჯვა „დავითიანში“ კაცობრიობის, ერის და ადამიანის აღზრდის მკაცრი, მაგრამ კეთილმყოფელი საშუალებაა. ბავშვის აღზრდა, „სწავლა მოსწავლეთა“, რომელიც გურამიშვილს დასჯის, ტკივილების გარეშე არ წარმოუდგენია, კაცობრიობის და ადამიანის აღზრდის პარადიგმაა, ნიმუშია. თუ ბავშვის აღზრდაზე გურამიშვილი რიგორისტულად ამბობს: „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი“, რადგან „წკეპლის ცემით დაშუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა!“, ზოგადად ადამიანზე ამგვარ აზრს გამოთქვამს:

„ჩვენცა გვმართებს ღმერთს დაუთმოთ, სწავლად გვემით რაც გვატკინა“.

გურამიშვილის ტყვეობის და ტყვეობიდან თავდახსნის ამბავი არის ღვთიური სასჯელის კეთილმყოფლობის იგავური გამოსახულება, ტიპოლოგიურად ბიბლიური იობის ან იონას ამბავთა მსგავსი. მას, ისევე როგორც მთელ „დავითიანს“, ავტორი დიდაქტიკურ მიზანდასახულობას აძლევს, აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე თვალსაჩინო მაგალითად გაიაზრებს.

მაგრამ სასჯელი, ტანჯვა შეიძლება უნაყოფოც იყოს. „ქართლის ჭირში“ აღნერილი ღვთის რისხვა ადამიანებს ვერაფერს შეაგონებს, რადგან ისინი ტანჯვის მიზეზს — საკუთარ ცოდვილობას ვერ გრძნობენ:

„ქმუნვიდნენ, არად შესწევდათ ცოდვის უნანლად ნუხილი“.

თვით გურამიშვილს ტანჯვა უპირველესად სინანულის რელიგიურ-ზნეობრივ აზრს, გამაკეთილშობილებელ ძალას აზიარებს. ტანჯვაში, მარტოობაში და უმწეობაში იგი გრძნობს ღმერთის მძლავრ, მორალურად განმნენდ მიზიდულობას. უკიდურესი განსაცდელიდან გამოაღწევს რელიგიურ და ეთიკურ ჭეშმარიტებათა ღრმად შემსისხლხორცებელი ადამიანი, პოეტი დავით გურამიშვილი.

1993

არაამაყი ქართველი

გურამიშვილის ირონია და თვითირონია აღმოცენებულია მისი თავისებური ქრისტიანული სკეპტიციზმიდან, იმის ნაღვლიანი განცდიდან და გაცნობიერებიდან, რომ ცოდვა თითქმის შეუზღუდველად ბატონობს ადამიანზე, რომ არაფერი ეშველება ადამიანის ბინიერებას, სულიერ სიბრმავეს და უძლურებას. ადამიანი სასიკეთოდ ვერ შეცვალა ვერც ღმერთის მიერ მისმა მრავალჯერ შერისხვამ, დასჯამ, ვერც ღმერთის დიდმა წყალობამ, ქრისტეს მსხვერპლგაღებამ; ყველაფერი ამაო გამოდგა. გურამიშვილის თვალთახედვით, ადამიანი გამოუსწორებელი არსებაა, გამოუსწორებლად ესახება მას საკუთარი თავიც. მისი ხვედრია მომაბეზრებელი წრებრუნვა ცოდვიდან მონანიებამდე და მონანიებიდან ცოდვამდე და ეს ირონიულად განაწყობს საერთოდ ადამიანის და კერძოდ თავისი უბადრუკობის მიმართ.

ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად გურამიშვილი იმგვარად აღიქვამს საკუთარ არსებას და გარემომცველ რეალობას, როგორიც, მისი წარმოდგენით, ღმერთის თვალში უნდა ჩანდნენ; ამიტომ გამახვილებულად ხედავს თავისი თავის და ქვეყნიერების კომიკურ სიმდარეს, სიმრუდეს. განსაკუთრებით მატერიალური, სხულებრივი საწყისის არასრულფასოვნება აღუძრავს ირონიას, თუმცა გურამიშვილს მაინც უყვარს ეს ისეთივე ნაკლულოვანი ნივთიერი სინამდვილე, როგორიც თვითონ არის. სამყაროს მატერიალურობის ირონიული და ამასთანავე ახლობლური აღქმის უკუფენაა გურამიშვილის სტილისთვის დამახასიათებელი ნატურალისტური ელემენტების სიუხვე, გროტესკულად დალვლარჭნილი ენობრივი ფაქტურა და სახეები, მიწისებური სითბო და ხორკლიანობა... არისტოკრატი გურამიშვილის სტილი ხშირად გლეხურად მოუხეშავია.

რაკი მწვავედ გრძნობს ღმერთის მზერას, რომლისთვისაც არაფერია დაფარული, გურამიშვილი ბოლომდე გულახდილი და უტყუარია, არაჩვეულებრივად უეშმაკო, უბრალო და თავმდაბალია. არსებობს თვითდამცირების, თვითგვემის სიამაყე, მაგრამ გურამიშვილისთვის ასეთი სიამაყეც უცხოა. მას არ სურს იმაზე უკეთესად გამოიყურებოდეს, ვიდრე სინამდვილეშია; აზრადაც არ მოსდის თავისი ფათერაკიანი

თავგადასავლების გამოყენება ვაჟკაცური, ჰეროიკული ავტოპორტრეტის დასახატად, რაც სხვას მის ადგილას სიამოვნებით შეიძლებოდა გაეკეთებინა. ტიპიური ტრადიციული ქართველისგან განსხვავებით გურამიშვილს არ ეთაკილება გაამხილოს საკუთარი შიში, უმწეობა, სისაწყლე, გამოჩნდეს გარეგან ღირსებას მოკლებული და სასაცილოც კი.

2001

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მთაწმინდის მთვარე

ხშირად ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ ნაცნობი, შეჩვეული და თითქოს სავსებით გასაგები რამ სინამდვილეში უცნაური და იდუმალია, ვერ ვამჩნევთ, რადგან სწორედ შეჩვევა, აღქმის ავტომატიზმი გვიშლის ხელს.

აი, მაგალითად, ბარათაშვილის ლექსში „შემოლამება მთაწმინდაზე“ თითქოს სრულიად გამჭვირვალეა ამ ფრაზის აზრი: „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩინეული!“. მაგრამ თუ აღქმის ავტომატიზმის დაძლევას შევეცდებით, შესაძლოა ეს სიტყვები არც ისე გამჭვირვალე და უბრალო გვეჩვენოს. მართლაც, რას ნიშნავს „ცის ხატება“, ან რატომ უნდა დააჩინდეს იგი გულს? ასე მხოლოდ ისეთ რამეზე შეიძლება საუბარი, რაც ერთადერთხელ იხილეს, შემდეგ კი გაუჩინარდა და ხსოვნამ შემოინახა. რანაირად შეიძლება ასეთი რამ ცა იყოს?

როგორც ჩანს, გარკვეულ მომენტში ბარათაშვილის ლირიკულ გმირს ცა განსაკუთრებულად, განუმეორებლად მეტყველი და მიმზიდველი სახით წარმოუდგა. „შემოლამებაში“ არის კიდეც ცის ეს „ხატება“:

„სდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადეკრა ცისა
კამარას,
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო
მისა ამარა.

გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით
მიქანცებული?

მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე, დისკოგადახრით
შუქმიბინდული!“.

ასე ხატავს ბარათაშვილი ცას, ეს არის ცის ერთადერთი სახე ამ ლექსში, სახე, რომელიც ლირიკული გმირის სულს დაჩინევია. მაგრამ პოეტი შეგნებულად აშორიშორებს ემოციურ შეძახილს „ჰე, ცაო, ცაო...“ და ცის ხატს, პირდაპირ არაფერს ამბობს მათი კავშირის შესახებ.

ბარათაშვილი ისე ხვეულად აგებს ლექსს, ისე არასწორ-ხაზოვნად ანანილებს სათქმელს, რომ ნაწარმოების თვით წყობა ხდება იდუმალების განცდის გამღვივებელი. ლექსი რაღაცას გარს უვლის და მასზე ღიად არ ლაპარაკობს. ბარათაშვილმა თითქოს იცის გვიანდელი პოეტური პრინცი-პი, რომ რაიმეს გამჭვირვალედ წარმოჩენა მისთვის მშვენიე-რების მოკლებას ნიშნავს. „შემოღამებაში“ იგი უკვე ფლობს არამხოლოდ გამოთქმის, არამედ „ართქმის“, ფაქიზი მინიშ-ნების, გასაიდუმლოების და დაქარაგმების ხელოვნებასაც. ამ მხრივაც ბარათაშვილის მემკვიდრე მეოცე საუკუნეში „მთაწმინდის მთვარის“ ავტორია.

ამ ლექსში, რომლის სიახლოვე „შემოღამებასთან“ აშკა-რაა, გალაკტიონი ტყუილ-უბრალოდ არ ახდენს მთვარის ხატის აქცენტირებას. იგი გრძნობს, რომ ეს არის „შემოღამე-ბის“ ცენტრალური სახე.

საინტერესოა, მთვარის და მიჯნურივით მთვარის მდევა-რი ვარსკვლავის ხატი რატომ შემოუნახავს ასე სათუთად მეხსიერებას, რატომ ენიჭება მას ასეთი მნიშვნელობა.

ამის მიზეზი ის არის, რომ შემოღამებისას ხილული ზეცა ლირიკული გმირისთვის თავისებური ნიშანსვეტია, რომე-ლიც სათავეს უდებს მის ლტოლვას იდეალური სფეროებისკენ:

„ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქს
დაჩნეული.

აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრი
შენდა მოისწრაფვიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე
განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთოება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას
ციურს!“.

შემოღამებისეული ცის ხატება არის ზეცის როგორც სუ-ლიერი სამშობლოს კარიბჭის პირველი ხილვა. ეს ხილვა ბარათაშვილის „ცისფერი ყვავილია“, რომელიც მას მუდამ თავისკენ უხმობს და იზიდავს.

ფაქიზი, სპეტაკი სულის მსგავსი მთვარე — აი, რა აჯა-დოებს ლექსის ლირიკულ გმირს, რადგან ბარათაშვილის-თვის უმაღლესი ფასეულობა მშვენიერი სულია, ანუ ნათელი, უმანკო სული („დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა! აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რო-მელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან“ — ურჩევს პოეტი მაიკო ორბელიანს). ჭეშმარიტი, „საუკუნო ტრფიალების“ საგანიც ასეთი სულია: „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბე-რებს. მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!“.

ბარათაშვილის ლირიკული გმირი ცაზე მშვენიერ სულს ხედავს, რომელთანაც მონათესავე სულის კავშირი ბადებს სამარადისო სიყვარულს.

საგულისხმოა, რომ „შემოღამების“ ადრინდელ ვარიანტში მთვარე ქალწულთან არის მიმსგავსებული: „... მისი ლიბრი არს მინაზებული, მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით ქალწული“.

მეტყველია ეს დეტალიც: „მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი, მარტო მისა ამარა“ — ბარათაშვილის პოეზიაში იდეალური სიყვარული სრულ განხორციელებას სამყაროს მარადიულ ფენომენებში პოვებს და კოსმიურ ასპარეზს საჭიროებს. ასეა გააზრებული სიყვარული, კერძოდ, ლექსში „არ უკიუნო, სატრფოო...“. „შემოღამებაში“ ეს მოტივი შეკუმშულად, მინიატურულად არის გამოხატული.

ბარათაშვილისთვის საერთოდ დამახასიათებელია საყვარელი არსების ციურ მნათობად წარმოსახვა („ჩემს ვარსკვლავს“, „აღმოხდა მნათი...“). მისი სახება, აკაკი განწერელიას სიტყვით, „ისევე იკავებს ადგილს ვარსკვლავების ხომლში, როგორც დანტეს ბეატრიჩე ან პეტრარკას ლაურა, რომელიც ანგელოზებს შორის იმყოფება და ციდან მოუხმობს თავის მიჯნურს“.

„შემოღამებაში“ ცა ლირიკული გმირის მონათესავე, საყვარელი სულის სამყოფელია და ამიტომ ხდება იგი მძაფრი სწრაფვის ობიექტი. ცაზე აღბეჭდილი მშვენიერი სულის ხატს ბარათაშვილის ლირიკული გმირი ციურ სფეროებთან თავისი სულიერი ნათესაობის სასწაულებრივ ნიშნად აღიქვამს.

* * *

„შემოღამებაში“ პოეტურ სუბიექტს და გარემომცველ სინამდვილეს შორის სრული თანაზიარობა და ჰარმონია სუფეს — ბუნება თითქოს მგრძნობიარე მუსიკალური საკრავია, რომელიც ადამიანის სულის ყოველ შეთრთოლებაზე საპასუხო ხმას გამოსცემს. აქ პიროვნება ისე მყუდროდ, შინაურულად გრძნობს თავს ბუნებაში, თითქოს ეს ბუნება მისივე შექმნილი იყოს.

ბუნება მშობლიური გარემოა ვაჟასთვისაც, მაგრამ მაინც მის მხატვრულ სამყაროში მყაფიოდ არის გავლებული ადამიანის და ბუნების გამყოფი მიჯნა. ბუნება ვაჟასთან წარმოდგება როგორც თავისთვადი, ობიექტური სინამდვილე, რომელიც საკუთარი კანონებით ცხოვრობს. ვაჟას ლირიკული გმირის განწყობა მეტნილად მისგან არის ჩაგონებული.

ბარათაშვილთან ბუნება თითქოს ლირიკული გმირის შინაგანი სამყაროდან ამოიზიდება მისსავე სახედ და ხატად და არსებითად მისი ორეულია.

და ბარათაშვილი ლირიკული გმირის სულიერი სამყაროს ასეთივე პროექციად გვევლინება „შემოღამებაში“ ზეცაც, რადგან ეს გმირი თავისთვას ალმოარენს არამარტო ბუნებაში, არამედ კოსმოსშიც. მართალია, „ზენაართ სამყოფი“ მიუწვდომელი რჩება, მაგრამ გამუღავნდება, რომ ადამიანი თავისი სულიერებით მასთან ორგანულად არის დაკავშირებული. მთანმინდის საღამო ლირიკულ გმირს გაუცხადებს, რომ მისი სული ენათესავება როგორც ბუნებას, ასევე უსასრულო სულს და სწორედ ამით არის ეს საღამო არაჩეულებრივი.

როგორც ქრისტიანულ ტაძარს გუმბათი, ბუნების და ადამიანის სრულ თანხმობას „შემოღამებაში“ აგვირგვინებს ცის თაღი, რომელზეც ლირიკული გმირისთვის ძვირფასი, ახლობელი სულის ხატებაა აღბეჭდილი. ჰარმონია ბუნებასთან წარმოადგენს იმის საყრდენს, რომ ადამიანი უფრო მაღალ ჰარმონიას ეზიაროს — ჰარმონიას ზეცასთან.

პოეტური სუბიექტის მიერ უშუალოდ ნაგრძნობი და დანახული თავისი ნათესაობა ცასთან ასაზრდოებს დიდ, ყოვლისმომცველ იმედს:

„ჰოი, სალამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად
სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი
განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა, სევდა გულისა ნუგეშსა ამას შენგან
მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის
განანათლება!“.

რომ არა ციდან მიღებული ნიშანი, მიხმობა „ზენაართ
სამყოფისკენ“, რომ არა თავისებური გამოცხადება, მხოლოდ
ბუნების და ადამიანის სულის თანხმიერება ვერ დაბადებდა
ასე ფართოდ განფენილ რწმენას და იმედს. ბუნება ლირი-
კული გმირის თანამგრძნობელია, ვთქვათ, ლექსშიც „ფიქრ-
ნი მტკვრის პირას“, მაგრამ ეს ლექსი თავისი სკეპტიკურ-
მელანქოლიური განწყობით შესამჩნევად განსხვავდება
„შემოღამებისგან“...

* * *

„შემოღამებაში“ თვით ბუნებაც, ლირიკული გმირის
მსგავსად, თითქოს მაღლა იზიდება, ზევით ისწრაფის. იგი
თითქოს რიტუალს, ღვთისმსახურებას ასრულებს, წმინდა
მსხვერპლს ნირავს. ნანარმოების კამერტონია, როგორც
სიმონ ჩიქოვანი უწოდებს, „ლიტურგიკული“ სახე:

„ძირს გაშლილ ლამაზ ველსა ყვავილნი მოპფენენ, ვითა
ტაბლას წმინდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა ალკმევენ
სუნწელებასა!“.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც, რომანტიკული ტიპის ამე-
რიკელი მოაზროვნის რალფ ემერსონის სიტყვებით რომ
ვთქვათ, „ბუნების ღირსეული ამოცანა ხდება, მოგვევლინოს
ღვთაების ნიშნად. ბუნება არის ორგანო, რომლის მეშვეო-
ბითაც საყოველთაო სული ადამიანთან საუბრობს და ადამი-
ანის თავისთან დაბრუნებას ცდილობს“.

ლიტერატურის ისტორიკოსები აღნიშნავენ ბარათაშვილის სიახლოვეს ქრისტიანულ კულტურასთან; შესწავლილია ბარათაშვილის პოეზიის კავშირები ბიბლიასთან, ჰიმნოგრაფიასთან; დადგენილია მისი გარკვეული მოტივების, სახეების თუ სიტყვიერი ფორმულების მომდინარეობა სასულიერო ლიტერატურიდან.

აშკარაა, მაგალითად, რომ ჩვეულებრივ პოეტურ მეტაფორას არ წარმოადგენს ასეთი სახე: „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა“, რომ აქ ბარათაშვილი მეტყველებს გარკვეული კულტურის საკრალურ ცნებათა და სიმბოლოთა ენაზე.

იგივე უნდა ითქვას ყვავილოვანი ველის „შემოღამებისეულ“ ხილვაზეც. აი, როგორ იყო გაცხადებული ეს სახე ლექ-სის პირველ ვარიანტში:

„ძირს გაშლილს ალმად ველსა ყვავილნი მოჰყენენ
რეცა ტაბლას წმინდასა
და გუნდრუკს ღმერთთან სამადლობელსა შენდა
აღკმევენ სუნნელებასა.“

ნათელი ხდება, ვის ეძღვნება ყვავილთა „სამადლობელი“ და ამის გარდა უნებლიერ ვფიქრობთ, რომ ღვთისადმი განკუთვნილ გუნდრუკს ტყუილად არ აღუკმევენ მთაწმინდას.

შემდეგ ბარათაშვილი მინიმნებათა ხელოვნებას ეუფლება და იმას, ვისაც წმინდა მსხვერპლს წირავენ, სახელდებით აღარ ახსენებს, მაგრამ არსი უცვლელი რჩება.

დავაკვირდეთ ლექსის დასაწყისს: „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ“. „მთწმინდა“ უბრალო ტოპონიმად აღიქმება, პირველადი აზრი მასში დაყრუებულია. ამიტომ ბარათაშვილი შელის სიტყვას და მის ძირეულ მნიშვნელობას აღადგენს — „მთაო წმინდავ“, მკაფიოს ხდის, რომ მთაწმინდა მართლაც წმინდა, საკრალური ადგილია და არა ჩვეულებრივი მთა.

ეს არის ტიპიური რომანტიკული შემოქმედებითი აქტი. „იმის წყალობით, რომ მე ვანიჭებ უმდაბლესს უმაღლეს აზრს, ჩვეულებრივს — საიდუმლო ელფერს, ნაცნობს უცნობის ღირსებას, სასრულს — უსასრულოს იერს, მე ვახორციელებ ყოველივე ამის რომანტიზებას“ (ნოვალისი).

სამყაროს მითოსურ თუ რელიგიურ მოდელებში მთა ღვთის (ღვთაებათა) სამყოფელია, ან, ყოველ შემთხვევაში, მიწის და ცის შესაყარია, სადაც ზებუნებრივი ძალები უფრო ცხოვლად მოქმედებენ, ვიდრე სხვაგან; მთაზე ასვლა შინაგან განწმენდად, ამაღლებად, ღვთაებრივთან მიახლოებად და ზიარებად არის წარმოდგენილი.

წმინდა მთა ხშირად იხსენიება ფსალმუნში: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმინდასა შენსა“; „გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტებაი შენი, ესენი მიმიდღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა“...

ლიტერატურისმცოდნეობაში გარკვეულია, რომ ბარათა-შვილის პოეტური მეტყველების და აზროვნების ერთ-ერთი სათავე არის ფსალმუნი. წმინდა მთის მოტივიც მას ფსალმუნიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

„მთაო ცხოველო“ — საღვთო ეპითეტით მიმართავს ბარათაშვილი მთაწმინდას.

და ამ „ცხოველ“, წმინდა მთაზე, საკრალურ გარემოში „შემოლამების“ ლირიკულმა გმირმა უჩვეულო რამ განიცადა — იგრძნო თავისი ნათესაობა ზეცასთან და აღეძრა „ზენართ სამყოფთან“ შეერთების მძაფრი სურვილი, რადგან მიიღო გამოცხადება სულიერი სამშობლოდან, იხილა უსასრულო სულიერებასთან საკუთარი შინაგანი ერთიანობის დამადასტურებელი ხატება.

მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ითქვას ისიც, რომ თუმცა ბარათაშვილისთვის ამოსავალი ბიბლიური არქეტიპია, მაინც პოეტი შეუზღუდველია მასთან დამოკიდებულებაში. ფსალმუნისეული მოტივი ბარათაშვილის მკვეთრად ინდივიდუალისტური, სუბიექტივისტური მსოფლედვის არეში ხვდება, მისდამი დაქვემდებარებულ ელემენტად იქცევა და მისივე გამუდავნების ფორმად გვევლინება. მთის სიწმინდე, ბარათაშვილის გააზრებით, ის არის, რომ აქ ყოფნისას რომანტიკულ მარტოსულს ზეცაზეც თავისი მსგავსების აღმოჩენა შეუძლია.

ბარათაშვილი ინდივიდუალისტი და სუბიექტივისტია რელიგიურ ძიებაშიც. ამ სფეროშიც მისთვის ჭეშმარიტების ერთადერთი მაცნე ინდივიდუალური სულიერი გამოცდილებაა, საკუთარი ფიქრი, გრძნობა, ლტოლვა და წარმოსახვაა.

„შემოღამებისეული“ გამოცხადების შინაარსიც მთლიანად სუბიექტურია — ეს არის რომანტიკული ინდივიდუულის მონათესავე სული, რომელიც ცაზეა გამოსახული.

* * *

„შემოღამება მთაწმინდაზე“ ადამიანის და სამყაროს, კოსმოსის ჰარმონიის სრულყოფილი გამოხატულებაა ქართულ ლირიკაში. „Всё во мне и я во всём“ — ტიუტჩევის ეს პოეტური ფორმულა ზედმინევნით ესადაგება ბარათაშვილის ლექსს. ადამიანის გული აქ თითქოს მთელ სამყაროს იტევს, ის და სამყარო ერთმანეთის რიტმით მოძრაობენ.

„შემოღამება მთაწმინდაზე“ — ჰარმონიის სრულფასოვანი მხატვრული გაცხადება — ბარათაშვილის პოეზიის ერთი პოლუსია. მის მეორე პოლუსს წარმოადგენს „მერანი“ — ტრაგიკული მსოფლეგანცდის უმძაფრესი გამოვლინება ჩვენს ლირიკაში. მათ თითქოს უფსკრული თიშავთ.

ამავე დროს ბარათაშვილის სულიერი და პოეტური ევოლუციის ეს ნიშანსვეტები სილრმისეულ ურთიერთკავშირს და ერთიანობასაც ამჟღავნებენ.

„მერანში“ თითქოს განხორციელებულია მიწისგან მოწყვეტის, „ამაოების დაშთომის“ ნადილი, რომელსაც „შემოღამების“ ლირიკულ გმირს ზეემპირიული სამყაროსკენ მიმხმაბი ციური ნიშანი აღუძრავს.

„შემოღამებაში“ ადამიანურ შესაძლებლობათა შეზღუდულობა აფერხებს მიღმური სამყაროსკენ სწრაფვას („მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“), ოღონდ დრამატიზმს გაღვივების საშუალებას არ აძლევს ადამიანის და ცის უშუალოდ განჭვრეტილი ნათესაობის გრძნობა, „შემოღამების“ პათოსის ძირითადი მსაზღვრელი.

„მერანი“ სრულყოფილი თავისუფლებისკენ ადამიანის მისწრაფების დამაბრკოლებელ ზღუდეთა გადალახვის უკვე აქტიური ცდაა და ამ მცდელობის ტრაგიზმი ისიც არის, რომ „მერანის“ მხედრის „უგზო-უკვლო“, „გიუურ ლტოლვას“ აღარ აქვს გარკვეული ორიენტირი, მკაფიო მიზანი: მისი მშფოთვარება ვეღარ დაცხრება იმ „სადგურში“, თავშესაფრად რომ ესახება „შემოღამების“ ლირიკულ გმირს.

საბედისწერო ძალა

„ბედი ქართლისას“ კრიტიკულ ინტერპრეტაციებს შორის სიღრმით გამოირჩევა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც პოემა აგებულია თავისუფლების და აუცილებლობის კონფლიქტზე და ამ კონფლიქტში, საბოლოო ანგარიშით, იმარჯვებს ისტორიული ბედისწერა.

მთლიანობაში სავსებით დამაჯერებელი ეს თვალსაზრისი მხოლოდ თავისი ერთი ასპექტით იწვევს ეჭვს: ისტორიული აუცილებლობა წარმოდგენილია როგორც განყენებული, ანონიმური ძალა, რომელიც ადამიანებისგან სრულიად დამოუკიდებელია.

„ბედი ქართლისას“ მხატვრულ რეალობაში გარდაუვალობა მართლაც მოქმედებს, ოღონდ იგი ასე აბსტრაქტული და უსახო არ არის. ამ გარდაუვალობის ნამდვილი შინაარსი და ხასიათი დიდი ხნის წინ აქვს შენიშვნული კიტა აბაშიძეს.

„საქართველოსთვის, რომლის საზოგადოება დაცემული იყო სულითა და ზნეობით, თვითარსებობა შეუძლებელი იყო. მეფე გრძნობდა, რომ აღარ შეეძლო ისეთ ერზედ დამყარებულიყო, რომელსაც შეამჩნია მუხთლობა, როცა შეამჩნია „მოყმეთა თვისთა ესდენ დამცრობა“, რომ თითქმის მოგებული ომი წააგებინეს მუხანათობით და იუდასავით გაჰყიდეს სამშობლო. მაშინ გადაწყვიტა, რომ „მას აღარ ითვისებს ქართველთა გული, რომელთა მეფე ეული“ იგი იყო; ხედავდა, რომ ლირსეული და მამულისათვის გამოსადეგარი მემკვიდრე არ ჰყავდა და, გარდა ამისა, თვითონ მის შვილებს შორის ისეთი აყალ-მაყალი და არეულობა იყო, რომ საქმეს ვერ გაუძლებოდნენ. ყველა ამას ხედავდა მეფე და გადაწყვიტა ბედი ქართლისა...“.

ეს აზრი შემდეგ როგორდაც მიიჩინა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, ალბათ, იმიტომ, რომ იგი ეროვნული თავმოყვარეობისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის. უფრო იოლია ისტორიის ბრმა მსვლელობის, ისტორიის უსულო კანონების უცოდველი მსხვერპლი იყო, ვიდრე თვითონ აგებდე პასუხს საკუთარ ბედ-ილბალზე.

ბარათაშვილის პოემის კონცეფციაში კი ფატალური როლი ერის სულიერ-ზნეობრივი რაობის გარკვეულ მხარე-ებს ეკისრება და არა განყენებულ ისტორიულ აუცილებლო-

ბას ან თუნდაც კონკრეტულ პოლიტიკურ პირობებს, რომ-ლებიც პოემაში მხოლოდ გაკვრითაა მოხაზული.

ბარათაშვილის პოეტური თვალთხედვით, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა, თავისთავად, ისევე არ არის გარდაუვალი, როგორც არ არის გარდაუვალი კრწანისის ბრძოლაში ქართველების დამარცხება. ამ ბრძოლაში ქართველებს მხედრული თავდადების და მეფის გამჭრიახობის წყალობით გამარჯვების შესაძლებლობა აქვთ, მეტიც, გამარჯვება თითქმის მოპოვებულია, მაგრამ თავს იჩენს ღალატი და მარცხი გარდაუვალი ხდება.

„აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს, სამი დღე და ღამ მას ადგა ჯარით, მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით; დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი და თურმე ყოვლით იმედმიხდილი ქართლითგან ნასვლას დააპირებდა; მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა! აჲა, მან იგი ან მოიხელთა და მუხთალისა ანგართა ხელთა აპყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი! მან მტერს უმსხვერპლა თვისი მოძმენი!“.

ბედისწერას აქ სავსებით მიწიერი სახე აქვს, ამ სახით ეცხადება ერეკლეს და მეფე იძულებულია აღიაროს თავისი დამარცხება მის წინაშე.

„არ მითვისებდა ქართველთა გული, რომ ვიყავ მათი მეფე ეული; ჩემი მეფობა ზე დავასრულე, რომ ძლივს იგინი გავიერთგულე! და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას განვუმზადებდი ჟამ-კეთილობას, აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..“.

ერეკლე მტკივნეულად იცნობიერებს, რომ კრწანისის ბრძოლა მას ნაგებინა მარცხმა მთავარ ბრძოლაში — ხანგრძლივ, დაძაბულ ბრძოლაში ერის სულიერი გამთლიანების-თვის. იგი აღმოაჩინს, რომ ქართველების თავკერძობა დაუძლეველია და მისი აღკვეთის ყველა ცდა ამაოა, რის გამოც შეუძლებელი ხდება ქვეყნის თავისუფლების შენარჩუნება თუნდაც უბედურების და ტანჯვის ფასად. ლეონიძის რეპლიკას — „ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს არად მიაჩინით უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“ — ერეკლე პასუხობს: „ქართველთა რა ჰყონ ამ უბედობის და დარღვევის დროს?“. „დარღვევის“ შეუკავებელი, საპედისწერო პროცესი, როცა ქართველები „ურთიერთს ჰბარვენ“, ხოლო მეფეს „ლირსეული“, საიმედო მემკვიდრე არა ჰყავს,

უხშობს ქვეყანას თვითმყოფადი არსებობის პერსპექტივას. იგი განსაზღვრავს იმის გარდაუვალობას, „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“.

ერეკლეს აზრს, რომ საქართველო გარდაუვალად შეუერთდება რუსეთს, აღმოაცენებს ის, რაც მან კრწანისის ბრძოლისას მომხდარ დალატში განჭვრიტა — თავისი ქვეშევრდომების მანკიერ მიღრეკილებათა უვნებელყოფის ფატალური შეუძლებლობა.

ბარათაშვილი ერეკლეს წარმოსახავს როგორც ბედისწერასთან ბრძოლის უნაყოფობით, „მოყმეთა თვისთა ესდენ დამცრობით“ ღრმად იმედგაცრუებულ, ილუზიებდამსხვრეულ რომანტიკულ გმირს. სხვათაშორის, ასევე მწარედ არის იმედგაცრუებული ჰოლდერლინის რომანტიკული გმირი ჰიპერიონი, როცა თითქოსდა თავისუფლებისთვის მებრძოლი ბერძნები სულმდაბალი მძარცველები გამოდგებიან.

მაგრამ ერეკლეს ყოფნის ძალა, უყვარდეს და ეპრალებოდეს თავისი ხალხი, ზრუნავდეს მასზე, თვითონვე იკისროს იმის აღსრულება, რაც გარდაუვალი გამხდარა, რათა ქართველებს აარიდოს უკვე უაზრო მსხვერპლი („ჰოი, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად ნუღარ გასწირავ ქართველთა ტანჯვად“).

ქართლის ბედს წყვეტს ქართული საზოგადოების აღმოუფხვრელი პარტიკულარიზმი. ერეკლე მხოლოდ ადასტურებს განაჩენს, რადგან გარკვევით დაინახავს, რომ შეუძლებელია ამ საბედისწერო ძალის დაოკება. თანაც, მისი აზრით, რუსეთთან შეერთება, რისკენაც ქვეყანას ეს ძალა გარდაუვალად ეწევა, მაინც არ არის სრული კატასტროფა, მშვიდობას და ქრისტიანული საარწმუნოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ლეონიძე თუმცა სწორად გრძნობს, რომ მეფეს გადაწყვეტილება ომის დროს მომხდარმა ღალატმა უკარნახა, მაგრამ მას ყველაფერი მონარქის ემოციებზე დაყავს და ვერ წვდება საბედისწერო კანონზომიერებას, რომელიც ერეკლემ ღალატის ფაქტში ამოიცნ.

„ვეჭვობ, სოფიო, რომე ირაკლი ქართველებზედა იყოს გულნაკლი; მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული ძლიერად არის აღელვებული! მწარედ უპირებს ბატონი დასჯას თავის შვილების ამა ურჩებას!“.

მაგრამ ცხადია, რომ ერეკლეს ამოძრავებს არა უბრალოდ ბუნებრივი აღშფოთება დალატის გამო, არამედ აზრი ქართული თავკერძობის ფატალურობის შესახებ, რომელიც დალატმა გამოააშკარავა.

ამას ადასტურებს პოემის ფინალიც. ერეკლე აგრძელებს ბრძოლას საქართველოს აგრძისიულ მეზობლებთან და წარმატებასაც აღწევს, მაგრამ მისი აზრი მაინც უცვლელი რჩება.

„წარვიდნენ წელნი მოსვენებისა და კვლავ ირაკლიმ ხმალი ბრძოლისა ალიღო ლეკთა შესამუსვრელად! არც სპარსნი დარჩენენ დაუმარცხებლად; სიბერის უამსა მოიცა ძალი და შეაძრნუნა კვალად ოსმალი; კვლავ ასახელა თავის სახელი, მაგრამ ამაო იყო ყოველი: დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის გარდაინყვიტა გულმან ირაკლის!“.

ერეკლე ახერხებს გააუვნებლოს საშიშროება, რომელსაც ქვეყანას კრინანისის დამარცხება უქმნის. ამ საშიშროებას მეფე წათლად ითვალისწინებს და როცა თავისი გადაწყვეტილების მოტივებს აყალიბებს, მასზეც მიუთითებს:

„ამიერითგან გაქეზებული მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული არ დაგვაწყნარებს სიამაყითა: მას უამი შესწევს ყოვლის ღონითა; ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს; ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს...“.

როგორც ვხედავთ, პოემის ფინალში სწორედ ეს საფრთხეა ნეიტრალიზებული. მაგრამ ამის მიუხედავად მეფის აზრი საქართველოს ბედის შესახებ არ იცვლება, რადგან იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უნაყოფოა ბრძოლა ქართველების „გასაერთოგულებლად“ და ამიტომ ქვეყანა გარდაუვალად გამოეთხოვება თავისუფლებას.

თავისუფლების უმაღლესი იდეალის განწირულებას ბარათაშვილი შეკავებული ტრაგიკული გრძნობით გამოხატავს.

* * *

ბარათაშვილის პოეზიის მკვლევარებს გარკვეული აქვთ, რა დიდი ზეგავლენა მოახდინა პოეტის სულიერ და შემოქმედებით ფორმირებაზე 1832 წლის შეთქმულებამ.

ამ ისტორიული მოვლენის ანაბეჭდები უპირველეს ყოვლისა „ბედი ქართლისაში“ მოჩანს. აქ ერთგან მინიშნებული

უნდა იყოს თვით შეთქმულების ფაქტი („მაშინ ვისალა მოე-სურვება, ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!“); შეთქმულების იდეოლოგიის გამოძახილია მეფის შეუზღუდველი ხელი-სუფლების ლეონიძისეული კრიტიკა.

შეიმჩნევა პოემის უფრო ღრმა კავშირიც 1832 წლის შეთქმულების ფაქტთან.

ქართლის ბედი გადაწყდა და რუსეთთან კავშირის გარდაუვალობა გამჟღავნდა ბარათაშვილის თვალწინ, როცა გამცემლობამ ჩაშალა 1832 წლის შეთქმულება.

„ბედი ქართლისაში“ კრწანისის ბრძოლისას მომხდარი ლალატი იმიტომ არის ეროვნული თავისუფლების შეუძლებლობის უეჭველი ნიშანი, რომ მასში ბარათაშვილი 1832 წლის გამცემლობის პროცესირებას ახდენს. 1832 წლის და კრწანისის ამბების ლოგიკის თანხვედრა პოეტის ცნობიერებაში ბადებს აზრს ფატალური ძალის შესახებ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის უნარს უკარგავს.

ეს თვალსაზრისი პორსაა პროვიდენციალიზმისგან, იგი არ ცნობს ლვთიურ განგებას თუ სასჯელს, რომელსაც არ-სებითი მნიშვნელობა ენიჭება გურამიშვილის ისტორიულ პანორამაში. ბარათაშვილისთვის ორგანული ისტორიის რომანტიკული ხედვა არ ცნობს არც ობიექტური გარემოებების ტირანიას — ადამიანებს შეუძლიათ ყველაფერი, თუკი ძლევენ საკუთარ თავს, საკუთარ ბუნებას. მაგრამ ეს ბუნება, რომლის ძლევაც არ ხერხდება, მათ ბედისწერად ევლინებათ.

თუმცა „ბედი ქართლისაში“ ნარმოჩენილია ქართველების თავდადებული სიყვარულიც მეფისადმი, ქვეყნისადმი, მაინც გადამწყვეტ მომენტში ბოროტება მძლავრობს, რაც საბედისწერო კანონზომიერებად აღიქმება.

„ჩვენმა უხეირობამ დაგვდუპა! ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“ — მეგობრისთვის, კონსტანტინე მამაცაშვილისთვის ნათქვამ ბარათაშვილის ამ სიტყვებში „ბედი ქართლისას“ საზრისია გამხელილი.

ახალ დროში ბარათაშვილმა პირველმა აქცია კრიტიკული ფიქრის საგნად ეროვნული ხასიათის ნაკლოვანი მხარეები. ერთ წერილში იგი გულისტკივილით მიანიშნებს იმ „სნეულებაზე“, „რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“; სხვაგან მწარედ კითხულობს: „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრივი გრძნობა?“.

ასეთი კრიტიკული თვალთახედვა შემდეგ სისტემური სახით და შემტევი პათოსით გამოვლინდა იღია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრების შემოქმედებაში. თავისი თავისადმი მკაცრი, უშეღავათო დამოკიდებულება ერის, ისევე როვორც პიროვნების, კულტურის ნიშანია, მის გონით სიმწიფეს მოწმობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მოაზროვნე ქართველი პატრიოტები მზერას თავისი ხალხის ხასიათის იმ თვისებებისკენ მიმართავენ, ცნობილ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მისი ბედისწერა რომ განსაზღვრეს; ბედისწერა, რომელთან შეურიგებლობაც ბარათაშვილის „მერანში“ უყოყმანოდ და სამუდამოდ არის არჩეული.

1988

თავისუფლებისკენ მოძრაობა

უსასრულობასთან, მარადიულობასთან ზიარებისკენ ლტოლვა — რომანტიკული მსოფლგანცდის ორგანული თვისება — ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტია. ამ ლტოლვაში მუღავნდება რაღაც ისეთის აღმოჩენის და მასთან შეკავშირების ღრმა ადამიანური მოთხოვნილება, რაც წარმავალობაზე და ამაოებაზე ძლიერია, რასაც სიკვდილი ვერ ანადგურებს. ეს ყველაზე თვალსაჩინოა ბარათაშვილის ორ ლექსში — „არ უკიუნო, სატრფოო“ და „მერანი“.

„არ უკიუნო“ რომანტიკული ოცნება, ფანტაზირებაა უსასრულობასთან შერწყმაზე. უსასრულობასთან, მარადისობასთან შეერთების ნების ძალით ლირიკული გმირი და ის, ვინც მას უყვარს, გვევლინებიან ისეთ ფენომენებად, რომლებიც მუდმივად მყოფობენ სამყაროში — მზედ, ნამად. ისინი მთლიანდებიან და დაუსრულებლად ბადებენ სიკეთეს. „რომ მხოლოდ მზისა ციიაგი მას დილის ნამსა იშრობდეს და ერთად შესხივებული შვებას მოჰქონდნენ სიცოცხლეს, არეს ავსებდნენ სიამით მცენარეთ განმაცხოვებლად, იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად“. სიკვდილის ძლევა და უსასრულობასთან ზიარება მიიღწევა სამყაროში მარადიულად მიმდინარე პოზიტიურ პროცესში — სიცოცხლის აღმოცენების და ზრდის პროცესში წარმოსახვითი თანამონაზილეობით.

„არ უკიუნოსგან“ განსხვავებით „მერანში“ უსასრულობასთან ზიარების ცდა ყოფიერების ტრაგიკულ, ანუ უფრო ღრმა და ჭეშმარიტ განზომილებაში ხორციელდება. მისწრაფებას უსასრულობისკენ, „ბედის სამძღვრის“ გადალახვისკენ აღკვეთს სიკვდილი — ბედისწერის მთავარი იარაღი. თანაც ეს არის რომანტიკულად მაქსიმალიზებული სიკვდილი, „სატრფოს ცრემლის“, „წათესავთ გლოვის“, სამშობლოში „წინაპართ საფლავებს შორის“ დამარხვის გარეშე, იმის გარეშე, რაც ადამიანს სიკვდილის შემდეგ რაღაც კავშირს უნარჩუნებს თავის სოციოკულტურულ გარემოსთან. მერანის მხედარს წილად ხვდება არა ჩვეულებრივი, „განელებული“ სიკვდილი, არამედ დაღუპვა სრულ მარტობაში, უცხოდა უკაცრიელ სივრცეში, სადაც მის გმირულ მსხვერპლგა-

ლებას მოწმე, თანამგრძნობელი და დამფასებელი არ ჰყავს, სადაც უკვალოდ ქრება ამქვეყნიდან. სიკვდილი მოვლენილია თავისი მაარარავებელი ძალის მთელი სისრულით, რათა უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცეს მის ძლევას.

რა შეაძლებინებს მერანის მხედარს დათანხმდეს ამგვარ „სრულ“ სიკვდილს? ის, რომ იგი სინამდვილეში კი არ ქრება ადამიანთა სამყაროდან, არამედ პირიქით, სამარადისოდ მკვიდრდება მასში, რამდენადაც ბედისწერისადმი დაუმორჩილებლობით გაკვალულ გზას უხსნის სხვათა თავისუფლებას და უერთდება იმას, რაც უსასრულოდ გრძელდება ამქვეყნად — თავისუფლებისკენ მოძრაობას. მეტიც, თავისი ქმედებით ის ობიექტურად ხდება თავისუფლების საბოლოო, სამუდამო აღზევების თანამონაწილე, თუ ვიგულისხმებთ, რომ მისი „მოძმე“ მომავალში არამარტო შეუპოვრად ებრძვის, არამედ ამარცხებს კიდეც ბედისწერას. თვითშეზირვის წყალობით „მერანის“ გმირი უსასრულო მომავალში ფუძნდება, უსხლტება წარმავალობას. მის თავგამეტებას სრულიად არარიტორიკულ, არადეკლარაციულ იერს, ლრმა სიმართლეს და დამაჯერებლობას სძენს ის, რომ მსხვერპლგალების სანაცვლოდ იგი შეუკავშირდება იმას, რაც სიკვდილის მიერ ზღვარდაუდებია — სამყაროში თავისუფლების გავრცობის ადამიანური ცდის განუწყვეტლობას.

2001

ილია ჭავჭავაძე

გახედვა ილიასკენ

ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ილიას მიმართ საკულტოა, რიტუალურია — ეს დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა და რიტუალების მოყვარე ქართული ცნობიერების ანაბეჭდთან ერთად საბჭოურ დამღასაც ატარებს. ილია ვაქციეთ უსიცოცხლო ფეტიშად, რომელსაც ფარისევლურ ჰიმნებს აღვუვლენთ და ამ ჰიმნებში ჭარბადაა პროვინციული პათოსით გაუდენთილი ეპითეტები: „დიდი“, „ბუმბერაზი“, „ბრძენი“... ილიას გამონათქვამებს არტისტული მონიწებით ვიმოწმებთ როგორც დოგმატებს. არ ვაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია — არ ვცდილობთ სერიოზულად ვიფიქროთ მასთან ერთად. ეს გასაგებიც არის — იგი გვჭირდება მხოლოდ როგორც ჩვენი „სიმაგრის“ დამადასტურებელი, თვალისმომჭრელად მბრძყინავი კერპი.

თვითონ ილია კი ჩვენი „სიმაგრის“ დადასტურებას ჩვენს სისუსტეთა შესახებ განსჯას ამჯობინებდა. არც ილიამდე და არც მის შემდეგ საქართველოში არ ყოფილა მოაზროვნე, რომელსაც ასე გამუდმებით, ასეთი ტკივილით ეფიქროს ქართული ხასიათის თუ მენტალობის ნაკლოვანებებზე. მისი სიყვარული საქართველოსადმი იყო ძალიან ვნებიანი და ამავე დროს „ცივი“, ობიექტური და უშედავათო — ნამდვილი სიყვარული თავისი არსით მომთხოვნი და მკაცრია, რადგან სურს, რომ ის, ვისკენაც არის მიმართული, რეალურად იყოს სიყვარულის ღირსი, იმ ფასეულობათა რეალურად ხორც-შემსხმელი, რომლებიც სიყვარულს იმსახურებს.

ილია ყველაზე ტრაგიკული ბედის პიროვნებაა ქართული ისტორიაში და კულტურაში — არა იმდენად მისი საზარელი აღსასრულის გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ მის თვალთახედვის და მიზანსწრაფვას არ იზიარებდა და არ იზიარებს მისი ხალხი. ილიას მკვლელობა კვლავ გრძელდება, ილიას ყოველდღე კლავს საქართველოს უგუნურება, უზნეობა, უზიათობა...

ახალგაზრდა ილიას თავიდან რადიკალური თვალსაზრისი ჰქონდა როგორც სოციალურ, ასევე ეროვნულ პრობლემაზე. მაგრამ მალე, ახალგაზრდობაშივე, ილიას ჭაბუკურ და

საკმაოდ ზედაპირულ რადიკალიზმს სინამდვილის სერიო-ზულ ანალიზზე დაფუძნებული პოზიცია ცვლის, მისი რევო-ლუციური სიფიცხე და მოუთმენლობა ქრება.

როგორც ჩანს, ილიას მსოფლმხედველობის ასეთ შეცვ-ლას ბიძგი და მიმართულება მისცა რუსეთის იმპერიაში გან-ხორციელებულმა რეფორმამ, ბატონიყმობის გაუქმებამ, სა-მოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების დაწყებამ. ამ რე-ფორმის ჩატარებაში ილია უშუალოდ მონანილეობდა კიდეც, როცა საქართველოს ერთ-ერთ მხარეში მომრიგებელ მოსა-მართლედ მუშაობდა.

როდესაც პიროვნების და საზოგადოების შემოქმედები-თი ძალების შემბოჭველი ბატონყმური სისტემა დაირღვა, ილიამ დაინახა, რომ შესაძლებელია შედარებით გაზრდილი თავისუფლების გამოყენება და ქვეყნის თანდათანობით გა-ჯანსაღება და გაძლიერება, ანუ დამოუკიდებლობისთვის ქვეყნის ბუნებრივი მომწიფება. სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესი ქვეყნის თავისუფლების აუცი-ლებელი წანამძღვარია — ასეთი პოზიცია ამოიცნობა ილიას მხატვრულ და პუბლიკისტურ შემოქმედებაში.

პროგრესის განმახორციელებელია ორგანიზებული შრო-მა და ფხიზელი, ნათელი გონების აქტივობა — ფასეულობე-ბი და ფენომენები, რომელთაც ილია დაუღალავად, ჯიუტად ამკვიდრებს. ასევე დაუღალავად და ჯიუტად ებრძვის იგი იმას, რაც შრომის და გონიერების როგორც არსებობის მთავარი პრინციპების დამკვიდრებას წინ ეღლობება — გვიან-დელ ფეოდალურ ცნობიერებას და ცხოვრების წესს: გონე-ბის და სხეულის სიზარმაცეს, თავკერძობას და საზოგადო-ებრივი ინტერესებისადმი გულგრილობას, არარაციონალუ-რობას, მითების, ილუზიების ტყვეობას, უნიადაგო ამპარ-ტავნობას და თავმოწონეობას... ამის სატირული გამომ-ზეურებაა თათქარიძეთა სახეები. ხოლო ის, რამაც ქვეყანა ამ ფეოდალური ბალასტისგან უნდა გაათავისუფლოს — ახლებური შრომის კულტურა და ფხიზელი გონიერება, ძლი-ერი და მიზანსწრაფული ნებისყოფა, სოციალური აქტიურო-ბა — „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარ გმირებში განსახიერდა.

ახლებური შრომა და რაციონალური, განათლებული ცნობიერება, ილიას თვალსაზრისით, არათუ ქვეყნის განვი-თარების და გათავისუფლების პირობაა, არამედ გადარჩენის

პირობაც არის, რადგან თუ ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალიზმზე გადასვლა, ერთი მხრივ, მეტი თავისუფლების და შემოქმედებითი შესაძლებლობების მომნიჭებელია, მეორე მხრივ, ეს ქვეყნისთვის ახალი ისტორიული გამოწვევაა, ახალ ბრძოლაში მისი ჩაბმის მომასწავებელია. იგი მისგან ძალების სრულ მოკრებას და ადრინდელზე უფრო რთულ, ძნელ აქტივობას მოითხოვს. კაპიტალიზმი არამხოლოდ ინდივიდუების, არამედ ერების და ქვეყნების კონკურენციაცაა, სიცოცხლის არსებითი და მარადიული მახასიათებლის — ბრძოლის შედარებით ცივილიზებული გამოვლინებაა და ბრძოლის ამ ნაირსახეობის იარაღი სწორედ ორგანიზებული შრომა და განათლებული გონებაა. გარკვეული აზრით ეს ბრძოლა უფრო მკაცრიც არის, ვიდრე ბრძოლის პირდაპირი და უხეში ფორმები. კონკურენციის გულაუჩვილებელი კანონებისგან შეღავათებს არ უნდა ველოდეთ. „ხმლიან მტერს გაუყენოთ, გადავრჩით... შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მინას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი არ მივაგებეთ, ნინ არ დავახვედრეთ, ნინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველივე ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?..“.

ჩვენი ახლანდებლი ისტორიული სიტუაცია მნიშვნელოვანნილად იმ ისტორიული ვითარების მსგავსია, რომელშიც ილიამ ქვეყნის მოდერნიზაციის პროგრამა შეიმუშავა და მის ხორცებსამას შეუდგა — იშლება ძველი, გამოფიტული სისტემა (ერთ შემთხვევაში ბატონყმობა, მეორეში — სოციალიზმი), ინყება კაპიტალიზმის დამკვიდრება, პროგრესის ხელისშემშლელი მაშინაც იყო და ახლაც არის ფეოდალური ცნობიერების და ცხოვრების ყაიდის ატავიზმი... ლოგიკური იქნებოდა, ჩვენი რეაგირებაც ასეთ ისტორიულ ვითარებაზე იმ ინტელექტუალური და პრაქტიკული რეაგირების მსგავსი ყოფილიყო, რომელიც ილიამ მოახდინა თავის თანადროულ ისტორიულ გარემოებზე. მაგრამ ყველაფერი სწორედ ლოგიკის საწინააღმდეგოდ წარიმართა და არ მოხდა გარდაუვალად მოახლოებული ლია ეკონომიკური და სოციალურ-

პოლიტიკური სისტემის სრულფასოვნად დანერგვისთვის აუცილებელი მკეთრი ორიენტირება მოდერნიზებულ შრომაზე და ცნობიერების რაციონალიზაციაზე, ანუ ნამდვილი, არადეკლარაციული ორიენტირება დასავლეთზე. ამის ვარეშე კი, როგორც ილია გვაფრთხილებს, კაპიტალისტური კონკურენცია სასიკეთოს არაფერს გვიქადის. ამ რთულ ამოცანას საქართველომ ფეოდალური სულის ამოფრქვევით უპასუხა. მისი ცნობიერება მითების და ილუზიების, საკრალური სიტყვების, სიმბოლოების და რიტუალების წარმოსახვით სამყაროს შეეფარა და იქ დაემალა დაძაბული შრომის და გონებრივი აქტივობის აუცილებლობას. აღორძინდა ძველი, მამაპაპური, ფეოდალური ცხოვრების პრაქტიკა — ამბიციების გააფთრებული შეხლა, კლანების შუღლი, იარაღის და ძალის კულტი, ქვეყნის დაქუცმაცება, მაღალფარდოვანი ფუჭსიტყვაობა...

ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხებს ქართული საზოგადოება მეთოდური შრომის და განათლებული, რაციონალური ცნობიერების კულტივირებას. ამისთვის აუცილებელია იმ ძალის აღორძინება, რომელსაც ილია ყველაზე ცხოველმყოფელად მიიჩნევდა. ეს არის ლირსების გრძნობა, თავმოყვარეობა — ის, რაც, ერთი უცხოელი მწერლის თქმით, ცხოვრებას გემოს აძლევს. სწორედ ლირსების გრძნობაა ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ წარმოჩენილი შრომაზე დაფუძნებული ეთიკის ღერძი. ილია ლირსების გრძნობას „ღვთაებრივს“ უნიფრებს, მისი ფიქრით, „როგორც სხივი მზისგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი, ამ გრძნობიდან წარმომდინარებს და ყოველივე ისევ უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს“.

პიროვნული ლირსების გრძნობა, თავმოყვარეობა ჩვენში ამღვრეული და დამახინჯებულია, ამპარტავნობის, პატივმოყვარეობის, ეგოისტური თავმოთნეობის მიერ არის შთანთქმული. ხოლო ეროვნული ლირსების გრძნობა გადაგვარებულია ცრუ, ილუზიებზე დამყარებულ სიამაყედ, რომლის უსაფუძვლობაც ახლა ყველას თვალშინიშრაგიულად გამოაშკარავდა. მაგრამ იქნებ ჩვენს მიერ განცდილმა ნაციონალურმა სირცხვილმა გამოაღვიძოს ლირსების გრძნობა როგორც ზნეობის, გონიერების და შემოქმედებითი შრომის მასაზრდობელი საწყისი — შეგვაბრუნოს ილიასკენ, ანუ გაგვახედოს წინ.

1993

ორგვარი ცნობიერება

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძის პატრიოტული იდეალი იყო საქართველო როგორც თავისუფალი, ცივილიზაციული, ევროპეიზებული ქვეყანა; ხოლო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, მის პროზაში გამოკვეთილია ორგვარი ცხოვრების ყაიდა და ცნობიერების წყობა, რომელთაგან ერთი მთლიანად ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ქვეყნის ევროპეიზაციის გეზით განვითარებას, მეორე კი ამ გეზით სვლის მამოძრავებელია.

სინამდვილისადმი ევროპულ დამოკიდებულებას არსებითად ის განსაზღვრავს, რომ დასავლელი ადამიანი თავისთავის და ცხოვრების ალმშენებელი და გარდამქმნელია. მისი ყოფიერება რეალობის მიზანმიმართული შეცვლის, გაუმჯობესების სისტემატური ცდაა, რადგან იგი თვლის, რომ ეს რეალობა მუდმივ სრულყოფას საჭიროებს. დასავლელი ადამიანი ენერგიულად ესწრაფის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მოწესრიგებას, მართვას, რათა იგი თავისთვის უფრო კეთილმყოფელი და შესაფერისი გახადოს. ყოველ შემთხვევაში, რენესანსის ეპოქიდან მოკიდებული დასავლელი ადამიანი სწორედ ასეთი ჩანს, თუმცა ამის ფესვები უფრო ღრმაა...

ძნელი წარმოსადგენია სინამდვილისადმი ამგვარი დამოკიდებულების უფრო სრული უარყოფა, ვიდრე ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟების არსებობაა: მოუწყობელი და მოუწესრიგებელი ყოფა და საცხოვრებელი გარემო, რომელსაც მის მიმართ ადამიანის უკიდურესი დაუდევრობის დალი ადევს; უცვლელობა, ერთის და იმავეს გაუთავებელი გამეორება, როცა დროც თითქოს უძრავია; უქმი და მოდუნებული, უენერგიო სიცოცხლე, რომლის სიფუტუროვეს ავსებს ხორციელი ტკბობა, განცხრომა, შეიძლება ითქვას, „აღმოსავლური ჰედონიზმი“, ოღონდ ისეთივე უხეში და პრიმიტიული, როგორიც არის ყველაფერი, რასაც მწერალი თათქარიძეებისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს.

ცხოვრებისადმი დასავლური, აქტიური დამოკიდებულება სათავეს იღებს გონიერის პრიმატიდან, რომელმაც საბოლოოდ თავისი ცხადი გაცნობიერება და აღიარება რაციონალიზმი და განმანათლებლობაში პოვა. გონიერაა აქტი-

ური, მოძრავი, სინამდვილის წვდომის, გაგების და ამდენად დაუფლების დაუინებით მცდელი. გონების რაობაა მარადი-ული მაძიებლობა, უკვე მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, სისრულისკენ შეუსვენებელი ლტოლვა. „ფაუსტური ადამი-ანის“ გონების მოუსვენრობაა უკუფენილი ევროპის სოცი-ალური და კულტურული ცხოვრების აქტიურ-დინამიურ ხა-სიათში, ინტენსიურ შემოქმედებაში, შრომაში, რომელმაც სინამდვილეს გონების მოთხოვნების შესატყვისი თვისებრი-ობა და სახე უნდა მიანიჭოს.

იღია ჭავჭავაძე როგორც რაციონალისტი და განმანათ-ლებელი თავისი სატირის ძირეულ თემად უგუნურებას ირ-ჩევს და თავისი გმირების სამარცხვინო დაცემულობის პირ-ველმიზეზს უგუნურებაში ხედავს. „კაცია-ადამიანის?!“ პერ-სონაჟებისთვის უპირველესად სწორედ გონების სიზანტეა ნიშანდობლივი და მათი ფიზიკური ინერტულობა, მძიმე და უმოძრაო მატერიალურობა მათივე გონებრივი უძრაობის მხატვრული განსხეულებაც არის. თათქარიძეების მთელი არსებობა სრულიად არარაციონალურია და, ავტორის თვალთახედვით, პირველ რიგში ამით არის დამალონებლად კომიკური. მოთხოვნის გმირები თითქოს ბურანში, მთვლე-მარებაში არიან ჩაფლული. მათ მოშლილი აქვთ კავშირი რე-ალურ, ცოცხალ სინამდვილესთან, არ გააჩნიათ მისი საღად აღქმის და გააზრების უნარი. ისინი ჩაკეტილი არიან ყალბი ტრადიციული შეხედულებების, ცრურნმენების, ილუზიების — გონებით და სინამდვილის ლოგიკით დაუდასტურებელი წარმოდგენების მოჩვენებით სამყაროში, რომელსაც ნამდვი-ლი სამყაროსგან ყრუ, სქელი კედელი მიჯნავს.

მოთხოვნის პერსონაჟების ცნობიერება „მითოსურ-პოე-ტურია“, „მაგიურია“. ამ ცნობიერებას შეიძლება ეჭვმიუტა-ნელ ჭეშმარიტებად მიაჩნდეს ზღაპრული ისტორია ხე ცნო-ბადისას ზურმუხტის ნაყოფის შესახებ, რომელიც დიდ სა-ხელმწიფოთა შორის ცილობის საგანია და ქვეყნად არევ-და-რევას იწვევს. ყმების მომავალ გათავისუფლებას ეს ცნობიე-რება იმით ხსნის, რომ მზეს გველეშაპი შემოეხვია, რადგან ადამიანების ცოდვებმა იმატა — ზოგიერთი მებატონე უღი-რსად იქცევა, ტრადიციას ღალატობს და ვაჭარივით მოგე-ბას ეძებს. საკუთარ უშვილობასაც, როგორც გვახსოვს, თათქარიძეები ზემინიერი ძალების წყრომას თუ ბოროტი

სულების ხრიკებს მიაწერენ და ამ უბედურებისგან თავდა-სახსნელად „მაგიურ“ საშუალებებს იყენებენ. სინამდვილის მოვლენებს შორის რეალური მიმართებების, მიზეზ-შედე-გობრივი კავშირების დანახვა და გაგება მათ არ შეუძლიათ და სრულიად არაიდუმალი ამბები „ჯადოსნურ-მისტიკუ-რად“ აიხსნება. ამგვარი არარაციონალური აზროვნების ნი-მუშია, ვთქვათ, ლუარსაბის მიერ ბატონყმობის გამართლე-ბაც ღვთის ნებაზე მითითებით და იმ უტყუარი საბუთით, რომ ადამიანის ხელის თითებიც კი ღმერთმა არათანაბარი ზომის შექმნა.

მოთხოვთ კომიზმს ხშირად ბადებს პერსონაჟების აზ-როვნების ალოგიკურობა, მათ მიერ გამომჟღავნებული ლო-გიკური დასაბუთების უუნარობა, მათი „აზრების“ და ამ „აზრების“ დასამტკიცებულად მოშველიებული „ფაქტების“, „არგუმენტების“ შეუსატყვისობა. ამის კლასიკური მაგალი-თია ცნობილი „ბუზების ეპიზოდი“, სადაც სინამდვილის ელემენტარული ლოგიკის ვერგაგებაა გამასხრებული. ასევე ცნობილ პასაჟში, რომელიც კულინარიის საკითხებზე კა-მათს ეძღვნება, გამჭვირვალეა არამხოლოდ თათქარიძეთა ინტერესების სიმდაბლე, არამედ აგრეთვე ცნობიერების გარკვეული, არარაციონალური წყობა, კამათის საგნის არ-ჩევაშივე რომ ვლინდება — არ შეიძლება იმის ლოგიკური არგუმენტირება, თუ რომელი კერძია „კერძების მეფე“, ან რომელი თევზი — „თევზების მეფე“, ეს „პოეტურ-პირობი-თი“ წარმოდგენების სფეროა. ამიტომ „არგუმენტად“ გვე-ლინება გმირების ჭირვეული სუბიექტივიზმი, რომელსაც ჯიუტად არ სურს უკან დახევა.

ეს გამამხიარულებელი ვითარება არც ისე მხიარული დასკვნების გამოტანისკენ გვიბიძგებს. რაციონალური აზ-როვნება გულისხმობს სინამდვილის კანონების და ობიექტუ-რი წყობის ადეკვატურ აღქმას, მოითხოვს ადამიანის არსე-ბობის რეალობასთან შეთანადებას, იგი სუბიექტს გარკვეულ საზღვრებს უწესებს. ხოლო რაციონალური აზროვნების გა-ნუვითარებლობა რეალისტური აღქმის სისუსტეს მოასწა-ვებს და ინფანტილურად უინიან სუბიექტივიზმს გასაქანი ეძლევა. გონების უმოქმედობა და სიღატაკე, გონების კონტ-როლის არარსებობა აადვილებს ქვენა გრძნობების და ვნე-

ბების, მოქიშპეობის, ჯიბრის, შურის გალალებას, როგორც ეს თათქარიძეების ცხოვრებაშია.

„კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟთა ცნობიერებაში გაბატონებულ ცრურწმენებს შორის განათლების და ცოდნის — სისტემატური გონებრივი აქტივობის შიშნარევი ათვალწუნებაც არის. ასევე ჩლუნგი ათვალწუნებით უყურებენ ისინი შრომას. მოთხოვობის პერსონაჟებს ჩვევიათ წარსულის განუსჯელი იდეალიზაცია, რომელიც მუდავნდება, მაგალითად, ასეთ აბსურდში — ადრინდელი დრო იმით ჯობს ან-მყოს, რომ მაშინ საძრახის საქმეებს უკეთესად აჩუმათებდნენ. ყველაფერი, რაც ახალ ცივილიზაციასთან არის დაკავშირებული, მათ „მაგიურ“ და კონსერვატულ ცნობიერებას სახიფათო ჯადოქრობად, ეშმაკის მანქანებად წარმოესახება (ასე აღიქვამენ ქალაქის ცხოვრებას). ცნობისწადილი, რაიმე სიახლის გააზრების მოთხოვნილება ამ დახშულ ცნობიერებაში არ იძვრის.

თათქარიძეების არსებობის ერთ-ერთი ბურჯია ცრურწმენა, რომ უხეში ძალადობა აუცილებელია წესრიგისთვის — ამაზე მეტყველებს კოლორიტული ეპიზოდი, სადაც უგუნური ეგზეკუცია — ყმების დაწიოკებაა აღნერილი, აგრეთვე ლუარსაბის და დარეჯანის გაუხუნარი შეგონებანი იმის თაობაზე, რომ ყმები მუდამ შიშში უნდა ამყოფო, თორემ თავს გაუვათ... ერთი მოაზროვნის მტკიცებით, ძალადობის აბსოლუტური ეფექტურიანობის ურყევი აღიარება, ადამიანზე გონივრული, დამარწმუნებელი სიტყვით ზემოქმედების ნაცვლად ძალადიბისთვის უპირატესობის მინიჭებაც იყო აღმოსავლური სამყაროს ჩამორჩენის, გახევების მიზეზი. და თათქარიძეებიც ხომ არსებითად აღმოსავლელები, აზიელები არიან...

არაადეკვატურია, ილუზორულია მოთხოვობის მთავარი პერსონაჟების წარმოდგენა საკუთარ თავზე: როგორც ვერ ხედავენ რეალობას, ასევე ვერ ხედავენ თავისთავს რეალობაში. მათი დაბინდული, ბურუსში ჩაძირული გონება უძლურია რეალისტურად აღიქვას და განსაჯოს მათივე რაობა, შესაძლებლობები და ამის შედეგად თავს იჩენს კომიკურად გადაჭარბებული თვითშეფასებანი, თავმომწონეობა, რაც უზომო კვეხნაში და ქადილში გამოიხატება. ისინი ამჟღავნებენ განსაკუთრებულ „ნიჭს“ შეიქმნან, განიმტკიცონ და

შეინარჩუნონ ილუზიები, ყველაფერი წარმოიდგინონ ისე, როგორც მათვისაა ხელსაყრელი — საკმარისია მოვიგონოთ უშვილობით ალძრული პერიპეტიია და მისი დამაგვირგვინებელი ილუზორული გამარჯვება, რომლის აღსანიშნავადაც ხალისიანი დღესასწაული ეწყობა. მათზე დამატყვევებლად მოქმედებს ქეპა და პირფერობა, რადგან ეს ტკბილი ილუზიების შენარჩუნებაში ეხმარებათ და ადვილად მოსატყუებლები არიან, იმიტომ, რომ ადამიანი ყველაზე მეტად იმ ტყუილს იჯერებს, რომელიც მის თავისმოორგულების სურვილს თანხვდება.

გონიერებით არც მოთხრობის დანარჩენი პერსონაჟები გამოირჩევიან, თუმცა ზოგიერთ მათგანს აქვს პატარა ეშმაკური ჭკუა, რომელიც მხოლოდ სხვების გაბრიყვების და რაღაცის გამორჩენის უნარში ვლინდება.

თათქარიძეების ცნობიერების წყობას ილია ჭავჭავაძე გვიანდელი, უკვე გამოფიტული ფეოდალიზმის სოციალურ სტრუქტურასთან აკავშირებს, მის მახინჯ ნაყოფად წარმოგვიდგენს. მაგრამ თათქარიძეთა სახეები სოციალურ შინაარსთან ერთად გარკვეული ეპოქის ქართული მენტალობის მომცველია, რასაც მოთხრობის ავტორი თვითონ გვანიშნებს.

ილიას მიერ შექმნილ სატირულ სახეებს მნიშვნელოვნებას და სიცოცხლის ხანგრძლივობას უხინარესად სწორედ მათში გამოხატული მენტალობის ბუნება ანიჭებს. თათქარიძეების ყოფითი ცხოვრების წესის და ემპირიული ხასიათის ზოგიერთი ნიშანი შედარებით იოლი შესაცვლელი (თუ შესანიღბავი) აღმოჩნდა, მათი ცნობიერების გვიანთეოდალური წყობა კი უფრო გამძლე გამოდგა და მნიშვნელოვანილად ჯერაც დაურღვეველია.

ამის მთავარი მიზეზი ასე იკვეთება — ილია ჭავჭავაძის მიერ ენერგიულად წამოწყებული განმანათლებლური სულიერი რევოლუციის გაგრძელებას და გაღრმავებას, კაპიტალისტური ეკონომიკის და სოციალური ურთიერთობების განვითარების პარალელურად, უნდა მოყოლოდა ქართული ცნობიერების რაციონალიზაცია, მაგრამ იგი ჩაახშო მარქსისტულმა მოჩვენებითმა რაციონალიზმა, სინამდვილეში კვლავინდებურად „მითოლოგიამ“, „მაგიამ“. ის აღზრდის და ამკვიდრებს ცნობიერებას, რომელიც არ არის ორიენტირე-

ბული სამყაროს ადეკვატურ აღქმა-გაგებაზე და არ წყალობს რაციონალური აზროვნების ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა სიცხადე, რეალიზმი, მიზანმიმართულობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა, კრიტიკულობა... ასეთი კრიტერიუმებით აღჭურვილი ცნობიერება ხელალებით, მყარი საფუძვლის გარეშე არაფერს ირწმუნებს ან უარყოფს.

რაციონალიზმსაც ახლავს გარკვეული საფრთხე: ის შეიძლება მოწყდეს ცოცხალ სინამდვილეს და გაუჩნდეს ყოვლისშემძლეობის პრეტენზია; იქცეს სქემატურ დოქტრინორობად, რეალობისგან განყენებულ უტოპიზმად, ან დაცილდეს ჰუმანიზმს და გამუდავნდეს როგორც ემოციური სილარიბე და სიმშრალე, უსულგულო პრაგმატიზმი, სინამდვილის და ადამიანისადმი მომზმარებლური დამოკიდებულება... მაგრამ ყოველივე ეს სხვა მსჯელობის თემაა. ამჟამად სხვა ყველაფერზე მეტად სწორედ ჩვენი ნაკლებად რაციონალური ცნობიერება გველობება წინ, გვიძნელებს დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს შექმნას, რამდენადაც დასავლური დემოკრატიის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი ნანამდლვარი სწორედ დასავლური რაციონალიზმი იყო, ხოლო ახლა მისი სიმკვიდრის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია.

რაციონალიზმი არ ცნობს აპრიორულ, გონებით და ცდით შეუმოწმებელ ჭეშმარიტებებს, რომელთა წვდომის და ფლობის მონაპოლიის დაწესება და მითვისება ავტორიტარული მმართველობის მიერ ნარმოადგენს მის იდეოლოგიურ სამაგრს; იგი გულისხმობს სინამდვილის შემეცნებითი ათვისების პროცესის უსასრულობას, რაც არსებობის უფლებას ანიჭებს აზროვნების პლურალიზმს, აღვივებს შემწყნარებლობას; ის იქცევა საზოგადოებრივი ცხოვრების ოპტიმალური მოწყობის საწინდრად, რამდენადაც სინამდვილის რაციონალური დაუფლება მოითხოვს გონების პრინციპების — ჭეშმარიტების, სამართლიანობის, ადამიანის (როგორც გონიერი არსების) თავისუფლების და ბედნიერების — ხორცშესხმას და საზოგადოების შესაბამის ორგანიზებასაც; სინამდვილისადმი რაციონალური მიმართება შესაძლებელს ხდის ინდივიდთა ინტერესების ურთიერთშეხამებას, გონივრული თვითშეზღუდვის წყალობით თვითეული ინდივიდის თავისუფლების თანაარსებობას სხვების თავისუფლებასთან.

თავისუფალი საზოგადოების ყველაზე მტკიცე საყრდენია რაციონალური, თავისუფალი შრომა, რომელიც ხელს უწყობს შესაფერისი სულიერი წყობის მქონე ადამიანის ჩამოყალიბებას.

ილია ჭავჭავაძე ეძიებდა ასეთი ტიპის ადამიანს ქართულ სინამდვილეში, მან იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო იგი. „ოთარაანთ ქვრივის“ გმირებში ვხედავთ მის იდეალურ ნიმუშს, რომელიც მეტნაკლები მხატვრული სრულფასოვნებით არის რეალიზებული (ქვრივის სახე გაცილებით უფრო სისხლსავსეა, ვიდრე გიორგის სახე). ამ გმირების ყოფიერების საძირკველი შრომაა, პირად საკუთრებაზე დამყარებული თავისუფალი, რაციონალური შრომა. ადამიანების შეფასების მთავარი და უძელავათო საზომიც მათთვის კეთილსინდისიერი შრომის, ნაყოფიერი აქტივობის უნარია. შრომას ეფუძნება მათი შინაგანი დამოუკიდებლობა, ღირსების გამახვილებული გრძნობა და სამართლიანობის მძაფრი მოთხოვნილება, თავისი ადამიანური უფლებების დაცვის შემძლეობა, აგრეთვე სხვათა კერძო საკუთრებისადმი პატივისცემა და მოქალაქეობრივი შეგნება.

მოთხოვნის მთავარი პერსონაჟები, უპირველესად ოთარაანთ ქვრივი, არსებითად იმავე ეთიკის განმახორციელებლები არიან, რომელსაც მაქს ვებერი „პროტესტანტულ შრომის ეთიკას“ უწოდებს და „კაპიტალიზმის სულის“ გაჩენის და დამკვიდრების მძლავრ ფაქტორად მიიჩნევს. იგი მოითხოვს მეთოდურ სიბეჯითეს, ყაირათიანობას, სიფხიზლეს, ყოფაცხოვრების და მეურნეობის გონივრულ რეგლამენტირებას, ორგანიზებას. ვფიქრობთ, საჭირო არ არის მოთხოვნის შესაბამისი მონაკვეთების ვრცლად განხილვა იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად დამახასიათებელია ნაწარმოების გმირებისთვის ამგვარი ეთიკა (ნიშანდობლივია თუნდაც ის, როგორ გეგმაზომიერად ანანილებს ქვრივი თავის შემოსავალს). ოღონდ მათ თვისებებს არ განეკუთვნება ისეთი ბურუჟუაზიული მანკიერება, როგორიც ხელმოჭერილობაა. ოთარაანთ ქვრივს მწერალი ქრისტიანული ქველმოქმედების სათხოებითაც აჯილდოებს, რომელსაც ის გარეგნული სიუხშით ავლენს, რათა მოწყალების მიმღებს ღირსების გრძნობა და დამოუკიდებელი არსებობის მოთხოვნილება გაუღვივოს.

ვებერი პროტესტანტული შრომის ეთიკის რეალიზებას განსაზღვრავს როგორც „საერო ასკეტიზმს“. ილიას გმირიც ჰირქუში პურიტანი ქალია, ცხოვრების სიმძიმესთან ბრძოლაში და ტანჯვის მოთმენაში ასკეტივით გამკაცრებული, თავისი გრძნობების და სურვილების ასკეტური სიმტკიცით დამაურვებელი.

ეს მორწმუნე ადამიანი, თათქარიძებისგან განსხვავებით, ფატალისტურ პასიურობას მკვეთრად უარყოფს და იმედს პირველ რიგში საკუთარ გონებაზე და ქმედებაზე ამყარებს. ფხიზელი და ბასრი გონიერება, სრული რეალიზმი, სიმართლის, თუნდაც სასტიკი სიმართლის დანახვის წადილი და უნარი მეგზურობს მას ცხოვრებაში. მისი ცნობიერება რაციონალურია — ილუზიებით, ცრურწმენებით შეუბორეკავი, ცხადი აზრის და მიზნის გამომკვეთი, მყარი ლოგიკის მიმყოლი, კრიტიკული და თავისთავადი. ილიას გმირს აღიზიანებს ყოველივე, რაც გონებას ადუნებს და სინათლეს აკლებს. თვითონ ილიასაც ხომ განსაკუთრებით გონების ძილი აღიზიანებდა.

რაციონალური, გონებას დანდობილი ცნობიერების ფორმირება რაციონალური და თავისუფალი შრომის საფუძველზე, ავტონომიური პიროვნების გონივრული აქტივობა ისახება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქვეყნის აღორძინების და განვითარების პირობად. ამგვარ თვალსაზრისს უკეთესი ალტერნატივა ახლაც ისევე არა აქვს, როგორც ილიას დროს არ ჰქონდა.

1992

გზაჯვარედინზე

ახალი ქართული, რეალისტური პროზის ერთ-ერთი პირველი ნიმუში „მგზავრის წერილები“ ამავე დროს ქართული ლირიკული პროზის ერთ-ერთი პირველი ნიმუშიც არის. ამ ნაწარმოების ცენტრალური ფიგურა ავტორია, უფრო ზუსტად კი, ლირიკული გმირია, რომლის შთაბეჭდილებები, განცდები, ფიქრები გაივლის ჩვენს თვალწინ და ნაწარმოების მხატვრულ ორგანიზმს ქმნის. წარმოგვიდგება პიროვნების სულიერი სამყაროს დინამიური და დაძაბული სურათი. ცოცხალი ემოციურობა, მღელვარება, შეიძლება ითქვას, დრამატიზმი მსჯვალავს „მგზავრის წერილებს“. იგი არ დაიყვანება ილია ჭავჭავაძის მწერლური თუ მოქალაქეობრივი პოზიციის ერთმნიშვნელოვან ფორმულირებებზე. არანაკლებ საყურადღებოა სუბიექტური, ინტიმური განცდა და აზრი, რომლიდანაც ეს ფორმულირებებია აღმოცენებული და რომელიც შესულია კიდეც მათ შედგენილობაში.

ზოგად მნიშვნელობასთან ერთად სუბიექტურ-პიროვნულ შინაარსს ვპოვებთ თერგის და მყინვარის, დღის და ღამის სახე-სიმბოლოებში.

„მგზავრის წერილების“ ლირიკული გმირი გზაჯვარედინზეა, არსებითი არჩევანის წინაშეა. ცხოვრების და შემოქმედების ორ ტიპს, ორ შესაძლებლობას, რომელთა შორისაც მან არჩევანი უნდა გააკეთოს, უპირველეს ყოვლისა თერგი და მყინვარი განასახიერებს. ორი პოზიცია აბსტრაქტულად კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, აბსტრაქტულად კი არ ხდება ერთის უარყოფა და მეორის ჭეშმარიტების აღიარება, არამედ — ლირიკული გმირის გულში და გონებაში. მართალია, მისი სიმპათია მკვეთრად არის გადახრილი ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის მხარეს, მაგრამ არჩევანის აქტი გარკვეული სიძნელისგანაც არ არის დაზღვეული.

დავაკვირდეთ ამ პასაჟს: „დალამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაუინებით ყურაცევეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზეხელალებული დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი

თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვერდნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოქს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის გაცემა“.

თერგი აქ ახლებურად წარმოდგება, მოულოდნელად სახეს იცვლის — დლისით ეს სახე გმირულია. „დალოცა ლმერთმა ისევ თავზედ ხელალებული, გიუი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მლვრიე თერგი. შავი კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი“. სხვაგან ლირიკული გმირი ასე მიმართავს თერგს: „შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ლრესთან, თითქოს შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისხმოა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია“. მიმზიდველია, შთამაგონებელია თერგის ჰეროიკული იერი, თერგის როგორც ბრძოლის და დაუდგრომლობის, ენერგიული მოძრაობის ხატი. მისი მშვენიერება მისი სიმძლავრე და სიმძაფრეა. ამ აქტიური არსებობისგან განუყოფელია შეჭირვება. „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ლირსსაცნობი სახეც არის: მის მლვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა“. მაგრამ ეს შეჭირვებაც ჰეროიკულია, იგი თერგის ამაყი და ძლიერი ხმაურით, „დრტვინვით“ არის გამჟღავნებული.

ღამით კი თერგის ჰეროიკა ქრება და მას ელეგიურობა ენაცვლება. დლისით მებრძოლი და მეამბოხე თერგი ღამით ჩივის იმ მოუსვენრობის, შფოთვის გამო, რომელიც მისი ხვედრია. ჩივილი ტკივილისგან დაღლის, თავისებური სისუსტის გამოვლენაა. ასე გამოხატული ტკივილი უფრო გაშიშვლებული და ხელშესახებია, ვიდრე ჰეროიკული ტანჯვა. ტკივილს, რომელიც თერგის „დაუჩუმარმა ჩივილმა“ გაამხილა, ჩამოცლილი აქვს ეფექტური ფორმა, სანახაობრიობა. სამაგიეროდ თერგის ღამეული ხმა თავისი ლირიკული

სიწრფელით და აღსარებითობით სრულად და შეუფერავად ავლენს ტკივილის მთელ სიღრმეს, სიმწარეს.

თერგის ჩივილს და ლირიკული გმირის ფიქრებს შორის თანხმობა ნიშნავს, რომ ეს გმირი გამახვილებულად გრძნობს მისთვის სასურველი და თერგით განსახიერებული აქტიური ცხოვრების სიმძიმეს და მტკივნეულობას. მდინარის ჩივილი მას მისი მომავალი არსებობის სიძნელეს უმუდავნებს. ილიას ლირიკულ გმირს უჩინდება განწყობა, წინათგრძნობა, რომელსაც ახლავს მღელვარება, სისუსტე, შიში. რას მოასწავებს ასეთი განწყობა, მომავალში გაირკვევა. „გული მიტოკს და მკლავი მითრთის, რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის გაცემა“.

დრომ მართლაც გასცა ამ კითხვას სასტიკი პასუხი...

მაგრამ ასეთი ფიქრების და განცდების მიუხედავად ლირიკული გმირის მისწრაფება აქტიური ცხოვრებისკენ უცვლელია და ეს მისწრაფება ახლა უფრო ფასეულია — ლირიკულ გმირს უკეთესად აქვს გაცნობიერებული, რის არჩევას აპირებს და მაინც ამ მშფოთვარე, ტკივილიან ყოფნას ამჯობინებს, რომლის სახე-სიმბოლოდაც თერგის გვერდით დღეც გვევლინება. „მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა“. მაგრამ შემდეგ შიში, ეჭვი კვლავ ჩნდება. „შევსხედით ცხენებზე და წამოვედით სტეფანებინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი როგორლაც დიდკაცურად იბლვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამინუო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივისცემით გამოვთხოვე მის ფეხთა ქვეშ გაგიჟებით მავალს თერგსა“.

როგორც ვხედავთ, ლირიკულ გმირს იგივე შიში და უღონბა, მღელვარება მოიცავს, რომელმაც თერგის ჩივილის მოსმენისას შეიძყრო. ფსიქოლოგიური მდგომარეობის იგივეობას მონაბეჭდს მისი გამომხატველი ფრაზის გამორებას: „გული მიტოკავს და მკლავი მითრთის“ — „გულმა კვლავ ტოკვა დამინუო და მკლავმა თრთოლა“. მღელვარება იმით არის გამოწვეული, რომ მყინვარი კიდევ ერთხელ შეახსენებს ილიას ლირიკულ გმირს ცხოვრების საკმაოდ მომხიბლავ

წესს, რომელიც გულისხმობს სოციალური ყოფის ტკივილების და საზრუნავისგან, საჭირბოროტო პრობლემებისგან გარიდებას, ყოველდღიურობისგან განცენებას, მარადიულობაზე და არა კონკრეტულ დროზე ორიენტირებას. აქტიური ცხოვრებისადმი ღამით განცდილმა შიშმა, როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაიარა და ამიტომ მყინვარის მიზიდულობის ძალისთვის წინააღმდეგობის განევა ახლა უფრო ძნელია. აი, რამ „აურია“ გონიერი „მგზავრის წერილების“ გმირს. მას კვლავ ეძალება შიში იმისადმი, რაც მყინვარივით ამაღლებული და განცენებული არსებობის ანტითეზაა — მშფოთვარე საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. მაგრამ ორჭოფობას და სისუსტეს ნებისყოფა ახშობს და უკვე საბოლოოდ, გადაჭრით ხორციელდება არჩევანი იმის სასარგებლოდ, რასაც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს.

მყინვარს თავისი მიმზიდველობა აქვს „მგზავრის წერილების“ ლირიკული გმირისთვის. თერგის და მყინვარის დაპირისპირება არც ისე მარტივი და სწორხაზოვანია, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება. ეს არ არის უსულო რიტორიკული ფიგურა. ამ სახე-სიმბოლოებით ზოგადი პრინციპების გარდა გამოხატულია ადამიანური არჩევანის აქტი, რომელიც მოკლებული არ არის ტკივილს. ეს სავსებით ბუნებრივია — ილიას ლირიკული გმირი სიტყვებით კი არ თამაშობს, არამედ საკუთარ მომავალს განსაზღვრავს, საკუთარ ბედს წყვეტს. საზოგადოებრივი ცხოვრებისგან განდგომა თუ მასში აქტიური მონააწილეობა ილიას პიროვნული დილემაა. „მგზავრის წერილებში“ გადაწყვეტილი ეს დილემა უფრო საფუძვლიანად „განდეგილში“ წყდება.

ილია ჭავჭავაძის სულიერი სიძლიერის, მისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოზიციის სიმყარის საწინდარი ის კი არ არის, რომ მისთვის უცხოა ეჭვი, არამედ ის, რომ იგი ეჭვებს და ორჭოფობას ნებისყოფის სიმტკიცით, რწმენით და აზრის სინათლით იგერიებს.

* * *

„მგზავრის წერილების“ ლირიკული გმირისთვის თერგის ჩივილის გაგონება უცნაური მოვლენაა, ბუნების და ადამიანის იშვიათი, განსაკუთრებული კონტაქტის შედეგია. კიდევ გადავიკითხოთ ეს სტრიქონები: „არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტობისა, როცა ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰო, ორფეხა ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვერძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა“.

ბუნების და ადამიანის ასეთი სულიერი ურთიერთკავშირის იდეა რომანტიკული მსოფლმხედველობის კუთვნილებაა. მის საფუძველს შეადგენს ბუნების როგორც სულით და აზრით ალსაგეს ცოცხალი მთლიანობის აღქმა. ასე აღიქვამდა ბუნებას, მაგალითად, ბარათაშვილი: „მრნამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“. რომანტიკოსები თვლიან, რომ ბუნების სულის წვდომა, მისი მეტყველების მოსმენა და გაგება, მასთან შინაგანი დიალოგი და ურთიერთგანდობა შესაძლებელია. ბუნება მათი მესაიდუმლეა, აქ ეგულებათ ის, რის პოვნაც ადამიანებში უჭირთ — უტყუარი ჭეშმარიტება, ნამდვილი სულიერი თანაზიარობა, თავისი ფიქრების და გრძნობების გამოძახილი. „ბუნებაში ყველაფერი სულს ენათესავება და სულის თანხმიერია, ის ყველა სიმღერას პასუხს აძლევს, ის ექოა და ხშირად პირველი იწყებს იმის მღერას, რასაც მე ვფიქრობ...“ — ამბობს, მაგალითად, ერთი რომანტიკოსი მწერალი...

ასეთი თვალსაზრისი გასაგებს ხდის, რატომ არის ბუნება რომანტიკული გმირის თავშესაფარი: იგი ბუნებაში აღარ არის მარტო, იგი განმარტოებულია. თუ მარტოობა მძიმე და უსიამოვნოა, განმარტოება, პირიქით, სასურველი მდგომარეობაა, შინაგანად სავსე და ნაყოფიერი. ბუნების მეოხებით მარტოობა განმარტოებად გარდაიქმნება.

ილიას ლირიკული გმირიც ბუნებასთან „იდუმალი კავშირით“, „თანხმობით“ მარტოობისგან თავისუფლდება, თანამ-

გრძნობელს და თანამოაზრეს პოულობს, ეს კი ტიპიური რომანტიკული სიტუაციაა.

მას ახლავს რომანტიზმის ისეთი ნიშანდობლივი ატრი-ბუტიც, როგორიც ღამის სახეა.

„ღამის სახეს რომანტიკულ ხელოვნებაში ორგვარი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, ღამე არის ყოფიერების პირქუში ხასიათის სიმბოლო. მისი სიშავე სამყაროს ბნელი კოლო-რიტის გამოხატულებაა. მდაბალი და ცივი სამყარო თითქოს წყვდიადით არის დაფარული. ღამე გამოუვალი, პესიმის-ტური განცდების თანხმიერია. ღამეული პეიზაჟის ფონზე ტრიალდება საშინელებები, ადამიანების ცხოვრებაში ერევი-ან შემზარავი იმქვეყნიური ძალები, ხდება კოშმარული დანა-შაულობები, იღვიძებს უსუფთაო სინდისის ქენჯნა... მეორე მხრივ, დღის უსახურ ცხოვრებას ღამეში გაურბიან. ღამე ახდენს სამყაროს წინააღმდეგობების უალირებას, უკარი ჰარმონია შეაქვს სამყაროში. ღამით აეხდება ცხოვრებას საბურველი, რომელიც ჭეშმარიტებას გვიმალავს, ქრება თვალისმომჭრელი სინათლე, სამყაროს ნამდვილი არსი კი თავისი სიშიშვლით ნარმოვიდგება. ადამიანის სული ინტი-მურად ეხება ქვეყნიერების სულიერ არსს, მასში ცოცხლ-დება და იღვიძებს დღის ზედაპირული ცხოვრების მიერ ჩაკ-ლული გრძნობები“ (ვ. ვანსლოვი, რომანტიზმის ესთეტიკა).

ამ შეხედულების საილუსტრაციოდ რომანტიკული პოე-ზის ორიოდე ქრესტომათიული ნიმუში გავიხსენოთ. თავის ერთ ლექსში ღამეული ჰარმონიის ასეთ სურათს ქმნის ლერ-მონტოვი: „Выхожу одни я на дорогу, Сквозь туман кремнистый путь блестит. Ночь тиха. Пустыня внемлет Богу... И звезда с звездою говорит“.

სამყაროს ღვთაებრივი წესრიგი, რომელიც დღისით უჩი-ნარია, ღამით თვალსაჩინო ხდება. მართლაც, „ადამიანის სუ-ლი ინტიმურად ეხება ქვეყნიერების სულიერ არსს“. მის წინაშეა არა მკვდარი და უტყვი მატერია, არამედ გონით და მეტყველებით დაჯილდოებული ქმნილება.

ღამის საშინელი სახე კი შეგვიძლია დავინახოთ, ვთქვათ, ტიუტჩევის ლექსში „დღე და ღამე“. „И бездна нам обнажена С своими страхами и мглами, И нет преград меж ей и нами – Вот почему нам ночь страшна!“.

დამე სამყაროს გონებით მიუწვდომელ, ირაციონალურ სიღრმეებს აშიშვლებს და ამ გაუგებარი უძირობის პირისპირ ადამიანს უზომო შიში იპყრობს.

ილიასეულ დამის სახეში ამ ფენომენის ორივენაირი რომანტიკული გააზრებაა შეთავსებული. იგი ჰარმონიულიც არის და საშინელიც. გარეგნულად აქ ჰარმონია სუფეს — ადამიანი უახლოვდება ბუნებას, რაღაც იდუმალი ძალით მის ენას იგებს, მის სულს წვდება; მარტოობა გადალახულია. ამიტომ სახის ზედაპირი მთლიანობაში საკმაოდ წყნარია, მაგრამ მის მიღმა დამეული შთაბეჭდილებებით აღძრული შიშია მიმალული.

ილია ერთიანად უარყოფს ყოველივე ამას, უარყოფს რომანტიკულ მსოფლებას და ესთეტიკას.

უარყოფის მთავარი სამიზნე, რასაკვირველია, დამის შიშმომგვრელი ირაციონალურობა და იდუმალებაა — განზოგადდება ლირიკული გმირის მიერ ღამით განცდილი შიში, მისი საკუთარი სულიერი გამოცდილება. „ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თავისი ვერ უპოვნია, — და აპა, იბრძის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურებისა“. რომანტიკულ მსოფლებაგებასთან კამათში მკვიდრდება რაციონალისტური, გონების ძალის რწმენაზე დაშენებული მსოფლმხედველობა. გონებამ თავი უნდა დააღწიოს შიშს გარემომცველი სამყაროს წინაშე და თავისი შესაძლებლობები განახორციელოს, ადამიანის ცხოვრების გეზისმიმცემად იქცეს — ასეთია ღამისადმი მიმართული ინვექტივის გამჭვირვალე შინაგანი აზრი. სწორედ ეს აზრი განასხვავებს ღამის სახის ილიასეულ ინტერპრეტაციას იმ რომანტიკული თვალსაზრისის-გან, რომლის მიხედვითაც ღამე სამყაროს ნამდვილი ბუნების — ბნელი ირაციონალურობის ანარეკლია და ამიტომ მისი საშინელების ძლევა შეუძლებელია, მას მხოლოდ განიცდიან და ჭვრეტენ. ილიასთვის კი ღამის საშინელებას არა აქვს სუბსტანცია, იგი შეიძლება გაქრეს და უნდა გაქრეს კი-

დეც. ეს მოხდება თუ არა, იმაზეა დამოკიდებული, დანებდება თუ მოერევა შიშს გონება. ილია თითქოს მეცნიერულად განმარტავს ღამის ფენომენს, მის რაობას და „ქვეყნის უბედურების მიზეზს“ ადგენს — რაციონალისტურია არამარტო ილიას ზოგადი პოზიცია, არამედ აზროვნების წესიც.

ღამის სახეს თანდათან შორდება ყოველგვარი რომანტიკული ირაციონალიზმი, მეტაფიზიკური განზომილება, ის რეალისტური შინაარსით ივსება. „ჰო, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედველი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად?“. ილიას განმანათლებლური შეხედულებით, გონების დათრგუნულობა, უმეცრება ტირანების მოკავშირეა, მათი ბატონობის განმამტკიცებელია. ადამიანს ემუქრებიან არა იდუმალი, არამედ სავსებით რეალური სოციალური ძალები და ღამე მათ სიმბოლურად გამოხატავს.

ამასთანავე ირლვევა ღამის რომანტიკული ჰარმონიაც, ღამეული სიმშვიდე და მყუდროება, ზმანებები გაფანტულია. „ნარილეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა...“. ეს გასაგებიც არის, „მშვიდობიანობა“ ხომ მოჩვენებითი და ზედაპირულია, საშინელების შემნიღბველი. დაშინებული გონების უმნეობა სამყაროს ნინაშე ბადებს ილუზიებს და ილია უარყოფს ღამეს როგორც ილუზიების მშობელს. „შენ (ღამე) ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალ გონებასა უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე“. ყველაფერს, რაც სინამდვილეს გვაშორებს, რაც მას იდეალიზებულად ნარმოგვიდგენს, არსებობის უფლება ერთმევა. სინამდვილის მკაცრად რეალისტური ხედვა, ილუზიებისგან თავისუფლება ილიასთვის ერთადერთი სწორი პოზიციაა. ეს პოზიცია „მგზავრის წერილების“ დასანყისშივე იკვეთება, სადაც მწერალი ირონიულად შენიშნავს: „ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი იმას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა... იმის-თვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშ-

ლის... ოჭ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასია-მოვნო ხარ: ხანდახან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერა ვწედავთ“. ცხადია, „მართლჭვრეტას“ ღამეული ილუზიებიც ვერაფრით დაეხმარება.

ირაციონალიზმთან და იდუმალებასთან ერთად ილია ემიჯნება რომანტიკულ ინდივიდუალიზმს. როგორც დავინა-ხეთ, მის ლირიკულ გმირს ბუნებასთან იდუმალმა სიახლო-ვემ მარტოობა შეუვსო, მარტოობა სულიერად სავსე გან-მარტოებით შეუცვალა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ილუზია, სრულიად არასაკმარისი და არადამაკმაყოფილე-ბელია. „დაღამდა, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორქმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლი-ლის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაი-ძინა, ადამიანი აღარა ჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!“. ღამე ინტიმური ცხოვრების, საკუთარ თავში ჩაღრმავების, მარტოობის თუ განმარტო-ების დროა, როდესაც ადამიანი მოწყვეტილია სოციუმს. ამ დროს იგი ჭვრეტას ეძლევა, უშუალოდ და ფაქიზად უკავ-შირდება სამყაროს და თავისი თავის არსს. ამიტომ ღამით რომანტიკული ინდივიდუალიზმი გასაქანს პოულობს.

ილია უარს ამბობს განმარტოებაზე სოციალური ცხოვ-რების სასარგებლოდ. იგი უარს ამბობს აგრეთვე პასიურ რომანტიკულ მჭვრეტელობაზე აქტიური მოქმედების სასარგებლოდ.

რომანტიზმთან ილიას დაპირისპირების სიმკვეთრეს ცხადყოფს ასეთი კონტრასტიც.

„ნუთუ დილა გარდაუვალია?“ — შეშფოთებით კითხუ-ლობს ნოვალისი „ჰიმნებში ღამისადმი“. მაგრამ სწორედ ის, რაც რომანტიკოსს აშფოთებს, ილიასთვის დამაიმედებელია. „დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომ-ლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე“. „ჰიმნებში ღამისადმი“ ნათქვამია: „ვინც იგემა დაფარული, ვინც იდგა მსოფლიოს უმაღლეს, სასაზღვრო მწვერვალზე და ჩაიხდა დაბლა, შეუცნობელ სიღრმეში, ღამის საბუდარში, ჭეშმა-რიტად, იგი არ დაბრუნდება მიწიერ ორომტრიალში, ქვეყა-

ნაში, სადაც მარადიული განგაშია და ბატონობს სინათლე“. ილიას ლირიკული გმირი კი თითქოს ამ აზრის გასაბათილებლად ზურგს აქცევს „ლამის საბუდარს“ და ბრუნდება „მიწიერ ორომტრიალში“.

ილია მოსინჯავს რომანტიკულ პოზიციას, მცირე ხნით იკავებს კიდეც ამ პოზიციას, შემდეგ კი მთლიანად უარყოფს მას. რომანტიზმთან პოლემიკაში აყალიბებს იგი თავის მრწამსა. ეს არის კამათი ლიტერატურულ-კულტურულ ტრადიციასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, საქართველოშიც არსებობს. კერძოდ, ლამის ესთეტიკის გამოვლინებაა გრიგოლ ორბელიანის „სალამო გამოსალმებისა“, „ლამე“ ან ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“, თუმცა ეს პოეტებიც უპირატესობას ანიჭებენ და მძაფრად მიელტვიან სინათლეს — ქართული მხატვრული აზროვნების საერთო ტენდენცია აქაც თავს იჩენს. გრიგოლ ორბელიანი წერს: „ვითა ლამეში გზასა მავალი ჰერძნობს იდუმალად სიამოვნესა, ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი მკრთოლვარებს ზეცას ლაჟვარდოვანსა და მოასწავებს დღესა ნათელსა“. ხოლო ბარათაშვილის ლექსი, რომელშიც დაისის მთელი მშვენიერება და იდუმალებაა ნაგრძნობი, მთავრდება პარადოქსულად — ბინდის გამრღვევი სინათლის ნატვრით.

მაგრამ ლამის სახე ქართულ რომანტიზმში არის და მასში რომანტიზმის არაერთი მხარე მუღავნდება — ირაციონალიზმი, ბუნების კულტი, ინდივიდუალიზმი, ჭვრეტიობა, რაც მეტნაკლებად ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაშიც შეიმჩნევა. ამდენად იმის მიუხედავად, რომ ილია მათთან ბევრი რამით მემკვიდრეობითად არის დაკავშირებული, პოლემიკა მათკენაც არის მიმართული; მაგრამ არა უშუალოდ და არა უპირატესად — ილიას მხედველობაში უნინარეს ყოვლისა აქვს ზოგადად რომანტიზმი როგორც სპეციფიკური მსოფლგაგება და ესთეტიკური სისტემა.

რომანტიზმთან ილიას მიმართება არ არის ერთგვაროვანი, რადგან თვით რომანტიზმიც არ არის ერთგვაროვანი და ილიას მასში, ბუნებრივია, იზიდავს მაძიებელი აზრი, მეამბოხური სული, რასაც „მგზავრის წერილებში“ ბაირონი განასახიერებს. რომანტიზმის გარკვეული ტენდენციები კი ილიასთვის მიუღებელია, რადგან ისინი შეურიგებელ წინა-

აღმდეგობაშია მის სოციალურ-ეროვნულ და ესთეტიკურ პოზიციასთან.

გავა დრო და ილია ჭავჭავაძის მიერ უარყოფილი ესთეტიკა განახლებული სახით ქართულ სიმბოლიზმში გაცხადდება. გალაკტიონ ტაბიძე, რომლის პოეზიაც მნიშვნელოვანი ინიად ღამეული პოეზიაა, იტყვის: „განა შუალამეს არა აქვს თავის განუმეორებელი სილამაზე, როგორც მაგალითად მზის ამოსვლას?“; ხოლო თავის სიმბოლისტურ შემოქმედებით კრედოს ასე ჩამოაყალიბებს: „ახალ სტილში არის ბუნდოვანება და ამ ნისლში ძლივს გასარჩევად ირევიან ცრუ-მორწმუნოების სანთლები, უძილო ღამეების საშიშარი აჩრდილები, საშინელი ღამეები, სულიერი ქენჯნა, რომელიც იღვიძებს სულ მცირეოდენ ხმაურობაზე, საოცარი ოცნებები, რომლებიც გაუკვირდებოდა დღის სიცხადეს...“.

1987

ზნეობრივი დილემა

შურისძიების ისტორია, რომელიც „გლახის ნაამბობშია“ მოთხოვნდილი, ბანალური იქნებოდა, გართულებული რომ არ იყოს სერიოზული ეთიკური პრობლემების გააზრებით. ილიას ეს ნანარმოები დღემდე საინტერესოა თავისი სულიერ-მორალური კოლიზიებით და ზნეობრივი კონცეფციით, მნერლის გამახვილებული ეთიკური თვალთახედვით და მგრძნობელობით, რომელიც მასში ვლინდება.

მოთხოვნდის შინაგან, აზრობრივ დრამატიზმს განსაზღვრავს და მის იდეურ-ზნეობრივ კონცეფციას აყალიბებს მღვდლის სახის და გაბრიელის ბედის ურთიერთმიმართება. ის, რასაც მღვდელი ქადაგებს, შეიცავს გაბრიელის ცხოვრების ზნეობრივი გაგების კრიტერიუმს. თავის მხრივ გაბრიელის თავგადასავალი მღვდლის მისწრაფებების რეალობასთან შესაბამისობის გამოცდაა.

ორი მთავარი პრიციპია მღვდლის ქადაგებაში — ადამიანის ღირსება და მოყვასის თავდადებული სიყვარული. მღვდელი გაბრიელს პირველ რიგში იმას ჩააგონებს, რომ ყოველი ადამიანი ღვთის შვილია და ამდენად ღირსების მქონე და თანასწორია. თანასწორობას, თავისი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან იდეას, ილია ქრისტიანულ მრნამსზე აფუძნებს. „ყველას გულში, — ეუბნება გაბრიელს მღვდელი — ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, — ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია, ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ გვინდა, რომ პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა“. ღირსების გრძნობა, რომელსაც მღვდელი გაბრიელს უღვივებს, მის ადამიანურ ბუნებას ღრმად შეეთვისება.

ღირსების გრძნობა მოყვასის სიყვარულისგან განუყოფელია — ადამიანის ღირსების საფუძველი ის არის, რომ მას მოყვასის სიყვარულის და სამსახურის უნარი ღმერთისგან აქვს მინიჭებული. მღვდელი პირადი მაგალითით და ემოციური სიტყვის, შეგონების ძალით გაბრიელს ქრისტიანული სიყვარულის მომხიბვლელობას აზიარებს. უნდა ითქვას, რომ თუმცა მღვდლის სახეში ჭარბადაა დიდაქტიკურ-რიტორიკული ელემენტები და იგი სწორხაზოვნად იდეალიზებულია, მაინც მას აქვს მხატვრული სიმართლე, რომელსაც

უპირველეს ყოვლისა ქმნის მეტყველების წრფელი, გულითადი ტონი, მეტყველების სულიერება და სითბო...

მღვდლისგან გაპრიელი მოყვასის სიყვარულს შეითვისებს არამარტო როგორც მოვალეობას, არამედ უპირატესად როგორც ღრმა სულიერ მოთხოვნილებას. მოყვასის სიყვარული, თანაგრძნობა, სამსახური, მისთვის თავგანწირვა გაბრიელის მოწოდებად იქცევა.

ამიტომ პატიმრობიდან დახსნილი გაპრიელი ძნელი დილემის წინაშე აღმოჩნდება: ერთი მხრივ, მოყვასის ქრისტიანული სიყვარული, თანამდობა და ერთგულება, მისი ადამიანური ღირსების დაცვა, რაც ამ შემთხვევაში, გაბრიელის გაგებით, თავისი დამცირებული და განირული ახლობლებისთვის შურისძიებას გულისხმობს; მეორე მხრივ, ასევე ქრისტიანული ზნეობრივი კანონები, რომლებიც ადამიანს ადამიანის კვლას უკრძალავს და მტრის პატიებას ავალებს.

ამ დილემის გადაჭრისას გაპრიელის ცნობიერება ქრისტიანულ ზნეობას პარადოქსულად გარდატეხს და იგი უძალადობის და მიმტევებლობის ნაცვლად მოყვასის და საკუთარი ადამიანური ღირსების თუნდაც მომაკვდინებელი ძალადობით დაცვას მიიჩნევს ქრისტიანის ვალად.

მაგრამ შურისძიების შემდეგ გაპრიელს ტანჯავს ფიქრი, სწორია თუ არა მის მიერ ბოროტების ჩამდენის სიკვდილით დასჯა დავთაებრივი სამართლის თვალსაზრისით და ღვთის სამსჯავრო აშინებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ინანიებს. როგორ ვლინდება მონანიება ანალოგიურ ვითარებაში, ჩანს შილერის „ყაჩალების“ შურისმაძიებელი გმირის მიმართვაში ღმერთისადმი: „ჩემნაირ ორ ადამიანს შეეძლო სამყაროს ზნეობრივი წესრიგის მთელი შენობის დანგრევა! შეიწყალე პატარა ბიჭი, რომელმაც გადაწყვიტა დაესწრო შენი სამსჯავროსთვის! შენია შურისგება და შენ მიაგებ. შენ არ გჭირდება ადამიანის ხელი“. სინანულით შეპყრობილ ამ პერსონაჟს ახსენდება ბიბლიური ფორმულა, რომელიც შურისძიებას არა ადამიანის, არამედ ღმერთის პრეროგატივად სახავს. ხოლო ილიას გმირი თავისთავს ანიჭებს უფლებას განსაზღვროს, როგორი ადამიანის მკვლელობა არ იქნება „დიდი ცოდვა“ და ამ უფლებას ბოლომდე არ თმობს.

ეჭვის, ტანჯვის და შიშის მიუხედავად გაბრიელი მაინც მიიჩნევს, რომ მისი ქმედება მღვდლის მიერ მისთვის ნაქა-

დაგები ქრისტიანული მოძღვრების შესატყვისია. მღვდლის კითხვას, თუ რამ გარიყა და დასცა იგი, სიკვდილის წინ ის ამაყად პასუხობს: „იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისა-გან გულში გვინთია, როგორც შენ ერთხელ მიბრძანე“. მღვდლისთვის გაბრიელის ხვედრი განსაკუთრებულად მტკიცნეული უნდა იყოს, რადგან ეს ხვედრი იმაზე მეტყვე-ლებს, რომ ქრისტიანული მორალის აღზევება ბატონყმობის პირობებში იღუზია...“

ავტორის ლრმა სიმპათია და თანაგრძნობა გაბრიელი-სადმი აშკარაა, მაგრამ მისი დამოკიდებულება ნაწარმოებში წამოჭრილი შურისძიების დილემისადმი ასევე აშკარად გამოხატული არ არის. შესაძლოა, ეს დამოკიდებულება მი-ნიშნებული იყოს იმით, რომ ზიარების მოუთმენლად მომ-ლოდინე შურისმაძიებელი უზიარებელი კვდება...

თუმცა მთავარია, რომ მოთხრობაში შურისძიების შეფა-სება სიუჟეტის მთელი მხატვრული ლოგიკით არის გამოკვეთილი.

არსებითია ის გარემოება, რომ დათიკო პატიმრობიდან ინკოგნიტოდ ათავისუფლებს ადამიანებს, რომლებიც მისი მტრები არიან და საფიქრებელია, არ დაინდობენ. იმას, რომ დათიკოს სავსებით შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მო-სალოდნელი შედეგები, მოწმობს მისი სიკვდილისწინა დია-ლოგი გაბრიელთან. „მაინც შენის ხელით მოვკვდი! გახსოვს, მაშინ რომ გითხარი: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს-მეთქი, აკი არ დაჰკარგა... — რისთვის დაგვიხ-სენი?.. — ვერა ჰედავ? აი, ამ დღისთვისა“.

პატიმრების დამხსნელი დათიკო ამ ადამიანების მიმტე-ვებლობის იმედს იტოვებს, მაგრამ მზად არის იმისთვისაც, რომ შურისძიების სამიზნე იყოს. მისი მოულოდნელი სასი-კეთო ქმედების მოტივი სინანულზე, სინდისის ქენჯნაზე მეტად არისტოკრატული ღირსების გრძნობა ჩანს, რომელიც მან შელახა, როცა გაბრიელი მოტყუებით დააჭერინა. დათიკომ თავისი ღირსების მიმართაც შეცოდა და უპირვე-ლესად ამ შეცოდების გამოსყიდვა უნდა. მას სურს დაამტ-კიცოს, რომ არ ეშინია გაბრიელის, დაადასტუროს თავისი ვაჟკაცობა (ამიტომ ნანობს სიკვდილისას, რომ გაბრიელს „ნიშანიც ვერ დაასვა“, „უსახელოდ მოეკვლევინა“).

დათიკო კვდება მკვლელის მიმართ უპირატესობის შეგნებით. მას აქვს კიდეც მორალური უპირატესობა, რადგან გვიან, მაგრამ მაინც გამოიჩინა არისტოკრატული სულის სიფართოვე, მისმა მონინაალმდეგემ კი ქრისტიანული პატიება ვერ შეძლო. „მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაპრიელ!“ — ირონიულად უღერს ეს სიტყვები, რადგან სინამდვილეში გაპრიელი დამარცხებულია. მომაკვდავი დასცინის შურისმაძიებელს, რომელსაც მარცხი აგემა: „ტუჩებზედ ისეთი ლიმი შერჩა, თითქო დაიცინებაო. პმ, სიცილით მოკვდა, ტირილით ნაშობი“.

გაპრიელის შურისძიება ფუჭი აღმოჩნდება, დათიკოს მოულოდნელი მორალური საქციელი, სიკვდილისთვის მზადყოფნა და სიკვდილთან მშვიდი შეხვედრა მას ზნეობრივ საზრისს აცლის. შურისძიება დაკნინებულია დათიკოს უშფოთველი სიკვდილის და მომაკვდავი გაპრიელის შფოთვის კონტრასტითაც. ისიც მრავლისმეტყველია, რომ კაცი, რომლის არსებობის მთავარი იმპულსი ღირსების გრძნობა იყო, სიცოცხლეს ამთავრებს როგორც „გლახა“, მათხოვარი.

თუ პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდან“ გმირები, რომლებიც უსამართლობის პასუხად სისხლს ღვრიან, რომანტიზებულები არიან, „გლახის ნაამბობში“ ამგვარი რომანტიკა ადგილს ვერ პოვებს. საერთოდაც ილიას სოციალურ-ეთიკური პოზიციის შინაგანი დინამიკა რევოლუციური რადიკალიზმიდან ქრისტიანული ჰუმანიზმისკენ არის მიმართული.

პოემისგან განსხვავებით მოთხრობაში ნებისმიერი მკვლელობა შეფასებულია ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით — როგორც ცოდვა („კაცის კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა“). პრობლემა აქ ის არის, შეიძლება თუ არა მკვლელობის ცოდვა გამართლებული იყოს თუზდაც ისეთი ფასეულობების დაფუძნების აუცილებლობით, როგორიცაა მოყვასის სიყვარული, ადამიანის ღირსება, სამართლიანობა. ეს პრობლემა შორეულად ეხმიანება XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ტრაგიკული სიღრმით გამჟღავნებულ დილემას — დასაშვებია თუ არა კაცისკვლა დიდი ღირებულებების და მიზნების განსახორციელებლად.

ილიას წამს, რომ ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელი ფასეულობაა, რადგან თვით ზნეობრივად უკიდურესად დეგ-

რადირებულ ადამიანშიც არ შეიძლება მთლიანად აღმოფხვრილი იყოს მორალური საწყისი, მთლიანად ჩამქრალი იყოს „ღვთისაგან ანთებული ცეცხლი“; ამიტომ თავისი ტანჯული გმირისადმი მწვავე თანაგრძნობის მიუხედავად ვერ ამართლებს მის შურისძიებას. არსებითად ეს არის სიკვდილით დასჯასთან ილიას დაპირისპირების პირველი გამოხატულება.

ილიას ზნეობრივი პოზიციის სიმართლე განსაკუთრებით საგრძნობი და ცხადი ხდება, როცა „სამართლიანი“ მკვლელობის მორალურ ნორმად რევოლუციურ-ტოტალიტარული დამკვიდრების ტრაგიკულ შედეგებს ვითვალისწინებთ მეოცე საუკუნეში.

1987

„ყოვლად ძლიერი მშვენიერება“

მწუხარე ფილოსოფოსს უწოდებდა კიტა აბაშიძე ილია ჭავჭავაძის განდეგილს. მართლაც, ილიას გმირი მოაზროვნე, სამყაროს და ადამიანის რაობაზე დაფიქრებული კაცია, რომელსაც გარკვეული მსოფლმხედველობა აქვს - იგი პესი-მისტია, თვლის, რომ მიწიერი არსებობა, ცხოვრება თავისი არსით ბოროტება და ცოდვაა. ეს თვალსაზრისია მისი გან-დგომის წანამძღვარი, განდგომის სხვა, პირადულ-ბიოგრა-ფიული მოტივები პოემაში არ ჩანს. ის განდეგილია იმიტომ, რომ ცხოვრებას აღიქვამს როგორც ერთიან და ყოვლის-მომცველ ბოროტებას; განდეგილობა ღრმა პესიმიზმის შედეგია.

„... განშორებია, ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი.
სად, რასაც ჰეთადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყევნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰეთარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰეთდის
ნმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.“.

მეოცე საუკუნის ერთი პოეტი ამბობს, რომ „ცხოვრება ის ადგილია, სადაც ცხოვრება შეუძლებელია“. ასე ფიქრობს განდეგილიც. მისი აზრით, ამქვეყნიურ არსებობაში მაღალი სულიერი, ეთიკური ღირებულებები განუხორციელებელია; აქ ყველა ფასეულობა განწირულია საიმისოდ, რომ გადაგვარდეს და ანტიფასეულობად იქცეს: სამართლიანობა — უსამართლობად, სიყვარული — სიძულვილად, სიკეთე — ბოროტებად; ყველაფერი ცდუნებას წარმოადგენს, ყველა-

ფერი ცოდვით არის წაბილნული, მათ შორის მშვენიერებაც (“თვით სიტურფე”); ისიც ბოროტებისკენ უბიძგებს ადამიანს „ბოროტის სამეუფოში“; მიწიერი სინამდვილე, ადამიანის ამქვეყნიური ყოფა ეშმაკეულია და არა ღვთაებრივი.

ასეთი პირქუში მსოფლებელვა ბუნებრივად კარნახობს ილიას გმირს ცხოვრებას გაეცალოს, მთლიანად არამინიერი სინამდვილისკენ შებრუნდეს და მასთან მიახლოებაზე იზრუნოს; „ბოროტის სამეუფოში“ სულის ხსნა არ ხერხდება, სულის სინმინდის და სიმაღლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნის მოძულებით და მისგან განდგომით.

პოემაში ამ მსოფლმხედველობრივი მოდელის და მასზე დამყარებული ადამიანური არსებობის წესის რღვევა წარმოსახული.

„განდეგილი“ მსოფლმხედველობრივი ტრაგედიაა, ტრაგედიაა ადამიანის, რომელსაც მრწამსი დაემსხვრა.

პოემაში ასკეტის მსოფლმხედველობრივი კრიზისი ფაქიზად არის მოტივირებული. რადიკალური ასკეტიზმის უარყოფა ხორციელდება ავტორის საგანგებო მითითებების, განმარტებების, განსჯით-ანალიტიკური ჩარევების გარეშე, ავტორის ტენდენციის გამოუშპარავებლად. ნაწარმოების კონცეფცია გაცხადდება მხატვრული სინამდვილის ობიექტური ლოგიკით, სახეთა მეტყველი შეხამებით და შეპირის-პირებით, ქვეტექსტებით, მინიმებებით.

„განდეგილში“ მოქმედების კვანძის განასკვას, ბერთან მწყემსი ქალის მისვლას წინ უსწრებს ასეთი პასაჟი:

„მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
ნითლად და ყვითლად მზისგან ჰლუოდა,
და გამსჭვალული მისით ლრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში ჰითოდა.
ამა უბინო დიადის ხილვით
ნარტყვევნილ იქნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას
შესცექერდა მზესა განცვიფრებული“.

მშვენიერი სანახაობა თვალს სტაცებს განდეგილს, ნივთიერი, მატერიალური სამყაროს უცნაური სილამაზე ხიბლავს და, რაც მთავარია, ამ სილამაზეში იგი ღმერთის სიდიადის გამოვლინებას ხედავს. ამქვეყნიურ, ხილულ მშვენიერებაში, გრძნობად სილამაზეში ჩანს ღმერთი და განდეგილს აოცებს ეს; თურმე ნივთიერი შეიძლება ღვთაური იყოს, ნივთიერი სინამდვილის მშვენიერება ღვთაებრივია, მშვენიერება ღვთის „ცხოველი ხატია“.

ძნელია იმის თქმა, რომ განდეგილი აცნობიერებს ყოველივე ამას, მაგრამ ეს ღრმა ემოციური შთაბეჭდილება სწორედ ასეთ აზრს მოასწავებს, ასეთი აზრის ჩანასახს შეიცავს, რომელიც შემდეგ გაღვივდება და გამოიკვეთება.

ასკეტის მრნამსა პირველი, ძნელად შესამჩნევი, მაგრამ საბედისწერო ბზარი აქ უჩნდება, აქ იწყება განდეგილის იდეური მარცხის მოტივირება. აქვე შემოდის ნაწარმოებში მშვენიერების თემა, რომელიც მწყემსი ქალის გამოჩენისას კიდევ უფრო ძლიერად აუღერდება. განდეგილს კვლავ უჩვეულო სილამაზე წარმოუდგება.

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსახმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის ამშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს“.

ქალის სილამაზე მიწიერია, ხორციელია და იგი თავისი მიწიერებითვე იმდენად სრულყოფილია, რომ რელიგიურ-საკრალური ცნებით გამოხატული მაღალი და ცხოველმყოფელი ძალის — სიყვარულის „მადლის“ მთელი სისავსის დამტევია; ხორციელი სილამაზე არათუ ბიწიერი და ცოდვილი არ არის, არამედ „მადლით“ არის მოსილი. ბერი ჯერ-

ჯერობით არც ამას იცნობიერებს, მაგრამ ასეთი აზრის გამღვივებელი, პირველის მსგავსი ემოციური შთაბეჭდილება ახლაც მძაფრია. ქალის სილამაზე ისევე აოცებს განდეგილს, როგორც მშვენიერი მზე — ღვთის ხატი: „გასაოცარი რაღაც შვენება განდეგილს თვალწინ წარმოედგინა“ — „და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას შესცეკრდა მზესა განცვიფრებული“. იგი ამჯერადაც ისევე მოხიბლული და დატყვევებულია, როგორც მზის ხილვისას: „და უცოდველის გულისტკივილით ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი“ — „ამა უბიწოს დიადის ხილვით წარტყვევნილ იქნა განცენებული“. ქალის სილამაზით განდეგილის მოხიბვლა შემზადებული და გაადვილებულია მზის ჩასვლის ღვთაებრივად მშვენიერი სურათის ჭვრეტისას მიღებული მძლავრი შთაბეჭდილებით. განდეგილის არსება უკვე ღიაა სილამაზისთვის, იგი უკვე ენდობა წივთიერ სილამაზეს, რადგან ღვთაებამ სწორედ ხილულ, გრძნობად მშვენიერებაში გაუმჯდავნა თავისი თავი. ამიტომ არის, რომ ის დაყვება ქალის მშვენიერების ზემოქმედებას და წინანდებურად არ ფიქრობს, რომ „თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“.

„ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატებება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს მშვენიერებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულისტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი“.

მრავლისმეტყველია ფსიქოლოგიური დეტალი — „უცოდველის გულისტკივილით“. ეროტიულ ღტოლვას მწყემსი ქალისადმი განდეგილი არ განიცდის, იგი მხოლოდ მოჯადონებულია ქალის მშვენიერებით და ტკივილს გრძნობს იმის გამო, რომ ეს არაჩვეულებრივი სილამაზე მისი არსებობის მიღმაა დარჩენილი, რომ მისი ცხოვრება ასეთი სილამაზის გარეშე მიმდინარეობს.

როგორც ვხედავთ, განდეგილის შინაგან სამყაროში შესამჩნევი ძვრები ხდება, ასკეტის მსოფლმხედველობის სა-

ფუძველი შეტორტმანებულია. ქალთან დიალოგში იგი არ-სებითად განიარაღებული ებმება. საუბრისას გამოაშკარავ-დება და დასრულდება ის, რაც მანამდე დაიწყო. კამათში განდეგილის იოლი დამარცხება განპირობებულია იმით, რაც დიალოგს წინ უძლოდა და თან ახლავს კიდეც, იმ შთაბეჭ-დილებებით, რომელიც მწირის სულს ასე აღელვებენ.

მწყობრი მხატვრული ლოგიკა ვლინდება იმაში, რომ ქალის ალაპარაკებისთანავე კვლავ ჩნდება მზის სახე.

„ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა-რიგ შვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი.
ლვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა...
მაგრამ რას იზამ, მოდი, გულს უთხარ,
— კარგს სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..“

ქალი ისევე ალიქვამს მზის ჩასვლას, როგორც განდეგი-ლი — მზის მშვენიერებაში ლვთის ხატს ხედავს და მოხიბ-ლულია საოცარი სილამაზით. ამავე დროს ის შეაფასებს თა-ვის შთაბეჭდილებას და მიდის დასკვნამდე, რომელსაც მწი-რის შთაბეჭდილებაც მოიცავს პოტენციურად — მისწრა-ფება ამ ლვთაებრივი სილამაზისკენ ბუნებრივია, არ არის აღსაკვეთი.

ეს აზრი კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება მაშინ, როცა ქალი უკვე არა ფარულ, არამედ პირდაპირ კამათს გაუმართავს ასკეტურ მსოფლმხედველობას.

„.... მითქვამს: იქ ყოფნა
რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰერის
ქვეყანას, ლვთისვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთისოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?“.

ასეთია ქალის მთავარი არგუმენტი — არ შეიძლება უარ-საყოფი და მოსაძულებელი იყოს ის, რაც ღვთის შექმნილია და თვითონაც ღვთიურია, ღვთაებრივად მშვენიერია.

ამას ეყრდნობა ქალის მომდევნო არგუმენტი: უცნაური და გაუგებარია იმ სულიერი კავშირების გაწყვეტა, რომ-ლებიც ადამიანს ახლობლებთან აერთებს და რომლებშიც უთუოდ არის სიკეთის და სიყვარულის საწყისი.

„.... არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატეკივარი?!“.

განდეგილის ცნობიერებაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახ-დენს ისიც, რომ ქალი მას უშუალოდ და დამაჯერებლად უჩვენებს ადამიანური ახლობლობის, გულითადი, სიყვარუ-ლით გამსჭვალული ადამიანური ურთიერთობის სიძვირფა-სეს. ამგვარ ურთიერთობას ასახიერებს მწყემსი ქალის და მისი მამის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც თავისიუ-ფალია ეგოიზმისგან, რომელშიც მთავარი მეორე ადამიანზე უანგარო ზრუნვაა — შეუძლებელია ასეთ სიყვარულში ღვთიური საწყისი არ დავინახოთ და მივიჩნიოთ, რომ იგი ეშმაკის მიერ ადამიანებისთვის დაგებული ხაფანგია. ეს ეწინააღმდეგება განდეგილის მრჩამსს, რომ ამქვეყნიური სინამდვილის სუბსტანცია ბოროტებაა და ყოველგვარ სიკე-თეს, სიყვარულს ბოროტება ნოჟავს.

რაც მთავარია, ახლა იგი იმიტომ ვეღარ მოიშველიებს თავის პესიმისტურ თვალსაზრისს, — მიწიერი არსებობა „ბოროტის სამეუფოა“ — რომ თვითონვე იხილა, როგორ ვლინდება ღვთაება ამქვეყნად, თანაც მის ნინაშეა ისევე მშვენიერი არსება, როგორიც ღმერთის ხატად წარმოჩენილი მზეა. იგი თვითონვე ხედავს და განიცდის იმას, რასაც ქალი უმტკიცებს — მზის ხატის და ქალის სილამაზე ამქვეყნიური ყოფნის ღვთაებრივი არსის ცოცხალი განსახიერებაა. ლო-გიკური, ოლონდ საკმაოდ მარტივი არგუმენტები, რომლებიც მას დაუპირისპირეს, სწორედ ამის გამო ხდება მოუგერიებე-ლი. ის, რომ ღმერთმა „ესე ლამაზად მორთო წუთისოფელი“ და ამდენად წუთისოფელზე ხელის აღება გაუმართლებელია,

განდეგილისთვის განყენებული მსჯელობა კი არ არის, არამედ უშუალოდ აღსაქმელი, თვალსაჩინო სინამდვილეა. ასეთ შეტევას ასკეტური მრნამსი ვერ უძლებს.

„.... რა გითხრა შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია.
— მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?
— ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“.

განდეგილი ერთხელ კიდევ გაიბრძოლებს, ამქვეყნიურობას სულიერი სწრაფვების დამაბრკოლებლად აცხადებს, მაგრამ არა ყოვლისმომცველ ბოროტებად, როგორც ადრე; მისი რადიკალური თვალსაზრისი აქ შერბილებულია. ამავე დროს იგი არაპირდაპირ აღიარებს, რომ „სულის“ გარდა სხვა რამეც არის ძვირფასი („ყველაზე უფრო სული ტკბილია“ — ეს არის პასუხი ქალის ნათევამზე: „ან შენ როგორ საძლებ უწუბისოფლოდ! მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!“).

მთავარი მაინც ის არის, რომ განდეგილი იძულებულია ცნოს — „ხსნა ყველგან არის“. ახლა მისთვის ცხადი ხდება, რომ ისინი, ვინც ამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობენ, არ „წაწყდებიან“, რომ მიწიერი სინამდვილე ღვთიური არსის მქონეა და არა ეშმაკეული „ბოროტის სამეუფო“; ხსნის გზა, რომელსაც ადგას, არ ყოფილა ერთადერთი და ხსნის სხვა შესაძლებლობის ფონზე განსაკუთრებით საგრძნობია მისი სიძნელე, მარტოობის, უსიხარულობის სიმძიმე.

ასე ირლვევა განდეგილის პირქუში მრნაში, ასე აღმოაჩენს იგი, რომ ამქვეყნიური სინამდვილე არასწორად შეუფასებია და ამის გამო ცხოვრების წესის არჩევაშიც შემცდარა.

ასკეტურ მსოფლმხდველობას ამარცხებს „ყოვლად ძლიერი მშვენიერება“, რომლის ღვთაებრივი წარმომავლობა და არსი განდეგილს მზის ხატმა გაუმჟღავნა და რომელიც შემდეგ ქალის სახით გამოეცხადა. იგია ასკეტიზმის საწინააღმდეგო უპირველესი, ძირითადი არგუმენტი, დადასტურებული, გაშლილი და აზრის სიცხადემდე მიყვანილი ქალის ლოგიკური არგუმენტებით.

განდეგილის შინაგან სამყაროში ძველის უარმყოფი ახალი ჭეშმარიტება იკვეთება. მაგრამ მისთვის მეტად მტკივნეულია იმის დათმობა, რაც დიდი ხნის მანძილზე წამდა, რასაც ამდენი სულიერი ენერგია შეალია და თითქოს მიაღწია კიდეც მიზანს. ასკეტური მრნამსი განდეგილს სისხლხორც-ში აქვს გამჯდარი და ასკეტის ნაწრთობი ნებისყოფა მთელი ძალით აღუდგება წინ ახლადშობილ ჭეშმარიტებას, ცდოლობს მის ჩახმობას.

ოღონდ ქალის არაჩეულებრივი მშვენიერების ხიბლს განდეგილი თავს ვერ აღწევს. ეს მშვენიერება კვლავ ღვთაებასავით ამშვიდებს; გრძნობაც, რომელიც ქალისადმი უჩნდება, ამაღლებულია და თუ განდეგილმა ჯერ მიწიერი სინაძვილის ღვთიურობა აღმოაჩინა, ახლა არაჩეულებრივად მშვენიერი მიწიერი არსების მიმართ გაჩენილი ამ გრძნობის ღვთიურობა ხდება მისთვის გასაგები; სულის ღვთაებრივი აღზევება, რომელსაც იმქვეყნად მოელის, თურმე ამქვეყნადვე შესაძლებელია.

„როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?“.

ეს მსოფლმხედველობრივი ძვრები გზას უხსნის განდეგილის ლტოლვას, ეზიაროს ქალის ხორციელ სილამაზეს.

მაგრამ კვლავ ამოქმედდება ასკეტის ზეადამიანური ნებისყოფა, ასკეტური მრნამსის მძლავრი იარაღი და მწირი ახერხებს თავის შეკავებას, მაგრამ სიმშვიდეს ვეღარ მოიპოვებს. საშველად ღვთისმშობელს მიმართავს, მაგრამ მისი ხატი მწყემსი ქალის სახეს იღებს — ღვთაებრივად მშვენიერი, ღვთაებრივი გრძნობის აღმძვრელი ქალი განდეგილის სულიერ სამყაროში ღვთაების ადგილს იკავებს, რაც მისი მსოფლმხედველობრივი მეტამორფოზის ბუნებრივი დასასრულია, ასკეტური ცნობიერების თვალსაზრისით კი იმის ნიშანია, რომ განდეგილმა საშინელი ცოდვა ჩაიდინა და ლმერთისთვის სასურველი აღარ არის. ამასვე ნიშნავს ისიც, რომ სხივი ლოცვანს ვეღარ დაიჭერს.

ქალისადმი ხორციელი ლტოლვის აღკვეთას განდეგილი ახერხებს. მისი შეცოდება უფრო სერიოზულია — მან შინაგანად ირწმუნა ახალი ჭეშმარიტება, რომელიც უარყოფს ასკეტურ იდეას. ამ შეცოდების სიმძიმეს ვერ უძლებს იგი.

არსებითად განდეგილის ასკეტურ სულიერ კონსტიტუციაში სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს მხოლოდ ასკეზაში განვრთნილი ნებისყოფა, რომელსაც თავისი მონაპოვრის დათმობა არ უნდა.

„ნუთუ იძლია! არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდე სურდეს!..“

მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი ასკეტური ცნობიერება ცოდვიანად სახავს ქალსაც და მთელ წუთისოფელსაც, თუმცა განდეგილის შინაგანი გამოცდილება სრულიად საპირისპიროს მეტყველებს. ასკეტის ნებისყოფა იმდენად მძლავრი გამოდგება, რომ ახალ ჭეშმარიტებას თრგუნავს, ხოლო თვითობ, მოკლებული საზრისს, რომელიც ახალი ჭეშმარიტების მიერ უკვე გაბათილებულია, ამ საზრისის მაგივრობას ვერ განევს.

„განდეგილი“ ტრაგიკული ნაწარმოებია. ფიქრობენ, რომ მის ტრაგიზმს ქმნის „ხორცის“ და „სულის“ შეურიგებელი კონფლიქტი. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტი გაიაზრება თვით ასკეტური მსოფლმხედველობის კატეგორიებით — ამ ცნებებით განდეგილი აღნიშნავს მის არსებაში შებრძოლებულ ძალებს. სინამდვილეში, როგორც დავინახეთ, განდეგილი ხორცის სისუსტის მსხვერპლი არ არის. ხორციელი ლტოლვა მას უჩნდება ბოლოს და ნიადაგს პოვებს მისი ცნობიერების კრიზისის შედეგად. ტრაგიკული კოლიზიაც წარმოიშობა პერსონაჟის სულიერ სამყაროში ორი მსოფლმხედველობრივი პრინციპის დაპირისპირების გამო — ასკეტურ იდეას უპირისპირდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამქვეყნიური სინამდვილე თავისი არსით ღვთაებრივია, რასაც მოწმობს მისი მშვენიერება — ღვთის ხილული ხატი; ამდენად ეს სინამდვილე არ არის უარსაყოფი, მისკენ სწრაფვა არ არის ცოდვა, პირიქით, უმაღლესი სულიერი

მოთხოვნილებების და ღირებულებების ხორცებს ხმა მასშია შესაძლებელი. მაგრამ ამ ახალ ჭეშმარიტებას მტკიცედ დამკვიდრება არ უწერია, რადგან ძალიან ძლიერია ისიც, რაც მას ბრძოლას უმართავს — ასკეტური თვითშეგნება, ასკეტური ნება. ეს საწყისები თანაბარი ძალისაა და პიროვნების-თვის თანაბრად მნიშვნელოვანია, ამიტომ მათი შეჯახება მთავრდება თვით პიროვნების განადგურებით.

არისტოტელეს განსაზღვრების თანახმად, ტრაგიკული გმირის უბედურება შედეგია არა მისი მანკიერების და სიმდაბლის, არამედ მის მიერ დაშვებული შეცდომის. განდეგილის ტრაგიკული შეცდომა, ტრაგიკული ბრალი მსოფლმხედველობრივია — მან შეცდომით შეაფასა ამქვეყნიური არსებობა როგორც ტოტალური ბოროტება და მთლიანად უარყო იგი. ამ შეცდომის გაცნობიერებას გარდაუვალად მოყვება მისი დაღუპვა. დაღუპვის აუცილებლობას განსაზღვრავს ტრაგიკული პერსონაჟის ბუნება — ის უკომპრომისო მაქსიმალისტია, რომელსაც ვერაფერი გაუნელებს მრნამსის მსხვრევის ტკივილს.

ტრაგიკული ხელოვნება ტანჯვის და თანაგრძნობის ხელოვნებაა. „ტრაგიკული თავისთავში მოიცავს უსასრულო შემწყნარებლობას“ (კირკეგორი). ავტორიც თანაგრძნობით და შემწყნარებლობით ეკიდება თავის დიდბუნებოვან, სულიერი ძალით გამორჩეულ გმირს. მისთვის დასანანია, რომ ამ გმირის შინაგანი ენერგია ტრაგიკული შეცდომის გამო ფუჭად დაიხარჯა, უკვალოდ გაქრა.

* * *

ილიას „განდეგილში“, განსხვავებით ფლობერის „ნმინდა ანტონის ცდუნებისგან“ ან ზოლას „აბატ მურეს შეცოდების-გან“, არ არის ანტიქრისტიანული, ანტირელიგიური ტენდენცია. აქ ასკეტური იდეალის უარყოფა ხდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველზევე (ქრისტიანობის ფარგლებს არ ცილდება ჭეშმარიტების ძიება ტოლსტოის „მამა სერგიშიც“). როგორც მკვლევარი გ. კალანდარიშვილი შენიშნავს, „მწყემსმა ქალმა მნირის სენაკში მოიტანა გულუბრყვილო და წრფელი, ხალხის მიერ გულით და ნდობით მიღებული რელიგია, გამოტარებული საუკუნეებში“.

დამახასიათებელია, რომ პირქუში ასკეტური მსოფლგა-გების მცდარობა „განდეგილში“ დანახულია სწორედ ხალხის თვალით და ეს ილიას შემოქმედების საერთო კანონზომი-ერებას შეესაბამება. „მგზავრის წერილებში“ უბრალო ადა-მიანი ამბობს მწერლის სანუკვარ სათქმელს; „გლახის ნაამ-ბობში“ და „ოთარაანთ ქვრივში“ ხალხია ზეობრივი იდეა-ლის შემნახველი; მოთხოვთაში „სარჩობელაზედ“ გულუბრ-ყვილო გლეხის თვალთახედვითაა აღქმული და შეფასებული სიკვდილით დასჯის სიმახინჯე...

ილიას მიერ ასკეტიზმისთვის დაპირისპირებული სიცოც-ხლისმოყვარე მსოფლმხედველობა, რომელსაც ამქვეყნიური სინამდვილის არსად ღვთიური სიკეთე და მშვენიერება ესა-ხება, ახლოსაა „ვეფხისტყაოსნის“ გამმსჭვალავ მსოფლგა-გებასთან — ბოროტება არარსია, ამქვეყნიური სამყაროს არსი არის სიკეთე და მშვენიერება, რომელიც ღვთაებრივია თავისი წარმომავლობით და ბუნებით; ამდენად ადამიანების ამქვეყნიური მოთხოვნილებები და სწრაფვები არსებითად ღვთაებრივია და მათი განხორციელება ამქვეყნადვეა შესაძლებელი.

რუსთაველის პოემაში და ოპტიმისტურ, ამქვეყნიური სი-ლამაზის მოყვარე და დამფასებელ ნაციონალურ მსოფლ-აღქმაში პოულობს ილია ჭავჭავაძე ასკეტიზმის დამძლევ პოზიტიურ მრჩამსა.

ყველაფერი ის, რაც „განდეგილში“ ასკეტიზმის დაძლე-ვაზე ითქვა, უნდა შეივსოს აუცილებელი განმარტებით: ილიას პოემაში მარცხს განიცდის არა ბერმონაზვნური იდე-ალი საერთოდ, არამედ ასკეტიზმის უკიდურესი ფორმა, რო-მელიც გულისხმობს ამქვეყნიური რეალობის აბსოლუტუ-რად უარყოფით შეფასებას და, აქედან გამომდინარე, მისგან სრულ განაპირებას, ყოველგვარ ადამიანურ ურთიერთობა-თაგან გარიდებას. ამიტომ არის, რომ ნაწარმოების დასაწ-ყისში და ფინალში მთავარ გმირთან შეპირისპირებულია ბე-რების კრებული, რომელსაც განდეგილისგან განასხვავებს შემოქმედებითი, აღმშენებლობითი მიზანსწრაფვა — იგი მიუდგომელ ადგილას ღვთის ტაძარს ამკვიდრებს. ეს არის მოყვასის ქრისტიანულ სიყვარულზე დაფუძნებული ძმობა, რომლის არსებობის შესაძლებლობასაც განდეგილის უნუ-გეშო თვალსაზრისი გამორიცხავს — მის მიერ წუთისოფლის

მიტოვების მთავარი მოტივი სწორედ ის არის, რომ „ცილი, ზაკვა ძულებადა ჰედის წმინდა სიყვარულს მოყვასისასაა“. გასაგებია, რომ ის, ბერების ძმობის წევრთაგან განსხვავებით, „სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა“...

ასკეტიზმის უკიდურესი ფორმა ილიას მხატვრული ინტერესის საგნად იქცა მისი ზოგადი მსოფლმხედველობრივი ასპექტების გამო, რომლებიც შორდება გარკვეული კულტურულ-ისტორიული მოვლენის საზღვრებს. ეს არის პესიმიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი.

„განდეგილის“ ანალიზისას, ჩვეულებრივ, პესიმიზმი — უკიდურესი ინდივიდუალიზმის წანამძღვარი — ყურადღების გარეშე რჩება ხოლმე და ძნელდება იმის დამაჯერებლად წარმოჩენა, როგორ მარცხდება პოემაში განდეგილობა, ფართო გაგებით რადიკალური ინდივიდუალიზმი — პესიმიზმის შედეგი. ილიას მხატვრული აზროვნება კი ლოგიკურად თანმიმდევრულია და წანარმოებში უწინარეს ყოვლისა სწორედ პესიმისტური მსოფლგაგების რღვევაა წარმოჩენილი, რაც პესიმიზმის თანმხლებ რადიკალურ ინდივიდუალიზმსაც აცლის საფუძველს.

თავისი აზრთანწყობით და მიზანდასახულობით „განდეგილი“ ბუნებრივად და ღრმად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ ამოცანებთან, რომლებიც XIX საუკუნის მეორე წახევარში გამოიკვეთა: ეროვნული აღორძინების ცდა ნაყოფიერი შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს, თუ იგი ემყარება პოზიტიურ მსოფლმხედველობას, პოზიტიურ თვალსაზრისს სამყაროს და ადამიანის შესახებ; ხოლო თუ სამყარო აბსოლუტური ბოროტებაა, ჩიხია, ამ ცდასაც ყოველგვარი აზრი ეკარგება; პესიმიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ცხადია, ქვეყნის უკეთეს და თვითმყოფად მომავალს ვერ შექმნის, საამისოდ აუცილებელია ოპტიმისტური მსოფლმხედველობა, რწმენა, რომ სამყაროს, ადამიანის ყოფნას აქვს ნათელი საზრისი, კეთილი არსი; აუცილებელია ოპტიმისტური მრწამსით ნასაზრდოები სოციალური აქტივობა.

ამ აუცილებლობის კარნახით არის დაწერილი ილიას „განდეგილი“.

1987

აკაკი წერეთელი

ლირსების აღსადგენად

„გამზრდელში”, ბათუსთან საფარ-ბეგის სტუმრად მისვ-ლის სცენაში არის ასეთი მეტაფორა: საფარი ხუმრობით ისე იქცევა, თითქოს უცხოა, საგანგებოდ იფარავს სახეს და ბათუ მას ვერ ცნობს — საფარ-ბეგი შეცვლილია, მას ახლა სხვა სახე აქვს, ბათუსთვის დაფარული და უცნობი.

საფარ-ბეგს ზნეოპრივ სახეს ზია-ხანუმთან ურთიერთობა უცვლის, უმდვრევს. საფარი უკვე უზნეობის გზაზეა დამდგარი (ზია-ხანუმის დავალება ქურდობის და ყაჩალობისკენ უბიძგებს), ამ გზას მიყავს ბათუს ოჯახში და იმ ბოროტებამდე, რომელსაც იქ ჩადის.

საფარ-ბეგის და ზია-ხანუმის ურთიერთობაში მთავარია ამ ადამიანების თავმოთნეობა და პატივმოყვარეობა. მამაკაცების გულის დაპყრობით, იმით, რომ მათ თავის ნებაზე ათამაშებს, ზია-ხანუმი, საბედისნერო ქალის ტიპის განსახიერება, პატივმოყვარეობას და ძალაუფლებისმოყვარეობას იკმაყოფილებს, ტკბება საკუთარი მომხიბვლელი ძალით და მისი საფარ-ბეგთან დამოკიდებულებაც ამგვარია. თუმცა ვერც ზია-ხანუმისადმი საფარის დამოკიდებულებას მივიჩნევთ ნამდვილ სიყვარულად, მასაც პატივმოყვარეობა ამოძრავებს — გამორჩეული ქალის ყურადღების და სიმპათიის მოპოვება მისთვის საპატიოა. საფარს რომ ზია-ხანუმი მართლა უყვარდეს, ის ვერ ჩაიდენდა იმას, რაც ბათუს ოჯახში ჩაიდინა. საფარის გრძნობა ნამდვილი რომ არ არის, ამას მოწმობს მის მიერ ზია-ხანუმის დავალების სხვისთვის დაკისრებაც — იგი აპირებს სხვისი გაკეთებული საქმე მიიჩნოს, ანუ გულანრფელი არ არის ქალის წინაშე.

საფარის შელახული მორალი მევობართან მის ურთიერთობასაც აყალბებს — ზია-ხანუმის დავალების შესრულებაში დახმარების თხოვნით ფაქტობრივად საფარი ბათუს უზნეო საქმის, ქურდობის ჩადენას ავალებს, თვითონ კი არც იღებს მონაწილეობას ამ საძრახისი და სახიფათო ჩანაფიქრის განხორციელებაში. საფარის დამოკიდებულება ბათუ-

სადმი ანგარებიანია, გამოყენებითია. ყოველივე ეს შეამზა-
დებს მის სრულ მორალურ კრახს.

განსხვავებით ზია-ხანუმის და საფარის ურთიერთობის-
გან, რომელიც დამყარებულია ეგოიზმზე და პატივმოყვა-
რეობაზე, სიცრუეზე, ბათუს და ნაზიბროლას სიყვარული
ნამდვილია, წრფელია და ამიტომ მასში ეგოიზმის და თავ-
მოთნეობისთვის, სიცრუისთვის ადგილი არ რჩება. ნაზი-
ბროლას მორალურად არ შეუძლია შეინიღბოს ბათუს წინა-
შე, დაუმალოს მომხდარი, ხოლო ბათუს დამოკიდებულება
ცოლისადმი ცხადყოფს მის თავისუფლებას ეგოისტური
სიამაყისგან, თავმოთნეობისგან. ბათუს ურთიერთობა ცოლ-
თან აღაზასადმი ჯოყოლას დელიკატურობას გვახსენებს.
ბათუს და ნაზიბროლას სიყვარული უმძიმეს განსაცდელს
უძლებს, რადგან ჭეშმარიტია.

ზნეობრივი განსაცდელი, რომელიც ბათუს ხვდება წი-
ლად, მას მარტო მისი სიყვარულის დანგრევით კი არა,
საკუთარი ძიძიშვილის მკვლელად ქცევითაც ემუქრება. ის
ახერხებს ამის თავიდან აცილებას იმით, რომ სჯის ცოდ-
ვილს არა ფიზიკური ანგარიშსწორებით, არამედ დანდობით,
სჯის სინდისის ქენჯნით და სირცხვილით, ამარცხებს,
თრგუნავს მას თავისი მორალური სიმაღლით. შესაძლოა,
განსაცდელისთვის თავის ღირსეულად დაღწევას ბათუს
უადვილებს ის, რომ მან მომხდარი მის მიერ ჩადენილი
ქურდობის სამართლიან ღვთაებრივ საზღაურად ჩათვალა —
ბათუს საუბარი ცოლთან საფუძველს გვაძლევს, ასე ვიფიქ-
როთ („ყოველგვარი მოსავალი კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა...“).

ბათუს წინაშე თავს შერცხვენილად საფარ-ბეგის გარდა
ჰაჯი-უსუბიც გრძნობს, რომელსაც ბათუმ საფარის პირით
არსებითად ის შეუთვალა, რომ ზნეობრივი შეფასება უნდა
მიეცა არამარტო საფარის სამარცხვინო საქციელისთვის,
არამედ საკუთარი სამარცხვინო მდგომარეობისთვისაც, რო-
მელშიც აღმოჩნდა როგორც საფარის აღმზრდელი. ეს კაცი
კი თავისი არსებობის აზრს, მთელ თავის ღირსებას სწორედ
აღმზრდელობაში ხედავს. ბათუს მიერ გამოჩენილი სულგრ-
ძელობა, მისი ზნეობრივი სიმაღლე კიდევ უფრო დამთრ-
გუნველს ხდის ჰაჯი-უსუბისთვის საფარის სულმდაბლობას,
კიდევ უფრო უმძაფრებს მას სირცხვილის გრძნობას. იგი

ვერ ეგუება, რომ ასეთი ლირსეული კაცის თვალში დამცი-
რებული ჩანდეს. ბათუს წინაშე სირცხვილის ჩამორეცხვის
და ლირსების აღდგენის სურვილი უპიძგებს ჰაჯი-უსუბს
თვითმკვლელობისკენ, ეს არის მისი ქცევის რეალური ფსი-
ქოლოგიური მოტივი. თუ ეს მოტივი მხედველობის მიღმა
დაგვრჩება, შეიძლება ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა მხატ-
ვრულად ნაკლებად დამაჯერებელი, „თეატრალურ-აფექტა-
ციური“ მოგვეჩვენოს.

2005

ვაჟა-ფშაველა

პუმანიზმის განწირულება

„სტუმარ-მასპინძლის“ დასაწყისში ჯოყოლას და ზვიადაურს შორის თითქოს კონფლიქტი უნდა წარმოიშვას, მაგრამ ასე არ ხდება და ეს ერთადერთი არშემდგარი, ჩანასახშივე ჩამქრალი კონფლიქტია ამ სასტიკი კონფლიქტებით სავსე პოემაში.

კონფლიქტის თავიდან აცილება ჯოყოლას დამსახურებაა. მოულოდნელია გულისხმიერება და სულის სიუხვე, რომელსაც ჯოყოლა იჩენს უცნობი ხევსურის მიმართ — ჯოყოლასთვის ყოველი ადამიანი, მისი ეროვნების და სარწმუნოების მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა სწორედ ადამიანია; მისთვის ზვიადაური არ არის მტერი უბრალოდ იმის გამო, რომ ის ხევსურია; იგი ხევსურთა მთელ მოდგმაში მტრებს აპრიორულად არ ხედავს და ეს უჩვეულოა იმ სამყაროში, რომელშიც დაპირისპირებულ საზოგადოებათა ურთიერთობა „მტრის ხატზეა“ დაყყარებული. ამით განიარაღებული ზვიადაური დაყვება ჯოყოლას ნებას და დიდ რისკს წევს, სტუმრად მიდის თავისი მტრების ბანაკში.

ქისტურ თემში ნებისმიერი ხევსურის სტუმრად მიყვანა, თუნდაც ის ქისტების გამორჩეული მტერი არ იყოს, უცნაური, გამომწვევი საქციელია. როგორც ჩანს, თავისი ამგვარი არაორდინარულობის გამო ჯოყოლა თემისთვის ადრეც ძნელად დასამორჩილებელი ადამიანი იყო (მოგვიანებით თემი მასზე ამბობს: „ნინად ხომ ბევრჯერ აგვრია“). ეს არის იმის მიზეზი, რომ თემი თავიდანვე არ ენდობა მას, ინილბება, ხრიკებს მიმართავს მასთან ურთიერთობაში. თემის და ჯოყოლას ურთიერთდამოკიდებულებაში ადრევე არსებული დაძაბულობა ზვიადაურის გამო უცებ იფეთქებს, მწვავე კონფლიქტში გადაიზრდება.

ჯოყოლას ადამიანური ბუნების სირთულე ჩანს იმ მორალური გრძნობების მრავალგვარობაში, რომლებიც მას ზვიადაურთან აკავშირებს მათი ხანმოკლე, მაგრამ ღრმა ურთიერთობის საფუძველზე. სიმპათის და სულიერი ნათესაობის გრძნობის გარდა ეს არის მოვალეობის გრძნობა — მან

უნდა უზრუნველყოს ამ ადამიანის ხელშეუხებლობა, რომელიც თავისთან სტუმრად თვითონ წაიყვანა; ეს არის თანაგრძნობა, სიბრალული: ჯოყოლას უმძიმს იმის ხილვა, როგორ ჯაბნიან ბევრნი ერთ, უმნეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს („უიარალოს აწვალებთ, გული რასა ჰგრძნობს თავადა“); ეს არის სირცხვილის გრძნობა — ჯოყოლას რცხვენია ზვიადაურის თავის თანატომელთა ქცევის გამო, მითუმეტეს არ სურს თვითონ შეელახოს ღირსება ზვიადაურის თვალში, რამე ისეთი გააკეთოს, რაც ზვიადაურის წინაშე მორალურად დააკანინებს.

ნანარმოებში ყველაზე დიდი ზნეობრივი განსაცდელის პირისპირ ჯოყოლა აღმოჩნდება. ამ განსაცდელმა მას შეიძლება დააკარგვინოს ის, რაც უძვირფასესი აქვს: პიროვნული სახე, ღირსება, შინაგანი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჰუმანურობა. მთელი სამყარო იმისკენ უბიძგებს ჯოყოლას, რომ განიროს ზვიადაური, ყველაფერზე მეტად კი ის, რომ თუ ასე მოიქცევა, სოციალური მორალის თვალსაზრისით მართალი იქნება, რამდენადაც ზვიადაურმა მოატყუა, თავისი ვინაობა დაუმალა. მაგრამ არჩევანის გაკეთებისას ის ემორჩილება არა სოციალურ მორალს, არამედ მხოლოდ საკუთარ პიროვნულ ზნეობას, ყურს უგდებს მხოლოდ საკუთარი სინდისის, ღირსების გრძნობის, ადამიანურობის უღრმეს ხმას და გადარჩება როგორც ზნეობრივი პიროვნება.

ჯოყოლა ზნეობრივ გამოცდას უძლებს მაშინაც, როცა აღაზა უმხელს, რომ ზვიადაური დაიტირა. აღაზას აღსარებაზე ჯოყოლას პასუხში არსებითია ის, რომ ჯოყოლა — დამოუკიდებელი და ღირსეული პიროვნება — პატივს ცემს მეორე ადამიანის დამოუკიდებლობას და ღირსებას; მკაცრი, უხეში სამყაროს მკვიდრი, მტკიცე და შეუპოვარი ჯოყოლა ამასთანავე სულიერად ფაქიზია, დახვეწილია და არ იქრება სხვის ინტიმურ სამყაროში, აღიარებს ამ სამყაროს ხელშეუვალობას („მე რა გამგე ვარ მაგისა?“). ეს არის ადამიანის მიერ სხვა ადამიანის თავისუფლების აღიარების უმნიშვნელოვანესი გამოხატულება ქართულ ლიტერატურაში.

ჯოყოლას ბუნება, მორალი და მსოფლხედვა დოგმებით და ცრურწმენებით შეუზღუდავია, მისთვის სულის სიმაღლე ზოგადადამიანური სიქველეა („დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“).

ჯოყოლას პასუხში ჩანს მისი ღრმა სიყვარული აღაზა-სადმი, რადგან ჭეშმარიტი სიყვარულის ერთ-ერთი ძირეული ნიშანი საყვარელი ადამიანის დამოუკიდებლობის აღიარებაა. ჯოყოლა რომ ბოლომდე არ იჯერებს შინ დაბრუნებული აღაზას ნაამბობს, ეს არ არის ცოლისადმი მისი უნდობლობის გამოვლინება — მას სურს, რომ აღაზა სავსებით გულახ-დილი იყოს მის მიმართ, არაფერს უმაღავდეს და ერთმანე-თის წინაშე სრული გულახდილობის, სინრფელის ეს მოთ-ხოვნილებაც ღრმა სიყვარულის ნიშანია.

სულიერი სილრმით და სიფაქიზით, ისევე როგორც პი-როვნული ავტონომიით და საკუთარი პრინციპებისთვის თა-ვის განირვის უნარით ჯოყოლა ახლოსაა ალუდა ქეთე-ლაურთან, თუმცა ალუდას შინაგანი სამყარო მაინც უფრო რთულია, მტკიცნეული ფიქრით, აზრით უფრო მდიდარია. ალუდა დიდ სულიერ ცვლილებებს განიცდის, ახალ რელი-გიურ და ეთიკურ ფასეულობებს მიაკვლევს, რასაც ჯოყო-ლაზე ვერ ვიტყვით — ის, რომ მონინაალმდეგე ეთნოსის წარმომადგენლები „რჯულძალლები“ და არაადამიანები არ არიან, რაც ალუდამ ძლიერი შინაგანი ძვრების შედეგად აღმოაჩინა, ჯოყოლასთვის თავიდანვე და თავისთავადვე ცხადია. ჯოყოლას ადამიანური არსი კი არ იცვლება, არამედ ვლინდება დაძაბულ სიტუაციებში.

სულის სირთულის, სიფაქიზის მიუხედავად ჯოყოლა მონოლითური პიროვნებაა, რომელსაც ბოლომდე მყარად წამს საკუთარი პოზიციის სისწორე თემთან კონფლიქტში. მისგან განსხვავებით აღაზას შინაგან ძალასთან ერთად სისუსტეც ახასიათებს, ის როგორც ქალი უფრო მეტად არის დამოუკიდებული სხვების, საზოგადოების აზრზე, რაც მისი სახის მხატვრული სიმართლის და ინდივიდუალურობის საყრდენია. აღაზა თავისთავში ატარებს თემის ცნობიერებას, მის თვალთახედვას და ამ თვალთახედვითაც აღიქვამს და აფასებს საკუთარ ფიქრებს, განცდებს, ქმედებებს. თემის შიში, თემის წინაშე სირცხვილი მას თავისი შინასამყაროს სილრმიდან ეძალება და ტანჯავს, ფანტასმაგორიის სახეს იღებს და ასე ატყდება თავს. მისი სულიერი თავისუფლება, მოკლული ზვიადაურისადმი მისი თანაგრძნობა და მზრუნ-ველობა მითუთრო ნამდვილი და ფასეულია, რომ ხორცს ისხამს დიდი შინაგანი წინაალმდეგობების გამოვლის, კონფ-

ლიქტების გადატანის ხარჯზე. აღაზას საშინელი მარტოობა, მის მიერ თავისი საქციელის მონანიება, ამ სათუთი არსების უმწეობა და სასოწარკვეთა ავი, ულმობელი სამყაროს პირისპირ, რომელსაც მდინარის საზარელი ხატი ასახიერებს, ყველაფერზე უფრო მტკივნეულად გვაგრძნობინებს ამქვეყნად ჰუმანისტური ღირებულებების და იდეალის ტრაგიკულ განწირულებას. პოემის პერსონაჟთა შორის ყველაზე მრავალფეროვანი ემოციების აღმძვრელი აღაზას სახეა — ეს არის არამარტო სიმპათია და ალტაცება, არამედ მწვავე სიბრალული და დანანებაც. აღაზას ბუნებას და ხვედრს ირეკლაბს უფასერულის პირას ამოსული პირიმზის ხატი — ცხოვრების სისასტიკე განადგურებით ემუქრება ფაქიზ ადამიანურობას, კეთილშობილ, მშვენიერ ადამიანურ გრძნობებს და მისწრაფებებს.

თუ ჯოყოლა და აღაზა ძნელი ზნეობრივი არჩევანის წინაშე დგებიან, — როგორ მოექცნენ კაცს, რომელსაც მათ უმასპინძლეს, ის კი მათი უახლოესი ადამიანის მკვლელი გამოდგა, ზვიადაურის წინაშე მარტივი არჩევანია — გარდაუვალი სიკვდილის პირისპირ სიმტკიცის შენარჩუნება ან სულიერი დაცემა. რეალურად ასეთი ალტერნატივა ზვიადაურისთვის არც არსებობს. იმისთვის, რომ საშუალება არ მისცეს თავის მტრებს არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც მოკლან, მას მხოლოდ ის ჭირდება, იყოს ვინც არის — ძლიერი, უშიშმარი, მტრის მოძულე მეომარი. შესაძლოა, ზვიადაურს შინაგანი ძალა და გამძლეობა შემატა ჯოყოლას თავგანწირულმა ერთგულებამ მის მიმართ; სხვა რომ არაფერი იყოს, იგი ჯოყოლას ვერ ჩამორჩება ვაჟვაცობაში, მის თვალში ვერ შეირცხვენს თავს. ზვიადაურის სახე ყველაზე უფრო პერიოკულია და ყველაზე ნაკლებად ტრაგიკულია ნაწარმოებში.

ზვიადაურის სიკვდილის ეპიზოდში უფრო რთულად გამოიკვეთება მასის სახე, რომელიც ჯოყოლას ოჯახზე თავდასხმისას ერთმნიშვნელოვნად წარმოჩნდება როგორც აგრესიული, შურისძიების ჟინით შეპყრობილი ბრბო. ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვის სცენაში ვლინდება, რომ ქისტთა თემისთვის მტრის სიძულვილი, მტერზე შურისძიება უზენაესი და შეუვალი რელიგიურ-ეთიკური კანონია („მაგრამ მტერს მტრულად მოექე, თვითონ უფალმა ბრძანაო“) და

მისი შეუთავსებლობა ჰუმანურ პრინციპებთან შეადგენს კიდევ ნაწარმოების გამოუვალ, ტრაგიკულ კონფლიქტს.

ამ სცენაში მასა აგრესის და შურისმაძიებლობის გარდა მტრის ვაჟკაცობის დაფასების და თავისი ქმედების გამო სინანულის განცდის უნარსაც ავლენს. მაგრამ იგი ადვილად იხშობს კეთილშობილ იმპულსებს იმით, რომ საკუთარ თავში კვლავ მტრის სიძულვილს აღვივებს — ვაჟა ხედავს, რომ მასას ზნეობრივი განწმენდა და გარდაქმნა, სინდისის კარნახით არსებობა არ შეუძლია; ეს შეუძლია მხოლოდ ავტონომიურ პიროვნებას; ხოლო მასა ამგვარ პიროვნებათა ზეგავლენის წყალობით თუ განიცდის სასიკეთო ზნეობრივ ცვლილებას. ზვიადაურის მოკვლის ეპიზოდი ცხადყოფს დიდი, დესტრუქციული ფიზიკური და ფინანსურული ძალით აღჭურვილი მასის უძლურებას ლირსეული პიროვნების წინაშე.

ღორბა პიროვნებათაშორისი თანაზიარობის და ერთგული სოლიდარობის უმაღლეს ფასეულობად დასახვა „სტუმარ-მასპინძელს“ გენეტიკურად „ვეფხისტყაოსანთან“ აკავშირებს. „სტუმარ-მასპინძელში“, ისევე როგორც რუსთაველის პოემაში, ეთნიკური განსხვავებულობა ხელს არ უშლის ადამიანებს, სწრაფად გადალახონ სიუცხოვე იმის წყალობით, რომ ერთბაშად გრძნობენ სულიერ ნათესაობას ერთმანეთთან და ერთმანეთისთვის შეუცვლელად ძვირფასები ხდებიან. „სტუმარ-მასპინძელში“ ტრაგიკული კუთხით გარდატეხილი, ამქვეყნად განუხორციელებელი სახით წარმოდგება ადამიანთა საყოველთაო, უნივერსალური სოლიდარობის და სიყვარულის იდეალი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ხორცშესხმულ და ძლევამოსილ რეალობად გვევლინება.

2005

გამაერთიანებელი ტანჯვა

ადამიანის სულიერი ფერისცვალება, რომელიც ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურშია“ წარმოსახული, უცნაურია თავისი რადიკალურობით — გამოცდილი, მრავალი მტრის მომკვლელი მეომარი, მტრული ეთნოსის და სარწმუნოების მიმართ ფანატიკური სიძულვილით და ზიზღით გაჟღენითილი კაცი მორიგი მხედრული ფათერაკის შემდეგ უცაბედად იმსჭვალება ადამიანთა მოდგმის ერთიანობის შეგნებით და უნივერსალური რელიგიურობით; შეიძაგებს ცხოვრების აგრესიულ წესს, სისასტიკეს, სისხლისლვრას, რაც მანამდე არამარტო სრულიად ბუნებრივი იყო მისთვის, არამედ სიქველედაც ეთვლებოდა, და მკაცრი ტრადიციებით, დოგმებით შემოსალტული, ერთსახოვანი საზოგადოების ორგანული ელემენტი დამოუკიდებელ, ჰუმანურ პიროვნებად გარდაიქმნება...

და მაინც, უცნაურობის მიუხედავად ალუდას ფერისცვალება მთლიანად დამაჯერებელია. როგორ მიიღწევა ეს? რაღაც ხდება არაჩვეულებრივი, რაც ალუდას ცნობიერებას ისე შეცვლის, რომ მასზეც შეიძლება ითქვას „გველის მჭამელში“ მინდიას შესახებ ნათქვამი: „ახალად სული ჩაედგა, ახალად ხორცი აესხა, გულის ხედვა და თვალების, როგორც ყრუს და ბრმას გაეხსნა“. რაღაც განსაკუთრებული იმპულსია აუცილებელი იმისთვის, რომ მკვლელს მოკლული — „ურჯულო“, თითქმის არაადამიანი — ისე ძლიერად შეებრალოს და შეუყვარდეს, რომ „თავის ლამაზ ძმად“ მიიჩნიოს იგი.

ალუდას მეტამორფოზის ძირი ის არის, რაც მან მუცალთან ორთაბრძოლისას იგრძნო. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმას, რომ ალუდა მოხიბლა მუცალის ვაჟკაცობამ და ასე დაინახა მტერში ადამიანი, თავისი მსგავსი. მუცალის ვაჟკაცობა მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალუდაზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ალუდას შინაგანი გარდაქმნის მთავარი სტიმული.

იმის გარდა, რომ ალუდა და მუცალი ერთნაირად ძლიერი, უშიშარი და შეუბოვარი მებრძოლები არიან, ისინი ერთნაირ შეურიგებლობას და მძულვარებას იჩენენ მოწინააღმდეგის სარწმუნოების მიმართ. ამ ნიშნით მათი პარადოქსუ-

ლი მსგავსება იმდენად სრულია, რომ თითქოს ერთმანეთის ორეულებად აქცევს მტრებს. ორთაბრძოლის პარალელურად მიმდინარე სიტყვიერ დუელში მათი რეპლიკები აბსოლუტურად ურთიერთმსგავსია. ყველაზე მეტად ამ რეპლიკებს ამსგავსებს მიმართვა „რჯულ-ძაღლო“ — ალუდა და მუცალი ერთი და იმავე სიტყვით გამოხატავენ ერთნაირ, შეუწყნარებელ და ზიზღიან დამოკიდებულებას მტრის რელიგიისადმი. ეს საშინელი სიტყვა ტყვიასავით ზუზუნებს და ტყვიების მოძრაობას სდევს თან.

„... — არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! — მუცალი ეუბნებოდა. — ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო, ყმასა გუდანის ჯვრისასა... — არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო? — ისევ ეძახის იმასა. — მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...“.

მუცალთან ორთაბრძოლის შემდეგ ალუდას მსოფლხედვაში მომხდარი გარდატეხის შინაარსს უპირველესად იმის შეცნობა შეადგენს, რომ ადამიანების გამიჯვნა — რჯულიანებად და ურჯულოებად, ღმერთის მადლით მოსილებად და ღმერთისგან მოძულებულებად, სრულფასოვნებად და არა-სრულფასოვნებად — არასწორია. და ალუდა ამ დასკვნას აკეთებს იმის საფუძველზეც, რომ მისი და მუცალის დამოკიდებულება ერთამანეთის რელიგიისადმი სავსებით მსგავსია, ერთნაირია: მუცალი ისევე სასტიკად იცავს თავისი სარწმუნოების უპირატესობას და ძულს მტრის რელიგია, როგორც ალუდა იცავს თავის ერთადერთ ჭეშმარიტ რჯულს და ძულს მუცალის რელიგია; მტრების პოზიციათა ეს აბსურდული მსგავსება, ერთგვარობაა სამყაროსთან ასეთი მიმართების სისწორეში დამატვებელი, მისი შემარყეველი.

შატილში დაბრუნებული ალუდა ხევსურებს მოუთხრობს მუცალთან ბრძოლის ამბავს და მისთვის მტკივნეული გასახსენებელია, რომ მუცალი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წამსაც რჯულს უგინებდა მას: „სულს არ აცლიდა ამოსვლას, კიდევ მიხსენა რჯულია“. ალუდა თავისთავს ცხობს მუცალში, თავის მცდარ თვალთახედვას ცნობს მუცალის თვალთახედვაში — მან ხომ თვითონაც არაერთხელ ზუსტად ასევე აუგად უხსენა რჯული მუცალს. ამიტომ მოსდევს უშუალოდ ამას დაკანონებულ თვალსაზრისში ღრმა დაეჭვების და ამასთანავე ახალი მრჩამსის კონტურის გამომკვეთი ალუდას

განსჯა: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი; ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი. ამის თქმით ვწარამარაობთ, ღვთისძვილთ უკეთეს იციან. ყველანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰეფიციან?!“.

აქეთკენ ალუდას ცნობიერებას, უპირველესად კი ქვე-ცნობიერებას კიდევ უფრო მძლავრად წარმართავს აგრეთვე სხვა რამ, რაც მუცალთან ორთაბრძოლისას იხილა და განიცადა. ეს არის მუცალის აგონია.

ლიტერატურისმცოდნებს შემჩნეული აქვთ ამ მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელოვნება (თამაზ ჩხენკელი, გურამ ასათიანი). ეს მნიშვნელოვნება დასტურდება იმით, რომ ალუდა თავიდან ვერ იცილებს მოგონებას მუცალის სიკვდილის შესახებ — იგი დრამატულად გახმიანდება ალუდას საუბარში ხევსურებთან, მტკიცნეულად ამოტივტივდება ალუდას სიზმარში.

რით არის ეს მომენტი საგანგებო მნიშვნელობის მქონე, როგორ აძლევს იმპულსას ალუდას ფერისცვალებას?

„მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰყარგავს მგლისასა. მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია მწვანეს ბალახსა მთისასა.“.

აი, ეს სურათი ახსენდება ხოლმე შემდეგ ალუდას — ის დაუგინებარია იმის გამო, რომ საშინელი სიცხადით აჩენს სიცოცხლის უმძაფრეს წყურვილს, ნებას და სიკვდილის ასევე უმძაფრეს არნდომას, სასტიკ სასიკვდილო ტანჯვას. მუცალის უჩვეულო, სასონარევეთილი უესტი — ბალახის მოგლე-ჯა და ჭრილობაში ჩაფენა — სულისშემძვრელია, მასში ერთ-ბაშად ხდება ხილული სიცოცხლესთან განშორების ტკივილის განუზომელი სიღრმე. და ეს არაჩვეულებრივად მეტყველი, ტრაგიკული უესტი დაანახებს და აგრძნობინებს ალუდას, — პირველად მის ცხოვრებაში — რა საზარელია სიკვდილი, სიცოცხლესთან გაყრა. ამიტომ იგი იგრძნობს იმასაც, რა საშინელებაა სიცოცხლე წაართვა სხვა ადამიანს, იყო მკვლელი. ხოლო ყოველივე ეს მითუფრო მკვეთრად განიცდება ალუდას მიერ, რომ კვდება მასავით ძლიერი ადამიანი, გამორჩეული მეომარი.

სწორედ ამ მძიმე შთაბეჭდილებით არის სიღრმისეულად მოტივირებული, მასთან კავშირშია ბუნებრივი და გასაგები

ალუდას შინაგანი მეტამორფოზის ისეთი არსებითი მხარე, როგორიცაა კაცისკვლის, სისხლისღვრის შეზიზღება. მტრობაზე, აგრესიაზე, სისხლიან შურისძიებაზე დამყარებული ცხოვრებისადმი ალუდას ზიზღი მჟღავნდება მის კოშმარულ ხილვებში და სიზმარში. მუცალის მოკვლის შემდეგ შატილისკენ მიმავალ ალუდას ადამიანების აგრესიული არსებობა ასე წარმოესახება: „ვისაც მტერობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითონაც შიგვე მდგარია. ღვინოდაც იმას დაჰლევდეს, პურადაც მოსახმარია. პირჯვარი დაიწეროდის, მითამ საყდარში არია. სისხლშია ჰქინდეს ქორნილი, იქ დაიწეროს ჯვარია, დაიპატიუოს სტუმრები, დაამწკრიოდის ჯარია, სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაიწვინოს ცალია, ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია. იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია. შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია!“.

ასეთია უნინარესად თვით ალუდას ცხოვრება, აგრეთვე მისი ყველაზე მოსალოდნელი დასასრული და ამაზე მას მუცალის მოკვლის შემდეგ ეხილება თვალი. ეს შემზარავი ხილვები ბუნებრივად აღმოცენდება იმ კაცის ქვეცნობიერებაში, ვინც ახლახან მოკლა სხვა კაცი, სიცოცხლესთან განშორების ტანჯვის მონმე გახდა და შეაძრნუნა მკვლელობის ცოდვამ. ალუდას კოშმარი ამ მწვავე განცდების უშუალო ანარეკლია.

სიზმარში კი ალუდას, რომელიც კვლავ სალაშქროდ წასვლას, ანუ სისხლისღვრის, კაცისკვლის გაგრძელებას აპირებს, თავისთავი ადამიანის ხორცის მჭამელად ევლინება; კაცისკვლა ესახება მას კაციჭამიობად და ეს დაკავშირებულია მუცალის მოკვლის, მისი აგონიის საშინელ ხსოვნასთან. „ერთ წამს ხელ ვინამ დამტაცა, ტარი ჩამიდვა ხანჯრისა. შავხედენ, მუცალი იყო, ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა, გულზედ ემჩნივა ნიშანი მე-დ იმის ბრძოლის წამისა, ეფინა წატყვიარშია ლეგა საფევი ბრძამისა. კლდედ იდგა, გაუტეხლადა, ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა. მინდა სიკვდილი, არ ვკვდები, მამკალო, მითხრა ხვეწნითა. თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა, დაძელით, ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.

მუცალი სიზმარში ჩნდება იმ სახით, რომელიც ალუდას ზარავს — ჭრილობაში ჩაფენილი ბალახით, რაც კიდევ ერთ-ხელ აგრძნობინებს ალუდას, რომ იგი მუცალისთვის სასიკვდილო ტანჯვის მიმყენებელია, მისი სიცოცხლის მომსპობია. ეს გრძნობა აუტანელი სიმძიმით თრგუნავს ალუდას: მუცალი მას ხელში ხანჯალს უდებს და როგორც განაფული და სისხლმოწყურებული მკვლელისგან, სიკვდილს ითხოვს მისგან (აქ, ალბათ, მომაკვდავი მუცალის მიერ ალუდასთვის თოფის დატოვებაა გარდატეხილი). ასე რომ, სიზმარში ალუდამ ხელმეორედ უნდა ჩაიდინოს ის, რაც ასე ანამებს, ხელახლა უნდა მოკლას მუცალი, რომლის აგონია, სულთმობრძაობის ტანჯვა თითქოს უსასრულოდ გრძელდება, აღარ მთავრდება (“მინდა სიკვდილი, არ ვკვდები”). აქ რელიეფურად ჩანს, რა ღრმა ტკივილით განიცადა ალუდამ მუცალის აგონია, როგორ აწუხებს, რომ მუცალისთვის სიცოცხლის წამრთმევია.

სიზმარში ნანახი მუცალი არსებითად განსხვავდება ნამდვილისგან. რეალობაში „მუცალს არ სწადის სიკვდილი“, სიმწრით, ტანჯვით ებლაუჭება სიცოცხლეს და მომაკვდავიც აგრძელებს ბრძოლას, სიზმარში კი იგი თვითონ ეძებს სიკვდილს, რათა სხვებს (ზევსურებს) დაუტოვოს ეს სამყარო — სისხლისღვრის ასპარეზი. ალუდას სიზმარში მომხდარი მუცალის გარდასახვის ეს ზედმიწევნით ზუსტი კონტრასტულობა რეალობის მიმართ იმას მოწმობს, რომ ორთაბრძოლისას ალუდა გულისტკივილით ამჩნევს მომაკვდავი მონინააღმდეგის მიერ სიცოცხლის მძლავრი ნების გამოვლენას, სიკვდილისგან მის მძლავრ განზიდვას.

ალუდა არამარტო თვითონ განიცდის ზნეობრივ კათარზისს, არამედ მუცალსაც უფრო აკეთილშობილებს, ამაღლებს. არ ღირს ისეთ სიცოცხლეზე გამნარებით მოჭიდება, ისეთ სიცოცხლესთან განშორების გამო ტანჯვა, ისეთ სიცოცხლეში მონანილეობა, რომლის არსიც „ლაშერობით, ხმლების ქნევით ძლომაა“, კაციჭამიობაა — ასეთია მუცალის სიზმრისეული მეტამორფოზის აზრი. მუცალი აქ ალუდას ორეულია, რომელიც მის იდუმალ სათქმელს ამბობს, მისი შინასამყაროს საუკეთესო საწყისს — სინდისს განასახიერებს. ისინი ერთნი არიან, ერთ არსებას ქმნიან. ასე ახლობელი გახადა მუცალი ალუდასთვის მისი სასიკვდილო ტანჯ-

ვის გაზიარებამ. ეს გაზიარებული ტანჯვა თავისთავშივე, თავის არსებაშივე აღმოჩენინებს ალუდას მცნებას „არა კაც ჰქონა“, განაშორებს მას კაცისკვლის საზარელ ცოდვას.

მუცალთან ალუდას სულიერი გამთლიანება სიზმრამ-დეც, ცხადშიც მუღავნდება. ალუდა უამბობს ხევსურებს, როგორ მოკვდა მუცალი:

„...მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა გაუნაძოძა გულია, ნატყ-ვიარს ბრძამით იფევდა, ისრე დალია სულია“.

დიდი ტკივილი, თანაგრძნობა გამოსჭვივის ალუდას თხრობაში. განსაკუთრებით სიტყვა „გაუნაძოძა“ აღიქურ-ვება ტკივილიანი ექსპრესით. ალუდა შინაგანად განიცდის მუცალის კვდომას, შინაგანად შეიგრძნობს იმას, რაც არ შეიძლება ფიზიკურად შეიგრძნოს ან დაინახოს — როგორ უგლეჯს მუცალს ტყვია გულს. ალუდაზე, როგორც ჩანს, მძაფრი ემოციური ზემოქმედება მოახდინა სასიკვდილოდ დაჭრილი მუცალის განწირულმა შეძახილმაც: „გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძალლო“. ეს შეძახილი იმასვე გამოხა-ტავს, რასაც ჭრილობიდან სისხლდენის შეკავების სასოწარ-კვეთილი ცდა — სიცოცხლესთან გაყრის სიმწარეს.

შოპენჰაუერის თვალსაზრისის მიხედვით, თანაგრძნობა, თანალმობა ყველა ადამიანის სიღრმისეული ერთიანობის ინტუიტური წვდომაა; თანაგრძნობის საზრისი იმის უშუალო განვითარება, რომ სიცოცხლის ნება, რომლის შეფერხება და დათრგუნვა იწვევს ტანჯვას, ადამიანებში ერთიანია, საერთოა.

სიცოცხლის წყურვილი, ნება და ამ ნების ალკვეთის ტან-ჯვა, რომელიც ვლინდება მუცალის სულისშემძრავ აგონია-ში, მუცალის ვაჟკაცობასთან ერთად, აგრძნობინებს ალუ-დას მომაკვდავთან შინაგან ერთიანობას, არსისმიერ ნათე-საობას და მსგავსებას. ამის გამოა, რომ მუცალის სიკვდი-ლისთანავე, თანაგრძნობის ცრემლით მისი დატირებისას, ალუდა მას თავის მსგავს სრულფასოვან ადამიანად აღია-რებს — „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხოვნოს მკვდარია“ — და არ ასრულებს მის მიმართ მარჯვენის მოჭ-რის უადამიანო წესს. „ურჯულოს“, „რჯულძალლის“ ცხონე-ბა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ისიც ისეთივე ღვთისშვილია, როგორიც ალუდა, რომ ორივენი ეკუთვნიან ადამიანთა ერ-თიან მოდგმას, რომელსაც ერთი ღმერთი ჰყავს. შემდეგ

ალუდა ამ გუმანით ნაგრძობ, ჯერ კიდევ მკაფიოდ გაუცნობიერებელ და განუზოგადებელ ჭეშმარიტებას უკვე მკვეთრად გააზრებული და განზოგადებული სახით გამოთქვამს ხევსურებთან დიალოგში („ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ...“), ხოლო საბოლოოდ „თავის ლამაზ ძმას“ უწოდებს მუცალს; ანუ იგი უახლოესი ადამიანივით შეიყვარებს მტერს და შეძლებს თავისებურად შეასრულოს განსაკუთრებით ძნელად შესასრულებელი ქრისტიანული მცნება: „გიყვარდეთ მტერნი თქვენი“.

სიცოცხლის ნება და სიკვდილის ტკივილი ადამიანთა უღრმესი, ყველაზე უნივერსალური თვისებებია. ვაჟა-ფშაველა წერს: „ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული... მთელი კაცობრიობა, ჩვენი პლანეტის მცხოვრები, რამდენიმე მოდგმად განიყოფებიან, ხოლო მოდგმანი ერებად. ყოველივე ერი შესდგება ადამიანებისაგან, რომელნიც განირჩევიან ისევ ერთიერთმანეთი-საგან სახიერებით, გონებრივი და სულიერი თვისებებით. საერთო თვისებაც სუფევს მათ შორის, და არა მარტო ერთი ერის ინდივიდებს, არამედ მთელს ხმელეთის მცხოვრებთაც შეგვიძლიან უპოვნოთ საერთო რამ, აი, თუნდაც, მაგალითად, სიყვარული სიცოცხლისა და მწუხარება სიკვდილისა გამო...“.

უპირველესად სიცოცხლის საყოველთაო ნებასთან და სიკვდილის საყოველთაო ტრაგიკულობასთან — მთელი კაცობრიობისთვის საზიარო ფენომენებთან შეხებით აღმოაჩენს ალუდა „ურჯულო“ მტერში ადამიანს, აღმოაჩენს ადამიანთა ერთიანობას და ყველასთვის ერთ, ქრისტიანულად კაცთმოყვარე ღმერთს, რომლისთვისაც ეთნოსის და კონფესიის განურჩევლად ყველა ადამიანი ძვირფასია. ეს აქცევს ალუდას შინაგანად თავისუფალ, სულიერად ღრმა პიროვნებად.

1996

სხვა სიმართლე

თუმცა „ბახტრიონი“ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ საუკეთე-სო ეპიკურ ნაწარმოებადაა მიჩნეული და მას „ალუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „გველის მჭამელის“ გვერდით აყენებენ, მაინც იგი, ჩვეულებრივ, იზოლირებუ-ლად, ამ პოემების არსებითი და ღრმა სათქმელისგან მოწყ-ვეტილად არის ხოლმე განხილული. როგორლაც ისე გამო-დის, რომ რაკი პოემა პატრიოტულ გრძნობას და იდეას გამოხატავს, მის აზრობრივ წყობაში საინტერესო ბევრი არაფერია.

სინამდვილეში „ბახტრიონის“ აზრობრივ-მხატვრული კონცეფცია საკმაოდ რთულია და ვაჟას ყველაზე მნიშვნე-ლოვანი პოემების კონცეფციათა მსგავსად დაყრდნობილია ისეთ ურთიერთშეპირისპირებულ ზნეობრივ-მსოფლმხედვე-ლობრივ კატეგორიებზე, როგორიცაა დაუნდობლობა და სიბრალული, საზოგადოებრივი თავდაცვის, თვითშენარჩუ-ნების ინტერესები და მორალური იდეალი, ჰუმანიზმი, მასა და ავტონომიური პიროვნება. ოღონდ „ბახტრიონში“, სხვა პოემებისგან განსხვავებით, ამ საწყისებს შორის ტრაგიკუ-ლი კოლიზია არ ნარმოიშობა. მათი ურთიერთმიმართების დაძაბულობა შერბილებული და არათვალშისაცემია ძლევა-მოსილი საერთო-სახალხო შეკავშირების მონუმენტურ სუ-რათში; მაგრამ თუმცა წინააღმდეგობები შენელებულია, ისინი ჰარმონიზებული არ არის.

ორგვარად წარმოდგება „ბახტრიონში“ მასა.

ერთი მხრივ, ეს არის ზნეობრივი მიზნით გამთლიანე-ბული ხალხი. მას წარმართავს მისწრავება, იხნას ქვეყანა და თანამემამულებები ტანჯვისგან, დამცირებისგან, თავისუფ-ლება და ღირსება დაუბრუნოს მათ. ვაჟა ქმნის ადამიანთა ერთსულოვნებით აღვსების, ერთი კეთილშობილი ვნებით გამსჭვალვის დიდებულ, ამაღლებულ ხატს.

ხალხის მთავარი გამამთლიანებელი ძალა რელიგიურო-ბაა — ძალიან ინტენსიური, ღვთაების დიდი სიახლოვით გან-მცდელი. ეს ღვთაება განყენებული და ტრანსცენდენტური კი არ არის, არამედ თითქოს ამ ხალხის სხეულში ბინადრობს და მისი ცოცხალი სულია, ნებაა. ეს არის „ნაციონალური

ლმერთი”, რომელიც იდეალური მეომრის სახით წარმოიდგინება და როგორც მფარველი და წინამძღოლი თითქოს ხილულადაც ევლინება ხალხს. ამ ღვთაებასთან ზიარება იწვევს საერთო ენთუზიაზმს და მკაფიო გამოხატულებას ანიჭებს ხალხის შეკრულ ნებას. ახლა ეს ხალხი თავგანწირვის-თვის მზადმყოფია, ინდივიდთა კერძო, ვინრო ინტერესები ქრება და ყველა ზეინდივიდუალურ, ზნეობრივად ღირებულ მიზანსწრაფვას ემორჩილება. როგორც მასის ფსიქოლოგიის მკვლევარები აღნიშნავენ, სწორედ თავგანწირვისთვის მზადყოფნა და ინდივიდთა ეგოიზმის დაძლევა წარმოადგენს მასის პოზიტიურ თვისებას. ასეთ მასას ვაჟა აღტაცებული თანაგანცდით წარმოსახავს.

მასობრივი რელიგიური ექსტაზის, ხალხის ზეაწეული ერთსულოვნების წარმოჩენას მოსდევს შესანიშნავი მედიტაციური წიაღსვლა.

„ნეტავი ცეცხლი ციური, ვისაც კი გულში ჰნოებია, ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს, ისივაც ამოჳგზნებია! მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა, მით რომე სიცოცხლე უდგას სალის ყინულის ტახტზედა. არ ებრალება მოყვასი, მის წინ რო აცვან ჯვარზედა, ისე მოკვდება, ვერ შედგეს ერთ წამს ტრფობისა მთაზედა, შორს არის, მეტად შორს არის დაშორებული მაზედა. ჭაობში არის ჩაფლული, ვიცნობ მოწამლულს ხმაზედა. საზარელია დადგომა უგრძნობელობის გზაზედა!“.

თუ ეს ლირიკული მონოლოგი თავისი დასაწყისით უშუალოდ ეხმიანება მის წინ დახატულ მასის რელიგიური აღმაფრენის სურათს, მონოლოგის მომდევნო მონაკვეთში თავსდება პოემის პრობლემური ცენტრი, გამხელილია პოემის მთავარი შინაგანი თემა — სიბრალული და შეუბრალებლობა. ეპიზოდები, რომლებიც მოყვება ამ ლირიკულ-მედიტაციურ პასაჟს, მასში მონიშნულ პოემის სიღრმისეულ თემას ირეკლავს.

მასის განწყობილება სრულიად უეცრად და მოულოდნელად იცვლება. მოულოდნელობის შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ რელიგიურ ენთუზიაზმს ერთვის ხალხის აღფრთოვანება მთათა ვაჟკაცური სილამაზით, ამაყი მხედრული იერით. და აი, მასის ასეთი ამაღლებული და წმინდა გან-

წყობა უცბად იმღვრევა ეჭვით — თავისი ბუნებით მასა არა-
მყარი, სწრაფად ცვალებადია.

ასე იმიტომაც არის, რომ იგი ადვილად ექვემდებარება
ჩაგონებას. ხოშარეულის მიერ კვირიას გაუჩინარების გამო
გამოთქმული ეჭვი ერთბაშად გადაედება მას და სულ ცოტა
ხნის წინ ამაღლებულად განწყობილი ხალხი მოღალატის
მხილებას იწყებს. ე. კანეტის შეხედულებით, „მასის სიცოცხ-
ლის ყველაზე მკვეთრად შესამჩნევ ნიშნებს განეკუთვნება
ერთი რამ, რასაც დევნის იმპულსი შეიძლება ვუწოდოთ.
იგულისხმება განსაკუთრებული აგზნებადობა, მრისხანე გა-
ღიზიანება მათ მიმართ, ვინც ერთხელ და სამუდამოდ ცხად-
დება მტრად“. განუსჯელად და ნაჩქარევად სდებს ხალხი
კვირიას ბრალად მოღალატეობას, გამყიდველობას. „ — რა
გაიგება, იქნება ბრიყვა გაგვყიდოს ფულზედა, ფიცი გატე-
ხოს უსირცხვოდ, ხელი აიღოს რჯულზედა, ცოცხლად დაგვ-
მარხოს, თვითონვე მიწა გვაყაროს გულზედა“. მსჯავრი, რო-
მელსაც მასა კვირიას განუმზადებს, მორალური სიკვდილის
ტოლფასია. სდება პიროვნების ღირსების დაუნდობელი
ხელყოფა.

ამ ვითარებაში ადამიანის დამცველი ლუხუმია. მისი გო-
ნიერება და გულისხმიერება მკვეთრ კონტრასტს ქმნის მა-
სის იმპულსურობასთან და პიროვნების მიმართ უგრძნობ-
ლობასთან. ლუხუმისთვის ამოსავალია არა ფაქტი, შემთხვე-
ვა (კვირია სადღაც გაქრა), არამედ პიროვნების ინდივიდუა-
ლობა: „კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ, მაგის მეტ არ გაქვთ
შნოება?“. კვირიას ტრაგიკულ-წინასწარმეტყველური, ღრმა
აღსარებითი განცდით მოთხრობილი სიზმრის გულისხმიე-
რად მომსმენს ამ ადამიანში (რომელსაც თავის განირვა აქვს
განზრაცხული) ეჭვი არ უნდა შეეპაროს. სიზმარს ყველანი ის-
მენენ, კვირიას შინაგან ბუნებას კი მხოლოდ ლუხუმი წვდე-
ბა. ლუხუმის თქმით, ასეთი საზიზღარი ღალატი — საკუ-
თარი ხალხის საომრად გამოყვანა და მტრის ხაფანგში შეტ-
ყუება — უმაგალითო და დაუჯერებელია, ხალხმა კი ეს წარ-
მოუდგენელი რამ ადვილად, ყოველგვარი საფუძვლის გარე-
შე ირწმუნა და დაუნანებლად აბრალებს ადამიანს საშინელი
დანაშაულის ჩადენას. ლუხუმი არცხვენს ხალხს იმის გამო,
რომ იგი ერთსულოვნების და ექსტაზის დიდებულ ჟამს მდა-
ბალი ეჭვებით ბლალავს, „დიაცეპრი ჭორებით“ შეურაცხ-

ყოფს ბუნების სისალეს და სიდიადეს. „რად არ გაჰედნებთ, ბრიყვებო, ჩვენის სამშობლოს გორებსა?!“.

ლუხუმი ხედავს, რომ მოღალატის ძიების სარჩული შიშია („თავის ფიქრიდგამ შემკრთალთა ეხლავ მოგვიდათ ცხროება?“), რომელსაც დაბნეულობა და არევ-დარევა მოსდევს. ლუხუმი არ დაუმვებს მოვლენათა ასეთ განვითარებას, ისევე იოლად აქცევს ხალხს თავისი ზეგავლენის ქვეშ, როგორც მანამდე — ხოშარეული. მალე ხალხი აცნობიერებს, რომ კვირია ტყუილუბრალოდ გაუმეტებია ასე სასტიკად. — არა, ტყუილად ნუ ვიტყვით, ცოდოს ნუ ვიდებთ კისრადა, მშვილდზე ნუ ვაგებთ კვირიას, ნუ ვათამაშებთ ისრადა!“.

ლუხუმის სასიკეთო ზეგავლენა რომ არა, მასა პიროვნების ულმობელი შერისხვისთვის, „ერთხელ და სამუდამოდ მტრად გამოცხადებისთვის“ იყო მომართული. ლუხუმი შეაჩერებს „უგრძნობელობის გზაზე“ დამდგარ ხალხს.

უგრძნობლობის, შეუბრალებლობის თემა ახლავს წინოლას ამბავსაც. ბრძოლის ველიდან გაქცეულ წინოლას საზარელი ძალით ატყდება თავს საზოგადოების ზიზღი — ამიერიდან ის მორალური და სოციალური თვალსაზრისით არარაობაა, საზოგადოებისგან გარიყულია. ხალხის დამოკიდებულება მის მიმართ ძალიან მყაცრია, მაგრამ სამართლიანი. ოლონდ სიმკაცრე უკვე დაუნდობლობად გვევლინება იმის შემდეგ, რაც წინოლა თავს ჩამოიხრჩობს და გამოისყიდის თავის სისუსტეს და შეცოდებას. ბუნებრივი და მოსალლოდნელია, რომ ამან ხალხის რისხვა დააცხროს, ადამიანები უფრო ლმობიერი გახადოს. მაგრამ ხალხის გულს ვერც ბრალეულის ტანჯული სიკვდილი ალბობს და მის გვამს იგი ძალლებს უგდებს საჯიჯგნად. „თასი დაღვარეს ხატშია, ახლოს მიუდგეს არვინა, წინოლას დანაშაული ანეულია ცამდინა, დაამცრო ჩვენი სახელი, მთელს ლაშქარს გული ატკინა. არც ვინ სამარეს გაუთხრის, არც ვინ შეუკრავს კუბოსა, მარტომ იტიროს დედამა, ცრემლი წინ დაიგუბოსა!“. წინოლას დედის მოთქმაშიც უფრო სირცხვილი და შვილისადმი სიმკაცრეც კი იგრძნობა, ვიდრე შვილის სიკვდილის სიმწარე, რადგან ის იძულებულია გლოვის დროსაც ანგარიში გაუნიოს თემის შეუვალ ულმობლობას. ამ შემთხვევაში თემის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მას „არ ებრალება მოყვასი, მის წინ რო აცვან ჯვარზედა“. ერთადერთი კაცი, რომელიც

შინაგანად არ გაიზიარებდა ხალხის გასასტიკებულ დამოკიდებულებას თავისი შეცოდების სიკვდილით გამომსყიდველი ადამიანისადმი, ლუხუმია, ომის შემდეგ გაუჩინარებული.

„ბახტრიონში“ ზუსტად, დანაწევრებულად არის გააზრებული და წარმოჩენილი, რის წყალობით ახერხებენ მთიელები ირანელების ბატონობისგან კახეთის დახსნას, რა განაპირობებს მთიელთა საზოგადოების განსაკუთრებულ სიძლიერეს. მისი საწინდარი სპეციფიკური და თემის მონოლითად შემკვრელი რელიგიურობის გარდა არის მკვეთრი სოციალური მორალი. იგი, ერთი მხრივ, აწესებს გმირების და გმირობის კულტს, განუზომელი დიდებით აჯილდოებს მხედრულ სიქველეს და თავდადებას და ამით ქმედით სტიმულს აძლევს ინდივიდს, იყოს ისეთი და მოიქცეს ისე, რომ ასე ძვირად-ღირებული სოციალური აღიარება მოიპოვოს. მეორე მხრივ, მთიელთა სოციალური მორალი მოიცავს უმკაცრეს სანქციებს ინდივიდის მიმართ სოციალური მოვალეობის შეუსრულებლობისთვის აუტანელი ზიზღის, შერცხვენის და საზოგადოებისგან მოკვეთის სახით. ეს, როგორც დავინახეთ, გულქვაობაში და სისასტიკეშიც შეიძლება გადაიზარდოს, მაგრამ თავისთავად, „ბახტრიონის“ მიხედვით, აუცილებელია, რადგან საზოგადოებას თვითშენარჩუნების ძალას მატებს.

მთიელთა მორალი ამკვიდრებს შურისძიების კანონს, მტრის მიმართ განსაკუთრებულ, ულმობელ სიძულვილს და შეურიგებლობას. ეს ძალიან მძაფრად ჩანს სანათას, ლელას, კვირიას სახეებში. „ბახტრიონში“ შურისძიების ჟინი და მტრის დაუნდობელი სიძულვილი ბუნებრივი, ადეკვატური ემოციური პასუხია იმ უადამიანო სისასტიკეზე, რომელსაც ირანელები იჩენენ საქართველოში და რომელიც პოემაში საგანგებოდ არის აქცენტირებული. შურისგების ეს მწვავე წადილი და სიძულვილი საბრძოლო ენერგიის, თავგანწირვის უნარის შემმატებელია. მაგალითად, შურისძიების წყურვილი უბიძვებს თავგანწირვისკენ ლელას, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ეს წყურვილი თავის მხრივ აღიძვრება თანაგრძობით ახლობლების ტანჯვისადმი, ხოლო სანათას შურისძიების წყურვილი — თანაგრძობით ქართველების მთელი მრავალსაუკუნოვანი ტანჯვა-წამებისადმი...

მტრისადმი სიძულვილის, ზიზღის, მისთვის სამაგიეროს გადახდის მოტივები თავს იყრის და, შეიძლება ითქვას, გარკვეულ იდეოლოგიად ყალიბდება ზეზვას თვალსაზრისში.

ლუხუმთან მისი პაექრობა როგორც თვით მის, ასევე ლუხუმის ბუნებას არსობრივად ავლენს და სიბრალულის და შეუბრალებლობის პრობლემასაც ყველაზე დრამატულად წამოჭრის.

ზეზვა იგონებს, როგორ „აცხეს ქადადა“ ლეკები და როგორ მოკვეთა მან ერთ ლეკს თავი. „— თავი გაგორდა მინაზე, ტუჩებმ დაუწყო კაპუნი, იტყოდი, სარეკელასა წისქვილზე გააქვ რაკუნი. შენ შაგებრალა ურჯულო, მოგინყლიანდა თვალები... უთუოდ, საით ენახვე, მოგაფურთხებდნენ ქალები. მე არ მებრალვის, ლუხუმო, მოუნათლავი აროდის, მაგათ სიწუნტის ნალველი ყელში დუღილით ამოდის. ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა? სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“.

უპირველესად ყურადღებას იქცევს, რომ ზეზვას მეტყველების ყაიდა ისეთია, თითქოს ლაპარაკი ადამიანს არ ეხებოდეს. ქადის ცხობა, სარეკელას რაკუნი წისქვილზე — ლეკების მიმართ ნახმარი ეს ირონიული გამოთქმები იმის ნიშანია, რომ ზეზვა მტერს ადამიანთა მოდგმის მიღმა წარმოიდგენს, მტერი მისთვის უსულო და კნინი საგნების ტოლფარდია.

ზეზვა ტკბება მტრის დამდაბლებით და განადგურებით. მტერი მას ზოოლოგიურ ზიზღს გვრის, მის ცნობიერებაში ამოტვითრულია საზიზღარი, საძაგელი „მტრის ხატი“. „ურჯულოსადმი“, „მოუნათლავისადმი“, ანუ ფაქტობრივად არა-ადამიანისადმი დამოკიდებულება გამორიცხავს რაიმე ჰუმანურ გრძნობას, მასზე არ ვრცელდება სიბრალული, რაკი ის თვითონ შეუბრალებელია ჩვენდამი. ზეზვას შეფასებით, ლუხუმის მიერ მტრის შებრალება საძრახისი და სამარცხვინოა, რადგან მტრისთვის განკუთვნილია არა სიბრალული, არამედ მხოლოდ სიკვდილი და ეს ღმერთის ნებაა — მტრისადმი შეუბრალებლობა, ზეზვას გაგებით, შეუვალი რელიგიურ-მორალური მცნებაა.

ზეზვას პოზიციის სისწორეს ადასტურებს თვით ცხოვრება; მტრის სისასტიკე, მისგან კახეთის უმოწყალო აკლება, რამაც მთიელები ერთად შეყარა ქვეყნის საშველად, უტყუა-

რომ ამტკიცებს, რომ ზეზვა მართალი იყო და არის; იგი ნიშნს უგებს ლუხუმს. ასეთ ფონზე ლუხუმი არაფერს თუ ვერაფერს პასუხობს ზეზვას. მაგრამ მისი დუმილი მარტო ამით არ არის გამოწვეული და არც მხოლოდ იმით, რომ დამპყრობლებთან დიდი, გადამწყვეტი ბრძოლის წინ ჰუმანიზმის ქადაგება აშკარა შეუსაბამობაა. მთავარია, რომ თავისი დუმილით ლუხუმი აღიარებს ზეზვას პოზიციის პრაქტიკულ მიზანშეწონილობას — ზეზვას სიტყვა მტრის სიძულვილით და ზიზლით მუხტავს საომრად გამზადებულ ჯარს და ამით მის საბრძოლო შემართებას განამტკიცებს.

ბახტრიონის აღების და მტრის ძლევის, სამართლიანი შურისგების აღსრულების სურათი სწორედ ზეზვას სულისკვეთებით იხატება, მტრისადმი სისასტიკე, მტრის შეუბრალებელი განადგურება ტკბობით არის განცდილი („ალაზნისაკე წავიდა ურჯულოს სისხლის ღვარია“; „გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა მტრი, უღმერთოდ დალია“; „აივსო თათრის ძვლებითა იმ ბახტრიონის არია, ციხე-გალავნად ეგება, ისე გამრავლდა მკვდარია“...).

თითქოს უკვე ყველაფერი გაირკვა, ზეზვას თვალსაზრისმა უდავო და სრული გამარჯვება მოიპოვა, ლუხუმმაც თითქოს უხმოდ ცნო მტრის შებრალების გაუმართლებლობა, დაეთანხმა იმას, რომ მისი აცრემლება მტრის სიკვდილის გამო სამარცხვინოა. ეს მოტივი თითქოს სავსებით ამოიწურა და გაქრა...

მაგრამ პოემის ფინალი ამ მოჩვენებითად მარტივ გარკვეულობას აქარწყლებს და ნაწარმოების კონცეპტუალურ შინაარსს აღრმავებს, აფაქიზებს.

პოემის მითოსური ფინალის შესახებ დამკვიდრებულია შეხედულება, რომ გველის მიერ მომაკვდავი ლუხუმის გადარჩენის მხატვრული მნიშვნელობა პატრიოტული თავდადების იდეის განდიდებაა. ეს იდეა აქ უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ამ სახის სათქმელის მასზე დაყვანა აღრიბებს მის პოეტურ საზრისს და, შესაბამისად, მთლიანად ნაწარმოების საზრისსაც.

ფინალური პასაჟი ერთიანად და თვალსაჩინოდ არის დაფუძნებული შეუბრალებლობის და სიბრალულის სიღრმისეულ თემაზე.

ვაჟა აქ წარმოსახავს სიბრალულს როგორც უნივერსალურ და სასწაულმოქმედ ძალას, რომელიც ძლევს თვით თითქოსდა ტოტალურ ბოროტებას. იგი გვევლინება ისეთ იდუმალ ფენომენად, როგორადაც მას შოპენჰაუერი ახასიათებს. სასტიკ მხეცში უცნაურად იღვიძებს სიბრალული, რომელიც მის მთელ არსებას ეუფლება. „ბევრის ცოდვების მოქმედსა გადაუბრუნდა გუნება, რა სიბრალულით იმსჭვალვის მისი გველური ბუნება!“.

ამ იდუმალებით მოცულ აქტს გარკვეული მოტივირება მაინც აქვს. თანაგრძნობის პირველი იმპულსი მონსტრს უჩინდება მომაკვდავი, სულთმობრძავი ადამიანის ხილვისას, სასიკვდილო ტანჯვის წინაშე, რომელშიც უკიდურესი სიმკვეთრით ვლინდება ადამიანების და საერთოდ ყველა ცოცხალი არსების ძირეული და ტრაგიკული ნათესაობა. ამგვარად დე აღიძვრება ალუდას სიბრალული მუცალისადმი, აღაზას სიბრალული ზვიადაურისადმი, თვით ლუხუმის სიბრალული მოკლული ლევისადმი; და მომაკვდავისადმი გაჩენილი გველის სიბრალულიც ისევე გადმოიღვრება ცრემლებად, როგორც ამ გმირების და, კერძოდ, ლუხუმის ასეთნაირადვე აღმოცენებული სიბრალული („თან მკერდს უსველებს მხედარსა ცრემლების ჩამოდენითა“).

რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი, რომ გველის სასწაულებრივ სიბრალულს იწვევს სწორედ ლუხუმი — ადამიანი, რომელიც სიბრალულის უჩვეულო უნარს ამჟღავნებს. თითქოს მინიშნებულიც არის, რომ გველი, ადამიანის ფანტაზიის მიერ სიბრძნით აღჭურვილი, შეიცნობს ლუხუმის ბუნებას, მის დიდ სიკეთეს და ეს ულრმავებს თანაგრძნობას („ზედ დააშტერდა სნეულსა თავის გველური სახითა, დასცექერის სულის მაბრძოლსა გულის მზარავის თვალითა. დაფიქრდა გველი ძლიერად, გული ევსება ბრალითა“). თუმცა ასეც რომ არ იყოს, მაინც საფიქრებელია — ლუხუმს გველის იდუმალი თანაგრძნობა ერგო იმიტომ, რომ თვითონ ის თანაგრძნობის არაჩვეულებრივი ნიჭით არის აღსავსე.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ გველის სიბრალული, ისევე როგორც ლუხუმის (ალუდას, აღაზას) თანაგრძნობა, მტრისკენ არის მიმართული, მტრობის თითქოსდა გაუვალი ზღუდის გამრღვევია. გველი, ვაჟას დახასიათებით, „ადამის ტომის მტერია“, რაც ძველ, ცნობილ კულტურულ ტრადიცი-

ას შეესატყვისება. გველის არსებაში უცნაურად გაღვივებული სიბრალული ადამიანის მიმართ, ანუ მისადმი მტრული მოდგმის წარმომადგენლის მიმართ ეწინააღმდეგება და პრობლემატურს ხდის ზეზვას ერთი შეხედვით აბსოლუტურად ურღვევ ლოგიკას: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიპრალოთ რისადა? სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“.

„ბახტრიონის“ ფინალი „სტუმარ-მასპინძლის“ დასასრულის მსგავსია: ორივეგან ცხოვრებაში გამჯდარ მტრობას, აგრესიას, სისხლის წყურვილს და სისასტიკეს ფანტასტიკურ-მითოსურ, იდეალურ სფეროში გადაძალავს თანაგრძნობა და სოლიდარობა.

საერთოდაც „ბახტრიონის“ კონცეფციას მეტ ნათელს ფენს როგორც „სტუმარ-მასპინძლის“, ასევე „ალუდა ქეთელაურის“ აზრობრივ სტრუქტურასთან შედარება. ამ პოემებში, როგორც ალნიშნავენ, ორი სიმართლე შეეტაკება ტრაგიკულად ერთმანეთს — საზოგადოების თვითშენარჩუნების აუცილებლობა და პიროვნების უნივერსალურ-ჰუმანისტური მორალი. მტრულ გარემოცვაში არსებული, მუდმივად საომარ ვითარებაში მყოფი საზოგადოება, რომელიც „მტრის ხატის“ პირისპირ არის მობილიზებული, ვერ ეთვისება ზოგადყაცობრიულ ზნეობას, გამორჩეულ პიროვნებათა ცნობიერებაში რომ იბადება. არსებითად ალუდას და ჯოყოლას მათი საზოგადოებები სწორედ „მტრის ხატის“ დამსხვრევის ცდას არ აპატიებენ, რამდენადაც მნიშვნელოვანნილად მტრისადმი როგორც არაადამიანისადმი ზოოლოგიურ სიძულვილს და ზიზღს ემყარება ამ საზოგადოებათა სიმკვიდრე (ორი სიმართლე იბრძვის „გველის მჭამელშიც“, მაგრამ აქ მაინც თავისებური ვითარებაა).

ცხადია, „სტუმარ-მასპინძლში“ და „ალუდა ქეთელაურში“ ტრაგიკულად შეჯახებულ, შეუთავსებელ სიმართლეთაგან ავტორის სიმპათია ავტონომიური პიროვნების მორალს ეკუთვნის როგორც უფრო მაღალი რანგისას, როგორც სრულფასოვანს.

„ბახტრიონში“, ამ ნაწარმოებთაგან განსხვავებით, ვაჟა უშუალოდ აჩვენებს საზოგადოების თვითშენარჩუნებისთვის გამიზნული, შეზღუდული და ულმობლობამდე მკაცრი მორალის ეფექტიანობას. დამპყრობლებზე მოპოვებულ გამარ-

ჯვებაში მისი წილი არსებითია. ამიტომ უფრო მაღალი და ფართო, უფრო ფაქიზი ზნეობრიობა უკან იხევს „მტრის ხატზე“ დამყარებული მორალის წინაშე და მათი კონფლიქტური შეჯახება არ ხდება. მაგრამ „ბახტრიონშიც“, როვორც სხვა პოემებში, ავტონომიური პიროვნების ეს უნივერსალური და ფაქიზი ზნეობრიობა ვაჟასთვის მაინც ლირებულებრივად უზენაესია. ვაჟას ღრმა სულიერი წყურვილის დაოკება მხოლოდ მას შეუძლია.

„ბახტრიონის“ ავტორს აღათრთოვანებს ქართველების მიერ სასტიკი მტრის დამარცხება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ფასეულობა მის თვალში თანაგრძნობის, ჰუმანიზმის მიერ სისასტიკის და მტრობის დამარცხებას აქვს.

1995

„გველის მჭამელი“ — „მოწინება სიცოცხლის მიმართ“

„გველის მჭამელის“ მთავარი გმირი ბუნების ენას ეუფლება, ბუნების იდუმალ შინაგან არსებობას წვდება. რას ხედავს მინდია ბუნებაში, რას ეუბნება ბუნება თავისი ენით, როგორია ბუნების არსი, რომელსაც მინდია განჭვრეტს — ამ კითხვების დაუსმელად და მათზე პასუხის გაუცემლად ნებით თუ უნებლიერ მინდიას სიბრძნეს დავიყვანთ იმის მიხვედრის უნარზე, რომელი მცენარე რისი წამალია და ა. შ., ანუ დავიყვანთ გრძნეულებაზე. სინამდვილეში ეს სიბრძნე უფრო ღრმაა და გრძნეულება მხოლოდ მისი გარსია.

მინდია უპირველეს ყოვლისა იმას იგებს, რომ ბუნებაშიც არსებულა სიხარული და ტანჯვა, ისევე როგორც ადამიანების ცხოვრებაში. „ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველი გალობენ, ან მცენარენი, ცხოველი როდის ილხენენ, წვალობენ“. მინდია ხდება ბუნების სიხარულის და ტანჯვის თანაგანმცდელი, ამიტომ მის სიბრძნეს დიდი სიხარულიც ახლავს და დიდი მწუხარებაც. ის მინდიას ბედნიერებასაც აგრძნობინებს და ყოფიერების ტრაგიზმსაც.

რა ბადებს, ბუნებაში, კერძოდ, ტანჯვას, საიდან წარმოდგება იგი?

ბუნებაში ტანჯვის გამომწვევია სიკვდილის შიში, სიცოცხლის გაქრობის წინაშე ძრნოლა. მინდიას მთავარი აღმოჩენა ის არის, რომ ყველაფერს, რაც ბუნებაში არსებობს, ადამიანის მსგავსად სურს სიცოცხლე და ზარავს სიცოცხლესთან განშორება. როცა მინდია ხეების მოქრას დააპირებს, ისინი ტირილს, ჩივილს იწყებენ; ხე, რომელსაც მინდია ცულს შემოკრავს, ემუდარება მას: „ნუ მომჟღავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო“.

ოლონდ აქ ჯერ კიდევ არ ჩანს, რომ მინდიას მიერ ბუნებაში სიკვდილის წინაშე ძრნოლის აღმოჩენას ავტორი საგანგებო ინტერესის და ფიქრის საგნად აქცევს, განსაკუთრებულ, კონცეპტუალურ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ცხადი ხდება სხვაგან, ნაწარმოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და დრამატულ პასაუში, სადაც თემის და მინდიას კონფლიქტის უკიდურესი გამწვავებაა ნაჩვენები: მინდიას თვის-ტომები მის მიერ მცენარეთა და ცხოველთა მოსპობის ცოდ-

ვად შერაცხვას გაუმართლებლად, თავისი არსებობისთვის მავნედ მიიჩნევენ და ბუნების საიდუმლოს წვდომის მინდია-სეულ უნარს სულაც ცრუ გამონაგონად აცხადებენ. ახლა უნდა გამოირკვეს, მართლა შეუძლია თუ არა მინდიას ბუ-ნების შინაცხოვრების გაგება და სწორია თუ არა მისი თვალ-საზრისი, რომ მცენარეების და ცხოველების ხოცვაზე ადა-მიანებმა ხელი უნდა აიღონ. მინდია ამტკიცებს თავის სი-მართლეს — არა მსჯელობით, თეორიული არგუმენტებით, არამედ ბუნების სიღრმეში წვდომის უნარის უშუალო გამოვლენით.

მინდია რაღაცას დაუინებით უყურებს და ტირის. შეკითხ-ვაზე, რა ატირებს, ის პასუხობს: „— აგერ იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ, — თითოთ უჩვენა ჩიტებზე (ორნი ფრთებჩამოშვე-ბულნი იფნის ქვეშ ისხდნენ სიპებზე), — ერთი მეორეს უამ-ბობს სიკვდილის ამბავს შვილებზე; მარცხნით მჯდომარე დედაა, მარჯვნისკე — ამბის მთხრობელი. თქვენს მტერს, რომ გულმოკლულადა შვილებსა ტირის მშობელი“. ჩიტებს ეხლა-ლა შესცეკრის ხევსურთა კრება სრულია, ჩიტაგან ერთი იმ დროსა, თითქოს მოჰსვლოდეს რულია, სიპიდან დაბლა დაეცა და განუტევა სულია. რომელი მოკვდა ორთა-გან, ამის გაგება რჯულია!“.

კრიტიკულ სიტუაციაში, როცა მინდიას სიბრძნე ეჭვქვეშ არის დაყენებული, მკვეთრად გამუღავნდება ამ სიბრძნის არსი — ბუნების ქმნილებებისთვის სიკვდილი, სიკვდილის ელდა არანაკლებ შემაძრნუნებელია, ვიდრე ადამიანების-თვის; ბუნება ამით ადამიანს ენათესავება. მაგალითად, ბუ-ნებაშიც არსებობს იმის მსგავსი რამ, რაც ადამიანურ სამყა-როში დედაშვილური გრძნობაა, შვილის სიკვდილით გამოწ-ვეული გამანადგურებელი ტკივილია.

რაკი თემისთვის აშკარა გახდა მინდიას სიბრძნე და ხალხმა თვალნათლივ დაინახა, რომ სიკვდილის საშინელებას ბუნების ქმნილებები ადამიანთა მსგავსად და, შესაძლოა, კიდევ უფრო მძაფრადაც განიცდიან, ამას თითქოს უნდა მოყვეს თემის მხრიდანაც მცენარეთა და ცხოველთა მოს-პობაზე ხელის აღება — არ შეიძლება მოკლა ის, ვისაც შენ-სავით სურს სიცოცხლე და შენსავით აშფოთებს სიკვდილი. მაგრამ ასე არ ხდება. „დარწმუნდნენ იმის ცოდნაში, საქმე წინ ედვა ყველასა, მაგრამ ნაგრძნობსა გულითა გონებით

ჰერიტაჟის გერასა: ბალახსაც სთიპენ, ნადირს ჰკვლენ, შეშით ანთებენ კერასა. ქათმის ხორცს რა შეაძულებს, თქვენვე მითხარით, მელასა?!“.

იმას, რომ მინდიას სიბრძნის არსს ბუნების გამმსჭვალა-ვი სიცოცხლის ნების და სიკვდილის შიშის წვდომა შეადგენს, ისიც მოწმობს, თუ როგორ კარგავს იგი ნათელზოლვის უნარს: როცა მინდია ღალატობს თავისი გრძნობისმიერი, ინტუიტური ცოდნის არსიდან უშუალოდ გამომდინარე პრინციპს — ცოცხალ არსებათა არკვლის პრინციპს, ანუ როცა მას აღარ სურს ყურადილოს ის, რასაც ბუნების ქმნილებები ეუბნებიან, — როგორ სურთ სიცოცხლე და როგორ აშინებთ სიკვდილი — ბუნება მუნჯდება მისთვის.

ნაწარმოებში ყველგან, სადაც კონკრეტულად გამოისახება ბუნება, სიცოცხლის ნება და სიკვდილის შიში მისი ძირეული თვისებებია. ასეა ეპიზოდშიც, სადაც ნაჩვენებია უცნაური რაზ — როგორ ექსტაზურად მკის მინდია ყანას იმის მიუხედავად, რომ მან თავისთავს აღუკვეთა ცოცხალ არსებათა კვლა. ეს პარადოქსი იმით აიხსნება, რომ პურის თავთავებს აშინებთ არამარტო სიკვდილი საერთოდ, არამედ კიდევ უფრო მეტად უაზრო სიკვდილი როგორც ფუჭი არსებობის დასასრული. მინდია ასეთი სიკვდილისგან იხსნის, ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მათ, — ანიჭებს იმას, რაც წყურიათ — რამდენადაც შესაძლებლობას აძლევს ემსახურონ სიცოცხლის გაგრძელებას და გაძლიერებას, უკვალოდ და უნაყოფოდ არ გაქრნენ. „არა, მე მომჭერ, მინდიავ, ნუ მტოვებ, შენი კვნესამე!“ „არა, მე, — სხვა გაიძახის, — უფრო მაშინებს ზეცა მე. პატარა ნისლიც რომ ვნახო, ჩამოვიშლები ტანითა, ვაი, თუ სეტყვა მოვიდეს, ყელი გამომჭრას დანითა“. სხვა უფროც ჰყვირის: „ნუ მნირავ, იხარე თავის ჯანითა!“ ...ყანასა სეტყვა აშინებს, — კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა, თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა სით შეუძლია ნახდენა?! კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ თავთავნი ოქროსფერანი, არ სწადით ოხრად ლპებოდხებ, ჰკენკავდნენ ყვავნი, ძერანი. მიტომ ჩქარობენ მომკასა, ერთად უივიან ყველანი, ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად, რომ მითი გაძლნენ მშიერნი“.

მინდიას მიერ დანახულ ბუნებაში ზნეოპრივი საწყისი, ზნეოპრივი გრძნობები და მოთხოვნილებები ვლინდება — არა უბრალოდ სიკვდილის არნდომა, არამედ ამაოდ დაღუპ-

ვის შიში, სხვათა სიცოცხლის შველის სურვილი. როგორც მინდია გრძნობს ბუნების ტანჯვას, სიკვდილის წინაშე ძრწოლას, ასევე ბუნების ქმნილებები (ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი) გრძნობენ ადამიანების ტანჯვას, მათდამი დამუქრებულ სიკვდილის საფრთხეს. არამარტო მინდია თანაუგრძნობს ბუნებას, არამედ ხდება ისეც, რომ ბუნებაც თანაუგრძნობს ადამიანს, მზად არის შეენიროს მას და ამით ტანჯვა და სიკვდილი აარიდოს. ის ყვავილები, მინდიას რომ ამცნობენ, თუ რა სხეულებების სამკურნალოდ გამოდგებიან, თანაუგრძნობენ ადამიანთა სასიკვდილო ტანჯვას და საკუთარი სიცოცხლის სისავსეს წირავენ მათი სასიცოცხლო ძალის აღდგენას. „თურმე ზნედა სჭირო ყვავილთა, ოღონდ ენამლონ სხეულთა, სიცოცხლით გაფუფუნებულს არად აგდებენ სხეულთა; სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ, ძვალ-ხორცითა ჩამორღვეულთა“. ყვავილებს არ აშინებთ, პირიქით, შვებას გვრით ასეთი სიკვდილი, რომელიც არსებითად არც არის ყოფნის დასასრული, არამედ სხვა სიცოცხლეა, ახალ სიცოცხლედ გარდასახვა და სიცოცხლის ნაკადში კვლავ მონაწილეობაა. ყვავილთა სურვილი, ტანჯვის და სიკვდილის-გან იხსნან ადამიანები, იგივე სიცოცხლის ნებაა, ოღონდ ზნეობრივად გაკეთილშობილებული, რომელსაც შეუძლია სიკვდილის ტანჯვის სხვებისთვის ასაშორებლად უარი თქვას თავისთავზე და სხვათა სიცოცხლისთვის თავისშენირვით ახალი, უფრო სრულფასოვანი ხორცშესხმა მოიპოვოს. ასე რომ, ბუნებაზეც შეიძლება ითქვას ის, რასაც ვაუა ერთ წერილში ადამიანზე ამბობს: „თითქოს კაცს სიცოცხლე ყველაზე მეტად უყვარს, მაგრამ რომ ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს ჰპოულობს? ბუნებაც ამას ალბათ იმიტომ ჩადენინებს კაცს, რომ იმისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა“.

მინდია, როგორც ვხედავთ, ბუნებაში აღმოაჩენს სიცოცხლის ნებას და ხალისს (განსაკუთრებული სისავსით იგი იხატება გაზაფხულის დადგომის სურათში: „როცა კი გაზაფხულდება, გამოილვიძებს ქვეყანა, სილადე, სიმხიარულე დასეირნობენ ყველგანა...“); აღმოაჩენს სიცოცხლის წყურვილისგან განუყოფელ სიკვდილის შიშს და არნდომას, რაც ბუნებას ადამიანთან ანათესავებს. ამ ნათესაობის მხატვრული გამოსახვა გაღრმავებული და გამძაფრებულია იმით,

რომ ბუნებაში წარმოჩნდება სიცოცხლის ნების და სიკვდილის შიშის არამარტო ინსტინქტური გამოვლინებები, არა-მედ ამ ფენომენთა უფრო რთული, ზნეოპრივი შინაარსის შემცველი ფორმებიც.

* * *

ვაჟა-ფშაველას პროზაში გამოსახული ბუნების სამყარო არსებითად მინდიასთვის დამახასიათებელი „გულის ხედვით“ დანახული და გაებული სამყაროა. ის, თუ როგორ აღიქვამს ბუნებას მინდია, გამოკვეთილია არამარტო „გველის მჭამელში“, არამედ ვაჟას მოთხრობებშიც. ისევე როგორც „გველის მჭამელში“, ვაჟას პროზაშიც ბუნების არსი სიცოცხლის წყურვილი და სიკვდილისგან განზიდვაა. ამ ელემენტარულ და ამასთანავე ძირეულ ძალთა წარმოჩნდა განსაზღვრავს უპირველეს ყოვლისა ვაჟა-ფშაველას პროზისთვის ნიშანდობლივ სიმარტივის და სილრმის უცნაურ შერწყმას.

ვაჟას მოთხრობებში ბუნების ქმნილებები სიცოცხლეს განიცდიან როგორც ძვირფას საჩუქარს, ნაზად და ვნებიანად არიან შეყვარებული სიცოცხლეზე და მით უფრო ძლიერად ნატრობენ ხანგრძლივ არსებობას, რაც უფრო მწვავედ გრძნობენ სიკვდილის საფრთხეს, რაც უფრო ელდისდამცემია მათთვის არყოფნის შიში.

„ოჲ, ადამიანებო!.. არა ჰერძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰერძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე“ — ამბობს „შვლის ნუკრის ნაამბობის“ გმირი, რომელიც მუდამ შეშფოთებით მოელის სიკვდილს; „დიდხანს სიცოცხლეს დანატრებულ“ იას შიშს გვრის სიკვდილის ხილვა; მთის წყარო სიზმარში თავისთავს დამშრალს ხედავს — მასაც სიკვდილი აკრთობს; ქუჩის ვედრებაშიც სიცოცხლის წყურვილი და სიკვდილის შიშია გამუდავნებული: „მზეო, დამხედე, წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!.. დამბადებელო, შემინახე უნაყოფო კლდეზედ დაყიდებული ქუჩი...“; ასევე ირემს, „რადგან ცოცხალია, უყვარს სიცოცხლე“, მაგრამ არასდროს ასვენებს სიკვდილის საფრთხე; კლდე ჩივის:

„რამდენიც მეტი მომწყდება (ლოდები) გულიდან და ჩაილენება ჯურლმულში, იმდენად მე სიკვდილს ვუახლოვდები, უკვდავების მოტრფიალე, მსასოებელი მთელი ჩემი არსებით“; ვერხვი ყურს უგდებს ყვავილებს, რომლებიც „მუდამუამს სიცოცხლეზე საუბრობდნენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდნენ და ომერთს ევედრებოდნენ: „ომერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდხანს გვაცოცხლეო!“. ასეთი მაგალითები მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება.

ვაჟას პროზაში, „გველის მჭამელის“ მსგავსად, ბუნებას ზნეობრივი იერი აქვს — მასში თავს იჩენს სიკეთის უქმნელად, უნაყოფოდ გაქრობის შიში, სხვათა სასიკვდილო ტანჯვის თანაზიარობა, სხვათა სიცოცხლის დაცვის სურვილი...

ვაჟას მოთხოვნებში, ჩვეულებრივ, ადამიანი ყრუა ბუნების ენისადმი. ადამიანებს ფიქრადაც არ მოსდით ყური მიუგდონ ბუნების ენას და ჩანვდნენ იმას, რაც ამ ენით გამოითქმება. მათ უპრალოდ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ასეთი რეალობა არსებობს და ამიტომ ბუნების მიმართ სასტიკები, მოძალადები არიან. ერთ მოთხოვნაში ხის ფესვები ყვებიან, როგორ მოსპო „შეუბრალებელმა“ კაცმა მათი შვილი — მუხა.ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენი შვილების კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ...“.

თუმცა ზოგჯერ ადამიანი ახერხებს თვალახელილი და სმენაგახსნილი იყოს ბუნების მიმართ, გაიგოს, თავის ენაზე „თარგმნოს“ ბუნების ენა, ვთქვათ, შაშვის ან ბულბულის გალობა, კვლავ სიცოცხლის სიყვარულს და სიკვდილის არნდომას რომ გამოხატავს („ბუნების მგოსნები“).

ვაჟა-ფშაველას ერთ კომიზმით შეფერილ მოთხოვნაში აღწერილია მონადირის სიზმარი, რომელშიც იგი და მისი მსხვერპლი როლებს უცვლიან ერთმანეთს. იმისთვის, რათა იგრძნოს, თუ რა ცოდვას ჩადის, როცა ცხოველებს ხოცავს, რას ნიშნავს ცოცხალი არსების მოკვლა, მონადირემ თვითონ უნდა გამოცადოს სიკვდილის საშინელება, თვითონ უნდა განიცადოს, როგორ ეწამება სიკვდილის წინაშე მყოფი... სხვა მოთხოვნაში მომაკვდავ ფრინველს შეიბრაალებს და შეიფარებს თვითონაც სიკვდილს მიახლოებული, „დიდი ტანჯვა-ვაების მნახველი“, ყველაზე საყვარელ ადამიანთა

სიკვდილის გადამტანი კაცი... ასე რომ, ადამიანმა იმდენად შეიძლება იგრძნოს ბუნების ქმნილებების სიკვდილისმიერი ტანჯვა, რამდენადაც ის თვითონ გამოცდის სიკვდილის სატანჯველს.

მინდია სწორედ ასეთი მტკიცნეული გამოცდილების მქონე ადამიანია.

გამოთქმულია აზრი, რომ მინდია ქაჯებთან ტყვეობაში ტანჯვის გამოვლით მოიპოვებს ნათელზოლვის უნარს.

ეს საინტერესო აზრი შევსებას მოითხოვს — ტანჯვაგა-მოვლილი მინდიას მიერ მოპოვებული ნათელზოლვის უნარი უპირველესად ბუნების ქმნილებათა ტანჯვის გაზიარების უნარია. ბუნებაში ტანჯვის გამომწვევი კი, როგორც დავინახეთ, სიკვდილის საშინელებაა, რისი წვდომაც შეადგენს მინდიას სიბრძნის არსებით შინაარსს. და ნაწარმოებში წარმოჩენილია, რომ ამ სიბრძნეს, ბუნების სიკვდილისმიერი ტანჯვის თანაგანცდის ნიჭს მინდია იძენს სიკვდილთან უშუალო შეხებით, შეჯახებით.

ლიტერატურისმცოდნეებს გარკვეული აქვთ, რომ მითოსური თვალსაზრისით მინდიას ტყვეობა ქაჯებთან ნიშნავს ქვესკნელში, ანუ სიკვდილის ქვეყანაში ყოფნას, რაც აუცილებელია ინიციაციისთვის, მაგიურ ცოდნასთან ზიარებისთვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვაჟა-ფშაველა მითოსური ხატოვანებით, სიმბოლიკით მინდიას შინაგან, სულიერ და ზნეობრივ გამოცდილებას გვიჩვენებს, რომლიდანაც მისი სიბრძნე იშვა — მინდიამ გამოცადა სიკვდილი, ის სიკვდილის შემცნობი კაცია.

მაგრამ ქაჯებთან მინდიას ტყვეობის ამბის გადმოცემისას მწერალი უფრო კონკრეტულადაც აღბეჭდავს თავისი გმირის სიკვდილთან შეხვედრას, რომელიც სათავეს აძლევს მის სიბრძნეს: დაუსრულებელი ტყვეობით სასოწარკვეთილი მინდია თავის მოკვლას ცდილობს და ამ მიზნით გველის ხორცს ჭამს. ბუნებრივი იქნება თუ ვიგულისხმებთ, რომ თვითმკვლელობის ცდისას შეიცნობს მინდია სიკვდილს, უკიდურესი უმუალობით და სისრულით იგრძნობს, რა არის სიკვდილი და ასე იძენს სიბრძნეს, რომლის არსი იმის განჭვრეტაა, რომ ამქვეყნად ყოველი არსება სიკვდილის საშინელებით იტანჯება და წყურია სიცოცხლე — ვინც ღრმად იცის სიკვდილი, მან ასევე იცის სიცოცხლის ნების სიძლიე-

რე, სიცოცხლის სიძვირფასე... სიკვდილის წვდომა არამარტო სიბრძნესთან ზიარების გზაა, არამედ ამ სიბრძნის ძირითადი შინაარსიც.

ნანარმოებში სიკვდილი და სიბრძნე ფაქტობრივად გაიგვებულია. ნათელმხილველად ქცეულმა მინდიამ „შეიგნო, ჭამა გველისა ქაჯთაგან იყო ზმანება. სიბრძნე აჩვენეს გველადა, რომ პზიზლებოდა საჭმელად“. ამგვარად, ავტორს აქცენტირებული აქვს, რომ გველის ჭამა სიმბოლოა და ამ სიმბოლოს აზრი სიბრძნესთან ზიარებაა. სიმბოლური მნიშვნელობის მქონე „ზმანების“ მიღმა კი რეალურად მხოლოდ ის ჩანს, რომ მინდია „იგემებს“ სიკვდილს, რამდენადაც გველის ხორცის ჭამას იგი თვითმკვლელობის საშუალებად მიიჩნევს და რომ სწორედ სიკვდილის ეს შეცნობაა სიბრძნე.

სიკვდილის პირისპირ მყოფი მინდიას შინაგანი სამყარო, ქვეცნობიერება შეიძრება და მანამდე ჩვეულებრივ ადამიანში იღვიძებს არაჩვეულებრივად მახვილი ინტუიცია, უმძაფრესი თანაგანცდის უნარი, ძლიერი, ინტენსიური წარმოსახვა. მას გაეხსნება „გულის ხედვა“, რომელიც დაანახებს, რომ სიკვდილი საზარელია ყოველივე ცოცხალისთვის და ამიტომ ბუნების მიმართ ძალადობა როგორც მკვლელობა უნდა აღიკვეთოს.

მინდიას — უბრალო ხევსურის ნათელმხილველად ქცევის ამბავში გამოსჭვივის ვაჟა-ფშაველას ყველაზე მნიშვნელოვან, მთავარ ნანარმოებთა ფუნდამენტური, განმეორებადი აზრობრივ-სიუჟეტური სტრუქტურა: სიკვდილთან დრამატული შეხვედრა სიღრმისეულად ავლენს პერსონაჟთა ბუნებას ან სტიმულს აძლევს მათ პოზიტიურ სულიერ-ზნეობრივ ფერისცვალებას. გავიხსენოთ — მუცალთან სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა, მუცალის სიკვდილის ხილვა და ღრმა განცდა, სიკვდილის ტრაგიკულობის აღმოჩენა აძლევს ბიძგს ალუდას შინაგან მეტამორფოზას; მთელ თავის პიროვნულ ღირსებას აჩენს ჯოყოლა კრიტიკულ ვითარებაში, რომელიც მის ახლადშეძენილ მეგობარს აშკარა სასიკვდილო საფრთხეს უქმნის; ზვიადაურის სიკვდილის ტკივილიანი აღქმა უჩვეულო სულიერ სიღრმეს, სიფაქიზეს და სიძლიერეს გამოამჟღავნებინებს აღაზას; ლუსუმის აგონის შემხედვარე ურჩხულის არსებაში სასწაულებრივი გარდაქმნა ხდება, ღრმა სიბრალული აღმოცენდება; შედარებით ნაკლებმნიშვ-

ნელოვან პოემაში „გოგოთურ და აფშინა“ სიკვდილთან შეხვედრის მოტივი რელიეფურად არ იკვეთება, მაგრამ მისი მონახაზი მაინც შეიმჩნევა — გოგოთურთან სახიფათო შეტაკების შემდეგ ხდება აფშინას ზნეობრივი ფერისცვალება.

„გველის მჭამელშიც“ ვაჟას პოეტური ეპოსის ეს მყარი და არსებითი მოტივია ხორციელებული.

* * *

„გველის მჭამელში“ მინიშნებულია ვაჟა-ფშაველას მხატვრული „ბუნებისმეტყველების“, ბუნების ვაჟასეული მხატვრული აღქმის და განსახიერების სათავე — სწორედ ის, რომ ბუნება ადამიანთა სამყაროს მსგავსად აღსავსეა სიცოცხლის ნებით და სიკვდილის ტკივილით, ედება საფუძვლად ბუნების ანთროპომორფულ წარმოსახვას, აქეზებს ვაჟას ფანტაზიას, სხვა ადამიანური ნიშნებიც შემატოს ბუნებას...

ბუნებას და ადამიანს ანათესავებს აგრეთვე ენისმქონეობა და ეს მომენტიც ბუნების ანთროპომორფული წარმოსახვის საყრდენად გვევლინება. „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, — ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“. ენის, უფრო სწორად, ენების არსებობა ბუნებაში არ აუქმებს სულიერთა და უსულოთა განსხვავებას, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. აქ არც ის იგულისხმება, რომ ბუნების ენა ისეთივეა, როგორიც ადამიანის ენა, რომ ეს არის ენა ადამიანური ენის მნიშვნელობით: პოემაში „მთათა ერთობა“ ბუნება დახასიათებულია როგორც „უენ-პირო“, ანუ როგორც სწორედ ადამიანურ ენას და მეტყველების უნარს მოკლებული. მაგრამ ბუნება მეტყველია არაპირდაპირი აზრით — ექსპრესიულია, რაღაცის გამომთქმელია. ბუნების ქმნილებათა შინაგანი არსი გარეგნულად გამოიხატება გარკვეული იერით, ხატით, მოძრაობით, ხმით — გარკვეული ნიშნებით. ამ ნიშნების ერთობლიობაში, ანუ თავისებურ ენაში განფენილია ბუნების საზრისი, ნება, მისწრაფება, სიხარული, ტკივილი და ამის წყალობით არის შესაძლებელი ბუნების წვდომა-გაგება — ჰერმენევტიკის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი ის არის, რომ გაგების შესაძლებლობას ენა იძლევა. ვაჟას შემოქმედებაში ბუნების

ენის ადამიანურ ენაზე „თარგმნის“ სისტემური ცდაა განხორციელებული.

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, ბუნების ენის და, შესაბამისად, ბუნების სათქმელის გაგება შეიძლება, თუ ადამიანი ბუნებასთან ურთიერთობას ამყარებს სიყვარულით, თანაგრძნობით, გულისხმიერი ინტუიციით, გამძაფრებული წარმოსახვით. როცა ასეა, ბუნებაც გულს აღებს ადამიანის-თვის, ნდობით ახედებს მას თავის შინაგან არსებობაში. მაშინ აღმოჩნდება, რომ ბუნება „არა ყოფილა ურჯულო“.

ბუნების ამ დახასიათებაში კონცეპტუალური აზრია შეკუმშული და მის ნათელსაყოფად უნდა გავითვალისწინოთ, რა მნიშვნელობის შემცველია „ურჯულოს“ სახე ვაჟას შემოქმედებაში: „ურჯულო“ არის ის, ვის სიცოცხლის ნებას და უფლებას არ უნდა ვალიარებდეთ, ვისი სასიკვდილო ტანჯვა არ უნდა გვაღელვებდეს, ვინც სრულიად უცხოა ჩვენთვის, არაფრით არ გვგავს და ამდენად მისი გაგება არ შეგვიძლია და არ გვინდა; ანუ „ურჯულოს“ მიმართ არა გვაქვს და არც უნდა გვქონდეს ეთიკური დამოკიდებულება როგორც ღვთის და ზენობის გარეშე არსებულისადმი. ამიტომ „გველის მჭამელის“ მთავარი გმირის მიერ იმის აღმოჩენა, რომ ბუნება არ არის „ურჯულო“, ნიშნავს — ბუნების მიმართ უნდა დამკვიდრდეს ეთიკური დამოკიდებულება, შემწყნარებლობა, თანაგრძნობა, არააგრძესიულობა. მუცალის ღირსების და ამასთანავე მისი სასიკვდილო ტანჯვის და სიცოცხლისკენ სწრაფვის მხედველი აღუდა ასევე აღმოაჩენს, რომ იგი „არა ყოფილა ურჯულო“ და ეთიკური დამოკიდებულების ღირსია.

ბუნების ვაჟა-ფშაველასეული ხედვა და გააზრება, ისევე როგორც ვაჟას შემოქმედება საერთოდ, ფართო კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში განხილვას საჭიროებს. ამჯერად მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ბუნების ვაჟასეული ხედვა მნიშვნელოვანილად თანხვედრილია ქრისტიანულ თვალსაზრისთან, რომლის მიხედვითაც პირველი ადამიანის ცოდვითდაცემის შემდეგ ბუნებაც დაცემულია, სიკვდილს ემონება და ამის გამო იტანჯება, პავლე მოციქულის თქმით, „გმინავს და კვნესის“. ის ადამიანთან ერთად ელის სიკვდილისგან მხსნელს... ბუნებისადმი მინდიას დამოკიდებულება გვაგონებს ინდური რელიგიური აზროვნების პრინციპს „ახინსას“, რომელიც გულისხმობს ცოცხალ არსებათა არკვ-

ლას, მათთვის ზიანის მიუყენებლობას... ვაუა-ფშაველას შემოქმედების ანალიზი ბევრ ასეთ საკითხს წამოჭრის და ისინი, ცხადია, საგანგებო შესწავლას მოითხოვს. აქ მათგან ერთს შევეხებით.

შეინიშნება არსებითი მსგავსება ვაუა-ფშაველას მსოფლიმხედველობას და ალბერტ შვაიცერის ფილოსოფიურ-ეთიკურ კონცეფციას შორის.

შვაიცერი თავის მოძღვრებას უწოდებს „მოწინებას სიცოცხლის მიმართ“ და მის ძირითად პრინციპს ასე აყალიბებს: „მე ვარ სიცოცხლე, რომელსაც სურს სიცოცხლე სხვა სიცოცხლეთა შორის, რომელთაც ჩემსავით სურთ სიცოცხლე“. შვაიცერი მიიჩნევს, რომ ყველაზე ელემენტარული და აძკარა რამ, რასაც ადამიანი თავისთავში და თავის ირგვლივ აწყდება, არის სიცოცხლის ნება, რომელიც ყველაში და ყველაფერში ერთგვარია თავისი არსით. ამ უბრალო და ნათელ ჭეშმარიტებას უნდა დაემყაროს, შვაიცერის აზრით, ეთიკა. „როგორც ჩემი სიცოცხლის ნება მოიცავს ვნებიან სწრაფვას სიცოცხლის გაგრძელებისკენ... და შიშს სიცოცხლის ნების განადგურების და მისი იდუმალი დამდაბლების წინაშე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ტკივილს უწოდებენ, ასევე დამახასიათებელია ეს მომენტები სიცოცხლის ნებისთვის, რომელიც ჩემს გარშემო არსებობს, იმის მიუხედავად, გამოითქმება ეს ნება თუ მუნჯი რჩება. ამდენად ეთიკურია ის, რომ მე თანაბარი მოწინებით ვეკიდები როგორც ჩემს სიცოცხლის ნებას, ასევე ნებისმიერ სხვა სიცოცხლის ნებას. სწორედ ეს არის ზნეობის მთავარი პრინციპი. სიკეთე არის ის, რაც ემსახურება სიცოცხლის შენარჩუნებას და განვითარებას, ბოროტება — რაც ანადგურებს ან აფერხებს სიცოცხლეს“. ეს ეთიკა არ იფარგლება ადამიანთა სამყაროთი, ბუნებაზეც ვრცელდება — ადამიანი ჭეშმარიტად ზნეობრივია მხოლოდ მაშინ, როცა მოწინებით აღიქვამს და უფრთხილდება თვით ყველაზე პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო, ნაკლებლირებულ სიცოცხლეს, თავს იკავებს მისი დაზიანების და მოსპობისგან.

ვაუა-ფშაველას მრნამსაც ზუსტად გამოხატავს ფორმულა „მოწინება სიცოცხლის მიმართ“. ის, რაც შვაიცერის მოძღვრების ფუნდამენტის წარმოადგენს, ვაუასთვისაც ძირეული ჭეშმარიტებაა: „ყველა და ყველაფერი, სადაც კი თვალი და ყური მიუწვდება ადამიანს, გველაპარაკება შემდეგს: მე ცო-

ცხალი ვარ, ცოცხალი და მინდა კვლავ ვიცოცხლო; სიცოცხლე ჩემი უნდა იყოს დაუსრულებელიო“. ერთხაირია ვაჟა-ფშაველას და შვაიცერის ეთიკური თვალსაზრისიც, რომელიც ამ პირველადი ჭეშმარიტებიდან არის ამოზრდილი — ყოველი სიცოცხლე გასაფრთხილებელია.

„გველის მჭამელის“ მთავარი გმირის მსგავსად ალბერტ შვაიცერი მკურნალი იყო, არამარტო ქადაგებდა „მოწინებას სიცოცხლის მიმართ“, არამედ პრაქტიკულადაც იღვწოდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. იგი მისთვის უცნობი ლიტერატურული პერსონაჟივით ცდილობდა შეესუსტებინა სიცოცხლის ნების შემბორკავი და დამთრგუნველი აგრესიულობა, ტკივილი, სიკვდილი.

1997

დავით კლდიაშვილი

იგავი თავკერძობის შესახებ

არსებობს ნაწარმოებები, რომლებშიც მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსთა სარეანიმაციო პროცედურების წაყლობით ბუუტავს სიცოცხლის ნაპერზე კალი.

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ცხადია, ასეთ პროცედურებს არ საჭიროებს, იგი დროთა განმავლობაში ბუნებრივ სიცოცხლისუნარიანობას არ კარგავს. ამ სიცოცხლისუნარიანობის საწინდორის შესახებ კიდევ ერთხელ დაფიქრება, ალბათ, ზედმეტი არ უნდა იყოს.

„სამანიშვილის დედინაცვალზე“ მსჯელობისას ტრაგიკულის და კომიკურის ცნებები გამოიყენება, ოღონდ ტრაგიკული გაგებულია ყოველდღიურ-ყოფითი აზრით, „უბედურების“ მნიშვნელობით.

სინამდვილეში დავით კლდიაშვილის მოთხრობა შეიცავს ტრაგიკულის როგორც სპეციფიკური ესთეტიკური კატეგორიის ზოგიერთ მომენტს.

ის, რასაც პლატონ სამანიშვილი შეეჯახება, არსებითად არის ისტორიული კანონზომიერება, რომელიც ხელს მოუცარავს აზნაურთა ფენას, მაგრამ ეს დაუნდობელი ისტორიული აუცილებლობა მოვლენილია არა უშუალოდ, არამედ როგორც ბედისწერა.

ბედისწერასთან ადამიანის შეჯახების მოტივი კი ტრაგიკული მოტივია. მან ყველაზე სრული გამოვლენა პოვა ბერძნულ ტრაგედიაში, ხოლო განსაკუთრებული სიმკვეთრით ხორცი შეისხა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“.

აյ ბუნებრივად ჩნდება სკეპტიკური კითხვა — რა შეიძლება ჰქონდეს საერთო კლდიაშვილის უღიმდამო პერსონაჟს დიდებულებით მოსილ ტრაგიკულ გმირებთან, რომელთაც ამაღლებული ფიქრი, ზრახვები და ღრმა ვნებათაღელვა გამოარჩევთ?

ტრაგიკული გმირის არსებითი თვისებაა ის, რომ იგი, შექსპირის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „მოზღვავებულ უბედურებასთან“ არის შებრძოლებული და როგორი ღიმი-

ლისმომგვრელიც უნდა იყოს ამის თქმა, პლატონ სამანიშვილიც ერთგვარად „მოზღვავებულ უბედურებას“ ებრძვის.

ტრაგიკული გმირისთვის დამახასიათებელია აგრეთვე, რომ იგი ნებით თუ უნებლიერი თავად აღასრულებს გარდა-უვალს, საკუთარი ქმედებით ახორციელებს ბედისწერის მის-თვისვე მკაცრ განაჩენს. ტრაგიკულ პერსონაჟს პლატონი ამ ნიშნითაც უახლოვდება.

პლატონს თავისებურად ყველაფერი ზუსტად აქვს გათვ-ლილი და დაგეგმილი, მაგრამ მაინც ხდება ის, რაც თითქოს ყველაზე ნაკლებად უნდა იყოს მოსალოდნელი, რის არმო-სახლენადაც მან ამდენი იწვალა; ბედისწერამ პლატონის უნებლიერ დახმარებით თავისი გაიტანა.

ბედისწერის მოტივს დავით კლდიაშვილი თავისი პერსო-ნაჟების ყოფით-ჩვეულებრივ საუბარში თუ ფიქრში „შეაპა-რებს“: „ეგება მართლადაც ეს ქალი მამამისის ბედი უნდა იყოს?! მართლა რა არის, აბა, რომ თავიდანვე ამ ქალს უხსე-ნებენ და ყოველი გარემოება ისე ენყობა, რომ უსათუოდ ამ ქალის მხსენებელი ხვდება ყველგან, თითქოს განგებ პირი შეეკრათ ამაზე!.. ხომ არავინ იცოდა? მას ხომ ერთი სიტყვაც არ დასცდენია თავისი საიდუმლოს შესახებ გვერდევანიძეს-თან — თვითონ იმან ახსენა და აქო ეს ქალი... ქორნილიდან სახლში ბრუნდებოდა, მაგრამ მაინც აქეთ წამოვიდა.... აქ მოვიდა და, თითქო განგება იყოს, ეს ქვაშავიძე დახვდა და იმავე ქალს ურჩევს და აძალებს!.. რას მიაწეროს?.. ესე უმ-ნიშვნელოდ რავა იქნება, რავა ხდება ეს ამბავი?! ეგებ მართლა ღმერთი ანიშნებდეს და გაჭირვებულს დახმარებას აძლევდეს, ენეოდეს, საქმეს უადვილებდეს, ბედზე უთითებდეს!“.

პლატონის თავგადასავალი ბედისწერის მიერ ადამიანის გამასრებაა. ბედის ორონიის მოტივის წყალობით „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარმოდგება არამარტო კონკრეტული დროის და გარემოს, კონკრეტული სოციალური ფენის წარ-მომადგენელთა ყოფის ამსახველ სურათად, არამედ იგავა-დაც ადამიანური თავკერძობის და მისი სასჯელის შესახებ.

ირონიულ-კომიკურ იგავად აქცევს „სამანიშვილის დედი-ნაცვალს“ ის, რომ ტრაგიკული ელემენტი აქ თანმიმდევრუ-ლად იშლება.

ამგვარი ელემენტის შემცველ სიტუაციაში მოქცეულია „პატარა ადამიანი“, რომელიც ტრაგიკული გმირის, „სულ-დიდი ქმნილების“ მსგავსად რაიმე საყოველთაო ფასეულობას, პრინციპს კი არ ამკვიდრებს თავგანწირვით, საკუთარი კერძო, უბადრუები მიზნის მიღწევისთვის თავის დამამცირებლად ცოდვილობს. სწორედ ამ ეგოისტური შეზღუდულობით და ულირსობით, თავისი ადამიანური და აზნაურული ღირსების გათელვით იმსახურებს იგი ბედის დაცინვას (თავ-კერძობის გამო ბეკინაც ისჯება).

ტრაგიკული მოტივი — ადამიანი ბედისწერის პირისპირ — ხორცშესხმულია მისთვის სრულიად შეუსაბამო, დამამდაბლებელ, ანეკდოტურ ფაბულაში — შვილი მამის მაჭანკლობას კისრულობს, ბერძ სადედინაცვლოს დაეძებს. ულმობელი ბედისწერა პლატონ სამანიშვილს ევლინება სავსებით დემითოლოგიზებული სახით — როგორც ერთი საწყალი ქვრივი დედაბერი.

ბედისწერასთან ადამიანის შეჯახების ტრაგედიული მოტივი ჩანასახმივე პროფანირებული და კომიზებულია: პლატონი ვითომ ეურჩება, სინამდვილეში კი გაურბის ბედს. მოთხოვობის კომიზმის სიღრმისეული საფუძველია ის, რომ მთავარი პერსონაჟის ცდები, გაექცეს ბედისწერას, სწორედ ბედისწერის აღსრულებაა. კომიზმი აქვეითებს და მთლიანად ნთქავს ტრაგიკულ მომენტს.

ქართული სინამდვილის დაკნინების მოწმობაა, რომ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მხატვრულ რეალობაში ტრაგიკული მოტივი აუცილებლად საკუთარი თავის პაროდიულ უარყოფად უნდა იქცეს, რომ ამ რეალობაში მისი ადეკვატურად გამოვლენა შეუძლებელია.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ ძველისძველი ტრაგიკული მოდელი კომიკურად მდარე, სრულებით არაგმირულ და არაპათეტიკურ სინამდვილეში დამინდა, რაც ნიშანდობლივი აღმოჩნდა შემდგომდროინდელი მხატვრული აზროვნებისთვის.

თუმცა ნაბარმოების ბოლოს კომიზმიც ქრება, სპეციფიკურად ტრაგიკულიც აქ არაფერი ჩანს, — პროტაგონისტი არ იღუპება და არაჩვეულებრივ ტანჯვასაც არ განიცდის, არც დიდი ფასეულობები და იდეალები იმსხვრევა — თითქოს მხოლოდ ჩვეულებრივი უბედურება რჩება, ანუ „ტრაგედია“ ყოველდღიური გაგებით.

მაგრამ „სამანიშვილის დედინაცვლის“ ფინალში არის რედუცირებული ნამდვილი ტრაგედიის ნატეხიც — იღუპება ადამიანის სული, მისი სინდისი; სიკეთეს პლატონის არსებაში ახშობს დაუნდობლობა, გაბოროტებულ სულში იპადება შურისმაძიებლური კითხვა: „მე შემიბრალა ვინმემ?“. პლატონს არ შეუძლია დათმობა, ბედს დამორჩილება, ამის საფასური კი მისი ზნეობრივი სიკვდილია.

1982

ფარული შინასამყარო

სინამდვილის წარმოსახვა კრიზისის ფაზაში ნიშანდობლივია დავით კლდიაშვილის რეალიზმისთვის, რაც უპირატესად გულისხმობს ფეოდალური ფასეულობების რღვევის ხედვას გაღარიბებული აზნაურების ყოფაში. მაგრამ ქართული სინამდვილის შინაგან კრიზისს გამოხატავს მწერალი იმ ნაწარმოებებშიც, სადაც მისი მზერა გადანაცვლებულია მათზე, ვინც ქართველი ხალხის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდა — სოფლის უბრალო მკვიდრებზე, გლეხებზე. აქ დრამატულად არის ნაჩვენები ქართველი ადამიანის მიერ თავისი ტრადიციული ორიენტირის, ცხოვრების ქრისტიანული გაგების, ქრისტიანული მორალის უარყოფა.

„შერისხვაში“ ჩვეულებრივი და საკმაოდ უმნიშვნელო ყოფითი კონფლიქტი მთავარი გმირის არამარტივ, მკვეთრ ხასიათს გამოამზეურებს და მისი სულიერი დრამის ბიძგის მიმცემი ხდება.

მთავარი პერსონაჟის და სოფლის კონფლიქტს თუ დავკვირდებით, დავინახავთ, რომ პერსონაჟის პასუხი კონფლიქტურ სიტუაციაზე არ არის შესაფერისი, თანაზომადი: უსამართლობა, თუნდაც იგი საზოგადოებას ნამდვილად ჰქონდეს ჩადენილი, არ არის იმ ზომის, რომ მასზე ასეთი რეაგირება მოსალოდნელი იყოს. საქმე არ ეხება მატერიალური ან მორალური თვალსაზრისით რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რაიმეს. მიწის იმ ნაკვეთზე, რომელზეც სოფელი გზას გაიყვანს, კაციას კეთილდღეობა არ არის დამოკიდებული, ხოლო წყენა, სოფელმა ნებით თუ უნებლიერ რომ მიაყენა, ბუნებრივი იქნებოდა დროთა განმავლობაში მაინც განელებულიყო იმის შეგნებით, რომ სოფელს სხვა საშველი არ ჰქონდა. წრეგადასულია კაციას ჯავრი, გაკერპება, შურისძიების ჟინი — ამის რეალურ მიზეზს ბევრად გადამეტებული. მისი გაბოროტებული ამხედრება ყველას და ყველაფრის, თვით ღმერთის ნინააღმდეგ გამოწვეულია მისივე მწვავე ეგოცენტრიზმით.

თავისთავზე მაღალ „ინსტანციას“ კაცია არ ცნობს — არც საზოგადოების ნებას და ინტერესებს, არც სამართალს და კანონს, არც ღმერთს. იგი თვითონაა ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელი, მხოლოდ მან იცის, რა არის სიმართ-

ლე და სამართლიანობა; ღმერთის სამართლიანობის, მეტიც, არსებობის აღიარების პირობა ხდება მის მიერ სოციალური სამართლიანობის აღსრულება ისე, როგორც ამ ადამიანს წარმოუდგენია სწორად; ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც კაციას სურს, თვით ღმერთის ნება მის ნებას უნდა დაემთხვეს. ქრისტიანული ცნობიერება დარღვეული და ამო-პირქვავებულია: იმის ნაცვლად, რომ ღვთის ნებას, ზნეობ-რივ მცნებებს ემორჩილებოდეს, მოთხოვნის გმირი ღმერ-თისგან მოითხოვს მორჩილებას, თავისი სიმართლის დამონ-მებას და თავის მტერზე შურისგებას. ცხადია, თვით შურის-ძიების წყურვილს და ღვთისგან მტრის დასჯის ჯიუტ, გა-ავებულ მოთხოვნას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს, მტრის ხატზე გადაცემა შენილბული წარმართული მაგია.

ღმერთის მიმართ კაციას ამბოხი თითქოს არ არის მოკ-ლებული თავისებურ პრინციპულ საფუძველს — მისი აზ-რით, ღმერთი მოვალეა დასაჯოს დამნაშავე, რათა ადამია-ნებს ცოდვის და მადლის გასარჩევი თვალსაჩინო და უცდო-მელი საზომი ჰქონდეთ. მაგრამ ღმერთისადმი წაყენებული ეს პრეტენზია, კულტურაში დადასტურებული ღმერთან ბრძოლის სერიოზულ გამოვლინებათაგან განსხვავებით, სი-ნამდვილეში არ გვევლინება რაიმე საყოველთაო ჰუმანის-ტური ფასეულობის დაცვად, აღძრულია მხოლოდ საკუთარი ჟინის დაკმაყოფილების შეუპოვარი მოთხოვნილებით, უსაზ-ღვრო თავნებობით. თუ კაციას ამბოხს შევუდარებთ ვაუა-ფშაველას მიერ წარმოსახულ პიროვნების მსოფლმხედვე-ლობრივ დაპირისპირებას საზოგადოებასთან და ტრადიცი-ულ გაქვავებულ რელიგიასთან, კიდევ უფრო ცხადი იქნება ამ პერსონაჟის პროტესტის მასაზრდოებელ იმპულსთა ეგო-ცენტრული წარმომავლობა.

ღმერთისადმი კაციას ურჩობა სულიერი წამებით იცვლე-ბა, მაგრამ ეს ტანჯვაც იმას მოწმობს, რომ მოთხოვნის გმირის რელიგიური ცნობიერება გამრუდებულია — მას არა აქვს მონანიების ძალის რწმენა და ღვთისგან პატივის მი-ღების იმედი. კაციას თანასოფლელების შეგნებაც არსები-თად არაქრისტიანულია, მასშიც აღმოფხვრილია შემწყალე და მიმტევებელი ქრისტიანული ღმერთის სახება: ისინი თვლიან, რომ კაციას დატირებით ღმერთს გაანაწყენებენ.

მოთხრობის მთავარი სათქმელი შემჭიდროებულია მღვდლის ქადაგებაში, რომელიც კაციას მოქმედების გააზრებას და შეფასებას შეიცავს. „ერთობ უცნაური ხასიათისა ვართ... ბუზს არ გადავითვრენთ ხანდახან თავზე... თუ რამ დავიჯინეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც მტყუანიც ვიყვეთ... გულისწყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად... უთუოდ ჩვენს ნებაზე უნდა იქნეს ყველაფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც აღარ ვარჩევთ, ოღონდ კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის... ხშირად არც კი გვინდა ვიცოდეთ. და აი, სადამდის მიყყავართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც კი ვებრძვით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზე არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულეო... აი, სადამდის მიდის ჩვენი უგუნური გულისწყრომა... დამშვიდით, შვილები, ისწავლეთ მოთმინება...“.

ეს განსჯა ხელს უწყობს ნაწარმოებში მოთხრობილი არა-ორდინარული შემთხვევის განზოგადებას, მისი აზრობრივი დიაპაზონის გავრცობას; მოთხრობის პერსონაჟის დრამას ეროვნული ხასიათის თავისებურებაში აქვს ძლიერი წანამდლვრები. „შერისხვა“ გვიმხელს საუკუნეების მიჯნაზე ქართველი ადამიანის ტრადიციული რელიგიურ-ზნეობრივი ცნობიერების დაშლის გაღრმავებას და, შესაბამისად, მისი თვითნებობის გამძლავრებას, თვითნებობის, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ქართველისთვის უმთავრეს საფრთხედ მიაჩნდა.

„შერისხვა“ დავით კლდიაშვილის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია და თითქოს ცოტა გაუბრდავად, შებოჭილად არის დაწერილი. მასში შედარებით ნაკლებია ის წვრილმანები და ნიუანსები, რომლებითაც დავით კლდიაშვილი, ჩვეულებრივ, ასე აფერადოვნებს თავის ნახატს.

სამაგიეროდ უფრო გვიან შექმნილი, იდეურ-პრობლემური თვალსაზრისით „შერისხვის“ მონათესავე მოთხრობა „მიქელა“ შესრულებულია ზედმინევნით ფაქიზი და ზუსტი ნიუანსირებით. მოთხრობის სტილი პლასტიკური გამოკვეთოლობის და მოცულობრიობის მქონეა, ამავე დროს ეს პლასტიკა ფსიქოლოგიზებულია, სულიერების გამტარია. მოთხრობას მოსავს მკაფიოდ საგრძნობი ატმოსფერული გარსი, მისი მწუხარე, მოქუფრული ტონალობა გადმომდები ძალით არის აღბეჭდილი.

ისევე როგორც კაცია, მიქელაც ტრადიციული რელიგიურ-ზნეობრივი მსოფლგაგებისგან განდგომილია, თუმცა მას „შერისხვის“ გმირისგან განსხვავებით მართლაც დიდი გასაჭირი ადგას, თითქმის მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახი ამოუწყდება. თავიდან მოხუცის საყრდენი ამ უბედურებაში ღმერთის რწმენა და მორჩილება, ქრისტიანული მოთმინებაა. მაგრამ ოჯახის კიდევ ერთი წევრის ავად გახდომა მიქელას მოთმინებას უკარგავს, მის სულში რაღაც უცნაური რყევა იწყება. ეს კაცი, ავტორის დახასიათებით, „ჩუმი, ყუჩი, ბუს მსგავსი ... რომელიც გულგრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა“, მანამდე უხილავ, ნამდვილ სახეს აჩენს. მიქელას ცნობიერებაში მძაფრი პროცესი აღიძვრება, რომლის არსაც მწერალი მწყობრ ფორმულად შეამკვრივებს: „მასში თითქოს გაიღვიძა შიგნით დამალულმა ადამიანმა თავისი გრძნობებითა და წადილებით“.

„გრძნობები“ და „წადილები“, რომლებიც მოთხობის გმირის აქამდე ფარულ, ახლა კი გამომჟღავნებულ შინასამყაროს ეუფლებიან, ერთი შეხედვით, მხოლოდ ოჯახის სრული განადგურების შიში და ამ საზარელი საფრთხის თავიდან აცილების სურვილია. მაგრამ თუ დაუუკვირდებით, აღმოჩედება, რომ მიქელას შემფოთებას ამის გარდა აქვს სილრმისეული მოტივიც — ოჯახის ამონტვეტის შესაძლებლობა უპირველეს ყოვლისა იმით აფორიაქებს, რომ თვით მის სულს სიკვდილის შემდეგ ამქვეყნიური მზრუნველი აღარ ეყოლება, თვით მისი ინდივიდუალური არსებობის იმქვეყნად დამკვიდრებას და გაგრძელებას დაბრკოლება ექმნება; და მიქელას ამქვეყნად მემკვიდრე ჭირდება, რათა მისი ოჯახი არ მოშალოს და, რაც მთავარია, „აქედან“ მის „იქაურ“ სიცოცხლეს შეენიოს. ამ კაცის მთავარი მამოძრავებელი რომ ეს მეტად ძლიერი მოტივია, მოთხობაში არაერთხელაა მინიშნებული. ამგვარ მინიშნებებს შორის ყველაზე ხაზგასმული ნაწარმოების ფინალშია მოქცეული და გმირის მოქმედების წარმმართავ მოტივს საბოლოო, შემაჯამებელი გარკვეულობით ამჟღავნებს. თავის ჯანსაღ შვილიშვილზე, ვის გადარჩენასაც ცდილობს, მიქელა ამბობს: „ის კარგად მეყოლოს და მე მისი ჭირი წამილია!.. მისი ჭირი წამილია!.. ჩემი სულის მაცხონებლის — და მოხუცებულმა ისევ ღრმად ამოიოხრა. — მისი ჭირის სანაცვლო ვიყვე, ჩვენი სულის მაცხონებლის!..“. რაკი

ოჯახის მიცვალებულთა და პირველ რიგში კი მისი საკუთარი „სულის მაცხონებელი“ უვნებლად ეგულება, მოხუცი თავის მოახლოებულ სიკვდილზე აღარ წუხს.

მიქელას რწმენის რაობა, რომ საიქიოს გადასახლებულ სულს მიწიერი სამყაროდან მზრუნველობა და ხელშეწყობა უსათუოდ ესაჭიროება, კონკრეტული სახით ნარმოჩნდება იმაში, თუ როგორ ეშურებიან ადამიანები თავისი მიცვალებულების საიქიო ბედის გაგებას მიქელას ავადმყოფი შვილიშვილისგან, სპიდონასგან, რომელიც თითქოს იმქვეყნიდან ერთი წლის ვადით არის დაბრუნებული. ისინი ნაღვლობენ, ხომ არაფერი აკლიათ, ხომ არაფერი აწუხებთ გარდაცვლილებს „უვუნურ“ და „მიუხდომელ“ ჭირისუფალთა მიზეზით. ძნელი ნარმოსადგენი არ არის, როგორი იქნება იმ სულის სიკვდილისშემდგომი ხვედრი, რომელსაც საერთოდ არ რჩება ჭირისუფალი. ეს უნუგეშო პერსპექტივა აწვალებს მიქელას. უცნაურია ასეთი რელიგიურობა, მაგრამ თავისი სულისთვის უშფოთველი და მყარი იმქვეყნიური არსებობის უზრუნველყოფის მძაფრი მოთხოვნილება აიძულებს მიქელას, აღარ იყოს ღვთის სიკეთის იმედად და თვითონ იღონოს რამე. მიქელას ღმერთს აშორებს თვითშენარჩუნების აწრიალებული ინსტინქტი.

შეხედულება, რომ გარდაცვლილის მდგომარეობა საიქიოში ასე არსებითად არის დამოკიდებული მის მიმართ ამქვეყნიურ მზრუნველობაზე, ქრისტიანობის გაყალბებაა. ეს არის შენიღბული მატერიალიზმი: ფუძისეულია მიწიერი სამყარო, იმქვეყნიური ცხოვრება კი უბრალოდ მისი გაგრძელება და შორს გადატანაა. ცრურნმენა სადინარს აძლევს მიქელას მეტისმეტად მწვავე თვითშენარჩუნების წადილს.

ღმერთის მორჩილებაზე და მოთმინებაზე ხელს რომ იღებს, მიქელა წყდება ქრისტიანულ ზნეობას, ივინყებს გულმოწყალებას, შებრალებას. მისი გეზისმიმცემი ახლა ბრძოლის და გადარჩენის მორალია, რომელმაც შებრალება არ იცის, იგი მოითხოვს სისასტიკეს, სხვა ადამიანის გაწირვას. თვითგადარჩენისკენ, საკუთარი „მეს“ სამუდამო დამკვიდრებისკენ ლტოლვა მიქელას დიდ ენერგიას აძლევს და დააძული მოქმედებისკენ უბიძგებს. და მისი მოქმედება ადამიანის ქრისტიანობამდელ, ნარმართულ მსხვერპლშენირვას გავს. ქრისტიანული მორალი ეფუძნება ყოველი ადა-

მიანის როგორც ლვთისშვილის უნიკალური ფასეულობის შეგნებას; ქრისტიანული თვალთხედვით, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე გასაფრთხილებელია და რიდის ლირსია, დაუშვებელია მისი საშუალებად გამოყენება რაიმე (თუნდაც მაღალი) მიზნის მისაღწევად. ამის საპირისპიროდ მიქელა ადამიანს წირავს გვარის, მოდგმის, ოჯახის გადასარჩენად, რომელიც არათუ ამქვეყნად გააგრძელებს მის სიცოცხლეს, არამედ მისი იმქვეყნიური სრულფასოვანი არსებობის სანინდარიც იქნება. იგი მოქმედებს, ასე ვთქვათ, „ბუნებრივი გადარჩევის“ პრინციპით — ძლიერები და ჯანსაღები უნდა გადარჩენ, ხოლო სუსტები უნდა დაიღუპონ, ძლიერთა კეთილდღეობას ემსხვერპლონ.

თავის შვილიშვილებში მიქელა ვერ ხედავს თვითმყოფად, განუმეორებელ ადამიანებს, ცოცხალ სულებს. მისთვის ისინი არსებითად თავისებური ობიექტები არიან, რომელთაგან ერთი, ავადმყოფი, მისი მიზნის ასრულებას ხელს უმლის, ხოლო მეორე, ჯანსაღი — პირუკუ, ხელს უწყობს. ეს განსაზღვრავს მოხუცის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას შვილიშვილებისადმი. ჯანსაღი შვილიშვილი მისი არსებობის გაგრძელების ერთადერთი იმედია და ამიტომ მას თბილად ეკიდება, ეს ბავშვი უტილიტარულად არის მისთვის ძვირფასი. მახვილი ფსიქოლოგიზმითაა შესრულებული პასაჟი, სადაც მიქელა ოჯახიდან გახიზულ ჯანმრთელ შვილიშვილს მოინატრებს და მასთან მიდის: მიქელას თითქოს არ სჯერა მისი არსებობა და მძაფრად სურს თავისი იმედის განმასახიერებელი საკუთარი თვალით იხილოს კარგადმყოფი, ხელი შეახოს, რათა თვით იმედის საფუძვლიანობა ირწმუნოს; იმდენად ძლიერია ეს სურვილი, რომ გზაში შვილიშვილი ელანდება.

შეკავებული, უხმაურო დრამატიზმით და სულისშემძრავი ხელშესახებლობით არის გამოსახული მიქელასთვის დაბრკოლებად ქცეული და ოჯახიდან მოკვეთილი, სასიკვდილოდ გაწირული ავადმყოფი ბავშვის მარტოობა, ფიზიკური და შინაგანი ტანჯვა. ხოლო მისი დამღუპველი ბუნების სტექიის სურათი თითქოს მეტაფორულად ადამიანების ცხოვრების და სამყაროს სისასტიკეს, უგუნურებას გამოხატავს.

ვერ ვიტყვით, რომ მიქელა სრულებით არ წუხდეს თავისი დაუნდობლობის გამო, რომ მისთვის სრულებით უცხო იყოს

სიბრალულის გრძნობა. მისი ამგვარი გრძნობები ასე თუ ისე მაინც გამოყონავს, ყოველ შემთხვევაში, ბავშვის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ეს ვერ გადაფარავს იმას, რაც მოთხოვთ მთავარია — ტრადიციული რელიგიური და მორალური მრჩამსისგან ადამიანის დაშორებას და ამის კანონზომიერ შედეგებს: სისასტიკეს, დამოკიდებულებას ადამიანისადმი როგორც უსულო ობიექტისადმი, საშუალებისადმი, რის მიღმაც თვითშენარჩუნების შეუკავებელი ინსტინქტი იკვეთება.

ავტორი, რომლის მსოფლგანცდა და სტილი ვერ იგუებს მორალურ მსჯავრმდებლობას, არც მიქელას განიკითხავს, ეს გასასტიკებული ადამიანი მისთვის უპირველეს ყოვლისა მაინც საცოდავი არსება. იგი ამ პერსონაჟს, ისევე როგორც თავისი პერსონაჟების უმეტესობას, ხედავს დამთრგუნველ გარემოებებზე დამოკიდებულს, მატერიალური სიდუხჭირის, გონიეროვი სიბრძლის, ინსტინქტის საცეცებში უმნეოდ მომწყვდებულს და ღრმად, მტკიცნეულად თანაუგრძნობს მას. სიბრალულის, ლმობიერების განსაკუთრებული ნიჭი ვაჟა-ფშაველასთან ანათესავებს დავით კლდიაშვილს. მაგრამ შემწყნარებლობა, თავისი გმირების საცოდაობის სათუთი განცდა ხელს არ უშლის მწერალს ცხადად გაარჩიოს ერთმანეთისგან მათი ცოდვა და მადლი.

თუ დავით კლდიაშვილის მოთხოვთ მაში თვითშენარჩუნების ჯიუტი ნება, რომელსაც ადამიანი სხვა ადამიანის სასიკვდილოდ გამეტებამდე მიყავს, ქრისტიანული ეთიკის პოზიციიდან არის განცდილი და გაგებული როგორც ცოდვა, ზნეობრივი დანაშაული, იგი დაახლოებით იმავე პერიოდის უცხოურ ლიტერატურაში სრულიად სხვაგვარი, ბიოლოგისტური და „ზეცაცობის“ დამამკვიდრებელი ინტერპრეტაციის საგანიც გამხდარა. ამის ნიმუშია ჯეკ ლონდონის პროზა, სადაც ყველანაირი საშუალებით სიცოცხლეზე მაგრად მოჭიდება, „ბუნებრივი გადარჩევა“, მოდგმის ფასეულობრივი უპირატესობა ინდივიდუუმის მიმართ წარმოისახება როგორც ბუნების და საზოგადოების უნივერსალური და ნორმალური კანონი. ასეთ ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინოა დავით კლდიაშვილის მსოფლალქმის ქრისტიანულ-ჰუმანისტური საფუძვლები.

იმის მსგავსი სულიერ-ზნეობრივი სიტუაცია, როგორიც „შერისხვაში“ და „მიქელაში“ სახიერდება, დავით კლდიაშვილის სხვა ნაწარმოებებშიც არის აღბეჭდილი. „მსხვერპლში“ ტრადიციული მორალური ცნობიერება დარღვეულია და ადამიანებს ერთმანეთის აგრესიული თვითნებობისგან არაფერი იცავთ; ღმერთის მორჩილების და მოთმინების მორალის სიცოცხლისუნარიანობა დაშრეტილი ჩანს პიესაში „უბედურება“: პიესის პერსონაჟები გაჭირვებას პასიური მოთმინების ნაცვლად აქტიურ ქმედებას და სოლიდარობას, ერთგვარ „გონივრულ ეგოიზმს“ უპირისპირებენ, მაგრამ სოლიდარობა მოკლებულია ცოცხალ თანაგრძნობას, ეგოიზმი „გონიერებაზე“ ბევრად ძლიერი აღმოჩნდება, საზოგადოებას განხეთქილება ხლეჩის და იღვრება სისხლი — ხდება უფრო დიდი უბედურება, ვიდრე ის იყო, რომელსაც თითქოს წინ აღუდგნენ. ამ იგავისებურ პიესაში თითქოს ჩვენი თანამედროვეობაც ირეკლება...

„შერისხვაში“ და „მიქელაში“ ხორცშესხმულია დავით კლდიაშვილის შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი სიუჟეტური მოდელი — აქტივობა გასაჭირისგან თავდასალწევად და მისი შედეგი, რომელიც თავდაპირველ მდგომარეობაზე გაცილებით უარესია (ასეა იმავე „უბედურებაში“, „სამანიშვილის დედინაცვალში“...). აქტივობა, რომელიც ზნეობას გვერდს უქცევს, სულიერი სიმრთელისთვის მავნეა.

ქართველი ადამიანის ინდივიდუალიზმი მით უფრო კარგავს ზომიერებას, რაც უფრო ცილდება თავის ტრადიციულ რეგულატორს, ქრისტიანულ მსოფლგაგებას და მორალს. დიდ სულიერ და სოციალურ განსაცდელთა ეპოქის დამდეგს ეს სახიფათოდ გაზრდილი დაშორება დავით კლდიაშვილმა უტყუარი რეალიზმით ცხადყო.

1992

ვასილ ბარნოვი

დაცემები და ზეალსვლები

თითქოს არ აკლია აღიარება და დაფასება ვასილ ბარნოვს, მისი პროზის შესწავლაც უნაყოფო, რასაკვირველია, არ ყოფილა, მაგრამ მწერლის ვრცელი შემოქმედების ის ნაწილი, რომელსაც თანამედროვე მკითხველის ცოცხალი ინტერესის გამოწვევა შეუძლია, გამორჩეული და აქტუალიზებული არ არის. ამის მიზეზი ისიც ჩანს, რომ კრიტიკის ყურადღება ძირითადად მიპყრობილი იყო ბარნოვის მსოფლმხედველობისკენ, რომელიც ფილოსოფიური და რელიგიური აზროვნების ძველ ტრადიციებზეა აღმოცენებული და თავისთავად მართლაც საყურადღებოა, ხოლო მთავარი, ესთეტიკური კრიტიკოუმი მას ნაკლებად ჰქონდა მომარჯვებული.

ბარნოვის საუკეთესო მოთხრობებში ფილოსოფიურ-რელიგიურ იდეებს ისრუტავს სახეობრივი სტიქია, ინტუიტური და განცდილი, ორიგინალური მხატვრული ხილვა ძლევს ილუსტრაციულობას, სქემატურობას; ზოგიერთი ესთეტიკურად ფასეული მოთხრობა კი საერთოდ არ არის მწერლის ფილოსოფიურ და რელიგიურ მსოფლმხედველობასთან უშუალოდ დაკავშირებული. მოთხრობებში „სული მთვლემარე“, „ყვავილებში“ და ა.შ., როგორც „თეორიის“ შემცველ სრულფასოვან მხატვრულ ნანარმოებებს საერთოდ ახასიათებთ, დოქტრინა კი არ იყენებს მხატვრულ სახეს ილუსტრაციად, არამედ პირიქით, ცხოვრების მხატვრული ხედვა — უშუალო გრძნობად-გონითი ჭვრეტა იმველიებს განყენებულ იდეას და ამით სიღრმეს შეიმატებს, თავის პორიზონტს შორს გადაწევს. აქ ფილოსოფიურ-რელიგიური თვალსაზრისი, სულთა გადასახლების (მეტემფსიქოზის) თეორია გახევებულ დომინანტად კი არ გვევლინება, არამედ დამხმარეორინტირად ბარნოვისგან განუშორებელი სიცოცხლის იდუმალების გრძნობისთვის.

ხოლო სიცოცხლის საიდუმლო ბარნოვისთვის უწინარეს ყოვლისა ინდივიდუაციის საიდუმლოა, ინდივიდუალური ხა-

სიათის და ბედის გამოცანაა. ინდივიდუალობა და ხასიათი, მწერლის თვალთახედვით, საბედისწეროა.

„სული მთვლემარეში“ ბარნოვი განსაკუთრებით აქცენტირებულად გამოხატავს ინდივიდუალობის იდუმალებას. მოთხოვობის მთავარი პერსონაჟის უცნაური იერი, ხასიათი ხატოვანი სიუხვით და სისრულით ინაკვთება.

გიგოლა მატერიის უხეშად ფორმირებული, მძიმე და ზანტი მასაა, რომელშიც ასევე ზანტი სულია ჩაკარგული; ერთადერთი ქმედება, რომელიც ამ ტლანქი და დუნე ცხოველის მსგავს არსებას იზიდავს, მიწის ზელაა, თიხის დამუშავებაა: ის თითქოს ბუნებამ ამისთვის ჩაიფიქრა და შექმნა, თითქოს თვითონაც მიწის სტიქიიდან არის წარმოშობილი და მშობლიურ სტიქიას შეენივთება. ეს ინერტული და უწყინარი გოლიათი საკუთარი ნებით რაიმე სერიოზული კონფლიქტის მონაწილე არ გახდება. მაგრამ შეუძლებელია ცხოვრება დიდ ბოროტებასთან შეჯახების გარეშე, რომლის დროსაც ადამიანის ზნეობრივი ბედი წყდება. ამ აუცილებლობას ვერც გიგოლა აცდება; ცოლის აქტივობის შედეგად, რომელიც ქმრის ანტიპოდია, — მსუბუქი, გამრჯვე, მოუსვენარი — ის მისთვის ბუნებრივ არსებობის ნესს წყდება და ქალაქში გადაინაცვლებს, სადაც ზნეობრივი განსაცდელი ელის: მას, ერთ-ერთი დანესებულების კეთილსინდისიერ დარაჯს, კინაღამ კაცი შემოაკვდება...

ერთი შეხედვით, ეს პერსონაჟი მეტაფიზიკური ძალების, განგების საკუთარ ნებას მოკლებული სათამაშოა. ამ შთაბეჭდილებას ბადებს ბარნოვის ბოეტიკისთვის დამახასიათებელი გაუპირვენებელი, იდუმალი დიალოგი, რომელიც ეხება გიგოლას სულის წარსულ და მომავალ ხვედრს — ნინა ცხოვრებაში იგი რომელიდაც დიდი ცხოველის სხეულში სახლობდა, შემდგომ არსებობაში კი უფრო დაწმენდილი განხორციელდება. მაგრამ ამის შესახებ მაინც კატეგორიულად არ არის ლაპარაკი დიალოგში, რომელიც მოთხოვობის მთავარი გმირის სახეს და სიუჟეტს კოსმიურ-მარადიული ყოფიერების ანარეკლით ამდიდრებს.

სინამდვილეში გიგოლა თვითონ არის თავისი ბედის შემოქმედი — ის ყურად იღებს „გაფრთხილებას“, ალლოთი წვდება შემთხვეული ამბის აზრს: თუ ბოროტებისგან სამედოდ არ მოიზღუდავს თავს, შეიძლება სულიერად დაიღუ-

პოს. ცოდვის კვლავ ჩადენის საფრთხის შეგრძნება მის შინა-სამყაროს შეარყევს და ნელ-ნელა, მტკივნეულად აამოძრა-ვებს. ის, რაც გიგოლას ფსიქიკაში საპოლოოდ მკაფიო სახეს იძენს, არის აზრი ისევ მიწის სტიქიასთან მიბრუნების შესახებ, რომელიც მისი ბუნების ინსტინქტური ლტოლვიდან იბადება. თუ თავიდან იგი ამ სტიქიას სრულიად გაუცნო-ბიერებლად ერწყმის, ბოლოს უცდომელი ალლოთი გრძნობს, რომ ეს არის ერთადერთი რამ, რითაც თავის დანიშნულებას ახორციელებს, რის გარეშე არსებობაც ბოროტებასთან აახ-ლოებს. თუ მანამდე გიგოლას სიზანტე, სიზარმაცე თითქოს ცოდვისგან ინსტინქტური თავდაცვაც იყო, ახლა ის შინაგა-ნად ხედავს, რა აარიდებს ცოდვას. არსებითად იგი ზეობ-რივ არჩევანს აკეთებს — ბოროტებას გაურბის და ამოიც-ნობს თავის ერთადერთ მონოდებას, რომლის შესრულება ბოროტებისგან თავდახსნას ისევე უადვილებს ადამიანს, როგორც საკუთარი მოწოდების შეუსრულებლობით უადვი-ლებს იგი ბოროტებას თავისთავზე ბატონობას. სიკეთის და ბოროტების მსოფლიო „ბალანსში“ გიგოლა სიკეთეს შეემატება.

მოთხოვთ თავის ხიბლს მნიშვნელოვანწილად დაკარ-გავდა, მას რომ არ დასთამაშებდეს ავტორის ღიმილი, — კეთილმოსურნე და შემწყნარებელი, ოღონდ ამასთანავე ირონიული — რომელიც გვიმხელს, რომ თუმცა მოთხოვთ გმირი აბსოლუტური ფასეულობის მქონეა როგორც განუ-მეორებელი ინდივიდუალობა, ის მაინც პატარა და საბრა-ლოა; მისი ხედრი კეთილიც არის და უბადრუკიც; იგი ერთ-დროულად არის კოსმოსის მარადიული წრებრუნვის აუცი-ლებელი და მეტისმეტად მცირე ელემენტი.

თავის პრიმიტიულ გმირში და მის მარტივ თავგადასა-ვალში ბარნოვი ჭვრეტს სამყაროს არსებით ტენდენციებს და საწყისებს: უნიკალურ ინდივიდუაციას და საყოველთაო ხვედრს, სულს და მატერიას, აუცილებლობას და თავისუფ-ლებას, სიკეთეს და ბოროტებას. „სული მთვლემარეში“ ორ-განულად არის შეხამებული ყოფითი რეალიზმის სიმყარე, გაუცხოებული გროტესკული სახეობრიობა, სამყაროს უსას-რულობის მისტიკური განცდა.

რაღაც იმის მსგავსი, რაც „სული მთვლემარეში“ გიგო-ლასთვის მიწის ზელაა, „ვაშლების“ გმირისთვის, როგორც

მოთხრობის სათაურიც გვანიშნებს, არის ვაშლების უზომო სიყვარული, საერთოდ მუცელლმერთობა. ინდივიდუალობის თავისებურება აქ უფრო რეალისტურად არის გააზრებული როგორც ბავშვობაში ფორმირებული და რამდენადმე სოციალურად დეტერმინირებულიც (მოთხრობის პერსონაჟი ხელმოკლე ოჯახის შვილია და გაჭირვებაც უვითარებს კურიოზულ სიხარბეს). დრო ვერ ეხება ამ ინდივიდუალობის არსას, ბირთვს, იცვლება მისი სოციალური სტატუსი, ცხოვრების გარეგანი ფორმა, მაგრამ დაუძლეველი რჩება უცნაური ვნება, რომელიც ამ უკვე რესპექტაბელური კაცის თითქოსდა ბედნიერ ყოფას ფარულად ბზარავს. პერსონაჟის ინდივიდუალობის ერთი შეხედვით უწყინარი თვისება ბედისნერასავით მოურეველია და თავისებურად მართლაც საბედისნერო აღმოჩნდება: ოჯახის სამარცხვინო საიდუმლოდ იქცევა და ოჯახური კონფლიქტების ამოუწურავი წაყროა; მოთხრობის გმირის ცოლი ზიზღს გრძნიბს ქმრის მიმართ, თუმცა ამას საგულდაგულოდ მალავს. ეფექტურია უჩინარი შინაგანი რეალობის გამომზეურების ხერხი: სათაკილო საიდუმლოთა გამჟღავნებაში კატალიზატორის როლს თამაშობს მთხრობელი, რომლის მიერ წაქეზებული მოთხრობის გმირი მეგობრულ ვახშამზე ყოველგვარ სანოვაგეს და განსაკუთრებით ვაშლებს მუსრს გაავლებს. ნაწარმოების ხალისიანი და ნათელი იუმორი მთლიანობაში პირქუშ ხასიათს იღებს, სასაცილოს და თავშესაქცევის მიღმა გამოუვალი ადამიანური უბედურება იმაღლება.

მოთხრობაში „ლიმი დამღუპი“ გროტესკულად არის გამოსახული ბედისნერით დადაღული ინდივიდუალობის მქონე ადამიანი, სამყაროს არსში დატანებული დისპარმონიის, ტრაგიკომიკური სანყისის ხორცშესხმა. „ბუნება ოხუჯია, უყვარს წინააღმდეგობის მოთავსება ერთ ფარგალში, ერთსა და იმავე პიროვნებაში ერთმანეთის უარმყოფელი ხორცისა და სულისა. იღიმება ბუნება არსთა ძალების ასეთს შეთამაშებაზედ. — და ეგ მისი ღიმილი ძვირად უჯდება ქმნილებას“. მოთხრობის პერსონაჟის ტრაგიკომედია ის არის, რომ მის მოუხეშავ სხეულში ფაქიზი სული ბინადრობს, რომელიც მონათესავე ქალურ სულს ეძებს, მაგრამ ამ ღატოლვას უხერხულად და კომიკურად, ამავე დროს ავად, საბედისნეროდ

ელობება წინ მისივე შეუფერებელი, მოუქნელი სხეულებრივი გარსი.

კიდევ უფრო უსიხარულოა მოთხოვთ „ყვავილებში“ გმირის ხვედრი. ადამიანური ტანჯვის ისეთ გამჭრიახ, ამას-თანავე ემოციურ ხედვას და წარმოსახვას, როგორიც ამ მოთხოვთას გამოარჩევს, ბევრგან ვერ ვიპოვით ჩვენს პროზაში.

ნაწარმოების მთავარი გმირის სულიერი ცხოვრების გად-მოცემა შთამბეჭდავია არამარტო დაძაბული ექსპრესიულობით, არამედ ანალიტიკური საბასრითაც. იგი ვლინდება როგორც ცალკეულ დაკვირვებათა უტყუარობაში, ასევე სულიერ მდგომარეობათა კანონზომიერი ცვლის წარმოჩენაში.

უბედური შემთხვევის გამო პატარა გოგონას კუზი უჩნდება — რაღაც უმოწყალო ძალა ბაბუცას სხეულს, ცნობიერებას, მთელ არსებობას თითქოს მარწუხში მოიმწყვდევს და ყველაფრის დეფორმირებას ახდენს. მის ტანჯვას განსაკუთრებით ძნელად ასატანს ხდის ის დამამცირებელი შეფასება, რომელსაც ადამიანები ან უხეშად უმუდრავნებენ, ან მათ მზერაში გამოსჭვივის; მაინც ებლაუჭება მაცდურ იმედს, საზოგადოებაში წორმალური ადამიანის სტატუსი მოიპოვოს, რომელსაც ეროტიული ლტოლვის გალვივება უძლიერებს — ახლადგაღვიძებული ეს ლტოლვა ბედნიერების მისაწვდომობის რჩმენას ჩაუსახავს ადამიანს. ამას საშინელი გამოფხიზლება და ღრმა მელანქოლიაში ჩაძირვა მოსდევს...

ხელოვნური ყვავილების კეთება ბაბუცას უბედურების ატანაში შველის, მაგრამ თანდათან ამ საქმიანობისას მის არსებაში დაფარული წარმოსახვის მდიდარი ნიჭი გამომზეურდება, რომელიც მექანიკურ შრომას შემოქმედებად აქცევს, ამასთანავე ქალს ერთგვარ ავტომითს შეაქმნევინებს და ჭეშმარიტებად წარმოუჩენს: წინა ცხოვრებაში მან მასზე შეყვარებული ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა და ამ ცოდვის სასჯელია ბაბუცას სიმახინჯე და ტანჯვა. საკუთარ ხილვათა ნაძღვილობის დაჯერების ასეთი უზარი აქვს შემოქმედს, ხელოვანს. ასე რომ, მოთხოვთ პერსონაჟი შვებას და სიცოცხლის საზრისს პოვებს თავისი ინდივიდუალური შემოქმედებითი მოწოდების აღმოჩენის და რეალიზების წყალობით.

სულთა გადასახლების იდეა აქ წარმოგვიდგება არა ავტორის მზა მრნამსად, არამედ თვით გმირის მიერ გამოტან-ჯულ ოცნებად, ნუგეშად. პერსონაჟის მეტაფიზიკური ხილ-ვები ჭეშმარიტია მხატვრულად, მკაცრად შეპირობებულია მისი ბედის და ხასიათის ლოგიკით. ამ ხილვათა მხატვრული სიმართლე უმთავრესად ის არის, რომ მათში ბაბუცას უბე-დურების მიზეზად წინა ცხოვრებაში მის მიერ გამოვლენილი ქედმალლობა წარმოისახება, ხოლო მოთხრობაში აღბეჭდი-ლი მისი ტანჯვა გამწვავებულია სწორედ განსაკუთრებული სიამაყით.

მოთხრობაში თავს იჩენს ორსამყაროვნება, რომელიც რომანტიზმისთვის არის დამახასიათებელი — მაგალითის-თვის გავიხსენოთ ჰოფმანის პროზა, სადაც ყოველდღიური სინამდვილის მიღმა ჯადოსნური სამყარო გადაიშლება...

რომანტიკული ორსამყაროვნება მუღავნდება „განასკვილ სიმშიც“. მოთხრობის გმირს მწვავე სულიერი კრიზისის მომენტში ვხვდებით. მის სასონარკვეთილ შფოთვას გვიმხელს დიალოგი არაპერსონიფიცირებულ ხმასთან — ლირიკული პროზის ერთ-ერთი ეფექტური ნიმუში ბარნოვის ლი-რიზმით გაჯერებულ შემოქმედებაში. ნაწარმოების გმირს კაეშანს აუშლის არსებობის საზრისის დაბინდვა, სოციალური ცხოვრების მოყირჭება, ადამიანებში და სიცოცხლის ფა-სეულობაში დაეჭვება, რაც მთავარია, არყოფნის შიში, მარა-დიული სამყაროსგან გაუცხოება.

დაძაბული და იდუმალი ლირიკის ექო წვდება რეალისტურ-ყოფით სცენებსაც, რომლებშიც გადმოცემულია მთხრობელის ძველ, გლახაკად ქცეულ მეგობართან შეხვედრა, მის დუხჭირ ოჯახში სტუმრობა... საცოდავი ადამიანების ეს უბადრუკი სამყოფელი ბრძა ქალის, თავისებური მედი-უმის წყალობით მთხრობელისთვის იქცევა რომანტიკულ მეორე სამყაროდ, თავშესაფრად, სადაც გარდასულთა აჩრ-დილებს უახლოვდება და მისი ღრმა სევდა და მარტოობის გრძხობა ცხრება. ოღონდ აქაც, ისევე როგორც „ყვავილებ-ში“, მეტაფიზიკურს და მასთან ზიარებას მხატვრული პი-რობითობის იერი აქვს: ეს მთხრობელის სულიერი წყურვი-ლის ხატი უფროა, ვიდრე უეჭველი რეალობა.

მოთხრობაში „სოკო, სოკო“ ხეიბარი ახალგაზრდა კაცი დამთრგუნავი ყოველდღიურობის გვერდით შვებისმომგვ-

რელ პოეტურ-რომანტიკულ სამყაროს აღმოაჩენს და ბუნების სამეფოს თავისუფალ მკვიდრთაგან უბრალო ჭეშმარიტებას შეითვისებს — ამქვეყნად გაჩენა ნებისმიერ შემთხვევაში ღვთის საჩუქარია. მოთხოვთ პერსონაჟი ბუნების ქმნილებებთან ერთად და მათ მსგავსად იწყებს არსებობას — ამათ სურვილების გარეშე, უპრეტენზიოდ და თავისუფლად.

ამ მოთხოვთის რომანტიკული გმირის ანტიპოდია ირონიით დახატული „შინაურ მტერში“. ბუნებაში მას არაფერი იზიდავს და ხიბლავს, ბუნებასთან სიახლოვე ყოფით უხერხულობებს უქმნის, სოფელში შეჩვეულ კომფორტს მოკლებულია; მოკლებულია პრესტიულ საზოგადოებას, პატივს და სხვა სიამოვნებებს, გასართობებს, იმას, რაც მის არსებობას შეადგენს და თვითკმაყოფილებას ანიჭებს. ჩინოვნიკურ-მეშჩანური ფენის ნარმომადგენლის სტანდარტული ცხოვრების წესი თითქოს საგანგებოდ არის მოგონილი იმის-თვის, რომ ადამიანი რაიმეზე სერიოზულად არ დაფიქრდეს და ღრმად არაფერი იგრძნოს; მისი დანიშნულება თითქოს ის არის, რომ სულიერ სიცარიელეს გადაეფაროს. ხოლო სოფელში ასეთი საფარველი არ არსებობს და მოთხოვთის გმირის გამოფიტულობა შიშვლდება. ეს არის უსულგულო ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სხვისი უბედურების განცდის, თანაგრძნობის უნარი. ხოლო უბედურებას, რომლის მოწმეც ის ხდება, უცნაური სახე აქვს — ფისიკურად ტრავმირებული კაცი, გაკოტრებული ვაჭარი თავისი უიღბლობის მიზეზის ხორცშესხმას ხედავს მოშლილ გრამოფონში, მას აღიქვამს შეგნებულ არსებად, ვინც განზრას უწყობს საბოტაქს და ებრძვის ამ არსებას როგორც ბოროტ ბედისწერას. მოთხოვთის მთავარი გმირისთვის ეს ტრავმიკური სანახაობა იქცევა გასართობად, აუტანელი მოწყენილობის გაძეარვებლად; თვითონაც გამოსადეგი აღმოჩნდება ვაჭრის-თვის როგორც ცოცხალი რეკლამა... მაინც მთავარი პერსონაჟის არსებაში განადგურებულ ადამიანთან შეხვედრა უსიამოვნო ნალექს ტოვებს, ქვეშეცნეულად შეაშფოთებს მას და ის ცდილობს მეხსიერებიდან ამოიშალოს შეშლილის სახე: მის კეთილმოწყობილ და უტკივილო, კომფორტულ მიკროსამყაროში არავითარ უბედურებას დისონანსი არ უნდა შპექონდეს, მას არაფრად ჭირდება იმის ცოდნა, რომ არსებობს

ბედის ულმობელი, ადამიანის ცხოვრების დამანგრეველი დარტყმები...

ადამიანთა გაუცხოება ბუნებისგან, გაუცხოება საკუთარი ადამიანური არსისგან და ერთმანეთისგან, მათი მომხმარებლური ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანის არსებობაში ტექნიკის როლის საბედისწერო გაძლიერება, გასართობის და სანახაობის გამუდმებული ძიება — ეს მოტივები მოთხოვბას მეოცე საუკუნის ცხოვრების ნიშანდობლივი ტენდენციების გამოსახულებად აქცევს.

თუ „შინაური მტრის“ გმირის სულიერი დეფექტი უგრძნობლობაა, „აღდგომის ცოდვაში“ ადამიანის ბუნების მანკიურება თავისი უფრო აქტიური, არსებითად დემონური გამოვლინებებით წარმოგვიდგება. სხარტი, ბასრი სიუჟეტის მეშვეობით წარმოიქმნება ჭრილი, რომელშიც უჩვეულო სიცხადით ჩანს დაფარული, შენიდბული ადამიანური იმპულსები — ერთმანეთშია გადახლართული და ერთმანეთს კვებავს შური, შურისძიების წყურვილი, მდაბალი ცნობისმოყვარეობა, ავი, სადისტური სიხარული, აღძრული სხვა ადამიანის თავმოყვარეობის შელახვით, ეროტიული სიხარბე...

მათ შორის განსაკუთრებულად ძლიერი და საშინელი სხვისი დამცირებით და ტკივილით სადისტური ტკბობაა, რადგან იგი ადამიანის სულის ირაციონალურ შრეებში ყველაზე ღრმად არის ფესვგადგმული. ამ ირაციონალური ძალის განმასახიერებელი დემონი ამარცხებს ანგარების განმასახიერებელ დემონს, რადგან ანგარება, სხვისი გასაჭირის მომგებიანად გამოყენების სურვილი ირაციონალურ სიღრმეს მოკლებულია, შედარებით უფრო ზედაპირული და ჩვეულებრივია.

ბნელი იმპულსების წინაშე მთავარი პერსონაჟის უმწეობის მიზეზი ქრისტიანობისგან მისი გაუცხოებაა, რის გამოსატვასაც ამძაფრებს მკვეთრი კონტრასტი — დემონური ვნებები პერსონაჟს აღდგომის დღესასწაულზე ეუფლება.

აღდგომის დღესასწაულის გარშემო აიგება აგრეთვე „საპასექო ნამცხვრის“ სიუჟეტური და აზრობრივი სტრუქტურა. მოთხოვბის პერსონაჟების ცხოვრებაში ამ დღესასწაულს არავითარი მაღალი შინაარსი აღარ აქვს — არც ქრისტიანული, სულიერ-ზნეობრივად გამაკეთილშობილებელი და არც წინაქრისტიანული, სიყვარულის და ნაყოფიერების

კულტთან, ვიტალური ძალების საგაზაფხულო განახლებას-თან დაკავშირებული. ამგვარ შინაარსს მეშჩანური გარე-მოდან აძევებს გასტრონომიულ-კულინარიული მატერია-ლიზმი, წვრილმანი პატივმოყვარეობა და უსულო ეროტიკა, წარმართული ეროტიული კულტის პაროდიული ნაშთი. ეს თავისი ზედაპირით ყოფითი და სახუმარო მოთხრობა არ-სებითად მარადიულობას დაშორებული ადამიანის დაკნინე-ბის მახვილგონივრული დაცინვაა.

უცნაურად სიმუქეგადაკრული იუმორი, ტრაგიკომიკური ტონალობა, იხდივიდუალური ხასიათის და ბედის გამოცანა-თა გროტესკული წარმოჩენა და აღამიანის სულის დაცემათა თუ ზეაღსვლათა მარადიულობის რაკურსით ჭვრეტა ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც ბარნოვის მოთხრობების ერთ წყებას მხატვრულ სრულფასოვნებას და სიცოცხლის-უნარიანობას ანიჭებს.

1992

წამებული ღმერთი

თავისი მსოფლხედვა ვასილ ბარნოვმა განსაკუთრებული მხატვრული სისავსით გამოავლინა რომანში „ტრფობა წამებული“. მწერლის რელიგიური, ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალი ამ რომანში იკვეთება ადამიანური ბუნების რეალობასთან ტრაგიკულ შეჯახებაში, ადამიანის სულის მრავალგვარ მოძრაობათა მკვეთრი აუდერებით; ძლიერი ადამიანების ვნებათალელვა იხატება ძლიერი სიტყვით და შემოქმედებითი აგზნებით.

რომანის ავტორი მიწიერი და ამავდროულად ამაღლებული სიყვარულის კულტის თაყვანის მცემელია. ასეთი სიყვარული მისთვის წარმოადგენს დედამიწაზე ღვთაებრივის გადმოფენას, მის ყველაზე ადეკვატურ გამომჟღავნებას და უზენაესი სიკეთის, ჭეშმარიტების, მშვენიერების განხორციელებულ სინთეზს.

მწერლის ეს თვალსაზრისი და მასთან დაკავშირებული მიწიერი სილამაზის საკრალიზაცია, როგორც შენიშნულია, ახლოსაა პლატონიზმთან და საერთოდ ანტიკურ მსოფლგანცდასთან. მისი სათავეა ასევე სამყაროს რენესანსული აღქმა, „ვეფხისტყაოსანი“. შესამჩნევად ეხმიანება იგი ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ კონცეფციას.

ამოტის და შუქიას სიყვარული რომანში წარმოსახულია როგორც ჩვეულებრივი ცხოვრების მიღმა არსებული რომანტიკული სავანე, თავშესაფარი, რომელშიც აღმოფხვრილია ბოროტება თავისი მრავალგვარობით და ხორციელი ტკბობაც სულიერი აღმაფრებით არის განწმენდილი; დაძლეულია ეგოიზმი და შეყვარებულები ერთმანეთში პოვებენ თავისი არსების სრულქმნას. აშოტის და შუქიას სიყვარული თითქოს პირველყოფილ ცოდვას ძლევს და ედემში დაბრუნებად იქცევა. ბარნოვი „პიმნოგრაფიული“ მანერით გამოხატავს ამაღლებული სიყვარულის მეტაფიზიკას.

რომანში ამოტის სახე ორ პლანში იშლება, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთმანეთს — ერთი მხრივ, იგი ნაჩვენებია სოციალური ცხოვრების ასპექტით, როგორც ქვეყნის მესვეური. ის ზედმიწევნით შეეფერება თავის სტატუსს და ხალხის თვალში გმირია, ზეკაცია. ეს პლანი სწორედ ხალხის თვალსაზრისის გამტარია, აქ მეტე გარედან და შორიდან დანახუ-

ლი მოჩანს. მეორე მხრივ, აშოგს ვხედავთ შიგნიდან, თავისთავის წინაშე დარჩენილს — სულიერი შიმშილით განამებულს, მგრძნობიარეს და მარტოსულს; მას წყურია სითბო, თანაგრძნობა, უანგარო ყურადღება, მისი ფარული ლირიზმი და სილბო საზრდოს და გამომჟღავნებას საჭიროებს. პირველ პლანში ის წარმოგვიდგება აპოლოგეტური მატიანის თუ სარაინდო ეპოსის პერსონაჟად და ჭარბად იდეალიზებულია; რომანის შესაბამისი მონაკვეთები გაჭიანურებული და ნაკლებად საინტერესოა; მაგრამ იდეალიზება ნაწილობრივ ფუნქციურია: იგი კონტრასტულად ამკვეთრებს მეორე პლანს, სადაც მეფე პიროვნულ-შინაგან განზომილებაში წარმოჩნდება და ხალხისეულ, თავისებურად სწორ, მაგრამ ზერელე აღქმას ავტორის ანალიტიკური ხედვა, ნატიფი ლირიზმი და თვით პერსონაჟის მედიტაციები, შინაგანი მონოლოგები ცვლის.

აშოგს არ შეუძლია იცხოვროს პატივმოყვარეობის ამარა, ის ჭეშმარიტ სიყვარულზე ოცნებობს. დედოფალს, პირიქით, აქვს მძლავრი და ხარბი პატივმოყვარეობა და არ შეუძლია და არ სურს სიყვარული. ნიშანდობლივი დეტალებით გამოისახება გურანდუხტის ცივი მიუკარებლობა, მისი გოროზი სულის მოუსვენარი ლტოლვა კიდევ უფრო მეტი ძლიერების და პატივის მოხვეჭისკენ. ასეთ ადამიანს, ბუნებრივია, არ შეუძლია მისცეს აშოგს ის, რასაც იგი მთელი არსებით ესწრაფის: „ამაოდ ეძებდა სიძ ქვაზედ ნაზ ყვავილს ტურფა გაზაფხულისას“. აშოგთან დედოფალს ურთიერთობა აქვს როგორც მხოლოდ მეფესთან, როგორც სოციალური როლის შემსრულებელთან და დაუინებით მოითხოვს მისგან, სრულყოს ეს როლი.

რომანის იდეურ არსს უშუალოდ უკავშირდება გურანდუხტის სპეციფიკური რელიგიურობა. ქვეყნისთვის და მეფის ოჯახისთვის სასიკვდილო განსაცდელის დროს, კრიტიკულ სიტუაციაში მუდავნდება დედოფლის რელიგიურობის რაობა — იგი, ვინც განგებისგან მოვლინებულად თვლის თავს საქართველოს გასაერთიანებლად, ღმერთს ცოდვათა მიტევებას კი არ თხოვს, არამედ უწყრება, რადგან ქრისტიანებს მფარველობა მოაკლო და მაკმადიანებს გაამარჯვებინა; მხოლოდ საჯაროდ აცხადებს განსაცდელს ღვთის სამართლიან რისხვად და ხალხს მოუწოდებს სინანულისკენ. რო-

გორც ვხედავთ, დედოფლის ქრისტიანობა სხვებისადმია მომთხოვნი და არა საკუთარი თავისადმი; ის მას ჭირდება როგორც თავისი ნების დამკვიდრების, ადამიანების დამორჩილების საშუალება. გურანდუხტის ასეთი მიმართება რელიგიასთან განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს, როდესაც იგი აშოტის და შუქიას კავშირის შესახებ შეიტყობს. დედოფლის სულიერი შფოთვა მრავალელფერიანი ფსიქოლოგიური ანალიზით არის გადმოცემული — საშინელია ამ მეტისმეტად ამაყი ადამიანის შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის ტანჯვა. მას სევდა, გულისტყივილი არ ეუფლება ახლობელი ადამიანის სულიერად დაკარგვის გამო, იმას არ უფიქრდება, მხოლოდ ხორციელი გატაცებაა თუ რაღაც მეტია აშოტის და შუქიას ურთიერთობა და თვითონხაც ხომ არ არის თავისი სიცივით ამ ურთიერთობის წარმოშობის მიზეზი... ის თავისთავში არ იხედება, თავისთავს არაფერს მოკითხავს. ქრისტიანულ სინდისიერებასთან ერთად ვერც ქრისტიანული მოთმინება, თვინიერება ეთვისება მის ხასიათს: დედოფლის არსებას სავსებით მსჯვალავს შეურისძიების ვნება. რათა მტრების განადგურებისკენ მისი სწრაფვა კანონიერი იყოს, მათ ეშმაკეულებად შერაცხავს, მაგრამ ეშმაკს ემსგავსება თვით ის ღმერთი, რომლისგანაც იგი დაუინებით მოითხოვს თავისი შეურაცხმყოფელების მიმართ შეურისძიებას და რომელსაც დესპოტად წარმოიდგენს. „— ამაოდ მოიწვევ, დედოფალო, შემოქმედს: ყოვლად კეთილისაგან არ ეგების შუქურის მოსპობა სიხარულის მომნიჭებლისა, სახიერისაგან ვერ შეიძლება ჩაქრობა სილამაზისა... უხმე ღმერთს სასტიკს, უფალს მრისხანეს, სინათლის მქრობელს, სიკვდილის დამრგველს... ვინც ცეცხლით დასწვა ათასეულნი თავისუფლების დასახვის გამო... მას შეევედრე, სასტიკსა მფლობელს სასტიკის გულით. — ღმერთსა სასტიკსა თუ თვით სატანას? — მეუფეს სასტიკს, გინა ბელზებელს ბნელთა მფლობელს!“.

აი, ამ დაუნდობელი, შიშისმომგვრელი ღმერთის მსახურთა შორის პოულობს გურანდუხტი მოკავშირეებს. გრიგოლი და თებრონია აცხადებენ, რომ სატანურ ცოდვას ეპრძიან ქრისტიანობის და სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესების დასაცავად — რათა მეფის ცოდვამ როგორც უმსგავსმა მაგალითმა ხალხის ზნეობა არ გარყვნას და ქვეყანას, რომე-

ლიც მაპმადიანური აგრესისგან იცავს თავს, რელიგიურ-სულიერი ძალა არ შეუსუსტდეს.

ბარნოვი აქაც, როგორც აშოტის სახის კვეთისას, ორფე-ნიან სურათს ქმნის, ორ პლანს გამოყოფს — ოფიციალურს და შინაგანს, რომელიც უჩუმრად წარმართავს იმას, რაც ზე-დაპირზე ხდება. საჯაროდ გაცხადებული მოტივების მიღმა შეფარულია ძლიერი ეგოისტური იმპულსები, რომელთა გა-მომზეურება არ შეიძლება, რომლებმაც შენიდბულად უნდა იმოქმედონ. ოლონდ გრიგოლი და თებრონია ტრივიალური ფარისევლები არ არიან. ეს ადამიანები აიძულებენ თავის-თავს დაიჯერონ, რომ მართლაც კეთილ, საღვთო საქმეს აღასრულებენ. მათ არ უნდათ სიმართლე იცოდნენ საკუთა-რი თავის შესახებ და თუ გულის სიღრმეში ეს სიმართლე მაინც იციან, ახერხებენ დაივინყონ მოქმედებისას. თავისი აქტივობის საეჭვო ხასიათს, მის საჩითირო მოტივებს რომ გრძნობენ, მითუთრო ფიცხად ალიძვრებიან სატანასთან სა-ომრად და აღტკინებით, ეგზალტაციით იყრუებენ სინდისის ხმას... ამ პერსონაჟების სულიერ ცხოვრებაში გამოსჭვივის ფერნომენი, რომელსაც თანამედროვე ფსიქოლოგია რაციო-ნალიზაციას უწოდებს. საერთოდ, „ტრფობა წამებული“ მე-ოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის თვალსაჩინო მოვლენაა უპირველესად სწორედ გართულებული ფსიქო-ლოგიზმით.

თვითეულ პერსონაჟს, რომელიც აშოტის და შუქიას სიყ-ვარულის წინააღმდეგ ამხედრდება, თავისი მაღული სტიმუ-ლები აქვს საამისოდ, მაგრამ ეს სტიმულები საბედისწეროდ გადაეხლართება ერთმანეთს და მრისხანე ძალად იქცევა.

გრიგოლის და აშოტის ბავშვობისდროინდელი მეტოქეო-ბა და შური ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებით ღრმა კვალს გრიგოლის არსებაში ტოვებს. აქედან მოკიდებული მისი მამოძრავებელია ფარული სურვილი, რადაც უნდა დაუჯდეს გაუტოლდეს და აღემატოს კიდეც აშოტს, იყოს უფრო დიდი სულიერების სფეროში, ვიდრე აშოტია სახელ-მწიფოებრივი საქმიანობის სფეროში. მეფის კარზე აღსაზრ-დელად აყვანილი ბავშვი დამცირებას გრძნობს უფლისნუ-ლის გვერდით თავისი მეორეხარისხოვანი მდგომარეობის გამო და ამ დამცირების კომპენსირების მოთხოვნილება გრიგოლს დაძაბული ქმედებისკენ, თავდაუზოგავი შრომის-

კენ უბიძგებს, ნებისყოფას უაღრესად უკაუებს. იგი ესწრა-
ფის ღმერთთან სიახლოვეს, წმინდანურ სრულყოფილებას,
ოღონდ ამავე დროს სურს იქცეს ამქვეყნიურ სათაყვანებლა-
დაც, ამქვეყნად უკვდავყოს თავისი სახელი. პატივმოყვარე-
ობაა გრიგოლის ენერგიის დაუშრეტელი მასაზრდოებელი
და ის გარკვეულწილად ახერხებს ამ ძალის შემოქმედებით,
აღმშენებლობით აქტივობად სუბლიმირებას. გრიგოლის
პატივმოყვარეობას ავტორი ამ კუთხით შემწყნარებლურად
უყურებს — რაკი ადამიანი დვთის მსგავსებაა, მას აქვს
უკვდავების წყურვილი, საკუთარი ინდივიდუალობის ისეთი
ზრდის წადილი, რომელიც დვთაებრივ სისრულეს ემსგავ-
სება; მწერლის ამგვარ თვალსაზრისს რენესანსული სული
მსჯვალავს, ისევე როგორც მის სიყვარულის კონცეფციას;
იგი მოიცავს ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების
რწმენას — უკვდავების მოთხოვნილება დიდ საქმეებში და
ქმნილებებში განივთდება; გრიგოლის შემოქმედებითი
აქტივობაც დაძაბული და პროდუქტიულია.

გრიგოლს როგორც ქრისტიანს შეგნებული აქვს პატივ-
მოყვარეობის საძრახისობა, მაგრამ თავისთავში მის აღმოფ-
ხვრას კი არ ცდილობს, არამედ ღმერთისგან პატივმოყვა-
რულ მისწრაფებათა შენდობას ელის და იმედოვნებს, რომ
მათ ძალას სასიკეთო მოღვაწეობაში გადაადნობს. თუმცა
პატივმოყვარეობის შემოქმედებით ენერგიად სავსებით გარ-
დაქმნა, მისი სავსებით უვრცელებელყოფა არ ხერხდება.

პატივმოყვარეობა ისე ღრმად არის გამჯდარი გრიგოლის
არსებაში, რომ მის გარეგნულ თავმდაბლობასაც სარჩულად
დაყვება — საეკლესიო იერარქის დიდებაზე ის უარს იმიტომ
ამბობს, რომ მხოლოდ წმინდანის დიდება აიყვანს ყველას-
თვის, მათ შორის მეფისთვისაც მიუწვდომელ სიმაღლეზე...

გრიგოლი კომპრომისზე მიდის თავისი პატივმოყვარეო-
ბის, განდიდებისკენ სწრაფვის წინაშე, იმ ღტოლვის წინაშე,
რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისით სატანურია და
რომლის დათრგუნვა არის მორწმუნის და მითუფრო ასკეტის
მუდმივი საზრუნავი. რაკი ქრისტიანობა სატანის და ადა-
მიანის დაცემის მიზეზად გამრუდებულ თავისუფალ წებას,
თავენებობას და თავმოთნეობას მიიჩნევს, იგი უწინარესად
სწორედ ამ საწყისთან ბრძოლას სახავს აუცილებლობად. ს.
ავერინცევის თქმით, „ქრისტიანულ ასკეტიკაში, საბოლოო

ანგარიშით, ამოსავალია „მორჩილების“ და „თვითნებობის“ დაპირისპირება, ნეოპლატონურ ასკეტიკაში — სულის და მატერის დაპირისპირება“.

გრიგოლი ასკეზას ნაკლებად მიმართავს თავმოთნეობის დასაძლევად და თავისი მტკიცე ნებისყოფის მთელ ძალას ხორციელი ლტოლვების აღკვეთას ახმარს. რაც უფრო დიდი და ძლიერია მისი ფარული პატივმოყვარეობა, მით უფრო სასტიკად ახშობს იგი ხორციელებას და უახლოვდება თავის მიზანს, წმინდანის სიმაღლის მიღწევას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ წმინდანობა მიზანია არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც იგი თავისი სიმაღლიდან ამქვეყნიურობაზე მბრძანებლობს. მიწიერი სამყაროს უარყოფა ამ სამყაროზე თეოკრატიული ბატონობის შესაძლებლობის მომნიჭებელია.

ხორცის დამთრგუნავი თავგამეტებული ასკეტური ღვანილის შესახებ გრიგოლი ეუბნება თებრონიას: „ის არის გზა ცხოვრებისადმი დაუსრულებელისა, იგივე მაუფლებს მექვეყნიურ ძალთა ზედან ყოველგვართა. კარგად შეიგნე: იგივე მაუფლებს მე ყოველთა ქვეყნიურთა ძალთა ზედან! შენც გაუფლებს, ჩემო კარგო“; ნებისყოფის გამოწროობა ხორციელი სწრაფვებისადმი დაპირისპირების სისასტიკეში, თავისთავზე ბატონობის უნარის სრულყოფა სხვების დამორჩილების წანამძღვარია. მკაცრი თვითაღკვეთა გრიგოლის-თვის საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრების საშუალებაა.

თებრონია, მისი სიყვარული ჭირდება გრიგოლს, რათა ხორცთან ბრძოლას სიმწვავე შემატოს და თავისი ნებაც უფრო მეტად გამობრძმედოს, სიყვარულის მსხვერპლად შენირვით ღვთის წინაშე თავისი ღვანწლი გაადიდოს. გრიგოლისთვის თებრონია თითქოს ცდისპირია, რომელზეც ძალებს მოსინჯავს — თავისთავზე და სხვებზე ბატონობისას. აღნევს კიდეც სანადელს, თავსაც იმორჩილებს და ქალის ნებასაც თავისი მძლავრი გავლენის არეში სამუდამოდ მოამწყვდევს.

თებრონიას უარყოფილ, ტანჯულ სიყვარულს მწერალი გამოსახავს როგორც ემოციათა მრავალფეროვან გამას, იმედს და სასოწარკვეთას შორის მერყეობის წამებას, რომელიც აგრესიულ იმპულსებსაც მოიცავს. თებრონია ასკეტი ხდება არა ღმერთის სიყვარულის, ღმერთთან სულიერი

მიახლოების წყურვილის ძალით, არამედ იმის გამო, რომ მოშურნე მტრობით და ზიზღით იქდინთება მისთვის მიუწვდომელი მიწიერი სიყვარულის და ბედნიერებისადმი, რომელსაც ცოდვად მხოლოდ იმიტომ თვლის, რომ თვითონ მას არ ხვდა წილად.

თებრონია და გრიგოლი, თავისითავში რომ სასტიკად იხშობენ მიწიერ სურვილებს, თავის ირგვლივაც იმავე სისასტიკით ლამობენ მათ ამოძირკვას. ეს არ არის უცნაური, რადგან ადამიანის სიღრმისეული მიმართება საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი, როგორც ე. ფრომი განმარტავს, არსებითად ერთგვაროვანია. გაუგებარი არ არის ისიც, რომ გრიგოლის და თებრონიას წარმოდგენაში არსებული ღმერთი ალარ არის ლმობიერი და გულმოწყალე, განუზობელი სიყვარულით აღსავსე ქრისტიანული ღმერთი, „რომელს სიბრალულით ევსებოდა გული ადამიანის ტანჯვის ხილვაზედ და მზად იყო შეენდო ყოველთვის, ყოველთათვის“. სინამდვილეში ისინი თაყვანს ცემენ „მაცხოვარს კაცთა სისასტიკისაგან შექმნილს, უგულოს, რომელს გზებულ კოცონზედ აპყვანდა ყველა, ვინც ეახლებოდა მას არა როგორც მონა უსიტყვო მის წინ მძრნოლარე“. ღმერთზე წარმოდგენის რაობა გეზს აძლევს როგორც ღმერთისადმი, ასევე თავისთავისადმი და სხვებისადმი ადამიანის დამოკიდებულებას, მის ფასეულობებს და მიზანსწრაფვებს. თუ ადამიანს ღმერთი შეიშისმომგვრელ ტირანად ესახება, ხოლო საკუთარ თავს მისი ნების მედიუმად მიიჩნევს, ბუნებრივია, ის ძალაუფლებაზე და ბატონობაზე იქნება ორიენტირებული და თავის ზეციურ კერპს ემსგავსება. სწორედ ასე ფორმირდება გრიგოლის და თებრონიას მსოფლმიმართება.

მეფის სასიყვარულო კავშირის მხილება და დარღვევა ხელსაყრელ საშუალებად იქცევა გრიგოლის და თებრონიას ფარული ზრახვების რეალიზაციისთვის. დგება მათი მოღვაწეობის კულმინაციური მომენტი, როცა საკუთარი ძალების სრული მობილიზება და დემონსტრირება უნდა მოახდინონ, თავისი ძალაუფლება სავსებით და მტკიცედ დაამყარონ, მწარე მარცხი აგემონ მეფეს და... სიყვარულს, რომელიც თავისთავში ასე დაუნდობლად გასრისეს, დაუნდობლად, მაგრამ არა დაუნანებლად და ეს გამაბოროტებელი სინანუ-

ლიც აიძულებთ შური იძიონ მათზე, ვისაც დიდი სიყვარულის ბედნიერება ერგო.

რომანის პერსონაჟებს შორის გრიგოლის სახე ყველაზე რთულია. თავისი მსოფლგაგების ჭეშმარიტებაში ეს ღრმად დარწმუნებული კაცი დროდადრო ეჭვის მტკივნეულ შეტევებს განიცდის, შიშობს, ხომ არ უარყო თებრონიას სიყვარულის სახით თვით ღმერთის ამქვეყნიური გამოცხადება... ასეთი ეჭვი ეძალება მას, როცა შუქიას დაატყვევებს და მონასტერში მიყავს; გრიგოლი მძლეველიც არის და ძლეულიც, მბრძანებლობს ქალზე და ამავე დროს იხიბლება მისით, შინაგანად გატეხილია ორჭოთული ფიქრით... მაგრამ დაეჭვება მძლავრი ნებისყოფით ჩაიხშობა და ის ვერ არბილებს გრიგოლის მოქმედების სიმკვეთრეს. მის მიერ შუქიას სულიერი და ფაქტობრივად ფიზიკური იძულებითაც სასახლიდან გამოყვანის და მონასტერში გამომწყვდევის აქტი არსებითად ტირანულია. მეტოქეობის და განდიდების, ბატონიბის მალული ვნებები, თვითდარწმუნებული შეუწყნარებლობა სატანურად მიჩნეულისადმი და მისი ყველანაირი საშუალებით განადგურების ჟინი ბუნებრივად გასრულდება ძალადობით, ცოდვილად შერაცხილის სულზე და სხეულზე ძალმომრეობით; ქრისტიანობა, სიყვარულის და თავისუფლების რელიგია, ინკვიზიციად, თავის საპირისპირ მოვლენად გარდაიქმნება.

მეფეს შუქიასთან ძალით განშორება სულიერად ახევებს, ეს კი მაჰმადიანობისგან შევიწროებულ ქვეყანას უმეთაუროდ ტოვებს — გარეგნულად სახელმწიფოს საკეთილდღეოდ განხორციელებულ აქტს სწორედ სახელმწიფოსთვის საზიანო შედეგი მოყვება. გრიგოლი, ზნეობის ეგზალტირებული დამცველი, გაკვირვებით აცნობიერებს, რომ რაც ღმერთის ნების შესატყვისად ნარმოედგინა, რეალურად ძალზე შორსაა ქრისტიესგან, მისი ლმობიერების და მიმტევებლობისგან; აცნობიერებს, რომ მართებულია ცოდვისადმი წინადდგომა არა სისასტიკით, არამედ ადამიანისადმი ქრისტესებური თანაგრძობით; სისასტიკეს, ძალმომრეობას მხოლოდ ადამიანისთვის თავისუფლების ნართმევა შეუძლია და არა მისი ჭეშმარიტებასთან მიყვანა, ღმერთს კი სურს, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს და ჭეშმარიტებასაც თავისუფლად ეზიაროს... ახლა გრიგოლი იმასაც ნათლად ხედავს,

რა დიდი წილი უდევს ქრისტიანული ლმობიერებისგან მის დაცილებაში თავმოთნეობას და პატივმოყვარეობას, რომლის ნაყოფად მხოლოდ დიდ და კეთილ საქმეთა ხილვის იმედი ჰქონდა.

მაგრამ ეს გამოფხიზლება ნაგვიანევია, რადგან ხორციელების ფანატიკური სიძულვილი არსებობს მდაბიური, განუვითარებელი ცნობიერების დონეზეც და წაქეზებულია სწორედ სარწმუნოებრივ წინამდლოლთა მიერ. მონაზონი ივდითი გრიგოლის და თებრონიას არსის პრიმიტიული და შემზარვად ჰიპერტროფირებული ხორცესხმაა, რომელსაც ლოგიკურ დასასრულამდე, მშვენიერი და სათნო ქალის ბარბაროსულ მოსპობამდე მიყავს მათ მიერ წამოწყებული დაუნდობელი ბრძოლა. შეუწყნარებლობა, იდეოლოგიური აგრესია მომაკვდინებელ ფიზიკურ აგრესიაში გადაიზრდება.

ბრძოლის მოთავეების, გრიგოლის და თებრონიასთვის ეს მორალური კრახია — ასკეტები, სულიერი სიწმინდის და გმირობისკენ მძაფრად მსწრაფველი ადამიანები საშინელი ცოდვის პასუხისმგებლობას კისრულობენ. მათ მაქსიმალიზმს აშოტის გასასტიკებაც მოყვება, ხოლო სარწმუნობის და ეკლესიის ავტორიტეტი, იმის ნაცვლად, რომ განმტკიცებულიყო, ილახება, რაც სიმბოლურად გამოიხატება რომანის ფინალით — შუქიას ძმების მიერ აშოტის ტაძარში მოკვლით.

საკუთარი შეცდომის და მისი სამწუხრო შედეგის მტკივნეული სიცხადით გაცნობიერება გრიგოლს ტრაგიკულ პიროვნებად წარმოგვიღებუნს. მაგრამ ის მაინც ვერ ახერხებს თავის შეუპოვარ არსებაში უმთავრესი ქრისტიანული სიქველეებისთვის — ლმობიერების და თავმდაბლობისთვის ადგილის პოვნას. სამყარო მისთვის ბოლომდე რჩება კეთილის და ბოროტის გააფთრებულ კვეთებად. „რაინდი იყო ის მებრძოლი ეკლესიისა და ვინ სთქვა ბრძოლაში ლმობიერება?!“. ნების და პოზიციის ასეთი შეურყევლობა გრიგოლის ფიგურას პირქუშ დიდებულებას მატებს.

გრიგოლი და თებრონია თითქოს მართალ საქმეს, ქრისტიანული ზნეობის განმტკიცებას ემსახურებიან, ამ მსახურების რეზულტატი კი ანტიქრისტიანულია, რისი პირველმიზეზიც მათი უსიყვარულობაა. სიყვარული როგორც ურთიერთლტოლვა მათ თავისთავში ჯვარს აცვეს, მაგრამ მათში

ჩაკვდება საერთოდ სიყვარულის ნიჭიც, სიყვარული ადამიანისადმი, მოყვასისადმი, რომელიც ღმერთისადმი სიყვარულის უტყუარი, მეტიც, ერთადერთი საზომია. ისინი ასკეტები სიყვარულის ხარჯზე არიან, მთელ თავის რელიგიურ არსებობას ამყარებენ სიყვარულისგან დაშრეტილ ხრიოკ ნიადაგზე, ენერგიას და შთაგონებას პოვებენ არა სიყვარულში, არამედ იმის შეურიგებელ სიძულვილში, რასაც სატანურად თვლიან. უსიყვარულობის გამო მათვის მთავარი ხდება საკუთარი ძალაუფლების ნების დაფუძნება, რაც ადამიანის მიმართ ულმობლობით მიიღწევა.

მათ ხელში, რომელსაც სიყვარული არ წარმართავს, ქრისტიანული ზნეობრივი კანონები, ღმერთის და კაცის ცოცხალი სიყვარული რომ უდევს საფუძვლად, იქცევა ადამიანის დამთრებუნავ, გახევებულ და უსულო კონსტრუქციად, უხეშ იარაღად, რომლითაც კლავენ სიყვარულს, კლავენ ღმერთს. როცა ყოველივე ამას ვითვალისწინებთ, შესამჩნევი ხდება, რომ რომანის სათაური მარტო აშოტის და შუქიას ტრაგიკულ სიყვარულს კი არ გულისხმობს, არამედ სიყვარულის როგორც ამქვეყნად მოვლენილი ღმერთის წამებასაც.

ნანარმოებში ნამდვილ ქრისტიანულ ფასეულობებს, ადამიანის სიყვარულს, თანაგრძნობას და გულმოწყალებას, შემწყნარებლობას განასახიერებენ ეპიზოდური, მაგრამ დასამახსოვრებელი პერსონაჟები — კათალიკოსი, მონაზონი თემისტიო; უდრტვინველად სწირავს თავს ღმერთს და ქვეყანას ეპისკოპოსი ტიმოთე, ჩუმი, უბრალო ბერი... თავისი ბუნებით ქრისტიანია თვით შუქია, რომელიც ყველას მიმართ კეთილმოსურნეა და რომელსაც სულს არ უმდვრევს მედიდურობა; და ბოლოს, ნანარმოებს კაცთმოყვარული ქრისტიანული სულით ათბობს ავტორის ლირიკული მონოლოგები, კომენტარები, ჩანართები.

„ტრფობა წამებულის“ ცენტრალურ კონფლიქტს და მხატვრულ საზრისს ქმნის ავტორიტარული და ჰუმანისტური რელიგიურობის დაპირისპირება. პირველი ადამიანს შიშით ქედს მოადრეკინებს და არარაობად აქცევს, მის თავისუფლებას, სულიერი პოტენციის რეალიზაციას ბოჭავს და ადამიანზე ბატონობისთვის გამოიყენება; მეორე ადამიანის ინდივიდუალობისადმი პატივისცემას, თავისუფლების და

ბედნიერებისკენ მისი სწრაფვის ბუნებრიობის აღიარებას და ადამიანის მაღალი, ღვთიური ღირსების დაფასებას ემყარება. რომანის მიხედვით, ქართველი ხალხის მსოფლგანცდა ეწინააღმდეგება ავტორიტარულ რელიგიას და რელიგიურობის ჰუმანისტურ ტიპს მიელტვის. „ქართველი სჯულის მოყვარული იყო, მისთვის თავდადებული, მაგრამ თვის ღმერთთან ურთიერთობაში უარსა ჰყოფდა სასტიკ წესებს; ლალად მოქმედებდა წინაშე ღვთისა, როგორც მამის წინ, რომლისადმი პატივი და სიყვარული ლრმა არის, ძრნოლა კი დაკნინებულ-დამცირებული. უყვარს ქართველს თავისი მეუფე, ხოლო ალლოთი იცის, რომ შიში უარყოფს ყოველ სიყვარულს, გარე განდევნის მას“.

ასეთი მსოფლმხედველობრივი მოტივები და პრობლემა-ტიკა იქვემდებარებს რომანში ისტორიულ რეალობას და ისტორიული პიროვნებების, გრიგოლის და თებრონიას სახე-ებიც ამის შესაბამისად — კონცეპტუალიზებულად წარმოდგებიან. მათ მონუმენტურ ფიგურებში წარმოჩნდება ავტორიტარული ტიპის ადამიანი. ამ ფიგურებში, ერთი შეხედვით თანამედროვეობას სრულიად მოწყვეტილი რომ არიან, ობიექტურად (ავტორის მიზანდასახულობისგან დამოუკიდებლად) მეოცე საუკუნის, მძვინვარე ავტორიტარიზმის ეპოქის სულიერი ფიზიონომიის ნაკვთები იცნობა.

არსებობს გარკვეული თანხვედრა ბარნოვის რომანს და მეოცე საუკუნის ევროპული ლიტერატურის ზოგიერთ მოვლენას შორის. ავტორიტარულად რელიგიური ადამიანის სახეს ქმნის ფრანსუა მორიაკი რომანში „ფარისეველი“. ბრიჯიტ პიანი ქრისტიანული ზნეობის თავგამოდებული დამცველია, ღვთის ნების უკომპრომისო დამამკვიდრებელია, მაგრამ ეს სინამდვილეში ამ ადამიანის საკუთარი ნების დამკვიდრებაა, გარშემომყოფი ადამიანების მორალური ტერორიზებაა, მათზე ბატონობაა, რითაც მისი ამპარტავნობა და თავმოთნეობა ნაყრდება. მან როგორლაც ყოველთვის ზუსტად „იცის“, რას ძოითხოვს ღმერთი ადამიანებისგან და თავ-დაჯერებულად, უხეშად იჭრება მათ ინტიმურ ცხოვრებაში, ასეთი ჩარევის შედეგები კი ტრაგიკულია. მისი ღმერთი ისეთივე, როგორიც თვითონ არის — სიყვარულის უნარს მოკლებული, შეუბრალებელი ზედამხედველი. ბოლოს მას თვითონვე შეზარავს თავისი უსიყვარულო, მოყვასისადმი

უგრძნობელი და შეუწყნარებელი ღვთისმოსაობის ცოდვილი ნაკვალევი... მორიაკის თვალთახედვა ქრისტიანულ ჰუმანიზმს ეყრდნობა.

შეხების მომენტები აქვს ბარნოვისეულ გრიგოლის სახეს უორუ ბერნანოსის რომანის „სატანის მზის ქვეშ“ მთავარ გმირთან. დონისანს, თავისი თავისადმი უშეღავათო ასკეტს, რომელიც სიცოცხლის აზრს სატანასთან ჰეროიკულად თავ-განწირულ და სასტიკ ბრძოლაში პოვებს, აღარ შეუძლია უყვარდეს, არ ეზიზლებოდეს ადამიანები, რომლებშიც ვეღარაფერს ხედავს სატანური სიმდაბლის გარდა და მისი მეტისმეტი სიცხარე ცოდვის ამოძირკვისას ახალგაზრდა ქალს შეიწირავს. ბოროტება სხვა შემთხვევაშიც ძლევს დონისანს საკუთარ საგანგებო მისიაში მისი დაჯერებულობის გამო და კვლავ მატულობს ადამიანური ტკივილი და უბედურება. თავის ტიტანურ პერსონაჟს ბერნანოსი შარავანდედს არ აცლის, მაგრამ იმასვე აჩვენებს, რაც ბარნოვის რომანში დავინახეთ — რამდენად იოლია ჰუმანისტური ორიენტაციისგან აცდენა და სწორედ ბოროტების გაძლიერება იმის აღმოფხვრის მაქსიმალისტური და ფანატიკური ცდისას, რაც სატანურ ბოროტებად დაისახება.

1992

ნიკო ლორთქიფანიძე

საერთო ელფერი

ნიკო ლორთქიფანიძეს დაწერილი აქვს არაერთი თავისებურად მომხილავი, კეთილშობილებით და სიფაქიზით სავსე ნაწარმოები, სადაც შორს და მკრთალად მოჩანს მიწა, ცხოვრება, ადამიანი...

მითუფრო გასაკვირია უკიდურესად ფხიზელი რეალიზმი, რომლითაც ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვნათა ერთი ნაწილი გამოირჩევა და რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში ვლინდება.

ნიკო ლორთქიფანიძე ლირიკული ბუნების მწერალია, ნატიფ, რბილ ლირიკულ მელოდიას გაადევნებს თავის ნაწარმოებებს, ხოლო მისი მრავალი მინიატურა მთლიანად მგრძნობიარე სულის ლირიკული ჟღერაა.

მაგრამ ისტორიულ მოთხოვნებში ნიკო ლორთქიფანიძე უარყოფს ლირიზმს, ინტიმურ-სუბიექტურ ტონალობას.

„მრისხანე ბატონი“, „უამთა სიავე“, „რაინდები“ უჩვეულო ობიექტივიზმით ხასიათდება — ვგულისხმობთ არამხოლოდ იმას, რომ მწერალი ფარავს თავის სუბიექტურ განწყობას, არ ამხელს თავის ტენდენციას; ამ ნაწარმოებთა განსაკუთრებულ ობიექტივიზმს კიდევ უფრო მეტად განსაზღვრავს ის, რომ ავტორი არ კისრულობს მეგზურის და განმარტებლის როლს (ანდა ნათელია, რომ ასეთი როლი მას ნაკლებად იზიდავს); უკუაგდებს ვრცელ ავტორისეულ აღწერილობებს, საგულდაგულო და გაბმულ, თანმიმდევრულ ავტორისეულ თხრობას; აქ იშვიათად თუ ვნახავთ ავტორის მიერ მოწოდებულ პერსონაჟთა დახასიათებებს, იმასაც მეტისმეტად ძუნნს; მწერალი არ გვთავაზობს გმირების „სავიზიტო ბარათებს“...

ნიკო ლორთქიფანიძის ეს მოთხოვნები აღიქმება რეაქციად პროზაში აღწერითი და თხრობითი კომპონენტების სიჭარბის წინააღმდეგ. მწერალი შეგნებულად ისწრაფის განდევნოს ან უკიდურესად შეზღუდოს ყველაფერი ის, რაც, მისი რწმენით, ხელს უშლის პროზას იყოს უფრო კომპაქტური,

მოქნილი და სინამდვილის თვითმდინარების მეტი უშუალობით აღმბეჭდველი.

ეპიკური სიუხვე, სისავსე და საფუძვლიანობა აშკარად არ არის ისტორიულ მოთხოვნათა საყრდენი მხატვრული პრინციპი. მაგრამ მას ენაცვლება არა ლირიკულობა, არამედ პროზის შინაგანი წყობის მიახლოება დრამასთან, პროზის მკვეთრი დრამატიზაცია — ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ პირველი დაკვირვების შემდეგ.

ლიტერატურაში გარდაქმნები ყოველთვის სრული მხატვრული სიმართლის დასამკვიდრებლად ხორციელდება და ამ შემთხვევაშიც ასეა. ისტორიული ტრიპტიქის ავტორი ნებაყოფლობით უჩინარდება, რათა თვით სინამდვილის ხედები გადაგვეშალოს თვალწინ, თვით სინამდვილე ამეტყველდეს და შევხვდეთ მას თითქოსდა ხელოვანის დაუხმარებლად, მისი მედიუმობის გარეშე.

და მართლაც, ნიკო ლორთქიფანიძემ უცნაურად მოაახლოვა წარსული, თითქოს კი არ შექმნა ისტორიის სურათი, არამედ უბრალოდ ფარდა გადაწინა და მის მიღმა გარდასული ყოფა ამოძრავდა. „მრისხანე ბატონი“, „უამთა სიავე“, „რაინდები“ დოკუმენტურობის შთაბეჭდილებას აღძრავს.

ამავე დროს მწერლის შემოქმედებითი მანერა არსებით ცვლილებებს არ განიცდის: ფრაგმენტულობა, წყვეტილი, მერქალად მონიშნული ხაზები, მყიფე, გაბნეული კომპოზიცია... სრული წატურალურობის, წამდვილობის შთაბეჭდილება მიღწეულია არა წვრილმანთა, დეტალთა წატურალის-ტური დახვავებით, არა მხატვრული ენერგიის დაძაბვით და გამომსახველობის გამძაფრებით, არამედ ფუნჯის ძალდაუტანებელი, წებიერი და იშვიათი მონასმებით.

ვრცელ წანარმოებებში და სხვაგანაც ნიკო ლორთქიფანიძის ფრაგმენტული, ტეხილი მანერა, რომელიც იმპრესიონისტული წარმომავლობის ჩანს, ძალიან გავს იმას, რაც კინოხელოვნებაში მონტაჟის სახელით არის ცნობილი.

„კადრები კინოში არ გაიშლებიან თანმიმდევრულ წყებად — კადრები ენაცვლებიან ერთმანეთს. ასეთია მონტაჟის საფუძველი. ისინი მონაცვლეობენ ისე, როგორც ერთი სალექსო სტრიქონი, ერთი მეტრული მთლიანობა იცვლება მეორით — ზუსტ საზღვარზე. კინო ახორციელებს ნახტომებს კადრიდან კადრისკენ, როგორც ლექსი — სტრიქონიდან

სტრიქონისკენ... არსებითად კადრი მნიშვნელოვანია როგორც მხოლოდ „წარმომადგენელი“: მოცემულია ხოლმე არა იმ სცენის ყველა კადრი, რომელსაც გმირი იხსენებს, არამედ მხოლოდ დეტალი — ერთი კადრი. საერთოდაც, კადრი არ ამონურავს ამა თუ იმ ფაბულურ ვითარებას, არამედ გვევლინება მხოლოდ მის „წარმომადგენლად“ კადრთა ურთიერთმიმართებაში“ (იური ტინიანოვი, კინოს საფუძვლების შესახებ).

ნიკო ლორთქიფანიძის პოეტიკის თავისებურებას მნიშვნელოვანნილად სწორედ მონტაჟი, „კადრების“ ნახტომური მონაცემება ქმნის.

გავიხსენოთ ლორთქიფანიძისეული ნუსხები, რომლებშიც საერთო სტილური ტენდენცია ყველაზე აძვარად მუღავნდება: „ჯამებით ხარმი... მერიქიფები... დოქები... კათხები... სუნი და ოხშივარი მოხარშულისა და შემწვარისა; ჯერ კიდევ ჩუმი სმა; გამალებული ჭამა...“. ამგვარი ნუსხის თვითეული ელემენტი არსებითად წარმოადგენს ცალკე „კადრს“, რომელიც მსხვილი პლანით აღიბეჭდავს გარკვეულ გამოსახულებას და ყოველი „კადრი“ მხოლოდ ნიშანია, „წარმომადგენელია“ ამა თუ იმ ფაბულური ვითარების, არ ამონურავს მას. ნიშანთა მოძრაობა კი სწრაფი და ნახტომურია.

ეს პრინციპი მეტნაკლები სიმკვეთრით ვლინდება, მაგრამ გამჭოლია. მწერალი ხშირად უცრად წყვეტს პასაჟს, კვეცავს დიალოგს, სურათს, გვერდს უვლის გარდამავალ ფაზებს და ერთპაშად, შემზადების გარეშე წარმოაჩენს მოქმედების განვითარების გვიანდელ ეტაპებს. აი, ერთი დამახასიათებელი ნიმუში: „— დაეწიე სტუმრებს! ლეჩხუმელ ბატონს ხომ იცნობ, იმას მიართვი ჯერ ეს წიგნი; თუ არ მიიღოს, ეს დამბაჩა მიართვი და მოახსენე, დაგვიწყებია-თქო... — კი, ბატონო. — ბიჭი დიდხანს არ დაბრუნებულა. იგი ათვალიერებდა წიგნის სურათებს, წაიკითხა საყვარელი ტაეპები და მერე დაეწია ძუხბულით ცხენოსნებს. — მიართვი? კი, ბატონო. — რა გითხრა? — არაფერი, ბატონო, მხოლოდ წიგნი უკანვე მიბოძა...“.

ძალზე ნათლად ჩანს კომპოზიციის მონტაჟური აგებულება ეპიზოდიდან ეპიზოდზე, სცენიდან სცენაზე ნახტომურ გადასვლები. უცაბედად, მოტივირების გარეშე ჩინდება

ახალი სეგმენტი, უფრო ზუსტად, მისი შუაგული, ერთი შე-სედვით ნებისმიერად შერჩეული ნაწყვეტი. ცალკეული სუ-რათები უწყვეტ რიგად კი არ განლაგდებიან, მარაოსავოთ კი არ იძლებიან, უშუალო ლოგიკურ გაგრძელებას და დასრუ-ლებას კი არ პოვებენ მომდევნო სურათებში, არამედ თავი-სულად და „არაკანონზომიერად“, მყისიერად ცვლიან ერთ-მანეთს როგორც კინემატოგრაფში.

თვალთახედვის ასეთი წინასწარგანუჭვრეტი, თითქოსდა სპონტანური გადანაცვლებები ავსებენ სინამდვილის თვით-მოძრაობის ილუზიას, აძლიერებენ ნატურალურობის შთაბეჭდილებას.

მწერალი მონტაჟურად წარმართავს საკუთრივ თხრობის პროცესსაც — დაწვრილებითი, ამომწურაობაზე ორიენტი-რებული თხრობის გაშლის ნაცვლად საუნყებლის ნატეხებს მოაბნევს. „კადრების“ მონაცვლეობით სხარტად და მკვეთ-რად ალიბეჭდება ამბავი, რომელიც თავის ემოციურ სახეს თითქოს მსხვილი პლანით გვიჩვენებს:

„გავიდნენ წელნი.

შინაურმა და გარეულმა ქურდებმა გააღატაკა გლეხობა. აზნაურნი აჯანყდნენ.

მეზობლებმა ჯერ გააოხრეს, მოითარეშეს და ბოლოს მთლად მიითვისეს ციხე, სახლ-კარი...

თვით ცოლი, ერთგული ცოლი, პირველად ძალით გატა-ცებული, ხასათ დაისვა თედომ...“.

ისტორიულ მოთხრობათაგან განსხვავებით „თავსაფრი-ან დედაკაცში“ ამ ხერხის მეთოდური გამოყენებით მთელი მხატვრული რეალობის გამმსჭვალავი ლირიკული, ნაღვლია-ნი ფიქრის განწყობაცაა გალვივებული, კონკრეტიზებული თხრობით შეუვსებელ სივრცეს ელეგიური პოეზია ავსებს...

მონტაჟი, წყვეტილები, კინოთხრობისთვის დამახასიათე-ბელი დინამიზმი, სიუჟეტის ნახტომებრივი განვითარება, რაც სურათზე ღიობებს ტოვებს, ისტორიულ მოთხრობებში მოულოდნელად ინტენსიურს ხდის ხედვითობას.

„მრისხანე ბატონი“, „უამთა სიავე“, „რაინდები“, შეიძლე-ბა ითქვას, ისეა შესრულებული, რომ ნახმარი არ არის არც ერთი ფერი, საღებავი — ფერწერა სპეციფიკური მნიშვნე-ლობით, ანუ სამყაროს ფერებით გამოსახვა უცხოა ამ ნაწარ-მოებებისთვის. მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ

მათში, თუ დავუკვირდებით, არ არის წარმოსახული საგნობრივი, ნივთიერი სინამდვილე, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელიც ფერი იქნებოდა. აյ პრაქტიკულად არ არის პორტრეტები, პეიზაჟები, ინტერიერები, თითქმის სრულიად არ არის ალბეჭდილი გარემო, სადაც პერსონაჟები ცხოვრობენ და მოქმედებენ — ისინი თითქოს ცარიელ სივრცეში მოძრაობენ. მწერალი არ ცდილობს თვალსაჩინოდ, კონკრეტული ნიშან-თვისებების გამორჩევით და გრძნობად-მატერიალური სისავსით დახატოს ხილული, ხელშესახები სამყარო. გრაფიკული მონახაზიც დიდი იშვიათობაა, არათუ სიტყვიერი ფერწერა ამ ცნების ფართო გაგებით — სინამდვილის იერის სიტყვაში გაცოცხლება.

ეს მითუფრო უცნაურია, რომ ისტორიულ ნაწარმოებებში, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ლანდშაფტების თუ ეპოქის ანტურაჟის, ვთქვათ, პერსონაჟთა ტანისამოსის აღწერას...

როგორი მკვეთრი, „უღერადი“ საღებავებით, გრძნობადი, ხორციელი დეტალების როგორი თავმოყრით შეიძლებოდა დახატულიყო თუნდაც ვახტანგის და ციცინის დახოცვის შემზარავი სურათი „მრისხანე ბატონში“, მაგრამ მწერალი სისხლის არც ერთი წვეთით არ ღებავს მას — იგი ფიზიკური ქმედების ძირითად ფაზებს აღნუსხავს და დინამიურად მიადევნებს ერთმანეთს.

ამგვარი სტილი სპეციფიკურ თვალსაჩინოებას ქმნის — მკითხველის წარმოსახვა იძაბება და მახვილდება, უნებურად ცდილობს „ხარვეზთა“ შეგსებას. ასეთი ხილვადობა, ბუნებრივია, ნაკლებად მატერიალიზებულია, აյ მთავარია შინაგანი ხელვის უნარის თვით მობილიზება.

სახვითი პლანის სიმნირე ისტორიულ მოთხოვნებში საგანგებოდ გამიზნულია: ის, რომ სტილის მიერ გვერდავლილია სინამდვილის, ცხოვრების მთელი ფენები, ბადებს გულის შემკუმშავი სიცარიელის, განძარცულობის, სიდუხჭირის განცდას, გვაიძულებს მტკიცნეულად ვიგრძოთ ამ ცხოვრების გაპარტახება თუ გაშიშვლებული სისასტიკე.

ასევე, ისტორიულ ტრიპტიქში სინამდვილის ფერითი ას-ბექტის გაუჩინარება განსაზღვრავს იმას, რომ გამოსახული რეალობა ერთი, ერთადერთი ელფერით აღბეჭდილი, ბინდში ჩაძირული და თალებით მოსილი წარმოგვიდგება. სიმუქის ამ

თითქმის ფიზიკურად მკაფიო შეგრძნებას კიდევ უფრო ამ-
ძაფრებს სხვა გარემოებაც — ნიკო ლორთქიფანიძის ისტო-
რიულ ტილოებზე არ არის სინათლის წყარო, მის მიერ შექ-
მნილ მხატვრულ სინამდვილეს არაფერი ანათებს, აქ დედა-
მინას ციდან შუქი არ წვდება; ადამიანები თითქოს ბნელს ჩა-
უნთქავს, ისინი თითქოს წყვდიადში უგზოუკვლოდ
რიალებენ.

ნიკო ლორთქიფანიძე „ძველ მატიანეში აღნერილი რომე-
ლიმე ნამდვილი შემთხვევის ბელეტრიზაციას არ ახდენდა,
იგი არ ქმნიდა უშუალოდ რაიმე ისტორიულ ქრონიკაზე აგე-
ბულ ნაწარმოებს, არამედ საქართველოს ისტორიის რამდე-
ნიმე მონაკვეთიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ასახავდა და
მაშინდელი ისტორიული სინამდვილის საერთო ელფერის
აღდგენას ცდილობდა“ — წერს სიმონ ჩიქოვანი.

ასე, ამ საშუალებებით გამოსახა მწერალმა გარდასული
ცხოვრების მკაცრი ტონალობა, მიანიჭა მას იშვიათი მხატვ-
რული მთლიანობა და ხელშესახებლობა.

1982

ტირანის სახეცვალება

თუ ძველ ლიტერატურაში ქრისტიანობისთვის წამებულ პერსონაჟებს ვხედავთ, ბოლო საუკუნეების ლიტერატურის პერსონაჟთა წანილი ენამება იმის გამო, რომ ქრისტიანობას მოწყდა. გვიანდელი ლიტერატურის ზოგიერთ პერსონაჟს ცოდვილობის, ცდომილების და ურწმუნობის „მარტვილი“ შეიძლება ვუწოდოთ.

ურნუნობით სულდამძიმებული, მრავალი ცოდვის ჩამდენი, სასტიკი ტირანი, რომელსაც ნიკო ლორთქიფანიძე ხატავს „მრისხანე ბატონში“, ბოლოს უეცრად ქრისტიანულ ასკეზას ტვირთულობს და თუმცა ლევანის გარდაქმნა უცნაური და გაუგებარი ჩანს, სინამდვილეში მის მიერ თავისი გამრუდებული ცხოვრების ერთბაშად უარყოფა ფსიქოლოგიურ-მხატვრულად სავსებით მართალი და აუცილებელია.

ადამიანებს შორის ტირანი, ალბათ, ყველაზე შორს არის ქრისტესგან, მისი ყველაზე „სრულყოფილი“ ანტიპოდია, რადგან ძალმომრეობა და დაუნდობლობა ყველაზე მეტად უპირისპირდება ქრისტიანულ სიყვარულს და გულმოწყვალებას. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ტირანი ესწრაფის ღმერთს შეენაცვლოს, თვითონ იქცეს უზენაეს არსებად, რომელიც ადამიანთა ბედს განაგებს. ამიტომ ღმერთი ტირანისთვის „ხელისშემშლელია“, ის ღმერთისგან აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს (თუნდაც თავს ღვთის ნების განმახორციელებლად აცხადებდეს). ღრმად კანონზომიერია, რომ სახარებაში უპირველესად სწორედ ტირანი — ჰეროდე მოჩანს ქრისტეს საპირისპირო პოლუსზე, გააფთრებით მტრობს ქრისტეს, ენინააღმდეგება ამქვეყნად მის მოვლინებას. მეორე სახარებისეული ტირანი, პირველის მოსახელე, იოანე წათლისმცემლის მკვლელი, მთელი თავისი არსებით — უსიყვარულობით, გარყვნილებით, ძალადობით, შეუბრალებლობით — ქრისტიანობისადმი აბსოლუტური სიუცხოვის განსახიერებაა.

„მრისხანე ბატონში“ შეინიშნება იოანე წათლისმცემლის მკვლელობის ბიბლიური ისტორიის ლიტერატურულ ინტერპრეტაციათა ანარეკული (კრიტიკაში მიუთითებენ ფლობერის „ჰეროდიადაზე“ და უაილდის „სალომეაზე“). მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძის ძირითადი ჩანაფიქრი და სათქმელი თავი-

სებურია, ქრისტიანული მსოფლგაგების და ფასეულობების არსის ორგანულ წვდომაზე დაფუძნებული.

„მრისხანე ბატონში“ ვხედავთ, რომ ტირანს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ არ შეუძლია ის, რაც ყველაზე მთავარი და ფასეულია — ნამდვილი სიყვარულის განცდა და მეორე ადამიანში მისი გალვიძება. ვიდრე ბოროტების გზას დააგდებდეს, ლევანი მარცხდება ამ გზაზე, კარგავს ქალს, რომლის-თვისაც ტირანის ანგაგონისტის ზნებრივი სისუფთავე, სიკეთე ღრმად მომხიბვლელი და დემონური ვნებებისგან გამა-თავისუფლებელი აღმოჩნდება. სიკეთის მიმზიდველობის წინაშე ტირანის მთელი ძალმოსილება და სისასტიკე ულონოა — მას შეუძლია სიკეთე ფიზიკურად დათრგუნოს, მაგრამ მის სუბსტანციურ, არსისმიერ ჭეშმარიტებას და მომხიბ-ვლელობას ვერ ანადგურებს.

ადამიანური ყოფიერების სიღრმისეულ განზომილებაში ბოროტების, აგრესიის, უხეში მატერიალური ძალის უძლუ-რების დანახვა აიძულებს „მრისხანე ბატონის“ მთავარ გმირს, შებრუნდეს სიკეთის სათავისკენ, ღმერთისკენ.

2004

ყალბი მითის რღვევა

ყველასთვის ცნობილია, რომ დიქტატურის პირობებში სიმართლე, როგორც წესი, დუმს, ხოლო სიცრუე გამაყრუებლად ხმაურობს. მაგრამ მაშინაც კი, როცა ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იყო, ჩვენში იქმნებოდა ცალკეული ნაწარმოებები, რომლებშიც ანტიტირანული პათოსია გამოვლენილი.

მოთხოვთ „ქედუხრელნი“ ნიკო ლორთქიფანიძე ნართაულად აღბეჭდავს თავის თვალსაზრისს სასტიკ დროზე, რომელშიც ცხოვრება მოუხდა.

ლეგენდას სურამის ციხეზე იგი ამ დროის შესატყვის სიუჟეტურ და აზრობრივ-ემოციურ სტრუქტურას ანიჭებს. „ქედუხრელნი“ საკმაოდ თვალსაჩინოდ აირეკლავს თავის თანადროულ რეალობას — ნაწარმოები იწერებოდა 1938-44 წლებში — ხელისუფლების რეპრესიულობას, ხალხის უუფლებობას და წამებას, სიღარიბეს, ომს... ეს იწვევს ფოლკლორული თუ ლიტერატურული ტრადიციის მკვეთრ გადასინჯვას, რასაც უკვე ის მოასწავებს, რომ ნიკო ლორთქიფანიძე უარს ამბობს ფაბულის გეოგრაფიულ შემოსაზღვრულობაზე — მოთხოვთ სურამი არ იხსენიება. სივრცის (და დროის) ლოკალიზაციის უარყოფა შეესაბამება მწერლის მისწრაფებას, სიმბოლური მნიშვნელობა მისცეს ამბავს, იგავი შექმნას მისგან.

„ქედუხრელნი“ დეკლარირებულიც არის გამიჯვნა ლეგენდის ლიტერატურული ვერსიისგან, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხისგან“, სადაც თქმულება არსებითად საშინელი ქალური შურისძიების მოტივზეა დაყვანილი — მთხობელი, სახალხო მთქმელი ინუნებს ლეგენდის მწიგნობრულ ვარიანტს და აცხადებს, რომ ყველაფერი სხვანაირად იყო, ისე, როგორც იგი გვიამბობს. მას აქვს კიდეც ამის უფლება, რადგან თვითონ იცხოვრა იმგვარ სინამდვილეში, როგორიც მის მიერ ნაამბობ თქმულებაშია ნარმოჩენილი. მთხობელის და გაყიდული ტყვე გოგონას თავგადასავალი ამ სინამდვილის რაობას გამოხატავს — ადამიანის სიცოცხლე უკიდურესად გაუფასურებულია, მის ბედს ჭირვეული შემთხვევითობა ატრიალებს; უზნეობა ნორმალურ მოვლენადაა ქცეული და თითქოს არც გამოირჩევა ცხოვრების ჩვეულებრივ მდინარებაში, ისევე არ იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, რო-

გორც სხვა შეჩვეული მოვლენები, ვთქვათ, სუნთქვა ან სიარული. და მწერალიც ოდნავ კომიკურად შეფერილი უშფოთველი ტონით გადმოგვცემს თავისი გმირების ცხოვრების პერიპეტიას, რომელიც ბედნიერად სრულდება — ისევ შემთხვევითობის, ამჯერად ბედნიერი შემთხვევითობის ძალით.

მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში ნიკო ლორთქიფანიძე ყოფითი რეალიზმის მეთოდით აღბეჭდავს იმ სინამდვილისთვის ტიპიურ ისტორიას, რომელიც შემდეგ ლეგენდური გაური საშუალებებით ნარმოისახება. ამასთანავე მთხრობელის პირით ხალხი გამოთქვამს თავის აზრს და მისწრაფებებს. ეპოქის ტრაგიკული გამოცდილების მიუხედავად მწერალი მაინც იმედოვნებს, რომ ხალხის გონიერების და ზნეობრივი გრძნობის სრული დაწლუნება შეუძლებელია.

სახალხო მთქმელის თვალთახედვა მოთხრობაში შეთავსებულია სხვა, ავტორისთვის შინაგანად მაინც უფრო ორგანულ თვალთახედვასთან. მწერალს ნაწარმოებში შემოყავს ახალგაზრდა არქიტექტორი, განათლებული, მოაზროვნე და დაკვირვებული კაცი, დღევანდელი გაგებით ინტელიგენტი. იგი შველის ავტორს, მიუახლოვდეს გამოსასახველ სამყაროს, თავისი სულიერი გამოცდილება, ფიქრი უფრო თავისუფლად გააზავოს მასში.

უცხოეთში სასწავლებლად წასული ედიშერი სამშობლოში ბრუნდება — ჩვენი საუკუნის მრავალი ქართველი ინტელიგენტის, მათ შორის ნიკო ლორთქიფანიძის ბიოგრაფიის ქარგა გვეცნობა. ნაწარმოებში ქვეყნის მდგომარეობა მეტნილად ამ გმირის გაახლებული, ცნობისმოყვარე მზერითაა აღქმული. ბევრი რამ აკვირვებს და ეჩოთირება, აფიქრებს ედიშერს.

მის არყოფნაში შემოღებული წესის თანახმად პირველად მეფესთან უნდა გამოცხადდეს. სასახლეს რაღაც უცხო იერი აქვს. „დიდია და ულაზათო, — ფიქრობდა ყმაწვილი, — მძიმედ დასწოლია მინას. არ ჰგავს ჩვენებურ ნაგებობას — ნათელს, მსუბუქს და გარემოსთან შეხამებულს. მასალა მეტია დახარჯული, ვიდრე შედეგია მიღწეული, ნაფიქრი უფროა დიდების შთაბეჭდილების მოსახდენად, ვიდრე შექმნილია გულისნადების გამოსახატავად“. ასეთი მოუხეშავი, პომპეუზური არქიტექტურული სტილის ცნობაც ძნელი არ უნდა იყოს ჩვენთვის.

კიდევ უფრო შემაცბუნებელია ის, რაც ედიშერს ამ მძიმე და უშნო შენობის შიგნით დაუხვდება. სასახლეში შიში, მეფის მონური მორჩილებაა დამკვიდრებული, უნიჭობას და პირფერობას დარჩენია ასპარეზი; ხოლო ნამდვილი ოსტატი საზარლად არის დასჯილი, რადგან უარს ამბობს ციხის შენობაში ცოცხალი ადამიანის ჩაკირვაზე. განწირულის გაპედულებით ეუბნება იგი მეფეს სიმართლეს იმის თაობაზე, რატომ იშლება ციხე. „— რა გიშლის ხელს? — თქვენ ... სძაგს ყველას ეს თქვენი ციხე, ჰგონიათ, რომ მტრის მაგიერ შიგ მათვე ჩაახრჩოთ...“.

ქვეყნის სისუსტის ნამდვილი მიზეზი ხელისუფლებისადმი ხალხის სიძულვილი და უნდობლობაა. ტირანული სახელმწიფოს განმტკიცება ხალხს აფრთხობს, რადგან ამით მისი ტანჯვა მხოლოდ იმატებს. ხალხის ასეთი განწყობაა მოთხრობის ერთ-ერთი გამჭოლი მოტივია, ეს განწყობაა არაერთხელაა ნაჩვენები. მეფის და ხუროთმოძღვრის კონფლიქტი ხალხის ფანტაზიას ასე წარმოუდგება: „ყველაფერი მიუხლია პირში თამამად, დალაგებით, ხალხს ყველაფერი შეუძლია, ოღონდ შენი არ სწამსო. ვერ ამოურჩევია, შენ, შინაური მტარვალი სჯობიხარ, თუ სათარეშოდ მოსული უცხო მტერიო. მეფეს დილეგში ჩაუგდია... იქ გველებია, თურმე, კოჭებამდე წყალი სწვდება, სახეზე ვირთხები დაუდის... დაბრმავებულა კიდეც, მაგრამ ვერ დაითანხმა მეფემ მაინც, ცოცხალი კაცი საძირკველში მოაქციოს“; ანდა ამ დიალოგს მოვუსმინოთ: „რამდენია ახლა ჩვენში ქვრივი და ობოლი, ზოგი ტყვედ არის წაყვანილი, ზოგი მოპელეს, მაგრამ ბევრი დილეგსა და საკანში ლპება. — მაგას არ იტყვი?.. შენიანი რომ გტანჯავს — ისაა ცეცხლი! ვერ გაარჩევ, ვინ სჯობია, შინაური თუ გარეული — გინდ მგელს შეუჭამივარ და გინდ მგლისფერ ძალლს“.

ხალხი გათიშულია ხელისუფლებისგან, გარეშე მტერზე უკეთესი არ გონია იგი და არ ცდება: არსებითი განსხვავება არ არის დესპოტიის მიერ დათრგუნულ და უცხოელების მიერ დაპყრობილ ქვეყანას შირის. უცნაური არ არის, რომ ციხეს უგულოდ აშენებენ „ნაქირავები და მოდენილი“ ადამიანები, რომლებისთვისაც ეს არაა და ვერც იქნება საკუთარი და სისხლხორცეული საქმე, რადგან ქვეყანა მათ არ ეკუთვნით. ქვეყნის ბატონ-პატრონი სხვაა და ხალხის თავდადების მინაპოვარსაც ის მიითვისებს, თავის საკეთილდღეოდ გამო-

იყენებს და, გაძლიერებული, კიდევ უფრო დაუნდობელი იქნება ქვეშევრდომებისადმი. ხალხი ხვდება ამას და, ბუნებრივია, ციხეს სიმტკიცე აკლდება.

სხვანაირია მეფის ლოგიკა: „ლმობიერების“ ბრალია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სისასტიკეს არ ერიდებიან, „ამ ქეყანას ანგრევს და ანიოკებს ყოველი გამვლელი“; სახელმწიფოს სიმტკიცის მისაღწევად არსებობს ერთადერთი საშუალება — უკიდურესი, არაადამიანური სისასტიკე; მხოლოდ ცოცხალი კაცის დატანება მისცემს ციხეს საჭირო სიმაგრეს.

სურამის ციხის ლეგენდაში ნიკო ლორთქიფანიძემ აქტუალური სიმბოლიკა აღმოაჩინა — სახელმწიფოს შენობა აიგება ადამიანის სისხლით გაჟღენთილ საძირკველზე, იგი იარსებებს სასტიკად ნატანჯი ადამიანის სიცოცხლის ფასად. საინტერესოა, რომ მსგავსი სახე გამოხატავს ეპოქის არსა პლატონოვის ცნობილ „ქვაბულშიც“.

დასანანია, რომ ზოგიერთ ხელოვანს ლეგენდა ჩაკირულ ადამიანზე ამ სიმბოლიკის გარეშე, აღმოსავლური ეგზოტიკის ჭრელ საბურველში გახვეული ნარმოესახება... თუმცა თვით ველური სისასტიკე, რომელიც აქ თავს იჩინს, მართლაც „აღმოსავლურია“. „ასეთი სისასტიკე არც შეეფერება ქართველის ხასიათსა და სხვა ჩვეულებებს“ — მეფის გადაჯერებას ცდილობს შეძრნუნებული ედიშერი, რომელსაც ციხის აგება დაკისრეს. მაგრამ მეფეს ასეთი რამ არ მიაჩინა საშინელებად და მწერალი მიგვანიშნებს, რომ მისი დესპოტური რეჟიმი უცხოა ქართველი ხალხისთვის: მეფე გამაპმადიანებულია, თავისი ხალხის ზნეობის უარმყოფელია. ამ მოტივირების დამაჯერებლობა ის არის, რომ იგი კულტურულისტორიულ რეალობას ეყრდნობა — მაპმადიანური სამყაროსგან რომ განიზიდებოდნენ, ქართველების იმასაც ესწრაფოდნენ, აეშორებინათ მათთვის მიუღებელი სახელმწიფოებრივი წყობილება — აღმოსავლური დესპოტია. არ არის შემთხვევითი, რომ მოთხრობაში „ჩაკირვის იდეის“ თავგამოდებულ ადეპტად ნარმოდგენილია ნალეკარი — ყოფილი მაპმადიანი...

ნიკო ლორთქიფანიძე გულდასმით აკვირდება, ამონმებს ქართულ სულიერებას და ცდილობს გაარკვიოს, არის თუ არა მასში ისეთი შრეები, რომლებიც მეფის საშინელ ჩანაფიქრს შეიძლება ასაზრდოებდეს.

ედიშერი მონაწილეობს რელიგიურ დღესასწაულში და გაოცებულია, „რომ თვით ვითომ მლოცველნი თავის ცოდვას კი არ ინანიებდნენ, არამედ თავის გაჭირვების მოსპობას, სიმშვიდეს, ბედნიერებას მოსთხოვდნენ ღვთაებას. აქ არ იყო არც მოსკოვში ნანახი გულზე მჯიდის კვრით ცოდვის აღსა-რება, არც იტალიის უარყოფა აქაური ცხოვრებისა, არც კა-მათი მლოცველთა შორის სარწმუნოებაზე. თვით დედაბრები მხოლოდ წუთით შეჩერდებოდნენ ეკლესიის კარების წინ, ანთებდნენ თაფლის სანთლებს და სასწრაფოდ მოდიოდნენ, რომ ებაასნათ, გართულიყვნენ, თავისი ოჯახური ამბები გა-დაეცათ უნახავ ნაცნობებისთვის და გაეგოთ მათი ამბავი“.

თუ ამ დაკვირვებას ვენდობით, ქართული რელიგიურობა მოკლებულია მიღრეკილებას ფანატიზმისკენ, დაუხდობელი თვითგვემისკენ (რაც იოლად შეიძლება შემოტრიალდეს სხვათა გვემად); მას არ იტაცებს განყენებული ძიებები, არც მიწიერი სამყაროსგან განილტვის; პირიქით, ღმერთისგან სწორედ ამქვეყნიურ ბედნიერებას ითხოვს და მოელის. რა-საკვირველია, მწერალს მხედველობის არეში აქვს ის, რაც უფრო ტიპიურია კოლექტიური ცნობიერებისთვის და არა მოვლენების მთელი მრავალგვაროვანი სიმრავლე; მთავა-რია, რასთან შედარებით რას ანიჭებს ერი უპირატესობას, რას როგორ აფასებს, სად მიუჩენს ადგილს თავისი ღირებუ-ლებების სისტემაში; რა უფრო მეტად არის ხალხისგან მოსა-ლოდნელი და რა — ნაკლებად. ხოლო ხალხისგან, რომლის რელიგიური გრძნობა ასეთი ამქვეყნიური და ექსცესებს გარიდებულია, რომლისთვისაც არ არის დამახასიათებელი გონების დამაბნელებელი ფანატიზმი, არაა მოსალოდნელი ადამიანის ჩაკირვის სასტიკი რიტუალის კეთილმყოფელო-ბის დაჯერება და განხორციელება.

ქართული რელიგიურობის ბუნებაზე ნიკო ლორთქიფანი-ძის დაკვირვება, ცხადია, არ არის ყოვლისმომცველი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულ პროცესში გამოკვეთილი მისი არსებითი თვისება აქ მოხელთებულია. ამგვარი რელი-გიურობა, ალბათ, არც მთლად უნაკლოა, ოღონდ ქიმერული იდეების და ბრმა სისასტიკის გამღვივებელი არ არის. ნიკო ლორთქიფანიძე მარტო „ქედუხრელნში“ არ იჩენს ინტერესს ეროვნული რელიგიურობის მიმართ, მის ადამიანურად არა-

მკაცრ ხასიათს და ასევე ადამიანურ სისუსტეებს იგი რბილი იუმორით გამოსახავს მოთხრობაში „ეპისკოპოზი ნადირობაზე“.

ეროვნული ცნობიერების წყობაა გაცხადებული ეკლესის იერშიც, რომელსაც ედიშერი დღესასწაულისას აკვირდება. მწერალი ქმნის ქართული ეკლესის დასამახსოვრებელ მხატვრულ დახასიათებას. „განსაცვილებლად არის შერჩეული ადგილი შენობისთვის, თითქოს თან შეზრდილი იყოს მთასთან. ისეთივე ნაზი, მსუბუქი, ისეთივე მხიარული და სადაა... ეს არ არის შიშისაგან შექმნილი ცოდვათა მოსანანიებლად, არამედ სიყვარულით და აღტაცებით მშვენიერ ბუნებისადმი. მას არც გაქცევა უნდა ცაში, არც გაურბის სინათლესა და ჰაერს, არამედ სტკბება მზის სინათლით, მთვარის შუქით, მწვანე ჭალებით, ყვავილების სურნელებით და შორეული ზღვით.“

სიცოცხლის და სილამაზის მოყვარე, ხალისიანი მსოფლ-ალქმის ხატია ეს ნაგებობა. მისი ამშენებელი ხალხისთვის უცხოა შეუცნობლის წინაშე ისეთი ძრნოლა, საკუთარი ცოდვილობის, სიმდაბლის ისეთი დამთრგუნველი გრძნობა, რომელიც საზარელ ადამიანურ მსხვერპლშენირვაში იპოვიდა სადინარს; უცხოა სიპირქუშე, რომლითაც ეს რიტუალი გამოირჩევა.

ნაწარმოებში გამოსახული რელიგიური დღესასწაულის ხასიათი და აგმოსფერო საერო უფროა. ღმერთი და წმინდა გიორგი, ვისაც დღესასწაული ეძღვნება, თითქოს ალარავის ახსოვს; ხალხი ერთობა და მხიარულობს, საცირკო სანახაობას უყურებს, ხელისუფლებს ამასხრებს (თუმცა ეს დაუსჯელი არ რჩება). მაგრამ მისი ქრისტიანული სულიერება მკაფიოდ მუღავნდება მის ეთოსში. ადამიანისადმი თანაგრძნობა, გასაჭირები მყოფის შებრალება და დახმარება ამ ხალხის რელიგიური გზნებით განცდილი მრნამსია. „სოფელს ვერ გაათბობ, სოფელს ვერ შემოსავ, სოფელს ვერ დააპურებ. მაგრამ მშიერს რომ ღუკმა არ გაუწოდო, ისე ნუ გაუშვებ, ტიტ-ველს ხელი მაინც არ დააფარო, ისე ნუ დასტოვებ, გაყინული რომ არ დაზილო, ისე ნუ დააგდებ“. გულისხმიერებაზე არა-ნაკლებ ნიშანდობლივი აქ რეალიზმია, იმის ცოდნაა, რომ საყოველთაო კეთილდღეობა მიუღწეველია; ის კი შესაძლებელია, ყოველმა კაცმა იმდენი სიკეთე გააკეთოს, რამდენსაც გაწვდება. როგორ განსხვავდება ასეთი თვალთახედვა მაქსი-

მალიზმისგან, რომელიც მთელი ქვეყნიერების გაბედნიერებაზე მცირე მიზანს არ ცნობს...

სხვა ერის თუ სარწმუნოების წარმომადგენელთა მიმართ ქართველების შემწყნარებლობა მოინადირებს ნალეკარს, რომელიც ადრე საქართველოში საყაჩალოდ დადიოდა. დაღლილიც არის ეს ხალხი ამდენი ძალადობისგან, სისხლის-ლვრისგან: დღესასწაულზე შეკრებილები შიშით ადევნებენ თვალს თოკზე მოსიარულე ჯამბაზს, არ უნდათ სისხლიანი სანახაობის მოწმე გახდნენ.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ქართული სინამდვილე ცალსახოვნად არ წარმოდგება და არც მისი მრუდე ნაკვთებია ვუალირებული, მაგრამ „ქედუხრელნში“ მწერალი ხედვას მიმართავს არა ეროვნული ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული ჭრილისკენ, არამედ ერის ტრადიციულად ჩამოყალიბებული მსოფლგაგების ბირთვისკენ. და მასში იგი ვერ პოულობს წესად დანერგილი, რელიგიური კულტის რანგში აყვანილი სისასტიკის ძირებს, რომელსაც სასარგებლო თვი-სებები მიეწერება...

ხელისუფლები ამახინჯებენ ნალეკარის იდეას — მის მიერ გაგონილი გადმოცემა გულისხმობს ადამიანის არა ძალით ჩაკირვას, არამედ ნებაყოფლობით მსხვერპლგალებას. ესეც საშინელებად მიაჩნია ედიშერს, მაგრამ გაჭრის ნალეკარის არგუმენტები. „თუ მისი სურვილია, მოკვდეს, ერთი დღით ადრე თავის ნებით, თუ ორი დღით გვიან ბუნების კანონით... არ არის დიდი განსხვავება და უბედურება. ოდნავ მეტი ტკივილი ხორცისა და მეტი არაფერი...“; თავგანწირული ხომ სამარადისო პატივს მოიხვეჭს. ხალხი არ ივიწყებს, თაყვანს ცემს თავდადებულებს. იგი ყვება ლეგენდას გმირზე, რომელიც მარტოდმარტო ჯიუტად ანგრევს კლდეს და ნატეხებისგან მთას აგებს — ხალხის თავშესაფარს. მაგრამ მერე „ხალხს ისევ დაატყდა თავზე გარეშე მტერზე უფრო საშინელი უბედურება“ — ტირანია. იგი ლეგენდაში წარმოდგენილია მეფე-მონსტრად, რომელიც ჩვილი ბავშვების ტვინით იკვებება და თავდადებულის მიერ აღმართულ მთაზე აშენებულ სასახლეში ფუძნდება: ხალხის თავდადებით ტირანია სარგებლობს, შემზარავ ძალას იძენს და ხალხსვე ტანჯავს.

„სასახლეში შეყვანით ყოველ დღე შეჰყვანდათ ბავშვები, მაგრამ გამოსული კი არავინ ენახათ. სასახლის წამდვილი ამბავი არავინ იცოდა, მაგრამ ხმები თავზარს სცემდა ქვეყანას. ყველაზე საშინელი თითქოს ის იყო, რომ ვინც სასახლის კარიბჭეს გადააცილებდა, უსასტიკესი სასჯელით, წამებით და ჯოჯოხეთით ემუქრებოდნენ: არაფერი წამოგცდეს, აქ რაც ნახო ან გაიგონვო, — და ისინიც ნახულით გაშტერებულნი, განაგონით გაბრუებულნი, გადმოდიოდნენ კისერმოლრეცილნი, მუნჯინი და გაშტერებულნი. თვით ლრმა სარდაფებშიაც ხალხი ცდილობდა პირისპირ არავის შეხვედროდა, რომ, თუ საჭირო გახდებოდა, ეთქვა, არც მინახავს, არც რა გამიგონია და, აბა, ვინც არ მინახავს, მას რას ვეტყოდიო. ელვის სისწრაფით ქრებოდა ამ სამთავროში ყოველი ლიმი სახეზე და თვალები მუდამ შეცრემლილი რჩებოდა, ტუჩების კუთხეებში ყმაწვილთაც კი ნაოჭები გაუჩნდა. აღარ ისმოდა არათუ ადამიანთა გალობა და სიმღერა, თვით ჩიტებმაც კი შესწყვიტეს ჭიკჭიკი და სტვენა, ჰაერი დამძიმდა, თითქოს ხელით გასახლეჩი გახდა და კაეშნის ფრინველებმა, საზარი შეხედულების ქიმერებმა, მაჯლაჯუნებმა და ურჩხულებმა, უცნობმა და უნახავმა ზლაზენით დაიწყეს ჰაერში ფორიაქი. და როცა ყველას იმედი დაეკარგა, ყველა ბედს შეურიგდა და ყველა მიცვალებულთა სულებივით რიგში ჩამდგარი თვით გაემგზავრა საფლავისკენ, გამოჩნდა ვიღაც ყმაწვილი — ქადაგი...“.

ეს ზღაპრული ფანტასმაგორია ძალიან ახლოსაა რეალობასთან, სასტიკი ეპოქის უტყუარ ანაბეჭდს ატარებს... თუმცა ადამიანებმა იციან, რომ სიკვდილი არ აცდებათ, ვერ ბედავენ ტირანიისთვის წინააღმდეგობის განევას. მაინც აღმოჩნდება თავგანწირული კაცი, რომელიც მოსპობს ურჩხულს, აღმოჩნდება დედა, რომელიც შვილს შენირავს თავისუფლებას. შვარცის „დრაკონის“ ასოციაციას იწვევს ეს ლეგენდა.

ტირანია ემხობა, მეფე-ურჩხულის სასახლე ინგრევა. სწორედ ამ სასახლის ნაგრევებზე აგებს ხელისუფლება ციხეს — ტირანიის ძველი სიძლიერის რესტავრირება უნდა ისევ ხალხის თავდადების ხარჯზე, თუმცა ილუზიას ქმნის, თითქოს ქვეყნის და ხალხის უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

უჭირთ ედიშერს და ნალეკარს ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც ნებაყოფლობით ჩაეკირება, მითუმეტეს, რომ ის უნდა იყოს მდაბიო და არაფრისმქონე, „ერთპერანგიანი“. ასეთები კი არ თვლიან თავს მოვალეებად ქვეყნის და მთავრობის წინაშე, თავგანწირვა აღზევებულებს მოეთხოვებათ — ასე ფიქრობენ ისინი. ბოლოს მაინც მიაგნებენ იმას, ვინც მზადაა ქვეყნისთვის თავი დადოს. ზურაბის სახე მწერლის-თვის ჩვეული ესკიზური მანერით არის მოხაზული, მაგრამ მისი თავგანწირვის ფსიქოლოგიური წანამძღვრები ფიქსირებულია — ესაა მამის, ქვეყნისთვის თავდადებული კაცის მაგალითი და მარტობა, რომელსაც სამშობლოს უბედურებაზე წუხილი და ფიქრი ავსებს.

ზურაბის თავგანწირვა არ არის ფანატიკურად აღტკინებული და უგონო. მას სავსებით ბუნებრივი ეჭვები უჩნდება — იხსნის კი ქვეყანას ციხის აშენება, ანდა კაცის ჩაკირვა მართლა განამტკიცებს ციხეს? წალეკარი ამ კითხვების პასუხს ხალხის რწმენის, ტრადიციის ანონიმურ ავტორიტეტზე ამყარებს. ასე პასუხობს იგი უფრო ადრე ედიშერსაც, რომელიც ჩაკირვას „უგუნურებას და სისულელეს“ უწოდებს. წალეკარი თუმცა გულწრფელად დაჯერებულია თავის სიმართლეში, მაგრამ ბიბიქტურად იგი ეხმარება ხელისუფლებას, საშინელი საქმე ხალხის სახელს ამოაფაროს, რაც ტირანიის ნაცადი ხერხია.

სხვა ეჭვიც აწვალებს ზურაბს: „მეფე რომ ჩვენსავე ხალხს აპატიმრებს... არ გვზოგავს... თუ მასვე ექნება ციხე, უფრო არ გაზვიადდება და უფრო არ დაგვრჩავს?“. ბუნებრივი და გონივრულია ზურაბის დედის კითხვაც: „ეს წყეული ციხეც რაღად გვინდა, თუ შიგ ჩავიკირებით?“. წალეკარის განსჯა, რომ გარედან საიმედო დაცული ქვეყანა თავის მმართველებსაც ალაგმავს, არწმუნებს ზურაბს თავგანწირვის აუცილებლობაში.

ხალხის პირველი რეაქცია ზურაბის გადაწყვეტილებაზე გაოგნებაა, მის საღ აზრს ეს გოხიერების საზღვრების დარღვევად წარმოუდგება, მაგრამ შემდეგ გაოგნება აღფრთოვანებით, ენთუზიაზმით და ციხის მშენებლობაში მონაწილეობითაც კი იცვლება. ხალხი გამორჩეული სიყვარულით და პატივისცემით ეკიდება ქვეყნისთვის თავდადებულს და, რა

თქმა უნდა, მართალია. მაგრამ ეს არ არის სრული სიმართლე, რომელიც საბოლოოდ გაცხადდება.

ენთუზიაზმი მანამდე გრძელდება, ვიდრე ცოცხლად ჩაკირვის საშინელი რიტუალი დაიწყება. წარმოუდგენელი სისასტიკის ნახვა ხალხს აფხიზლებს, საღად აზროვნების უნარს უბრუნებს. „არის კი ღმერთი?! თუ ღმერთი იყოს, ამდენ საცოდაობას როგორ უყურებს, გულხელდაკრეფილი? მოუშვას ერთი ცეცხლის წვიმა და კუპრის ნიაღვარი!“; „ასეთი არც ციხე მინდა და არც ტახტი!“; „ამის ყურებას, მე წამიყვანონ ტყვედ, არა სჯობია?!“. ხალხის აზრი უბრალო, გონივრული და კეთილია — ასეთი მსხვერპლშენირვა უდმერთობაა; არ არსებობს არაფერი ისე მნიშვნელოვანი, რაც ასეთ სისასტიკედ ღირდეს. სხვათამორის, ანალოგიური აზრია გამოკვეთილი სურამის ციხის მოტივზე დაწერილ კიტა მეგრელიძის ლიტერატურულ ზღაპარშიც; ეს წანარმოები და „ქედუხრელნი“ თითქმის ერთდროულად იქმნებოდა.

მაინც ხალხი პასიური რჩება, სანამ ყველაფერს ნათელს მოფენს ხუროთმოძვარი. „— ვინც თქვენთვის თავს სდებს, მას ჰქოლავთ?! ძველს თქმულებას აზრათ ჰქონდა, უჭველია, გამოეცადა, არის თუ არა ქვეყნისთვის თავდადებული, თორემ ნამდვილი ჩაკირვა ვის სჭირდება?! ეს გადმოცემა დაივიწყა კიდეც ხალხმა, როგორც ველური, და ახლა გინდათ, ისევ აღადგინოთ! ხომ დამტკიცდა, რომ კიდევ არის თავგანწირული ხალხი...“.

აბსურდულია ვითარება, როცა ხალხის თვალწინ და თითქოს ხალხის გულისთვის სასტიკი წამებით უაზროდ კვდება ამ ხალხის საუკეთესო შვილი; ის, რაც ხდება, ბარბაროსობის, არქაული სისასტიკის და უგუნურების აღორძინებაა; გადმოცემაში კი ჭეშმარიტია მხოლოდ მისი მეტაფორული მნიშვნელობა, რომელიც მდგომარეობს თავგანწირვის უმაღლესი ფასეულობის დამკვიდრებაში; თქმულების სიტყვასიტყვით გაგება და რეალიზაცია მთელი იმ კულტურული გამოცდილების დავიწყებაა, რომელიც ველურობას აშორებს ადამიანს; გადმოცემის არსი დროთა განმავლობაში შეიცვალა, გაკეთილშობილდა, ზუსტად ისე, როგორც წარმართული საკერპო გარდაიქმნა ქრისტიანულ ეკლესიად, რომელიც მოთხოვნაშია აღწერილი. „თვით ეკლესია ხომ მარტო ტრაპეზიდან შედგება. და შიგ ტრაპეზი რომ არის, ეს ხომ ლოდია,

მსხვერპლის ზედ დასადებად და დასაკლავად. ჰგავს, ქრისტიანებს საძირკველზე შესაფერისი საყდარი აუშენებიათ; ასე შეუერთებიათ ძველი და ახალი“.

აქ ისიც მინიშნებულია, რომ ქრისტიანობამ სისხლიანი მსხვერპლი გააუქმა. მან ძირეულად შეცვალა და აამაღლა მსხვერპლმენირვის იდეა — ღმერთს რამეს ან ვინმეს კი აღარ წირავენ, არამედ, ქრისტეს მსგავსად, საკუთარ სულს, სიცოცხლეს.

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის უარყოფას და მსხვერპლგაღების ახალი იდეალის ჩასახვას უკვე ძველ აღთქმაში გვაუწყებს აბრამის ამბავი, რომელსაც ღმერთი შვილს მოთხოვს მსხვერპლად, მაგრამ მსხვერპლმენირვა აღარ გახდება საჭირო, რაკი აღმოჩენდება, რომ აბრამი შინაგანად მზად არის მისთვის. „ქედუხრელნში“ ლეგენდა ცოცხლად ჩაკირულ ადამიანზე ისეთ მეტამორფოზას განიცდის, რომ ამ ბიბლიურ ამბავს ემსგავსება — იგი სისხლიანი რიტუალის შესრულებას კი აღარ მოითხოვს, არამედ თავგანწირვისთვის მზადყოფნას.

ადამიანის შენობაში ჩატანების რიტუალი ოდესაც ბევრგან უნდა არსებულიყო, სავარაუდოა, ჩვენთანაც. ჯეიმს ფრეზერს „ოქროს რტოში“ აღნუსხული აქვს XIX საუკუნის საბერძნეთში და ტრანსილვანიაში შემორჩენილი ჩვეულება — შენობის საძირკველში კაცის ჩრდილს „ატანენ“. როგორც ჩანს, ეს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის მაგიური წესის გადმონაშთათ, რომელიც, ალბათ, გათვლილი იყო იმაზე, რომ მოკლულის განრისხებული სული მტრისგან დაიცავდა შენობას...

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვნაში ტირანიას სურს ააღორძინოს დიდი ხნის წინ დავიწყებული, ქრისტიანობის მიერ აღმოფხვრილი ბარბაროსული წესი, ადამიანის მსხვერპლად მიტანა. თავგანწირვის ფეხნომენს ტირანია უზნეო მანიპულაციის საგნად აქცევს. მაგრამ ქვეყანას მაინც თავგანწირვა იხსნის, ცხადია, არა იმით, რაც ჩაფიქრებული იყო, არამედ გაბედულების იმპულსით, რომელსაც იგი ხალხს გადასცემს. ხელისუფლების სისასტიკით აღმფოთებულ ხალხს ზურაბის არაჩვეულებრივი თავდადება შიშს ავიწყებს — ტირანია ემხობა.

„ქედუხრელნის“ კონცეფციის მიხედვით, უბრალო ადამიანების ზნეობაზე და გონიერებაზე ბევრად არის დამოკიდე-

ბული ქვეყნის და ქვეყანაში თავისუფლების ბედი; ხალხშია ზნეობრიობის ის მარაგი, რომელიც თავგანწირულ გმირებს აღმოაცენებს. ეტყობა, მოთხოვის გამმსჭვალავმა დემოკრატიზმა მოუდუნა სიფხიზლე „ხალხის მტრების“ გაფაცი-ცებით მაძიებელ „ხალხის მეგობრებს“.

არსებითია ის, რომ ზურაპის თავგანწირვა ჭეშმარიტ აზრს და გამართლებას შეიძენს, ჭეშმარიტად სასიკეთო შე-დეგს გამოიღებს მხოლოდ წამებული, თავდადებული ხუ-როთმოძღვრის მეოხებით — ზნეობრივად ძლიერი ხალხის და ინტელიგენციის ერთიანობაა, მწერლის თვალსაზრისით, ტირანისგან გათავისუფლების პირობა.

ნიკო ლორთქიფანიძე ქრისტიანობაზე დამყარებული ქართული კულტურის ტრადიციების კვალდაკვალ, თუნდაც „მერანის“ და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ფასეულობრივი ორიენტაციის კვალდაკვალ, თავგანწირვას სახავს ადამიანის ზნეობრიობის უმაღლეს გამოვლინებად. მაგრამ მის წინაშე ახალი, დროის მიერ წამოჭრილი ძნელი პრობლემაა — შეუნარჩუნოს თავგანწირვას ნამდვილ ლირებულებებთან კავშირი, გამოაძურაოს ანტიკუმანური მიზნებისთვის მისი ცინიკური ექსპლუატაცია. იგი ტირანის წინააღმდეგ მიმართული თავგანწირვის აპოლოგიას ქმნის.

ძველი ლეგენდის მეშვეობით ნიკო ლორთქიფანიძემ თავისი გარემომცველი სინამდვილე იგავურად წარმოსახა როგორც ცივილიზაციის რეგრესი და ბარბარობისკენ უკუქცევა; ულმერთობის, უადამიანობის, უგუნურების სამეფო, სადაც ცხოვრებას მძიმედ აწევს ყალბი მითი სისასტიკის კეთილმოქმედი, აღმშენებლობითი ძალის შესახებ. ამ მითს არღვევს მწერალი და არსებითად ანტიმითს ქმნის.

დღეს „ქედუხრელნისადმი“ ჩვენი დამოკიდებულების განმსაზღვრელია არამარტო ნიკო ლორთქიფანიძის ჩანაფიქრის ორიგინალურობა და აზრის სიმახვილე, არამედ განყენებულ, რამდენადმე სქემატურ და ძუნნ თხრობაში შეფარული მისი ტკივილი და პროტესტის გრძნობა, უიმედო ვითარებაში შენარჩუნებული სიმხნევე, მწერლური სინდისი, რომელიც სიმართლის ღალატს ყველაზე არაადამიანურ სიტუაციაშიც კრძალავს.

გაბრძოლება

დასავლურ სამყაროსთან შეპირისპირებით გაიხსნება ქართული ცნობიერება ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვნაში „შელოცვა რადიოთი“ და ეს სამყარო აქ ძალიან კრიტიკულად არის დანახული. დასავლეთისადმი კრიტიკული დამოკიდებულება მეოცე საუკუნის 20-იან წლებში სხვა ქართველი მწერლების მიერ შექმნილ ნაწარმოებებშიც აშკარაა. ამ დამოკიდებულებას ჰქონდა გარკვეული ობიექტური საფუძველი: დასავლური კაპიტალიზმი მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ უხეში იყო; ცხადია, არც დასავლური კოლონიალიზმი წარმოადგენდა ჰუმანისტური იდეალების ხორციელებას; პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთს არყევდა ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური წინააღმდეგობები, სულიერი კრიზისი და ფასეულობათა გამოფიტვა, ცხოვრების სტანდარტიზაცია და ვულგარიზაცია, რასაც ორტეგა — ი-გასეტი „მასების ამბოხს“ უწოდებს; მაინც ყოველივე ამაზე მეტად დასავლეთისადმი ნეგატიურ განწყობას, როგორც ჩანს, წარმოშობდა ის, რომ საქართველო მარტო აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის აგრესის წინაშე.

ნიკო ლორთქიფანიძის მიერ წარმოსახულ დასავლურ სამყაროში ფულის და მატერიალური სიმდიდრის კულტი მეფობს, უსულგულო პრაგმატიზმი განსაზღვრავს ცხოვრების ატმოსფეროს. ამ სამყაროს განასახიერებენ ირონიულად გარითმული გვარების მქონე პერსონაჟები — ევროპელი ჰექსლეი და ამერიკელი ბრომლეი. ჰექსლეი ცდილობს წარმოჩნდეს ისე, როგორც მოითხოვს ძველი ევროპული, არისტოკრატული კულტურა (ძველი ქართულის მსგავსი), წარმოდგეს როგორც ლირსების გრძნობით აღსავსე, სამართლიანობის დამცველი, სიყვარულით შთაგონებული რაინდი, ქალისთვის უანგარო მფარველობის გამწევი ჯენტლმენი. შესაძლოა, შინაგანად ეს როლი მთლად უცხო არც არის მისთვის, მაგრამ არ შეუძლია თანმიმდევრულად ითამაშოს იგი, რადგან მასში მძლავრობს ზნეობრივად განურჩეველი სწრაფვა სიმდიდრის მოხვეჭისკენ, გამომყენებლური დამოკიდებულება ადამიანებისადმი, რომელიც ჯენტლმენობას თავის ნიღბად და ინსტრუმენტად აქცევს.

მისგან განსხვავებით ამერიკელი მაგნატი ბრომლეი „ორფენოვანი“ არ არის, ეს გაუთლელი კაცი, გუშინდელი კოვბოი არ თამაშობს და ინილბება. იგი ბევრად აღემატება ჰექსლეის ენერგიულობით, ნებისყოფის სიმტკიცით და მიზანსხრაფულობით. მას უხვად აქვს ვიტალური ძალები და არ ემუქრება ბუნინის მიერ დახატული ამერიკელი კაპიტალისტის, „სან-ფრანცისკოელი ბატონის“ ხვედრი — სიცოცხლისუნარიანობის დაშრეტით გამოწვეული აბსურდულად უეცარი სიკვდილი. ნიმანდობლივია ის, რომ ნიკოლორთქითანიძის ამერიკელი ჰერსონაჟი თანდათან ცივილიზებული იერს იძენს, იგი იცვლება და იზრდება. ტრაგედია, რომელიც მოთხოვთაში ხდება, სწორედ მისთვის გამოდგება სულიერების გაკვეთილი, ის შეძლებს გაიგოს ამ ტრაგედის მნიშვნელობა...“

ქართველი არისტოკრატი ქალი ელი გორდელიანი ევროპაში ჰექსლეის რაინდულ-რომანტიკულ სიყვარულს მინდობილი ხვდება, შემდეგ კი აღმოაჩენს, რომ ეს სიყვარული ცრუა, რომ მარტოა და მის გარშემო ანგარიშის და ანგარების, პრაქტიცისტული რაციონალიზმის სიცივე სუფევს. ის სასტიკი სიცხადით ხედავს, როგორ უმზადებენ ჰექსლეის ინდოელი მსახურის, თავისი ბატონის მიერ ბრომლეისთვის მიყიდული რამინოს ბედს, თავდადებული ერთგულების უნარით ჰაკი აძბას რომ გვაგონებს.

მაგრამ თუ თავისთავში კონცენტრირებული ინდოელი პროტესტის ნიშნად უხმაუროდ უჩინარდება, ელი გორდელიანის პროტესტი სკანდალურ-ექსცენტრულია. სახიფათო ეროტიკულ შოუში მონაწილეობა, ცეკვა გველებით ელის აჯანყებაა უსიყვარულობის და ანგარების ნინააღმდეგ. იგი ერთბაშად ემიჯნება უსულო სინააღმდვილეს, თავის ირგვლივ პოეტურ-მაგიურ სივრცეს შემოწერს და მასში მკვიდრდება. ელი დასავლელთა გამომთვლელ რაციოს უპირისპირებს არარაციონალურ გაბედულებას, სიცოცხლის სასწორზე შეგდებას, მათ საქმიან სიფხიზლეს — დიონისურ თრობას და ექსტაზის, თავდავიწყებას, მათ ნელთბილ სასიყვარულო თამაშებს — სიკვდილის ზღვარზე ყოფნით გამძაფრებულ ეროტიკას. გველებით ცეკვა ბუნების სტიქიურ ძალებთან, მინასთან სახლოვის გამოხატულებაა. ეს არქაული, რიტუალური წარმომავლობის მქონე ფენომენი თავისი არსით ენინააღმდეგება რაციონალისტურ-ტექნიცისტურ დასავლურ ცივი-

ლიზაციას, ამ ცივილიზაციას იგი მხოლოდ გასართობ სანახაობად ქცეული შეიძლება შეუთავსდეს.

ელი გორდელიანის არაორდინარული ქმედების მრავალმნიშვნელოვან ხატში გამოსჭვივის ქართული ნაციონალური მსოფლგაგების, კულტურის არსებითი საზრისები: თვითშენირვის, ცოდვათა გამომსყიდველი მსხვერპლგაღების ქრისტიანული პრინციპი (რომელზეც მოთხრობის ეპიგრაფიც მიგვანიშნებს); ულირსი სიცოცხლის არისტოკრატულად ამაყი უგულებელყოფა (გავიხსენოთ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...“ ან გალაკტიონის სტრიქონები: „სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი, ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინა იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“); ბედისწერის წინააღმდეგ ირაციონალური ამბობის პარადიგმა, არაერთხელ რეალიზებული საქართველოს ისტორიაში, როგორც, მაგალითად, 1924 წელს, რამდენიმე წლით ადრე ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის დაწერამდე; „გიური ლტოლვა“, ალბეჭდილი ბარათაშვილის მიერ, რომელსაც ელის სახე ნანარმოებმი ასოციაციურად უკავშირდება.

ქართული ცნობიერების მთავარ თვისებად მოთხრობაში იკვეთება სასწაულის რწმენა და მოლოდინი. ეს ცნობიერება, შეენგლერის კლასიფიკიკაციის მიხედვით, შეიძლება დახასიათდეს როგორც „მაგიური სული“. მისი გამოვლინებაა ელის იმედი, რომ გველებით ცეკვისას სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი სამშობლოში დაბრუნებას შეძლებს. „მაგიური სულის“ კარნახით გამოახმობინებს მომაკვდავი ელი საქართველოდან შელოცვას, რომელმაც მას სიცოცხლე უნდა შეუნარჩუნოს. მაგრამ ელის ბედის სასწაულებრივად სასიკეთო შემობრუნება არ ხდება — რადიო არ შეიძლება იყოს ჯადოსნური ძალების გამტარი, აღმოსავლური „მაგიური სული“ და დასავლური რაციო, ტექნიკა ერთმანეთს გამორიცხავენ.

თავისი მსხვერპლგაღებით, განწირული ჰეროიკულ-არტისტული გაბრძოლებით, ელი გორდელიანი მაღლდება გარემომცველ უსულობაზე, აღიდგენს დაკარგულ ღირსებას. იგი ეროტიულ შოუს ნებით თუ უნებურად ტრაგედიად აქცევს და აამკარავებს ადამიანისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების უსახურ არსას.

მაგრამ დასავლურ ცივილიზაციას იმ მხარეებთან ერთად, რომლებსაც ელი ტრაგიკულად აპროტესტებს, აქვს

სხვა, უფრო ღრმა და არსებითი ასპექტიც, რომელიც ელის შეუმჩნეველი რჩება და რომელზე დაყრდნობითაც მას შეეძლო ღირსების აღდგენა ტრაგიული მსხვერპლგაღების გარეშე.

ჰექსლეი ჩააგონებს ელის, რომ თავისი ბუნებრივი მონაცემების, ალლოს და გონების სიმახვილის, გემოვნების წაყლობით მას აქვს შესაძლებლობა დიდ წარმატებას მიაღწიოს დასავლეთში, ვთქვათ, როგორც მსახიობმა. ჰექსლეის ანგარება ამოძრავებს, სურს ქალი საკუთარ კინობიზნესში ჩააბას და ამით სარგებლობა ნახოს. ელიც აქ სწორედ ანგარებას ხედავს და ამიტომ მტკიცნეულად აღიქვამს და უარყოფს ჰექსლეის შეთავაზებას. მაგრამ ის ვერ თუ არ იაზრებს, რომ ამ შეთავაზების მიღება საშუალებას აძლევს მას, აღარ იყოს სხვის (ანუ ჰექსლეის) კმაყოფაზე, თვითონ შექმნას თავისი არსებობის მატერიალური საფუძველი, გახდეს დამოუკიდებელი და თავისი ბედის განმსაზღვრელი. ის, რაც ქართველი არისტოკრატისთვის გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდება, არის დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტური პრინციპი — თავისუფალი ინდივიდუალური თვითრეალიზაცია. დასავლური სამყაროს სიძლიერის და ნაყოფიერების საწინდარია ის, რომ ამ სამყაროში ადამიანებს მოპოვებული აქვთ შესაძლებლობა, გამოამუდავნონ და განავითარონ თავისი უნარები, შრომით და შემოქმედებით დააფუძნონ საკუთარი ღირსება და დამოუკიდებლობა. როცა თავისუფალი ინდივიდუალური თვითრეალიზაციის პრინციპი ხორციელდება, ცხადი ხდება, რომ დასავლურ ცივილიზაციაში სწორედ იგია მთავარი და არა უარყოფითი ტენდენციები.

ნიკო ლორთქიფანიძე ფერების გამუქებით წარმოსახავს თავისი თანადორულ დასავლეთს, მაგრამ მაინც მონიშნავს მასში პროდუქტიულ, ადამიანისთვის გასაქანის მიმცემ საწყისს, რომელიც შემდგომში უფრო გამოიკვეთა და გაძლიერდა.

ელი გორდელიანმა ტრაგედიით, სიკვდილით დაამკვიდრა თავისი პიროვნული და ეროვნული მნიშვნელოვნება, ნაციონალური მსოფლგანცდის რადიკალიზებით და მკვეთრი, გამომწვევი დემონსტრირებით დაადასტურა საკუთარი ღირსება. მისთვის უცხო დარჩა თვითდამკვიდრების დასავლური წესი, რომელიც ნაკლებად რომანტიკული ჩანს, რადგან ყოველდღიური, მეთოდური შრომის აუცილებლობას გულისხმობს.

მიხეილ ჯავახიშვილი

იდეოლოგია და ხასიათი

ბევრი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები არ აღელვებს ქართველ ადამიანს ისე, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, XX საუკუნის „ქართლის ჭირი“ და „ბედი ქართლისა“.

ამ რომანის უკიდურესად მწვავე სათქმელი კვლავ და კვლავ გვაიძულებს ფიქრს, დაუინებით გვთხოვს ყურადღებას.

ვინ არის თეიმურაზ ხევისთავი, რატომ მარცხდება ასე სამარცხვინოდ, ვის და რას განასახიერებს იგი — აი, კითხვები, რომელთა პასუხიც რაც შეიძლება მკაფიო და შინაარსიანი გვინდა იყოს.

მიჩნეულია, რომ „ჯაყოს ხიზნები“ არის ალეგორიულ სახეებზე აგებული ნაწარმოები და ის, რაც ამ აზრში იგულისხმება, ახლოა სიმართლესთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტი სიზუსტეა საჭირო.

უნდა გავიხსენოთ, რომ ალეგორიული სახე მოკლებულია თვალსაჩინო ნიმუშს, მაგალითს წარმოადგენს, რაც სახის მიღმაა. „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები კი ისეთი მსუყე საღებავებით, ისე ფერხორციელად და რელიეფურად არიან დახატული, ისე ენერგიულად, ვნებით და გატაცებით გამოყავს მწერალს მათი ნაკვთები, რომ შეუძლებელია ისინი გლუვ ალეგორიულ ფიგურებად აღვიქვათ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პერსონაჟები სატირული გადატარბების მეთოდით შექმნილ, მკვეთრად ინდივიდუალიზებულ ხასიათებს წარმოადგენენ; ამასთან ერთად სოციალური და ფსიქოლოგიური ტიპიურობების ნიშანს ატარებენ. მაგრამ არც ასეთი განსაზღვრებაა სავსებით დამაკმაყოფილებელი: ჩვენ ვგრძნობთ, რომ შინაარსი, რომელიც რომანის პერსონაჟებშია განხორციელებული, უფრო ფართო და ზოგადია, ვიდრე ლიტერატურულმა ხასიათმა ან ტიპმა შეიძლება მოიცვას.

„ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები — უნინარესად თეიმურაზი — იდეოლოგიის განმასახიერებელი ხასიათები არიან

და სწორედ ამის წყალობითაა, რომ თვითონ მათაც და მთლიანად ნაწარმოებსაც სიმბოლური განზომილება და გამომხატველობა ენიჭება.

ამგვარ პერსონაჟს, ერთი მხრივ, აქვს შეხედულებათა გარკვეული სისტემა, გარკვეული იდეოლოგია, ხოლო მეორე მხრივ, იგი როგორც ხასიათი თავადაა იმავე იდეოლოგის განსხეულება. ხასიათი ისეთია, როგორიც იდეოლოგიას, მის რაობას შეფერის.

თეიმურაზ ხევისთავის ინდივიდუალობა მისივე მსოფლ-მხედველობის სატირული მეტაფორაა. ხევისთავის პიროვნული არასრულფასოვნება და სიბერნე ხევისთავისვე მსოფლმხედველობის ნაკლულოვნების სახეობრივი უკუფენაა. ხევისთავის პიროვნული მარცხი იმ იდეოლოგის კრახია, რომლის ადეპტიც ის არის და რომელსაც ასახიერებს.

გარკვეული იდეოლოგის გროტესკულად უტრირებული გამოხატულებაა ჯაყოს სახე, ხასიათიც.

„ჯაყოს ხიზნების“ სიღრმისეული კოლიზია იდეოლოგიური კოლიზიაა. მას აყავს რომანში აღბეჭდილი, დროში და სივრცეში ლოკალიზებული, ემპირიული კონკრეტულობით და დამაჯერებლობით წარმოსახული სინამდვილე მასშტაბური განზოგადების ხარისხში.

იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი პლანის მეოხებით მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“ ასახული მოვლენის მიზეზს იძიებს, ძირებს წვდება. ჯაყოს გამარჯვება კანონზომიერია, გარდაუვალია, რადგან უმნეოა მსოფლმხედველობა, რომელიც მას წინ უნდა აღდგომოდა.

რაში მდგომარეობს თეიმურაზის იდეოლოგიის არსი?

თეიმურაზ ხევისთავი ევროპეისტია, მას სჯერა ახალი ევროპული კულტურის პრინციპების და ლირებულებების, — გონების, მეცნიერების, განათლების და ცოდნის, ეკონომიკური, სოციალურ-მორალური და პოლიტიკური პროგრესის — რომლებიც დასაბამს განმანათლებლობაში იღებს.

ხევისთავი დარწმუნებულია, რომ გონება, აზრი უფრო ძლიერია, ვიდრე სინამდვილე, რომ სინამდვილე აზრის კარნახით მოძრაობს და ვითარდება. „მოვიფიქროთ, მოვისაზროთ“ — აკერია პირზე თეიმურაზს; მას გონია, რომ საკმარისია ჭეშმარიტი აზრის გამოკვეთა და რეალობა ხალისით აღასრულებს გონების გადაწყვეტილებას. როცა გამოირკვე-

ვა, რომ ყველაფერი სხვანაირადაა მოწყობილი, ის გაოგნებული რჩება.

„ახალი და ცოცხალი ცხოვრება არა ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაროშვარს. ხედავდა ამ უცნაურობას თეიმურაზი და გულუბრყვილოდ ბრაზობდა იმის გამო, რომ ცხოვრება წიგნებს არ ემორჩილებოდა, არც კი ეკითხებოდა, და ბრძენთა ნებადაურთველად, თავისი გზით თავხედურად მიაბიჯებდა“.

შემდეგ ხევისთავი ბოლომდე შეიგნებს თავის იდეოლოგიურ კრახს და იმედგაცრუებულის გესლიანობით ლაპარაკობს იმაზე, რაც მის მსოფლმხედველობრივ ორიენტირს, იდეალს წარმოადგენდა. „— ოოჳ, ღმერთო დიდებულო! ნეტა როდის განიბნევა კაცთა შორის ეს უუდიდესი ცრუმორწმუნეობა და მარადიული ლანდი?! ცოდნა!.. ენა!.. შეგნება!.. შემეცნება!.. ღმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, პროგრესის, ცოდნის და ჭეშმარიტების ლანდი ჩასჩარა ტიკინასავით... დასჩინავს მას აქეთ ხუთი წლის კაცობრიობა ხუთ მილ... ლიონ წელიწადს და ამაყად გაიძახის: „ცოდნა! ჭეშმარიტება! შეგნება! მეტყველება!“... თავისი თავი ქვეყნის ბატონი ჰერი და სამყაროსაც ისე ეპოტინება, როგორც პ... პატარა ბავშვი მთვარეს“.

ადრე კი თეიმურაზი ხოტბას ასხამდა გონების, მეცნიერების მონაპოვრებს, კოპერნიკის, გალილეის, ნიუტონის, სტეფენსონის დიდ აღმოჩენებს. თვითონაც მეცნიერების-თვის იღვწის: ხან ქართული კულტურის ისტორიას წერს, ხან ჰერბარიუმს ადგენს, ხან მწერებს აგროვებს.

თეიმურაზის განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტია ლუკა პაჩოლის მიერ შექმნილი ბუხჰალტერია, ყველა ამქვეყნიური სიკეთის საფუძველი. „ეს ქვეყანა ბუღალტერიაზე არის აშენებული!.. სადაც ბუღალტერია იციან, იქ ყველაფერი იციან: წესი, დის...სციპლინა, მრომა და მომავალი, სადაც არ იციან, იქ უწესობა, ანარქია, არევ-დარევა და წყვდიადი მეფობს“.

სინამდვილე, დაწყებული სამეურნეო სფეროთი, რაციოს უნდა უჯერებდეს, სხვანაირად საზოგადო ბეჭნიერება მიუღწეველია — მიაჩინა თეიმურაზს.

რაციონალიზმი, თეიმურაზის გაგებით, პირველ რიგში სწორედ მატერიალური კულტურის განვითარებისთვის არის

აუცილებელი პირობა, ბურუუაზიული კეთილგონიერება, ყაირათიანობა, ანგარიშიანობა მატერიალური პროგრესის საწინდარია. მატერიალური პროგრესის იდეა კი თეომურაზ ხევისთავის მსოფლმხედველობის ფუნდამენტს შეადგენს და მას იგი ქრისტიანობის ადგილას აყენებს, რელიგიის მნიშვნელობას ანიჭებს.

„ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის საჭიროა დიდი თაოსნობა, გარჯა და მომტკირნეობა, ესე იგი ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი შრომა და ნებისყოფა... ჰო, შრომა, ისევ შრომა და შრომა! შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგია, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლო“.

და თეომურაზიც ემსახურება ამ ახალ რელიგიას — რაციონალიზმს და მატერიალურ პროგრესს; უკვე ცხოვრებისგან უარყოფილი, მაინც არ წყვეტს განმანათლებლურ მოღვაწეობას, ავრცელებს ცოდნას, ლექციებს უკითხავს გლეხებს დასავლური მეცნიერების და ტექნიკის საოცრებებზე, ანდა, ვთქვათ, მიწის გაპონეირების რაციონალურ მეთოდზე.

ამავე დროს ხევისთავი არც განმანათლებლობის პუმანურ სოციალურ-პოლიტიკურ პრინციპებს ივიწყებს: ქადაგებს ძმობას და მშვიდობას, ერთობას და თავისუფლებას.

როგორც განმანათლებლური იდეალებით გამსჭვალულ ენთუზიასტს შეშვენის, თეომურაზ ხევისთავი მსოფლიოს მოქალაქეა, მთელი ქვეყნიერების ბედით არის აღელვებული, გულთან ახლოს მიაქვს შორეული ქვეყნების ამბები. მისი ფიქრი კაცობრიობას დასტრიალებს თავს. ხევისთავი ამ მხრივაც ევროპაში საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული მოძრაობის გამგრძელებელია, რომლის შესახებაც ალბერტ შვაიცერი წერს: „პროგრესისკენ მისწრაფება, ასე დამახასიათებელი XVIII საუკუნისთვის, რელიგიურ ცრურწმენებთან ერთად წაციონისალურ ცრურწმენებსაც სპობს. საუკუნის მოწინავე ადამიანები მოუწოდებენ ეროვნული ჩარჩოების მსხვრევისკენ და მიუთითებენ კაცობრიობაზე როგორც სიდიდეზე, რომელსაც იდეალები უნდა შეეთანადოს“. თუმცა შემდგომ თეომურაზი კოსმოპოლიტიზმსაც ეთხოვება: „მე

რომ ჩემი სიყვარული და ენერგია მთელ კაცობრიობას გავუნაწილო, ჩემს ძმას ერთი მემილიარდედიც აღარ ერგება“.

კაცობრიობის არსებობა, ადამიანთა საზოგადოება რაციონალურ საწყისს უნდა დაემყაროს; როცა მეცნიერების და განათლების მიღწევებით შეიარაღებული გონება მართავს რეალობას, მკვიდრდება გონივრული და სამართლიანი, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, ხორციელდება მატერიალური პროგრესი, ხოლო მატერიალურ პროგრესს დაექვენება ზნეობრივი პროგრესი, მიიღწევა საყოველთაო ჰარმონია, „მშვიდობა, ძმობა, ერთობა და თავისუფლება“; გამარჯვებას იზეიმებს ჰუმანისტური იდეალი, მოკლედ, თხა და მგელი ერთად მოძოვენ. და ყოველივე ეს აღსრულდება ძალდაუტახებლად, რეალობა, რა თქმა უხდა, წინააღმდეგობას არ გაუწევს გონებისმიერ პრინციპებს — ზოგადად ასე წარმოდგება თეიმურაზ ხევისთავის კრედო, მისი უტოპიზმის ელემენტებით შეზავებული განმანათლებლური იდეოლოგია, თუ თავს მოვუყრით ყველაფერს, რაც ამის შესახებ პირდაპირ ან ნართაულად არის რომანში ნათქვამი.

აუცილებელია ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ამ იდეოლოგიას აფასებს არა საერთოდ, არამედ იმ სახით, რომლითაც მან საქართველოში გაამჟღავნა თავი, მნერალი მხატვრულად იკვლევს მის, ასე ვთქვათ, ქართულ ვარიანტს. საქართველოში კი ეს იდეოლოგია გაკოტრდა.

„როგორ მოხდა ასეთი უცნაური სასწაული: ზნე-ჩვეულებით, სულითა და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა როგორ მოახერხა დამყარება უდემოკრატიულეს რესპუბლიკისა?.. შეუაზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ, ხახა! სასაცილოა, მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი... ჩვენ ჩვენ თავსაც ვატყუებდით და ქ...ქვეყანასაც. ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ... წამბაძველობის ნიჭი... უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი წაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს, სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონს გასვლას და ლელოს გატანას“.

თეიმურაზის იდეოლოგიის მარცხს აპირობებს ამ იდეოლოგიის თანდაყოლილი ნაკლი — ცოცხალი სინამდვილის

ზედაპირული გაგება, მისი მთელი სირთულის და წინააღმდეგობრიობის გაუთვალისწინებლობა; განმანათლებლური იდეალიზმი ახდენს კონკრეტული ეროვნული რეალობის ბუნების, სპეციფიკის უგულებელყოფას და მას ჩვენში შეემთხვევა დაახლოებით ის, რაც მის არქეტიპს ადრე დასავლეთში შეემთხვა. „მეტისმეტი დაჯერებულობა გონიერების ეჭვშეუვალობაში ბადებს განზრახვას, გატარდეს რეფორმები იქაც კი, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შემზადებული აზრის მუშაობით. ასეთი წარუმატებელი ცდები მთავრდება ჩავარდნებით, რომლებიც ხანგრძლივად აფერხებენ წინსვლას“; „პროგრესის რწმენას ენერა შეჯახებოდა ფაქტს, რომლის წინაშეც იგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. აქამდე მას ბრძოლა უხდებოდა მხოლოდ მეტად თუ წაკლებად დრომოჭმულ სინამდვილესთან. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის და მომდევნო მოვლენების პერიოდში ის შეეჯახა სტიქიური ძალებით მოცულ სინამდვილეს“ (ა. შვაიცერი).

ხევისთავის ბოლო ტირადა იმასაც გვაფიქრებინებს, რომ იდეური კრედო, რომელსაც იგი აღიარებდა, მისთვის ორგანული, სისხლხორცეული არ ყოფილა და მიმბაძველობის ნაყოფი უფროა, ვიდრე ბუნებრივად, შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლით შობილი და გაზრდილი რწმენა. ეს, რა თქმა უნდა, არ წიშნავს, რომ თეიმურაზი ვულგარული ფარისეველია, მაგრამ საკუთარი იდეოლოგია მას ვერ აქვს იმ სიღრმით განცდილი და გათავისებული, რომ იგი ჭეშმარიტ რწმენად ექცეს და ისეთი სულიერი ძალით აღჭურვოს, როგორსაც რწმენა იძლევა.

თეიმურაზ ხევისთავის სისუსტე უნინარესად სულის სისუსტეა და იგი გამოწვეულია არამხოლოდ მისი იდეოლოგიის სინამდვილისგან განყენებულობით, არამედ იმითაც, რომ ეს იდეოლოგია ვერ იძენს ღრმა და მტკიცე რწმენის საგნის თვისებას.

რომანში რწმენის და ურნმუნობის პრობლემა არსებითია. ხევისთავის მსოფლმხედველობრივი — და ამის შედეგად პიროვნული, პირადადამიანური — კრახის მთავარი მიზეზი ნამდვილი რწმენის უქონლობაა.

თეიმურაზის რაციონალისტური იდეოლოგიის თავიდათავი არის ათეიზმი და ქრისტიანობასთან დაპირისპირება. როგორც ვნახეთ, ქრისტიანული რელიგიის მაგივრობა, თეი-

მურაზის ფიქრით, პროგრესის — უპირველესად მატერიალური პროგრესის — იდეალმა უნდა გაწიოს. თუმცა შინაგანად ქრისტიანობას მთლად არ არის მოწყვეტილი, მაინც საკმაოდ შორს არის მისგან. ამიტომ როცა პროგრესის იდეალი — რწმენის სუროგატი და არა საკუთრივ რწმენა — შეერყევა (მნერალი ამ იდეალის ნგრევას არაერთბაშად, ეტაპობრივად გვიჩვენებს), იგი უფსკრულის თავზე ჰაერში გამოკიდული აღმოჩნდება.

„ვერ ავიწიე მიწიდან... ნიგნმა მომტაცა რწმენის სული და მეცნიერებამ დამწყვიტა უფლისადმი ასაფრენი ფრთები. ცოდნისა და იჭვის ჭიამ ისე დამიღრღნა გონება და გამომი-ფიტა სული, რომ ნივთიერ ქვეყანას ერთი გოჯითაც ვერ მოვსწყდი... ცოდნა და რწმენა ვერ მოვარიგე, ერთად ვერ შევად-დუღე და ვერც ერთმანეთს დავაშორე. რწმენისა და ურნმუნობის ორლობებში გავიჩხირე და ვერც რწმენის სათავეს-თან გავედი, ველარც უკან დავბრუნდი“.

რათა როგორმე გაერიდოს აბსოლუტური ნიპილიზმის უფსკრულს, ხევისთავი ისევ ქრისტიანული „რწმენის სათავისკენ“ მიეშურება. მისი შემდგომი სულიერი ცხოვრება და-კარგული რელიგიური იდეალის ძიების ნიშნით წარიმართება.

ნანარმოებში ფსიქოლოგიური გამჭრიახობით არის წარმოსახული თეიმურაზის სასონარკვეთილი ცდები, ხელახლა ეზიაროს უარყოფილ და დავიწყებულ იდეალს. რაც უფრო იტანჯება თეიმურაზი, რაც უფრო მტკივნეულ დარტყმებს იღებს სინამდვილისგან, რომლის საშინელებაზეც ძალაუნებურად თვალი ეხილება, — ანუ რაც უფრო აშკარავდება თეიმურაზისთვის მის ადრინდელ შეხედულებათა უნიადა-გობა — მით უფრო მეტად ცდილობს იგი ლმერთის რწმენის მოპოვებას, ქრისტიანობის წიაღში საყდენის პოვნას; ხოლო როდესაც ურნმუნოდ ძალიან გაუჭირდება და რაღაცას აუცილებლად უნდა ჩაებლაუჭოს, ნაუცბათევად, სახელდა-ხელოდ „მოიქცევა“. ბუნებრივია, ნაჩქარევად აგებული რელიგიური თავშესაფარი სწრაფადვე ინგრევა.

თეიმურაზ ხევისთავის უბედურების მიზეზთა მიზეზი ის არის, რომ მას არ შეუძლია ჰქონდეს ღრმა და ჭეშმარიტი რწმენა. ხევისთავმა ღრმად ვერც პროგრესის იდეალი იწამა, ვერც — ქრისტიანული. ურნმუნობის ვაკუუმში კი ჩნდება და იბუდებს ჯაყო.

თუმცა უმჯობესია ისევ თეიმურაზმა გვითხრას ამის თაობაზე სათქმელი. „ჩვენც რომ სემიტების რწმენის ძალა გვქონდეს, უკვდავნი ვიქნებოდით. არც ერთ ერს არა სწამს ისეთი სიმძლავრით თვისი ღმერთი, როგორც სემიტ ებრა-ელს სწამს თავის იეგოვა და სემიტ არაბს — თავისი ალლაჰ. ნეტა ნარმართები მაინც ვყოფილიყავით. ნარმართებს კერპები ჰყავდათ. ისინი ლოცულობდნენ ზევსს, იუპიტერს, ცეცხლს, ელვას და ათასს ცხადსა და უჩინარ ღმერთს. ნარმართებს... ვიღაც ან რაღაც სწამდათ, ჩვენ კი ურწმუნონი ვართ. ქ...ქართველ ხალხს აღარც ქრისტე სწამს, აღარც მაჰმადი, არც იეგოვა, არც ბუდდა და არც ზევსი, არც საერთოდ რომელიმე ღმერთი ან ეშმაკი... ჩვენი უუდიდესი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ეშმაკიც აღარ გვწამს. ვისაც ეშმაკი სწამს, იმას რაღაც ან ვ...ვვიღაც სწამს, ესე იგი — მას ჰქონია რწმენის წყურვილი და უნარი, ესე იგი — მას ჰქონია ადამიანის სული, ესე იგი — თვითონაც უკვე ადა-მიანი ყოფილა, ვინაიდან მხოლოდ სულით და რწმენით განირჩევა ადამიანი ჰირუტყვისაგან. ჩვენ კი ეშმაკიც აღარ გვწამს, მაშასადამე, აღარც სული გვქონია და აღარც ა-და-მიანი ვყოფილვართ“.*

ურწმუნობა განმანათლებლურ პრინციპებთან და უტოპიზმთან ერთად წარმოადგენს თეიმურაზ ხევისთავის სახის იდეურ შუაგულს, ხოლო საკუთრივ სახე, ხასიათი, ხასიათის კონკრეტული თვისებები — სულიერი ულონობა, მერყეობა და უნებისყოფობა, შინაგანი სიმშრალე, გარემომცველი სინამდვილის და ადამიანების მიმართ სიბრძმავე, მჩატე ოპტიმისტური განწყობა და იოლი ენთუზიაზმი, ფრაზიორობა და ა.შ. — მისი სატირულ-გროტესკული პროექციაა. რასაკვირველია, ის, რასაც ჩვენ თეორიულად ვაცალკევებთ, რომანში ორგანულად შენივთებულია.

მსოფლმხედველობრივი პლანი, რწმენა-ურწმუნობის ძირეული თემა, იდეალების და ღირებულებრივი ორიენტირების რღვევის, განმანათლებლური ცნობიერების კრიზისის

* „ეშმაკი“ ბოლშევკიზმს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ სტატიის პირველად გამოქვეყნების პერიოდში ამის თქმა, ცხადია, შეუძლებელი იყო, ისევე როგორც იმაზე ლაპარაკი, რომ ჯაყო ბოლშევკიზმის განსახიერებაა.

პრობლემები „ჯაყოს ხიზნებს“ ეპოქის სულიერი ცხოვრების არსებითი ტენდენციების თანხმიერს ხდის.

რომანის მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა განსაზღვრავს მის მხატვრულ-სტილურ ბუნებას — ტრაგიკომიკურობას და გროტესკულობას, რადგან, როგორც შენიშნულია, სიტუაციას, როდესაც ძველი იდეალები ადამიანის თვალში გაუფასურებულია, ხოლო ახალი არ ჩანს, ზედმინევნით ესადაგება ტრაგიკომედია და გროტესკი.

1985

„ავტორს ასამართლებენ გმირები“

როდესაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი ლიტერატურულ შემოქმედებას დაუბრუნდა, მისი თვალთახედვის შუაგულში ისტორიული პროცესი მოექცა. აფორიაქებული ეპოქის ტრაგედიები და ფარსები, ნიშანდობლივი ტიპები მეოცე საუკუნის 20-იან წლებში მდლავრად ეუფლებიან მნერლის წარმოსახვას.

ისტორიული პროცესის მოძრაობა და გეზი, მისი ტრაგიკული და ამასთანავე ირონიული არსია დანახული მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელ მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“.

ირანის ძველ მიწაზე ხდება ამ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი. ადრე ძლიერი ეს სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის დროს იმდენად დასუსტებულია, რომ ფაქტობრივად ინგლისის და რუსეთის მიერ არის გაყოფილი. ირანის ბედიც ისეთია, როგორიც სხვა დიდი სახელმწიფოების და იმპერიების — გარდაუვალი დაქვეითება, დაკანინება, იქნებ გაქრობაც. ეს ბედი ეწიათ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ირანის ტერიტორიაზე ოდესლაც არსებოდნენ — მიდიას, ასურეთს, პართიას. მათ თითქოს მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ისტორიის სანახობაში და შემდეგ სხვებმა იძულებით დააცლევინეს სცენა, რათა თვითონ დაესაკუთრებინათ იგი. ამ კანონზომიერებაში მიხეილ ჯავახიშვილი თითქოს ისტორიული ოპტიმიზმის საფუძველს პოულობს — ყველა ძალმომრეობას თავისი ანგარიშის გამსწორებელი გამოუჩნდება, მაგრამ ეს უცნაური, მნარე ოპტიმიზმია, რადგან ძალმომრეობას კვლავ ძალმომრეობა ენაცვლება.

„საარაკო რაშებზე მიდიელთა აჩრდილები შესხდნენ და უკუნეთს გადაიკარგნენ, ხოლო მათ ნაცვლად ურმის ტბას დონის ცხენები და ტამბოველი ჩექმები დასტრიალებდნენ და იმ ჩექმებს, ნებსით და უნებლიერ, ჩანჩალით მისდევდნენ აშურბანიპალის, ტიგრან დიდისა და ვახტანგ გორგასლანის მემკვიდრენი. და გოგსა და მაგოგს, ჰაიკანელებს და ქარდუელებს, დონის ცხენებსა და ტამბოვურ ჩექმებს კლდიდან გაკვირვებით დასცექრიან ქვის ფიცარზე გამოჭრილი მაკედონელის ლეგიონერები, მათი ფრაკიელები, ბუცეფალები და სამი გადარჩენილი ბერძნული ასო, „ა...ოს“ — ალექსანდროს... ასიოდე წლის წინათ იმ კლდეზე ჯერ კიდევ იწვოდა

თურმე შვიდიოდე სიტყვა, „მე ალექსანდროს... ყოველივე აქაური ემორჩილების წებასა ჩემსა“. ახლა კი იმ კლდის მკერდიდან ის სამი ასო ისე მოისმის, როგორც წყალწაღებულის უიმედო ძახილი: — აა... ო-ო-ო-ო-ოს“.

ყოვლისმძლეველი დრო აქარწყლებს და დასცინის იმპერიების დიდებას და მათი მპრძანებლების პრეტენზიებს, თავდაჯერებას, მედიდურ სურვილებს... ისტორიას არ უყვარს ერთსახეობა, გახევება, მისი უინია ახლის ქმნა და დაშლა, უჩვეულო და უცხო კონფიგურაციების შედგენა. ისტორიის სამეფო თითქოს მაიას სამეფოა, მოჩვენების, ილუზიის, უმდგრადობის ქვეყანა. მოთხოვობაში ისტორიის ქამელეონური ბუნების პლასტიკური სახეა აღმოსავლურად მსუყვე კოლორიტით დახატული ურმიის ტბა, რომელიც „დღეში ათჯერ მაინც იცვლის იერს და ხაზებს“.

ისტორიული ბედისწერის დამცინავი ცვალებადობის გამოვლინებაა, რომ ირანი, ყოფილი სასტიკი დამპურობელი, თვითონაა დაპყრობილი, რომ ტრადიციულად შემტევ ისლამს მწვავედ უტევენ, ხოლო ქართველი ადამიანი, ვისი სამშობლოც ირანმა საუკუნეების მანძილზე ტანჯა, დაპყრობილების დამცველია.

მოთხოვობას არაორდინარულობას და მნიშვნელოვნებას პირველ რიგში დაპყრობილი ირანელების და მათი მოსარჩევე ქართველი ექიმის შეურიგებელი ანტაგონისტის — ყაშალაზარეს თვალშისაცემი ფიგურა ანიჭებს.

ეს სახე ენათესავება მიხეილ ჯავახიშვილის მიერ იმავე პერიოდში შექმნილ ჯაყოს და რასპუტინის სახეებს. მათ მსგავსად ყაშა ლაზარეც უზომოდ მდაბალი, ტლანქი და გაუმაძლარია, დესტრუქციულია. ამ პერსონაჟებს მწერალი გროტესკის მეთოდით გამოსახავს: მიმართავს ბუნებრივი პროპორციების მკვეთრ დეფორმაციას, ცხოველურის და პათოლოგიურის მოფარბებას, კომიკურის და საზარელის შეხამებას — კომიკურია მათი გონების და სულის სიღატაკე, საშინელია მათი მძლავრი მტაცებლური ინსტინქტი.

პათოლოგიური პერსონაჟები ადრეც ჰყავდა მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ „ჯაყოს ხიზნებში“, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“, „ლამბალოსა და ყაშაში“ პათოლოგიის ჩვენება უკვე ეპოქის არსის მხატვრული ანალიზის საშუალებაა.

ყაშა ლაზარეს — სადისტს — მწერალი აკვირდება როგორც განსაზღვრული პოლიტიკური, იდეოლოგიური ტენდენციების თანმდევ მოვლენას, მათი წყალობით აღზევებულ ტიპს.

სადისტები ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენ, მაგრამ იმისთვის, რომ ცხოვრებას დაეპატრონონ, მათ განსაკუთრებული პირობები და ვითარება ჭირდებათ.

სწორედ ასეთია ისტორიული ვითარება, რომელიც მოთხოვბაშია წარმოსახული.

რუსეთის იმპერია თავისი ბატონობის არეალის გაფართოებას, ირანში ფეხის მოკიდებას ესწრაფის. ამ მისწრაფებას ემსახურება რუსული ეკლესია, ქრისტიანული რელიგია ექსპანსიის საშუალებად გამოიყენება. იმპერიის მიზნებს ემსახურებოდა რუსეთის ეკლესია ქრისტიანულ ქვეყნებშიც, ხოლო ისლამურ სამყაროში იგი, გასაგებია, კიდევ უფრო შემტევი ხდება (ცხადია, ეს რუსული ქრისტიანული კულტურის მიერ შექმნილ სულიერ ფასეულობებს არ აქარწყლებს).

ირანში რუსეთის ეკლესიის ემისარი ეპისკოპოსი პავლე იდეოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფს იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას, აღვივებს სიძულვილს და შეუწყისარებლობას „უწმინდური“ მაჰმადიანების, „წუპაკი პერსუკების“ მიმართ. თუმცა არც ქრისტიანობის არამართლმადიდებლური მიმდინარეობები სარგებლობენ მისი კეთილგანწყობით, რადგან ისინიც თავის მხრივ სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ მიზნებს ახორციელებენ, რუსული ეკლესიის მსგავსად ცდილობენ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ ირანში მცხოვრები აისორები. ეს ქრისტიანი ხალხი კი „დამკვრელი“ ძალაა მაჰმადიანებთან ბრძოლაში. რელიგია აქ მხოლოდ ძალაუფლების, ბატონობის ინსტრუმენტია, პროფანაციას განიცდის.

ამგვარ სიტუაციაში აისორი მღვდელი ყაშა ლაზარე თავისი მძვინვარე ენერგიულობით, დაუნდობლობით, ვერაგობით მეტად გამოსადევია ეპისკოპოსი პავლეს სისტემისთვის, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური სისტემის-თვის — მისი ფუნქციაა აისორების გადაბირება და მაჰმადიანების დევნა. და პირიქით, ეს სისტემა მეტად გამოსადევია ყაშასთვის — იგი მას საშიშ ძალას აძლევს, ძალაუფლებას აზიარებს.

ყაშა ნაძირალაა, ქურდი და მკვლელია და, ცხადია, ქრისტიანობასთან მას შინაგანად არაფერი აკავშირებს, ამ მტაცებელ არსებას საერთოდ არ შეიძლება რაიმე სერიოზული მრნამსი და იდეა ჰქონდეს. მის ბუნებას და სტატუსს შორის არსებული შეუსაბამობაც ქმნის გროტესკს — სადისტი მღვდელი, ანაფორიანი ჯალათი. ის ფარისეველია, თუმცა შედარებით ნაკლებად შენიდბული, ვიდრე ფარისევლობის ძველი ოსტატები, მოლიერის ტარტიუფი ან სალტიკოვ-შჩედრინის იუდუშკა.

მაგრამ ამავე დროს, რა უცწნაურიც უნდა იყოს ერთი შეხედვით, ყაშა ფანატიკოსია — მას გააფრთხებით ძულს მაპმადიანები. ამაში იგი არ თვალთმაქცობს, საერთოდაც სიძულვილი, სიყვარულისგან განსხვავებით, არანამდვილი და არაგულწრფელი იშვიათად არის. ყაშას სიძულვილი მაპმადიანებისადმი „იდეურია“, მის მიერ ლამბალოს დევნის ძირეული მოტივი რაიმე პრაქტიკული მიზნის მიღწევა არ არის. მთავარია, რომ ლამბალო მაპმადიანია — „უწმინდური“, „ლორი“, „მაპმადის ძალლი“. ყაშა ლაზარე „ქრისტიანია“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუწყნარებელი და ულმობელია მაპმადიანებისადმი.

ამით იგი დროის ავი ნიშანია. XX საუკუნის სისხლიანი ტრაგედიების ავტორებს და ხორცშემსხმელებს უფრო მეტად გამოარჩევდათ არა საქუთარი პოზიტიურად მიჩნეული იდეის ერთგულება და „ალთქმულ ქვეყანაზე“ ოცნება, არამედ სიძულვილი და აგრესია იმათ მიმართ, ვისაც მათი იდეოლოგია მტრად სახავდა, ვინც ამ იდეოლოგიას არ იზიარებდა, მითუმეტეს უპირისპირდებოდა. ასეთები იყვნენ „კლასობრივი მტრები“, არასაიმედო ინტელიგენცია, ანდა „რასის სიწმინდის“ ამძღვრევები...

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ წარმოსახული ბნელი, ავხორცი სალოსი რასპუტინი მხოლოდ იმ ნიშნითაა „ქრისტიანი“, რომ სასტიკად ძულს ქრისტიანული რუსეთის ნამდვილი თუ გამოგონილი მტრები; ეპისკოპოსი პავლე, მაღალი საზოგადოების გარეგნულად დახვეწილი კაცი და მოქნილი პოლიტიკოსი, ამასთანავე ფანატიკოსია, რაც ვლინდება არა ქრისტიანული იდეალების ერთგულებაში, არამედ არაქრისტიანებისადმი და არარუსებისადმი გაბოროტებაში, რომელიც მას გონებას უბინდავს და შეიწირავს.

არსებითია ის, რომ ყაშა ლაზარეს დაუცხრომელი, შხა-მიანი სიძულვილი მაპმადიანების მიმართ მისი კაცთმოძუ-ლეობის გამომჟღავნებაა, ქრისტიანობის დაცვის შოტივით მოჩვენებითად გამართლებული და ნებადართული. კაცთმო-ძულეობა, ანტიჭუმანურობა უბრალოდ სხვა სარწმუნოების ადამიანებს ირჩევს ობიექტებად, რათა უფრო თავისუფლად, ხელგახსნილად იმოქმედოს. სინამდვილეში ყაშას აგრესიუ-ლობა უსაზღვროა, ის საკუთარ მამასაც არ ინდობს. ყაშას არავინ უყვარს, არც ქრისტიანები, თუნდაც თავისი თანამე-მამულეები, მისმა ძალაუფლების წყურვილმა შებრალება არავის მიმართ არ იცის; მოთხოვობაში ნათქვამია, რომ თუ დაჭირდა, აისორებს უკლებლივ ამოხოცავს, საკუთარი ცოლ-ძვილის ჩათვლით. როცა „თავისიანებს“, ქრისტიანებს ემ-ტერება, იარაღის დიდხანს ძებნა არ უხდება, მზად აქვს იდე-ოლოგიურ ქურაში ნაწრთობი მახვილი — არაქრისტიანებ-თან ფარული კავშირის დაპრალება. ასე წამებს ყაშა ცილს ქართველ ექიმს, თითქოს იგი ქურთების ბელადთან საიდუმ-ლოდ არის დაკავშირებული.

ყაშა ლაზარე მარჯვედ ფლობს იმ მეთოდებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა მიხეილ ჯავახიშვილის თანადრო-ულ პოლიტიკურ სინამდვილეში.

ჯაშუშობა, დასმენა, პროვოკაცია, სინამდვილის უტიფა-რი გაყალება, ბრალდების შეთხზვა — ასეთია ყაშას არსე-ნალი. ქურთების და აისორების ჩვეულებრივ ყოფით შეხლა-შემოხლას ის ქურთების აჯანყებად ასაღებს, რასაც საგან-გებო სამხედრო ოპერაციის განხორციელება და „აჯანყებუ-ლების“ დარბევა მოყვება; იგი აწყობს აისორებზე მაპმადია-ნების თავდასხმის ინსცენირებას და „დამნაშავეებს“ ულმობ-ლად სჯიან.

ყაშას ხასიათის მძაფრი თვალსაჩინოებით გამომხატვე-ლია მისი ტრიუმფის სურათი. „თხუთმეტის გმინვა ყაშა ლაზარეს ძლევამოსილმა კიუინმა შთანთქა. პირველივე დაკ-ვრაზე თვითონაც ისე აიგრიხა, თითქოს თხუთმეტივე ჯოხი იმ თათრების მაგივრად წითელ ყაშას მოხვედროდა. მერე აცქმუტუნდა და ახტუნავდა. გრძელ ხელებს და მოგრეხილ ფეხებს უცნაურად იქნევდა, წითელ წევრს აცანცარებდა და გიუივით ხითხითებდა. ჯალათები რომ ჯოხებს აღმართავდ-ნენ ხოლმე, ყაშა მარჯვენა ხელს ჯოხივით აჰფშეკავდა, თვი-

თონაც აისვეტებოდა და უცნაურად გაიზრდებოდა. ჯალა-
თები რომ ჯოხებს დაიქნევდნენ, ყაშა აშვერილ ხელს ჯო-
ხივით წამოიღებდა და ისე მძლავრად დაუშვებდა მიწამდე,
თითქოს ერთი დაკვრით მთელ მუსულმანობას თავს
უჭეჭყავდაო...“.

საერთოდ, „ნითელი მაიმუნის“ სახე გაშმაგებული მოძრა-
ობით და ცოფიანი რეპლიკებით იხატება, ფსიქოლოგიური
ანალიზის გარეშე. ყაშას შინაგანი რაობა მაინც სრულად
აშკარავდება, თუნდაც მის კარიკატურულ პორტრეტში. იგი
არსობრივად და მკეთრად მჟღავნდება პასაუშიც, სადაც
ყაშა ბილნავს ლამბალოს და მისი მამის, მაშადი იზათის მიერ
გათხრილ ჭას: ყაშას ბოროტი დანიშნულება სიცოცხლის
წაყროების შებდალვა, გაუწმინდურებაა. ლამბალო და მაშა-
დი იზათი, პირიქით, წყლის მესაიდუმლები არიან და სი-
ცოცხლესთან, ბუნებასთან მათი ერთიანობა ასეც არის
გამოხატული. ყაშა ხრწნას ავრცელებს თავის გარშემო, ისი-
ნი — ქმნიან, სიცოცხლის ზრდას ეხმარებიან. ლამბალო უპი-
რისპირდება ყაშას როგორც უბრალო, ნორმალური, დაუმა-
ხინჯებელი ადამიანურობა პათოლოგიურობას და ცხოვე-
ლურობას. იგი გულლიაა, ალალი, მხიარული, სიცოცხლის,
ადამიანის და შრომის მოყვარე — იგი ბუნებრივია. თბილი,
მსუბუქი იუმორით გამოსახავს მწერალი ყაშას ანტიპოდს.

ყაშა ცხოველმყოფელ ბუნებას, ბუნებრიობას თელავს და
მხატვრულად ლოგიკური, კანონზომიერია, თუ როგორ
კვდება იგი — მაშადი იზათის გველების მიერ მისი დაგესლვა
თითქოს ბუნების სიბრძნის შურისძიებაა მოძალადის მი-
მართ, თითქოს სიცოცხლის წყლების და ნაყოფიერების
მცველი სული უხდის სამაგიეროს სიკვდილის მთესველს.

ექიმს არ შეუძლია არ თანაუგრძნოს მაშადი იზათის შუ-
რისძიებას, მითუმეტეს, რომ მომაკვდავი „დვთისმსახური“
კვლავ ღვარძლს ანთხევს. მთხრობელი და მასთან ერთად
ავტორი ზნეობრივად ამართლებენ საშინელი არსების მოს-
პობას; ვინც ადამიანის სახეს კარგავს, ურჩხულად იქცევა,
შენდობას არ იმსახურებს. ასეთი პოზიციის მხატვრული და
ეთიკური უცილობლობა კიდევ უფრო ცხადი ხდება იმის
გათვალისწინებისას, რომ ყაშას ან ჯაყოსნაირ ტოტალურად
ბოროტ ადამიანს ჩვენი ლიტერატურა ადრე არ იცნობდა.

ირანელებისადმი ქართველი ექიმის კეთილგანწყობის უშუალო სტიმული ის არის, რომ ისტორიის კაპრიზული ნებით საქართველო და ირანი მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მთხრობელს ამოძრავებს სიმართლის და სამართლიანობის ბუნებრივი გრძნობა, რომელსაც აღაშფოთებს, რომ ხალხს საკუთარ ქვეყანაში ამცირებენ, ავიწროებენ; მითუფრო, რომ ქართველმა ადამიანმა იცის, რა ძნელად ასატანია ასეთი ძალმომრეობა, იცის თუნდაც თვით ირანის „წყალობით“ და გულგრილი ვერ არის უსამართლობის მიმართ. და ის უთანასწორო ბრძოლას მართავს ძალმომრეობის სისტემასთან, ნინ აღუდგება მძლავრ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მანქანას. ამას ავალებს საკუთარი ბუნება და მრნამსი. იგი ადამიანებს აფასებს არა იდეოლოგიური, არამედ ეთიკური კრიტერიუმით. ყაშასადმი და ლამბალოსადმი მთხრობელის განწყობა განისაზღვრება არა იმით, რომ ერთი ქრისტიანია და მეორე მაჰმადიანი, არამედ იმით, რომ ერთი ზნეობრივად ჯანსაღი და აგრესიულობას მოკლებულია, მეორე — ზნეობრივად მახინჯი და მოძალადე. სხვა ვითარებაში იგი ასევე დაიცავდა ქრისტიანს ფანატიკოსი მაჰმადიანის დევნისგან. მთხრობელი ამბობს: „თავდაპირველად ადამიანი ვარ, მერმე ექიმი და ბოლოს ქრისტიანი, ან ჯერ ქრისტიანი და შემდეგ ექიმი“. ეს არის მორალური კრიტერიუმის უზენაესობის აღიარება ყველა სხვა კრიტერიუმის შიმართ, რაც სწორედ ქრისტიანული კულტურის მონაპოვარია. შემწყნარებლობაც იმას გულისხმობს, რომ მორალური კანონი ვრცელდება ყველაზე, თავისიანზეც და გარეშეზეც, რომ დამოკიდებულება ნებისმიერი ადამიანისადმი, აღმსარებლობის და სხვა ნიშნების განურჩევლად, უნდა ემყარებოდეს ზნეობრივ მცნებებს.

ქართული სულიერებისთვის ეს ჭეშმარიტება საიდუმლოს არ წარმოადგენს. საკმარისია ითქვას, რომ იგი მთელი სისავსით იგრძნო და შეიცნო ვაჟა-ფშაველამ. მიხეილ ჯავახიშვილიც ზოგადადამიანური მორალის უზენაესობას, შემწყნარებლობას აფუძნებს — ფენომენს, რომელსაც მეოცე საუკუნემ არნახული განსაცდელი შეახვედრა.

ადამიანის შეფასების მთავარი საზომი გახდა მისი იდეოლოგიური მრნამსი, სოციალურ-კლასობრივი, ნაციონალური, რასობრივი კუთვნილება და ამან შეავიწროვა ზოგადადამიანური მორალური კრიტერიუმი — „მტრული“ ჯგუფების

წარმომადგენლები ფაქტობრივად მოიკვეთებიან ადამიანების მოდგმისგან და მათ ისე ექცევიან, როგორც არააძამიანებს, მათ მიმართ ყოველგვარი უზნეობის ჩადენა გამართლებულია. დადგა ყაშა ლაზარეთა დრო, რომელთა დაუნდობელ შეუწყნარებლობას „უცხოებისადმი“ აგრესის და ბატონობის ნების ამოუწურავი რეზერვუარი ამარაგებდა „საწვავით“. ეს ტიპი სხვადასხვა გარემოში, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარ იდეოლოგიურ შეფერილობას ღებულობს. ის შეიძლება მოგვევლინოს, ვთქვათ, როგორც ამერიკელი რასისტი პერსი გრიმი ფოლკნერის „აგვისტოს ნათელში“, ან როგორც გერმანელი ნაცისტი იუდეანი ვოლფგანგ კოპენის რომანიდან „სიკვდილი რომში“, მაგრამ მისი არსი ყველგან ერთნაირად მარტივი და საშინელია. სტიქიურ უბედურებასავით გადაივლის იგი დედამინაზე და თავის ნაკვალევზე ცხედრებს ტოვებს. მან იცის თუ ალლოთი გრძნობს, რომ „ამქვეყნად შეუზღუდველი ძალაუფლება მარტო სიკვდილს აქვს და ძალაუფლების ნამდვილი განცდისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — მკვლელობა“ (ვ. კოპენი).

განსაკუთრებით ძლევამოსილი და დამანგრეველი ყაშა ლაზარეს ტიპი მაინც ჩვენს სინამდვილეში იყო.

მიხეილ ჯავახიშვილს, გადმოცემით, უთქვამს: „მინდა ერთი მოთხოვობა დავწერო თემაზე: ჩემი რომანებისა და მოთხოვობების გმირები ჩემს ოთახში შეგროვდნენ და სასამართლო გამიმართეს, ავტორს ასამართლებენ მისი ნაწარმოებების გმირები... რა დღეს დამაყრიან, ვინ იცის, რამდენ საყვედურს მეტყვიან. მე მგონი, საინტერესო ჩანაფიქრია. როგორმე ამისათვის მოვიცლი“.

ამ ჩანაფიქრს მოთხოვობის ნაცვლად ცხოვრებაში ეწერა განხორციელება. პერსონაჟებმა გაასამართლეს ავტორი, ოღონდ საყვედურებს არ დაჯერდნენ; არ აპატიეს, რომ მან ისინი ადრევე შენიშნა და გააშიშვლა.

1989

თვალისახელა

ნიშან-თვისებები, რომლებიც მიხეილ ჯავახიშვილის ნიჭის არსს შეადგენს, ტრადიციულად არ დომინირებს ქართულ მხატვრულ აზროვნებაში. ეს არის მიღრეკილება ადამიანის სახის მკვეთრი დეპეროზაციისკენ, ადამიანის „შიშვლად“ ხილვისკენ, ცხოვრების ხედვის ხაზგასმული, მკაცრი მიწიერება, რომელიც ავინწროებს ამაღლებულ-რომანტიკულ საწყისს, ამ ხედვის ბასრი ირონიულობა, სუსხიანი სკეპტიკურობა, ქართული სინამდვილის კრიტიკული აღქმა...

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი მოწოდება სიმართლის დაუინებული, შეიძლება ითქვას, გასასტიკებული მაძიებლობაა, რომელიც მის თვალისაწინერში მოქცეულ ყოველგვარ მოჩვენებითობას და ილუზიას აცამტვერებს.

საერთოდ, რეალიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც სიყალპეთა, მოჩვენებითობათა და ილუზიათა გამოაშკარავებაზე, გაქარწყლებაზე დამყარებული მხატვრული მეთოდი, როგორც ილუზიების დამამსხვრეველი მხატვრული ინსტრუმენტი. ბალზაკის ერთ-ერთი რომანის სათაური „გამქრალი ილუზიები“, შესაძლოა, გამოდგეს რეალიზმის ფორმულად, რომელიც ერთნაირად მიესადაგება ადრინდელი თუკლასიკური რეალიზმის ნიმუშებს, ვთქვათ, „დონ კიხოტს“ ან „მადამ ბოვარის“.

ილუზიების რეალისტურ გაქარწყლებაში მიხეილ ჯავახიშვილი დიდ სიმძაფრეს, გაბედულებას და განუხრელ თანმიმდევრულობას იჩენს. ქართულ ლიტერატურაში მისი ნინა-მორბედი ილუზიების გამქარწყლებელი დავით კლდიაშვილია, ოლონდ უფრო ლმობიერი და შემწყნარებელი.

ილუზიათა მიღმა არსებული, თუნდაც სასტიკი და საზიზღარი სიმართლის წვდომის მოთხოვნილება აყალიბებს მიხეილ ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას და სტილს. მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა ერთ წყებაში კი რეალობის და ილუზის შეჯახება არსებითი მოტივი თუ პრობლემაა, პერსონაჟის სახის და სიუჟეტის აგების წარმმართველი პრინციპია.

სისტემური სიმწყობრით და გამოკვეთილობით მუღავნდება ყოველივე ეს მოთხოვნაში „კურდღელი“, სადაც ნიუანსური ფსიქოლოგიზმით არის აღბეჭდილი დრამატული სუ-

ლიერი ორთაბრძოლა ავადმყოფ ქალს და ფსიქიატრს შორის, რომელიც პაციენტს ფანტასტიკური ილუზიიდან სინამდვილეში აბრუნებს. ილუზია, დანამაულის გაუსაძლისი გრძნობისგან გათავისუფლებისკენ ლტოლვის ნაყოფი, საკვირველ სიმყარეს და გამძლეობას ავლენს, მაგრამ კიდევ უფრო მტკიცეა ექიმის რეალიზმი, ჯოუტი მეთოდურობით რომ აღმოფხვრის მას. ექიმის შეუპოვრობა და აზარტი არ საზრდოობს მხოლოდ რთული პროფესიული ამოცანის გადაწყვეტის და წარმატების მიღწევის სურვილით. ამ ადამიანის მცდელობას უპირველესად წარმართავს მისი ზნეობრივი თვალთახედვა — ავადმყოფურ ილუზიაში თავშეფარება სულიერი და მორალური უძლურების ნიშანია; ის გულისხმობს სიცრუეს, თავისმოტყუებას და მოკლებულია რაიმე ღირებულებას, რადგან არაფერს, არარას ეყრდნობა; ეს არის გზა ადამიანურობის სრული დეგრადაციისკენ. ექიმის რეალიზმი ძალიან მკაცრია, გარკვეული აზრით სასტიკიც, მაგრამ ამავე დროს ჰუმანურია, ადამიანის სრულფასოვნებაზე ზრუნვით არის ნაკარნახევი. ასეთივეა თვით მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული ხედვა — უკიდურესად მკაცრი და ჰუმანური.

ექიმის მცდელობის ზნეობრივი საზრისი ისიც არის, რომ პაციენტის სინამდვილეში დაბრუნება ახლობელ ადამიანებთან მისი გაწყვეტილი სულიერ- მორალური კავშირის აღდგენას მოასწავებს. ილუზია ავადმყოფი ქალის გაუცხოებული ეგოიზმის ციტადელად იქცევა, საიდანაც იგი ძნელად გამოყავს ექიმს.

მიხეილ ჯავახიშვილი ადამიანის ბუნების სისუსტეთა მიმართ ირონიულობის მიუხედავად თანაგანცდისმიერი გაგებით ხატავს და მძაფრად გვაგრძნობინებს შეჭირვებულ სულიერ და ცხოვრებისეულ მდგომარეობებს, საიდანაც ილუზიები იძადება, ასევე ტკივილებს, რომელთაც ილუზიათა დამსხვრევა, ულმობელ რეალობასთან პირისპირ დარჩენა იწვევს.

სინამდვილეზე თვალისახელის მეტაფორის რეალიზაცია და წარმოდგება მოთხოვნა „ყბაჩამ დაიგვიანა“ — ბრმა გოგონას განკურნების ამბავი ცხოვრების დაუნდობლობასთან მისი შეხლის ისტორიად იქცევა.

მიხეილ ჯავახიშვილის პოეტიკა უკიდურესობათა პოეტიკა. მხერლის ესთეტიკური რადიკალიზმი ეძებს განსაკუთ-

რებულად მწვავე სიუჟეტურ და ფსიქოლოგიურ ვითარებებს, კონფლიქტებს; მიელტვის დასახატი საგნის პიპერტროფი-რებას, პერსონაჟთა სახეების გამსხვილებას, ხშირად გრო-ტესკულს, სიტუაციების და ხასიათების დაძაბულ კონტრას-ტულობას.

მოთხრობაში „ყბაჩამ დაიგვიანა“ თინა და სოლო-მაზის და სიმახინჯის დრამატულ კონტრასტს ქმნიან. სო-ლოს შემზარავ გარეგნულ იერს მისი მინაგანი ბუნების ზო-გიერთი ნიშანიც შეესატყვისება — ეს ბოგანო პროლეტარი ხარბად შეიგულებს საკბილოს, როგორზეც ვერც იოცნებებ-და და უცერემონიოდ ეუფლება ბრმა, უსუსურ ქალიშვილს. მაგრამ მაინც მწერალს ზნეობრივი მონსტრის დახატვა არ აქვს განზრახული: სოლო თავისებური სითბოთი და მზრუნ-ველობით ეკიდება მშვენიერ თინას, რომელიც უკვე მისი საკუთრებაა. რაც უფრო ღრმაა ახალგაზრდა ბრმა ქალის ერთგულება თავისი უსახური სახელოსადმი, მით უფრო მტკიცნეულია მისთვის საშინელ რეალობაზე თვალისახელა და სრული ბედნიერების ილუზიის ბურანიდან გამოსვლა; მით უფრო მწვავედ საგრძნობია ცხოვრების სასტიკი ირონია ადამიანის მიმართ. ავტორის ეთიკურ მრნამსს ირეკლამს ის, რომ თვალახელილი თინა თავისთავში პოულობს ზნეობრივ ძალას, არ გაექცეს ძნელად შესაგუებელ სინამდვილეს.

„ოქროს კბილის“ პერსონაჟი თომა შადიშვილი კი სამუ-დამოდ რეალობის მიღმა რჩება. ეს მოთხრობა ფსიქოანალი-ზის, გროტესკის და რომანტიკის უჩვეულო ნაერთია. ავად-მყოფური სექსუალური ვნებებით და კომპლექსებით შეპყ-რობილ ახალგაზრდა კაცს და სასიკვდილოდ დაავადებულ ქალიშვილს უჩნდებათ მძაფრი ურთიერთმიზიდულობა, რო-მელიც უპირველესად სქესობრივია, მაგრამ ამავე დროს ალ-მატებულიც არის სქესობრივ იმპულსზე, რამდენადაც ერთ-მანეთის შეუცვლელობის განცდას მოიცავს. ამ ადამიანების გრძნობები სიკვდილის ნაყოფია — მათ წარმოშობს ქალის გამომწვევი ქცევა, რომელსაც განაპირობებს ის, რომ სიკვ-დილის სიახლოვე მას სიცოცხლის წყურვილს და ეროტიუ-ლობას უათკეცებს; მეორე მხრივ, მოთხრობის გმირთა ურ-თიერთლტოლვას სიკვდილი ელობება წინ, ესე იგი, ის, რაც ბიძგს აძლევს სიყვარულს, ფატალურად აბრკოლებს კიდეც მას; ავადმყოფური მარტოობის გარღვევის, სრულფასოვანი

არსებობის დაწყების თითქოსდა რეალური შესაძლებლობა, რომელიც სქესის წინაშე შიშით დათრგუნულ მოთხოვის მთავარ პერსონაჟს ეძლევა, ფაქტობრივად სიკედილის მიერ მოვლენილი ვერაგი ილუზიაა. ობიექტურად იგი სრულიად ქართულდება — ქალი კვდება, მაგრამ ეს რჩება თომას თვალ-საწირის მიღმა და ის კვლავ ილუზის მორჩილია, ტანჯვით განაგრძობს მისთვის სანუკვარი ადამიანის ძებნას, რომელიც უკვე ისეთივე ფანტომია, როგორიც რომანტიკული თუ სიმბოლისტური პოეზიის შორეული და მიუწვდომელი ქალის ხატება. მწერალი არ შეაჯახებს თავის პერსონაჟს უნუგეშო სიმართლესთან, რადგან მის მიერ ქალის სიკედილის შეტყობა მელოდრამად აქცევდა ნანარმოებს, რომელშიც ისედაც მკაცრი გემოვნების მოთხოვნათა დარღვევის რისკით არის გამოყენებული მელოდრამატული ელემენტები სიყვარულის რომანტიკის გამოსახატად. თუმცა უფრო არსებითი ის არის, რომ თვით პერსონაჟს არ სურს, ძალა არ ყოფნის შეიცნოს სიმართლე, მაშინ, როცა სულ ახლოსაა მასთან — მისი სახე გროტესკულ სიმრუდეს ბოლომდე ინარჩუნებს. ამ პერსონაჟის მდგომარეობა, რომელიც თავისი არსით „კურდლელის“ გმირის ავადმყოფობას გვაგონებს, უფრო საშინელი და გამოუვალია, ვიდრე ნებისმიერი მელოდრამა, საერთოდ ჩვეულებრივი ადამიანური უბედურება. ილუზიის ტყვეობაში სამუდამოდ დარჩენა და რეალობაში დამკვიდრების აბსოლუტური შეუძლებლობა, — თუნდაც ილუზიას გმირის პათოლოგიურ ცხოვრებაში ჭეშმარიტი ადამიანური სწრაფვა შეჰქონდეს — მწერლის თვალთახედვით, თავადაც პათოლოგია, არასრულფასოვნებისთვის განწირულებაა.

„ჯაყოს ხიზნები“ ილუზიათა კატასტროფული მსხვრევის და თვალისახელის მრავალაქტიან ტრაგიკომედიას ნარმოადგენს. ილუზიები აქ აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ ადამიანების კერძო ცხოვრებით, სოციალურ-პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ სფეროებს წვდება.

თეიმურაზ ხევისთავის აზროვნება, მისწრაფები, „საქმიანობა“ მთლიანად ილუზიებზეა დამყარებული და რაღაც ფანტასტიკური ელფერი აქვს. თეიმურაზის პროგრესისტული ოცნებები, მისი ნარმოსახვის გამუდმებული ნახტომები გლობალურ პოლიტიკაში, მისი მოჩვენებითი საზოგადოებრივი აქტივობა დიდად აშორებს მას ცოცხალ რეალობას და

ამ რეალობის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის მირაჟს აღანდებს. ყველივე ეს განამტკიცებს ხევისთავის ილუზორულ წარმოდგენას საკუთარი აღმატებული მნიშვნელოვნების შესახებ.

სოციალურ-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ილუზიები იმით არის სახიფათო, რომ უნებლიერ უწყობს ხელს უყურადღებოდ მიტოვებულ სინამდვილეში რაღაც ისეთის წარმოქმნას და ზრდას, რაც თავისი ბუნებით მთლიანად ენინააღმდეგება ყოველგვარ იდეალიზმს. სინამდვილის შურისძიება ილუზიებით დაბრმავებული თეიმურაზის მიმართ ისეთი სასტიკია, რომ ძნელია მისთვის ანალოგის მოძებნა და არამარტო ქართულ ლიტერატურაში.

მაგრამ ხევისთავის სახეში გასაოცარი და იშვიათი, ერთდროულად ტრაგიკული და კომიკური ის არის, რომ ამ ადამიანის ცნობიერება ყველაზე საზარელი, თითქოსდა საბოლოო თვალისახელის შემდეგ კვლავ ილუზიებს ბადებს და ებლაუჭება, ვიდრე მორიგ კრახს განიცდიდეს. თეიმურაზი გამუდმებით მიექანება ილუზიებიდან ილუზიებისკენ — რაციონალისტური უტოპიდან ქრისტიანობის მეოხებით სულიერი აღორძინების უნიადაგო იმედისკენ, ანდა ულმობელი ზეკაცის ვითომდა მხსნელი იდეალისკენ... თუმცა ილუზიების გაცამტვერების და რეანიმაციის ეს პროცესი მთლად უნაყოფო არ არის, რადგან თეიმურაზს თვალი ეხილება თავის პასუხისმგებლობაზე იმის გამო, რაც მოხდა.

თეიმურაზს არ უქრება მარგოსთან შეერთების იმედი და ეს ილუზია, რომელმაც სინამდვილის უმძიმეს დარტყმებს გაუქმო, სულის სისუსტის გარდა უცნაური ერთგულების გამომჟღავნებაცაა. მაგრამ აქაც, ისევე როგორც „ოქროს კბილში“, ილუზია და ადამიანური სრულფასოვნება ერთმანეთთან შეუთავსებელია.

ილუზიების გაქართულება და თვალისახელა „თეთრ საყელოშიც“ ხდება, ოღონდ ისე დრამატული არ არის, როგორც მოთხოვნებში და „ჯაყოს ხიზნებში“. უაღაური, ცივილიზებული ცხოვრებით, არსებითად კი საბჭოთა რეჟიმით გაპეზრებული ინტელიგენტისთვის მიუღებელი რეალობისგან გამმიჯვნელი რომანტიკული თავშესაფარია ხევსურების მიუვალი სოფელი — არქაული სამყარო, სადაც ისტორიული დრო შეჩერებულია, ბატონობს ტრადიცია და მითი. მაგრამ ელიზ-

ბარის შეთვისება ამ სამყაროსთან, თანამედროვე რთული ცხოვრების პატრიარქალური იდილიით შენაცვლების ცდა ილუზორული აღმოჩნდება.

თუ გრიგოლ რობაქიძის ან კონსტანტინე გამსახურდიას-თვის არქაიკა და მითი მოწინების აღმდვრელი საკრალური სფეროა, ჭეშმარიტების და იდეალის საუნჯეთა საცავია, მიხეილ ჯავახიშვილისთვის ის კრიტიკულ-რეალისტური დაკვირვების საგანია სხვა საგანთა შორის. თუმცა უძველესი წარსულის რომანტიკულ სამკვიდროებელში, რომელიც „თეთრ საყელოში“ წარმოისახება, უეჭველად პოზიტიური ლირებულებებია შემონახული (ბუნებასთან სიახლოვე, ვაჟ-კაცობა, მეგობრობის კულტი, ოჯახის სიმყარე) და რომანის მთავარი გმირი ეზიარება მათ, მაინც მას იმედგაცრუება არ აცდება: მისი ხედვა თანდათან სულ უფრო ფხიზელი ხდება და საბოლოოდ მითოსის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად აღიარება ცრურნომენად წარმოუდგება, ცოდნა-განათლების და ტექნიკისთვის ზურგშექცევა და პრიმიტიული ყოფა — ველურ ჩამორჩენილობად; ელიზბარის ანტიპათიას ინვეს სხვადასხვა რიტუალი, ადათი თუ ცხოვრების წესის თავისებურება, განსაკუთრებით კაცისკვლისადმი მსუბუქი დამოკიდებულება...

ელიზბარს არ შეუძლია მითოსური ცნობიერების მქონე ადამიანებივით ინამოს, მაგალითად, რომ მალე იაპონიიდან მეფე ერეკლეს შვილიშვილი ჩამოვა და საქართველოში ბაგრატიონების დინასტია აღდგება, არ შეუძლია გაიზიაროს მათი სიბრძანვე გარემომცველი მკაცრი სამყაროს და მისი კანონებისადმი, მითუმეტეს, რომ ამ სამყაროს შემოტევის წინაშე სიძველის და მითის ამაყი საუფლო თავის სრულ უმნეობას აჩენს. აშკარაა, რომ მცირე ხანში მას თანამედროვეობა შთანთქავს, რომელთან შედარებითაც ისე გამოიყურება, როგორც რაღაც ირეალური, გამოგონილი. მიხეილ ჯავახიშვილის გმირი აცნობიერებს, რომ წარსულში უკუქცევა სინამდვილიდან სულმოკლე ილუზორული გაქცევაა, რომ არქაიკა და მითი საბჭოთა რეალობის სერიოზულ, სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად არ გამოდგება; ამ რეალობასთან დაპირისპირება თანამედროვე ცივილიზაციის მთელი სირთულის გათვალისწინებითაა შესაძლებელი და არა შორეულ წარსულში და მითოსში გადასახლებით...

მიხეილ ჯავახიშვილს სიმართლის მწარე გემო ერჩივნა
ილუზიების მაცდუნებელ სიტკბოს, რადგან მიაჩნდა, რომ
სიბრძავე, თავისმოტყუება საბედისწერო, ამავე დროს ადა-
მიანის ღირსების დამამცირებელი სისუსტეა და მხოლოდ
სიმართლეზე თვალახელილობაა ადამიანისთვის შესაფერი-
სი ყოფიერების ფორმა, რაც უნდა ძნელად მოსათმენი იყოს
ეს სიმართლე და ტკივილის მომყენებელი — ილუზიების
გარეშე არსებობა.

1996

ლეო ქიაჩელი

სულის თავგადასავლები

მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის რეალიზმს და პოზიტივისტურ მსოფლებელების ლეო ქიაჩელი როგორც ნოველისტი ხშირად უკნაურის და უჩვეულოს რომანტიკულ ესთეტიკას უნაცვლებს.

ქიაჩელის ყურადღებას ძლიერად იზიდავს ფსიქიკური მოვლენები, რომლებიც ცხოვრების ზედაპირული მდინარების ლოგიკას არ ექვემდებარება; მწერალი ეძებს ადამიანის არსებობის რეალისტური აზროვნებისთვის გაუგებარ საწყისებს, იმას, რაც შეჩვეული რეალობის მკვეთრ სიცხადეს ეჭვევეშ აყენებს; ქიაჩელი — რომანტიკული ბუნების შემოქმედი, ნეორომანტიკოსი — სინამდვილის ემპირიულ-ყოველ-დღიურ მოცემულობას არ არის მიჯაჭვული, ყოველდღიურს და ჩვეულებრივს არაჩვეულებრივს და იშვიათს ამჯობინებს.

ამგვარი მხატვრული მიდრეკილებების გასამულავნებლად ნოველის ჟანრული ფორმა ზედმინევნით ნაყოფიერია, ნოველა ხომ, როგორც გოეთე ამბობს, „სხვა არაფერია, თუ არა გაუგონარი შემთხვევა“. „გაუგონარი შემთხვევა“ კი შეიძლება ფსიქიკის სფეროსაც განეკუთვნებოდეს. ასეთ შემთხვევებზე არაერთი ნაწარმოები აქვთ აგებული გამოჩენილ ნოველისტებს, უპირველესად რომანტიკოსებს, მაგალითად, კლასისტს ან ედგარ პოს. ადამიანის სულის უჩვეულო, იდუმალ თავგადასავლებს ქიაჩელიც მოგვითხრობს.

ასეთ თავგადასავალთა შემცველ ნოველებში ადამიანის შინარეალობის გართულებული, დიფერენცირებული მოდელის ანარეკლი მოჩანს. ეს მოდელი გულისხმობს, რომ ადამიანის ფსიქიკა მრავალი სხვადასხვაგვარი, მათ შორის ირაციონალური ძალის მომცველ სამყაროს წარმოადგენს; სული კარგავს მთლიანობას და ნაწევრდება, პოლიფონიური ხდება. პიროვნების წარმოსახვის ასეთი პრინციპი მეტად დამახსასიათებელია XX საუკუნის მხატვრული აზროვნებისთვის, თუმცა იგი მანამდეც იჩენდა თავს.

ნოველაში „მკვლელობა კოხტა გორაზე“ ჭარბადაა ხშირი ხმარებისგან გაცვეთილი პირობით-პოეტური ხატოვანება („ლამისებრი წამხამებით დაფარული სატრფოს თვალები“ და ა.შ); არის მოძველებული სტილისტური ყალიბები, მარტივი კომპოზიციური და ფსიქოლოგიური კონტრასტები, მაგრამ ამავე დროს ადამიანის ბუნების გაღრმავებული და გართულებული კონცეფციის კონტურია მოხაზული.

ნოველის გმირი საყვარელ ქალთან ალერსის შემდეგ აღმოაჩენს, რომ ამ ქალს მისთვის უცნობი შინაგანი სახეც ჰქონია, რომ მის სულში ვერასდროს შეაღწევს. ნოველაში სულის შეუცნობლობა მაგიური ყვავილის ზღაპრულ-ფანტასტიკური მოტივის მეშვეობით სამყაროს მმართავ ირაციონალურ საწყისს, განგებას უკავშირდება — ადამიანის სულის ირაციონალურობას მისტიკური ელფერი ეძლევა და ასეა რომანტიზმებული.

ნოველის კონცეფციას საბოლოოდ აყალიბებს ის, რომ მთავარი გმირი საკუთარ თავშივე პოულობს ისეთ ძალებს, რომელთა შესახებ ადრე არაფერი იცოდა; არათუ სხვა ადამიანი, თვითონაც უცნობი ყოფილა საკუთარი თავისთვის; მისი სულის მოძრაობა და ქმედება — მკვლელობა თავად მისთვისვეა აუხსნელი, თითქოს მასში ვიღაც უცხო ჩასახლებულა.

როგორც ვხედავთ, ნოველაში რომანტიზმებულად არის წარმოსახული ქვეცნობიერების საბედისწერო ძლიერება ადამიანის ყოფიერებაში.

ადამიანის სული სხვადასხვა საწყისებად დაცალკევებული წარმოდგება ნოველაშიც „მე და ჩემი ორი მე“ — პერსონიფიცირებული ფსიქიკური ძალებიდან ერთ-ერთი, ტლანქ ინსტინქტთა განმასახიერებელი, დანარჩენებს, ინტელიგენტურად რბილებს ანადგურებს. სულიერ პოლიფონიას, სულში გათამაშებულ უცნაურ დრამას მწერალი ამჯერად უკვე მისთვის საერთოდ დამახასიათებელი უჩუმარი, შეკავებული იუმორით აღიქვამს. ამის წყალობით იგი მაღლა დგება სიუჟეტის პირობითობაზე, ფანტასტიკურობაზე და გვანიშნებს, რომ ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური კოლიზიები ადამიანის სულის დისპარმონიული ბუნების წარმონაქმნია. პირობითი გამომხატველობის მიღმა გამოსჭვივის მწერლის მიერ ნაგრძნობი და გააზრებული სიმართლე — ადამიანის

ფსიქიკა შეუსაბამობების სფეროა, მასში უცნაურად ხვდებიან და გადაიკვეთებიან ურთიერთგამომრიცხავი ძალები.

ლეო ქიაჩელი სკეპტიკური თვალთახედვის მწერალია, ოღონდ მისი სკეპტიციზმი უნინარეს ყოვლისა მიმართულია იმისკენ, რაც, ჩვეულებრივ, სკეპტიციზმის საყრდენს შეადგენს — ემპირიული ცნობიერებისკენ, გრძნობადი ალქმისკენ.

„შეურაცხყოფილში“ ზუსტი დეტალების სიუხვით არის ნაჩვენები, რომ სინამდვილის გრძნობადი ალქმის ადამიანური „პარატი“ ნაკლოვანია და ამიტომ ძალზე ძნელია თუ სულაც შეუძლებელია ჭეშმარიტებას მივუახლოვდეთ. რეალობის პერსონაჟისეული ალქმა, რომლის საფუძველშიც ეროტიული იმპულსია შეფარული, მეტად მკვეთრი და კონკრეტიკით სავსეა საიმისოდ, რომ ილუზორული გამოდგეს, მაგრამ ფსიქიკის პარადოქსიც ეს არის — რაც უფრო დარწმუნებულია ემპირიკას მინდობილი ადამიანი რაიმეს ჭეშმარიტებაში, მით უფრო იოლად შეიძლება დაშორდეს სინამდვილეს.

თავისი კონცეფციით „შეურაცხყოფილთან“ ახლოსაა „ესკალადე“, რომლის გმირიც, ევროპაში კარნავალისას დატრიალებული უცნაური ამბების შემხედვარე, ადამიანური არსებობის და გრძნობად ალქმაზე დამოკიდებული ადამიანური შემეცნების მირაჟულ ხასიათს წვდება: ყოველი ადამიანი ნიღაბია, სულიერად უხილავია; მთელი სინამდვილე და საკაცობრიო იდეალებიც მოჩვენებითობაა; ნიღაბთა და ილუზორულ წარმოდგენათა იქით გადახედვა, ჭეშმარიტების ხილვა ადამიანის ცნობიერებას არ უწერია.

ნოველაში „ისკანდერი“ დაუჯერებელი რამ არის რეალობად ქცეული — მკვდარი ლაპარაკობს: „გიცხადებთ, რომ მე სრულიად სხვანაირი ცნობიერების სფეროში ვიმყოფები, და ყოველივე, რაც ამ ახალი ცნობიერების სფეროში გადასვლამდე იყო ჩემს ცხოვრებაში, ახლა ისე სასაცილოდ მეჩვენება, რომ თქვენ მანდ ვერც კი წარმოიდგენთ ამას.. გიცერით და ძალიან სასაცილონი კი მეჩვენებით, მე და ჩემმა ღმერთმა. ა? ჩვენებურად გინდათ რომ მიტიროთ, არა?“. გაუცნაურებული სიკვდილის წინაშე ყველაზე არასახარბიელოდ გამოიყურება და ტრაგიკომიკურად უმწეოა ექიმი, პრაქტიკული მეცნიერების და ცრურწმენათაგან დაზღვეული გონების განსახიერება — ადამიანის ემპირიული ცნობი-

ერების, თავისთავში დარწმუნებული „საღი აზრის“ შეზღუდულობას ამხელს ავტორის დამცინავი სკეპტიციზმი, ნოველაში მოთხრობილი ფანტასტიკურ-გროტესკული ისტორია.

ადამიანის სულიერი რაობის სკეპტიკური ხედვა გასდევს ნოველას „იშვიათი შემთხვევის გმირი“. ნაწარმოების პერსონაჟი პიკანტურ ვითარებაში რაღაც გაუცნობიერებელი ფსიქიკური ძალის ზეგავლენით პატიოსნად იქცევა და თავისი საქციელი თვითონვე აკვირვებს. ნოველის სათაურიც გვეარნახოს, რომ პერსონაჟის ქცევა უჩვეულოა და ეს ირონიულ შეფერილობას იძენს — ზნეობრივი საქციელია იშვიათი და უცნაური...

1984

„ჰაკი აძბა“

როგორც ნეორომანტიკოსი, ლეო ქიაჩელი აფხაზეთს აღიქვამს კულტურის იმ ძველი პლასტების შემნახველ მხარედ, რომელთაც ჰაკი აძბასნაირი, ბუნებრივი, ცივილიზაციის მანკიერებებით შეურყვნელი, მონოლითური და მძაფრი სულის ადამიანი შეუძლიათ წარმოშვან — რომანტიკოსი თუ რომანტიზმთან გენეტიკურად დაკავშირებული მწერლები ეძებენ ისეთ ეთნოკულტურულ არეალებს, სადაც საშუალო ადამიანისგან განსხვავებულ, ძლიერი სულით და ვნებებით გამორჩეულ ნატურებს აღმოაჩენენ (ვთქვათ, სტენდალის-თვის ასეთი არეალი იტალია, მერიმესთვის — ესპანეთი...).

ჰაკი აძბას რომანტიკულად უჩვეულო ფიგურა იკვეთება სოხუმის საზოგადოების ანტირომანტიკულ, მეშჩანურ-ფილისტერულ ფსიქოლოგიასთან და მორალთან შეპირისპირებით. მწერლის უჩუმრად დამცინავი მზერით დანახული ამ საზოგადოებისთვის მთავარია უშფოთველი ცხოვრების, კმაყოფილი არსებობის სიმდორის შენარჩუნება და ამისთვის ნებისმიერ მორალურ ლირებულებას უპრინციპოდ დათმობს, ყოველგვარ დამცირებას აიტანს, სინდისის ქენჯნის გარეშე განირავს თანამოქალაქეებს (უპირველესად ეს ვაჭრებზე ითქმის, რომლებიც თავგამოდებით იცავენ თავიანთი ქონების უსაფრთხოებას). სოხუმის მკვიდრები, რომლებსაც პანიკური შიში მთელ მათ უღირსობას, პირფერობას და ფარისევ-ლობას გამოამჟღავნებინებს, თავისი ზღვარგადასული კონფორმიზმით არსებითად თვითონვე ახდენენ სახიფათო სიტუაციის პროვოცირებას. ნიშანდობლივია ისიც, რომ სოხუმის წვრილბურუჟუაზიულად „კეთილგონიერი“, მფრთხალი და თვინიერი საზოგადოება ერთბაშად იქცევა აგრესიულ, დაუნდობელ ბრძოდ და ნამდვილ ნადირობას მართავს ადამიანზე, ვინც თავისი არაორდინარული — ზნეობრივი საქციელით მას მყუდროება დაურღვია.

ფილისტერული, ჰეროიზმისგან სრულიად დაცლილი და კონფორმისტული საზოგადოების ბუნებრივ პროდუქტს წარმოადგენენ მისი რევოლუციურობით შენიღბული ფარისეველი ლიდერები, რომელთა ნამდვილი სახე ყველაზე ცხადად ბოლშევიკების კრეისერზე მათი დამამცირებელი ვიზიტებისას ჩანს.

შედარებით ღირსეულად თითქოს არისტოკრატია გამოიყურება (თუ არ ჩავთვლით ბოლშევიკებთან შეტაკებისას უჯუშ ემხას მიმტოვებელ მის არისტოკრატ „მეგობრებს“), მაგრამ ასე იმის წყალობით არის, რომ არისტოკრატები უფრო ინილბებიან, მათ სხვებზე უკეთესად იციან ღირსების იმიტირება. სინამდვილეში მათაც მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოება და თავისი კასტის სტატუსის ურყეობა ადარდებთ და არა ახლობელი ადამიანების სიცოცხლე და ბედი, რასაც ბექირბი ჩაჩბაზე გარეგნული ზრუნვით და მათ მიერ გაწირული ემხასადმი დემონსტრაციული თანაგრძნობით ფარავენ. როცა ჰაკი აძბას თანგანნირვას იწონებენ, სოხუმელი თავადები ადამიანის ბედისადმი გულგრილობასთან ერთად თვალთახედვის სოციალურ სივიწროვეს ამჟღავნებენ — თვლიან, რომ ბუნებრივი იქნება, თუ გლეხი თავადს სიცოცხლეს შეწირავს. გაქვავებული სოციალური სქემებით, სტერეოტიპებით აზროვნება მათ ჰარადოქსულად ამსგავსებს თავიანთ მტერს — ბოლშევიკ კაპიტანს.

კაპიტნის სახეც, ჰაკი აძბას (ასევე ემხას) სახესთან ერთად, ფილისტერულ საზოგადოებასთან შეპირისპირებულია. ეს პერსონაჟი რომანტიკულად გაუცნაურებული, გაიდუმალებული და თითქმის დემონიზებულია — ალჭურვილია მონსტრისებური იერით, შიშისმომგვრელი შინაგანი ძალით, გამოუცნობი სულით. ის არამარტო ადამიანებს, არამედ თითქოს ბუნების სტიქიებსაც იმორჩილებს. კილგას უჩვეულო და იდუმალი ფიგურა გვაგონებს კაპიტან აქაბის რომანტიკულად დემონიზებულ სახეს მელვილის „მობიდიკიდან“.

კაპიტნის რომანტიკულ - ჰეროიკული ფიგურა თანდათან კნინდება, შარავენდედისგან განიძარცვება, ემხას საპირისპიროდ, რომელიც თავიდან დაკრინებულია და თანდათან მაღლდება. რევოლუციის მრისხანე ძალის და ნების, რევოლუციის უზენაესი სიმართლის განმასახიერებელი არსება შინაგანად ღატაკი, გონებაშეზღუდული ფანატიკოსი აღმოჩნდება, რომლის თითქოსდა შეუცნობლად ღრმა სული ვიწრო მარქსისტულ დოგმაშია ჩატეული. კლასთა ბრძოლის თეორიის მიღმა ის ვერ ხედავს ცოცხალ ადამიანებს, მათ სიმართლეს და შორდება იმასაც, რისთვისაც თითქოს რევოლუცია მოხდა — რევოლუციის დეკლარებული მიზანი სწორედ

ჰაკისნაირი სოციალური წარმომავლობის ადამიანების ქომა-გობაა და კაპიტნის იდეური და მორალური კრახია ის, რომ იგი ამგვარი ადამიანის მიმართაც სულიერ სიბრძმავეს იჩენს. კაპიტანი, რომელიც ჰაკის მონად მიიჩნევს, თვითონ გამოდგება თავისი დოგმის, აგრესიული იმპულსების და ძალაუფლებისმოყვარეობის მონა.

სულიერი სიღარიბის და სიბრძმავის გამო ბოლშევიკი კაპიტანი არ შეიძლება იყოს ტრაგიკული — თუნდაც ტრაგიკულად შემცდარი — გმირი. სულის სივიწროვე ამ თითქოსდა არაჩეულებრივ ადამიანს პრიმიტიული მოძალადის, ტრაგიკული გმირების უსახური ჯალათის როლს არგუნებს.

„ჰაკი აძბა“ ტრაგიკული ფენომენის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ხორცესხმაა ქართულ ლიტერატურაში. მის ტრაგიზმს ქმნის ის, რომ როგორც ფილისტერულ-მეშჩანური კონფორმიზმი და უპრინციპობა, ასევე ბოლშევიკური ფანატიზმი გარდაუვალად, ფატალურად ენინაალმდეგება ადამიანურ ლირსებას, ერთგულებას და სიყვარულს, სიმართლეს. ამიტომ მოთხოვთ მოვლენათა განვითარებას, სიუჟეტის მოძრაობასაც ფატალური აუცილებლობის ხასიათი ეძლევა. ამაში თავისი წვლილი შეაქვს აგრეთვე ბედისწერის იდუმალი წინათგრძნობის რომანტიკულ მოტივს.

მოთხოვთ წარმოისახება ტრაგიკული სიტუაცია, როცა გარდაუვალი ხდება ადამიანების მიერ სიცოცხლის მსხვერპლად გაღება იმ ფასეულობების გადასარჩენად, რომელთა გულისთვისაც ლირს ამქვეყნად სიცოცხლე; კონკრეტული ადამიანების სიცოცხლე უნდა შეეწიროს იმას, რაც საზოგადოდ ადამიანის სიცოცხლეს ანიჭებს საზრისს.

ჰაკი აძბა, ნაწარმოების უპირველესი ტრაგიკული გმირი, თავისი ერთგული სიყვარულით უჯუშ ემხასაც ტრაგიკული გმირის სულიერ რანგს მოაპოვებინებს. ჰაკის დამოკიდებულება უჯუშისადმი, ცხადია, ძიძიშვილობის ტრადიციას ეფუძნება, რომელიც თავადების და გლეხების ურთიერთობას ზნეობრივ და ჰერმანურ ხასიათს აძლევს, მაგრამ ტრადიცია ამ ურთიერთობის კულტურულ-სიმბოლური ფორმა უფროა, მისი შინაარსი კი ჭეშმარიტი ადამიანური სიყვარულია, ჭეშმარიტი მეგობრობაა. „ჰაკი აძბაში“, ისევე როგორც აკაკი წერეთლის „გამზრდელში“, ძიძიშვილობის ტრადიციის ღრმა აზრი ის არის, რომ ამქვეყნად ადამიანურ სიყვარულზე და

მეგობრობაზე დიდი ფასეულობა არ არსებობს, რომ ადამიანის ყოფიერების გამართლება მოყვასის თავგამეტებული სიყვარულია.

ჰაკი აძბა უჯუშის სიცოცხლის გადარჩენას ვერ შეძლებს, მაგრამ ის, რასაც იგი აღწევს, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ფასეულია — ჰაკი თავისი თავგანნირული ერთგულებით უჯუშს ღირსეულად სიკვდილს შეაძლებინებს. ემხა, რომელიც ბოლშევიკებისადმი მისტიკური ძრწოლით არის შეპყრობილი, მხოლოდ ჰაკის გვერდით, მისი წყალობით იბრუნებს შინაგან ძალას და ღირსებას — ჰაკის გარეშე ის თითქოს არასრული, ნაკლული ადამიანია. ემხა ჰაკის მეოხებით კვდება ამაყი, ის, თავისი ჯალათების მიმართ მორალური უპირატესობის გრძნობით შინაგანად გამაგრებული, აზიდავს ტრაგიკული გმირის ტვირთს.

ჰაკი, რომანტიზმული უბრალო გლეხი, სულის სიმდიდრით ბევრად ალემატება მათ, ვინც სოციალურად და თითქოს კულტურითაც მასზე მაღლა დგას. თუ ქალაქის მესვეურები საკუთარ ჰასუხისმგებლობას კოლექტიურ უპასუხისმგებლობაში გაუტიან, ჰაკი სხვის პასუხისმგებლობას კისრულობს; ჰაკის, კაპიტნისგან განსხვავებით, შეუძლია მოწინააღმდეგის თვალით, მისი პოზიციიდან შეხედოს სინამდვილეს; ჰაკი აშკარად უფრო გონიერია უჯუშის ახლობელ თავადებზე, რომლებსაც მათი თანასწორივით ესაუბრება (ესეც მონმობს, რომ, კილგას აზრის სანინააღმდეგოდ, მის არსებაში მონობის ნატამალი არ არის); მითუმეტეს აშკარაა თავადების მიმართ ჰაკის ზნეობრივი უპირატესობა. ჰაკის სულიერ და მორალურ იერთან შედარება ამჟღავნებს ყველა სოციალური ძალის ზნეობრივ სიღარიბეს, რომლებიც ნაწარმოებში არიან ნარმოჩენილი. ასეთი ადამიანის მიერ ცხოვრების უარყოფა ნიშნავს, რომ ამ ცხოვრებაში სიმართლეს, ღირსებას, სიყვარულს ადგილი აღარ რჩება.

„ჰაკი აძბაში“ ვაჟა-ფშაველას პოემების, განსაკუთრებით „სტუმარ-მასპინძლის“ ტრაგიკული სული გახაგრძობს არსებობას. ქიაჩელის ნოველა ამ პოემა-ტრაგედიის მსგავსად აგებულია შეუნელებელი დინამიკით გაშლილ ექსტრემალურ სიტუაციებზე, ფატალური სიმტკიცით შეკრულ მოვლენათა წყებაზე; აქაც მკვეთრია თვითმყოფადი პიროვნებების შეუთავსებლობა კრიტიკულად დახატულ აგრესიულ

მასასთან და ეს მთელი სისავსით წარმოაჩენს პიროვნებათა დაურღვეველი სოლიდარობის ფასეულობას, ჰუმანური ტრადიციების მკვიდრ მნიშვნელობას; „სტუმარ-მასპინძელ-ში“ და „ჰაკი აძბაში“ ერთნაირია მტრისადმი დამოკიდებულება — მისი სისასტიკე გამოწვეულია იმით, რომ მტერი ფაქტოპრივად არაა დამიანად არის მიჩნეული და ამიტომ მის მიმართ ყოველგვარი უზნეობის ჩადენა გამართლებულია; მტერთან ურთიერთობა შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ შურისძიების კანონს: როგორც ზვიადაურს სწირავენ ქისტები თავიანთ მკვდარს, ასევე სწირავენ ბოლშევიკები ემხას მოკლულ მეზღვაურს...

„ჰაკი აძბაში“ ქართული კულტურა ბოლშევიზმს უპირის-პირებს თავისი ფასეულობათა სისტემის ბირთვს — ადამიანთა ღრმა სულიერ კავშირს, ახლობლობის კულტს, რაინდული მორალით ნასაზრდოებ ღირსების გრძნობას.

ჰაკის სახე ტრადიციული ქართული მსოფლგაგების და ეთიკის გვიანი გაცხადებაა. ჰაკი აძბას ლიტერატურული არქეტიპი ავთანდილია. ამავე დროს ქიაჩელის გმირის წინაპარია ისტორიული პიროვნება — ცოტნე დადიანი, რომელშიც თითქოს „ვეფხისტყაოსნიდან“ გადმოსახლდა ავთანდილის სული, მისი თავგამეტებული სიყვარული და ერთგულება მოყვასისადმი, მისი გონებამახვილობა, მოხერხებულობა და არტისტიზმი, რომელსაც თავისი კეთილშობილური მიზნების მისაღწევად იყენებს.

ცოტნეს მსგავსად მტერს ნებაყოფლობით ჩაბარებული ჰაკი აძბაც მისგან ახლობლის გამოსახსნელად მოხერხებულობას და არტისტიზმს იშველიებს, შენიღბვას მიმართავს და ასე ცდილობს ბოლშევიკთა ატამანის გულის მოლბობას.

მაგრამ ცოტნე დადიანის მიერ დაყოლიებული მონდოლისგან განსხვავებით, მისი შორეული ბოლშევიკი მექანიზრის მოხიბებული და გულის მოგება შეუძლებელია. ბოლშევიკი, ტოტალიტარული ადამიანი ბრმაა სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლის ფასეულობებისადმი, მოკლებულია უნარს ჩაწვდეს სხვის თავისებურ სულიერებას, განსხვავებულ პოზიციას და სიმართლეს. იგი თრგუნავს ყველაფერს, რაც მას არ გავს, რაც მისი ვიწრო სიმართლის მიღმაა.

ცდუნება

რომანი „სისხლი“ მხატვრული ღირსებით და პოპულარობით ჩამოუვარდება ლეო ქიაჩელის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. პრაქტიკულად ის თითქმის მივიწყებულია.

„სისხლში“ ფაქტოგრაფია ხშირად ფარავს მოვლენების შიდა, არსებით განზომილებას, პერსონაჟების სახეები არა-საკმარისადაა გამოკვეთილი... მაგრამ ამასთანავე რომანში არის მაღალი შემოქმედებითი ტონუსით დაწერილი მონაკვეთები, განსაკუთრებით სიკვდილთან დაკავშირებული სცენები (სიკვდილის განცდა-წარმოჩენის სიძლიერე საერთოდაც გამოარჩევს ლეო ქიაჩელს); იგრძნობა ის გულისხმიერება პიროვნების შინაგანი, სხვებისთვის დაფარული სიცოცხლის მიმართ, რომელიც ეპოქის მხატვრული ცნობიერების მკაფიოო თვისებაა; რომანის სტილი თითქოს ქვეტექსტის ტექნიკას მოგვაგონებს საქმიანი, თანაბარი ტონით, პირდაპირ უთქმელის, ნაგულისხმევის გაზრდილი წილით; ზოგჯერ კი ასეთ მანერას, რომელსაც ყრუ ირონიაც ერთვის, ექსპრესიონისტულად აგზნებული სახეობრიობა ენაცვლება; რაც მთავარია, „სისხლში“ რეალისტური მიუკერძოებლობით არის ნაჩვენები ქართველი სოციალ-დემოკრატების ცხოვრება საუკუნის დასაწყისში; რომანი მოგვითხრობს, როგორ თავისუფლდება დოქტრინის სალტებისგან ახალგაზრდა ინტელიგენტი — მენშევიკი; ამ პროცესის გამოსახვა ყოველთვის არ არის რელიეფური, მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ დამაჯერებელია.

არჩილ დადიშიანის მარქსისტულ მსოფლმხედველობას ბზარავს ადამიანური არსებობის სიღრმისეულ ფენომენებთან მისი პირისპირ შეხვედრა — სიყვარულის ტანჯვა, დროის ჩუმი, იდუმალი ქრობა და ყოფიერების უმყარობა, სიკვდილის საშინელება მარქსისტული დოქტრინის თვალსაწიერის მიღმაა.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისადმი აგულგრილებს არჩილს რევოლუციონერებთან ახლო ურთიერთობა და მათი კარგად გაცნობაც. თუ ერთი მათგანი ახირებული ფანატიკოსია, რომელიც თვლის, რომ ენგელსზე უფრო სწორად ესმის მარქსიზმი, სხვები იდეურ მრწამსს მოკლებული არიან. რევოლუციონერობა მათთვის უბრალოდ ხელობაა,

რომლისკენაც გაბოროტება, შურისძიების ჟინი ეწევათ (როგორც ამას არჩილის ძიძიშვილის თავგადასავალი მოწმობს). მათ სახეებს მწერალი თავშეკავებით ხატავს და ღია შეფასებებს გაურბის — არამარტო იმიტომ, რომ მკაცრი ობიექტურობა მისი სტილის მახასიათებელია, არამედ იმიტომაც, რომ რომანი უკვე ოციან წლებში იწერებოდა (ის 1927 წელს გამოქვეყნდა). მაინც თვალსაჩინოა ამ ხალხის რაობა — ძალადობა და სისხლისლვრა მათვის ნორმალური მოვლენაა, ისინი მორალურ პრობლემებზე თავს არ იმტვრევენ. ავისმომასწავებელი წაკვთები შეინიშნება რევოლუციონერების სახეებში.

სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით ბოლშევიკების წრეში არჩილ დადიშიანი ორთოდოქსის და შეუწყნარებლობის დამთრგუნველობას გრძნობს. პიროვნების სულიერი თავისუფლება, დამოუკიდებელი აზროვნების, ეჭვის უფლება ჩაიხშობა. ესეც თანდათან აშორებს არჩილს სოციალ-დემოკრატებისგან. მისი მაძიებელი ბუნება ველარ ეთვისება დოქტრინის სწორხაზოვნებას. იგი იმსჭვალება პატივისცემით ცოცხალი სინამდვილისადმი, რომელიც აღემატება ნებისმიერ გონებაჭვრეტით სქემას და პროექტს, ნებისმიერ დოგმას.

მაინც სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისგან არჩილ დადიშიანის განდგომის მთავარი მიზეზი ეროვნული ფენომენისადმი ამ იდეოლოგიის ნიპილისტური დამოკიდებულებაა. ეროვნული ნიპილიზმისგან დადიშიანის განკურნება დანაწევრებულად არ არის წარმოჩენილი, მაგრამ მისი გარდამტები მომენტების მოტივირება დამაფიქრებელ დაკვირვებებს შეიცავს.

ციხეში არჩილ დადიშიანს ლექციის წაკითხვა მოუხდება ეროვნული საკითხის მარქსისტული გაგების თემაზე — დადიშიანის ჭეშმარიტ მარქსისტობაში ეჭვი ეპარებათ და ეს ეჭვი ლექციამ უნდა გაფანტოს. იგი არამარტო ახერხებს ამას, არამედ თავისითავში იმდენ პათოსს აღმოაჩენს, რომ თვითონვე უკვირს. მარქსიზმის აღარ სჯერა, მაგრამ მარქსისტულ თვალსაზრისს ეროვნულ საკითხზე ისეთი გულწრფელი თავგამოდებით იცავს, რომ ვერ გაუგია, რა ალაპარაკებს ასე. მხოლოდ ბუნდოვნად გაუელვებს შეგნებაში „მოლანდება... ოდესლაც ძლიერი, მაგრამ ამჟამად განადგურებული მოდგმის დაშინებული სულისა, რომელსაც საკუთარი

თავის უარყოფა დაშთენოდა თავდაცვის უკანასკნელ და ერთადერთ საშუალებად, რომ არსებობა განეგრძო“.

ეს პარადოქსი შეიძლება ასე გავიგოთ — „მოდგმის სული“ დაიქანცა ეროვნული თვითმყოფობისთვის ბრძოლაში განცდილი მრავალი მარცხით, დაითრგუნა ამ ბრძოლის უპერსპექტივობის გრძნობით და ამიტომ ებლაუჭება მოძღვრებას, რომელიც ეროვნულ პრობლემას საერთოდ არ მიიჩნევს არსებითად, სოციალური სამართლიანობის დამყარებას სახავს ყველა პრობლემის გადაჭრის პირობად; ეროვნული ჩაგვრის ძირიც სოციალური ჩაგვრა, უსამართლობაა და მიზეზის მოსპობით მოისპობა შედეგიც; პატარა, დაუძლურებულ ერს, ამგვარად, თითქოს გადარჩენის შანსი ეძლევა... შესაძლებელია, ამგვარმა განხყობამაც განაპირობა ის, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში მასობრივი მხარდაჭერით სარგებლობდა.

არჩილ დადიშიანი შემდეგაც განაგრძობს ფიქრს უცნაური ლექციის შესახებ და აგნებს იმ ძირითად მოტივს, რომელიც საკუთარ ეროვნებას ასე გატაცებით უარაყოფინებს.

თავის მეგობარს, პატრიოტული ენთუზიაზმით სავსე კაცს შალვა რამაძეს არჩილი უმხელს: „ციხეში რომ ვიყავი, უჩვეულო აზრები დამებადნენ... იმ აზრების უჩვეულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ... როგორ გითხრა... ქართველი რომ ვიყავი, ამის გამო თავი ძალიან მეცოდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ძალიან მინდოდა ეროვნულად დიდი ვყოფილიყავი, სულ ერთია, წარსულით თუ ანმყოთი, მაგრამ განსაკუთრებული დიდებით მინდოდა მეამაყნა. აი, როგორც ეს ინგლისელს, ან ფრანგს, გერმანელს, რუსს შეუძლია, გინდა ძველებს მრავალს კიდევ, ბერძნებს, რომაელებს და სხვებს. მაგრამ, წარმოიდგინე, საამაყო ჩვენს ისტორიაში მაინცდა-მაინც ვერაფერი ვერ აღმოვაჩინე... რა იყო მიზეზი, რომ სულ უბედურება გვჭირდა და მონობას თავი ვერასოდეს ვერ დავალნიეთ...“.

უთუოდ ლირს ამ იშვიათ აღსარებაში გამკრთალი ფენომენის გაგება ვცადოთ.

საკუთარი დაბეჩავებული ერის უარყოფისკენ პიროვნებას უბიძგებს სურვილი, ალარ იზიარებდეს მის უბედურებას და უღონობას, მაგრამ ამ მოვლენის მთავარი წანამძღვარი მაინც სხვა რამ არის — პიროვნების სურვილი, იყოს „ეროვ-

ნულად დიდი“, ეკუთვნოდეს მძღავრ, დაწინაურებულ მთლიანობას, წილი ედოს მის წარმატებებში. ხოლო ეს არსებითად ნიშნავს, რომ პიროვნებას უნდა თვითონ იყოს „დიდი“, სიამაყის და თავმომწონეობის უფლების მქონე. სურვილი, იყო „ეროვნულად დიდი“, თავის სიღრმეში, არსში ემთხვევა სურვილს, იყო „პიროვნულად დიდი“.

„სიდიდის“ მოთხოვნილებას, არჩილ დადიშიანი რომ გრძნობს, როგორდაც უნდა პასუხობდეს იდეოლოგია, რომ-ლის სახელითაც იგი ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფს.

მარქსისტული იდეოლოგია პრინციპულად და ხაზგასმულად ინტერნაციონალურია, მიზნად ისახავს აუცილებლად საკაცობრიო მასშტაბით განხორციელდეს, კაცობრიობა ერთიანი და ერთგვაროვანი გახადოს. და ეს ძალიან უადვილებდა მცირე, სუსტი და უჩინარი ერის წარმომადგენელს არასრულფასოვნების და სიპატარავის კომპლექსისგან გათავისუფლებას — მარქსისტულ იდეასთან ზიარებით იგი ერთბაშად მძღავრი საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის წარმომადგენელი მსოფლიოს მოქალაქედ იქცეოდა; დოქტრინის მაღიარებელი რაღაც დიდს, გლობალურს ეკედლებოდა და ამით თვითონაც „დიდებოდა“; მისი ამბიციის წინაშე არახელსაყრელი ეროვნული წარმომადგენელი პარიერად აღარ აღიმართებოდა; ეს დოქტრინა მის პატივმოყვარეობას და თვითდამკვიდრების სურვილს თავაზობდა უზარმაზარ სამოქმედო სივრცეს — მთელ პლანეტას, ანდა ჩვენს პირობებში რუსეთის იმპერიას მაინც.

განდიდების ამ შესაძლებლობებს გამძაფრებულად გრძნობდნენ ქართველი მარქსისტები, ხოლო ერთ-ერთმა მათი სრულად გამოყენებაც შეძლო. ქართველმა მენშევიკებმა კი მსოფლიო დიდების წყურვილი იმით მოიკლეს, რომ ქვეყნიერების დასანახად თითქოს წამოიწყეს უჩვეულო და ევროპისთვისაც კი სანიმუშო რამ — დემოკრატიის და სოციალიზმის შერწყმა; საქართველო არამარტო დაუბრუნდა ცივილიზებულ სამყაროს, არამედ თითქოს მის ავანგარდშიც მოექცა.

საქართველოს თავის ისტორიულ ტრაგედიაში ფატუმად ევროპისგან მოწყვეტილობაც ევლინებოდა და ჩვენში ყოველთვის ცოცხლობდა ცივილიზაციის განვითარების ცენტრთან შეერთების სურვილი. და აი, მოვიდა თითქოსდა ყვე-

ლაზე პროგრესული ევროპული მოძღვრება, რომელიც არა-ვითარ მანძილებს და სხვა დაბრკოლებებს არ ეპუებდა და მსოფლიოს გაერთიანებას აპირებდა. გაჩნდა მაცდური პერს-პექტივა — სწრაფი ნახტომით საკაცობრიო პროგრესის ორ-ბიტაზე ისევ გასვლის, პროვინციული მივარდნილობის და უჩინარობისგან თავისდახსნის, მსოფლიოს ავანსცენაზე გაღწევის პერსპექტივა. ქართველების სწრაფვას „სიდიდის-კენ“, თავისგამოჩენის და ვრცელ სარბიელზე დამკავიდრე-ბისკენ ახალი მოძღვრება ბევრს აღუთქვამდა.

მაგრამ რა მუხტავს, რა აძლევს იმპულსს ამ სწრაფვას? ქიაჩელის რომანში ეს კითხვა ასე უდერს: „ავილოთ ჩვენი საერთო სულის ხასიათი, დიდის დაჩემება რომ გვჩვევია და მისი ფაქტიური შესაძლებლობა კი რომ არა გვაქვს. საიდან არის ეს შეუსაბამო გაქანება, სითამამე? ბოლოს და ბოლოს, რამდენი ორ მილიონიანი ხალხი ცხოვრობს ქვეყანაზე, და რა შევიქენით მაინცდამაინც ჩვენ, რომ ამდენ პრეტენზიას ვაც-ხადებთ... დამაფიქრებელი არ არის განა, რომ ჩვენი შეგნება მეორეხარისხოვანი ერის ხევდრს ისტორიაში არ ურიგდება და იმაზე მეტს მოითხოვს, რისი მოცემაც ჩვენს აწინდელს, ფაქტიურ ძალლონეს შეუძლია“.

ამ უცნაური მოვლენის შალვა რამაძისეული განმარტება მითოპოეტური იერის მქონეა: ქართველები წარმოადგენენ დიდი და მძლავრი მოდგმის ხაშთს, რომელიც ოდესალაც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა მსოფლიო ისტორიაში და მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. შემდეგ მან მსოფლიო ჰეგემონიისთვის ბრძოლაში კა-ტასტროფა განიცადა და მისი გადარჩენილი ნაწილი კავ-კასიას შეეხიზნა. „იმ ენერგიის მცირე ნაკადმა, რომელიც ქართველ ტომებს მათი დიდების სამშობლოდან გამოჰყვა, აღარ იკმარა კვლავ დიდი ისტორიის შესაქმნელად. მან ისლა შეძლო, რომ ორ ათეულ საუკუნეზე მეტი კიდევ იბრძოლა თავის სახის შესანარჩუნებლად, ხოლო კაცობრიული იდეა-ლისთვის მის მიერ განეული უმაგალითო, მაგრამ ამაო ბრძოლის აღსაბეჭდად, ისტორიის სინიდისში ამირან-მიჯაჭ-ვული პალო ჩაასო, როგორც ხორცესხმული, სამარადისო მხილება იმისა, რაც იყო და რაც ახლა არის... საუკუნეების მანძილზე დროგამოშვებით აქაც იფეთქებდა ხალხის წიაღ-ში, მის ქვეშეგნებაში, მილექილი მოგონება გარდასული დი-

დებისა... დიდი რუსთაველი, მაგალითად, იმ დიდებიდან მომდინარეობს. ჩვენი მოდგმის მეორე პერიოდს, რომელსაც საკუთრივ საქართველოს ისტორიას ვუწოდებთ, რუსთაველის წარმოშობა არ შეეძლო. ამიტომ ჰგავს ის სასწაულს. რუსთაველის სახით ჩვენმა მოდგმამ ერთხელ კიდევ მოიგონა თავისი დიდების ხანა... და ჩვენი გარდაუვალი ზმანებაც დიდებისა... ცასავით რომ ჩვენს სულს გადახურვია, სიზმრული მოლანდებაა იმისა, რაც ოდესლაც იყო... და უნდა გვწამდეს, რომ ქართველი ხალხი თავისი გარდასული დიდების მოსაგონებლად კვლავ გვიჩვენებს სასწაულს. ეს იქნება ახალი ამირანის მოვლინება, მაგრამ ზღაპარში კი არა, — სინამდვილეში“.

ეს ყველაფერი ემოციურად შთამბეჭდავია, მაგრამ უფრო რეალისტური იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველთა „გარდასული დიდება“ ბურუსით მოცულ შორეთში კი არ არის საძებნელი, არამედ სწორედ რუსთაველის ეპოქაში, როდესაც საქართველოს ყოველმხრივმა აღმავლობამ ამ მასშტაბის ფიგურა სავსებით კანონზომიერად წარმოშვა. მაშინ საქართველო რეალურად იყო „ისტორიის ქარტეხილებზე გამარჯვებული ეროვნული ორგანიზმი და ქარტეხილების მბრძანებელი, გინდ მომავლინებელი ეროვნული ნებისყოფა“ — იყო ისტორიის მნიშვნელოვანი და აქტიური სუბიექტი.

ქართველის გმირის რომანტიკული თეორია სწორია იმ მხრივ, რომ ქართველების „სურვილთა დიადობანი“ მართლაც ისტორიული წარსულის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ხსოვნიდან არის აღმოცენებული.

მეოცე საუკუნეში ხანგრძლივი დაკნინების და დაჩრდილულობისთვის თავისდაღნევის დაგუბებული ჟინი, პატივის და დიდების მოხვეჭის წადილი, მსოფლიო ისტორიაში კვლავ ჩარევის და მნიშვნელოვანი ფუნქციის კისრების მოთხოვნილება, რომელსაც ერის ისტორიული მეხსიერების ნოენი ფენა კვებავდა, ჩვენი თანამემამულეების გარკვეულ ნაწილში გამრუდებულად გამოვლინდა. ეს ლტოლვები მოეჭიდნენ დოქტრინას, რომელიც მათ ხორცებს მაცდუნებელ შესაძლებლობებს უსახავდა, ოღონდ სანაცვლოდ ეროვნული და, თუ უკიდურესობაზე ვილაპარაკებთ, საერთოდ ჰუმანისტური ფასეულობების განირვას მოითხოვდა.

გერონტი ქიქოძე

რეალისტის სიმართლე და სისადავე

ქართული მემუარული და დოკუმენტური ლიტერატურის ბოლოდროინდელ შევსებასთან ერთად შეივსო ჩვენი წარმოდგენა იმ განსაცდელზე, რომლის გადატანაც საქართველოს მოუხდა მეოცე საუკუნეში. ამგვარი ლიტერატურის „სიუხვეში“ გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“ გამოირჩევა იმვიათი ობიექტურობით, დაკვირვების და ანალიზის იშვიათი სიმახვილით. ნდობით განგვანყობს ავტორის უპრეტენზიობა — ის არასდროს დაუინებით თავს არ გვახვევს საკუთარ თვალსაზრისს და გადმოცემულ მოვლენებში საკუთარ როლსაც მომაპეზრებლად არ უსვამს ხაზს. იგი სინამდვილისადმი რეალისტური ერთგულებით გვიზიარებს, რისი მოწმეც იყო და თავის დამოკიდებულებას თხრობის საგნისადმი თვით ამ საგანში ფაქტზად გააზავებს.

იმის მიუხედავად, რომ მწერალი თავისი შინაგანი სამყაროს გამუღავნებაში თავშეკავებას იჩენს, ეს სამყარო, ავტორის სულიერი იერი ცხადად წარმოგვიდგება. ჩვენ ვგრძნობთ მწერლის განგებ დაყრულებულ ტკივილს, უხმაურო პრინციპულობას ადამიანების და ფაქტების ზნეობრივ შეფასებაში, მის თავმდაბლობით მოსილ სიბრძნეს, რომელსაც არაფერი აკვირვებს, სკეპტიციზმს, რომელიც ხშირად სიმართლის წვდომის უფრო საიმედო საშუალებაა, ვიდრე გულწრფელი ენთუზიაზმი... მომხიბლავია გერონტი ქიქოძის თავისებური სტოიციზმი, რომელიც მდგომარეობს ტრაგიკულ ვითარებათა წინაშე სულის აუმღვრევლობის და გონების სინათლის შენარჩუნებაში და თითქოს საზრდოობს სამყაროს ფარული, მარადიული მორალური საზრისის ჭვრეტით, სიკეთის და ბოროტების მუდმივი მიმოქცევის შეგნებით.

გერონტი ქიქოძე სინამდვილეს ხშირად ირონიით უმზერს. თუმცა ეს ირონია ზოგჯერ მომაკვდინებელიცაა, ის არ არის თვალისმომჭრელი, რადგან ჩუმი მელანქოლითაა განელებული, მელანქოლით, რომელიც ახლავს გერონტი ქიქოძის მთელ ესეისტურ და კრიტიკულ შემოქმედებას.

„თანამედროვის ჩანაწერებში“ მწერლის ენა, როგორც მისთვის საერთოდ არის დამახასიათებელი, დაწმენდილი და მოქნილია; პლასტიკური სტილით იკვეთება ქართველი პოლიტიკოსების და ინტელიგენტების პორტრეტთა წყება. ეს პორტრეტები იხატება დაუძაბავად, მხოლოდ არსებითი ნაკვთების მოხაზვით, რამდენიმე ზედმინევნით ზუსტი შტრიხის მეშვეობით. გერონტი ქიქოძის მწერლურ ბუნებასთან ერთნაირად შეუთავსებელია იკონოგრაფიაც და კარიკატურაც. იგი მუდამ ცდილობს ესა თუ ის პიროვნება დაინახოს მთლიანობაში, როგორც ლირსებათა და სისუსტეთა ორგანული ხლართი, იმისგან დამოუკიდებლად, რანაირად არის განწყობილი ამ პიროვნებისადმი. მის თხრობაში უსიმპათიო სუბიექტებიც როგორლაც ადამიანურად გამოიყურებიან.

გერონტი ქიქოძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის-თვის ნიშანდობლივია მისწრაფება, პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ერთად გამოკვეთოს მისი კულტურული და მსოფლმხედველობრივი პროფილი. ასე იქმნება ლაკონური, მაგრამ მრავლის მეტყველი და დამტევი გრაფიკული სახეები. რეალისტური სიმართლით და სისადავით, ყოველგვარი გადაჭარბების თუ პათეტიკის გარეშე არიან წარმოდგენილი ნოე ჟორდანია, არჩილ ჯორჯაძე, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, სპირიდონ კედია, სერგო ორჯონიქიძე, პავლე საყვარელიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და სხვები.

გერონტი ქიქოძისთვის საერთოდ და კერძოდ როგორც ისტორიული მოვლენების განმსჯელის და შემთასებლისთვის გამორჩეულად დამახასიათებელია ზომიერების გრძნობა, რაც დაკავშირებულია რთული პროცესების დიალექტიკური ჭვრეტის უნართან — იგი მიიღებულის მხედველობაში იქონიოს ამ პროცესების ნინააღმდეგობრივი მხარეების და მომენტების მთლიანობა. ამგვარი თვალთახედვით არის აღქმული „თანამედროვის ჩანაწერებში“ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი, საქართველოს მაშინდელი მესვეურების საქმიანობა, იმდროინდელი ცხოვრების ატმოსფერო. ეს ატმოსფერო არ იყო ერთგვაროვანი, იგი ხალხის აწეული განწყობის გარდა იმასაც მოიცავდა, რასაც მნერალი დახვენილი ირონით აღბეჭდავს: „საგარეო ბაზრის უქონლობის გამო სახელმწიფო და კერძო მარნებში დიდ-

ძალი ღვინო დაგროვდა. მხედრობის და ინტელიგენციის ფართო წრეები თითქო შიშმა მრიცვა, ეს ღვინო არ დაძმარებულიყო. რადგან ყველას არ შეეძლო ოფიციალურ ბანკეტებს დასწრებოდა, დაიწყო გაუთავებელი ღრეობა კერძო ოჯახებსა, ყავახანებსა, სასადილოებში. ეს იყო ნამდვილი ლხინი ჟამიანობის დროს“.

სავსებით უილუზიოდ ჰყავს დანახული გერონტი ქიქოძეს სოციალ-დემოკრატი ლიდერები, შეუფერავად აქვს წარმოდგენილი მათი ნაკლი და შეცდომები, მაგრამ ასევე ცხადად ითვალისწინებს იგი საქართველოსთვის არაკეთილმყოფელ ისტორიულ ვითარებას, გარემოებათა სიმძიმეს. ამიტომ მისი კრიტიკულ-ირონიული განსჯა მოკლებულია აღშფოთებას და საბრალდებო დასკვნის სიმკაცრეს. ეს იმითაც განისაზღვრება, რომ მწერალს შეუმჩნეველი არ რჩება დამოუკიდებლობის სწრაფწარმავლობის ერთ-ერთი მიზეზი — იმდროინდელი ქართული საზოგადოების ზნეობის დეფექტები, მისი წაციონალური თვითშეგნების სისუსტე. აი, ამის ამსახველი პატარა დეტალი: „ქარელში თუ გომში ერთი გზად მიმავალი გლეხი შეჩერდა და რუსულად წამოიძახა: — ძირს სიმინდის რესპუბლიკა! — ვის დასცინის, თავის თავს? — იყითხა გაოცებულმა რუსმა ოფიცერმა“.

ასეთი დეტალების, წვრილმანების, შემთხვევების მიმართ გერონტი ქიქოძე მგრძნობიარე და ყურადღებინია, მათში პოვებს სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის სულიერ არსს, დიდ ისტორიულ ცვლილებათა ადამიანურ განზომილებას, რაც მისთვის ყველაფერზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამას ეს პასაუიც მოწმობს: „ლამე წისქვილში გავათიეთ, სადაც მოხუცი მეწისქვილე შემწვარი კვასით და იზაბელას ღვინით გაგვიმასპინძლდა. შემოვიდა ვიღაც ახალგაზრდა გლეხი, კომუნისტური პარტიის ახალი ნერგი და ჩვენი დარიბი ტრაპეზი გაიზიარა, გვიამბო, ორი დღის წინათ ტყეში შევედი წნელის მოსაჭრელად და იქ მოულოდნელად ქაჯს შევეყარეო. სრულიად ტიტველი იყო, ლამაზი ქალის სახე ჰქონდა, ხშირი თმა გაეშალაო. წალდი შემოვკარი, იწივლა და მიმიალაო“. ადვილი წარმოსადგენია, სახელმწიფო იდეოლოგიის როგორი ჩლუნგი, ფანატიკური დამცველი დადგება ამ ახალგაზრდა ბოლშევიკისგან, რო-

გორ შემატებენ ძალას მის პოლიტიკურ აქტივობას ჭარბი ეროტიული იმპულსები.

მეტუარების ემოციურ-აზრობრივ და კომპოზიციურ ცენტრს ქმნის მასობრივი რეპრესიების პერიოდის ანალიზი. საქართველოში ამ რეპრესიების მთავარი განმახორციელებლის, ბერიას აღზევების წანამდლვრად გერონტი ქიქოძე გარკვეულ პოლიტიკურ ტენდენციას მიიჩნევს: ნებმა, „სოციალიზმის უკანდახევამ“ ბოლშევიკურ პარტიაში შეასუსტა ძველი გვარდიის დოგმატიკოსთა პოზიციები; ერეტიკოსების შევიწროებამაც ადგილი გაათავისუფლა სტალინის დიქტატურის მხარდამჭერთათვის, რომელთაც იდეურობა მაინც-დამაინც არ მოეთხოვებოდათ, პირიქით, უპრინციპობა სტალინისთვის იოლად მოსახმარს ხდიდა და წინსვლაში ხელს უწყობდა მათ.

როცა მწერალი ბერიას საქმიანობისთვის მიგვადევნებინებს თვალს, მის გარეგნულად დინჯ, მკაფიოდ მოწესრიგებულ თხრობას შინაგანი დაძაბულობა და სიმწვავე დაყვება. გერონტი ქიქოძის აზრით, ბერიამ საქართველოს დიდი ზიანი იმითაც მიაყენა, რომ ხალხს პატრიოტის ნიღბით ევლინებოდა, ამან კი ბევრი შეიყვანა შეცდომაში. ზოგს დღესაც სჯერა ბერიას პატრიოტიზმი. ეს ან გულუბრყვილობაა, ან პატრიოტიზმზე დამახინჯებული წარმოდგენის გამოვლინება, რადგან ბერიასანაირი ადამიანის პატრიოტული გრძნობა სინამდვილეში შეიძლება მხოლოდ რაღაც ზოოლოგიური ინსტინქტი იყოს. მახვილგონივრული და ზედგამოქრილია საქართველოს ჯალათის გერონტი ქიქოძისეული ხატოვანი დახასიათება: „სულთმობრძავთა ხრიალს თბილისის დიქტატორი ისე იყო შეჩევეული, რომ ალბათ მისი შეწყვეტისთანავე ეღვიძებოდა, როგორც ეღვიძება მენისქვილეს, როცა დოლაბის ხრიალი ჩერდება“.

რეპრესიების აღნერისას ავტორი დაგვანახებს ცხოვრების პარადოქსებს, უცნაურობებს, ბედის ირონიას. სკეპტიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი, საბჭოთა რეჟიმის მამხილებელი, და პავლე საყვარელიძე, ათეისტი, მარქსისტი, სიკვდილის წინ ერთნაირად ეძებენ ნუგეშს რელიგიაში... ანდა, ვთქვათ, შეურიგებელი მტრები, ერთმანეთის მოძულე ადამიანები გვერდიგვერდ აღმოჩნდებიან როგორც განსასჯელები.

გერონტი ქიქოძე გამოკვეთს საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა შინაგან წინააღმდეგობას — ეს რეჟიმი თავის ძირითად პრინციპად კოლექტივიზმს აცხადებდა, სინამდვი-ლები კი მუდმივი ტერორის ვითარება ადამიანის ეგოისტურ ლტოლვებს ამძაფრებდა. „საზოგადოების ერთი ნაწილი და-ემსგავსა ცეცხლის მფრქვეველი მთის ძირას აშენებული ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც ჩქარობენ სიამოვნების ფიალა ამოსწურონ, ვინაიდან ხვალინდელი დღე უზრუნველყოფილი არა აქვთ“.

მაგრამ გერონტი ქიქოძე ფიქრობს, რომ საბჭოთა რეჟი-მის არსებობა და სიცოცხლისუნარიანობა ტერორის, შიშის გარდა სხვა საფუძვლებსაც ემყარება. მწერალი ანალიტიკუ-რად აღნერს ბოლშევიკების მიერ შექმნილი საზოგადოების სტრუქტურას და ამ სტრუქტურას სახავს რეჟიმის გამძლეო-ბის პირობად. ეს არის იერარქიული საზოგადოება, მაგრამ მისი ზედა ფენების შემადგენლობა ცვალებადია, ამიტომ ქვედა ფენების მკვიდრთ იქ მოხვედრის მაცდუნებელი შე-საძლებლობა ეძლევათ. ცხადია, ეს ცირკულაცია განამტკი-ცებს რეჟიმს; ბოლშევიკებმა უზრუნველყვეს ხელისუფლე-ბისადმი მუშების მხარდაჭერა, რომელთა მატერიალური და მორალური მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა; ეფექ-ტიანი აღმოჩნდა მათ პატივმოყვარეობაზე ოსტატური ზე-მოქმედებაც, მათი ნამდვილ თუ პოტენციურ გმირებად შე-რაცხვა; ხოლო საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაყმევებული გლეხობისთვის „მაინც ერთგვარი სანაზღაურო იყო, რომ მისი ჭირნახულის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიპქონდა და არა უქმ მემამულეს“; რეჟიმს ემადლიერებიან ისინი, ვისაც საბჭოთა სახელმწიფომ განათლების მიღების საშუალება მისცა და ვინც ახალი, ნაკლებად კვალიფიციური და ნაყო-ფიერი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ამქარი შეადგინა.

ავტორი აღნიშნავს საბჭოთა რეჟიმის დროს საქართვე-ლოში მომხდარ გარკვეულ ეკონომიკურ და კულტურულ ძვრებს, მაგრამ მისთვის მთავარია ის მავნე შედეგები, რომ-ლებიც მათ ახლდა — საქართველოს გადაქცევა მონოკულ-ტურების ქვეყნად, არაქართველთა მიგრაციის სახიფათო გაძლიერება და ამ ფონზე ქართული კულტურის ჯანსაღი ფუნქციონირების შეფერხება, ხალხის ინიციატივის შებორკვა...

მემუარების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია სტალინი, რომელსაც მწერალი ხედვის თავისი მეთოდის შესატყვისად — არაცალმხრივად და არაერთმნიშვნელოვნად წარმოგვიდგენს. უდავოა, რომ სტალინი ძლიერი პოლიტიკოსი იყო, რომელმაც მკვეთრი კვალი დააჩინა ისტორიას, მაგრამ ძნელია დაეთანხმო მწერალს იმაში, თითქოს სტალინის საქმიანობა ასე თუ ისე პროგრესს უხსნიდა გზას. მაინც მემუარების ავტორი მთლიანობაში ობიექტურია სტალინის ფენომენისადმი, იგი ნატიფი ირონიით ხელშესახებად აღადგენს სტალინის განდიდების და თვითგანდიდების ავადმყოფურ პროცესს. გერონტი ქიქოძე ღრმა რეალიზმით განჭვრეტს ამ შიშისმომგვრელი ადამიანის სულიერ არსს. „სტალინი, ალბათ, იმდენად გენერალ დენიკინის, პარტიული ოპოზიციების, ფელდმარშალ გუდერიანის წინააღმდეგ ბრძოლას არ დაუღლია, როგორც ჯერ ჰიტლერთან შეთანხმებამ, ხოლო შემდეგ რუზველტსა და ჩერჩილთან დამეგობრებამ დააღალა. როგორ შეეძლო ვინმეს ხანგრძლივად დამეგობრებოდა ადამიანი, რომელიც ცხოვრებას საყოველთაო შეუნელებელ ომად თვლიდა. კაცი მას ან უნდა გასცლოდა, ან დამორჩილებოდა. მისი მძაფრი ხელის მოძრაობა (მეორე ხელი შემხმარი ჰქონდა), მისი დამცინავი ღიმილი თხელ ტუჩებზე, მისი გამსჭვალავი თვალების გამომეტყველება მონმობდნენ, რომ ის ათვალისწინებით ან უნდობლად უყურებდა ადამიანთა მოდგმას, უმრავლესობას ან ადვილად მოსასყიდად თვლიდა, ან მონური მორჩილების და დასჯის ღირსად“.

კანონზომიერია, რომ გერონტი ქიქოძე მემუარებს სტალინის გლოვის მონუმენტური სურათით ამთავრებს — ამით დასრულდა მთელი ტრაგიკული ეპოქა, რომელმაც თვით მემუარების ავტორსაც ბევრი ტკივილი აგემა. მაგრამ გერონტი ქიქოძემ მაინც შეძლო თავისი მორალური სახის, შინაგანი თავისუფლების და ინტელექტუალური პატიოსნების გადარჩენა. მისი დაურღვეველი სულის და დახვეწილი გონების ანარეკლია „თანამედროვის ჩანაწერებიც“.

გრიგოლ რობაქიძე

განსაცდელი

საბჭოთა ფანტასტიკური რეალობა, ბოლშევიკური რეჟიმის ბუნება და ქართული სულიერების ბედი ამ რეჟიმის პირობებში, ეპოქალური ტრაგედიის სათავეები და მიზეზები, სტალინის პიროვნება — ყოველივე ამის მხატვრულ-ანალიტიკური განჭვრეტის ცდა გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული“.

რომანის მხატვრული სიმართლე უპირველესად ის არის, რომ მასში მოხელთებული და განფენილია ეპოქის შიშის-მომგვრელი ატმოსფერო. იგი ყველაფერში ატანს, მის გამომფიტავ ზეგავლენას ვერავინ უსხლტება. ვერ უსხლტება მას ვერც რომანის მთავარი გმირი. მის სახეში თითქოს იდეალური ქართველის სტერეოტიპული ხატი გამოსჭივივის: ის რაინდულად ვაჟკაცურია, ამაყი და შემართული, სიცოცხლის შეკავებული ხალისით სავსე და შინაგან სილბოსაც არ არის მოკლებული მაგრამ ეს ხატი შიგნიდან ირლვევა, მასზე დამშლელად მოქმედებს შიში, რომელიც ამ ძლიერი კაცის სულში შეპარულა და გამჯდარა.

მტკივნეულად აკვირდება თამაზი საბჭოთა კავშირში ღმერთის წინააღმდეგ წარმონყებულ ლაშქრობას, ავადმყოფურ მოვლენას, რომელშიც საბჭოურობის არსს ხედავს. მაგრამ, მისი აზრით, ის, რაც ხდება, აუცილებელია, რადგან უღმერთო კულტურამ რევოლუციის ჯოჯოხეთი უნდა გამოიაროს, კრიზისი ბოლომდე უნდა გამწვავდეს, რათა მას რწმენის აღორძინება მოყვეს. ეს კრიზისი თვითონ თამაზის არსებასაც მოიცავს, ღმერთი არსებითად მასაც დაკარგული ჰყავს. თუმცა პოზიტივიზმის და ათეიზმის მიმართ ძალიან კრიტიკულად, ანტიპათიურად არის განწყობილი და სამყაროს აღიქვამს როგორც საიდუმლოს, მაინც პიროვნული აბსოლუტისგან მოწყვეტილია. სამყაროდან ღმერთის და მაღალი სულიერების, მოწინების აღმძვრელი ფასეულობების გაძევებას, „ჯადოს ახსნას“, რაც დასავლურ ცივილიზაციაში სპონტანურია, ხოლო საბჭოთა სინამდვილეში გეგმაზომიე-

რად და ამავე დროს უგონო ენთუზიაზმით ხორციელდება, იგი შინაგანად ემიჯნება და უძალიანდება. მაგრამ მას არა აქვს ღმერთის და სულის უკვდავების ცოცხალი რწმენის ფარი, სასტიკი რეჟიმის მასირებული შემოტევისგან რომ დაიცავდა. რომანის გმირი იწამლება შიშით, რომლისაც რცხვენია და რომელიც ტანჯავს, ხოლო საკუთარი პუნებრივი სითამამე, დროდადრო რომ ვერ იოკებს, კიდევ უფრო აშფოთებს. მისი სული თავიდანვე განიარაღებულია ადამიანის დასათრგუნად კონსტრუირებული სისტემის წინაშე, რომლის მთავარი სამიზნე სწორედ თავისუფალი სულია. ის იძულებულია დაექვემდებაროს სისტემის მუდმივ და უფხიზლეს კონტროლს. ეს კონტროლი „ახალი ღმერთის“ — პარტიული სახელმწიფოს, გპუ-ს — თვალია. „სოციალისტური კოლექტივი საჭიროს ხდის ასეთ იდუმალ თვალს. ღმერთი კვდება — მის ადგილს ეს თვალი იკავებს“. ღრმა დაკვირვებაა — რელიგიურ საზოგადოებაში ადამიანები ღმერთის მზერას გრძნობენ, ეს მზერაა მათი ცხოვრების უნივერსალური შემოწმებელი, ტოტალიტარული სახელმწიფო კი სწორედ ღმერთს ენაცვლება, მის პრეროგატივებს ითვისებს.

ეს შენაცვლება იწვევს იმას, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო დაიხშობა, ყრუდ ჩაირაზება. მას აღარ შეუძლია სხვა ადამიანის გულის შესაგებებლად თავისუფლად გაიღოს, მას ნდობით შეეხოს, შეერწყას — „გული მისცეს გულისათვის“. რომანის გმირი, ბუნებით გულლია ადამიანი, მოწყურებულია ასეთ ურთიერთობას, რომელიც მისთვის ღვთაებრივი, საკრალური აქტია, მაგრამ ბოჭავს შიში, „უმ-თავრესი სენი სიცოცხლის“ და ვერ ახერხებს ხორცი შეასხას ამ ძლიერ მოთხოვნილებას. ყველაზე მეტად თამაზს ეს აწვალებს, ეს აგრძნობინებს ღვთისგან მიტოვებულობას. მაგრამ ადამიანზეც ხომ არის დამოკიდებული, იქნება თუ არა ღმერთი სამყაროში: „ღმერთი ყველგანაა სადაც გული ღიაა, სამსხვერპლო ცხოველის დარად მზად არის თავის შესათავაზებლად“. მსხვერპლგალების უნარი, ტანჯვა-ზამების ტვირთვის ძალა აკლია თამაზს, ვინაიდან აკლია ამ თვისების განმასახიერებელ ქრისტიანულ ღმერთთან შინაგანი სიახლოვე. თავისი მსოფლგანცდით იგი წარმართი უფროა, მიწიერი, ხორციელი ყოფიერება, სიცოცხლე მისთვის მეტად ძვირფასი და ტკბილია. თავის მოდგმასთან, ბუნების, სამყა-

როს ცხოველმყოფელ ძალებთან მას ორგანული კავშირი აქვს, რაც მის ლექსებშიც ჩანს. ეს რომანის გმირს თითქოს ზოგიერთ ცისფერყანწელ პოეტს ამსგავსებს. წარმართული ჰედონიზმი არამარტო მშობლიური სტიქია მისთვის, არა-მედ სულისმონათქმელიც შიშისმომგვრელ საბჭოთა ყოფაში. სამყაროსთან, სიცოცხლესთან პარმონიულ თანხმობას ანიჭებს მას ნატას სიყვარული და თუმცა ამ სიყვარულშიც და-ლანდავს სამყაროში დატანებულ ბნელ, სიკვდილისმიერ ელემენტს, მაინც ავისმაუნყებელ მიხვდერებს ძლევს სიცოცხლის როგორც ღვთისგან დალოცვილი ფეხომენის გრძნობა. თამაზი ამართლებს თვით ადამიანის პირველცოდვას, რადგან ამით მიწიერი სიცოცხლის გამრავლებას მიეცა დასაბამი.

სიცოცხლის თაყვანისცემა, სიცოცხლის ღვთიური მადლის განცდა, სამყაროს და ადამიანებისთვის გულისგახსნის წადილი არამარტო რომანის მთავარი გმირის სულიერების თვისებაა, არამედ ეროვნული მსოფლშეგრძნების ძირეული ტენდენციაც არის, თუკი ეს მსოფლშეგრძნება შეურყვნელი და აუმღვრეველია. „ქართველები სუფრას უსხდნენ. თვალი რომ ქვეყანას, მზეს, მთებს, ხეებს, ცხოველებს, ადამიანებს უცქერს, გულს სიხარული ეფინება და სურს შემოქმედს ქება-დიდება შეასხას. დალოცვილია წამი, როცა ლხენით სავსე გული მეორისათვის იხსნება, გულის თრობაა, რასაც ქართველი ლხინში განიცდის აქ ერთმანეთის გახარებაა მთავარი — „განა ბედნიერება არ არის, რომ გხედავ? რომ ვცოცხლობ? რომ გხვდები და მხვდები?“. ამგვარ მსოფლ-განცდასთან შეურიგებელ წინააღმდევობაშია საბჭოთა რეუიმი, რომელიც ერთმანეთისადმი შიშით და უნდობლობით აავადებს ადამიანებს, აიძულებს თავისთავში გამოემწყვდნენ, სულები დაიმუნჯონ და უხშობს ერთმანეთთან შინაგანი შეხმიანების, გამთლიანებისკენ სწრაფვას.

ხოლო იმ კაცის მთავარი თვისება, ვინც ეს რეჟიმი მისი ბუნების შესაბამისად „სრულყო“, სწორედ სიცოცხლის მადლთან თანაზიარობის უუნარობაა. სტალინისთვის თავისი სასტიკი მამისადმი სიძულვილის გამო სიცოცხლე თავი-დანვე დაწყევლილია და ბოროტებაა. იგი გათიშულია სამყაროს მთლიანობისგან და თავისთავშია ჩაკეტილი. „მას არა-ფერი ახარებს. მის გულს არ ძალუძს კოსმიურად ძირისძი-

რამდე გაიხსნას. ის არ არის აალებული, ხორცშესხმული ნაწილი მისტიურად დაგლეჯილი ღმერთისა: ის ცივია, მტკიცე და პირქუში. ასეთი ადამიანისთვის არ არსებობს ექსტაზი. ასეთ უმამოს რომ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მოესმინა — განსაკუთრებით დასასრული, სადაც მღელვარე ორკესტრში ადამიანთა ხმები იჭრებიან, ხმები დიონისოს მიერ დაგლეჯილ არსებათა, რომლებიც სხვა სიცოცხლეს, ახალს, ადამიანურს თუ ზეადამიანურს აცხადებენ — ის მაინც ვერ გახლეჩდა თავის ვინწრო ნაჭუჭს, რათა უნაპირო სინამდვილეს შეერთებოდა. ის ცივი, მტკიცე და პირქუში დარჩებოდა“.

სტალინი ადრევე აგნებს მისთვის საჭირო და შესაფერის მსოფლგაგებას. ნიპილიზმის დახმარებით ის „თავისუფლდება“ ღმერთის, ზნეობის და ყოველგვარი ღირებულებებისგან და სიცოცხლისადმი მტრობის იდეურ სანქციას იღებს; ნიპილისტური შეხედულებით ხომ სამყარო და ადამიანი უღმერთო, შემთხვევითი და მდაბალია და ამდენად მათ მიმართ მოურიდებელი, აგრესიული დამოკიდებულება ფუძნდება; „გათავისუფლებულის“ დესტრუქციულ თვითნებობას წინ აღარაფერი ეღობება, მის უსაზღვრო ეგოცენტრიზმს აღარაფერი ბორკავს.

საბოლოოდ პოულობს სტალინი თავისთავს მარქსიზმის ბოლშევიკურ ნაირსახეობაში, რომელიც შენიღბული და ძალაუფლების მოსაპოვებლად მობილიზებული ნიპილიზმია. სტალინის ფენომენის განმარტებისას გრიგოლ რობაქიძე დოსტოევსკის შემოქმედებას იშველიებს, კერძოდ, რომანს „ეშმაკი“. ამ რომანის პერსონაჟი ვერხოვენსკი სტალინის ნამდვილი (თუმცა მასთან შედარებით უფერული) არქეტიპია, პირველ რიგში იმით, რომ სიცოცხლე მისთვისაც სიბილნეა, არაფერი აღუძრავს რიცს და მონიწებას, ამიტომ ნებისმიერ საშინელებას ჩაიფიქრებს და ჩაიდენს. შეიძლება გავიხსენოთ დოსტოევსკის ეშმაკთა ნაშიერი სოლოგუბის ანტიგმირიც რომანიდან „პატარა ეშმაკი“. თავის პერსონაჟს, რომელიც სამყაროსადმი მტრულადაა დაპირისპირებული და სამყაროსგანაც მუდამ მტრობას მოელის, ავტორი ასე ახასიათებს: „პიროვნული და განცალკევებული ყოფიერების ცდუნებებით დაპრმავებულს არ ესმოდა დიონისური, სტიქიური აღფრთოვანება, ბუნებაში რომ ზეიმობდა და ხმიანობდა“. გრიგოლ რობაქიძის მიერ წარმოსახული სტალინიც

ანტიდიონისური ადამიანია, იმ აზრით, რომ იგი მოკლებულია თავდავიწყების, თრობის, აღფრთოვანების და სამყაროსთან ექსტაზურად გამთლიანების უნარს. რომანის ავტორისთვის ამოსავალია დიონისურის ნიცშესეული გაგება.

„ჩაკლულ სულში“ არის პერსონაჟი, რომელიც ცდილობს სტალინის ძლიერების საიდუმლოს დაეუფლის და ძლიოს მას. ბერზინი, შესაძლოა, ბოლშევიკის ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული სახე იყოს.

სტალინის უპირატესობა მეტოქეებთან შედარებით სწორედ მისი უცეცხლობა, ცივისახლიანობაა და ბერზინიც ესწრაფის თავისთავში ცეცხლი და ექსტაზი მოათვინიეროს, რათა თავისი მამოძრავებელი ლტოლვა — ძალაუფლების, სხვათა დამარცხების და დათრგუნვის ნება ისე გამოაწროოს და შეუხრელად მიზანმიმართული გახადოს, რომ სტალინზე გაიმარჯვოს. ამისთვის ჭირდება მას ნატასთან არანორმალური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა სამყაროს და ადამიანისადმი დამოკიდებულების ბოლშევიკური წესის სიმბოლოსებურად შემჭიდროებულ და განზოგადებულ გამოხატულებად გვევლინება — სამყაროს, ადამიანს პატივი აეყრებათ, ამორალურად გამოიყენებიან რაღაც მიზნის მისაღწევად მოსახმარ, თავისთავადი ღირებულების არმქონე ინსტრუმენტად ბერზინის სურვილია არა სამყაროსთან ჰარმონიული შერწყმა, არამედ საკუთარი ეგოს განმტკიცება, გაზრდა. მისი მოთხოვნილებაა არა თავისი არსების გაღება, არამედ სამყაროს სასიცოცხლო ძალების მითვისება და შთანთქმა.

ბერზინის სიზმარი, რომელიც რომანში გამორჩეულად შთამბეჭდავია, ბნელი სულების გამშუქებელი მხატვრული ხილვით ცხადყოფს, რომ ბერზინისნაირი ჭეშმარიტი ბოლშევიკიც კი სტალინთან, კიდევ უფრო ჭეშმარიტ ბოლშევიკთან ბრძოლაში ულონოა. ასე იმის გამოც არის, რომ სტალინი გაფაციცებული ინსტინქტით განსაკუთრებულად შეიგრძნობს მასის შინაგან იმპულსებს და მართავს შათ. სტალინი დაუმარცხებელი იმითაცაა, რომ შეუძლია მასის ძალით აღივსოს, მისი ნების გამტარი იყოს.

საბჭოთა მასის დამანგრეველი ზემოქმედება პიროვნებაზე ზუსტად არის ნაგრძნობი და ნაჩვენები ეპიზოდში, სა-დაც თამაზი საქართველოს გასაბჭოებისადმი მიძღვნილ

საზეიმო სხდომას სიტყვით მიმართავს. პიროვნების „საზღვრები წაიშლება“, მისი ნამდვილი „მე“ წარიხოცება და ის ამბობს იმას, რაც არ წამს, ამართლებს ძალადობას, „სისხლის გამოშვებას“. რომანის მთავარი გმირი მთლიანობაში ითქვიფება, მაგრამ ეს, ცხადია, არის არა ის თავისუფალი და ბუნებრივი თანაზიარობა სამყაროსთან და ადამიანებთან, რომელსაც იგი ნატრობს, არამედ პიროვნების სულიერი თვით-მყოფობის გაქრობაა, პიროვნების არარაობად ქცევაა.

ცრუ იდეის საფუძველზე ადამიანების ასეთი არანამდვილი, არათავისუფალი გამთლიანება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში და ეს პროცესი რომანში სინამდვილის ფანტასტიკური აბსურდით შენაცვლებად წარმოდგება („აკაშას ქრონიკა“). ქიმერა ბატონდება, ძალმომრეობს რეალობაზე და ცხოვრებას შემაშფოთებლად უცხო იერი ედება, ავადმყოფური ფანტაზიის გამონაგონს ემსგაგსება. თავისთავისგან უცხოვდება, უცნაურად გარდაიქმნება რომანის მთავარი პერსონაჟიც, როცა საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე აღტკინებულ სიტყვას წარმოთქვამს.

საკუთარი თავისადმი ამ ღალატის საზღაურად მიიჩნევს იგი დაპატიმრებას. მაგრამ მორალური საზღაურის გადახდა ამ შემთხვევაში ნიშნავს სიკვდილის შიშის მორევას, სიკვდილი კი ძალიან ახლოდან იმუქრება. „დღისით აქ (გპუ-ში) სამარისებური სიმშვიდე სუფევდა, ღამით კი — ასე სამსა და ოთხ საათს შორის — შიშისმომგვრელი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიტის გალიაში შემძვრალი გველი ხოხვით მიიკვლევდა გზას, ენას ასისინებდა, ნელ-ნელა აქანებდა თავს. ტუსალები დამუნჯებულნი უგდებდნენ ყურს ამ ჩქამს გარეთ საბარგო მანქანა ღმუოდა. ვირთხები ცოცხლდებოდნენ, თითქოს მოახლოებული ლემის სუნი წინასწარ იკრესო. ყველა იდუმალად გრძნობდა მოსახდენს. თვით ძილსაც კი ელვისებურად ხვრეტდა ინტუიცია, რომელიც ერთპაშად ანათებდა ყველაფერს. ტანი საშინელის სიახლოვეს გრძნობდა. მომსპობი ხახა დალებული იყო, ბნელი, გაუძლომელი. კიდევ ერთხელ ეწამებოდა დიონისე. ნაბიჯები დერეფანში ყრუ შიკრიკები იყვნენ სიკდილის“.

თამაზმა გონებით იცის, რომ „როცა ღმერთით ცხოვრობ, ვერავინ წაგართმევს სიცოცხლეს“, მაგრამ ამის განყენებული ცოდნა არ კმარა სიკვდილის შიშის მოსაგერიებლად;

რომანის მთავარ გმირს კი პატიმრობაში უმძაფრდება ღვთისგან მიტოვებულობის გრძნობა. ის ვერ იცნობიერებს და ისისხლხორცებს იმას, რისი წვდომისგანაც თითქოს შორს არ არის — ქრისტიანული ღმერთი სწორედ ტანჯული ღმერთია და ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ უახლოვდება ქრისტეს, როცა ცოდვათა გამოსასყიდად ტანჯვას ტვირთულობს და ჭეშმარიტებისთვის ენამება. თამაზს, მიწიერი სიცოცხლის გამაღმერთებელს, ეს უნარი არ აღმოაჩნდება.

მაგრამ დაცემის შემდეგ ის — სიკვდილს გადარჩენილი ბერზინის თუ სხვათაგან განსხვავებით — სულმოკლედ არ ჩაებლაუჭება სიცოცხლეს. ნარმართი კვდება მასში. იგი თვალს უსწორებს თავისი სისუსტის მიზეზს, თავისთავზე იღებს დაცემით გამოწვეული სულიერი ტანჯვის სიმძიმეს როგორც დამსახურებულ სასჯელს და ასე აღასრულებს იმას, რაც მანამდე ვერ შეძლო; მხოლოდ ამ ტანჯვით აღმოაჩენს და ეზიარება ქრისტეს როგორც ცოცხალ ჭეშმარიტებას და რეალობას, აღმოაჩენს, რომ ქრისტეს გარეშე მისი სათაყვანებელი აქვეყნიური მშვენიერებაც სიკვდილის, არარას კუთვნილებაა. გრიგოლ რობაქიძის გმირი თვითონ გამოცდის საკუთარი თეორიული თვალსაზრისის სიმართლეს: „რევოლუცია არნახულად ნააქეზებს უღმერთობას, ხოლო შიშველი, უღმერთო ადამიანი ერთბაშად იგრძნობს სიცარიელეს და აღმაფრენით მოინატრებს დაკარგულს.“

რომანის ფინალს კვალს აჩნევს ის გარემოება, რომ გრიგოლ რობაქიძის მეთოდში და სტილში არის სიმბოლიზმთან დაკავშირებული ფენა — სიმბოლიზმის დანაშრევია რეალობის გაიდუმალება, დემონიზმი, მოვლენების ფარული, ზემპირიული განზომილების აქცენტირება; ძირითადად რომანში ეს საკმაოდ ზომიერად ვლინდება, მეტნილად ცხოვრებისეულ მასალას, თითქოსდა ირეალურ საბჭოთა სინამდვილეს შეეზრდება; რეალისტი თვალყურს აღევნებს და ანონასწორებს სიმბოლისტს; ფინალში კი მისტიკა უცებ გაუშუალებლად იჭრება და მხატვრული სიმართლის ხარისხი კლებულობს.

„ჩაკლული სული“ ინტელექტუალიზმის პრიმატით აღბეჭდილი ნანარმოებია, რაც იშვიათობას არ ნარმოადგენს ჩვენი საუკუნის ლიტერატურაში. ოღონდ რომანში იქაც, სადაც ინტელექტუალური, ესეისტური ელემენტი ჭარბობს,

შენარჩუნებულია მხატვრულ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მთლიანობა. ნაწარმოებში ემპირიული გარემოს და ხასიათების დეტალიზებული ხატვა ჩანაცვლებულია პერსონაჟების სულიერი იერის და აზრთანყობის ნარმოდგენით, ალბათ, ზედმეტადაც. შესრულების მანერა შეკუმშული, განტვირთულია, ავტორი ეფექტურად ავლებს და განალაგებს მოკვეთილ შტრიხებს. მწერლის დაძაბული გონება, ინტუიცია და ფანტაზია ახლოდან დაგვანახებს სულიერების ტრაგიკულ განსაცდელს.

1990

გალაკტიონ ტაბიძე

ენიგმატური სახე და ანალიზი

ყოველი ხელოვანი არსებითად თვითონვე კარნახობს მკვლევარებს მის მიერ შექმნილი მხატვრული სინამდვილის ანალიტიკური განხილვის წესს. ის, რაც გამახვილებულ ყურადღებას მოითხოვს ერთი ხელოვანის შემოქმედების კვლევისას, ასე მნიშვნელოვანი არ არის სხვა ხელოვანის შემოქმედების კრიტიკული ანალიზისთვის.

ცნობილია, რომ გალაკტიონის სახეების, ტროპების, ასოციაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ენიგმატურად ბუნდოვანია. ცნობილია აგრეთვე, რომ ამას სიმბოლისტურ პოეტურ კულტურასთან გალაკტიონის სიახლოვე განაპირობებს.

როგორ უნდა მოეკიდოს ლიტერატურისმცოდნეობა ამ სახეებს, რა შეიძლება ვიცოდეთ და რისი იმედი უნდა გვქონდეს?

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამგვარ სახეთა ანალიზი საერთოდ შეუძლებელი და მიზანშეუწონელია. ეს თვალსაზრისი ეჭვქვეშ იქნა დაყენებული — როგორც ჩანს, თუ ყველა არა, ამ ტიპის ზოგიერთი ხატი მაინც ექვემდებარება ლოგიკურ განხილვას, ლოგიკის ენაზე „თარგმნას“, ხერხდება მათი წარმოქმნის პროცესისთვის თვალის მიდევნება, მათი გენეზისის დადგენა...

მაგალითისთვის შევეხოთ გალაკტიონის ენიგმატურ სახეთაგან ერთს. გავიხსენოთ ლექსი „ქარებს ქარობა“:

„დაეტყო კიდეც ქარებს ქარობა,
როცა მტრობაა და ედგარობა,
სანთელო, გარხევს ლამის ფიქრები,
მაგრამ შენ მაინც ნუ ჩამიქრები,
ნუ მიმატოვებ.
ალარ ეტყობა თვალებს თვალობა,
როცა ღრეა და მიუვალობა,
აყეფდებიან მთვარის ტყუპები,
ო, შენ მაინც არ დაიღუპები,
ცრემლს ნუ ათოვებ.“

„აყეფდებიან მთვარის ტყუპები“ მართლაც გასაიდუმლობული, ერთი შეხედვით, ამოუხსნელი სახეა, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი განმარტების ცდა მთლად უიმედო საქმე არ უნდა იყოს.

ანატოლ ფრანსის „თაისში“ ჩვენი ყურადღება მიიპყროდა უნებლიერ გალაკტიონის ეს ხატი გაგვახსენა ერთმა ადგილმა, სადაც ავტორი ახასიათებს ნაწარმოების მთავარ გმირს: „მას სწამდა ღვთიური განგება, ბოროტ სულთა ყოვლისშემძლეობა, ჯადოქრობა, შელოცვები; მას სწამდა იესო ქრისტე და სირიელთა ღვთაება; მას სჯეროდა ისიც, რომ ძალლები ყეფდნენ, როცა პირქუში ჰეკატე გზაჯვარედინებზე გამოჩენდოდა ხოლმე“.

ბერძნულ მითოლოგიაში ჰეკატე მთვარის ღვთაებაა. „წყვდიადის და ჯადოქრობის ეს ქალლმერთი დახეტიალობს საფლავებს შორის და გამოიხმობს მკვდრების აჩრდილებს. ის აერთიანებს ორ სამყაროს — ცოცხლებისას და მკვდრებისას. ჰეკატე მონადირეა, რომელსაც ძალლების ხროვა ახლავს, მისი ნადირობა ავბედითი ღამეული ნადირობაა“ („მსოფლიოს ხალხთა მითები“).

ამგვარად, ფრანსი სარგებლობს ბერძნული მითოლოგიური წარმოდგენით.

ჩვენი ვარაუდით, გალაკტიონიც მას უნდა იყენებდეს.

ამ ვარაუდის მოშველიებით შეგვიძლია გავიაზროთ, რა კავშირშია ძალლების ყეფა მთვარესთან და რატომ აღძრავს იგი დაღუპვის შიშს — ეს მთვარის ღვთაების, მკვდრების სულების, აჩრდილების გამომხმობი შემზარავი ქალლმერთის ღამეული სვლის ნიშანია, ეს მისი თანმხლები ძალლების ხროვა იყეფება.

როგორც ჩანს, „მთვარის ტყუპები“ მთვარის ზედმინევნით მსგავსებს, ორეულებს კი არ ნიშნავს, არამედ მთვარის, ჰეკატეს „კუთვნილი“ და მისგან განუყრელი ძალლების ერთსახოვან სიმრავლეს გამოხატავს.

ის გარემოება, რომ გალაკტიონი მთვარის და ძალლების კავშირის სახელდებას ახდენს სიტყვა „ტყუპებით“, ასე ორჭოფულად და ბუნდოვნად, მეტად ნიშანდობლივია — პოეტი განგებ აიღუმალებს ამ კავშირს.

ამით გალაკტიონი შეგნებულად ფარავს თავისი მეტაფორის წარმომავლობასაც, ასე ვთქვათ, შლის კვალს, აყრუ-

ებს ბერძნული მითის ექოს. ეს მეტაფორა არ შეიცავს ალუ-ზიას, რომელიც გარკვეული კულტურული ფენომენისკენ წარმართავს აღმქმელის ცნობიერებას. პირიქით, გალაკტიონი ცდილობს რაც შეიძლება შეუმჩნეველი გახადოს თავისი მეტაფორის სათავე.

გალაკტიონისთვის მითოსური წარმოდგენა მხოლოდ და მხოლოდ მასალაა, „ნედლეულია“, რომელიც მთლიანად უნდა ჩაინთქას მისი წარმოსახვის პროდუქტში. ანტიკური მითი ჩაწურულია გალაკტიონის მეტაფორაში და თითქმის სავსებით გაუჩინარებულია.

ამგვარად ქმნის პოეტი ხატს, რომელიც შეუცნობლობის, ირაციონალურობის შთაბეჭდილებას ბადებს.

საერთოდ, გალაკტიონის სიმბოლისტური, ნისლოვანი სახეების დანიშნულებაა ჩაგვაგონონ, რომ რაღაც არაამქეყნიურს შევეხეთ. ეს ითქმის სახეზეც „აყეფდებიან მთვარის ტყუპები“. იგი გამოხატავს განსაცდელის მოლოდინს, მაგრამ არა ჩვეულებრივს, არა კონკრეტული მიზეზით გამოწვეულს, არამედ სამყაროს ირაციონალურ საწყისთა ანაზდეული განცდის შედეგად გაჩენილს. ეს სახე გადმოგვცემს შიშს სამყაროს სილრმეში დაბუდებული შეუცნობელი და ბნელი ძალების წინაშე, რომლებიც დაღუპვას უქადიან ლირიკულ გმირს.

მაგრამ თუკი ასეა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სახის ამგვარი ემოციურ-ხატოვანი შინაარსი ისედაც განიცდება და გაიაზრება, მისი ანალიზის, მისი წარმომავლობის დადგენის გარეშეც. სახე უამისოდაც ამბობს თავის სათქმელს, გვაგრძნობინებს იმას, რაც უნდა გვაგრძნობინოს. ანუ აღმოჩნდა, რომ სახის ახსნამ არსებითად ვერ შეავსო, ვერ გაამდიდრა ამ სახის და მთლიანად ლექსის პოეტური შინაარსი. კვლევის შედეგი საკმაოდ მოკრძალებული გამოდგა.

შევეცადეთ ამოგვეხსნა იდუმალებით აღეჭვდილი ხატი და გამოირკვა, რომ თვითონ იგი სწორედ იმას მიელტვის, იდუმალი და გამოუცნობი დარჩეს; რომ თვით მისი არსებობის საზრისია ამოუსხნელი, ბურუსში ჩაძირული იყოს, რათა ჩვენც საიდუმლოს განცდა დაგვეუფლოს.

უნდა დავასკვნათ: გალაკტიონის ხატში წამდვილად საგულისხმოა არა ის, რასაც ეს ხატი ფარავს, არამედ საკუთრივ შეგრძნება, შთაბეჭდილება, რომ იგი რაღაცას ფარავს.

ამგვარ სახეთა ამოხსნის უინი კი გაუნელებელია.

მაინც რატომ გვსურს იდუმალ ხატთა ლოგიკის ნათელ სფეროში გადმოყვანა, იმის გაგება, რა არის მათში ნაგულისხმევი?

ჩვენ გვაქვს იმედი, — მეტწილად გაუცნობიერებელი — რომ ამგვარ სახეთა ამოცნობის შედეგად მოვიხელთებთ, გამოვამზეურებთ და ვიხილავთ აზრს, „ლოგოსს“, კონცეპტუალური, მსოფლმხედველობრივი დატვირთვის მზიდველ ფენომენს.

ერთ-ერთი იდუმალი მეტაფორის განხილვამ გვიჩვენა, რომ პოეტს ბერძნული მითი შეუკუმშავს მასში, მაგრამ ვერაფერი გვითხრა ისეთი, რაც უფრო მკაფიოს და სრულს გახდიდა ჩვენს წარმოდგენას გალაკტიონ ტაბიძის მრწამსზე, მსოფლმხედველობაზე, ვერ გაგვიმუდავნა პოეტის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თვალსაზრისი. არადა, იმედი გვეონდა, რომ რაღაც ძალიან მრავლისმეტყველს, არსებითს მივაკვლევდით.

როდესაც ლიტერატურისმცოდნები დაუინებით ცდილობენ გაარკვიონ, ვთქვათ, რუსთაველისეული „მზიანი ღამის“ რაობა, ეს გასაგები და ბუნებრივია, რადგან ამ სახის აზრის კონკრეტიზება, მისი გენეზისის გამოკვლევა ერთგვარად ნათელს ფენს რუსთაველის მსოფლმხედველობას, იმას, როგორია პოეტის წარმოდგენა ღვთაებაზე, რომელ ფილოსოფიურ თუ რელიგიურ მოძღვრებაზეა ორიენტირებული იგი.

გალაკტიონის ენიგმატური სახე კი მსოფლმხედველობრივად ნიშანდობლივ აზრს არ შეიცავს, ასეთი სახის დანაწევრება, მისი წარმომავლობის დადგენა პოეტის მსოფლმხედველობის არსთან არ გვაახლოებს.

ლექსში „ისევ ეფემერა“ გალაკტიონი ამბობს:

„ოჂ, სიყვარული ზღვების ქაფია! —
მიეცით წარსულს ელვა და ხბალი,
რომ ამოკვეთოს ეპიტაფია:
„მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“.«

სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე ზღვის ქაფიდან იშვება, ასე რომ, „სიყვარული ზღვების ქაფია“ ბერძნული

მითის მეტაფორულ გარდათქმას წარმოადგენს. მაგრამ რა აზრობრივი, კონცეპტუალური მომენტებით ამდიდრებს სახეს ამის გარკვევა? ეს სახე იმის მიხვედრას კი არ მოითხოვს, რომ მასში აფროდიტეა ნაგულისხმევი, არამედ სიყვარულის შეუცნობელ ბუნებას გამოხატავს, ადამიანის ცხოვრებაში სტიქიასავით შეჭრილი სიყვარულის დამღუპველ სიძლიერეს გააცხადებს. სახის ამგვარი შინაარსი ყოველგვარ განმარტებამდე აღიქმება, იგი იშვიათი გზებით არის ხორციელი და გაცოცხლებული. განმარტება მას არსებითად არაფერს მატებს...

და მაინც გალაკტიონის ენიგმატურ ხატთა ანალიზი გარკვეული აზრით გამართლებულია. თუმცა მათდამი ანალიტიკური მიდგომა, როგორც ჩანს, პოეტის მიზანდასახულობას არ შეესატყვისება, — გალაკტიონს „არ სურს“, რომ მისი ენიგმატური სახეები ამოვხსნათ, პირიქით, ცდილობს შეუცნობლობის ნისლში გახვიოს ისინი, — მაგრამ ლიტერატურისმცოდნეობასაც საკუთარი კანონიერი ინტერესები აქვს.

ბუნებრივია მოთხოვნილება, ნათელვყოთ გალაკტიონის შემოქმედებითი ფსიქოლოგია, გავეცნოთ მის შემოქმედებით ლაბორატორიას, ვიცოდეთ, რა ელემენტთა შეზავებით აღნევს გალაკტიონი თავის პოეტურ ეფექტებს, რა მასალა აქვს ხელთ — რისგან და რანაირად ქმნის იგი თავის პოეტურ სამყაროს.

ოღონდ არ ლირს იმის დავიწყება, რომ ეს მაინც მასალა და ტექნოლოგიაა, ანუ რაღაც დამხმარე, თავისთავად არაფასეული, არაარსებითი. მთავარია ის ახალი, თვითმყოფადი და ორგანული მთლიანობა, რომელიც ამის მეშვეობით, მრავალი ალქიმიური პროცესის გამოვლით იბადება, მთავარია, როგორია მისი მხატვრული ბუნება და დანიშნულება.

გალაკტიონის ენიგმატურ სახეთა ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ ანალიზის შეფარდებითი ღირებულება და მნიშვნელობა. არ უნდა მოველოდეთ, რომ ენიგმატური სახეების ამოცნობა ჩვენს წიხაშე გადაშლის რაიმე ისეთს, რის გარეშეც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიასთან თანაზიარობა, მისი წვდომა შეუძლებელია.

სულიერი წყურვილი

იმგვარი სულიერი წყობის პოეტი, როგორიც გალაკტიონ ტაბიძეა, შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ ქრისტიანული საფუძვლის მქონე კულტურაში, ისევე როგორც სიმბოლიზმი, რომელთანაც გალაკტიონის პოეზიაა დაკავშირებული, შეიძლებოდა ბუნებრივად შეეეთვისებინა მხოლოდ ქრისტიანულ ტრადიციაზე დამყარებულ კულტურას.

გალაკტიონის პოეტური ინდივიდუალობის ღრმა თვისებაა გაუნელებელი სულიერი წყურვილი, სრულ და სრულყოფილ ჭეშმარიტებასთან, სიკეთესთან, მშვენიერებასთან ზიარების გარდაუვალი მოთხოვნილება, რომელიც ქრისტიანული კულტურის მიერ არის ფორმირებული. გალაკტიონი აბსოლუტის, აბსოლუტური ფასეულობების, მათი სამოთხისებური სისავსის მაძიებელი პოეტია. მისი შემოქმედება შეიძლება აღვიკვათ როგორც აბსოლუტის მაძიებლის ლირიკული ავტობიოგრაფია, რომელშიც „უჩვევ ნათელთან“ მისახლოებლად ზეაღსვლა და მიწაზე დანარცხება თუ ჯოჯოხეთში ვარდნა გამუდმებით ენაცვლება ერთმანეთს.

ძნელია დაასახელო მეოცე საუკუნის პოეტი, რომელიც გალაკტიონზე მწვავედ გრძნობდეს ქრისტიანობისგან გაუცხოების ტრაგიზმს, ღმერთისგან გაუცხოებული სამყაროს საშინელებას. ქართულ პოეზიაში ამ მხრივ გალაკტიონთან ყველაზე ახლოს ნიკო სამადაშვილია.

გალაკტიონის ისეთ გამორჩეულ ლექსებში, როგორებიცაა „სილაუვარდე, ანუ ვარდი სილაში“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „ლურჯა ცხენები“, ტრადიციულ რელიგიურობას დაშორებული, ტრადიციულ რელიგიურ ნუგეშს მოკლებული ადამიანის გოდება გაისმის... ლექსში „თუ ბრძოლა არ არის“ ეპოქის კრიზისულობის მიზეზად ქრისტიანობისგან მოწყვეტა, რელიგიური ცნობიერების რღვევა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დიქტატი, ტექნიკურ-ურბანისტული ცივილიზაციის მოძალება იკვეთება: „მრავალ სახეზე არის ობლობა, მრავალს აშფოთებს რაღაც მონობა: როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმადონობა? გაჰქრა ზმანება, გაჰქრა ფერია, ნუ-თუ ბოდლერიც არაფერია? შელიც ჰიუგოს დაემგვანება? მიუსსე, ვერლენ? ღმერთი? კაენი? აპა, ქალაქთა გვიანი ნე-

ბით ბურუსებში სჩანს აინშტაინი“. გალაკტიონის თვალთა-ხედვით, უღმერთობა ამკვიდრებს არა თავისუფლებას (როგორც ბევრი ფიქრობდა), არამედ „მონობას“ და სულიერ სილატაკეს; რელიგიის დაშრეტა ემპირიკით შეუბოჭავი მხატვრული წარმოსახვის, ღრმა და მაღალი მხატვრული აზროვნების მასაზრდოებელი ნიადაგის გამოფიტვის ტოლფასია.

თვით გალაკტიონი ინარჩუნებს ცოცხალ, ნაყოფიერ კავშირს ამ ნიადაგთან. მისი მხატვრული მსოფლალქმა მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფით არის შექსოვილი რელიგიურ, ქრისტიანულ კულტურასთან. გალაკტიონი თავისი იშვიათი პოეტური ინტუიციის წყალობით წვდება და სიტყვაში მოიხელთებს ქრისტიანობის უნიკალურ სულიერ ატმოსფეროს. „ხომალდს მიჰყვება თეთრი მადონა და ყვავილები გიოადონა“ — როგორი სიწმინდე, ალერსი, სილბო, კეთილი ხარება იღვრება უჩვეულო სიტყვიდან „გიოადონა“... ქრისტიანობის სულის ზედმინევნითი პოეტური სიზუსტით ამეტყველება შემდგომ ანა კალანდაძის ლირიკის ნიშანდობლივ თავისებურებად მოვცევლინა.

გალაკტიონის პოეზიაში იგრძნობა მტკივნეული ნოსტალგია ქრისტიანობის სულიერი დომინირების ხანისადმი, ისევე როგორც ადამიანის წარმოსახვის ტრანსცენდენტურისკენ მიმმართავი ქრისტიანული ხატოვანებისადმი, რომელსაც პოეტი სიტყვის მაგიური ხელოვნებით ახლად ქმნის. „გადია, ლაშვარდ სირმარეული გუმბათობის ქვეშ ხატებს ევლები, მთვარეული და სიზმარეული გერვენებიან სასუფევლები. კვლავ გუმბათიდან უნაზეს ლილას განგიალებენ სნეულ ფერებით — შავ მარმარილოს, თეთრ მარმარილოს და მარმარილოს ვარდის ჩქერებით. გწყურია, ოდეს სანთლები ელავს, წაილო სულით აურზაური, ბაგით შეეხო მადონას ხელებს და იგრძნო სუნთქვა არაქაური“ („ჩვენი დღის ამბებს ძალიან მწყრალი...“).

გალაკტიონი ბოლომდე აბსოლუტის მაძიებლად, სულიერი წყურვილით შეპყრობილად დარჩა. შესაძლოა, ეს ყველაზე გამჭვირვალედ ჩანდეს გვიანდელ ლექსში „ვარსკვლავია“, რომელშიც ტრანსცენდენტურის უეცარი, გამაოგნებელი გამონათება უკანასკნელი ლოცვის თუ აღსარების უტყუარობით და სისადავით არის აღბეჭდილი. სამყაროში გამეფებული ამაოების, წყვდიადის მიუხედავად მაინც შეიგრძნებად მოვცევლინა.

ნობა იდუმალი, ნუგეშის მომფენი შუქის არსებობა, თუმცა
უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ეპოქაში
ამგვარი შუქის აღმოსაჩენად სწორედ ისეთი გამოუვალი
ამაოების და უკიდურესი სასოწარკვეთილების განცდაა
აუცილებელი, როგორიც გალაკტიონის პოეზიაში ხშირად
არის გამჟღავნებული. „ნეტა როგორ ხდება ასეთ სიბნელეში,
ასეთ სიბნელეში შენ ცას რომ ანათებ და შენ ვერვინ გხედავს
და შენ ვერ უგრძნიხართ. ო, რა მიზეზია, ნეტა გაცოდინა,
ასეთ დაბრმავების, გასაოცარია, გასაოცარია, ძლიერ, მე-
ტისმეტად! ცრემლიც არ არსებობს, ყველა, ყველაფერი
მიდის უდაბნოში...“.

2004

მუსიკალურობის საფუძველი

ნინამორბედი ქართველი პოეტების შემოქმედებისგან გალაკტიონის ლირიკა ერთი ნიშნითაც განსხვავდება — მასში განხორციელებულია პოეტური „მე“-ს სრული ინტიმიზაცია. გალაკტიონის პოეზიაში განსახიერებული ადამიანის მთელი არსებობა ინტიმური საიდუმლოა და ამდენად მისი გამოხატვა განდობაა. მაგრამ ის გვიმხელს თავის საიდუმლოს ისე, რომ რაღაცას ყოველთვის გაუმხელელს იტოვებს. რაც მთავარია, იგი თვითონაც არ ფლობს საკუთარ საიდუმლოს მთლიანად, ნაწილ-ნაწილ წვდება, მოიხელთებს მას — იგი იდუმალი, გამოუცნობი და მოულოდნელია თავისი თავისთვისაც. გალაკტიონის ლირიკული გმირისთვის მუდამ დაფარულია, რა შეემთხვევა შინაგანად, რა მოხდება მასში. მისი არსება ლიაა ყოფიერების განუჭვრეტელი შესაძლებლობების წინაშე, ელასტიურია. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ან ვაჟა-ფშაველას ლირიკული გმირი გაცილებით გამჭვირვალე და მდგრადია, მყარია. ამ მხრივ გალაკტიონი ახლოს ბარათაშვილთან არის, ოლონდ სულისმიერი მოულოდნელობები გალაკტიონის ლირიკაში უფრო მკვეთრად და უხვად იჩენს თავს.

მაგრამ ბარათაშვილისგანაც გალაკტიონის არსებითად განასხვავებს ის, რომ მან ქართულ პოეზიაში სრულფასოვან ლირიკულ თემად დაამკვიდრა სულის ყოველწამიერება. ბარათაშვილი ლექსში აღბეჭდავს მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, შემაჯამებელ სულიერ მდგომარეობებს და შეიძლება ესეც არის იმის მიზეზი, რომ მისი მემკვიდრეობა არ არის ვრცელი. გალაკტიონისთვის სწრაფწარმავალი სულიერი მოძრაობაც განსაკუთრებული და აღბეჭდვის ლირსია. გალაკტიონის პოეზია სულის შეუჩერებელი არსებობის გადმოშლაა, სული აქ გამუდმებით იცვლება, ყოველთვის სხვადასხვანაირია. შინაგანი ცხოვრების განუწყვეტელი ცვალებადობის აღბეჭდვა გალაკტიონის შემოქმედების ემოციურ ტონთა და განწყობილებათა დიაპაზონს განუზომლად აფართოებს.

გალაკტიონმა გამოხატვის საგნად აქცია სულის სპონტანური სიცოცხლე, რომელიც ცნობიერ განცდებთან და გარე-სინამდვილიდან ატაცებულ შთაბეჭდილებებთან ერთად ხში-

რად მოიცავს ქვეცნობიერებიდან შემოჭრილ იმპულსებს — ბუნდოვან შეგრძნებებს, მოგონებებს და მიხვედრებს, წინათგრძნობებს, სიზმრის ფრაგმენტებს ... გალაკტიონის ციებცხელებიანი ფანტასმაგორიებიც ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლის გამოხატულებაა, რამდენადაც სპონტანურია, ქვეცნობიერების უძირობიდან ცნობიერების ზედაპირზე უცაბედად და გაუგებრად აღმოცენებული, იქიდან წამიერად სინათლეში მოხვედრილი. იქმნება სულიერების ნაკადი, მდინარება, რომელიც თავის ტალღოვან მოძრაობაში დანთქავს და შეადნობს გარეგნულად ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფენომენებსაც. ადამიანის სული გალაკტიონის პოეზიაში სრულად ავლენს იმას, რომ იგი თავისი არსით, ბუნებით მუსიკალურია — მოძრავი, დენადი მთლიანობაა, ერთიანი ნაკადია. სულის და მუსიკის შინაგანი ნათესაობა, მსგავსება, რომელიც დადასტურებულია ესთეტიკურ მეცნიერებაში, სწორედ მათ დინამიურ და დენად, ნაკადისებურ ბუნებაში მუდავნდება (ნ. ჰარტმანი).

როცა გალაკტიონის პოეზიის მუსიკალურობაზე ვლაპარაკობთ ხოლმე, მხედველობაში გვაქვს მისი მელოდიკის, რიტმულ-ინტონაციური წყობის მომნუსხველობა, გალაკტიონის სახეობრივი აზროვნების სუგესტიური ნისლოვანება. ეს, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მუსიკალურია თვით პოეტის მსოფლგანცდის, მსოფლალქმის სიღრმისეული საფუძველი.

გალაკტიონისთვის ადამიანის სული და მთლიანად სამყარო თავისთავად არის მუსიკა — დინება, ნაკადი, ქროლა. „ოჳ, სიცოცხლეც უეცარი ქარია“ — ამბობს ის ერთ ლექსში. სხვაგან ნათქვამი აქვს: „ირგვლივ ნაკადებია, მსუბუქი და ფარული“. სულს და სამყაროს გალაკტიონი განიცდის როგორც ჭავლების პულსირებას და მათ შეხვედრას, გადაკვეთას, ერთმანეთში შეღწევას. გალაკტიონის მსოფლგანცდის ეს არსებითი თავისებურება ხელშესახებად აშკარავდება ქარის სატებში და არამარტო მათში.

„თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის, მრავალ მიუვალ გზებით ფარული, ათიათასი ნაკადი გაჩნდა, მჩქეფი, ანკარა და მოხარული. მიწის ქვეშ გზები ვიდოდნენ წყნარად და იქ სხვადასხვა ადგილას რგული, ერთი მეორეს ეძებდა მარად ასიათასი მდინარის გული“.

დინებები, რომლებიც სამყაროში მოძრაობს, მრავალნაირია — ხილული, უხილავი, სუსტი და ნაზი, ან მძაფრი, ბობოქარი ... გალაკტიონის პოეზიაში ნაკადებად იშლება და განიფინება სხვადასხვა სტიქია და ფენომენი — ჰაერი, ცეცხლი, წყალი, თოვლი, სინათლე, ფერი, სიბრელე, ხმა, სურნელება ... თვალი მივადევნოთ, მაგალითად, როგორ ეფინება და მოიცავს რეალობას ღამეული შუქის და ფერების ნაკადი:

„ის ტყეა მთვარით ქსოვილი, ვით ლოენგრინეს სიზმარი, ლაშვარდით გადათოვლილი და ვერცხლით ნათილისმარი“.

ანდა ვნახოთ, როგორ ეუფლება სამყაროს სიბრელის სტიქია:

„მთვარეში შავი შრიალებს ჩალა, შავი ლეჩაქი დაეცა შარებს“.

მზის ცხოველმყოფელი ენერგიის ნაკადთა ფრქვევა ასე გამოიხატება:

„ო, მზით გადანაცხარო ცხრა მუხა და ცხრა წყარო“.

ისევე როგორც ეს ნეოლიგიზმი — „გადანაცხარი“, გალაკტიონის სიტყვათშემოქმედების სხვა ნიმუშებიც ხშირად სწორედ ნაკადების, ჭავლების და მათი ვიბრაციის თუ განფენის ზედმიწევნით ზუსტი ბერადი ნიშნებია: ბროლება, შემოთეთრება, ალოცება, მონაიავები, ზიანება, გადასოსნება...

სულიერ ნაკადად მსჭვალავს არსებობას იდუმალება, შეუცნობლობა:

„მოდის, ფეთქს და იზრდება სული მისი მხრჩობელი, ფოთლებს ამეტისტებით ფარავს შეუცნობელი“.

გალაკტიონის პოეტური ნატურა სამყაროს ნაკადების და დინებების ზემგრძნობიარე გამტარია. ამავე დროს პოეტი სამყაროსაც ასეთივე ზემგრძნობიარე გამტარად აქცევს თავისი ემოციების, განნყობილებების და ვნებებისთვის; პოეტის სულიერება ტალღებად მოედება და ფარავს სამყაროს, დენივით დაუვლის მას და იქმნება, ვთქვათ, ასეთი სახე: „მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“. პოეტს და სამყაროს შორის კონტაქტის მთავარი საშუალებაა ფლუიდების უჩინარი გაცვლა, მიმოქცევა, რომლის არხიც პოეტის უფაქიზესი ნერვებია (შეიძლება საუბარი „ნერვულობაზე“ როგორც ესთეტიკურ თვისებაზე, რომელიც ქართულ პოეზიას გალაკტიონმა შემატა).

გალაკტიონის პოეზიაში სამყაროს და ადამიანის ყოფიერების ფუძისეული ფენომენები, — ღვთაებრივი და დემონური, სიკეთე და ბოროტება, სიკვდილი და სიცოცხლე, თავისუფლება და მონობა, აღფრთოვანება და ტანჯვა, იმედი და სასოწარკვეთა — მათი არსი და მიმართებები ნაკლებად გაიხსნება მედიტაციურ-ინტელექტუალური ლირიკის ენით; ეს ფენომენებიც უპირატესად გამოიხატება როგორც სამყაროში და ადამიანის სულში მოძრავი სხვადასხვაგვარი ატ-მოსფერული ნაკადები. გალაკტიონის ლირიკა ფილოსოფიურია ისე, როგორც მუსიკა შეიძლება იყოს ფილოსოფიური. იგი სამყაროს, ცნობიერების და ქვეცნობიერების სიღრმისეული მოძრაობების და დინებების პოეტურ-მუსიკალური გააზრებაა.

1992

გიორგი ლეონიძე

სიცოცხლის პოეზია

გიორგი ლეონიძის პოეზიაში განსაკუთრებული ძალით არის გამოვლენილი ქართული ეროვნული მსოფლადემის და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი ასპექტი – მიწიერი სამყაროს მშვენიერების მძაფრად მოსიყვარულე განცდა, ხორციელების კულტი, გრძნობადი ტკბობის სტიქია, ჰედონიზმი...

სამყარო გიორგი ლეონიძისთვის თავისი არსით ერთიანი, დიდი სიკეთეა, რომელსაც უყოყმანოდ უნდა მიენდო – ამას უტყუარად მოწმობს ნივთიერი სინამდვილის მრავალსახოვანი, გამოულევი და თვალისმომჭრელი სილამაზე. ამ სილამაზის ხოტბაა გიორგი ლეონიძის პოეზია. ეს არის აღფრთოვანებული მადლიერების გამოხატვა იმის გამო, რომ ასეთი მშვენიერება არსებობს და პოეტს მისი ხილვის ბედნიერება ერგო. გიორგი ლეონიძე დაუცხრომელია სილამაზის სენსუალური სისავსით აღქმაში და განსახიერებაში, გრძნობადი სილამაზით თავდავიწყებულ ტკბობაში. პოეტი თითქოს შიშობს, მისი რომელიმე ნაკვთი მხედველობიდან არ გამორჩეს.

სამყაროს პოეტური ხოტბა, აპოლოგია სახეთა სიუხვეს და ჰიპერბოლიზმს ითხოვს. გიორგი ლეონიძის ლექსი წარმოდგება არა როგორც პოეტური აზრის განვითარება, არა-მედ როგორც ჭარბად ხორციელი, ფერადოვანი და შუქით-მოსილი სახეების დაბადება და ზრდა, გამრავლება. „ბრწყინვას ქართლი, ვარდის ბალი, შეფრევეული მინანქარით, იაგუნდის წვიმა დასწვიმს, სურნელების დაჰქრის ქარი... ბრწყინვას ბალი, ელავს ბალი, ფირუზქარი დარხეული, ყურძნის მსხვილი იაგუნდი, ვაზი, ვარსკვლავ-ჩახვეული“.

გიორგი ლეონიძის პოეტური წარმოსახვა მყარად ეფუძნება ემპირიულ რეალობას. ამავე დროს იგი ამ რეალობას უჩვეულოდ ადიდებს და აძლიერებს, უჩვეულოდ ამკვეთრებს მის ვიზუალობას და ხმოვანებას. ასევე ჩვეულებრივ ადამიანურ ემოციებზე ბევრად უფრო მასშტაბურია პოეტის ვნებები. გიორგი ლეონიძის პოეტური სამყარო ძალიან ამ-ქვეყნიურია, მიწიერია, მატერიით დატვირთული თუ სულაც გადატვირთული, მაგრამ ამასთანავე ის ამაღლებული და

იდეალიზებულია. მისი რაობა შეიძლება განისაზღვროს როგორც „მატერიალისტური რომანტიზმი“ ან „წარმართული რომანტიზმი“.

მართლაც „წარმართულია“, ძველისძველია, თანამედროვე ცივილიზაციის მკვიდრისთვის უცნაურია მიწის, მიწიერების, სამყაროს მატერიალურობის ისეთი აღტაცებული, გამაღმერთებელი აღქმა, როგორიც გიორგი ლეონიძის პოეზიაშია გამოხატული.

გიორგი ლეონიძისთვის მიმზიდველი და მშვენიერია ყოველივე, რაც სისხლ-ხორცით სავსე და სიცოცხლისუნარიანია, უხვი სასიცოცხლო ენერგიით აღჭურვილია. „ულამაზე-სი მხოლოდ ის არის, ვინც ავსებულა თავის დროს ძალით — ადიდებული, დამწიფებული ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი... და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე, რაც სიცოცხლეთი არი ცხოველი: მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი — შენი სიტყვების ღიმილს მოელის“.

სიჯანსაღე, ძლიერება, ენერგიულობა სიცოცხლის ის თვისებებია, რომელთაც გიორგი ლეონიძის თვალში უპირატესი ესთეტიკური დირებულება აქვთ. ამას უკავშირდება ყივჩალის სახე, ბარბაროსობის პოეტიზაცია მის შემოქმედებაში. ჭარბი სასიცოცხლო ძალის გამოვლინებები ესთეტიკურად მომხიბვლელია მაშინაც, როცა ეს ძალა აგრესიულია, დამახგრეველია. „ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვერე გზები ტრიალი, მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლენე ტაძრები კელაპტრიანი!“. ეს თითქოს ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიაში გამოკვეთილი ზეკაცის იდეის პოეტური ეკვივალენტია.

სიცოცხლისგან განუყოფელია ბრძოლა და ძლიერი სიცოცხლისადმი გიორგი ლეონიძის სიყვარული ბრძოლის სიყვარულსაც მოიცავს. ამით არის განპირობებული მის პოეზიაში ურთიერთშეხლის, ძლევის, დაუფლების (ან, შესაბამისად, დამარცხების, დამხობის, განადგურების) ნიშნით აღბეჭდილ ხატთა სიხშირე, სახეობრიობის შედრული იერი.

გიორგი ლეონიძეს გამორჩეულად უყვარს ის, რაც სამყაროში ახალია, ახლადშობილი თუ ახლადაღმოცენებულია, რადგან მასში სიცოცხლე ყველაზე მეტად ღვივის. ამის გამოა, რომ სამყაროს ახალგაზრდულად ხარბი პირველადქმა, რომელიც ამ სამყაროს ახლებს და სასიცოცხლო ძალას

მატებს, მას პოეზიის აუცილებელ ნიშნად ესახება — „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“. სიყვარულიც — სიჭაბუკის თანამგზავრი — მის შემოქმედებაში ჯანსაღი ვიტალური ენერგიის მოზღვავებაა, რომელიც უცნაურად არის შერწყმული სილბოსთან და სიფაქიზესთან — „ნაზი გრიგალია“. სიყვარული თითქოს ყოვლისშემძლედ აქცევს ადამიანს და იგი ეუფლება სამყაროს, სიცოცხლის ელვარე სილამაზის მთელ სიმდიდრეს.

გიორგი ლეონიძის პოეტური ენა, სტილი სიცოცხლის სისავსის თუ დრამატულობის მძლავრი ხორცესხმაა. „გელანდება ნაჯახები და გრიგალი დამჯახები მწარედ აგათონლებს. ცას ჯანღების აჯანყებით, სეტყვას, მბრწყინავ თოვლებს, დამდნარ ძვლებით ეგებები, მარტოხეო, ოლე!“.

პოეტი ის არის, ვისაც ენა თავის საიდუმლოს გაანდობს და ამით სამყაროს ნამდვილი სახის დანახვის შესაძლებლობას ანიჭებს. ენის შიდახედის, სიტყვების ჩვეულებრივ შეუმჩნეველი ურთიერთკავშირის განჭვრეტას შეუძლია სამყაროს შინაგანი წყობის განჭვრეტა გაუადვილოს პოეტს, როგორც გიორგი ლეონიძისთვის განსაკუთრებულად ახლობელ რუსთაველს და ვაჟა-ფშაველას. ეს თვით გიორგი ლეონიძე-ზეც შეიძლება ითქვას. მკვეთრ ნაციონალურ შეფერილობა-საც გიორგი ლეონიძის პოეზიას უპირველესად ენის სიცოცხლის შუაგულში შეღწევა აძლევს.

1999

ტიციან ტაბიძე

ტრაგიკული ექსტაზი

ტიციან ტაბიძის პოეტური მსოფლშეგრძნების ყველაზე თვალშისაცემი თვისება სიცოცხლის ვწებიანი სიყვარულია, მაგრამ მის პოეზიაში არანაკლებ მძლავრია საპირისპირო ემოციური საწყისიც — სიკვდილის განცდა.

განსხვავებით გიორგი ლეონიძისგან, რომელიც მისთვის ძვირფასი მინიერი სილამაზის გალადებული მფლობელია, ტიციან ტაბიძეს ეს მშვენიერი, სინათლით და სითბოთი სავსე ქვეყანა ხელიდან ეცლება. იგი თითქოს ცდილობს მზე-რაში დაიყოვნოს მისგან შეუკავებლად, აჩქარებით განზიდული ქვეყნიერების ხატი.

კრიტიკაში საკმაოდაა თქმული იმის შესახებ, რომ ტიციან ტაბიძე ხშირად ამჟღავნებს მოახლოებული სიკვდილის, დაღუპვის წინათგრძნობას. და სიკვდილი მით უფრო უსახურია მისთვის, რაც უფრო უყვარს სიცოცხლე, სიცოცხლისმოყვარეობის სიმძაფრე მას სიკვდილის განცდასაც ასევე უმძაფრებს, უმნარებს. მაგრამ ყველაზე წიშანდობლივი ის არის, რომ ამ სიმწარეში თავისებური სიტკბო ურევია, საკუთარი სასტიკი ბედისწერის განჭვრეტას შხამიანი სიხარული ახლავს. „რა საჭიროა სატრფოს ცრემლები, არც ქარს ვანუხებ საფლავის თხრისთვის, მოისვენებენ ისედაც ძვლები, თუ კრემატორი აღირსეს თბილისს“. ეს ტრაგიკული ექსტაზი ენათესავება „მერანში“ გამოხატულ მსოფლშეგრძნებას, რასაც ციტირებული სტრიქონები პირდაპირ გვიმჩევს.

გარდაუვალი დაღუპვის ტებობანარევი განცდა ტიციან ტაბიძის პოეტური ბუნების ორგანული გამოვლინებაა გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაში.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებით ნატურაში მკაფიოდ არის გამომჟღავნებული საწყისი, რომელსაც ნიცშეს ესთეტიკური კლასიფიკაციის მიხედვით „დიონისური“ ეწოდება — მიდრეკილება „გახელებისკენ“, ინდივიდუალურ-განცალკევებული არსებობის გარსის გარღვევის და სამყაროს პირველსტიქიებში ჩაკარგვისკენ, ექსტატიური თავგამეტების-

კენ. იგი სადინარს აძლევს გაუსაძლისად ძლიერი, მტკივნეული თუ სასიხარულო ემოციების მოზღვავებას.

განსაკუთრებული სიმკვეთრით და სისავსით ეს ვლინდება ლექსში „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“. მითიური იერის მქონე, პირველყოფილად მრისხანე ბუნების, მისი სტიქიური ძალების პირისპირ აღმოჩენილ ტიციან ტაბიძის ლირიკულ გმირს დიონისური სიშმაგე, სამყაროს დიონისურად მშფოთვარე და მბორგავ, ქაოტურ ფუძეში დანთქმის, მასში თავისი ინდივიდუალობის გათქვეფის ექსტაზი იპყრობს. „ნამექცა თავზე ცა გარღვეული და ცაზე კიდევ — სხვა მყინვარის ცა, და დარიალით გადარეული თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს. და გადავაყურებ ალმას უფსკრულებს, კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს, ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს და რკინის ბანარს, ყელზე რომ მომდებს. ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი და ისიც ვიცი, ჩემზე ახია, ძეირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი, ან თავის მოკვლა რა ტრაბახია. მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით ამ თვალუნვდენი ხრამების ფსკერი...“.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია ის, რომ თავისი სულის დიონისურ იმპულსებს პოეტი ზნეობრივ საზრისის უძებნის.

როგორც დავინახეთ, ტიციან ტაბიძის ლირიკული გმირის დიონისურ გახელებას ბუნების მძვინვარება იწვევს. სხვა ლექსებში პოეტი პეიზაჟს წარმოსახავს როგორც ბუნების წარმონაქმნთა გააფთრებულ, სამკვდრო-სასიცოცხლო შეხლას. ასეთი, ბატალური სურათის მსგავსი პეიზაჟი ტიციან ტაბიძისთვის ადამიანის ღირსეული ქცევის ეტალონს ასახიერებს.

ამგვარი პოეტური თვალთახედვა, ემოციური იმპულსები და ეთიკური მიზანსწრაფვა მძლავრად არის ხორცულების შემუღავები „მეწყერი მეწყერს“: „გაელავს, დაპერავს მეხი მეხს მწვერვალს, მთა ტიტველია, აქვს საფარი, თვითონ მეხია და თვითონ ელავს, როგორც შამილის თეთრი ფაფარი... ვარ გათელილი ლეკის ნაბადი, ყველა სახსარი მაქვს დალენილი, მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე და მეც ვაჟკაცის დამიდე ნილი. რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა და კალმად კიდევ მინა რხეული, თუ ამ სიბრაზით გული გაგითბა, თუ ამ ურუანტელს იგრძნობს სხეული. მეწყერი მეწყერს, ლანქერი

ლანქერს, კლდე კლდეს აწყდება, ზვავს ღუპავს ზვავი, ცა
მოწყალებით თავზე დამცქერის, არ მემეტება მოვიყლა
თავი“.

ლტოლვას თვითგანადგურებისკენ ზნეობრივ საზრისს
ანიჭებს და ამით გარდასახავს ის, რომ დიონისური ექსტაზი
ტრაგიკული მსხვერპლგალების ხასიათს იძენს, რადგან უკვე
თავისუფლების იდეალს ამკვიდრებს.

1983

ვალერიან გაფრინდაშვილი

სანატორელი და რეალური

ფაქტიზი პოეზია და პოეზიის შესახებ ნააზრევი, პოეტური თარგმანები — ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა პირველად წარმოგვიდგა მთლიანად მის ერთ-ტომეულში (მერანი, 1990; დასაფასებელია შრომა, რომელიც წიგნის შესადგენად მარინე ჭყონიამ განია; წინასიტყვაობის ავტორია გურამ ბენაშვილი).

სიმბოლისტებმა ქართულ პოეზიაში უნინარეს ყოვლისა ლირიკული სუბიექტის სტატუსი შეცვალეს, აამაღლეს — ლირიკული სუბიექტი მათ ობიექტური სამყაროს ტოლფარდი გახადეს და მას თვითკმარობა მიანიჭეს. იგი თავისთავიდან, თავისი შინაგანი უსასრულობიდან ბადებს და ამოზიდავს უცნობ ავტონომიურ სინამდვილეს, ჭვრეტს მის უცხო, ეგზოტიკურ ლანდშაფტებს.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში ასეთი შემოქმედებითი წამონება განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მეთოდური თანმიმდევრულობით და დაუინებით არის განხორციელებული. ამიტომ აյ სხვა ცისფერყანწელების ლირიკასთან შედარებით მეტია მიღმურთან შეხების ცდები — ლირიკული გმირის თავისთავადობა, თვითკმარობა მით უფრო საგრძნობია, რაც უფრო ეთიშება ის გარემომცველ ემპირიულ სინამდვილეს. ვალერიან გაფრინდაშვილის მრავალ ლექსშია წარმოსახული რეალობისგან გამიჯნული სულის „ინტერიერი“, მასში დადგმული ფეერიული წარმოდგენები, რომელთა პერსონაჟები პოეტთან და მის ორეულთან ერთად მითოლოგიური და ლიტერატურული გმირების აჩრდილები არიან.

უნდა ითქვას, რომ ხშირად ეს ლანდური წარმოდგენები რაციონალურად კონსტრუირებულს უფრო გავს, ვიდრე ირაციონალურის სპონტანურ გამოცხადებას. ამ რკალის ლექსებში, მაღალი ოსტატობით და ფორმის, ენობრივი სტილის ელვარებით რომ არის შემკული, გამოირჩევა ზოგიერთი, სადაც პოეტის ხმა მისი სულიერი სამყაროს წრფელი

პირველსათავეებიდან მოისმის. ასეთია, მაგალითად, „მე — სარკეში“, „იავნანა სამგლოვიარო“, „შემოდგომა“, „ოფელია-ევრიდიკა“, „ინტერიერი — მეორე“, „სენტიმენტალური ტრი-ოლეტი“... თუმცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული გმირი გატაცებით იღტვის ლანდების სამფლობელოსკენ, დროდადრო მას ლრმა და ნამდვილი, „არათეატრალური“ ში-ში იპყრობს ორაციონალურის წინაშე, რომელიც სამყაროდან თუ საკუთარი არსების შიგნიდან ეძალება. კრთომა, თავისი სისუსტის და სიმყიფის განცდა უზარმაზარ და საიდუმლოე-ბით სავსე სამყაროში ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდა-შვილისთვის. იგი გამოტანჯული სინრფელით მუდავნდება.

„შენ, სულო ჩემო, სევდით დაღალდი, და გენატრება ღამის მაღარო. თუ გსურს გაფითრდი, როგორც ქაღალდი, მხოლოდ ორეულს არ შემაყარო“.

სხვა შემთხვევებში, როცა სახეობრიობის გარკვეული ხელოვნურობა შეინიშნება, საკუთრივ პოეტური განცდა, ემოცია შეუთხზველია. ეს ემოცია ხშირად არის კულტურით და სულიერი კდემამოსილებით განელებული სიყვარულის ნატვრა, ჩუმი, მთრთოლვარე მოლოდინი. ვალერიან გაფრინ-დაშვილის ფაქიზ პოეტურ მზერას სანატრელი ქალის ხატში ხიბლავს არაორდინარული ნაკვთი, რაღაც ისეთი, რაც ბანა-ლური გაგებით არ არის მიმზიდველი („მიზეზიანი ტრფობა“). ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია „ფანტასტიური სურ-დო“, სადაც იუმორი, პროზაული შტრიხები და სიმბოლისტუ-რი ეთერულობა მთლიანდება. გალანტური თამაშის ელემენ-ტი, კურტუაზული სინატიფე, რომელიც ვალერიან გაფრინ-დაშვილის სასიყვარულო ლირიკას ახლავს, სრულყოფილ განსახიერებას პოვებს ლექსში „თეთრი საცოლო“.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტური ნატურის სიფაქი-ზეს მონაბეჭდის მისი შემოქმედებითი მიდრეკილება, აღმოაჩი-ნოს მშვენიერი თუ არსებითი რაღაც მცირეში, ძნელად გამო-სარჩევში, არათვალისმომჭრელში. ეს მიდრეკილება მნიშვ-ნელოვანწილად განსაზღვრავს ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის ინდივიდუალურ იერს და გამძლეობასაც, რამდენა-დაც უახლესი პოეტური აზროვნების განვითარების გეზს თანხვდება. იგი აღმოაცენებს, პირობითად რომ ვუნოდოთ, მცირე სიდიდეთა ესთეტიკას.

„ზღვას აღარ უნდა თავის სისრულე, თითქო წურბელი გულზე მოება; უღონო ტრფობით ის დაისრულა — სურს ბეჭდის თვალში განმარტოება; რომ ქინძისთავის იგრძნოს სინაზე და გაჰყვეს სმენით მცირე ნაკადულს, რომ საქანელას მსუბუქ სინაზე ჩამოეკიდოს, როგორც კაკადუ“.

„წუმნუმების სიმღერაში“ დამწვარი და ქუჩაში გადაყრილი ასანთის ღერები თავის შეუმჩნევლობას დასტირიან, ჩივიან, რომ მათ მიმართ ყველა გულგრილი და უყურადღებოა; მხოლოდ პოეტი იჩენს მათდამი სისათუთეს, აამეტყველებს და მნიშვნელობას ანიჭებს ამ პატარა და უკვე გამოიუსა-დეგარ ჩირალდნებს, ბოლოს კი სანატრელ ხვედრს არგუნებს — სინათლის სამშობლოში, ვარსკვლავეთში გახიზნავს; დაი-სების ასოთამწყობი — მოკრძალებული და უჩინარი ხელობის კაცი, სხვისი შემოქმედების ჩუმი მსახური, პოეტის ნებით ამაღლებული გრძნობების და ხატების სამყაროს ეზიარება, მისი პატარა ფიგურა მოულოდნელად იზრდება; მზე-სუმზირას გამყიდველი, ასევე „პატარა ადამიანი“, „ფეხებ-მორთხმული მონა ცხოვრების“, სულიერად ემპირიული სინამდვილის მიღმა აზიდული სფეროს ბინადარია.

„ის დაუზოგავ ზამთარ-ზაფხულებს წელში საკმაოდ გაუზნექია, ითვლის ნაშოვარ სპილენძის ფულებს ქუჩის მელოტი ნაცარქექია. მზესუმზირათი ავსებულ ჭიქით იგი ადიდებს ზეციურ ალახს, უთუოდ ხედავს ღრუბლების იქით ბალებს, გურიებს, სამოთხის ბალახს“.

არსებითად იგივე ტენდენცია ვლინდება, როცა უღიმდა-მოს, ყოფით-ბანალურს იუმორის თუ თვითირონიის ობერ-ტონების დახმარებით მოულოდნელად შეეჯვარება ოცნებისმიერი საწყისი. ასე ერწყმის ერთმანეთს, ვთქვათ, გრიპით ავადმყოფის არასახარბიელო ყოფა და ოცნება დიადზე და მომხიბლავზე. „ზღვა ჩემთვის მართავს დიდ დღესასწაულს, რა ვქნა, რომ სენით ვარ შეპყრობილი! ბლომად დაფანტავს თავის სამკაულს ნიბელუნგების განძთა მფლობელი. მუდამ გონია დახუჭულ თვალებს, რომ სულ ახლოა ზღვა შორეული, ყინულის ბუმტი თავზე კანკალებს, როგორც მედუზა ქაფმორეული“.

ვალერიან გაფრინდაშვილი ხშირად ქმნის ლექსს რაიმე შემთხვევის, თავისთავად უმნიშვნელო, მცირე ფაქტის, უბ-რალო, შეუმჩნეველი საგნის თუ მოვლენის „გაგრძელებით“,

პროეცირებით ფანტაზის არეში; მათზე როგორც „ბაზისზე“ ოცნების და თავისუფლად გამლილი ხილვების დამყარებით. ასეთი თვითმყოფადი პოეტური პრინციპია ხორცესხმული ლექსებში „უცნობი ქუჩა“, „წყნეთის გზაზე“, „გაზაფხული თებერვალში“, „ელექტროშუქის ჩაქრობიდან ლამფის ანთებამდე“, „ნოხი ნაპოლეონით“, „ასკილი“, „ხიდი“... სინამდვილის ოცნებით გარდასახვა და გაშუქება, პოეტის რწმენით, აუცილებელია, „რომ სიხარული და გულისძგერა ყოფნის ქარბუქში არ გაიყინოს“.

პოეტი არაერთ ლექსში გვიმხელს, რომ მისი მასულდგმულებელი ჭეშმარიტების ძიებაა, სამყაროს საიდუმლოების ამოხსნის წადილია („მე მაინც ვცდილობ, რომ სიკვდილამდე გავიგო ყოფა გაუგებარი“). თავდაპირველად ჭეშმარიტება მას უსაზღვროებაში, შორეულში და „იქითურში“ ეგულება. შემდეგ იგი უსაზღვროებიდან მცირედის და მახლობლისკენ შემობრუნდება („ნინად მხიბლავდა უსაზღვროება, დღეს ოცნებისთვის კმარა შუამთა“) და იგრძნობს, რომ ჭეშმარიტების სამყოფელი ადამიანის და ამ მახლობელი სინამდვილის თანხმობაა, ოცნებისეულის და მინიერის თანაზომიერებაა. ერთ ლექსში ქარი პოეტს ძველი ოცნების ახდენას — ამალლებას და სამყაროს გრძნეულ იდუმალებათა მოხილვას პირდება. ამ აღმაფრენის დასრულების, ჯადოსნურთან გამოთხოვების სევდას კი ამსუბუქებს ამქვეყნიურობასთან დაბრუნების აუცილებლობის აღიარება.

„ჩვენ გადავასწრებთ შორ თვითმფრინავებს, ძვირფას ვარსკვლავებს ავხვეტთ პეშვებით, წუთით ღრუბელზე დავბინავდებით და შემდეგ ისევ ძირს დავეშვებით“ („ქვიშეთის ქარი“).

ვალერიან გაფრინდაშვილს როგორც პოეტს თავიდანვე დაყვა დიდი შინაგანი სიმშვიდის, სიმყუდროვის მოპოვების სურვილი. ეს უშფოთველობა ეცხადება მას სითეთრეში, რომელიც, მალარმეს მსგავსად, განსაკუთრებით იზიდავს — იგი ზეგრძნობადი სამყაროს აბსოლუტური სიმშვიდის აღმთქმელია. მაგრამ შემდგომში სულის აუმღვრევლობის და სინათლის მიღწევა, რასაც პოეტი თავისკენ მიმშობ, მაგრამ შეუვალ მიღმურობასთან მიახლოებით ამაოდ ცდილობდა, ხილული სამყაროს, ბუნების სადა, მოკრძალებულ სილამაზეთა ჭვრეტით ხდება შესაძლებელი. ამ სადა მშვენიერებაში

წვდება ოცნება თავის საგანს და ააფერადებს მას. თურმე ის, რაც წარმოსახვას შორს იტაცებს როგორც უნაკლულო ბედნიერების ბუნდოვანი ხატი, ხამდვილად არსებობს, არსებობს აქვე, ბუნებაში, მის ქმნილებებში. ამის აღმოჩენა ინკვევს ნეტარების — წყნარი სისავსის, სამყაროსადმი მოწინების და მადლიერების რელიგიური გრძნობის მსგავს განცდას.

მანამდე ვალერიან გაფრინდაშვილის ზოგიერთ გამორჩეულ ნაწარმოებში ბუნება საშიში ან მაცდური სახით წარმოჩდება. კერძოდ, ცხობილ ლექსში „ზამთარი“ იგი თითქოს ომს უცხადებს ქალაქს, რასაც პოეტი ორიგინალურად გამოხატავს ბუნების სამყაროში ისტორიის და კულტურის სფეროთა რეალიების გადანაცვლებით: „ზამთარი მოდის თავის ტერორით, მან დაიკავა ყველა ქუჩები, ზამთარი მოდის, ვით კომანდორი, მათხოვრებით და თუთიყუშებით“. ხოლო „პროვინციალურ გაზაფხულში“ სიცოცხლის განახლების ხალასი დეტალებით დახატული სურათი გასაოცარი კონტრაპუნქტით გადაიზრდება სიკვდილის უძლეველობის ხილვაში.

„ცაზე ჰყიდია მზე — მოლალური, პრილი აკრავს მწვანე აფიშებს, ვით ბალდახინის თეთრი მსახური სასაფლაოსკენ ის მიაბიჯებს. სადაც მოელის ლეში უძრავი გაზაფხულს, როგორც თავის მესსიას და აზრაილი შეუმუსრავი კიდევ მოითხოვს შავ პროცესიას“.

ამგვარ პოეტურ აღქმას ენაცვლება ბუნების წარმოსახვა სანატრელის და რეალურის შენივთებად, რომელთან თანაზიარობა სულიერ წყლულებს ამრთელებს. ასე იქმნება „გასეირნება ტაშისკარში“, „რიონი“, „თივის ზვინი“, „დიდება ხეს“, „ბრონეულის ტყე“, „ბოტანიკური ბაღი“, „მაისის ვარდი“, „ზეციური სონეტი“, „ბავშვობა და ნისლები“, „ბუნებას“ ... პოეტური სიტყვა და სახე სავსებით ორგანული, თავისით მზარდი და მოძრავი ხდება, სიცოცხლის დენას გადმოსცემს. ვალერიან გაფრინდაშვილის სტილი მანათობელ გამჭვირვალობას მოიპოვებს, თუმცა ზოგჯერ ამ გამჭვირვალობაში რაღაც ზმანებისეულიც გამოკრთის.

„შენი ტალღების დიდი ამალით და ძლიერებით კვლავ გამასარე. შენი ქაფისა თუნდ ნატამალი შემომაფრქვევი როგორც წამალი, და ჩემი სახე შეცით დაფარე ... შენს მარგალიტებს არა აქვს ფასი და მაინც მიყვარს შენი მედუზა,

როგორც შილერის მგზნებარე თასი, როგორც საუნჯე ათი ათასი, ვით საოცარი, მთრთოლვარე მუზა ...მრავალ იდუმალ მზით მოქსოვილი, და მენამული, როგორც მარჯანი, გადა- მაფარე ტალღა სოველი, უკანასკნელად შენთან მოველი — ან მომკალი და ან მომარჩინე“.

ესთეტიკური დევიზი „დაბრუნება მიწასთან“, რომელმაც ცისფერყანწელების პოეტური ევოლუციის მიმართულება მონიშნა, თვით მისი ავტორის, ვალერიან გაფრინდაშვილის- თვის მოასწავებდა, რომ „მიწასთან“ მიახლოების საზრისი მიწიერ მშვენიერებაში „ციურის“ — საოცნებოს განჭვრეტაცაა.

ვალერიან გაფრინდაშვილის, ისევე როგორც საერთოდ ცისფერყანწელების, მთავარი შემოქმედებითი მიზანსწრაფ- ვა ქართული პოეზიის ხელახალი ევროპეიზაცია იყო. ეს მიზანსწრაფვა პოეზიის გარდა თვალსაჩინოა მის თარგმა- ნებში და განსაკუთრებით ესეებში, რომლებშიც გამოსჭვი- ვის პოეტური ხელოვნების არაჩვეულებრივი სიყვარული და თაყვანისცემა, პოეზიის ბუნების ღრმა გაგება, შესანიშნავი ერუდიცია და გემოვნება. ვალერიან გაფრინდაშვილის სტა- ტიებში ევროპული ლირიკის ფონზე ფაქტობრივად სიმბო- ლიზმის საკმაოდ მწყობრი თეორიაა გადმოცემული. ქარ- თულ კლასიკურ პოეზიაშიც ვალერიან გაფრინდაშვილის- თვის უპირატესად საინტერესო და ძვირფასია ის, რაც ევ- როპული ყაიდისაა, რასაც სიმბოლისტური პოეზიის თავი- სებურებათა წინასახედ მიიჩნევს. ამგვარ ნიშნებს ეძებს იგი გურამიშვილის და ბარათაშვილის შემოქმედებაში. შესაძ- ლოა, აქ ყველფერი არ იყოს მკაცრად დასაბუთებული, მაგ- რამ მთლიანობაში ეს არის ქართული ლიტერატურის მიღ- წევათა ევროპული კულტურის კონტექსტში განფენის სტი- მულისმომცემი ცდები.

ესეისტიკაშიც ვალერიან გაფრინდაშვილი წარმოგვესა- ხება ისეთი, როგორიც პოეზიაშია ალბეჭდილი — რაფინირე- ბული, სულიერად მდიდარი და მაღალი პიროვნება და შემოქმედი.

შოთა ჩანტლაძე

„ზეცა და ირონია“

მეოცე საუკუნის ქართულ ლირიკაში შოთა ჩანტლაძე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაღვლიანი, ტკივილიანი პოეტია. მას მუდამ რაღაც უღრღნის სულს, აწვალებს, არ ეშვება. ის თითქოს რაღაც ფატალურის ტყვეა და გათავისუფლება არ შეუძლია.

ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი და ღირებულია შექმნილი, დიდი უკმარობის (ანდა დიდი ოცნების) ნაყოფია. ასეთი უკმარობაა შოთა ჩანტლაძის პოეზიის საფუძველიც.

„მატარებელი. მგზავრები იყავებენ ადგილებს. მატარებელი იძვრის. უცნობი მგზავრები იწყებენ საუბარს ერთმანეთში. საუბრობენ ტკბილად. მათ შორის თვით ისინიც, რომლებიც მატარებლის დაძვრამდე ადგილზე ედავებოდნენ ერთმანეთს. ვისმენ მათ საუბარს და სხეულში სითბო მივლის. ვთიქრობ: — დიახ, შეიძლება ადამიანმა იცხოვროს ადამიანთან ტკბილად ... რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანაზე იქნება ასეთი განწყობა, როგორიც მატარებელშია, რომელიც უკვე დაძრულა“.

რა განაწყობს მგზავრებს ერთმანეთისადმი კეთილად, რა აერთიანებს მათ? ის, რომ მატარებელი მოძრაობს და აქვს განსაზღვრული მიმართულება, დანიშნულების ადგილი, მიზანი. ადამიანებმა რომ ადამიანურად იცხოვრონ, ადამიანური ურთიერთობა ჰქონდეთ, საჭიროა ცხადი და საერთო, საყოველთაო მიზანი.

მაგრამ ეს მიზანი არ ჩანს, ხოლო სამყაროს უმიზნობა, პირიქით, შოთა ჩანტლაძისთვის მტკიცნეულად თვალსაჩინოა, თვალსაჩინოა საზრისის — მიზნობრივი აზრის არარსებობა.

„მზე ცხრება უკვე, უკვე დნება და იღუნება, გადიკარგება უცხო მხარეში, და უღრან ტყეში ხვადი მგლები დაიღმუვლებენ, მიზნის გარეშე ... და დედამიწა ვარსკვლავებით გადიხურება — ზღვა სიზმარეთი ...“.

არსებობის უმიზნობის განცდა ტრაგიკული ვნების სი-
მაღლეს აღწევს ლექსში „აქ ერთ დროს“, სადაც ყველაზე სა-
შინელი ამაოება, სიდიადის ამაოებაა გამოხატული. გაუქმე-
ბული, დაცარიელებული მონასტრის სურათი მონუმენტური
და შინაგანად ვრცელია, გამანადგურებელი დროის ფართო
მასივების მომცველია.

„და ბოლოს დასტოვეს მონასტრის არენი — სიკვდილის
უამმა თუ დარეკა, ქარსა და ქვიშაზე უმიზნოდ ნარენი, ქარმა
და ქვიშამვე წალეკა ... წავიდა წვიმა და მოვიდნენ ქარები,
წვიმები, ქარები მეასედ, ციონდა მარიამს და დედის მკლა-
ვებში ციონდა პატარა იესოს“.

ის, რაც სამყაროს განაგებს, რაც არსებობის ძირია, გა-
ნუზომლად მეტია, ვიდრე მისი ობიექტივაციები ადამიანურ
წარმოდგენებში, რელიგიურ მოძღვრებებში თუ ფილოსოფი-
ურ კონცეფციებში; უფრო სწორად, სულ სხვაა, საერთოდ
განუსაზღვრელია, რადგან „ის მიედინება გარეშე მიზნისა,
გარეშე აზრების“. იგი ფარავს თავისთავს და განსაკუთრე-
ბით სწორედ მაშინ, როცა თითქოს თავს აცხადებს — იგი
მთხველია, გამომგონებელია, ირონიული მისტიფიკატორია.

„იგი მარადისი, იგი მთვარეული, იგი შეუცნობი და მო-
ხეტიალე. იგია არვისი, ის ცნობისმოყვარე ადამიანებს მა-
რად შთააგონებს, უამბობს თავის თავზე ტყუილებს უამრავს
და მერე იცინის და მერე იცინის და მათ არ იციან, რომ
შეცდნენ ისინი“.

ამ უცნობი გამომგონებლის ერთ-ერთი „თხზულებაა“
დიდი ქალაქი. „ჩემი მაგიდის წიგნი“ ქალაქის გაშლილი და
მთლიანი მეტაფორაა, რომლის პირობითობაც დაძლეულია
პოეტის განცდილი თვალსაზრისით — ქალაქი „ვიდაცის“
მოსანყენი ქმნილებაა, ადამიანისთვის უცხო და თავსმოხვე-
ული, რომელსაც ვერსად გაექცევი.

თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებისგან განუყო-
ფელი მოწყენილობის გრძნობა შოთა ჩანტლაძემ განსაკუთ-
რებული წვდომით და ძალით აამეტყველა. მოწყეხა ადამია-
ნის ადეკვატური ემოციური პასუხია სამყაროს უმიზნობაზე,
უსაზრისობაზე. მოწყენილობა ნიშნავს, რომ მარადიული
მისტიფიკატორი ვეღარ გვატყუებს; სამყაროს თითქოს ფე-
რი მისდის, მიმზიდველობას კარგავს, ყველა მისი საცდური
უძლურია სურვილი აღგვიძრას, ნებელობა გაგვიღიზიანოს;

არაფერი არ გვინდა, ანუ სწორედ და მხოლოდ არაფერი გვინდა; ჩვენი სიცარიელე სამყაროს სიცარიელის ზუსტი ანარეკლია და პირიქით; მოწყენილობა გვეუბნება, რომ აქ არაფერი გვესაქმება.

„მე ყველაფერი მომწყინდა ეხლა, მზის მხურვალება, მთავრის სინათლე. ნიავის ქროლა, ქარების შეხლა, ყველა ტყუილი, ყველა სიმართლე“.

სამყარო, ბუნების სიცოცხლე, წელიწადის დროების წრე-ბრუნვა შოთა ჩანტლაძეს ნარმოუდგება როგორც ერთფეროვანი და დაუსრულებელი სპექტაკლის დეკორაციების ცვლა. შეიძლება ეს დეკორაციები ზოგჯერ თავისთავად ლა-მაზიც იყოს, მაგრამ პირველ რიგში საგრძნობია მათი მონაცემების ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული რიტმის მონოგრაფია, რადგან ნარმოდგენის აზრი გაუგებარია.

„ტოტებში — როგორც თეთრი ჩიტები — ცის ნაფლეთები ჩანან. ტყის სიბნელეში დღე იჭვრიტება და დღე საცაა ჩავა. დღე ჩაესვენება და მოვა სიცივე, — მოყვება შრიალი მძლავრი ... იქუხებს, ინვიმებს, იქუხებს, ინვიმებს და ნავა, ვითარცა მგზავრი ...“.

შოთა ჩანტლაძის ლირიკული გმირი ბევრს დადის, ხეტიალობს და ეს უმიზნო მოძრაობა სიცარიელის განცდის გამოვლენაც არის და სიცარიელის შევსების ცდაც. ამით თითქოს ერთმანეთს გვანან ის და ოთარ იოსელიანის ფილმის „იყო შაშვი მგალობელის“ გმირი. თუმცა აშკარაა მათი განსხვავებაც, თუნდაც ის, რომ შოთა ჩანტლაძის პოეტურ ორეულს უფრო გაცნობიერებული აქვს თავისი მდგომარეობის უიმედობა, თავისი სიუცხოვე და მარტოობა. ერთ ლექსში, სადაც ქალაქის ცხოვრების კომიკური პანორამაა ნაჩვენები, ეს თვითშეგნება ასეა გამუღავნებული: „მე ამ დროს დავდივარ ქალაქის ქუჩებში, დავდივარ დაქანცული და სევდიანი, მე — პირველყოფილი და ღამეული“.

ასე დადის, ასე იქანცება და იტანჯება ამ „შეთხული“ ქალაქის ქუჩებში, ვიღაცის თურალაცის უცხო ნებას დამორჩილებული და მიყოლილი, ტრამვაიც — შოთა ჩანტლაძის პოემის პერსონაჟი, არსებითად ლირიკული პერსონაჟი, რომელსაც პოეტის ლალმა და „ახირებულმა“ ფანტაზიამ ნამდვილი სულიერება მისცა.

მუდმივი და მოუცილებელი მოწყენის, გამოუვალობის, დალლილობის განცდები შოთა ჩანტლაძის პოეზიაში დაკავშირებულია თავისებურ, სკეპტიციზმით შეფერილ რელიგიურობასთან. საყრდენის, ნუგეშის პოვნის მოთხოვნილება სულის გამშიშვლებელი, სასოწარკვეთილი სინრფელით არის გამხელილი მის უჩვეულო ლოცვებში, ვედრებებში. ის ილტვის ცისკენ, უკეთესი ქვეყნისკენ, რათა დატოვოს „სიცარიელე შავი მიწის და ბნელეთისა“, მაგრამ სერიოზული დაეჭვება აბსოლუტის არსებობაში ირონიას აჩენს და არაიმვიათად პოეტის ლოცვები კამათს ან საყვედურს უფრო გავს, მეტნაკლები ირონიით გაზავებულს. მონინება და ირონიული შეთამაშება უცნაურად ერწყმის ერთამნეთს. ძნელი გასარჩევია, „სად მთავრდება ირონია და სად იწყება ზეცა“ (ჰაინე).

დაახლოებით ასევე გამოიხატება შოთა ჩანტლაძის პოეზიაში სიყვარულიც. ბევრ სასიყვარულო ლექსში გამოსჭვივის გრძნობის ამაღლებულობა და სიღრმე, მაგრამ უფრო ნიშანდობლივი მათ შორის ის ლექსებია, რომლებშიც გრძნობის სიფაქიზე სიყვარულის ფასეულობაში დაეჭვებულის მწარე ღიმილთან, ნალვლიან ირონიასთან არის შეხამებული.

„მახსოვს სიფითრე და ჩურჩული თქვენი ბაგისა, მეუბნებოდნენ: — ჩამოგვებით სამარეშიცო, სად სიყვარული შეიძლება უსპეტაკესად — სამარადისოდ ... ყველამ დამტოვა, დავშთენილვარ თქვენი ამარა, და ახლა ვხედავ — საიქიოს ვლიან ლანდები; დიდი ხანია მე მიმელის ჩემი სამარე, წამობრძანდებით?“.

მეტყველების არქაიზებული სტილი პაროდიულ ელფერს ატარებს, თუმცა სიმაღლეც შენარჩუნებული აქვს. შოთა ჩანტლაძის პოეზიაში, ასე ვთქვათ, „სერიოზული არქაიზებაც“ შეინიშნება, მაგრამ მეტნილად არქაული ენობრივი ფორმები ირონიის და პაროდიის არეალში ხვდება.

პოეტის სასიყვარულო ლექსებში ზოგჯერ ირონია უფრო გალაღებული და ათამაშებულია, ანდა სარკაზმში გადადის. ხდება ისეც, რომ ამაღლებულ სიყვარულში დაეჭვება ეროტიკიისთვის ათავისუფლებს ადგილს.

შოთა ჩანტლაძის ირონიის მუდმივი სამიზნეა მეშჩანობა, ადამიანების თვითკმაყოფილი შინაგანი სილატაკე.

„მე ვარ ადამიანი, მე ვარ ცხოველი. მე ვარ მეზობელი და ჩემი მოვალეობაა ცხოვრება სიკვდილამდე. და ჩემი სურვი-

ლია — კარგი ცხოვრება და გვიანი სიკვდილი. ჩემი სურვილია ვუყურო ყველაფერს, რაც ჩემს ირგვლივ გამეფებულა, და არ ჩავიხედო არც ერთ მათგანში, თუ ეს საგნები არ მანუხებენ მე“.

ირონია, თვითირონია, სარკაზმი, შავი იუმორი, გროტესკი — ეს ის სტილური ფორმებია, რომლებშიც ორგანულად მუღავნდება შოთა ჩანტლაძის პოეტური მსოფლხედვა. „ჩამოხრიბილის იუმორით“ გველაპარაკება პოეტი საკუთარ სიკვდილზე.

„ო, მე გავუგებ საბრალო მიწას, ო, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს და სამუდამოდ, სამუდამოდ დავმეგობრდებით. გაზაფხულზე ამოვლენ ყვავილები ჩემს სამარეზე და გამვლელ-გამომვლელს ახარებენ, რომ მე კარგად მკვდარი ვარ და სევდიანად გაიღიმებს გამვლელი და შეჩერდება და გაიარს“.

სიკვდილის კომიკური დადაბლება, სიკვდილთან შეხუმრება და გაშინაურება მის საშინელებას იმით „ანელებს“, რომ სიცოცხლის ღირებულებრივ სიმწირეზე გვანიშნებს.

სიკვდილი შოთა ჩანტლაძის პოეზიაში ერთადერთი უეჭველი რეალობაა. პოეტი ყველაფერზე მეტად მას ენდობა, საბოლოოდ ის ეიმედება, მხოლოდ მისგან მოელის შველას თავისთვისაც და სამყაროსთვისაც. ეს შველა წარმოსახულია კიდეც ლექსში „ჰიმნი სიკვდილს“, როგორც ემზარ კვიტაიშვილმა პირობითად დაასათაურა. პოეტი ქმნის კოსმოსის სამუდამო მიძინების გამომხატველ, შთამბეჭდავად დეტალიზებულ და ამასთანავე ბუნებრივად გამთლიანებულ ტილოს.

სიკვდილის წარმოდგენა შვებისმომტან, ჰარმონიის დამაკვიდრებელ ფენომენად ყოფიერების ტრაგიზმის არაპირდაპირი გამუღავნებაა. შოთა ჩანტლაძის ცალკეულ ლექსებში კი სიცოცხლის და სიკვდილის ღრმა ტრაგიკულობა უშუალოდ და მთელი ძალით ვლინდება.

„მიდის არაბი ... ბოლოს ქვიშას ბინდი ეცემა, მერე არაბიც დაეცემა ქვიშას ბინდივით. დაეცემა და დაქანცული ძილს მიეცემა. აქლემის კუზნი — წაქცეული პირამიდები. დაღლილ თვალებში დაიბუდა მძიმე სიზმარმა, ეზმანა არაბს: ღრიალებდა ღელე ლომივით; და მერე ბარად ჩამოვარდა და გაიზმორა, — გაექცა ველებს ლომის ბრდღვინვით და ნახ-

ტომებით. გათენდა დილა ... გაიღვიძა მზემ უნინარეს, — ლომი ლმუოდა კაცის ძვლებზე, როგორც მდინარე“ („ლომი“).

ტრაგიკულის შეგრძების გარდა ამ ლექსში აშკარად ჩანს შოთა ჩანტლაძის პოეტური ნიჭის სხვა თვისებებიც — სიტყვის ვირტუოზული ფლობა, სტილის იშვიათი დინამიურობა და პლასტიკა, სხარტი და ზუსტი ტროპული აზროვნება, ძლიერი, თავისუფალი ფანტაზია, რომელიც ემპირიული მასალისგან უჩვეულო სახეობრივ ნაერთებს ქმნის.

პოეტის წარმოსახვას საგნები და მოვლენები მკვეთრი ბიძგით გამოყავს ინერტული მდგომარეობიდან. წარმოჩნდება მათი პოტენციური „მიდრეკილებები“, მიმართებები სხვა საგნებთან, მოვლენებთან — თითქოს სინამდვილის გარსი იხლიჩება და მისი შინაგანი რაობა ერთბაშად შიშვლდება.

შოთა ჩანტლაძეს უყვარს სიტყვის არტისტული, თითქოსდა დაუდევარი მოქნევა, სიტყვების თანხმიერად აუღერება, ენამახვილობა, კალამბურები, სათქმელის პარადოქსულ ფორმაში მოქცევა, აფორისტული ფორმულები. ის ხშირად ელეგანტურად გაათამაშებს სიტუაციებს, აზრებს, სიტყვებს, პოეტურ ფორმებს, მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, ძალიან სერიოზული, არსებითი და მტკივნეული შინაარსის მქონე თამაშია.

შოთა ჩანტლაძემ ქართულ პოეზიაში წინა პლანზე წამოწევა გაუადვილა ურბანისტულ მოტივებს და ცხოვრების შეუფერადებელ ფაქტურას, სადა ინტონაციებს, ვერლიბრს, ირონიულ თვალთახედვას ... თვითონ კი, ალბათ, კიდევ უფრო მეტის შექმნა შეეძლო, მისი ცხოვრება ცოტა იღბლიანად რომ წარმართულიყო.

1987

რწმენის ტრაგიკომედია

ორიგინალური პერსონაჟი შეემატა ჩვენს ლიტერატურას, თუმცა იგი აქ მთლად შინაურულად ვერ იგრძნობს თავს. ეს არის რუსი საბჭოთა მოქალაქე პროხორი, შოთა ჩანტლაძის მოთხოვნის საშინელი და საცოდავი, კმაყოფილი და უილბლო გმირი. მოთხოვნა 1955 წელსაა დაწერილი, მაგრამ მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა.

როგორც პოეტი და მინიატურისტი, შოთა ჩანტლაძე ხშირად აჩენს ირონიულ-ტრაგიკულ ჭრილში ოფიციალური იდეოლოგიის და პროპაგანდის მიერ ლაკირებული საბჭოთა ყოფის სარჩულს. მოთხოვნა „პროხორ!!!“ შოთა ჩანტლაძის პოეტურ შემოქმედებას ბუნებრივად ებმის — საბჭოთა სინამდვილისადმი მსგავსი დამოკიდებულებით, „ეშმაკური“ გამომგონებლობით, მოსხლეტილი გონებამახვილობით ... ის შესრულებულია „იოლად“, თითქოს სალალობო ექსპრომტია. უბრალოა, ზოგჯერ ფელეტონურიცაა თავშესაქცევი თხრობა და შესაფერისად მარტივია გმირიც. მაგრამ მარტივი არ არის ავტორის მსოფლხედვა, რომელიც კომიკურის გვერდით გამოარჩევს ტრაგიკულ ელემენტს, ქმნის ტრაგიკომიკურ, მნიშვნელოვანი პრობლემატიკის წრეში მოქცეულ სახეს. ეს არსებითად სატირიკოსის მსოფლხედვაა, ყალბი მორალური და სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის მომშლელი და მის მიღმა დარღვეული გროტესკული რეალობის აღმომჩენი.

შოთა ჩანტლაძის მიერ შეთხული იგავური ისტორია ერთ-ბაშად გამოავლენინებს თავს ტიპს, რომლის ნაირსახეობები მუდამ წარმოადგენდა რუსეთის არათავისუფალი სახელმწიფოს ყველაზე საიმედო საყრდენს. რაც ამ ტიპს შოთა ჩანტლაძის მოთხოვნაში მოსდის, იმას დღეს იგი ცხოვრებაში განიცდის.

ლრმად წამს პროხორს არსებული სოციალური წყობის ფატალური აუცილებლობა, სამართლიანობა, ჭეშმარიტება და ამის გამო მცირედითაც კმაყოფილია. მას აქვს განუზომელი ნდობა დადგენილის, დაკანონებულის მიმართ. პროხორს მტკიცედ სჯერა, რომ ხელისუფლება მასზე ზრუნავს და მომავალში კიდევ უფრო მეტად იზრუნებს, სჯერა საერთოდ ყველაფერი, რასაც ჩააგონებენ მაღალი ინსტანციები, გაზეთები, აგიტაცია თუ რეკლამა, საზოგადოებრივი აზრი. ეს უნევს სულიერი ცხოვრების და ზნეობრივი პრინციპების

მაგვირობას. პროხორი მასის ადამიანია, რომელიც მთლიანად გარედან იმართება და მოკლებულია ინდივიდუალურ-პიროვნულ საწყისს, კრიტიკული განსჯის უნარს. ამიტომაა, რომ იგი ასე ფიქრობს: რაკი მთავრობა ობლიგაციებს უშვებს, რეკლამა მომზიბლავ აღთქმას იძლევა, ხალხი კი ამ ობლიგაციებს ყიდულობს და ხან იგებს კიდეც, საჭიროა თვითონაც იყიდოს და მოგების მყარი იმედი ჰქონდეს.

მოთხოვის პერსონაჟის ამაფორიაქებელი და წამქეზებელია შური, შურიდან ამოზრდილი პრიმიტიული წარმოდგენა სამართლიანობაზე და თანასწორობაზე, სამართლიანობის პრიმიტიული მოთხოვნილება — თუკი სხვები იგებენ, რატომ მან არ უნდა მოიგოს, დაუშვებელია არ მოიგოს. თანასწორობის და სამართლიანობის წყურვილი უათკეცებს პროხორს უგუნურ ოპტიმიზმს და რწმენას. მისი მძლავრი რწმენის უნარი კი ადრესატის არჩევისას არ აყოვნებს და მერყეობს, აზროვნების დახმარებას არ უცდის. შემდეგ იგი თავის ფეტიშს მონურად ეთაყვანება და ემორჩილება, ეტყობა, იმიტომაც, რომ მასთან დამოკიდებულებაში ანგარებიანია. სამი რევოლუციის მონაწილე და წამდვილი საბჭოური პროხორი უკანმოუხედავად იწამებს ღმერთს, რათა მისი წატვრის ასრულება ბოლომდე გარანტირებული იყოს. მწერალი ბუფონადურად ამასხრებს ახლადმოქცეულის აღტკინებულ რელიგიურობას: იგი ბეჯითად დადის ეკლესიაში, სადაც თაყვანს ცემს „ობლიგაციების ღმერთს“ როგორც სპეციფიკური დარგის თვითმპყრობელ გამგებელს.

პროხორის ტრაგიკომედიის საფუძველია რუსული სულიერების თვისება — რწმენის დიდი მოთხოვნილება და უნარი, რომელსაც შეუძლია რეალობა მითოლოგით შეანაცვლოს და რაღაც ცრუს, დამლუპველსაც ადვილად დაენდოს. ეს თვისება მეოცე საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ყველაზე სრულად პლატონოვის პოეტურ-გროტესკულმა წარმოსახვამ ამოიცნო.

რაკი რუსული ლიტერატურა ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ საბჭოთა ობივატელის უბადრუკობის კომიკური გამოსახვით „პროხორ!!!“ შესაძლებელია მივამსგავსოთ ზომებენ-კოს სატირულ-იუმორისტულ პროზას, თუმცა ანალოგია ზედაპირს არ ცილდება. სხვათაშორის, ზომებენ-კოს აქვს მოთხოვის კაცზე, რომელმაც ფული მოიგო. შოთა ჩანტლაძის ნაწარმოების პერსონაჟი ვერაფერს მოიგებს, მაგრამ დაჯე-

რებულია, რომ „ობლიგაციების ღმერთმა“ მოწყალების თვალით გადმოხედა. თავისმოტყუება, სასურველის სინამდვილედ დასახვა პროხორის განუსჯელი მორნშუნეობის თანმდევია. ილუზით ფრთაშესხმული მოთხოვნის გმირის სადღესასწაულო ნადიმი ამჟღავნებს ბედნიერებაზე, „კარგ ცხოვრებაზე“ მისი წარმოდგენის უკიდურეს სივიწროვეს, რაც აგრეთვე აშორებს მას ლირსეულ ადამიანურ არსებობას.

როცა აღმოაჩინს, რომ შემცდარა და არაფერი მოუგია, პროხორი უპრალოდ იმიტომ კი არ შეიშლება, რომ ხელის-მოცარვას მეტისმეტად განიცდის, არამედ უფრო იმის გამო, რომ მისთვის სინამდვილე ახლა სრულიად გაუგებარია; სინამდვილის ის წესრიგი, რომელსაც მთელი არსებით ენდობოდა, არასანდო გამოდგა; მისი რწმენა — მიწიერი თუ ზემიწიერი ხელისუფლების, აგიტაცია-რეკლამის, სამართლიანობის, მომავლის — გაცამტვერდა, ყველაფერმა უმტყუნა, უღალატა. პროხორი სიგიურეში გაურბის ამას, არ შეუძლია და არც უნდა გაარკვიოს, რა და რატომ დაემართა, გონების საბოლოო დაბნელებით პასუხობს კრახს, ამავე დროს აგრესიული და საშიში ხდება.

საგიურეთის მიღმა დარჩა პატარა, უღიმდამო სიამოვნებების ყოველდღიური შეჩვეული სამყარო, რომელსაც პროხორი ნოსტალგიით იგონებს. მაგრამ იქ ამ კაცის არყოფნა არ იგრძნობა, იქ უამრავი პროხორის მსგავსია, რომელთაგან ერთი მის დაცარიელებულ ადგილს ავტომატურად იკავებს.

პროხორს და მის შემცვლელს ერთმანეთს ისიც ამსგავსებს, რომ მათთვის ერთნაირად დამახასიათებელია განურჩევლობა საკუთარი თუ სხვების უზნეობისადმი. თავისი თავის და სხვა ადამიანების უპატივცემულობა პროხორის ქრისტიანული დაავადება.

მოთხოვნის სასტიკ სიმართლეს გვეუბნება ამ ტიპიური გმირის შესახებ, მაგრამ არა სასტიკიად და ავი სიხარულით. დამცინავი ავტორი გულის სიღრმეში თანამგრძნობელია. მითუფრო, რომ მოთხოვნის ბედუკულმართი პერსონაჟი არამარტო საკუთარი უგუნური მიღრეკილებების მსხვერპლია, არამედ სოციალურ-პოლიტიკური სისტემისაც, რომელსაც ამ მიღრეკილებათა მარჯვე გამოყენება მოუპოვებს სასიცოცხლო ძალებს, რომელიც მას ამონებს და სხვათა თავისუფლების აღკვეთასაც აკისრებს.

გურამ რჩეულიშვილი

ბედნიერება სიკვდილის ფონზე

გურამ რჩეულიშვილის მკვეთრი პიროვნება ისეა შერწყმული მის ნაწარმოებებს, რომ ამ ნაწარმოებთა ანალიზი ძნელდება კიდევ — იოლად შეიძლება მას მწერლის პიროვნების შესახებ საუბარი შეენაცვლოს. გურამ რჩეულიშვილს როგორც მწერალს უწინარესად საკუთარი არსების წვდომა სურს, თვითშემეცნების მოთხოვნილება მისი მთავარი შემოქმედებითი სტილულია, „შეიცან თავი შენი“ მისი უპირველესი შემოქმედებითი პრინციპია. ამიტომ ის უპირატესად პირადულზე, პირადად განცდილზე წერს, ყოველ შემთხვევაში, მთაბეჭდილება ისეთი გვრჩება, თითქოს მწერალი არაფერს იგონებს, გადმოგცემს მხოლოდ იმას, რისი მონაწილე და თვითმხილველიც იყო. მას აქვს იშვიათი უნარი დაგვაჯეროს მონათხრობის და გამოსახულის „არალიტერატურულობაში“. მის ნაწარმოებებში მყარია ილუზია, რომ რეალურად არსებულ ადამიანებზე და რეალურად მომხდარ ამბებზეა ლაპარაკი — თითქოს დღიურია, ავტობიოგრაფია, ანდა ნარკევევი თუ რეპორტაჟი, რამაც შეიძლება ეგზიუპერის „ადამიანთა მინა“ და „სამხედრო მფრინავი“ გაგვახსენოს.

ორიენტირება უტყუარ პირად გამოცდილებაზე, ნატურის ერთგულება, გარკვეული სიფრთხილე შეთხზულის და გამოგონილის მიმართ, ყოველგვარი სიყალბის შიში მეოცე საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ძვრებთან უნდა იყოს დაკავშირებული. გურამ რჩეულიშვილის პროზის ლირიკული აღსარებითობა, როგორც ჩანს, აგრეთვე სტიმულირებულია დროის ტენდენციის მიერ — „პიროვნების აღმოჩენით“, პიროვნების ფასეულობის გამძაფრებული განცდით და მკვეთრი გაცნობიერებით.

პიროვნება, ვისაც შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნებდეს, ცნობიერ არჩევანს აკეთებდეს, პასუხისმგებლობას კისრულობდეს, ზნეობრივ თვითდამკვიდრებას ახდენდეს — ასეთია გურამ რჩეულიშვილის ლირიკული გმირი. იგი მაძიებელი, ცნობისწადილით სავსე ადამიანია, ცხოვრების დაუ-

ღალავი შემსწავლელია, რომელიც სიმართლის ნატეხებს კრებს; მაგრამ უპირველეს ყოვლისა თვითონ ცხოვრობს, გამუდმებით მოქმედებს, მჭვრეტელობითი პოზიცია ევინ-როება. ის იმიტომ კი არ ცხოვრობს მძაფრად და სისხლსავ-სედ, რომ შეძენილი გამოცდილება აზრებად „გადაამუშაოს“, არამედ პირიქით, აზროვნებს, რათა ჭეშმარიტად იცხოვროს. სწორი და ლრმა აზრი გურამ რჩეულიშვილის ლირიკული გმირისთვის საკმარისი არ არის, მისი სურვილია აზრის განხორციელება, აზრის მეოხებით სრულფასოვანი პიროვნული თვითრეალიზაცია.

ყოველივე ეს განსაკუთრებული სიცხადით და სისავსით ვლინდება „ალავერდობაში“.

„ალავერდობის“ გმირს თავიდან ბუნებაში განმარტოებულს ვხედავთ — ბუნებასთან ურთიერთობა მას სამყაროს დიდებულებას, იდუმალებას და მშვენიერებას, ჰარმონიას აზიარებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი ბუნებასთან მიღწეული თანხმიერებით არ კმაყოფილდება, რადგან სურს ჰარმონია ბუნებიდან ადამიანთა ცხოვრებაშიც გადაიტანოს, დაამკვიდროს. მისი თვალთახედვით, ადამიანი სამყაროს დიდებულების ლირსი უნდა იყოს და ალავერდი, ადამიანის ქმნილება, არის ის, რითაც ადამიანი სამყაროს, ბუნების დიდებულებას ამაყად ჰასუხობს.

ალავერდობის დღესასწაული, რომელსაც მთხოვბელი ესწრება, ამ ადამიანური სიამაყის შემლახველია. ბუნების ჰარმონიასთან შედარებით უფრო მტკიცნეულად საგრძნობი და დამამცირებელია ის დისპარმონია, ქაოსი, რომელიც აქ ბატონობს. ერთმანეთისგან გაუცხოებული, გულგრილი ადა-მიანების უმწეო ცდები, სადღესასწაულო განწყობა შექმნან და გაერთიანდნენ, მხოლოდ ხაზს უსვამს მათ გათიშულობას და აბსურდული ფარსის ხასიათს აძლევს დღესასწაულს. ამ ადამიანებს დაკარგული ჰყავთ ერთმანეთი, რადგან დაკარ-გული აქვთ საკუთარი თავი — არსებობის აზრი, ნამდვილი ფასულობები, ლირსება; დაცლილები არიან ძლიერი და ლრმა გრძნობებისგან, ნამდვილი სიცოცხლისმოყვარეობის-გან, სასიცოცხლო ენერგიისგან; ის საზოგადოება, რომლის ბუნება და სახე დღესასწაულის მონაწილეებში გამკვეთრებულად ჩანს, სრულიად მოკლებულია რელიგიური ამაღლე-ბის, ექსტაზის და ყოფნის სიხარულის განცდის უნარს.

გურამ რჩეულიშვილისთვის ჭეშმარიტი რელიგიურობა სწორედ სასიცოცხლო ძალების სისავსე და სიცოცხლისმოყვარეობაა, სიცოცხლის სიხარულის გრძნობაა.

თვით ლირიკული გმირის ქმედებაში ხორცშესხმულია ეს ექსტაზი და სიცოცხლისმოყვარეობა, სიცოცხლის სიხარული. ამ ქმედების სილრმისეული პათოსი ქრისტიანულია — მოყვასთა შველა, მათი დახსნა სიბრმავიდან, უღირსობიდან. მთხრობელს სურს დაქსაქსულ და გამოფიტულ ხალხს დაანახოს ტაძარი — მისივე ნამდვილი და დაკარგული სახე. ისევე როგორც ილიას „მგზავრის წერილების“ ლირიკულ გმირს, გურამ რჩეულიშვილის ლირიკულ გმირსაც ადამიანების სულიერი განახლება წყურია, ისიც საზოგადოების დეგრადირებას, შინაგან გახევებას, უსიცოცხლობას უპირისპირდება, მისი მიზანიც ის არის, რომ საზოგადოების არსებობა „თერგისებური“ გახადოს. „ალავერდობის“ გმირი თითქოს იმგვარი ლიტერატურული პერსონაჟების შორეული მემკვიდრეა, როგორებიც არიან, ვთქვათ, ალუდა ქეთელაური ან იბსენის ბრანდი.

მაგრამ ეს გმირი კრიტიკულია არამარტო მასის მიმართ, არამედ თავისთავის მიმართაც, რადგან ჭეშმარიტების მიკვლევას ესწრაფის და არა საკუთარი უზაღლობის დემონსტრირებას. მკითხველმა უკვე ირნძუნა მისი მეამბოხური ქმედების სისწორე, აყვა მის რომანტიკულ ლტოლვას და არტისტულ გატაცებას, მოულოდნელად კი თვითონ იგი არღვევს ამ ერთსულოვნებას — თავისთავში ეჭვდება. ის აღმოჩენს, რომ შრომა, შენება, შემოქმედება უფრო დიდი ფასეულობაა და უფრო შედეგიანია, ვიდრე გამომწვევი პროტესტი, ამბოსი; რომ პიროვნება ინერტულ მასაზე შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითმა შრომამ აამაღლოს და არა საკუთარი თავის საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცევამ; ბრძოსაც კვლავ ხალხად შრომასთან მიბრუნება აქცევს, რადგან შრომისგან მოწყვეტა გადაავვარებს ხალხს ბრძოდ, ართმევს სასიცოცხლო ძალას და არსებობის ხალისს.

„ალავერდობის“ ლირიკული გმირის — შინაგანად დამოუკიდებელი, თავისუფალი პიროვნების ბუნება იმაშიც ჩანს, რომ იგი ნაკლებად ენდობა მზამზარეულ შეხედულებებს და ნამდვილი ვითარების უშუალოდ შეცნობა სურს (ასეთ მზამზარეულ წარმოდგენებს ასახავს ამონაწერი გაზეთებიდან):

„წინანადელმა რელიგიურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა...“).

„უსახელო უფლისციხელშიც“ ლირიკული გმირი არ კმაყოფილდება იმით, რაც უფლისციხის შესახებ ისტორიკოსთა ნაშრომებშია ნათქვამი და სურს თვითონ, საკუთარი სულით და სხეულით იგრძნოს უფლისციხე. დამახასიათებელია, რომ მწერალი ისტორიაშიც გამოარჩევს ინდივიდუუმს, რომელიც მოქმედებს შინაგანი იმპულსების კარნახით, თავისუფალი გადაწყვეტილების საფუძველზე და არა მასობრივ წარმოდგენებს, მასის საერთო განწყობას დამორჩილებული. მკვეთრად სუბიექტურ-პიროვნულია ამ ნაწარმოების სტილი, კომპოზიცია და პიროვნების შეუცვლელობის, მისი განუზომელი ფასეულობის მტკიცებაა მოთხრობის შინაგანი პათოსიც.

ისევე როგორც „ალავერდობაში“, გურამ რჩეულიშვილის ლირიკული გმირი მკვეთრად უპირისპირდება ბრბოს, მის ფიქტოლოგიას მოთხრობაში „შპილკა“. ლირიკულ გმირს პროტესტის გრძნობას აღუძრავს დაუნაწევრებელ მასად გაერთიანებული ადამიანების შეუბრალებლობა სულიერად ავადმყოფი კაცის მიმართ; იგი გამძაფრებულად განიცდის პიროვნების ხელშეუვალი არსებობის უფლებას და ბრბოს უგუნურებას.

გურამ რჩეულიშვილს დაწერილი აქვს სხვადასხვა მხატვრული ღირებულების კიდევ არაერთი ხანარმოები, რომელიც პიროვნების და მასის, მათი ურთიერთმიმართების პრობლემა იკვეთება.

ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „როგორ გამოიცვალა იგორ კობლუკოვი“. ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო პიროვნება გამხდარიყო, ინთექმება მასაში და მექანიზმს ემსგავსება, ყალიბდება მასის სტანდარტულ წარმომადგენლად; მას აღარ აქვს დამოუკიდებელი ფიქრის უნარი და, რაც ფიქტოლოგიურად ზუსტია, უკვე ღიზიანდება, როცა სხვებში ამ უნარს, ინდივიდუალობის რაიმე გამოვლინებას ხედავს. ოღონდ ეს მეტამორფოზა საკმაოდ სწორხაზოვნად, მარტივად არის წარმოსახული.

მოთხრობაში „მოხუცებული“ ფრთხილი და თანამგრძნობელი ირონიით არის ნაჩვენები „მასის ადამიანის“ სახე. ეს არის ცარიელი, უვნებო, „უხასიათო“ კაცი, რომელსაც ცხოვ-

რების მძიმე დარტყმა მხოლოდ ყრუ ტკივილს განაცდევინებს, სულიერ უძრაობას მხოლოდ ოდნავ შეუტოკებს.

მწერლის ლირიკული გმირი ბევრს მოგზაურობს და რამდენიმე მოთხოვა აგებულია ამ გმირის შინაგან უთანხმოებაზე გარემოსთან, რომელთან შეხებაც მოგზაურობისას უხდება. ეს არის უსახური ადამიანური გარემო, რომლის ერთგვაროვნებაშიც პიროვნების გამორჩევა ჭირს. ასეა, ვთქვათ, „გუცულებში“: ამაოა მოთხოვა გმირის ცდა, იპოვოს რაღაც ცოცხალი, პიროვნული გარეგნულად სიმპათიურ ქალში.

ასეთი ცდა წარმატებულია მოთხოვაში, „შუა ზაფხულში ყველგან ცხელა“. მისი გმირი ვაჟა ჯანდიერი (იგი რჩეულიშვილის არაერთი ნაწარმოების გმირია), რომელიც გამოთიშულია ზღვისპირა კურორტისთვის ჩვეულებრივ სასიყვარულო თამაშებს, მოულოდნელად თანამოაზრეს აღმოაჩენს ერთ რუს გოგონაში, ვინც მასავით კრიტიკულად და ირონიულად არის განწყობილი იმის მიმართ, რაც მათ ირგვლივ ხდება; ორივესთვის მიუღებელია ცხოვრების სტანდარტული წესი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთს ამსგავსებს.

ამ წაწრმოებთან ახლოა მოთხოვა „ზღვასთან მარტოდ-მარტო“. ვაჟა მარტოვა განიცდის, უპიროვნო ურთიერთობებს ვერ ეთვისება; შემთხვევით კავშირი ქალთან კიდევ უფრო მწვავედ აგრძნობინებს მარტოვა ას, ოღონდ ეს მარტოვა ახლა არსებითად გათავისუფლებაა, როცა დაიძლევა იმის მიმზიდველობა, რაც არანამდვილი და მდარეა.

უპიროვნო, შინაგან კონტაქტს მოკლებულ ადამიანურ ურთიერთობებს წარმოაჩენს მოთხოვა „პირველად ტრამალებში“. ამ ურთიერთობათა მიღმა რჩება ყველაფერი, რაც ადამიანს მართლა საკუთარი აქვს — ფარული ტკივილები თუ მისწრაფებები, ფიქრები, ბედი და წარსული. ადამიანები მხოლოდ გაკვრით, ზედაპირით ეხებიან ერთმანეთს, კვალს არ ტოვებენ ერთმანეთში. ისინი შენაცვლებადები არიან, ერთიმეორის მაგივრობის იოლად გამწვები. მოთხოვას დრამატიზმს სძენს ქვეტექსტი — ლირიკული გმირის დაუკმაყოფილებლობა წამდვილი, პიროვნული ურთიერთობის სუროგატებით.

გურამ რჩეულიშვილი მხატვრულად აანალიზებს და ააშკარავებს მასობრივი, უპიროვნო ცნობიერების სიჩლუნგეს.

მოთხრობაში „ნადირობა“ ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ პაპიროსისთვის თავის დანებება აღმატებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მასობრივი ცნობიერება განურჩეველია ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ — რა არის ადამიანის არსებობის აზრი. მისი თვალთახედვით, ჯანმრთელობა „კარგია“, მაგრამ რატომ არის „კარგი“, რისთვის ჭირდება ადამიანს ჯანმრთელობა, საერთოდ სიცოცხლე? ასეთი კითხვა მის წინაშე არ წამოიქრება. აქაც მწერლის ლირიკული გმირი კრიტიკული და ორონიულია მასობრივი ცნობიერების მიმართ.

მასობრივ-ყოველდღიური ცნობიერების სიბრმავე განსაკუთრებით მკვეთრად მუღავნდება მოთხრობაში „კიდე კარგი“, რადგან ის თავს იჩენს სიკვდილთან მიმართებაში. სიკვდილის აზრი (თუ უაზრობა) არ ხდება დაფიქრების საგანი, სიკვდილი არ განიცდება. ყოველდღიური ცნობიერება შეპყრობილია ყოფითი წვრილმანებით, რომლებსაც აპსურდულად აზვიადებს.

მაგრამ ის, რის მიმართაც მასობრივი, ყოველდღიური ცნობიერება უგრძნობელია, არსებითია პიროვნების ყოფიერებაში. უწინაარეს ყოვლისა სწორედ სიკვდილის გაცნობიერება, მისი არსებობის დაუვინყებლობა, მასთან შეფარდებით სიცოცხლის ფასეულობის გააზრება აქცევს პიროვნებად ადამიანს. სიკვდილთან დამოკიდებულება გურამ რჩეულიშვილის პროზაში ადამიანის სულიერი სიმწიფის და ლირსების საზომია.

მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ გმირი თავის ბიოგრაფიას გვიამბობს — ხალისიანად, მომხიბლავი უშუალობით, „ზედაპირულად“, როგორც ახალგაზრდისგანაა მოსალოდნელი. თვით ამბავიც უბრალოა, რამდენადმე ტიპიურიც: უფროსების სითბოთი გარემოსილი ბავშვობა, მერე სტუდენტობა, კითხვა, გატაცება პოეზიით, შეყვარება, სმა.. მაგრამ ამ გარეგანი სიმარტივის მიღმა სერიოზული სათქმელი შეიგრძნობა და ამოიცნობა. ნაწარმოები შესრულებულია მწერლისთვის ჩვეული ქვეტექსტის ტექნიკით — სტრიქონებს შორის თითქოს სიკვდილია ჩასაფრებული. ვგრძნობთ, რომ ლირიკულ გმირს წუთითაც არ ავიწყდება სიკვდილის არსებობა, მაგრამ ამის შესახებ ის ცოტას ამბობს, სიკვდილის მნიშვნელობა უჩინრად უფროა განფენილი

ნაწარმოებში. სიკვდილის ფენომენის პირისპირ ყოფნა მოთხოვობის პერსონაჟს აზრს, თვითშეგნებას უღვიძებს; ამიერიდან იგი სიცოცხლის ჰორიზონტზე სიკვდილს ხედავს, ცხოვრობს სიკვდილის თანდასწრებით; ამიტომ აღარ შეუძლია წინანდებურად, სტიქიურად იარსებოს — ახალ სიცოცხლეს ქმნის და ბედნიერია იმით, რომ სიკვდილის მიერ დატოვებულ სიცარიელეს ავსებს, ოღონდ ეს არის ბედნიერება სიკვდილის ფონზე; იდილიურ განწყობას და ტონს სიკვდილის ჩრდილი ეცემა, სიმშვიდე, ჰარმონია სიკვდილის და სიცოცხლის დროებითი ზავია. სიკვდილის გაცნობიერებას მოსდევს თვალახელილი პიროვნების ჩამოყალიბება, რომლისთვისაც სიცოცხლე ახლებურად ძვირფასია.

პოეტი ამბობს: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“ — სიკვდილი არამარტო საზარელია, არამედ ყოფნის გემოს და მადლის შეგრძნების გამამძაფრებელიც. სიკვდილის განცდას ადამიანი ყოველდღიურობის ბურანიდან გამოყავს. ვთქვათ, „შეყვარების“ გმირი ყოფის გამომფიტავ მონოტონურობაშია ჩანთქმული და მხოლოდ სიკვდილის განცდა აფხიზლებს ...

სიკვდილის საფრთხე დაანახებს სიცოცხლის ფასეულობას „ასვლის“ გმირს, შველის იქცეს შინაგანად ძლიერ, თავისუფალ პიროვნებად, თვალთახედვას უღრმავებს. „კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო... ან რა არის მუდმივობა, — სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს, ყოველ შემთხვევაში, მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე“.

სიკვდილი გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ სამყაროში მოულოდნელად, უცაბედად იქრება. ის სიცოცხლის შიგნითაა შეფარული და დროს უცდის, რომ თავი გაამჟღავნოს. მას სავსებით ამქვეყნიური და პროზაული იერი აქვს. მნერალი სიკვდილს ხატავს ყოველგვარი აფექტაციის და პათეტიკის გარეშე, ისე, რომ არსებითად არ ცვლის ჩვეულებრივ ტონალობას, არ ამძაფრებს ემოციურობას, მაღლა არ წევს ინტონაციას. მისთვის დამახასიათებელია ჯანსაღი, იდილიურად აუმღვრეველი განწყობის შეხამება დრამატულთან თუ ტრაგიკულთან. ასეთი შეხმება ორივე საწყისს ამკვეთრებს.

„ნელ ტანგოში“ არაფერი მოასწავებს იმ უბედურებას, რომელიც სულ მაღალ უნდა მოხდეს; თავიდან მოთხოვობაში

მშვიდი, უღრუბლო ატმოსფეროა, იგი თითქოს არც ირღვევა, ისე შემოიპარება სიკვდილი. პლასტიკურად, დანაკვთულად არის წარმოსახული სიკვდილთან ადამიანის ბრძოლის დინამიური სურათი. საერთოდ, მწერალს განსაკუთრებით ეხერხება ფიზიკური მოძრაობის, სხეულებრივი ანდა მთლიანი სხეულებრივ-სულიერი მდგომარეობების გამოსახვა. სულიერ ცხოვრებასაც ის ხშირად გარეგან ქმედებათა რიგით გადმოსცემს, როგორც ჰემინგუეის სტილისთვის არის ნიშანდობლივი; თუმცა საკუთრივ ფსიქოლოგიური ანალიზი, სულის უშუალო წვდომა გურამ რჩეულიშვილის პროზაში არანაკლებ ორგანულია.

სიკვდილი „ნელ ტანგოში“ ამჟღავნებს პიროვნების სულიერ სიძლიერეს, იმას, რომ იგი შიშის და ეგოიზმისგან თავისუფალი კაცია. ოლონდ მწერალი ჰეროიკულად ამაღლებულ სახეს არ ხატავს, არავითარ აქცენტს არ აკეთებს იმაზე, რომ ჰერსონაჟი განსაკუთრებული ადამიანია; პირიქით, ის სავსებით უბრალოდ, მიწიერად გამოიყურება და მაინც მისი სულის სიუხვე ცხადად იგრძნობა, მითუთრო ინერტულ და უვნებო ადამიანურ გარემოსთან კონტრასტში.

„ნელ ტანგოში“ გამლილი სიტუაცია უკიდურესად კრიტიკულია, ექსტრემალურია. გურამ რჩეულიშვილი არაიშვიათად ასეთ სიტუაციებში აკვირდება ადამიანს, მის ბუნებას, რადგან ისინი თვალნათლივ ავლენებ ადამიანის ნამდვილ რაობას, ადამიანის სულის სისუსტეს თუ ძლიერებას.

თუ „ნელი ტანგოს“ გმირი უძლებს ზღვრული სიტუაციით გამოცდას, ასეთ სიტუაციაში სხვანაირად წარმოჩნდება მოთხოვნის „ზღვა არცთუ ისე ღელავდა“ ჰერსონაჟი, რომელსაც თვითგადარჩენის ინსტინქტი მეგობარს სასიკვდილო განსაცდელში მიატოვებინებს. ეს ჰერსონაჟი თავის სინდისს გაურიგდება და სიმართლის მიჩქმალვას აპირებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია — ის მძიმე დილემის წინაშე დგება, ან სიმართლე უნდა გაამხილოს, ან მიიმალოს. ექსტრემალური სიტუაცია მოითხოვს, რომ ადამიანმა აუცილებლად და დაუყოვნებლივ ამოირჩიოს არსებულ შესაძლებლობათაგან ერთი, განახორციელოს არჩევანის ერთმნიშვნელოვანი აქტი. გურამ რჩეულიშვილი სასტიკ შემოწმებას უწყობს თავის გმირს. ის ადამიანისგან ბევრისმომთხოვნი მწერალია, ადამიანში ლირსე-

ბის, სულის სიმაგრის უშეღავათო მაძიებელი; ჭეშმარიტი ადამიანურობის ძიებისას მიმართავს იგი ექსტრემალურ სიტუაციებს.

* * *

გერმანელი მწერალი ალფრედ კურელა, მოთხრობის „სიკვდილი მთებში“ გმირი, სრულიად უეცრად დგება მეუღლის სიკვდილის პირისპირ. როგორ მოიქცევა ასეთ დროს ადამიანი, როგორ განიცდის და იაზრებს სიკვდილს, რა თვისებებს გამოამჟღავნებს — ყოველივე ეს მოთხრობაში მეთოდური მხატვრული დაკვირვების ობიექტია.

ამ მოთხრობაში, ისევე როგორც სხვა ნაწარმოებებში, მწერალი თითქმის არ წარმოსახავს იმას, რას გრძნობს და ფიქრობს თვით მომაკვდავი. ის აკვირდება სიკვდილის გავლენას „დამსწრეებზე“ და აფასებს მათ ამ გავლენის რაგვარობის მიხედვით.

არსებით ფსიქოლოგიურ სიმართლეს ამჟღავნებს კურელას პირველი რეაქცია უახლოესი ადამიანის სიკვდილზე — მას უცნაურობის განცდა იპყრობს. „კურელამ დიდი დრო გაატარა მთებში, — მაინც უცხო იყო აქ ყველაფერი, უცხო და უცანური; ხალხი უცნობი, მდინარე ცივი, ხმაურიანი; ეს იყო უცხო მხარე, სადღაც ერთდებოდნენ შეგრძნებაში სიმწესარე და შეუცნობელი, არამშობლიური. ყველაფერი ეს უფრო საოცარი იყო: ლოდიანებს შეა იწვა მისი მეუღლე — უკვე მკვდარი. მეუღლე, რომელიც ერთი საათის წინ ცოცხალი იყო, მხიარულად ლაპარაკობდა, და რომელთანაც ხუთი შვილი ჰყავდა“.

კურელა გარეგნულად მშვიდი, მხნე ჩანს, პრაქტიკულობაც შერჩენილი აქვს; გურამი და ვაჟა, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ მას თვალს, მის მშვიდ თავდაჭერას იმას მიაწერენ, რომ ამ ადამიანს ჯერ გაცნობიერებული არა აქვს მომხდარი, მაგრამ ამასთან ერთად ეჭვიც ჩნდება მისი უგრძნობლობის თაობაზე...

კურელა შინაგან წონასწორობას ინარჩუნებს განსჯის მეოხებით, ის ძალას პოვებს თავის რაციონალისტურ მსოფლგაგებაში. კურელას დამოკიდებულება სიკვდილთან გვახსენებს მის დიდ თანამემამულეს, გოეთეს, რომელმაც შვი-

ლის სიკვდილის შეტყობისას თქვა: „მე ვიცოდი, რომ მოკვდავი გავაჩინე“.

მაგრამ რაღაც აკლია, რაღაც არსებითი ხარვეზი დაყვება ამგვარ თვალსაზრის. ერთი მხრივ, მართლაც, სიკვდილი გარდაუვალობაა და მას ვერაფერს მოუხერხებ, უნდა შეეგუო. მაგრამ ადამიანი ხომ მხოლოდ აუცილებლობის სფეროს არ ეკუთვნის; თუ განსჯა იმეცნებს და ეგუება აუცილებლობას, ადამიანის გრძნობა, ტკივილი არ ეთანხმება მას, ითხოვს სამყაროს სასტიკი კანონის გაუქმებას. და ეს ადამიანის არსის და მოწოდებისთვის არანაკლებ შესაფერია, ვიდრე განსჯის წყალობით მიღწეული სიმხნევე.

აღმოჩნდება, რომ კურელას ადამიანური ბუნების სიმდიდრეც ვერ ეტევა რაციონხალიზმის მჭიდრო ჯავშანში. იგი ახლობლის სიკვდილს ხვდება როგორც სრულფასოვანი პიროვნება — სტოკურად, ნათელი აზროვნების უნარის დაუკარგავად და ამავე დროს ღრმა ტკივილით. ეს შეუთავსებს მოთხრობაში ერთმანეთს საპირისპირ მსოფლმხედველობრივ პოზიციებს, სიკვდილის ორგვარ განცდა-გააზრებას — გერმანულს და ქართულს; ასრულებს ნანარმოებში ფარულად თუ აშეკრად აღბეჭდილ დაბაბულ დისკუსიას თემაზე — რაში მუდავნდება ჭეშმარიტი ადამიანურობა სიკვდილის ნინაშე. მოთხრობაში უხვად გაბნეული დაკვირვებები იმაზე, თუ რანაირ განცდებს და ფიქრებს ბადებს ადამიანებში სიკვდილთან შეხება, ამ თემის ირგვლივ იყრის თავს.

სიკვდილს მთელი არსებით, გონებითაც და გრძნობითაც წვდება მოთხრობის ლირიკული გმირი გურამიც. ტრაგიკული ამბავი, რომლის შემსწრეც ის არის, მისი გამოცდაცაა, მას მტკივნეულ, ღრმა სულიერ გამოცდილებას სძენს. უწინარესად სამყაროს აღქმის ცენტრში მისი თვალთახედვის მოქცევით ენიჭება მოთხრობას აზრობრივ-ემოციური სისავსე და დინამიკა.

სიკვდილის ჭეშმარიტი შეგრძნება იკვეთება ამ ფენომენის ზერელე, ნელთბილი განცდის ფონზე. „ბოხმიანს თვალებზე ცრემლი მოადგა, მერე ხელი აიღო მალლა, ჩაიქნია, განზე გავიდა, იქვე დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგო. — ეტყობა, დაიღალა დგომით, — მიჩურჩულა ვაჟამ“. სიკვდილთან შეხვედრა გურამ რჩეულიშვილის პროზაში ადამიანთა

თვისებრივი განსხვავებების, მათი შინაგანი რანგის უტყუარი მაჩვენებელია.

თავის ნაწარმოებთა ერთ ნაწილში გურამ რჩეულიშვილი მწერალი-ექსპერიმენტატორია, რომელიც ადამიანის ნამდვილი ბუნების გამომავლინებელ მხატვრულ ცდებს ატარებს; არა „ლაბორატორიაში“ — პირობითი ნიშნების და სქემების გამოყენებით, არამედ „ნატურალურ პირობებში“, სადაც ყველაფერი სიცოცხლით ამოძრავებულია, გამოკვეთილი კონტურის და იერის მქონეა, მატერიით შევსებულია. ამას მოწმობს „სიკვდილი მთებშიც“, თუნდაც ბუნების პლასტიკურად თვალსაჩინო და ემოციურად მეტყველი სურათებით, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლება და ადამიანური ვნება-თაღელვის გამოსახვას შველის. მკაცრი მთიანი ლანდშაფტი თითქოს სცენაა, რომელზეც ადამიანების არსებობა უფრო მკაფიოდ გარშემოწერილია, უფრო რელიეფურად დასასახია. იგივე ითქმის რჩეულიშვილისეულ ზღვის პეიზაჟებზე.

ახალგაზრდა ადამიანის ცნობიერებაში სიკვდილის შესვლით გამოწვეული ძვრების ჩაძიებული ფსიქოლოგიური ანალიზია განხორციელებული მოთხოვნაში „მოლოდინი“. გურამი, რომელიც მომაკვდავ ბაბუას უვლის, დაძაბულად იხედება თავისთავში და იქ აღმოჩენილი ზოგი რამ მისთვის უსიამოვნოა. არის კი მკაფიო ზღვარი თანავრძნობას და ეგოიზმს შორის — ეს კითხვა, რომელიც ადამიანის სიღრმისეულ არსებას ეხება, ისმის სწორედ ექსტრემალურ სიტუაციაში, ახლობლის სიკვდილის მტანჯველი მოლოდინისას. გურამი გრძნობს, რომ მომაკვდავსაც ეგოიზმი ერევა. გამდაფრებული ყურადღებით ხატავს მწერალი აგონიას, ამჩნევს ადამიანის ბუნების ისეთ თვისებებს, რომლებიც სხვა დროს გაუმჯღავნებელი რჩება. პარადოქსულად ჭეშმარიტია, მაგალითად, მიხვედრა, რომ „როცა გტკივა, არ გინდა სიკვდილი“, თუნდაც მანამდე გენატრებოდეს იგი.

მოთხოვნაში არის პერსონაჟი-იდეოლოგი, რუსი სანიტარი ივანე, რომელიც სიცოცხლეს, თუნდაც ტანჯულს, უმაღლეს ფასეულობად აცხადებს, ტანჯვას ადამიანური ყოფნის ღრმა საზრისის მქონე საწყისად თვლის. თითქოს დოსტოევსკის რომელიაც გმირის ეგზალტირებულ მონოლოგს ვისმენთ: „გაუშვით, იყოს ტანჯვა ათჯერ მეტი! ის მაინც სიცოცხლეა!.. გესმის? იქ — ჯანდაბამი აღარაფერი აღარ

არის, აღარც ტანჯვაა. ტანჯვა? ამ სიტყვას, უფრო სწორად, განცდას ეგრე ნუ უყურებთ. ეგ მაღლა დგას ყველაფერზე, ეგ ყველაზე სასიამოვნო განცდაა, როცა იტანჯები, განსაკუთრებით, როცა ამ ტანჯვას სხვები ხედავენ. აი, ქრისტე იმიტომ ენამა, რომ დაენახათ“.

გურამს ტანჯვისადმი ასეთი აპოლოგეტური დამოკიდებულების გაზიარება უძნელდება. ივანეს მსჯელობა შთამბეჭდავია, მაგრამ სიკვდილის არეში მოხვედრილი ადამიანის მარტობასთან, შინაგან გამოცდილებასთან შეპირისპირებისას მისი მანუგეშებელი ძალა კლებულობს. იმ სფეროში, რომელშიც გურამი იმყოფება, გარედან საერთოდაც ვერავინ შეაღწევს, მას აქ ვერავინ შეეშველება. ეს მისი უსაკუთრესი სულიერი ცდის სფეროა, სადაც, თავისთავის ანაბარად დატოვებული, თავის შინაგან რაობას პოულობს.

მოთხოვობის გმირი საკუთარ თავში კვლავ და კვლავ მტკიცნეულად აღმოაჩენს ეგოისტური ინსტინქტის სიძლიერეს, რომელიც ექსტრემალურ ვითარებაში უფრო მკვეთრად ვლინდება. ეს ინსტინქტი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სიკვდილის შიში ალტრუისტულ განცდებსაც შინაგანად მსჯვალავს. მაგრამ ამასთანავე ქვეტექსტი გვაგრძნობინებს, რომ გურამს გულწრფელად უყვარს მოხუცი. არსებითად სიკვდილის ნინაშე იგი გამძლეობას და სულიერ სიფაქიზეს იჩენს, ოლონდ ამავე დროს ადამიანის რაობას საერთოდ და საკუთარ რაობას კერძოდ უკვე ადრინდელზე უფრო სწორად, მისი სისუსტით და არასრულყოფილებით ხედავს.

სიკვდილის სისასტიკე განსაკუთრებულად იგრძნობა, როცა ის ამახინჯებს თავისუფალი, ლალი ადამიანის სიცოცხლეს. ასეთი ადამიანია მუნჯი ახმედი.

არსებითად ახმედი პრიმიტიული, ცივილიზაციის მიღმა მყოფი, ბუნებასთან შეთვისებული ინდივიდია. ბუნება, ზღვა ჩუქნის მას მეგობარს — ლილის, რომელიც უყვარს თავისი უეშმაკო სულის მთელი ძალით და ბედნიერია ისე, როგორც, ალბათ, მხოლოდ უცოდველი ადამიანი შეიძლება იყოს ბედნიერი.

მოთხოვობაში პოეტურად, ამავე დროს რეალისტური სისადავით არის ნაჩვენები ახმედის და ლილის სიყვარული, მათი უზრუნველი არსებობა ბუნებაში, მათი წრფელი და ბუ-

ნებრივი ვნება. ეს თითქოს პირველი ადამიანების სამოთხი-სებური ყოფაა.

მაგრამ გურამ რჩეულიშვილის პროზაში იდილიურობა ტანჯვის და სიკვდილის მხოლოდ თხელი საფარველია.

ის, რომ პერსონაჟი მარტივი, ცივილიზაციასთან თითქ-მის უზიარებელი ადამიანია, მწერალს საშუალებას აძლევს უშუალოდ დააყენოს იგი სამყაროს არსისმიერი სიმარტივით გამოვლენილ მთავარ საწყისთა წინაშე — სიცოცხლის, სიკვ-დილის წინაშე. ახმედს ღუპავს არა შინაგანი კონფლიქტები ან კონფლიქტები გარემოსთან, არა სოციალურ ურთიერთო-ბათა დისპარმონიულობა თუ ადამიანთა ზნეობრივი მანკიე-რება, არამედ საკუთრივ სიკვდილი როგორც ამქვეყნად არ-სებული ბოროტების ძირი. ნახარმოებში სიკვდილის ფენო-მენი ძალიან ახლოდან არის დანახული, სიკვდილის ძალა — საგნობრივად ნაგრძნობი, როგორც, მაგალითად, თომას ვულფის მოთხრობაში „სიკვდილი — ამაყი და“.

სიკვდილს მრავალფეროვანი არსენალი აქვს, მის ხელთაა როგორც სწრაფად, ასევე შენელებულად მოქმედი იარაღი. ნელა, შემპარავად უახლოვდება არყოფნა ახმედს, აუჩქარებ-ლად, მაგრამ ჯიუტი თანმიმდევრულობით ფიტავს, უტოვებს მხოლოდ სხეულებრივ შეგრძნებებს, სიცოცხლის უმარტი-ვეს ნიშნებს. „სადღაც გაიქექა მისი შეგრძნება, მას შემდეგ აღარ ენახა ასე ახლოს ქალის სხეული. ახლა უყურებდა და ოდესალაც განცდილი მკრთალად უფორიაქებდა მიბერებულ სხეულს, ძალლი კი ულოკავდა მღამე ხელისგულს, სასია-მოვნოდ უთბობდა. ნელა წამოდგა, ჩირვით გადაჯდა მოხუცი ქალის გვერდზე. ისევ გაქექა ცეცხლი, დიდხანს უყურა, მერე დამჭერარი ხელი დაადო ქალის მკერდს. გაქრა გაღვიძებული შეგრძნება, მკერდი ცივი, უგრძნობელი იყო, გარეთ გავარდ-ნილი ლეკვი ისევ უყეფდა ლანდებს. ნელათრევით გადმოჯ-და თავის ადგილას ახმედი. ახლა სიშიშვლეს ვეღარ ხედავდა. მხოლოდ გრძნობდა, რომ სწყუროდა ნყალი. თუნგი მოიყუ-და. სვამდა დიდი, მძიმე ყლუპებით და უფორმო სიცოცხლე იპყრობდა მის სხეულს. ცივი წყალი გადადიოდა ყელში, ეღვ-რებოდა გულზე. სხეული გრძნობდა, რომ ის ცოცხალი იყო, ეს სიცოცხლე იჯდა დანგრეულ ქოხში, ნახევრად მიმქრალ ცეცხლთან, რომლის პირასაც იწვა ბებერი ქალი. ეს სიცოცხ-ლე გრძნობდა, რომ ლეკვი, რომელიც გარეთ ყეფდა, შემო-

ვიდოდა და ხელისგულს აულოკავდა, ცეცხლი, რომელიც ქრებოდა, ფიჩის შეკეთებისას ისევ დაიწყებდა თამაშს, ისევ გაანათებდა შიშველ მკერდს, ლეკვის ენას და კედელზე ჩამოვიდებულ ბადეებს“.

ეს პასაჟიც და მთელი ნაწარმოებიც შთამბეჭდავია შინა-განი ემოციური ძაპვის გადმომცემი ნიუანსირებული სახო-ვანებით, პლასტიკურობის და ფსიქოლოგიზმის განუყოფ-ლობით, ზედაპირზე ნაკლებშესამჩნევი, მაგრამ გამჭოლი ანალიტიკურობით, აზრის და სურათის მკაფიო რიტმულო-ბით ... სულისშემძვრელია სიკვდილის მიერ გადათელილი თავისუფალი სიცოცხლის ეს ისტორია.

გურამ რჩეულიშვილისთვის ადამიანის შეფასების ძირი-თადი კრიტერიუმი თავისუფლების ხარისხია — ეს არის თა-ვისუფლება შიშისგან, ეგოიზმისგან, ცხოვრების და აზროვ-ნების სტანდარტული, ანონიმური წესისგან. თავისუფალი, სრულფასოვანი ინდივიდუალობების ძიებას მწერალი ისეთ არეალებშიც მიყავს, რომლებიც დაშორებულია თანამედრო-ვე ცივილიზაციას. ასევა „ბათარეკა ჭინჭარაულშიც“.

მხატვრულ ნაწარმოებში მწერალს შეაქვს ეთნოგრაფიუ-ლი ნარკვევის, კულტურულ-ისტორიული ესეს ელემენტები. ესეიზმი საერთოდაც დამახასიათებელია მისი აზროვნების-თვის („ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“, „ნათე-ლა“...). გურამ რჩეულიშვილი ქმნის ხევსურეთის მეტყველ „პორტრეტს“, გვაზიარებს ამ მხარის სულს, ცოცხალი მხატ-ვრული სახის კომპონენტად აქცევს ერთი შეხედვით მხატვ-რულობისთვის უცხო მასალას.

„აქ პოეზია განუკითხავად ბატონობის პროზაზე, პოეზია თავისი „ულოგიკო“ ვნებებითა და გამოხატვის შეუდარებე-ლი დრამატული სიმშვენიერით. შემთხვევითი არ არის, რომ აქ ფოლკლორი, ნაჭედი ხევსურული ლექსი, როგორც ფორ-მის, ისე შინაარსის ღირსებით კლასიკურ სიმაღლეზე ადის. ყველა ხევსური, როგორც წესი, პოეტია. ყველაზე კარგს კი მათგან იგი დაწერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება, ვერმილნეულის ვნებით შეპყრობილი“.

ამ ნაწყვეტში მწერლის შემოქმედებითი მრწამსია ფორ-მულირებული. „პოეზია“, პოეტურობა გაგებულია როგორც გამოსახატი სულიერი მოძრაობების ინტენსიობა და მაღალი ძაბვა — ვნებიანობა, ასევე როგორც მათი უცნაურობა, გაუ-

გებრობა შეჩვეული ცხოვრებისეული ლოგიკის თვალსაზრისით. „პოეზიისთვის“ ნიშანდობლივია აგრეთვე ფორმის დამუხტულობა და მძაფრი ექსპრესიულობა. ეს ესთეტიკური მრნამსი უპირველესად თვით „ბათარეკა ჭინჭარაულშია“ ხორცესს მუდი.

მოთხრობის მხატვრული სინამდვილის, მისი გმირების ბუნების ამოცნობას გვიადვილებს „ვერმილწეულის ვნება“, რომელზეც ავტორი ლაპარაკობს.

„ვერმილწეულის ვნება“ არსებულის უკმარობის გრძნობაა. მზიას და ბათარეკას სწორედ ეს ვნება აწვალებთ, იგი ღრმა სულიერი ნათესაობით აკავშირებს ამ ორ თითქოს ყოველმხრივ განსხვავებულ ხასიათს. ეს ვნებაა იმის მიზეზი, რომ ორივე შინაგანად გაუცხოებულია ყოფითობისგან, ყოველდღიურობისგან.

შეუბოჭავი მოქმედება, სულიერი და ფიზიკური ძალების შეუფერხებელი გამოვლენა, სამხედრო ავანტიურა და ფათერაკია ბათარეკას სტიქია. თუ „ვერმილწეულის ვნება“ ბათარეკას გამუდმებით გარესამყაროსკენ ეწევა, მზიას ის საკუთარ სულში მოაძებნინებს თავისუფლების სამყოფელს, რომელსაც მისი ოცნება განაგებს და სრულიად მოწყვეტილია ხევსურების ყოველდღიურ ცხოვრებას. ეს პატარა გოგონა თავისუფლია და საკუთარ თავისუფლებას თავგანწირვით იცავს — ამ რომანტიკული მეოცნების თვითმკვლელობა მისი თავისუფლების უკანასკნელი, ტრაგიკული მოწმობაა.

მზიას და ბათარეკას — სინამდვილით დაუკმაყოფილებელი, თავისუფლებისკენ მსწრაფველი პიროვნებების კონფლიქტს პარადოქსულად ქმნის სწორედ მათი ბუნების ერთგვაროვნება, მათი არსების სხვადასხვა სახით გამოვლენილი რომანტიკულობა. ბათარეკა ხედავს, როგორი შეუთავსებელია მზია ჩვეულებრივ, „ნორმალურ“ ცხოვრებასთან და გრძნობს, რომ შვილს მისი სულის თვისება გამოყვა; ამით გამოწვეულ გაღიზიანებას იგი თავისი ექსტრავერტული ხასიათის შესაფერისად გამოხატავს, გარეთ მიმართავს. „ქალიშვილის თვალების მოშორებამ გონს მოაგო ბათარეკა და იმ ბრაზის გადმონთხევის საშუალება მისცა, რომელიც თავისი თავისადმი იგრძნო შვილის დანახვისთანავე. ეს ბრაზი იმ დანაშაულიდან მოდიოდა, რომელშიაც მას ბრალი არ ჰქონ-

და და რომლის გამოსწორებაც მას არ შეეძლო. ერთ ვნებად შეიკრა ის რაღაცის წინააღმდეგ ამხედრებული, სილის გაკვ-რით დაანთხია ქალიშვილს ყველაფერი...“.

უჩვეულოა „ულოგიკო ვნებების“ ლოგიკა, მოთხოვის გმირთა ტრაგედიის შინაგანი მოტივები.

თავისი შეუვალი თავისუფლებით მზია ჭინჭარაულს გვა-გონებს „დევების ცეკვის“ გმირი. იგი წარმოგვიდგება რო-მანტიკულ სახედ, რომელსაც დემონური ნიშნები აქვს მინი-ჭებული. ის, კარმენის მსგავსად, არ თმობს თავისუფლებას და ღუპავს მისი გულის დაპყრობის „ულოგიკო ვნებებით“ შეპყრობილ პრეტენდენტებს.

რამდენიმე მოთხოვის გურამ რჩეულიშვილი გატაცე-ბით ხატავს ცხენებს — ამაყ და თავისუფალ არსებებს. სწო-რედ მათი თავისუფლება ხიბლავს მწერალს და მათი მძლავრი ნების მოტეხვას, მათ დაბეჩავებას განიცდის მტკიცნეულად — მოვიგონოთ „სალამურა“, „ერთგული“, „თვირთვილა“ ...

შინაგანი ნათესაობა შესამჩნევი ამ ჯანსაღ და თავისუ-ფალ არსებებს და, ვთქვათ, მოთხოვის „სიყვარული მარ-ტის თვეში“ გმირს შორის, რომლის ახლადგაშლილი და საღი სიცოცხლე უღმერთოდ სახიჩრდება, ისევე როგორც მათსა და „ნათელას“ გმირებს შორის.

„ნათელა“ გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი უკანასკნე-ლი მოთხოვია და მის სტრუქტურას მეტი შემოქმედებითი სიმწიფის ნიშანი ატყვია. ლირიკული გმირი აქ უფრო ობიექ-ტურად წარმოისახება, ავტორს და ამ გმირს გაზრდილი მხატვრული დისტანცია აცალებულებთ, მათ ერთმანეთის მი-მართ მეტი დამოუკიდებლობა აქვთ მოპოვებული. პერსო-ნაჟთა სახეები კიდევ უფრო საგულდაგულოდ და ინდივიდუ-ალიზებულად იძერნება.

ეს არის მეტად ცხოვრებისმიერი, ნარკვევის მსგავსი ნა-წარმოები, იმავდროულად კი — ახდენილი კეთილი სიზმარი თუ ზღაპარი. გურამ რჩეულიშვილის პროზის ორი გამჭოლი ტენდენცია — „დოკუმენტურობა“ და პოეტურობა — ამ მოთხოვის სავსებით მთლიანდება. „ის იყო იმ მდგომა-რეობაში, რომლის შემდეგაც ადამიანს შეუძლია მაღლა აფრინდეს, თან აიტანოს მიწაც“ — ნათქვამია მოთხოვის გმირზე და აქ ნაწარმოების სტილის თვისებაც არის გამხელილი.

გიო თითქოს ბავშვობისდროინდელ სისუფთავეს და თავისუფლებას იბრუნებს, რაშიც არაჩვეულებრივი ბავშვი ეხმარება — სულით და ხორცით ჯანსაღი, გონიერი და გამბედავი, მომხიბლავი პატარა ქალი, გურამ რჩეულიშვილის პატარა უფლისწული. სამყაროსადმი ნდობას, გულგახსნილობას, შიშის და ეგოიზმისგან თავდალნევას აჩვევს იგი გიოს.

ტრაგიკულ მსოფლშეგრძნებას, რომლითაც გამსჭვალულია მწერლის შემოქმედება, მან თითქოს საგანგებოდ გადაუკეტა „ნათელას“ იმედით და შუქით სავსე პოეტური სინამდვილე.

სრულიად საპირისპირო ვითარებაა „ირინაში“ — გურამ რჩეულიშვილის პროზის თანმდევი ტრაგიზმი აქ უკიდურესად გამწვავებულია.

ნანარმოების ენობრივი ფორმა ენერგიით არის დატენილი; სიტყვებს და ფრაზებს შორის მყარდება ისეთი ურთიერთმიზიდულობა, აუცილებელი ურთიერთკავშირი, როგორც ნიშანდობლივია პოეზიის სრულფასოვანი ნიმუშების-თვის. ფორმის დაძაბულობა ადეკვატურად გადმოსცემს ლირიკული გმირის ინტენსიურ, განგაშით მოცულ შინაგან ცხოვრებას.

ქალს, რომელიც ამ გმირს მტკიცნეულად უყვარს, სიყვარული წარსულის ტვირთს ჩამოხსნის, იგი, ისევე როგორც მუნჯი ახმედი, თავისთავში მხოლოდ სიყვარულის სმას უგდებს უყრს, ეს არის მისი თავისუფლების საწინდარი. ფსიქიკის სირთულე, რეფლექსურობა უშლის ხელს გურამს, მიენდოს ირინას, რომელიც თვითონ ბავშვივით მიმნდობია, გადალახოს თავისი ეგოცენტრიზმი და სკეპტიციზმი, ურწმუნობა და სულიერად გაუმთლიანდეს მეორე ადამიანს; დაიჯეროს, რომ ბედნიერება შეიძლება ნაძღვილი იყოს და არა საშინელების საბურველი. გურამის ტრაგედია ის არის, რომ არ შეუძლია ირინასავით შინაგანად თავისუფალი იყოს. თხრობის სუბიექტურ-ლირიკული წყობის ფარგლებში მწერალი ახერხებს მიუკერძოებლობა და სიმკაცრე გამოავლინოს თავისი გმირის მიმართ.

* * *

ორ პოლუსს შორის არის განფენილი გურამ რჩეულიშვილის პროზა. ერთი მხრიდან მას მიჯნავს მასობრივი ცნობიერება, ცხოვრების უპიროვნო, სტანდარტული წესი, მეორე მხრიდან — თავისუფალ პიროვნებათა სამკვიდრებელი. მხატვრული აზრის შინაგანი დინამიკა პირველიდან მეორე პოლუსისკენ არის მიმართული. მწერალი თვალს ადევნებს მასიდან პიროვნების გამოცალკევებას, მასის და ინდივიდუუმის დაპირისპირებას; გვიჩვენებს შინაგანად დამოუკიდებელი, სულიერად მომწიფებული ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს; ექსტრემალური სიტუაციების მეშვეობით სინჯავს თავის პერსონაჟთა სულის სიმტკიცეს და სიფაქიზეს, მათ პიროვნულ ღირსებას; იდეალთან მიახლოების რომანტიკული ჟინით და ამავდროულად სინამდვილის რეალისტური წვდომით ქმნის თავისუფალ ადამიანთა მკვეთრ, განუმეორებელი გამომეტყველების მქონე სახეებს.

გურამ რჩეულიშვილის მხატვრული სინამდვილე აზრის საძირკველზე დგას. სამყაროს, ადამიანის, ადამიანთა ცხოვრების არსისკენ არის მიმართული მწერლის ანალიტიკური თვალთახედვა. თვით მისი მეტყველების სტილი ხან ფიქრის მიერ არის აფორისაქებული, ხან — ფიქრის მიერვე თვითიერ წესრიგში მოყვანილი.

ტალანტის ზრდა პირველ რიგში აზრის ზრდაა. გურამ რჩეულიშვილის მხატვრული აზრი კი განუწყვეტლივ იზრდებოდა და რთულდებოდა, სულ უფრო მეტ სიმწიფეს იძენდა.

1986

ყველაზე დიდი ვნება

არიან ადამიანები, ვისთვისაც ჭეშმარიტების წვდომის მოთხოვნილება საბედისნერო ვნებაა. სიბრძავეში, სიცრუეში ანდა სანახევრო სიმართლეში ცხოვრება მათვის გაუსაძლისია, იმის მიუხედავად, რომ ჭეშმარიტების ძიება ხშირად სახიფათო ავანტიურას წარმოადგენს — ყოველთვის შესაძლებელია ჭეშმარიტებისკენ მსწრაფველი უნუგეშო სანახაობის ან სიცარიელის ნინაშე აღმოჩნდეს.

„იულონი“ ასეთი ადამიანის დაწერილია, ჭეშმარიტების დაჟინებით მაძიებელი მხატვრის ცნობისწადილი იგრძნობა გურამ რჩეულიშვილის პიესაში.

„არ არსებობს ვნება აზრზე დიდი და შებრუნებით: აზრი არის ვნებათა შორის ყველაზე დიდი ვნება!“ — ამბობს გურამ რჩეულიშვილის გმირი. ვნებადეცეული აზრი თუ აზრადეცეული ვნება ის ძალაა, რომელიც გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ სამყაროს ქმნის.

არც ისე იშვიათად ჩვენ შეუმჩნევლად ვაიგივებთ ცივ-სისხლიან განსჯისმიერობას და ანალიტიკურობას, ვივინებთ, რომ ჭეშმარიტების ძიება ვნებაა და მისი ბედიც ისევე წინასწარგანუჭვრეტელი და შეუცნობია, როგორც ყველა სხვა ვნების.

გურამ რჩეულიშვილის პიესის ნიშანდობლივი თავისებურება სწორედ მაძიებელი მხატვრული აზრის მოძრაობის წინასწარგანუჭვრეტობაა, მხატვრული აზრის სპონტანური განვითარებაა. ეს არის ცდა, ექსპერიმენტი და არავინ შეიძლება იცოდეს, როგორი იქნება მისი შედეგი. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ხორცი ესხმება არა უკვე მოფიქრებულ კონცეფციას, არამედ თვით კონცეფციის დაბადების, ჩამოყალიბების მოწმე ვართ. ჩვენს თვალწინ ქაოსიდან წვალებით ინაკვთება სიმართლის სახე.

და სწორედ იმიტომ, რომ „იულონი“ ჭეშმარიტად ანალიტიკური, ვნებიანად ანალიტიკური ნაწარმოებია, არის მასში ირაციონალური, მხოლოდ ინტუიტურად შესაგრძნობი ელემენტიც. ეს ბუნებრივიც არის — თუ ლექსი, მოთხოვთ, რომანი, პიესა სამყაროს ერთგვარი მოდელია, მაშინ იგი სამყაროს მსგავსია იმითაც, რომ სრულად შემეცნებადი არ შეიძლება იყოს.

გურამ რჩეულიშვილის პიესაში ძლიერად ძგერს საიდუმლოს, ირაციონალურის განცდა, რასაც არაფერი აქვს საერთო ფსევდომისტიზმთან.

როგორც ჩანს, დაახლოებით ამგვარი იყო გურამ რჩეულიშვილის პრინციპული ესთეტიკური პოზიციაც. პიესაში ვკითხულობთ: „ნუ ვიხმართ აქ მაგ სიტყვას (იღეას) ... რადგან იდეა უკვე საზღვრავს რაღაცას, თითქოს ანკეტას ვავსებდე — თემა — ოჯახური ტრაგედია, იდეა — ? არაფერი, არაფერი არ მომდის თავში”; „ნაწარმოების კონკრეტული იდეა არის ის შეუცნობელი განწყობილება, რომელიც ქვეშეცნეულად მოქმედებს მნახველზე, მკითხველზე, ემატება წვეთებად მის საკუთარ იმდროინდელ განწყობას და აღრმავებს მას...“.

ეს „შეუცნობელი განწყობილება“ ახლავს რჩეულიშვილის პიესას. მწერალი როგორდაც თავიდანვე ქმნის შეხუთულ ატმოსფეროს, ავისმომასწავებელი წინათვრდნობით მუხტავს თავისი ნაწარმოების შინაგან სივრცეს — ოთახს, სადაც ათი ახალგაზრდა კაცი შეკრებილა, რათა ერთ-ერთი მათგანის პიესა დადგან და განიხილონ.

სპექტაკლი პიესაში — ასეთი კომპოზიციური ხერხით არის აგებული „იულონი“. ცხადია, ეს ხერხი გურამ რჩეულიშვილისთვის თავისი გარეგნული ეფექტურობით არ არის ღირებული. მის ფუნქციას არ შეადგენს რეალობის ილუზიის პირობითობით ჩანაცვლება, მითუმეტეს პირობითობის მეშვეობით თანგანცდის ისე განელება, როგორც ბრეხტის დრამატურგიაში ხდება. საერთო აღნაგობით „იულონი“ მოგვაგონებს ლუიჯი პირანდელოს პიესას „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“, მაგრამ თუ პირანდელოსთვის არსებითა ტრადიციული თეატრის ფორმათა შინაგანი დაშლა და სინამდვილესთან მათი შეუსაბამობის გამოვლენა, გურამ რჩეულიშვილს სხვა, ჩვენთვის უფრო მტკიცნეული საფიქრალი აქვს. პიესაში სპექტაკლის შეტანა მას ჭირდება ქართველი ადამიანის არტისტული ხასიათის კვლევისთვის, რაც უკეთესად უნდა მოხერხდეს არტისტულსავე სიტუაციაში.

ქართველი რომ არტისტია ბუნებით, ეს არაერთხელ გვსმენია. ამ ბანალურ მოსაზრებას გურამ რჩეულიშვილი მკაცრი ანალიზის საგნად აქცევს და მოულოდნელ აქცენტებს უძებნის.

მნერალმა შეძლო არამარტო ბევრი ღრმა და ზუსტი აზრი, დაკვირვება გაეზიარებინა ჩვენთვის არტისტიზმის ფენომენზე, არამედ, რაც მთავარია, თავისი გმირებისთვის ჩაედგა არტისტული სული, დაეხატა ინდივიდუალობები, რომლებიც ხელშესახებად წარმოგვიდგენენ ეროვნული ხასიათის არტისტიზმს მისი ცხოვრებისული გამოვლინებების სიუხვით. პიესაში განსჯა ეროვნული ხასიათის შესახებ სახეობრივ აზროვნებას არის დამორჩილებული, განუწყვეტლივ მონძლება პერსონაჟთა ბუნების, მათი ურთიერთობის წარმოჩენით.

არტისტიზმი გურამ რჩეულიშვილის პიესის გმირთა ორგანული თვისებაც არის და მათი ციებცხელებიანი რეფლექსის თემაც.

რეფლექსია, თვითანალიზი რჩეულიშვილის პიესაში პერსონაჟის სახის აგების წამყვანი პრინციპია, რაც იწვევს ადამიანის კონცეფციის შესამჩნევ გართულებას. „იულონი“ უპირველეს ყოვლისა სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა. ადამიანი აქ წარმოდგება როგორც მრავალ ფენად დახლეჩილი ცნობიერების მქონე არსება, რომელსაც შინაგან ამოუწურაობას ანიჭებს თვითანალიზის უჩვეულოდ განვითარებული უნარი. მას გამუდმებით მხედველობის არეში ჰყავს თავისი თავი, გამუდმებით ცდილობს ამოიცნოს საკუთარი არსება. თვითანალიზის, რეფლექსის ჭრილში ასე „დოსტოევსკისებურად“ დანახულ ადამიანს ნაკლებად იცნობს XX საკუუნის ქართული ლიტერატურა (ყოველ შემთხვევაში, „არაპოეზია“).

ოღონდ რამდენადაც რჩეულიშვილის მიერ წარმოსახული ადამიანი ქართველია, რეფლექსის უნარს მის არსებაში ხვდება ასევე სისხლორცში გამჯდარი არტისტიზმი.

და იგი იტანჯება თავისი არტისტიზმის გამო, რადგან მისი მძაფრი სურვილია იყოს ბუნებრივი და გულწრფელი, ხოლო არტისტიზმი ნებით თუ უნებლიერ ხელს უშლის ამაში. ამიტომ პიესის გმირების კომუნიკაცია გაძნელებულია და დროდადრო აბსურდულობის შთაბეჭდილებაც ჩნდება, წარმოიქმნება გაუგებრობები, „უსაგნო“ დავა, კონფლიქტები.

თვითეულს აღიზიანებს მეორის არტისტიზმი, საფრთხეს ხედავს მასში, რადგან არტისტულობა, რჩეულიშვილის კონ-

ცეფციით, უწინარესად ყურადღების ცენტრში მოქცევის სურვილია, რაც სხვების ჩრდილში დატოვებას მოასწავებს.

გურამ რჩეულიშვილი გამჭოლი ანალიზით ააშკარავებს არტისტიზმის ფენომენის წინააღმდეგობრიობას, დიალექტიკურ ბუნებას. ყველაზე მოულოდნელი და მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ატისტიზმა შეიძლება ბოროტება წარმოშვას, ცოდვა ამრავლოს.

არტისტიზმს მინებებული, არტისტიზმით შთაგონებული ჩადის მკვლელობას იულონი: „მე მეჩვენება, რომ ახლა ოდიპოს მეფესავით ვდგავარ შუა სცენაზე, თქვენ კი გამოგიშვერიათ ხელები ჩემკენ და იძახით: იულონ! იულონ! ეს წამი არის უმაღლესი წერტილი ჩემი დამაღული არტისტულობისა... ეს წამი, როცა მთელი ყურადღება ჩემზეა მომართული, ღირდა იმ ცოდვად, რაც მე ჩავიდინე და რომ შეიძლებოდეს ამ წამის გამეორება, ახლიდან ჩავიდენდი იმ ცოდვას. ახლა მე მესმის ტორეადორისა, რომელიც ჩემსავით დგას შუა არენაზე, მომზადებული უდანაშაულო მსხვერპლის განსაგმირავად... მთელი ცირკი მისი სიცოცხლის ყოველ რისკს ბლავილით ხვდება, და აი, დგება წამი, როცა ის და ხარი სამარისებურ სიჩუმეში უახლოვდებიან ერთმანეთს, კაცის ხელი, რომელსაც იარაღი უჭირავს და ბრმა რქები! და ხდება ის! მკვლელობა! მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ამოიქშინებს და ბლავის, ყვირის: ტორეადორ — ტო-რე-ადორ! მე მესმის ყურებში ამ ერთი წამის, მთელი ყურადღების წამის დღესასწაულებრიობა, ხმები იყოფიან, ერთდებიან, ისევ იძახიან: იულონ! იუ-ლონ! აი, წამი ჩემს ცხოვრებაში სავსე და უდიდესი, იდგე ყურადღების ცენტრში...“.

იულონს ამოძრავებს ზეპიროვნული ძალა, რომელსაც დანარჩენი პერსონაჟებიც ატარებენ შინაგანად. ამიტომ ვერ გაასამართლებენ ისინი იულონს და ამბობენ, რომ იგი მათი „ძმაა“.

ქართველი ადამიანი ძნელად ურიგდება თავის უმნიშვნელობას, უჩინარობას და თვითდამკვიდრებისკენ, გამორჩეულობისკენ და ყურადღების ცენტრისკენ დაშინებულმა სწრაფვამ ის შეიძლება მორალის მიღმა დააყენოს. შეუვალი მხატვრული ლოგიკით არის გამოვლენილი ეს მნარე ჭეშმარიტება.

მაგრამ პიესაში გაცხადდება არტისტიზმის სხვა ასპექტებიც — იგი არსებულით უკმაყოფილება და ყოფნის უფრო მაღალ ფორმათა ძიებაც არის, სილალის და პიროვნული ღირსების, ადამიანების სრულფასოვანი შეკავშირების გამოხატულებაცაა, ადამიანებისადმი სიყვარულის გამხელის საშუალებაა. ასეთი არტისტიზმი ხორცმესხმულია რჩეულიშვილის ლირიკულ გმირში.

მისი სახე ცხადყოფს, რომ „სცენაზე ყოფნა“, ყურადღების ცენტრში ყოფნა მაშინ არის გამართლებული, თუ არტისტიზმი შემოქმედებაა. მწერლის ლირიკული გმირის არტისტიზმი სწორედ შემოქმედებითია — თავისი თამაშით, არტისტიზმით ის ქმნის სპექტაკლს, აშიშვლებს სინამდვილის სასტიკ სახეს, რათა განხორციელდეს კათარზისი; ეგოცენტრული არტისტიზმის ალტერნატივაა არტისტულ-შემოქმედებითი ენერგიის ახლის ქმნადობაში ხარჯვა...

თავისი პიესით გურამ რჩეულიშვილმა შეგვახსენა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ერის არსებობის შიდახედები უნდა გადახსნას, რომ იგი უნდა ეძებდეს პასუხს მტკიცნეულ კითხვაზე — როგორ წარმოდგება ქართული ეროვნული ხასიათი თანამედროვეობაში.

გურამ რჩეულიშვილის პიესაში გამოვლენილია არაერთი თვისება, რომლებიც ამ ამოცანის დასაძლევად არის საჭირო — სამყაროს ტრაგიკული აღქმა და საბედისწერო წინააღმდეგობების გამომჟღავნების უნარი, ადამიანის ფსიქიკის ხლართებში შემღწევი მზერა, ზღვარდაუდები მართლისმოყვარეობა და მასზე დამყარებული ჰუმანიზმი.

1983

ოთარ ჭილაძე

სივრცის ორი სახე

ოთარ ჭილაძის პოეზიის ურბანისტული ხასიათი უპირველეს ყოვლისა ვლინდება გარესინამდვილესთან ლირიკული გმირის გაუცხოებულ-გაძნელებულ ურთიერთობაში, რაც ოთარ ჭილაძის პოეტური სამყაროს სივრცულ წყობასაც აჩნევს კვალს — პოეტის არაერთ ლექსში „მოქმედების ადგილს“ ბინა, ოთახი ნარმოადგენს. ოთახი ოთარ ჭილაძის პოეზიის მყარი სივრცული სახეა.

ოთახში ყოფნა ოთარ ჭილაძის პოეზიის ენაზე ნიშნავს გარესამყაროსგან არამხოლოდ ფიზიკურ, არამედ სულიერ იზოლირებასაც.

ოთახი მუდამ აშკარად არ ჩანს, ზოგჯერ უჩინრად მონაწილეობს სამყაროს ლირიკულ ჭვრეტაში, მხოლოდ მინიშნებულია როგორც ლირიკული გმირის ადგილსამყოფელი, როგორც ოპტიკური ცენტრი, საიდანაც იგი სინამდვილეს აღიქვამს.

„ვით სიმარტოვის სული (ხილული) გაშეშებულა ჰაერში ბოლი და დანასავით ბრწყინავს ყინული, უკვე განვლილი ცხოვრების ტოლი. ოთხივე მხრიდან მიყურებს მთვარე, სიზმრის ლეშივით აგდია თოვლი, და ყრუდ გუგუნებს ქალაქი გარეთ, უკვე განვლილი ცხოვრების ტოლი“.

„გარეთ“ აქ მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი, რასაც ლირიკული გმირი ხედავს და ისმენს, დანახული და მოსმენილია დახურული სივრციდან, დისტანციდან, რაც ხილვათა გაუცნაურებულ, გაუცხოებულ იერშიც მუდავნდება.

ოთახი როგორც ხედვის პუნქტი პოეტური აღქმის გაუცნაურების საყრდენია აქაც: „მარშანაც ასე დაიწყო ზუსტად, უცებ გადაწყდა ფოთლების საქმე და მხოლოდ ერთი, ყველაზე სუსტი, ხელისგულივით აწვება სარკმელს. მოცოცავს ლურჯი ასფალტის ხავსი, შიშვლდება ქუჩა და სახეს კარგავს და გაქვავებულ მდინარის მსგავსად ყველაზე უფრო თავის თავს არ გავს“.

სამყაროს ასეთი დაძაბული და ნაცნობის უცნობად მქცეველი ხედვა დამახასიათებელია ოთარ ჭილაძისთვის და რეალობისგან გარკვეულ სიშორეს გულისხმობს.

შიდა და გარე სივრცეთა დაპირისპირება მსჭვალავს ოთარ ჭილაძის პოეზიას. ამ დაპირისპირების კონტექსტში „შიგნით“ ლირიკული გმირისთვის გათავისებული გარემოა, რომელიც იფარავს მას; „გარეთ“ მოასწავებს იმას, რასაც ადამიანის სულში შეშფოთება, სიუცხოვის გრძნობა შეაქვს; „შიგნით“ სპეციფიკურად ადამიანური სივრცეა, „გარეთ“ — ადამიანისთვის არასაიმედო.

თუმცა ეს ორი სამყარო ერთმანეთისთვის შეუვალი არ არის, ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

„მაგრამ ზამთარში ღამდება ადრე და ღამე შუბლით ან-ვება კარებს, გარეთ კი ამტვრევს პროსპექტის ჭადრებს იან-ვრის ქარი... და ცივა გარეთ“.

ქალაქში მოთარეშე მიუსაფრობის სული ცდილობს „შიგ-ნითაც“ შეიჭრას, მაგრამ ადამიანი ხელოვნების, მუსიკის წაყლობით იგერიებს პირქუშ ურბანულ-ინდუსტრიულ სი-ნამდვილეს და თითქოს აკეთილშობილებს კიდეც მას. „და მავთულებიც რაღაცას გრძნობენ, რაღაცას, დღემდე უც-ნობს და საშიშს, და ნუგეშივით უსმენენ შოპენს, დაჭიმუ-ლები ნაცრისფერ ცაში“.

ლექსშიც „ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით“ ბინა და გარესამყარო დრამატულად უპირისპირდებიან ერთმა-ნეთს და აქაც მუსიკა ამკვიდრებს „შიგნით“ საკუთრივ ადა-მიანურ, სულიერი ფასეულობებით განმტკიცებულ რეალო-ბას, რომელიც ცივ და ულიმლამო გარერეალობას გადაძალავს.

„ქუჩებში წვიმდა“ ერთ-ერთი ის ლექსია, სადაც აგრეთვე იგრძნობა შიდა და გარე რეალობათა დაპირისპირების დრა-მატიზმი. ლირიკული გმირის გაუცხოება გამოიხატება მისი სივრცული შემოზღუდულობითაც, რომელსაც გარესინამ-დვილე უტევს: „ქუჩებში წვიმდა. მე ვიყავ მარტო, ვუსმენდი წვიმას და თუთუნს ვწევდი და ოთხკედელში მოქცეულ ფარ-თობს წვიმა ავსებდა საკუთარ სევდით. მე ჩემი მქონდა და მსურდა მშვიდად მეძებნა ჩემი სევდის მიზეზი. მაგრამ ვიღა-ცა სახურავს მხდიდა და ჩამდიოდა წვიმა კისერში...“.

ლექსი გვიჩვენებს, თუ როგორ უბიძგებს ლირიკულ გმირს დიდი შემოქმედის — გალაკტიონ ტაბიძის — დალუპ-ვა, დატოვოს თავისი მარტობის სამყოფელი და საერთო უბედურება გაიზიაროს.

თუ აქ „ოთხკედელში მოქცეული ფართობის“ მიღმა გასვლა იძულებითი აქტია, სხვა შემთხვევებში დახშული სივრცი-დან გაღწევა ლირიკული გმირის ღრმა სულიერ მოთხოვნილებად წარმოდგება.

ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირი არ ეგუება თავის სიუცხოვეს, სინამდვილისგან სიშორეს, ინტენსიურად ეძებს საკუთარი მიკროსამყაროს გადალახვის და დიდ სამყაროს-თან შეერთების გზებს. ასეთი ძიება დაპირისპირებას „შიგნით-გარეთ“ შესამჩნევად უცვლის აზრს.

„როდესაც ცივა, როდესაც ბნელა, როდესაც მხოლოდ ქარია გარეთ, ჩემს თვალში ფასი ეწევა მელანს და საგანგებოდ ჩაკეტილ კარებს. ჯანდაბას იქით წყეული წიგნი, ვის რაში უნდა, რაც უკვე უთქვამთ, მე მინდა ჩემი სუნთქვა და ფიქრი იქცეს შენს ფიქრად, იქცეს შენს სუნთქვად“.

პოლარული წყვილი „შიგნით-გარეთ“ ცხადად იკვეთება; ლირიკული გმირი შეიძასივრცეს აფარებს თავს, მაგრამ ოთახში ყოფნა ამჯერად გარესინამდვილისგან სულიერ მოწყვეტასაც კი არ ნიშნავს, არამედ ამ სინამდვილესთან შინაგანი შეკავშირების ცდას აძლევს იმპულსს. დაშორება გარესამყაროსგან მასთან გაღრმავებული ურთიერთობის წყურვილს ბადებს — შემოქმედების სტიმულად იქცევა; შემოქმედება, პოეზია ოთარ ჭილაძისთვის მარტობის გარღვევა და ჭეშმარიტი ადამიანური კომუნიკაციის დამყარებაა.

ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირის გაუცხოებას და ამავე დროს იზოლირების გადალახვისკენ მის სწრაფვას ფაქიზად გამოხატავს ლექსი „მე ვკითხულობდი“. ლირიკულ გმირს კვლავ გარერეალობისგან გამიჯნულ არეალში, ოთახში ვხედავთ, მისი განწყობილებაც თითქოს ამის შესატყვისია, მაგრამ სინამდვილეში ეს განწყობილება წინააღმდეგობრივი და მერყევია: „მე ვკითხულობდი. მომწყინდა ფიქრი და ვკითხულობდი. ხმამალლა წვიმდა. სარკმელში ქარი არხევდა ხეებს, დამძიმებულებს ხანგრძლივი წვიმით... სადღაც კიოდნენ მატარებლები, გახვეულები ორთქლში და ბოლში, და თითქოს ვიღაც იდგა ბაქანზე, ვიღაც ძალიან ძვირფასი ჩემთვის...“.

ლირიკული გმირის წარმოსახვა ცილდება ოთახის სივიწროვეს და გარესივრცისკენ არის მიმართული. ამის მიზეზი ჩაკეტილობის დაძლევის, სამყაროსთან ზიარების სურვილია. იგი აღმოაცენებს უცნობის სახეს, რომელთანაც ლირი-

კული გმირი სულიერ ნათესაობას გრძნობს — ეს არის ნამდვილი ადამიანური ურთიერთობის მონატრება.

ჭეშმარიტი კომუნიკაციის მონატრებაზე არანაკლებ ნიშანდობლივია ისიც, რომ უცნობი, ვისთანაც ლირიკულ გმირს შეხმიანება სურს, უკვე გასულია ლია, ფართო სივრცეში, რომელსაც რკინიგზა ასახიერებს.

რკინიგზა ოთარ ჭილაძის პოეზიის ისეთივე მუდმივი სივრცული სახეა, როგორიც ოთახია. ოთახის და რკინიგზის პოლარულ სახეთა ურთიერთმიმართებაშიც მულავნდება ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირის გაუცხოებული ფსიქოლოგია და ამასთანავე მისი დაძლევის ენერგიული მცდელობა.

ამ სახეებით გამოხატულ მსოფლმიმართებათა შეჯახებაა ალბეჭდილი ლექსში „მუშებს მოქონდათ სილა და კირი“. ლირიკული გმირისთვის მათ შორის არჩევანის გაკეთება იოლი არ არის, მისი არჩევანი თანდათან მწიფდება. გარესამყაროს ხედები თვალს სტაცებენ მას, სინამდვილე თავისი მარადიული სიახლით წარმოუდგება მის მზერას. „დრო გადიოდა და ზამთრის პირზე ტყე შიშვლდებოდა უხმოდ და უცებ. მერე ამაყად ყვაოდა ისევ და იმაგრებდა ფესვებს და ყუნწებს“. სიცოცხლის მოძრაობის ამ სურათთან კონტრასტს ქმნის ლირიკული გმირის გახევება დახშულ სივრცეში, მაგრამ ეს იზოლირებული უძრაობა სისხლსავსე ცხოვრებიდან მოღწეული ხმებით ირყევა.

„და სადგურები ისევ კიოდნენ და ნათდებოდნენ ბნელში ფანჯრები, დრო კი ბრაზობდა და გადიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვამჩნევდი. მე კვლავ ხელებში ვმალავდი სახეს და ვუყრუებდი სადგურის ძახილს და მიყვებოდა უჩინარ არხებს ათასნაირად დაღლილი ხალხი“.

თუმცა ლირიკული გმირი ენინააღმდეგება გარესინამდვილის ექსპანსიას, მაინც დიდ სამყაროში გაღწევის ნება მძლავრობს. „და უკვე ვგრძნობდი, რომ ჩემი სულიც გაიბნეოდა ამ კედლებს შორის და შეყვარებულ ბიჭივით სულელს გამიტაცებდა სადგურის ბოლი.“

„სადგურის ბოლი“ ქვეყნიერებასთან შესახვედრად წაიყვანს ოთარ ჭილაძის ლირიკულ გმირს, რკინიგზა მას სამყაროს, ყოფიერების სისავსესთან და მრავალფეროვნებასთან აერთებს.

ბესიკ ხარანაული

აზრის სილალე

პოეტის წიგნზე, კრებულზე მსჯელობა, ალბათ, მხოლოდ მაშინ ღირს, თუკი მასში სისტემური მთლიანობის მიგნება მოხერხდება.

რა თქმა უნდა, მთლიანობაც სხვადასხვაგვარია: ენობრივ-სტილური, ინტონაციური, თემატური... მაინც ყველაზე ძნელი და ყველაზე ღირებულიც პოეტის მიერ მსოფლხედვის ერთიანობის მოპოვებაა, სამყაროს და ადამიანის ერთიანი კონცეფციის გამოკვეთაა.

ბესიკ ხარანაულის წიგნში — ლექსები, „მერანი“, 1979 — გაერთიანებულ ნაწარმოებებს დატანებული აქვთ სიღრმისეული, გამამთლიანებელი კონცეპტუალური სამაგრი, რამდენადაც წიგნის ცენტრში დგას ლირიკული გმირი, რომელსაც დახშვია სამყაროს წესრიგთან ზიარების საუკუნეობით ნაცადი გზა — შემთხვევით არ იხსნება კრებული ვრცელი პოეტური მოხოლოგით „სირცხვილის შემდეგ“, ლაიტმოტივად რომ გასდევს: „რატომ დამივიწყე მე, მარიამ...“; იგი ცხოვრობს არა უეჭველი, მტკიცედ დადგენილი ორიენტირების და ფასეულობების იმედად, არამედ იძულებულია ყოველდღიურად თვითონ, დამოუკიდებლად ეძებოს ადამიანური არსებობის დახლართულ სირთულეში გარკვევის, რეალობაში ადამიანურად დამკვიდრების შესაძლებლობა. ცალკეულ ნაწარმოებს ემჩნევა ამ სულიერი და ეთიკური სიტუაციის, ინდივიდუალურად მისაკვლევ ორიენტირებზე ფიქრის განუწყვეტელი პროცესის ანაბეჭდი. ყოველი მნიშვნელოვანი ლექსი სამყაროში დამოუკიდებელი, ძნელი თვითდაფუძნების ცნობიერი აქტის, ეგზისტენციალური არჩევანის ანატვიფრია. ბესიკ ხარანაულისთვის პოეზიის ზეამოცანა სამყაროში სიცხადის შეტანა და იმის აღმოჩენაა, რაზეც ადამიანს დანდობა შეეძლება.

ბესიკ ხარანაულის პოეტური ხმა დაღლილობით არის გამსჭვალული. ეს არის გამჭვირვალე საზრისის გარეშე დარჩენილ სამყაროში ჩავარდნილის დაღლილობა, რომელიც მუ-

დამ თავიდან უნდა ეცადოს საკუთარი ყოფნის გამართლებას. ბესიკ ხარანაულის ინტონაცია რეალობის ლაბირინთში ხეტიალით გაბეზრებულის იმედგაცრუებად გაისმის, მასში ცდომილებათა ნამსხვრევებით მოკირნყლული შემეცნების გზის გამომვლელის საყვედური თუ სინაზულია ჩაღვრილი...

თუმცა ბესიკ ხარანაულის მეტყველების დალლილი ელე-გიური ტონი გარკვეული თვალსაზრისით „პოზაც“ არის, — ცნობიერად არჩეული და შენარჩუნებული — ეს შემოქმედის, მხატვრის „ცბიერებაა“, რომელიც მას თამაშის და ნიღბისკენ უბიძებს...

ბესიკ ხარანაულის ლექსში თვით ინტონაციური წყობაა სააზროვნოდ მომართული, ფიქრის აღმომცენებელი. მელან-ქლილით შეფერილი მელოდია, მეტწილად მდორე, უხალისო რიტმი აზროვნების მტკივნეული პროცესის არამარტო ადეკ-ვატური მხატვრული მატერიალიზებაა, არამედ თავის მხრი-ვაც ახდენს პოეტური განსჯის „პროვოცირებას“; შეიცავს მის აღმძვრელ და მაცოცხლებელ ფარულ სტიმულებს, ზედ-მიწევნით შესაფერის „გარემოს“ წარმოადგენს აზრის ძალ-დაუტანებელი განვითარების და მომწიფებისთვის.

ბესიკ ხარანაულის ინტონაციის, საერთოდ პოეტიკის ბუ-ნების ძირითადი მსაზღვრელი ირონია.

გაუცინარი, პირქუში, თუმცა შემწყნარებელი ირონია და თვითირონია ბესიკ ხარანაულის პოზიას ძველი, ჩაკირული ტკივილით აუღერებს, იგი სულიერ იარათა გამჟღავნების დახვეწილი, ინტელექტუალიზებული ფორმაა.

ამასთანავე ბესიკ ხარანაულისთვის ირონია მაგნიტია პოეზიასთან სინამდვილის მისაზიდად, მისაახლოებლად. მი-სი მეშვეობით აღიძვრება მხატვრული შთაბეჭდილება, რომ თითქოს ცხოვრების ხორცლიან გარსს ვახებთ ხელს. „ხის ძირში — კატის ცინდალები ჭრელი ყვავილებივით, თითქოს კი არ შობეს, არწყიეს. დიასახლისმა გადმოყარა, მაგრამ ღამემ პირი არ ახლო“.

ირონიის დახმარებით ისხამს ხორცს ბესიკ ხარანაულის სწრაფვა ლირიკული ეგოცენტრიზმის გადალახვისკენ. ირო-ნია, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, კი არ ზრდის დისტან-ციას პოეტს და სინამდვილეს შორის, პირიქით, ერთმანეთს შეაჯახებს მათ.

ირონიას უკავშირდება ბესიკ ხარანაულის პოეტიკის ერთი გამორჩეული თავისებურებაც.

ბესიკ ხარანაულის სახეებს, შედარებებს, ასოციაციებს არა აქვთ უცდომელი სიზუსტის, საგანთა და მოვლენათა უეჭველი მსგავსების აღმოჩენის პრეტენზია. ისინი თითქოს მოიცავენ საკუთარ შესაძლებლობათა შეზღუდულობის ცნობიერებას, თითქოს თვითირონიით არიან აღჭურვილი და ეს იცავს მათ ბანალობის და გაქვავებისგან, ახალ სულს ჩაუდგამს მხატვრული სიცოცხლისთვის. პოეტს მაინცდამაინც არ სჯერა ტროპის „უსუსური ფეთქებადობის“ (პოლვალერი) და მის პირობითობას ააშკარავებს. ამის შედეგად აზრი თუ გრძნობა უჩვეულო სიმართლეს და სინედლეს იძენს. ამგვარ ასოციაციათა ჭავლებს ხარანაულის ლირიკაში თან მოყვება სპეციფიკური პოეტური თავისუფლება: ისინი წარმოშობენ შთაბეჭდილებას, რომ მოწმე ვართ უზრუნველი ესთეტიკური თამაშის, სახეობრივი მეტყველების საკუთრივ პროცესით გამოწვეული ტკბობის. „...ცოტაც და მშობლები, რომლებმაც გაზარდეს და მასწავლებლები, რომლებიც წვრთიდნენ, ფეტვის მარცვლებივით გადაუყრიან მათ თავს ცხოვრებას, არა, ვარსკვლავებად არ იყიაფებენ! ფეტვის მარცვლებივით, ფეტვის მარცვლებივით, ფეტვის მარცვლებივით გადაუყრიან იმათ ცხოვრებას...“. პოეტი აგემოვნებს თვითეულ სიტყვას თუ ფრაზას, თითქოს ეძნელება მასთან განშორება, არტისტულად ეთამაშება ენის სტიქიას.

ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეულია, რადგან მკითხველის მიერ ვერლიბრის ესთეტიკურ ფენომენად აღქმა უფრო ძნელად მისაღწევია, ვიდრე — ტრადიციული ლექსის, სადაც უკვე მეტრი ადასტურებს, რომ ჩვენს წინაა არა ჩვეულებრივი გამონათქვამი, არამედ მხატვრული სიტყვიერი ქსოვილი. თავისუფალ ლექსში კი აუცილებელია განსაკუთრებული მცდელობა, რათა იგი სასაუბრო, ყოველდღიურ მეტყველებასთან მიმსგავსების შედეგად არ მოირდვეს და დაქვეითდეს, არ იქცეს ულიმდამო ყოფით ლაპარაკად...

ბესიკ ხარანაულის ლირიკაში ირონია გონებისმიერ საწყისს გადასცემს იმ ძალმოსილებას და შეუზღუდაობას, რომელიც საერთოდ ემოციის პოეტურ გამოვლინებათათვის არის ნიშანდობლივი. ირონია ანიჭებს ხარანაულის ლირი-

კულ გმირს თვითფლობის შენარჩუნების საშუალებას, მისი წყალობით გონების თვალი ამაყად, თავდაჯერებით დასცქერის ყოველივე იმპულსურს... პოეზიაში ხშირად გვიგვრძნია მიამიტობის მშვენიერება, მაგრამ იქნებ მასში ნაკლებად მომხიბლავი არ იყოს „არამიამიტობა“ — ცნობიერების უკიდურესი სიფხოზლე და სიმკაცრე, მისი მოუსყიდველი სკეპტიციზმი მზერის დამბინდველის მიმართ, აზრის უნარი, სტრიკურად მოიგერიოს გრძნობად იმპულსთა შემოტევები.

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ძლიერ ემოციას აღკვეთილი აქვს დაუკოკებლობა; იგი აზრის ნადავლადაა ქცეული — საგულდაგულო ანალიტიკური დაკვირვების საგანი ხდება. ხარანაულის პოეზიის ხიბლს ბევრად განაპირობებს ემოციას და გონების დინამიური ურთიერთმიმართება, რომლის არსი ის არის, რომ ირონიით აღჭურვილი აზრი თანდათან, ფარული ნეტარებით, თავშეკავებული სილალით და არტისტიზმით იმორჩილებს გრძნობისმიერ ელემენტს...

ამასთან ერთად ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ღრმად არის აღბეჭდილი ამოუხსნელის და, შეიძლება ითქვას, სასწაულებრივის განცდა, ოღონდ იგი რამდენადმე გარიდგებულია თავისი გამოვლენის აგზნებულ სპონტანურობას და სინამდვილის ირონიულ-ანალიტიკურ ჭვრეტასთან არის შეუღლებული.

ჩვენ შეჩვეული ვართ ვერლიბრის როგორც რაციონალისტურ ხედგასთან მისადაგებული სალექსო კონსტრუქციის დახასიათებას, სადაც ყველაფერი ბოლომდე გააზრებულია, გაცნობიერებულია. მაგრამ ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ხშირად ადამიანური არსებობის ისეთი წახნაგებია თვალშევლებული, რომლებიც მხოლოდ პოეტური ინტუიციით მიიწვდომება.

ბესიკ ხარანაულის ლექსი, წინარე სიმბოლისტური პოეტიკის საპირისპიროდ, ლოგიკურად ნათელი და ფხიზელია, სიზმარეულად მერყევ ატმოსფეროში არ არის გახვეული და მაინც ხშირად ერთბაშად ვერ იპოვი მასში ჩამარხულ აზრს, მისი შინაგანი არსი ეწიხააღმდეგება ერთმნიშვნელოვან გაგებას, რადგან ეს არის სამყაროს უსასრულო იდუმალების გამოკრთომა.

ოღონდ სინამდვილის ყოფით, პროზაულ განზომილებას ბესიკ ხარანაული არც ასეთ შემთხვევებში წყდება. „კარტოფილის ამოლება“ პოეტის მეთოდის გამხელაც არის, პოეტის,

რომელიც მოთმინებით ასრულებს „შავ სამუშაოს“, არ თაკი-
ლობს „დღიური პროზის“ ფენების ამობრუნებას, რადგან
იცის, მიწის ბელტს შეიძლება ანაზღად ისეთი რამ მოყვეს,
რისთვისაც ლირდა გარჯა და ყოფაში ყოფიერება გამომზე-
ურდეს. „შენი სუნთქვა შერჩა ჩემს ხელისგულს, როდესაც
პირს გიმუნავდი გამნარებული, რადგანაც შენ იძახოდი სა-
შინელ სიტყვებს, სიტყვებს, რომლებიც მაშინებდნენ მთელი
სიცოცხლე. და მე, დამტრთხალი და მიწასთან გასწორებუ-
ლი, ყურებს კი არ ვიგმანავდი იმ სიტყვებისთვის, შენს პირს
ვასრესდი. და აი, რა მოვიმოქმედე! შენი სუნთქვა შერჩა ჩემს
ხელისგულს...“.

ყოველდღიურობის მტვრით დაფარული და ყოველდღიუ-
რობაზე ამამაღლებელი ჭეშმარიტების ძიების პათოსი იცავს
ბესიკ ხარანაულს ერთი საფრთხისგან, რომელიც უწინარე-
სად თავისუფალ ლექსს ახლავს.

ვერლიბრში განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ლირი-
კული გმირის დემოკრატიზაციის ტენდენცია, საერთოდ და-
მახასიათებელი თანამედროვე პოეზიისთვის. დღეს პოეტს
სულ უფრო ხშირად აქვს ჩამოცლილი გამორჩეულობის შა-
რავანდედი, სულ უფრო ხშირად ჩამოდის იგი ნათელმხილვე-
ლის და ქადაგის კვარცხლბეკიდან და ჩვეულებრივ ადამიანს
უახლოვდება. მაგრამ ხდება ისეც, რომ მიახლოება იგივეო-
ბად იქცევა და ლექსში ორდინარულ სუბიექტს ვხვდებით, იმ
პიროვნების ნაცვლად, რომელშიც რაღაც იშვიათმა და
ძვირფასმა გაიღვიძა.

ბესიკ ხარანაულს არიდებული აქვს ამ ტენდენციის არა-
სასურველი შედეგები, რადგან არ ივიწყებს პოეზიის მიზანს,
რომელსაც ალექსანდრ ბლოკი ასე განსაზღვრავს: „საშუა-
ლოადამიანურზე რაღაც უფრო საინტერესოს მოპოვება
ადამიანთა ცხოვრების მდარე გამონადნობის გროვაში“.

1981

ჯემალ ქარჩხაძე

თავისუფალ პიროვნებად ყოფნა

მიზანდასახულად თუ სპონტანურად ყველა მწერალი თავისი ქვეყნის და ხალხის ხატს ქმნის და მწერლის შეფასების ერთ-ერთი სანდო კრიტერიუმი ისიც არის, თუ რამდენად საინტერესო და მეტყველია, ჭეშმარიტია ეს ხატი. ამასთანავე, რაც უფრო მეტად უღრმავდება ლიტერატურა ნაციონალურ სინამდვილეს, მით უფრო უნივერსალური ხდება იგი თავისი მნიშვნელობით.

ჯემალ ქარჩხაძე იყო ქართული საზოგადოების, საქართველოს შესანიშნავი მხატვარი-ანალიტიკოსი, რომლის შემოქმედება გვეხმარება ჩვენი ეროვნული რაობის შეცნობაში. მის პროზაში ლიტერატურის უმთავრესი კითხვა — რა არის ადამიანი — გაიაზრება როგორც კითხვა ქართველი ადამიანის ბუნების თაობაზე და პირუკუ.

ჯემალ ქარჩხაძისთვის დამახასიათებელმა რეალობის ჩაძიებულმა კრიტიკულ-ანალიტიკურმა ხედვამ ყველაზე სრულყოფილი გამოხატულება მის მიერ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში დაწერილ ნანარმოებებში პოვა. მან მნვავედ იგრძნო ქართული საზოგადოების სულიერი, ზნეობრივი კრიზისი და განახორციელა მისი უტყუარი მხატვრული ანალიზი.

ირონია, რომელიც ყოველთვის ნიშანდობლივი იყო ჯემალ ქარჩხაძის თვალთახედვის და სტილისთვის, განსაკუთრებულ სიბასრეს და ელვარებას იძენს ვრცელ მოთხოვებებში „სოლომონიანი“, „გუბე“, „იუპიტერის სინაზული“. ამ ნანარმოებთა პერსონაჟები ექცევიან დაუნდობლად ძლიერი მხატვრული განათების არეში და აბსოლუტურად გამჭვირვალეები ხდებიან.

აქ ღრმად არის გახსნილი თემა, რომელიც ჯემალ ქარჩხაძეს ყველაზე მეტად აინტერესებდა — ადამიანში პიროვნების დაბადება თუ ვერდაბადება.

„გუბეში“ ავტორი თითქოს ჯოჯოხეთს გამოატარებს თავის პერსონაჟს, რომლის ბრმა სულშიც ეგოიზმი, სიხარბე,

ჯიბრი, მეწვრილმანეობა ფუთფუთებს — მან მტკიცნეული დარტყმები უნდა მიიღოს, რათა თვალი აეხილოს, დაინახოს მთელი თავისი უბადრუკობა, შინაგანი სიღატაკე, თავისი არსებობის იდიოტურობა. მოთხოვთა წარმოგვიდგება ეგო-ისტური, თავისთავში დახშული, სიცოცხლის სუფთა წყარო-ებს მოწყვეტილი ცნობიერების შემზარავ მხატვრულ ფენო-მენოლოგიად.

პიროვნებად ვერ იქცევა „სოლომონიანის“ გმირი, პატრი-ოტი და წესიერი კაცი, რომელმაც ვერასდროს ვერ შეძლო თავისი ნების და აზრის დამკვიდრება და იცხოვრა არა მის მიერ არჩეული, არამედ სხვებისგან თავსმოხვეული ცხოვრე-ბით. იგი ვერ აცნობიერებს, რომ მისი სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძე პირველ რიგში თავისუფალი პიროვნება იყო და ილიას მიმდევრობა უწინარეს ყოვლისა თავისუფალ პიროვ-ნებად ყოფნას ნიშნავს. ბრწყინვალე ირონიით იხატება, რო-გორ გამოუტანს ულმობელ განაჩენს, როგორ „ჩამოქერს“ მოთხოვთა სულიერად შეზღუდულ, შებოჭილ პერსონაჟს ისტორია, რომლის ახალი ეტაპიც მკაცრად მოითხოვს, რომ ქართული პატრიოტიზმი თავისუფალი პიროვნების იდეას დაემყაროს და თავისი ინტელექტუალური, კულტურული თვალსაწირი გაიფართოვოს.

პიროვნულობის მთავარი მონინაალმდეგე, ჯემალ ქარჩ-ხაძის თვალთახედვით, არის სიყალბე, ნიღბოსნობა. ისეთ ნიღბოსანს, როგორიც არის ნერონი „იუპიტერის სინაულ-ში“, მხოლოდ პიროვნებად ყოფნის თამაში შეუძლია, ნამ-დვილად მნიშვნელოვანი და საინტერესო პიროვნება ის ვერ იქნება. ფსევდოპირვნებისთვის მიუწვდომელია პიროვნუ-ლი საწყისის დამამკვიდრებელი ისეთი ძირეული ფენომე-ნები, როგორებიცაა სიყვარული და შემოქმედება. ნერონი ცდილობს თვით სიცრუე აქციოს შემოქმედებად, ხელოვნე-ბად, მაგრამ ეს „ხელოვნება“ პირდაპირი, უხეში ძალადობის დახმარების გარეშე სრულიად არაეფექტიანია. ჯემალ ქარჩხაძის მიერ დახატული არტისტული ტირანი შინაგანად უბადრუკია, საკუთარი არასრულფასოვნების ფარული გრძნობით გამოღრღნილი, ნამდვილი ადამიანური ფასეუ-ლობებისადმი ბრმა. მისი სიძლიერე სხვების სისუსტეების შემჩნევის და გამოყენების უნარი და სხვათა ტკიცილის გან-ცდის უუნარობაა. ბევრისშემძლეობის მიუხედავად თავისი

არსით იგი არარაობაა, რითაც ზიუსკინდის „პარფიუმერის“
მთავარ გმირს გვაგონებს.

სიყალბე იმიტომ არის პიროვნული საწყისის ჩამხშობი,
რომ პიროვნება უპირველესად ჭეშმარიტების ძიების, დამ-
კვიდრების, ჭეშმარიტი ყოფნის ნებაა. ასეთია „იგის“ გმირი,
პირველი პიროვნება დედამინაზე, რომლის დაპადების სას-
ნაულიც სიყვარულის და შემოქმედების სტიქიათა ძალების
მიერ ხორციელდება და რომელსაც მწერალი პირველყო-
ფილი ადამიანის სამყაროს უჩვეულოდ დამაჯერებელი და
შთამბეჭდავი გაცოცხლებით წარმოსახავს. ეს გმირი აგნებს
ადამიანური ყოფიერების ჭეშმარიტ წესს და არ შეუძლია,
რადაც უნდა დაუჯდეს, ამ წესის შესატყვისად არ იარსებოს,
არ გამოამჟღავნოს და დაამკვიდროს ის, რაც აღმოაჩინა —
მას ღრმა სულიერი ნათესაობა აკავშირებს ვაჟა-ფშაველას
გმირებთან.

ჭეშმარიტებასთან თანხმიურებაში ყოფნის ასეთივე ნება
წარმართავს „ანტონიოსა და დავითის“ ერთ-ერთი მთავარი
პერსონაჟის, ევროპელი ადამიანის არსებობასაც. მისი შე-
მოყვანა ქართულ სინამდვილეში საშუალებას აძლევს მნე-
რალს გვიჩვენოს ამ სინამდვილის სულიერ-ზნეობრივი სუბ-
სტანციის დამლის შიდახედი, სინამდვილის, რომელიც უნი-
ნარესად სწორედ პიროვნების თავისუფლებას და თვითრეა-
ლიზებას, თავისუფალ პიროვნულ აქტთა განხორციელებას
ეწინააღმდეგება.

ჯემალ ქარჩხაძე თვითონ იყო ადამიანი, რომელმაც
თავისუფალ პიროვნებად ყოფნის სიძნელე დაძლია. და სანამ
შეგვიძლია პატივს მივაგებდეთ ასეთ ადამიანებს, სანამ შეგ-
ვიძლია ის სიმართლე გავითავისოთ, რომელიც მათ ქართუ-
ლი სამყაროს შესახებ გაგვიმჟღავნეს, გვრჩება შანსი ამ
სამყაროში რაღაც სასიკეთოდ შევცვალოთ.

2000

ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაა

დროის სიღრმიდან ჩვენამდე

ქართულ ლიტერატურას, სადაც ყველაზე კონცენტრირებულად და თვალსაჩინოდ არის გამოხატული მისი შემქმნელი ხალხის მსოფლმხედველობა, დროის სიღრმიდან ჩვენს დრომდე მოყვება ამ მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ლაიტმოტივი — სამყაროსადმი ადამიანის აქტიური, შემოქმედებითი, განმაახლებელი დამოკიდებულება.

მისი პირველივე რელიეფური გაცხადება მითუფრო შთამბეჭდავია, რომ მომხდარია იქ, სადაც თითქოს ნაკლებად არის მოსალოდნელი — აგიოგრაფიულ ნაწარმოები. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მთავარი გმირის რელიგიური აღმაფრენა მასშტაბურ და ინტენსიურ აღმშენებლობაშია განივთებული. გრიგოლს, შემოქმედებითი სულით დაჯილდოებულ და ახლისმაძიებელ ადამიანს, იზიდავს უცხო, ძნელი და წინააღმდეგობის გამწევი გარემო, რომელსაც თავისი მძლავრი ნებისყოფით ათვინიერებს. ის შეუპოვარი თანმიმდევრულობით აქცევს უდაბურ არეს სულის საცხოვრისად, სულიერად იშყრობს უცნობ სივრცეს. უკაცრიელი, ველური ბუნების მოშინაურება, მატერის ურჩობის, ადამიანთა ყოფის ქაოტურობის დაძლევა და ახალი, სრულფასოვანი რეალობის აღმშენებლობა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წარმოდგება როგორც ღმერთის შემოქმედების გამგრძელებელი ადამიანის ლირსება. გრიგოლ ხანძთელი „უდაბნოთა ქალაქმყოფელია“ — სამყაროს სრულმქმნელი, მისთვის ორგანიზებული სახის მიმნიჭებელი, მოუწესრიგებელ სინამდვილეში ზნეობრივი და სოციალური წესრიგის დამამყარებელი.

ავთანდილი, რომელიც ქართული ლიტერატურის ცენტრალურ პერსონაჟად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა აშკარად განსხვავდება მერჩულეს მიერ მონუმენტურად გამოქანდაკებული ასკეტისგან, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით მისი მემკვიდრეც არის: სამყაროსადმი აქტიურ-შემოქმედებითი, გარდამქმნელი მიმართება მათ საზიარო აქვთ. ოღონდ ავთანდილის მოძრაობის და აქტივობის სივრცე უკვე უსაზღვროდ გაფართოებულია, მთელ ქვეყნიერებას იტევს.

იგი გამსჭვალულია უცხოს და უცნობის შეცნობის ახლებური განწყობით. აქტიურობა და დინამიურობა ავთანდილის ბუნებრივი თვისებებია, მაგრამ მისი ქმედება შესატყვისი, მკაფიოდ გაცნობიერებული და ფორმულირებული მსოფლმხედველობრივი მრნამსითაც არის წარმართული. ეს არის აქტივიზმის ფილოსოფია („არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“). ავთანდილი ცვლის, სრულყოფს სამყაროს თავისი იდეალური წარმოდგენების შესაფერისად. მას სურს შექმნას ის, რაც ადრე არ არსებობდა, ანდა არსებობდა და დაირღვა — ყოვლისმომცველი ჰარმონია.

ლიტერატურის მკვლევარებს შემჩნეული აქვთ გარკვეული თანხვედრა „მერანის“ და „ვეფხისტყაოსანის“ შორის, მსგავსება „მერანის“ გმირს და ავთანდილს შორის, რომელიც მოიცავს ცალკეულ სახეებს და მოტივებს. მაგრამ აქ შეინიშნება უფრო ღრმა და არსებითი ერთიანობაც, სამყაროსადმი აქტიური, გარდამქმნელი დამოკიდებულების ერთნაირი აღიარება ადამიანური ყოფიერების ძირეულ პრინციპად. „მერანის“ გმირის მსხვერპლგამღები აქტივობა გამიზნულია უკეთესი სამყაროს დასაფუძნებლად, სადაც ადამიანის თავისუფლება ძლევს ბედისწერას, ამ აქტივობის მძლავრი სტიმულია სამყაროს სრულყოფის ვნება. ეს გმირი თითქოს გამოუვალ ვითარებაში აღმოჩენილი ავთანდილია, ხოლო მისი მსოფლიმართება ტრაგიკული ასპექტით გამუღავნებული ავთანდილის მსოფლიმართებაა, რომელიც მოითხოვს სამყაროს სრულყოფის ცდას თუნდაც თავისშეწირვის ფასად.

ილია ჭავჭავაძის ეული თერგის სახე „მერანთან“ გენეტიკურად ჩანს დაკავშირებული. ოლონდ ილია როგორც რეალისტი უკვე მთლიანად ცხოვრებას, ობიექტურ რეალობას გაიაზრებს ენერგიულ, შეუჩერებელ აქტივობად. თერგის ხატი ილიასთვის ადამიანური არსებობის ჭეშმარიტი წესის განმსაზღვრელი პარადიგმაა, რომელიც გულისხმობს სამყაროსადმი დაუდგრომლად ქმედით მიმართებას. ეს პარადიგმა განხორციელდა თვით ილიას მოღვაწეობაში — გახევებული ქართული სინამდვილის სასიკეთოდ გარდაქმნის, განახლების ნაყოფიერ და ამავე დროს ტრაგიკულ ცდაში.

სამყაროს სრულყოფის კენ მიმართული აქტივობა უმაღლეს ზნეობრივ და ესთეტიკურ ფასეულობად წარმოდგება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ეს უპირველეს ყოვლისა

ეხება ალუდა ქეთელაურის სახეს. დაკანონებულ და ამდენად შეუმჩნეველ ბოროტებაში ჩაფლული გარემოს ეთიკურ ჭეშ-მარიტებათა შესატყვისად გარდაქმნის, სრულქმნის მოთხოვნილებით აღძრული ალუდას აქტივობა ფატალურად შე-ეჯახება მასის სულიერ ინერტულობას — თუ ბარათაშვილის „მერანში“ სამყაროს გარდასახვისკენ სწრაფვის ჩამხმობი ბედისწერა აბსტრაქტულია, ვაუს ეპიკურ პოეზიაში იგი კონკრეტდება როგორც მასის გადაულახავი შინაგანი უძრაობა...

აქტივიზმის როგორც სამყაროსთან დამოკიდებულების პრინციპის მოულოდნელ განსახიერებას ვპოვებთ ვაუს მინიატურაში „მთანი მაღალი“. თითქოს მიწას დაშორებული მთები უშფოთველ თვითჭვრეტაში უნდა იყვნენ ჩაძირული, მაგრამ მათი სტატიკურობა გამძაფრებულ სულიერ აქტივობას ფარავს. მთების დაუსრულებელი მოლოდინი ნიშნავს სულის დაძაბულ ლტოლვას სიახლისკენ, ჯერ შეუცნობის შეცნობისკენ — „უნახავის დანახვისკენ“.

სულიერი ხასიათისაა მძაფრი აქტივობა გალაკტიონის „ლურჯა ცხენებშიც“, მისი მასაზრდობელი აგრეთვე „უნახავის დანახვის“ ჟინია. ლურჯა ცხენების სახე სიმბოლურად გამოხატავს შემოქმედებითი ცნობიერების დაუდგრომლობას, შემოქმედებითი ფანტაზიის განუწყვეტელ აქტივობას, რომელიც ყოფიერების ახალ-ახალ ფენებს წვდება და ეუფლება, სიკვდილის ფენომენსაც განჭვრეტს და გამუდმებით აფართოებს შეცნობილის საზღვრებს. საზრისგამოცლილი, საშინელი სამყაროს პირისპირ, სადაც სიკვდილი ბატონობს, პიროვნების არსებობის გამართლებაა პროდუქტიული შინაგანი აქტივობა, იმის მიუხედავად, რომ იგი სამყაროს პრაქტიკულად ვერ გარდაქმნის.

გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობაში“ სამყაროსადმი აქტიური დამოკიდებულება ხორცშესახმელად კონკრეტულ-ემპირიულ სინამდვილეს უბრუნდება. „ალავერდობაში“ გმირი ამკვიდრებს შემოქმედებითი შრომის უმაღლეს ფასეულობას, რომელიც სრულყოფს სამყაროს და ადამიანს სულიერი უძრაობისგან, სულიერი სიკვდილისგან იცავს. შემოქმედებითი შრომა საკრალური ფენომენია, რომელიც ადამიანის არსებობას აზრით და სიცოცხლის ძლიერი ხებით, სიცოცხლის სიხარულით მსჯვალავს და რომლის მეშვეობითაც ადამიანი სამყაროში ადამიანურ წესრიგს აფუძნებს; ნამდვილი,

ღრმა რელიგიურობა ვლინდება ახლის ქმნადობაში, აღმშენებლობაში, სამყაროს სრულქმნის განუწყვეტელ ცდაში.

მეთე საუკუნის აგიოგრაფიულ ნაწარმოებს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ და მეოცე საუკუნეში დაწერილ მოთხოვნას აერთიანებს აღმშენებლობის, სამყაროს სრულმყოფელი აქტივობის მომხიპვლელობის ღრმა განცდა.

იმ ნიშნებს შორის, რომლებიც ქართულ კულტურას დასავლურთან აახლოებს, ერთ-ერთი ძირითადი სწორედ სამყაროსადმი აქტიურ-შემოქმედებითი მიმართების მაღალ ფასეულობად დასახვაა — დასავლეთი თავიდანვე იმას ესწრაფის, რომ „არამხოლოდ ჭვრეტდეს ჭეშმარიტებას იდეალების სამეფოში, არამედ განახორციელოს კიდეც იგი, იდეის მეშვეობით აამაღლოს სინამდვილე აუცილებელ დონემდე. დასავლეთი დარწმუნებულია, რომ მან სამყაროს ფორმირება უნდა მოახდინოს“ (კ. იასპერსი).

საქართველოს ყოფიერების ტრაგიზმს ისტორიულად ისიც შეადგენდა, რომ ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის და ფასეულობათა სისტემის არსებითი საწყისი — სამყაროსადმი აქტიური, სრულმქმნელი მიმართება ვერ პოვებდა შესაძლებლობას, ადეკვატური სისავსით განხორციელებულიყო კულტურაში და სოციალურ ცხოვრებაში. დამახასიათებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სამყაროსადმი აქტიურ-გარდამქმნელი დამოკიდებულების მხატვრულ განსახიერებათა მთავარ ტონალობად დრამატიზმი ან ტრაგიზმი იქცევა, რაც ამ პრინციპის სინამდვილეში რეალიზების დიდ სიძნელეს ირკელავს. მაგრამ ნაციონალურ მსოფლგაგებაში შემონახული, მხატვრულ კულტურაში საუკუნეთა სიგრძეზე თანმიმდევრულად და მკვეთრად აღბეჭდილი მიმართება სამყაროსთან მაინც ცხოველმყოფელობას ავლენდა. ის, რომ ჩვენს მსოფლმხედველობაში სამყაროსადმი აქტიური და სრულმყოფელი დამოკიდებულება ადამიანისთვის ღირსების მიმნიჭებელ ფასეულობად არის აღიარებული, აქეზებდა შემოქმედებითი ბუნების ადამიანებს, აღვივებდა მათ შესაძლებლობებს.

საქართველოს შემდგომი არსებობის რაობა ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ სამყაროსადმი სრულმქმნელი მიმართება რამდენად შეძლებს დამკვიდრებას და თავისთავის რეალიზებას ჩვენს კრიზისულ სინამდვილეში.

სტადიები

ამა თუ იმ დროის რაობა განსაკუთრებული თვალსაჩინო-ებით აშკარავდება მის ბინადარ საშუალო, რიგით ადამიანში. საგულისხმო აზრს შეიცავს მორიაკის გამონათქვამი, რომ „კაცობრიობა მის შეუძლიანებები უნდა შევისწავლოთ“.

პერსონაჟები, რომელთა შესახებაც ვაპირებთ საუბარს, საშუალო ადამიანები არიან, ზოგი კი სულაც „პატარა ადა-მიანის“ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგრამ მათი ხასიათი, ცხოვრება, ბედი საკმაოდ ბევრისმთქმელია სხვა-დასხვა პერიოდის ქართული საზოგადოების სულიერ და ზნეობრივ მდგომარეობაზე, ქვეყნის და ხალხის ბედზე. ისინი განასახიერებენ ქართველი ადამიანის ეროვნული, სოცია-ლურ-პოლიტიკური და სულიერი დათრგუნვის სხვადასხვა სტადიებს, ამგვარ დათრგუნვაზე საშუალო ქართველის რეაგირებებს.

პერსონაჟთა ამ მწკრივის სათავეში ვაჟა-ფშაველას მოთხოვნის „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილის“ გმირი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ვაჟას პეროიკულ-ტრაგიკულ, ზედროულ სამყაროში იგი უცხოდ გამოიყურება, რადგან XIX საუკუნის მიწურულის უღიმდამო ქართულ სინამდვილეს უშუალოდ ირეკლავს. „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილში“ ვაჟა სატირიკო-სად გვევლინება და თუმცა როგორც ყოველთვის შემბრალე და გამგებია, ამით სატირის სიცხარე არ ნელდება.

მტკნარი და ცარიელია ჩინოვნიკის ცხოვრება. ეს სიცარიელე სრული იქნებოდა და ბაგრატ ზახარიჩის კმაყოფილ არსებობას არაფერი აამდვრევდა, რომ არა შიში — უფროსის განაწყენების და სამსახურიდან დათხოვნის შიში, რომელიც არასდროს შორდება, სიზმრებსაც უწამლავს და უფროსის, ალექსანდრ ნიკიტიჩის რისხვას ალანდებს, ხმამაღალ ლაპარაკს და სიცილს გადააჩვევს. ამის გამო, ბუნებრივია, ის სანიმუშოდ ბეჯითი და გამგონე მუშაკია, არის „უმდაბლეს ბალახთა და უმშვიდეს წყალთა“. მოკლედ, კანცელარიის მოხელე ბაგრატ ქავთარაშვილი გოგოლის ბაშმაჩკინის ქართველი მოძმეა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ქართველია: გარეგნულად დარბაისლურ იერს იმოსავს, რომელიც ლირსებასთან ერთად როგორლაც დამჯერე კეთილგონიერებასაც გამოხატავს. ოჯახში კი ბაგრატ ზახარიჩის გარეგნული ლირ-

სება თითქოს რეალურ შინაარსსაც იძენს — შინაურები პატივს ცემენ. ესაა იმ შიშის და უხმო მორჩილების თავისებური კომპენსაცია, რომელიც სამსახურში მისი ხვედრია. ანდერძი, ბაგრატ ზახარიჩი ცოლს რომ უბარებს, ამგვარი კომპენსაციის გაზრდის და გახანგრძლივების ცდაა, იმის სიკვდილის შემდეგაც ანაზღაურების ცდა, რაც ცხოვრებაში ასე აკლია. „თუ ამას აასრულებ, მე მკვდარი არ ვიქწები, არამედ ცოცხალი. ხომ იცი, ჩემო ელენე, სამსახურიდან რამდენ საათზედაც ვბრუნდებოდი. ჩემს საკუთარ სავარძელზე არავინ დაჯდეს, ნაშუადლევის სამ საათზე გამოიტანეთ ხოლმე ჩემი პორტრეტი და დაასვენეთ სავარძელზე, — ნინ ქალალდები დაუწყეთ და თვითონაც ისე მოაწყვეთ პორტრეტი, რომ ქალალდებში ჩაიცეირებოდეს. ფრთხილად, ფრთხილად ადექით და თითის წვერებზე გაიარ-გამოიარეთ, გეშინოდესთ, ხათრი გქონდესთ ჩემის პორტრეტისა, როგორც ჩემი ხათრი გქონდათ...“.

ეს კურიოზული ანდერძი დამცირებული ღირსების, პატივაყრილობის მიჩქმალულ ტკივილს ამხელს და ვაჟას გმირს ინდივიდუალურ გამომეტყველებას ანიჭებს, სატირას — ტრაგიკომიკურ ტონალობას.

ვაჟა ხატავს უცხოთა გამგებლობასთან სავსებით შერიგებული ადამიანის ტიპს, რომელიც ისე შეზრდია რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატიულ სისტემას, რომ სხვანაირად ცხოვრება უბრალოდ ვერ წარმოუდგენია. ეს მისთვის ბუნებრივი ყოფაა და პროტესტის გრძნობას არ აღუძრავს. ის უმნეოდ ცდილობს ფარული წუხილის დაამებას, ღირსების, რესპექტაბელობის უბადრუკ იმიტაციაში იმალება.

დაცემული ნაციონალური ყოფიერებისადმი საშუალო ადამიანის სხვანაირი, გამწვავებული დამოკიდებულება წარმოჩნდება ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვნაში „სიზმრები“, რომელიც იმპერიის ნგრევის ნინ, 1916 წელს დაიწერა. ამ მოთხოვნაში შთამბეჭდავი ხატოვანებით არის ამეტყველებული საზოგადოების შეცვლილი, აფორიაქებული სულიერი განწყობა.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი ექიმს თავის სიზმრებზე ესაუბრება და ეს სიზმრები თავისუფლებას მოკლებული ხალხის ზნებრივი გახრნნის გამომხატველ ფანტასმაგრიულ ტილოდ გაიშლება. „ნაციონობები, მეგობრები,

ისე უცნობნიც გამოჩნდებიან, ნელ-ნელა მიახლოვდებიან... ოღონდ საიდუმლო და საზარი შეხედულება აქვს ყველას და ყოველივეს. აი, ერთი ნაცნობი — ისეთივე სახე აქვს, ტანის მიხრა-მოხრა, ჩვეულებრივ აცვია, ოღონდ გულის კარიდან გველის თავი ამოჩილა და გამვლელსა და გამომვლელს ჰქენები... მეორე ნაცნობი უნებურად მეზიზღება და როცა ვაკვირდები, თუ რისთვის ინვევს ძველი კარგი ნაცნობი ზიზღს, მაშინ ვამჩნევ, რომ მელის ვეებერთელა კუდი აბია... კუდი ცხვირში მიღიტინებს... საძაგლობაა... მესამეს ტუჩები აქვს აკერილი... ლაპარაკის მაგიერ ღმუის; ერთი დორბლსა ჰყრის, მეორე გასისხლიანებულ ხანჯალს ატრიალებს და ვისაც მისწვდება, მუცელში უმიზნებს... მთელი ეს ხროვა შორიდან მიახლოვდება... ირგვლივ, ყოველის მხრივ... სული მეხუთება... უფრო და უფრო ღამდება და ამ წყვდიადში არ იცი, გველის ენა მოგწვდება, ხანჯლის წვერი, ტალახი გაგსვრის, თუ დორბლი მოგეცხება. მუნჯების ღმუილი, გახელებული კატების ღნავილი, სუნი სახლებიდან და ადამიანთა სხეულებიდან გამომდინარე ბალდამისა... და ყველაფერზე მეფობენ ჯაჭვის, ქვეყნის სიგრძე ჯაჭვის ჩხარა-ჩხური და მათრახის, ქვეყნის სისხო მათრახის ტყლაშა-ტყლუში...“.

მერე თითქოს ტირანია ისპობა და ადამიანები და სამყარო გამოჯანმრთელდებიან, მაგრამ უმალვე აღდგება ადრინდელი შემზარავი სურათი — წინასწარმეტყველურიც არის ავადმყოფის სიზმრები.

თავისუფლების უქონლობა ადამიანებს ბოროტ, მზაკვარ არსებებად აქცევს, მონსტრებს შობს, რადგან თავსმოხვეულ პირობებში თვითშენარჩუნება ზნეობრივი ღირებულებების უგულებელყოფას გაცილებით მეტად მოითხოვს, ვიდრე დამოუკიდებელი არსებობა.

დამორჩილებული ერის სულიერი ცხოვრების არაცნობი-ერ ან ნახევრადცნობიერ პლასტებშია შეფარული მისი გადაგვარების განმაპირობებელი სხვა ფაქტორები.

თავისუფლების წართმევასთან შერიგებული ხალხის ყოფნის თვით ფუქეა არაზნეობრივი — სხვათა ბატონობას-თან შეგუება არსებითად უსამართლობის კანონიერ, ნორმა-ლურ მოვლენად აღიარებაა, ეს კი, გასაგებია, ამორალობას ამკვიდრებს და ამრავლებს.

ზნეობის საყრდენი საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი ადამიანის პატივისცემაც არის, დამორჩილებულ ხალხში კი იგი კლებულობს, რადგან სხვის ბატონობასთან შეგუებულობა პატივისცემას მაინცდამაინც ვერ აღძრავს და ზნეობის ეს საყრდენიც სუსტდება.

ზნეობრიობის საწინდარია არსებობის მიზნის, საზრისის ხედვა, დამორჩილებული ერი კი შორდება ყოფიერების ჭეშმარიტ აზრს, რომელიც განუყოფელია თავისუფლებისგან. იგი სნეულდება ნიჰილიზმით (მაშინაც, როცა საყოველთაო ნიჰილიზმი არ მძვინვარებს) და ზნეობის ცხოველმყოფელ სტიმულს კარგავს.

ხალხს, რომელსაც აღარ აქვს სახელმწიფოებრიობა, უჭირს მთლიანობად განიცადოს თავისთავი, მის ცალკეულ წარმომადგენელსაც უჭირს იგრძნოს თავი მთლიანობის ნანილად, იმიტომ, რომ საკუთარ სახელმწიფოში ჭვრეტს ერი უშუალოდ საკუთარ მთლიანობას. მძლავრობს ეგოიზმი, ხდება ერის დაშლა „ატომებად“, რომლებიც ერთმანეთს აწყდებიან, ავიწროებენ...

ამას მოსდევს არათავისუფალი ხალხის ცხოვრებაში ბოროტების ის მოძალება, ნიკო ლორთქიფანიძის გმირის ანენილ ფსიქიკაში კოშმარულ ხილვებს რომ ბადებს.

ავადმყოფის სიზმრების ერთ-ერთი პერსონაჟი ექიმია — პირაკრული, დამუნჯებული. და იგი პაციენტის სიზმარეულ ჩვენებაში თავის ჭეშმარიტ პორტრეტს შეიცნობს, ეროვნული ჩაგვრის უხმოდ მომთმენი კაცის პორტრეტს, ვისაც მშობლიური ენა საკუთარ ოჯახშიც წართმეული აქვს. პაციენტის განდობა ძლიერად შეანჯღღრევს მის მთვლემარე სულს და ეროვნულ ტკივილს ნაზიარებს პროტესტანტად აქცევს, მაგრამ ეს მეტამორფოზა ახირებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ავტორი სევდიანი ღიმილით გვიამბობს: „საზოგადოებაში ჩვენ ექიმზე ჩურჩული გაისმის. ზოგი ამბობს „ძარღვები აეშალაო“... ობიექტური ფაქტები კი ასეთია: წინათ ჩუმი, დინჯი ექიმი ახლა სხაპა-სხუპით ლაპარაკობს. გუშინ ერთად მივდიოდით, მეეტლეს დავუძახე: Извозчик! ექიმი შეჩერდა, შემომაჩერდა, ერთი მაგარი სიტყვა მომაძახა და გამშორდა. პოლიციის ბოქაულს ექიმზე შედგენილი აქვს ოქმი, ქუჩაში ზოგიერთს განცხადებას ჰგლეჯსო...“.

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში საშუალო ადამიანს შოვი, განსაკუთრებულ ფენომენთან შეჯახებისას ნაწვნევი დარტყმა ჭირდება, რომ თავისი ერის ტრაგედია თვალნათლივ დაინახოს და ტკივილით განიცადოს, უამისოდ ის ყოველდღიურობაშია ჩანთქმული. უუფლებო ერის ყოფნის სიმახინჯეს „ნორმალური“ ცნობიერება მხოლოდ „არანორმალური“ ცნობიერების მძღვრი ზემოქმედებით გაიცხადებს. ნეოფიტი პატრიოტის პროტესტიც არსებითად უწყინარია, კეთილშობილი ექსცენტრულობაა და არა უცხოთა მპყრობელობასთან სერიოზული დაპირისპირება.

ისტორიის კიდევ უფრო კრიტიკულ ეტაპს აირეკლავს ამბავი, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი მოგვითხრობს „გივი შადურში“.

რუსეთში სასწავლებლად წასული პეტრე წარჩინებული ოჯახის სიძე ხდება, კეთილდღეობაზე ცვლის და ივინყებს დედას, საცოლეს, ახლობლებს, სამშობლოს — „ოქროს ჯაჭვით“ ებმება. მაგრამ მისი კმაყოფილი ყოფის მოზომილი რიტმი რევოლუციის გამო ერთბაშად ნერვიულად ატკედება და იფლითება. რევოლუცია მას საკუთარი ცოლის სახით აცხრება თავს: არისტოკრატი ქალი ანაზდად გაბოლშევიკ-დება. ეს უცნაური გარდაქმნა რეალისტური ფსიქოლოგიზმით საფუძვლიანად არის შემზადებული — უზრუნველ და უქმებ ყოფაში სტეპანიდას აპათია იპყრობს, ამავე დროს ის სადისტურ-მაზოხისტურ მიდრეკილებებს ამჟღავნებს, დროდადრო უმიზეზო აგრესიულობის შეტევები ემართება, რასაც მწვავე სინანულის შეტევები ცვლის; რევოლუცია მას მოწყენილობისგან დაიხსნის, ხოლო მისი სულის პათოლოგია რევოლუციური ფსიქოზის აგმოსფეროში მთელი ძალით ამოხეთქავს; სტეპანიდა პროლეტარებს უამხანაგდება და ქმარს როგორც კლასობრივ მტერს სიკვდილს უსჯის, ავადმყოფური უინით ატანილი: „ვინც მიყვარს, ის უნდა მოკლა!“. ამიერიდან პეტრე, მაძღარი მონა, უკვე დევნილი მონაა — მძიმეა კონფორმიზმის საზღაური. ის სასოწარკვეთილი გაურბის, ემალება სიკვდილს, მარტო პასიურად იცავს თავს, არ შეუძლია რაიმე გადამჭრელი იღონოს სტეპანიდას მოსამორებლად — პანიკური შიში უხევებს ნებისყოფას, უცარიელებს სულს, თვითგადარჩენის ძლიერი ინსტინქტილა აიძულებს გააგრძელოს გაძალებული, კოშმარული სიცოც-

ხლე; სამშობლოს შემოაფარებს თავს, მაგრამ აქაც მოწვდება სიკვდილით დამუქრებული შეშლილობა; ჩიხში მომწყვდებულს თვითმკვლელობის ინსცენირება შველის — სასტიკი ძალისგან გადარჩენა მხოლოდ საკუთარი სახის წაშლით ხერხდება, გადარჩენისთვის აუცილებელია შეუმჩნევლობა, არარაობად გადაქცევა. მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი, გამოფიტული, დალენილი ადამიანი, თანხმდება ასეთ არსებობას, რომელიც სიკვდილის ფორმა უფროა, ვიდრე სიცოცხლე.

თავისი გროტესკულ-ფარსული და სიმბოლური ხასიათით ეს ისტორია „ჯაყოს ხიზებს“ ენათესავება, ხოლო სტეპანიდა ჯაყოს, რასპუტინის, ყაშას კომპანიონია.

თუ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხოვნაში კოშმარი სუბიექტურია, პიროვნების ცნობიერებას ეუფლება და ცხოვრებისეული ვითარება ასე გაშუალებულად, ამასთანავე გამძაფრებულად არის უკუფენილი, მიხეილ ჯავახიშვილის მონათხოვნაში იგი ემპირიულ-ობიექტური რეალობა ხდება. „სიზმრებში“ სინამდვილის არანორმალურობის აღსაქმელად სპეციფიკური ხედვა, შეშლილის ხედვაა საჭირო, მიხეილ ჯავახიშვილის მონათხოვნაში კი უკვე გვერდაუვლელი ფაქტობრივი რეალობაა, რომ სამყარო დამანგრეველ და მომაკვდინებელ სიგიურს აქვს დაპყრობილი. ნიკო ლორთქიფანიძის და ვაჟას პერსონაჟებს სასიკვდილო ხიფათი არ ექმნებათ. ყველაზე უარესი, რაც ბაგრატ ზახარიას შეიძლება დაემართოს, სამსახურიდან დათხოვნაა, ხოლო „სიზმრებში“ ექიმი პროტესტსაც გამოხატავს და ამისთვის არ ახრჩობენ. იმ სინამდვილეში, სადაც ისინი არსებობენ, ადამიანურობას ასე თუ ისე მაინც გაეძლება, არ არის მისი სრული დათრგუნვის და აღმოფხვრის საფრთხე. მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟის თავგადასავალი კი სწორედ ასეთი საფრთხის მაუწყებელია. სამყარო საკვირველად გაავდა, ანტიპუმანურობის ძალამ და მიზანსწორაფულობამ უჩვეულოდ იმატა და ადამიანის სულიც ახლა გაცილებით უფრო პარალიზებულია. ცარისტული რეჟიმი უბრალოდ უჟმურ ბერიკაცად მოგვეჩენება იმ სისხლმოწყურებულ დემონთან შედარებით, მიხეილ ჯავახიშვილის უბედურ გმირს რომ ადევნებია.

შემდეგ მბორგავი რევოლუციური ენერგია ტოტალიტარიზმის წესში შემკვრივდება. მის ქვეშ ქართველი ადამიანის

ტანჯვაა სიმბოლიზებული ბასილ მელიქიშვილის ოციანი წლების ბოლოს დაწერილ მოთხრობაში „ორფეები“. მწერალი, რომლის შემოქმედება მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის გარკვეული ტენდენციების კვალდაკვალ ძირითადად არქაზებული და მითოლოგიზებულია, „ორფეებში“ უშუალოდ მიაბჯენს მზერას თანადროულობას და მისი პროზის მთავარ გმირსაც, ზეკაცობისკენ მსწრაფველ პიროვნებას, ეპოქის მახინჯი შვილი ცვლის. ეს მოთხრობა უჩვეულოა უპირველესად გროტესკის თავისებურებით — იგი რეალობის პირობით სახეცვლილებად კი არ გვევლინება, არამედ სამყაროს ძირებულ მდგომარეობად; ჩნდება ირეალობის მიერ რეალობის შთანთქმის შთაბეჭდილება.

„ორფეების“ გმირი აბელი ლანდივითაა, თითქოს ფანტომია და სადაცაა აორთქლდება. თავისი არსებით და იერით ის წააგავს ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის დეფორმირებულ, მანიაკალურ ჰერსონაჟებს.

წარმოვიდგინოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პეტრე და სტეპანიდა კვლავ ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდებიან. როგორიც მათი ცხოვრება შეიძლება იყოს, ისე ცხოვრობს აბელი თავის მარუსიასთან ერთად. აბელი ამ ქალის მონაა არა ფიგურალური გაგებით, არამედ სრულიად რეალურად. მძიმე საოჯახო „შრომითი ბეგარის“ გარდა აბელს ცოლის დესპოტური თვითნებობის, ისტერიული სიშმაგის და ფიზიკური თავდასხმების ჩუმად ატანა უხდება. მის მიმართ აბელის შიში სულის გამყინვაია. მარუსიას ტირანია ოჯახიდან ეროვნულ კერძებსაც კი აძევებს, მითუმეტეს ქართულ ენას არ წყალობს, რელიგიას ემტერება, თავისუფლების მცირე გამოვლინებასაც აღკვეთს. იგი აბელს სოფელთან კავშირსაც გადაუჭრის, თუმცა მისი სნა არც სოფელშია, საიდანაც მორჩილებას უქადაგებენ — იქაც შემგუებლობაა დამკვიდრებული.

ბასილ მელიქიშვილის პერსონაჟი შინაურ, მოთვინიერებულ ცხოველს გვაგონებს. იგი ერთგვარად ტკბება კიდეც თავისი მოხობით, თავისთავსაც და სხვასაც არწმუნებს, რომ მარუსია კეთილია და თვითონ — ბედნიერი; მეტიც, დანაშაულის გრძნობა აქვს მტარვალისადმი.

მაგრამ აბელი არამარტო ტირანიის ტყვეა, არამედ თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციისაც — მისი „რელიგია“ ციფრებია, თვლაა. „ძნელია, ძნელი, ჩუმად ყოფნა. ზოგჯერ

ლამით, როცა ფიქრი მტანჯავს და ბოლმა მთასავით ჩამომაწვება... გათენებამდის ჩავცერი დავთორებს. რამდენი დავთარი გადამიცია არქივისათვის, რამდენი ციფრი დაგროვილა ჩემს ოხერ თავში... დამით ვთვლი და ვანგარიშობ, თითით გამაქვს და გამომაქვს წინდის ჩხირს აგებული რგოლი და ვლილინებ. დიახ, ძნელია სიჩუმე და ვლილინებ“. ციფრებში გაურბის აბელი მარტოობას, სიცარიელეს, ტანჯვას და მონობას; გაურბის უმაღლესი, ადამიანის მფარველი ჭეშმარიტების, სიკეთის და მშვენიერების იმ ტრაგიკულ უქმარობასაც, რომელზეც გალაკტიონი ამბობს: „როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა? ვით ავიტანოთ უმაღლობა?“. მაგრამ ციფრებიც არ არის სავსებით საიმედო დასაყრდენი — აბელს მანიაკალური შიში აქვს, რომ ისინი შეიძლება გამოილიოს; ეს კი საბოლოო კრახი იქნება, რადგან ციფრები მისი ჩანიხლული სულის გამაყუჩებელიც არის და მატერიალური არსებობის საფუძველიც, რომლის გამოცლა სრულიად უიმედო მდგომარეობაში ჩააგდებს; იმ ანტიპუმანურ სინამდვილეში, რომელიც მოთხოვთ მხატვრულად არის გარდასახული, ადვილად შესაძლებელია სამსახურიდან გაგდება დალუპვას უდრიდეს. დაუჯერებელია, რომ ასეთი რამ მართლა კატასტროფა იყოს ბაგრატ ზახარიჩისთვის, მისი შიში სატირულად ჰიპერბოლიზებულია — მას მეტისმეტად აშინებს ის, რაც თავისითავად არ არის ასე საშიში.

ციფრების აბსტრაქტულ, სასტიკი ყოფისგან დაშორებულ სამყაროში აბელი შვებას პოვებს, მაგრამ წუხილსაც განიცდის, არამხოლოდ იმის გამო, რომ ციფრთა „მოსალოდნელი“ გამოლევა აშფოთებს, არამედ იმიტომაც, რომ მათში სამყაროს გრანდიოზული გაუგებრობა და ამაოება ეცხადება. იგი გრძნობს, რომ „ციფრების რელიგია“ არაჭეშმარიტი ნუგეშია და ეს იძულებითი თავშესაფარიც მობეზრებული აქვს.

ასე რომ, თუმცა აბელი ყოველნაირად ცდილობს ტანჯვა გაიყრუოს და თავი მოიტყუოს, მაინც ვერ აღწევს ამას. ვერც ის, ქართველისთვის სასიამოვნო უპირატესობა შველის, თავის ძმებთან შედარებით რომ აქვს — ისინი ოთხით დადიან, თვითონ კი ივარგა, „ორფეხია“; ვერაფრით იცხრობს მოუშორებელ ტკივილს, თავისუფლების ბოლომდე ვერჩაკლულ იმპულს. ამიტომაა, რომ პოეზია იზიდავს და გულს უოხებს,

რომ ბალში რადიოთი გადმოცემულ მუსიკას უეცრად ცეკვას ააყოლებს და გალაღდება, რომ თავის ბედს უზიარებს მოხუც, სათნო ქართველ ქალს, ხოლო ზოგჯერ პროტესტანტული განწყობილებაც აიტაცებს. „ხანდახან ადამიანიც იფეთქებს ჩემს ძვალ-რბილში და მაშინ გმირი ვარ. აღარავისი აღარ მეშინიან. ამას ნინათ კედლის გაზეთში ჩაეხატათ ჩემი ცხვირი. დავთრები მეხვია გარშემო. ავღელდი და მეწყინა. ნინათ არ მეწყინებოდა, მაგრამ დღეს ავენთე და ჩამოვგლიჯე. მაშინ შემეშინდა და მოვკურცხლე. გაქნილი მწევარივით მოვუსვი და გადავრჩი. განა გმირობა არ უნდოდა გაზეთის ჩამოგლეჯას? უნინ ვერ შევძლებდი. იმ დღეს კი გმირი ვიყავი და ადამიანი ჰავეთქდა ჩემს ძვალ-რბილში...“.

ძხელი სათქმელია, ხედავდა თუ არა მწერალი აბელის მფრთხალ, კომიკურ გამბედაობაში ჩახშობის სტადიებგამოვლილი სულის მომავალი თავისუფლების მკრთალ ნიშანს და სუსტ ჩანასახს.

1989

ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაა

პასუხები უურნალ „არილის“ კითხვაზე

როგორ წარმოგიდვებათ მწერლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მიგააჩნიათ თუ არა, რომ მწერლობას აკისრია ერის წინამძღოლის ფუნქცია?

პასუხის გაცემა კითხვაზე, აქვს თუ არა ლიტერატურას ერის წინამძღოლის ფუნქცია, მოითხოვს იმის გათვალისწინებას, თუ საერთოდ როგორია ლიტერატურის ბუნება – ლიტერატურა სამყაროს კონცენტრირებული გრძნობადი ჭვრეტაა, რომელსაც წარმართავს ჭეშმარიტების გამოვლენის, აღმოჩენის თუ სულაც შექმნის ღრმა სულიერი მოთხოვნილება; ლიტერატურა ავტონომიური წარმოსახვითი სინამდვილეა, რომელშიც გრძნობად-გონითი ჭვრეტით გამოვლენილი და სიტყვიერად ხორციელებული სიმართლე ცოცხლობს და მოჩანს. ამასთანავე ისიც ცხადია, რომ მწერალს, როცა მხატვრულ რეალობას ქმნის, სურს სხვებიც დაარწმუნოს სამყაროზე და ადამიანზე თავისი თვალსაზრისის ჭეშმარიტებაში.

ლიტერატურა როგორც სამყაროს და ადამიანის მხატვრული გაგება, როგორც მხატვრული მსოფლმხედველობა უთუოდ ახდენს აშკარა თუ უჩინარ გავლენას მკითხველის მსოფლალქმის ფორმირებაზე. მაგრამ შეიძლება ამის საფუძველზე ითქვას, რომ „ლიტერატურა ერის წინამძღოლია?“

ეს ფორმულა ჩენები ასეა გააზრებული: ლიტერატურამ უნდა ჩაუნერგოს ხალს განსაზღვრული იდეები თუ იდეალები, ანუ მწერალი უნდა იყოს იდეოლოგი და პროპაგანდისტი, მიუთითებდეს საზოგადოებას მოძრაობის გეზს, აყალიბებდეს მის სამოქმედო პროგრამას; მწერალი მოვალეა განუწყვეტლივ აქტიურობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ასეთი წარმოდგენა ამარტივებს და აყალბებს საქმის ნამდვილ ვითარებას. ასე გაგებული ერის წინამძღოლი ეწინააღმდეგება სამყაროს უანგარო, ჩაღრმავებულ ჭვრეტას და ჭეშმარიტების ძიებას, მწერლის მიერ დანახული სიმართლის წმინდად, სრულყოფილად ხორციელებას, ანუ ლიტერატურის

არსს. იგი ენინაალმდეგება აგრეთვე სერიოზულ, ინტიმურ-იდუმალ დიალოგს მწერალს და მკითხველს შორის, რომე-ლიც მკითხველის შინაგან არსებაზე, მის მსოფლებელის მხატვრული აზრის ღრმა ზემოქმედების პირობაა. ჩვენებუ-რი ფორმულა „მწერლობა ერის წინამძღოლია“ გულისხმობს, რომ ლიტერატურა რაღაც მიზნებს ემსახურება თავისი ნამ-დვილი არსის ხარჯზე, რომ იგი ჭეშმარიტების მაძიებელი კი არ არის, არამედ მზა იდეების მქადაგებელი და საზოგადო-ებისთვის ჩამონებელია.

წარმოდგენა მწერალზე როგორც ერის წინამძღოლზე ჩვენთან გასულ საუკუნეში დამკვიდრდა, როცა მწვავე პრობლემა იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და მწერლობის მისის ასეთმა გაგებამ უდავოდ პოზიტიური როლი შეასრულა ნაციონალური თვითცნობიერების გაძლი-ერებაში. ოლონდ იგი ხშირად იწირავდა მხატვრულ სიღრმეს და სისავსეს, სრულფასოვნებას. შემდეგ ის შეეთვისა საპ-ჭოთა წარმოდგენას მწერალზე როგორც სახელმწიფო იდეო-ლოგიის მსახურზე, თუმცა მას ეროვნულ-პატრიოტული ას-პექტიც შერჩა. დღეს კი ტრადიციულმა თვალსაზრისმა, რომ მწერლობა ერს წინამძღოლად უნდა ევლინებოდეს, აშკარად ამონურა თავისთავი.

თანამედროვე პლურალისტურ საზოგადოებაში მწე-რალს, ბუხებრივია, არ უნდა ჰქონდეს წინამძღოლობის და ქურუმბის, ბელადობის პრეტენზია, იმის პრეტენზია, რომ ეჭვშეუვალ აზრებს გამოთქვამს ნებისმიერ ცხოვრებისეულ პრობლემაზე (ასეთ სტატუსს ესწრაფის, მაგალითად, სოლ-ჟენიცინი რუსეთში). მეორე მხრივ, ცხადია, არც მწერლის საზოგადოებრივი აქტიურობაა საძრახისი, თუკი ეს აქტიუ-რობა ანგარებიანი არ არის და შემოქმედებას თავის დამხ-მარე საშუალებად არ აქცევს.

სასურველია, რომ მწერალი საზოგადოებისთვის იყოს ავტორიტეტი როგორც სულიერების და კულტურის განმასა-ხიერებელი, ღრმა და გამჭრიახი ხედვით აღჭურვილი პი-როვნება, რომლის არამხატვრული აზრიც საყურადღებო და ანგარიშგასანევია (თუ მას ასეთი აზრის გამოთქმა სურს – პოლიტიკაზე, სოციალურ პრობლემებზე და ა.შ.); არა მისი საზოგადოებრივი სტატუსის ძალით, არა იმის გამო, რომ ის

როგორც მწერალი წინამდლოლი და ქურუმია, არამედ იმიტომ, რომ ეს აზრი თავისთავად საინტერესო და სერიოზულია.

მწერალი ასრულებს საზოგადოებრივ და ეროვნულ ფუნქციას ამის საგანგებო მცდელობის, დეკლარირების და სავალდებულო ნორმად დაწესების გარეშეც, როცა იგი ნამდვილი მწერალია, ანუ, უკვე ნათქვამს რომ დავუპრუნდეთ, სამყაროს ღრმა მჭვრეტელი და ჭეშმარიტების წრფელი მაძიებელია, რომელიც ახალ, სიმართლის ნათელმყოფელ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის. ამ სინამდვილის უშუალო და ძალდაუტანებელი, სილრმისეული ზეგავლენა მკითხველის ქვეცნობიერებაზე და ცნობიერებაზე ეხმარება მას იქცეს თვითმყოფად — პიროვნებად — მოწყდეს მასობრივ ცნობიერებას, მოიპოვოს ავტონომიური თვალთახედვა, თვითშეგნება, სულიერი სამყარო. საზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით ამაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ კი ძნელი წარმოსადგენია, რადგან საზოგადოების, ერის ნამდვილ სიძლიერეს სწორედ შინაგანად დამოუკიდებელი, თავისთავადი პიროვნებები ქმნიან.

თქვენი აზრით, აქვს თუ არა ლიტერატურას ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება? თუ ფიქრობთ, რომ აქვს, კონკრეტულად როგორ ვლინდება იგი?

მე მგონია, ლიტერატურას არა აქვს უშუალო და სპეციალური ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება, მაგრამ აქვს ზნეობრივი ძალა და მნიშვნელობა, რომელიც ლიტერატურის მხატვრულობაშივეა განვითარებილი.

მთავარი, რასაც ლიტერატურა გვიჩვენებს, არის ის, თუ რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა სამყაროში, ეს კი განუყოფელია ზნეობისგან. ზნეობრივი ფენომენი მსჯვალავს ადამიანის არსებობის ყველა სფეროს, ადამიანის არსებობის მუდმივი თანმდევია, თუმცა ეს ცხოვრებაში ხშირად უხილავია, მიჩქმალულია. ლიტერატურა ზნეობრივი ფენომენის ამ უხილავ ყველგანმყოფობას ხდის ხილულს, დაანახებს ადამიანს, რომ ზნეობრივი კრიტერიუმი აღმოუფხვრელია მის ყოფიერებაში, რომ ზნეობის თვალს ვერსად და ვერასდროს დაემალება. ლიტერატურა „აიძულებს“ მას, თავი არ მოიტყუოს ამის თაობაზე.

ლიტერატურას შეყავს მკითხველი ზნეობრივი პრობლემების და კონფლიქტების შუაგულში, სძენს ზნეობრივ გამოცდილებას, ახედებს ადამიანური სინდისის, ზნეობრივი ტანჯვის და რეფლექსის სიღრმეებში. იგი მკითხველს ზნეობრივი ქცევის ნორმებს კი არ უყალიბებს, არამედ სამყაროს ზნეობრივი განზომილების ღრმა და ჭეშმარიტ ხედვას. ამისთვის ლიტერატურას არ ჭირდება მკითხველის ცნობიერებაზე საგანგებო ზეწოლა — ამისთვის საკმარისია ლიტერატურა თავისი ესთეტიკური ბუნების ერთგული იყოს, როგორც შექსპირის, დოსტოევსკის თუ თომას მანის, ქართულ ლიტერატურაში – ვაჟა-ფშაველას შემოქმედება.

სხვათაშორის, სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად მწერალმა, ხელოვანმა ზნეობრივი თვისებები უნდა გამოავლინოს თვით შემოქმედების პროცესში. ამაზე მსჯელობს ფრანგი ფილოსოფოსი მარიტენი გამოკვლევაში „ხელოვანის პასუხისმგებლობა“: „თავისი ხელოვნების სფეროში მხატვარი ემორჩილება ერთგვარ ასკეტიზმს, რომელმაც შეიძლება გმირული მსხვერპლმენირვაც მოითხოვოს... ქმნადობის სფეროში, ნაწარმოების სასიკეთოდ მხატვარს უნდა გააჩნდეს თვინიერება, სულგრძელობა, კეთილგონიერება, სულის მთლიანობა და ძალა, ზომიერება, უეშმაკო და სუფთა გული“.

რამდენად შეძლო ქართულმა ლიტერატურამ იმ როტული და დრამატული პროცესების განჭვრეტა, რომლებიც ჩვენში წარიმართა?

ლიტერატურას, ბუნებრივია, არ მოეთხოვება იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ კონკრეტულად რა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებია მოსალოდნელი და როდის. მაგრამ ლიტერატურა საფარველს აცლის საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობის შინაგან ხედს და იმის მიხედვით, როგორია იგი, შესაძლებელია თუნდაც მიახლოებით წარმოვიდგინოთ, რას გვიმზადებს მომავალი. ქართული საზოგადოების სულიერი, ზნეობრივი კრიზისი, რომელიც ბოლო ათწლეულში აშკარად გამოვლინდა, ლიტერატურაში არასრულად წარმოჩნდა, თუმცა იყო გარკვეული გამონაკლისები.

რა მიგაჩნიათ ამ პროცესების გამომწვევ მიზეზად, რა არის, თქვენი შეხედულებით, იმის საზრისი, რაც საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხდა?

იმას, რომ ჩვენში დრამატული თუ სულაც ტრაგიკული პროცესები წარიმართა, არაერთი მიზეზი აქვს, მაგრამ ძირითადი მათ შორის, შესაძლოა, ის იყოს, რომ ქართულ საზოგადოებაში არ აღმოჩნდა არაკონფორმისტული ცნობიერების მქონე და იმავდროულად სოციალურად აქტიური ინტელექტუალების ფენა, რომელიც შეძლებდა შეექმნა კარგად ორგანიზებული საზოგადოებრივი მოძრაობა ან პარტია და ხალხისთვის შეეთავაზებინა დამოუკიდებლობის მოპოვების რეალისტური, მყაფიოდ გააზრებული, ევოლუციური პროგრამა; წარმოეჩინა თავისი ავტორიტეტული ლიდერები და სერიოზული მეტოქეობა გაეჩია რადიკალური ნაციონალიზმისთვის. სამწუხაროდ, ასეთი ძალა ჩვენმა კრიზისულმა და სუსტმა საზოგადოებამ ვერ წარმოშვა.

რა ხარვეზებს ამჩნევთ ქართულ კულტურაში, კერძოდ, ლიტერატურაში; რისი შეძენა სჭირდება მას? როგორ გესახებათ ქართული ლიტერატურის პერსპექტივა?

ქართული ლიტერატურის ძირითადი ხარვეზი, ალბათ, ისაა, რომ იგი მთლიანობაში ერთდროულად არის არასაკმარისად ქართული და არასაკმარისად უნივერსალური — ქართული სინამდვილე, ქართველი ადამიანის არსება ჯერ კიდევ არ გამჟღავნებულა მასში მთელი თავისი სისრულით, სირთულით, წინააღმდეგობრიობით, პარადოქსებით როგორც ზოგადად ადამიანის, კაცობრიობის ბუნების და ყოფიერების ორიგინალური მოდელი. რასაკვირველია, საუბარია ამის უკმარიბაზე, თორემ ქართული ლიტერატურის ცალკეულ, საუკეთესო ნიმუშებში ნაციონალური სინამდვილის სიღრმისეული წვდომა ბუნებრივადაა გადაზრდილი კაცობრიობის ცხოვრების სურათში.

ქართული ლიტერატურა მომავალში, ალბათ, შეძლებს ქართული სინამდვილის მთელი თავისებურების, სირთულის დანახვას და წარმოჩენას როგორც სწორედ კაცობრიობის არსის და ყოფის მოდელისას. ამის საწინდარი, საყოველთაო

კულტურული, ლიტერატურული გამოცდილების უფრო ინტენსიურ და ფართო ათვისებასთან ერთად, შეიძლება გახდეს ის, რომ ბოლო პერიოდის მოვლენებმა ჩვენი ნაციონალური ხასიათის და არსებობის სირთულე, წინააღმდეგობრიობა თვალზათლივ გამოამჟღავნა; აგრეთვე ჩვენს ლიტერატურაში ბოლო დროს გაძლიერებული მიღრეკილება შეუბოჭავი გულახდილობისკენ. მას ბალასტიც გარდაუვალად მოყვება, მაგრამ ის შესაძლებელია მოგვევლინოს ქართული ცხოვრების უფრო მეტი სისავსით და სიმკვეთრით განსახიერების საფუძვლად. ეს კი თავის მხრივ ჩვენი ლიტერატურის უნივერსალიზაციის წანამძღვრად შეიძლება იქცეს.

1996

სიკვდილის პირისპირ

რუსული კლასიკური პროზის თავისებურებათაგან ერთ-ერთი მთავარი სიკვდილის ფენომენისადმი გამძაფრებული, დაუინებული ინტერესია. რუსული ნატურა და აზროვნება მიდრეკილია უკიდურესობებისკენ, სიკვდილი კი, გასაგებია, ყველაზე დიდი უკიდურესობაა.

ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის შემოქმედებაში უპირველესად სწორედ სიკვდილის ფენომენი ანიჭებს ადამიანის ყოფიერებას ღრმა და გარდაუვალ სერიოზულობას, პრობლემურობას — რავი ადამიანი სიკვდილის ჩრდილქვეშ არსებობს, მან აუცილებლად, ნებისმიერ ფასად უნდა შეძლოს, მოასწროს ჭეშმარიტების პოვნა, ჭეშმარიტებაში დამკვიდრება, ხოლო თუ ამას ვერ ახერხებს, ეს გამოუსწორებელი კატასტროფაა.

ამგვარი უმკაცრესი ალტერნატივა ედება სათავედ რუსულ პროზაში სულიერი ძიების ვნებიანობას, მოუსვენარ და ტკივილიან ფიქრს „დაწყევლილ კითხვებზე“.

„დოსტოევსკისთვის ცოცხალი სიცოცხლე თავისთავად სრულიად უცხო და გაუგებარია, სიკვდილის ფაქტი მას მთლიანად ანადგურებს. თუ არ არსებობს უკვდავება, მაშინ ცხოვრება უაზრობაა“ (ვ. ვერესავი). რა უნდა იყოს ადამიანის ჭეშმარიტება სიკვდილის პირისპირ, როგორ შეუძლია მას გადაძალოს „სიკვდილის ფაქტი“ — ამ კითხვის წინაშე დგანან დოსტოევსკის პერსონაჟები თავისი ტრაგიკული შფოთვით, სულიერი კონვულსიებით, შეცოდებებით და სინმინდის ნატვრით.

ცნობილია, როგორი შეძრნუნებით განიცდიდა ტოლსტოი სიკვდილს, როგორ გამუდმებით სდევდა მას თან სიკვდილზე ფიქრი (ამის შესახებ განსაკუთრებით შთამბეჭდავად ს. ცვაიგი წერს). მაგრამ მის შემოქმედებაში სიკვდილი მხოლოდ შემაძრნუნებელი არ არის. დოსტოევსკის შემოქმედებისგან განსხვავებით ტოლსტოის პროზაში სიკვდილი აზრს არ აცლის და არ აუფასურებს სამყაროს, პირიქით, ადამიანის ყოფნის ნამდვილი საზრისი და ფასეულობა სწორედ სიკვდილის ტრაგიკული ფენომენის მეოხებით ხდება ცხადი. გავიხსენოთ სიკვდილის წინაშე აღმოჩენილი პიერ ბეზუხოვი და მისი სულიერი აღორძინება, ანდა ლევინის სწრაფვა ჭეშ-

მარიტი თვითგანხორციელებისკენ ძმის სიკვდილის უმწვავესი განცდის შემდეგ...

ტოლსტოისთვის საზარელია არა იმდენად სიკვდილი თავისთავად, არამედ სიკვდილი როგორც ფუჭი, უაზრო, არაჭეშმარიტი სიცოცხლის დასასრული. სიკვდილის, არარას საშინელება მოუგერიებელია, თუკი იგი სიცოცხლის არარაობის გასრულებაა, იმის ბოლოა, რასაც ქართველი მწერალი „მკვდარ სიცოცხლეს“ უწოდებს.

სიკვდილი კი არ ართმევს აზრს „ივან ილიჩის სიკვდილის“ პერსონაჟის სიცოცხლეს, არამედ აბოლოებს და ამასთანავე ამხელს, აშიშვლებს მისი არსებობის უაზრობას, ამით კი აძლევს მას უკანასკნელ შესაძლებლობას ეზიაროს ადამიანური არსებობის ჭეშმარიტ საზრისა.

ტოლსტოის ამ მოთხოვნაში სიკვდილი სიმართლის და ზნეობის ერთადერთი დამფუძნებელია, ერთადერთი მცველი და გადამრჩენელია. როცა ადამიანის ცხოვრება მთლიანად სიცრუეში ეფლობა და ამაო ხდება, მაინც არის ძალა, რომელიც აიძულებს მას დაინახოს თავისი ყოფნის სიყალბე, უსაზრისობა; არის ძალა, რომელიც თითქოს აძქვეყნად ღმერთის „შემცვლელია“, რამდენადაც ადამიანს ჭეშმარიტებისკენ მიახედებს, თავის ადამიანურ არსს და მოწოდებას შეახსენებს.

რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია ყური არ ათხოვოს ჭეშმარიტების ხმას, რომელსაც სიკვდილი გააგონებს. და ივან ილიჩს ამაღლებს, შეიძლება ითქვას, გმირად აქცევს ის, რომ ალარ წაუყრუებს ამ ხმას ისე, როგორც ადრე, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უყრუებდა.

სიკვდილის არსებობის დავიწყება, დაუნახველობა თუ მიჩქმალვა ივან ილიჩის და მისი წრის ადამიანების ყოფის მუდმივი შინაგანი ფონია. კარიერიზმი, პატივმოყვარეობა, ნივთების გაფეტიშება, გართობა, მსუბუქი და სასიამოვნო დროსტარება — ყოველივე ეს მაღავს სიკვდილს და მასთან ერთად მაღავს ცხოვრების სიღრმისეულ, ზნეობრივ განზომილებას; აუქმებს იმას, რაც სიკვდილს უპირისპირდება და ებრძვის ადამიანების არსებობაში — ნამდვილ სიყვარულს, მეგობრობას, სოლიდარობას, სიმართლეს, სამართლიანობას და თავისუფლებას.

რაც მთავარია, ცხოვრების ის წესი, რომლითაც ივან ილიჩი ცხოვრობს, კლავს ინდივიდუალობას, პიროვნებას. ივან ილიჩი არ გამოირჩევა რაღაც განსაკუთრებული ბოროტებით, მაგრამ ბოროტებაა უკვე ის, რომ მის ყოფიერებას არ წარმართავს მისი საკუთარი გონი და სინდისი, რომ ბრმად არის მინდობილი ცხოვრების დაკანონებულ სტანდარტებს, ყალბ შაბლონურ ფორმებს. ივან ილიჩის სიცოცხლე სოციალურ პირობითობებშია ბოლომდე ჩაწერეტილი.

სიკვდილი უბრუნებს, უფრო სწორად, ანიჭებს ტოლსტოის გმირს ინდივიდუალობას, საკუთარ სახეს, ანიჭებს ნამდვილ მარტოობას — თუ ის ადრე მარტო იყო, ოღონდ ამას ზედაპირული და პირობითი ურთიერთობები ნიღბავდა, ახლა ის გრძნობს, რომ ტრაგიკულად, საშინლად მარტოა, მაგრამ სამაგიეროდ ეს მისი განუმეორებელი პიროვნული არსებობის გამოვლინებაა, მისი დამოუკიდებელი ფიქრის პირობაა, ჭეშმარიტებასთან ზიარების პირობა.

ეს ჭეშმარიტება კი უბრალოა, მაგრამ ღრმა და გამძლეა.

ივან ილიჩი იტანჯება ახლობლების გულგრილობით და ხედავს, რომ თვით მისი ცოდვაც გულგრილობა, სხვისი ტკივილის გაზიარების უუნარობა იყო. და ჭეშმარიტება ნათდება მისთვის მაშინ, როცა იგრძნობს სიბრალულს, თანაგრძნობას შვილისადმი, რომელსაც გულწრფელად ანუხებს მამის მოახლოებული სიკვდილი. ცხოველმყოფელი ჭეშმარიტება, ურომლისოდაც მის ცხოვრებაში სიკვდილი ბატონობდა, ადამიანებთან შინაგანი თანააზრობაა, სიყვარული და თანაგრძნობაა...

თუ ტოლსტიოსთან სიკვდილს დიდებულება და ზეანეულობა ახლავს, ჩეხოვის შემოქმედებაში იგი იმ სინაცრის-ფრის და ულიმლამობის ზღვარია, რომელშიც სამყაროა ჩაძირული. ადამიანების სისუსტის, შეცდომების, აღკვეთილი სწრაფების, ადამიანური ცხოვრების მოუწყობლობის და გაუგებრობის, მოსაწყენობის მიღმა იღანდება სიკვდილი როგორც რაღაც რუხი, ბლანტი ნივთიერების მასა, რომელიც ადამიანთა არშემდგარ სიცოცხლეს ნელ-ნელა, უჩუმრად იწოვს...

ჩეხოვისთვისაც ადამიანის ცხოვრების შეფასების უყტუარი საზომი ის არის, უმწეოა თუ არა ეს ცხოვრება სიკვდილის წინაშე, არარასკენ მიექანება თუ მყარია, მტკიცე ფუნ-

დამენტის მქონე „მოსაწყენი ისტორიის“ გმირი, გამოჩენილი მეცნიერი, სიკვდილის პირისპირ დარჩენილი ხედავს, რამდენი სიცრუეა მის არსებობაში, რა უსაშველოდ მოუწესრიგებელია მისი ახლობლების ცხოვრება და რა უღონოა თვითონ საიმისოდ, რომ რაიმე შეცვალოს, ვინმეს არსებითად დაეხმაროს. მას ეძალება პესიმიზმი, რადგან თავის გარშემო ახლა მხოლოდ სიწვრილმანეს, უნიჭობას, შეცდომებს და შეუსაბამობებს, გაუგებრობებს ამჩნევს. ამ კაცს, რომელიც მეცნიერებას აღმერთებდა და „ძვლის ტვინი უფრო აინტერესებდა, ვიდრე სამყაროს საბოლოო მიზანი“, თავისი ახლობლების ცხოვრებაში ბევრი რამ მხედველობიდან გამორჩა, იმდენი ყურადღება არ არგუნა მათ, რამდენსაც საჭიროებდნენ. იგი, სიკვდილის მომლოდინე, აცნობიერებს თავისი დრამის მთავარ, ძირეულ მიზეზს – მის სიცოცხლეს აკლდა ის, რასაც „უნოდებენ ცოცხალი ადამიანის ღმერთს“...

სიკვდილი უძლეველი ხდება იმიტომ, რომ ადამიანები ისე ცხოვრობენ, თითქოს იგი არ არსებობს და გვიანდა იხსენებენ, მაშინ, როცა ის უკვე ძალიან ახლოსაა; უნდა გახსოვდეს სიკვდილი, რათა სრულფასოვნად იცოცხლო, რათა სიცოცხლე შიგნიდანვე არ დაღრღნას სიკვდილმა — სიცრუემ, გულგრილობამ, სულიერმა გახევებამ, სიყვარულის უკმარობამ.

1996

განმმარტებელი

თანამედროვე დასავლეთის ცხოვრების და კულტურის ძირეული ტენდენციები შეადგენდა ზურაბ კაკაბაძის ფილო-ოფიური კვლევის მთავარ საგანს, მაგრამ ამავე დროს მისი განსჯა ფაქტობრივად ჩვენს ცხოვრებასაც ეხება; არამხოოდ იმის გამო, რომ არსებობს უნივერსალური პროცესები და რასაც ზურაბ კაკაბაძე მათ შესახებ ამბობს, ობიექტურად ჩვენს საზოგადოებაზეც ვრცელდება; უფრო იმიტომ, რომ ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიური აზროვნების წესის თვისებაა გარემომცველ სინამდვილეზე დაკვირვებების, ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების, განცდების ანალიზი და განზოგადება.

ზურაბ კაკაბაძის წიგნების და, კერძოდ, „ფილოსოფიური საუბრების“ კითხვისას ვგრძნობთ, რომ ავტორი გვიზიარებს შინაგანს, პიროვნულს, მისთვის როგორც ადამიანისთვის არსებითს. ბუნებრივია, იგი ეყრდნობა ცნობილი თანამედროვე ფილოსოფოსების თვალსაზრისებს, მაგრამ ეს თვალსაზრისები ისეა განლაგებული და შეჯერებული, აქცენტირებული, რომ ისინი მკაფიო ინდივიდუალური, პიროვნული მსოფლგანცდის და მსოფლმხედველობის მთლიანობაში ირწყმება.

აზროვნების პიროვნულ-ინტიმური ელფერი და განცდილობა, ცხოვრებასთან სიახლოვე ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიურ კვლევას მხატვრულ შემოქმედებასთან ანათესავებს. ეს არც არის გასაკვირი — ზურაბ კაკაბაძე საინტერესო პოეტიც იყო ...

თანამედროვე ფილოსოფიის შემობრუნებას ცხოვრების კონკრეტული რეალობისკენ და მისი გამომსახველი ხელოვნებისკენ ადამიანის ყოფიერების კრიზისული სიმწვავე და სირთულე განაპირობებს. თუმცა ზურაბ კაკაბაძისთვის ასე-თი ფილოსოფიური პოზიცია არ არის მხოლოდ აუცილებლობით ნაკარნახევი, იგი მისი ორგანული სულიერი მიღრეკილებების შესატყვისია.

ლიტერატურა და ხელოვნება ჭეშმარიტების უშუალო გამოკხადებაა, მხატვრული შემოქმედება ჭეშმარიტების თავისთავადი, უნიკალური შემოქმედება და მოვლინებაა — ზურაბ კაკაბაძე არ იზიარებს შეხედულებას, რომელიც

თავის დროზე ასე იქნა ფორმულირებული: „თანამედროვე პოეზიის მთელი ისტორია არის ფილოსოფიის მოკლე ტექსტის გაბმული კომენტარი“ (ფ. შლეგელი). მაგრამ ამასთანავე ის ხედავს ლიტერატურის, ხელოვნების და ფილოსოფიის ურთიერთშეხების არეს. თანაც მისი მზერა არ ჩერდება იქ, სადაც ეს კონტაქტი აშკარაა და იოლი შესანიშნია თანამედროვე ლიტერატურის და ხელოვნების მკვეთრი ინტელექტუალიზაცია, მხატვრულ სახეში „თეორიული“ ელემენტების მოჭარბება. ზურაბ კაკაბაძე ავლენს მხატვრული შემოქმედების და ფილოსოფიის შეხვედრის სიღრმისეულ საფუძველს: მხატვრული შემოქმედებაც და ფილოსოფიაც არის ეპოქის არსის წვდომა, კრიტიკული განვირეტა და ის, რასაც ამ მხრივ თვითეული მათგანი საკუთარი მეთოდებით და საშუალებებით აღმოაჩენს, ერთგვაროვანია.

ეპოქის არსი მუდავნდება იმაში, ადამიანის ყოფიერების როგორი გაგებაა გაპატონებული, რა იდეალის მიხედვით წარიმართება ადამიანების არსებობა. ზურაბ კაკაბაძე ფიქრობს, რომ ჩვენი ეპოქის წარმმართველ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის იდეალს კაცობრიობა ჩიხისკენ მიყავს, ხოლო ახალი, მხსნელი იდეალი არ გამოიკვეთილა.

ეპოქის ეს ზოგადი არსება წიგნში განხილულია თავისი მრავალი ასპექტით და გამოვლინებით, დოსტოევსკის, თომას მანის, ჯონისის, ბეკეტის, ფელინის და სხვების ნაწარმოებთა ბრნეინვალე ინტერპრეტაციის მეშვეობით. თვალწინ გვეშლება თანამედროვე ცივილიზაციის პანორამა, რომელიც გამოირჩევა იშვიათი სისავსით, სიმწყობრით. ზურაბ კაკაბაძე მიუნდობელი და ირონიულია სინამდვილის ზედაპირის მიმართ, ცხოვრებას გარეკანს აცლის და ამზეურებს იმის სრულიად საპირისპიროს, რაც გარეგნულად მოჩანს — თითქოს თვითონაც სარგებლობს გროტესკული მეთოდით, რომელსაც ყველაზე შესაფერის ფორმად მიიჩნევს იმ სამყაროს გამოსახატად, სადაც აღთქმული პროგრესი გადაგვარებით არის შენაცვლებული.

„ფილოსოფიური საუბრების“ მკითხველი ფარული ვნებით გამსჭვალული გონითი ძების თანამონაწილე ხდება და ავტორთან ერთად ახორციელებს ძნელ და ნატიფ აზრობრივ მოძრაობას, რომელიც გულისხმობს შესამეცნებელ ფენო-

მენში წარმოსახვის მეშვეობით „ჩასახლებას“, მის შიგნიდან დანახვას.

ზურაბ კაკაბაძის როგორც მოაზროვნის ხასიათს, ალბათ, ზუსტად გამოხატავს ეპითეტი „განმმარტებელი“. სიტყვა „განმმარტება“ ხომ არსებითად რთულში „მარტივის“, ანუ ერთიანის („მარტო“ — „ერთი“), ძირითადის, ფუძისეულის პოვნას ნიშნავს. დაშორებულ სიბრტყეებზე განვენილ მოვლენებში, ანდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მხატვრულ ნაწარმოებებში ზურაბ კაკაბაძე შინაგან ურთიერთკავშირებს, საერთო ფუძეს მიაკვლევს, ყოფით-კონკრეტული სინამდვილის და აბსტრაქტორებული აზრის სფეროს შემაერთებელ უჩინარ არხებს ხილულს ხდის.

ჩაძიება, მოვლენების არსში ჩაძირვა ზურაბ კაკაბაძის სტიქიაა, მაგრამ მისი არანაკლებ ბუნებრივი მოთხოვნილებაა ანალიტიკური აზრის მონაპოვრის თვალსაჩინოდ გამოკვეთა. აი, როგორ იხატება, მაგალითად, ნიპილისტის ერთერთი ტიპი.

„ყურადღების მაძიებელი ნიპილისტის მდგომარეობის მერყეობა კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ გარემომცველი „აუდიტორიას“ კი არ შეადგენენ მხოლოდ, არამედ აგრეთვე სახიფათო კონკურენტებს, ანუ ყურადღების ნამდვილ თუ პოტენციურ დამპყრობთ. ამ უკანასკნელთა მხრივ მიღწეული ყოველი წარმატება, ყოველი ზეწამოხეული თავი „ჩრდილს აყენებს“ და „ჩრდილავს“ მას. რამდენადაც საზოგადოების ყურადღების „ფოკუსში“ მოქცევას ნიპილისტთა მასის მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს, ამდენად ნიპილისტთა უმრავლესობა „დაჩრდილულობის“ მტანჯველი გრძნობით და, შესატყვისად, „ჩრდილიდან მზეზე“ გამოსვლის უინით იმსტვალება... ყურადღების მაძიებელი ნიპილისტი „მაღალი მეზობლისა“ და მისგან ნასროლი „ჩრდილის“ შიშითაა ატანილი. მას სწორედ მეზობლისა და მახლობლის სიმაღლე აღელვებს, რადგანაც შორიდან ნასროლი ჩრდილი ნაკლებად მისწვდება; მას მუდამ ეჭვი აქვს, რომ ვიღაც მის სიახლოვეს ზედმეტად „ყელყელაობს“ და თავს მაღლა სწევს ...“.

ზურაბ კაკაბაძე სიტყვაში აღადგენს საკვლევ ფენომენს. მისი უნარი, მომარჯვოს ენის ინტელექტუალური და გამოხატველობითი შესაძლებლობები, მისივე სააზროვნო კულტურის ტოლფარდია. იგი ფაქიზად შეიგრძნობს, დახვეწილი

გემოვნებით ირჩევს სიტყვას; მოქნილი, ელფერებით მდიდარი სტილი მგრძნობაიარედ აღბეჭდავს აზრის სიღრმეს და ნიუანსურობას; აღბეჭდავს პიროვნების ტემპერამენტს, სამყაროსთან არაერთნიშნა ემოციურ დამოკიდებულებას — სევდას და დანანებას, სარკაზმს, სიმკაცრეს და მასთან ერთად შემწყნარებლობას ...

„ფილოსოფიური საუბრები“, ისევე როგორც ზურაბ კაკაბაძის სხვა წიგნები, დაწერილია რწმენით, რომ ფილოსოფია არ არის „მდაბალი“ სინამდვილისგან ქედმაღლურად გამიჯნული წმინდა აზრის ჰერმეტული სამფლობელო; იგი ადამიანებისთვის ჭეშმარიტის და მცდარის, კეთილის და ბოროტის საზომების მიმნიშნებელია, ადამიანის მრჩეველი და დამხმარეა; ფილოსოფია ჭირდებათ ადამიანებს, რათა ჭეშმარიტებაში იცხოვრონ. შეიძლება ფილოსოფიის მოწოდების ასეთი გაგება სათავეს იღებდეს ეროვნული მსოფლალქმიდანაც, რომლის ერთ-ერთი წახნაგიც ამ სიტყვებშია წარმოჩენილი: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

წერილში „ბუნების დაცვის ერთ უცნობი ასპექტის შესახებ“ ზურაბ კაკაბაძე ორიგინალურად მსჯელობს საფრთხეზე, რომელსაც მსოფლიო ეკოლოგიური კრიზისი უქმნის ეროვნულ თვითშემოვადობას — ერის ხასიათი და კულტურა განუყოფელია მისი ბუნებრივი გარემოსგან და ამიტომ ბუნებაზე ძალადობა, ბუნების თავისებური იერის ნიველირება ერის სულიერი იერის ნიველირების გამაადვილებელი ფაქტორია. ეს წერილი, „ფილოსოფიური საუბრები“ და მთლიანად ზურაბ კაკაბაძის შემოქმედება გვკარნახობს, რომ მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემების სერიოზული გაცნობიერება შეუძლებელია ადამიანური ყოფიერების საყოველთაო სიტუაციის ნათლად გათვალისწინების გარეშე.

ისეთი მოაზროვნების წყალობით, როგორიც იყო ზურაბ კაკაბაძე, ქართული ცნობიერება ახორციელებს თავის ძველ, გარემოებების მიერ დაბრკოლებულ მისწრაფებას — ღირსეულად მოხაწილეობდეს ევროპის კულტურულ შემოქმედებაში.

ლიტერატურული კერპთაყვანისმცემლობა

მოგვწონს თუ არა, ბედმა გვარგუნა ცხოვრება ძველი მსოფლმხედველობრივი ორიენტირების და ფასეულობების, აზროვნების და ქცევის ძველი სტერეოტიპების რადიკალური გადასინჯვის თუ გაუქმების ეპოქაში. მკაცრი, მტკიცნეული ჭეშმარიტებების და რეალობების უხეში გაშიშვლების, დაუნდობელი გამომზეურების დროში თვალშისაცემი ხდება ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ჩვენი ტრადიციული და ტიპიური დამოკიდებულების ნაკლულოვნებაც.

უნდა ვაღიაროთ, რომ არსებითად და ძირითადად ეს დამოკიდებულება კერპთაყვანისმცემლურია, აღტაცებული და აღტაცების საგანში უნაკლო სიდიადის მძებნელია. კერპს რიტუალური მონიწებით უნდა მოეკიდო, მასზე მაღალ რეგისტრში, პათეტიკურად და ექსტატიკურად, ანდა მოკრძალებულ-ალერსიანი, შთაგონებული ჩურჩულით უნდა ილაპარაკო — ასეა მიღებული. აღმოსავლურად ჰიპერბოლური რიტორიკა თავისი აღმატებული ეპითეტებით — „დიდი“, „დიდებული“, „უკვდავი“, „გენიალური“ და ა.შ. — მოლაპარაკის-თვისაც სასიამოვნოა და მსმენელისთვისაც, რადგან მათაც სიდიადეს აზიარებს, თითქოს მათაც ადიდებს და რა შეიძლება იყოს უფრო ტკბილი ქართველი ადამიანისთვის ...

საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა მცირე ფასეულობების ხელოვნური გაზვიადება და ნამდვილ ფასეულობათა აბსოლუტიზაცია, გაფეტიშება, „იგავმიუწვდომელი“ სიმაღლის კვარცხლბეკზე ატანა და დასვენება. ეს ფეტიშიზმი, რომელიც არაიშვიათად ფარისევლობით არის გაზავებული, რეაქციის სახით იწვევს სკეპტიკურ განწყობას და გაუცხოებულ გულგრილობას ქართული ლიტრატურისადმი, განსაკუთრებით ახალ თაობაში ...

კერპთაყვანისმცემლობის მშობელი და მეურვე პროვინციალიზმია. თვალსანიერის სივიწროვე, აზროვნების სიღარიბე, ლოკალურ-შინაურული, შეღავათიანი კრიტერიუმების დანერგვა უნივერსალური საზომების ნაცვლად ფეტიშიზმის არსებობის აუცილებელი პირობაა.

ამ ფენომენის განმტკიცებაში დიდია საბჭოური აზროვნების წესის წვლილი, რომელიც თავისი არსით სწორედ პროვინციული, მსოფლიო მთლიანობისგან მტრულად გამიჯნუ-

ლი და კერპთაყვანისმცემლურია, ისევე როგორც ყოველგვარი ტოტალიტარული, ამა თუ იმ იდეოლოგიის უძრავ დოგმებზე დამყარებული აზროვნება. ამიტომ ლიტერატურული ფეტიშიზმი რუსეთშიც იჩენს თავს, თუმცა უფრო ნაკლებად, ვიდრე ჩვენთან; ამავე დროს ლიტერატურასთან დამოკიდებულების არადოგმატურობა და თავისუფლება შეუდარებლად მეტია რუსეთში, ვიდრე საქართველოში.

ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი კერპთაყვანის-მცემლური დამოკიდებულება აფერხებს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის და კრიტიკის განვითარებას, რამდენადაც შინაგანად ბოჭავს, თავისუფლებას უზღუდავს მას, სრულფასოვნად კი მხოლოდ თავისუფალი შეიძლება ვითარდებოდეს. წარსულის ლიტერატურისადმი ფეტიშისტური მიმართება თანამედროვე ლიტერატურასთან მიმართებასაც გადმოწვდება და თავს მოეხვევა. წარსულის მოდელის მიხედვით კერპების გამოქანდაკება თანამედროვე მწერლების-განაც ხდება. ხშირად თვით თანამედროვე მწერალსაც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად სურს, რომ მასაც ისე მოეკიდონ, როგორც წარსულის მწერალ-კლასიკოსს, ანუ როგორც სრულიად უნაკლოს, როგორც ხელშეუხებელ კერპს. არ არის საჭირო იმის დასაბუთება, თუ როგორ ვნებს ყველაფერი ეს ლიტერატურას.

ქართულ ლიტერატურაში არის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ლირებულებები და კერპთაყვანისმცემლობა სინამდვილეში მხოლოდ ამცირებს და საეჭვოს ხდის მათ, თუნდაც უცხოელი ანალიტიკოსის თვალში. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩვენმა დამოკიდებულებამ, ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნისადმი“ სკეპტიკურად განაწყოს იგი, აფიქრებინოს, რომ პატარა ხალხი მისთვის ძვირფასი ნაწარმოების წრეგადასული განდიდებით თავს იმკვიდრებს თავისთავისე თუ სხვათა ნინაშე და გაუძნელოს ამ ნაწარმოების ნამდვილი სიღრმის და სიმაღლის აღქმა. თუმცა ის, ალბათ, დამალავს ამას, აგვყვება ხოტბაში და გვასიამოვნებს, როგორც ქებას დახარბებულ ბავშვებს.

საკუთარი ლიტერატურის აპოლოგია ვერ დაგვეხმარება იმაში, რომ უცხოელებს მისდამი ინტერესი გავუღვივოთ, მათ ჩვენი ლიტერატურული მიღწევები დავანახოთ. თუ ეს გვსურს, ზომიერება და ობიექტურობა უნდა გამოვიჩინოთ

ქართულ ლიტერატურაზე მსჯელობისას, რაც გულისხმობს მის განხილვა—შეფასებას უნივერსალური საზომებით, მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციების და მონაპოვრების კონტექსტში — არა იმისთვის, რომ ვინმეს გავეჯიბროთ, თავი გავუტოლოთ ან ვაჯობოთ კიდეც, არამედ რათა ჩვენი ლიტერატურის თავისებურებანი მკაფიოდ გავიაზროთ, ჩვენი ლიტერატურული ფასეულობები უშეღავათოდ, რამდენადაც შესაძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ. მაშინ, ალბათ, ისინი სხვებისთვისაც უფრო ადვილად აღსაქმელი გახდება.

კერპთაყვანისმცემლობის აღმოფხვრა აუცილებელია კლასიკასთან მისაახლოებლად, ცოცხალი ადამიანური ურთიერთობის დასამყარებლად. კერპთან დიალოგს ვერ გამართავ, კერპთან ერთად ვერ იფიქრებ, ვერ იაზროვნებ, მას შენთვის მტკიცნეულ, ძნელ კითხვებს ვერ დაუსვამ, ყოველ შემთხვევაში, მათზე საგულისხმო პასუხებს მისგან ვერ მიიღებ.

კერპთაყვანისმცემლობის უარყოფა არსებითად ძველ ფასეულობათა აქტუალიზებას, გადახალისებას, მათი ჩვენებული აღქმის ავტომატიზმის გადალახვას მოასწავებს და არა კლასიკის დამდაბლებას, დაენინებას. ნამდვილი ფასეულობებისთვის ის საშიში არ არის.

შესაძლებელი და საჭიროა გულწრფელი საუბარი აღიარებულ ქართველ მწერალთა შემოქმედების სუსტ მხარეებზე თუ მათ სუსტ ნაწარმოებებზე, ანდა მთლიანობაში ძლიერი ამა თუ იმ ნაწარმოების ხარვეზებზე...

ლიტერატურული კერპთაყვანისმცემლობის დამამკვიდრებელი ისიც არის, რის შესახებაც მსჯელობს ფრანც კაფკა თავის დღიურში, როცა მცირე, შეჭირვებული ერების ლიტერატურას ეხება — ესაა ნაციონალურ ლიტერატურაზე თუ ყოფიერებაზე მწერლის მიერ მოხდენილი გავლენის და მისი შემოქმედების რეალური ღირებულების ერთმანეთში არევა, ერთმანეთისგან გაურჩევლობა, რომელსაც თან ახლავს გადამეტებული კრძალვა საკუთარი ლიტერატურის მიმართ.

თუმცა კრძალვა არ იგრძნობა ქართველ ლიტერატურის მოყვარულთა კერძო, გულახდილ საუბრებში და კამათში. აქ გამოითქმება მწერლების და ნაწარმოებების არაკანონიკური შეფასებანი, მაგრამ ეს შეხედულებები, როგორც წესი, ლიტერატურის შესახებ საჯარო მსჯელობის მიღმა რჩება.

ამგვარი თვალსაზრისები შეიძლება სწორი ან არასწორი იყოს, მაგრამ ისინი არსებობს და მათ საჯაროდ გაუმჯდავ-ნებლობას, განუხილველობას ყალბი იერი აქვს, აბლაგვებს, ამტკნარებს ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებას. „უხერხული“ თემებისთვის დუმილით გვერდის ავლა აბრკოლებს თვით ჭეშმარიტი ფასეულობების მთელი სისრულით გამოკვეთას და აქტივიზაციას, გემოვნების დახვენას, ლიტერატურის განახლებას.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ლიტერატურული კერპ-თაყვანისმცემლობა წარმოადგენდა თავისუფლებადაკარგული ხალხის თავდაცვით რეაქციას თავისი მძიმე მდგომარეობის მიმართ, მის ცდას, შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა, საკუთარი თავის რწმენა და პატივისცემა, წინააღმდეგობა გაეწია კოლონიზატორისთვის. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ხელს უშლიდა ეროვნული ცნობიერების და კულტურის ჯან-საღ ზრდა-განვითარებას, ნერგავდა თვითკმაყოფილებას, ამპარტავნობას ...

ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ მომავალში იგი მხოლოდ საზიანო შეიძლება იყოს.

1993

პროზა პოეზიის ქვეყანაში

ის გარემოება, რომ ქართული პოეზია აღემატება თავის-თავად საკმაოდ მნიშვნელოვან ქართულ პროზას, საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ ამის განმაპირობებელი მიზეზები საგანგებო განსჯის თემა არ გამხდარა. ეს პრობლემა კი მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით არ არის საინტერესო, იგი უკავშირდება ჩვენი ეროვნული არსებობის და ცნობიერების მნიშვნელოვან თავისებურებებს.

ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში პოეზიის და პროზის უთანაბრობა ჯერ კიდევ არ იჩენს თავს, რელიგიური პოეზია და პროზა ერთმანეთს ლირსებით არ ჩამოუვარდება. ძნელი სათქმელია, რომ ჰიმნოგრაფიის ნიმუშები ესთეტიკური და სულიერ-ინტელექტუალური სიმაღლით ჩრდილავს „შუშანიკის წამებას“, „აბოს წამებას“ ან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“... მხოლოდ XII საუკუნეში ჯაბნის აშკარად პოეზია პროზას — „ვეფხისტყაოსანი“ შორს ჩამოიტოვებს პროზაულ სარაინდო რომანს „ამირანდარეჯანიანს“. იმ ეპოქისთვის ეს არ არის მოულოდნელი მოვლენა, რადგან ძველ ლიტერატურაში პრიორიტეტი საერთოდაც პოეზიას, სალექსო ფორმას ენიჭება. პროზა დასავლურ ლიტერატურაში დაწინაურებას იწყებს მოგვიანებით, რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული (ბოკაჩი, რაბლე, სერვანტესი...) და ეპოში წამყვან პოზიციას იმკვიდრებს XVII-XVIII საუკუნეებში, უპირველესად რომანის ფორმით.

საქართველოში იგივე პერიოდი (XIV-XVIII საუკუნეები) კულტურის განვითარებისთვის სრულიად არაკეთილმყოფელია. ამ დროს ჩვენთან არ არსებობს იმის წანამძღვრები, რომ ლიტერატურაში ასეთი დიდი ცვლილება მოხდეს. თვით ქართული საზოგადოების განვითარება შეფერხებულია და იგი არ განიცდის ისეთ რეალურ-პრაქტიკულ და მსოფლიხედველობრივ ძვრებს, რომლებმაც ევროპაში პროზის დაწინაურებას შეუწყო ხელი: არ ვითარდება მეცნიერება და აზროვნების შესაბამისი, ცდაზე და დაკვირვებაზე დამყარებული წესი; საზოგადოების იერარქიული სტრუქტურა გახევებული რჩება, არ ხდება სოციალური ცხოვრების გართულება და დინამიზაცია, რაც ასაზრდოებს პროზას მისთვის ხელსაყრელი თემებით, სიუჟეტებით, კონფლიქტებით, ახა-

ლი, მკვეთრი ტიპების და ხასიათების მრავალფეროვნებით; არ ჩანს ძლიერი მესამე წოდება, რომლის ინტენსიურ საქმიანობას თან ახლავს ქალაქების ზრდა, ადამიანურ ურთიერთკავშირთა უფრო დაქსელილი და წინააღმდეგობრივი სისტემის დამკვიდრება მარტივ სოფლურ-პატრიარქალურ ყოფას-თან და მკაფიოდ, მტკიცედ სტრუქტურირებულ ფეოდალური ცხოვრების ყაიდასთან შედარებით; დასავლეთში, საქართველოსგან განსხვავებით, ამასთანავე მიმდინარეობს სამყაროს თანდათანობითი „გამინიერება“, ნარმოდგენის შერყევა სამყაროზე როგორც მეტაფიზიკური ძალებით და პრინციპებით მოწესრიგებულ მთლიანობაზე, რომელსაც უფრო ესატყვისება ლექსი თავისი თვალსაჩინო წესრიგით; ბუნებრივია, ჩვენთან არ აღინიშნება არც ასეთ პროცესებთან დაკავშირებული ყოველდღიურობის და ყოფითობის, პრივატული არსებობის მნიშვნელობის იმგვარი მატება, რომ გამოიკვეთოს ის, რასაც ჰეგელი „სამყაროს პროზაულ მდგომარეობას“ უწოდებს...

რა თქმა უნდა, ამ ეპოქის საქართველოში იწერება ისეთი პროზაული ნაწარმოები, როგორიც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაა“, მაგრამ მას არ მოყოლია ახალი პროზის უწყვეტი, თანმიმდევრული ტრადიციის ფორმირება. ეს დიდი დაგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება — მაშინ, როცა ნელ-ნელა ჩვენშიც ჩნდება დაახლოებით ისეთივე ტენდენციები, დასავლურ ლიტერატურაში პროზის განვითარებას ნიადაგი რომ შეუქმნა.

მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში პროზის მიმართ პოზიტიურიატესობას ობიექტურ და კულტურულ-ისტორიულ მიზეზებთან ერთად განაპირობებს მიზეზებიც, რომლებიც ერის სულიერი არსებიდან ნარმოდგება.

ლექსი როგორც მეტრით, რიტმით და სხვა ფაქტორებით მკაფიოდ პარმონიზებული ესთეტიკური ფორმა თვალშისაცემად ამაღლებულია ცხოვრებაზე, გამოცალკევებულია ადამიანის ჩვეულებრივი არსებობისგან. სალექსო ფორმა ხაზგასმულად არაპრაქტიკულია, არაუტილიტარულია, ძლიერ თამაშებრივ საწყისს მოიცავს და ამკვიდრებს, თამაშის და თავისუფლების არეს გადაშლის. შეიძლება ითქვას, რომ ის არის სადღესასწაულო, საზეიმო ფენომენი, რომელიც მოასწავებს ყოველდღიურობაზე, პრაქტიკულ საჭიროებებ-

ზე და საზრუნავზე გამარჯვებას, ყოფით-უტილიტარული სტიქიის ძლევას. ქართულ ხასიათს, როგორც შენიშნულია, ძნელად ეგუება უღიმდამო, მონოგონურ ყოველდღიურობას, ზრუნვით დამძიმებულ ყოფას და თავისუფალი თამაშის და დღესასწაულისკენ მიიღწვის, პოეზია თვითგამომჟღავნების ორგანულ საშუალებად ევლინება.

უფრო აშკარაა ის, რომ პოეზია როგორც სფერო, სადაც სამყაროს გრძნობითი აღქმა ჭარბობს და ადამიანის შინაგანი არსება უპირველეს ყოვლისა ემოციებად და ვნებებად გადმოიღვრება, ზედმინებით ესადაგება ქართული ხასიათის აგზნებულ ემოციურობას, ისევე როგორც მუსიკა.

ქართველი ადამიანის ინდივიდუალიზმი და სუბიექტი-ვიზმი ყველაზე ადეკვატურ ესთეტიკურ გამოხატულებას ლირიკაში პოვებს — ლირიკის არსი ხომ სწორედ სუბიექტურობა; სამყარო მასში წარმოგვიდგება სუბიექტის როგორც ცენტრის გარშემო შემჭიდროებულად; პიროვნება, „მე“ ლირიკაში აღწევს თავისუფლების და შეუზღუდველი თვითგამოვლენის სისრულეს. ლირიკული პოეზია გასაქანს ადლევს ქართული ხასიათის არტისტიზმს, რამდენადაც პიროვნებას შესაძლებლობას ანიჭებს გამოძერნოს თავისი ის სახე, რომელიც მისთვის სასურველია, ითამაშოს თავისთავი ისე, როგორც სურს და მოსწონს, ლაღად და მთელი სისავსით გამოაჩინოს თავისი განუმეორებელი არსება, რაც მძაფრ სიამოვნებას განაცდევინებს.

თუ ლირიკული პოეზია სუბიექტურია, პროზა თავისი შინაგანი აღნაგობით ინტერსუბიექტურია. პოეზია, ლირიკა გაიშლება ინდივიდუუმის სივრცეში, პროზა — სოციალურ სივრცეში. ლირიკული პოეზია, ცხადია, ადამიანის სულიერი ცხოვრების სიღრმის და სიმდიდრის უფაქიზესი აღმბეჭდველია, მაგრამ ადამიანის ბუნების და არსებობის არაერთი ასპექტი შეიძლება თვალნათლივ გამოვლინდეს მხოლოდ ადამიანების ურთიერთობაში, ადამიანების მრავალგვარ ურთიერთებულებაში, როგორც ბუნებრივია, პროზისთვის უფრო მისაწვდომია. ადამიანთა ერთობლივი, საზოგადოებრივი ცხოვრების რაობა, მისი შინაგანი კავშირები და კანონზომიერებები, მისი წინააღმდეგებები, პრობლემები და კოლიზიები უპირატესად პროზის მხატვრული კვლევის საგანია. თვით ეს საგანი თავისი არსით მოითხოვს მისდამი აქტიურ

შემეცნებით მიმართებას, აზრის დაძაბულ მუშაობას, პრობლემურ თვალთახედვას... სიტყვიერი ხელოვნების შემეცნებითი, ანალიტიკური ბუნება, ალბათ, მაინც უფრო მკვეთრად ვლინდება ეპიკაში, რომელიც ბოლო საუკუნეების მანძილზე მეტწილად პროზის ფორმით არსებობს, ვიდრე ლირიკაში.

სრულფასოვანი პროზის ფუნდამენტია ადამიანის და საზოგადოების შესახებ ძირეული სიმართლის მიკვლევის და გაგების ნება. ამის შედეგად იგი წარმოგვიდგება როგორც საზოგადოების, ერის მხატვრული თვითშემეცნების და თვითგაგების ყველაზე ტევადი და ნაყოფიერი ფორმა, ყველაზე უტყუარი, ეფექტური საშუალება. ამიტომ ბუნებრივია, რომ იქ, სადაც ჭეშმარიტი საზოგადოებრივი და ეროვნული თვითშემეცნების მოთხოვნილება გამოუკვეთელია, მოუმწიფებელია, სადაც ამგვარი თვითშემეცნების ცდებს გაღიზიანებით ხვდებიან, პროზის განვითარებისთვის ხელშემწყობი აგმოსფერო არ არის. დამახასიათებელია ამ მხრივ, როგორ უხდება ილია ჭავჭავაძეს „კაცია-ადამიანის?!” მკითხველის დარწმუნება იმაში, რომ სიმართლის შეცნობა აუცილებელია...

თუ საზოგადოებას, ერს ჯიუტად არ სურს საკუთარ თავზე ილუზორული და შეფერადებული წარმოდგენების დათმობა, არ სურს თავისი ნამდვილი სახის ხილვა, ეს გავლენას ახდენს შემოქმედის მხატვრულ ცნობიერებაზეც, ბოჭავს, ზღვარს დაუდებს მას. ის, რაც ქართულ პროზაში ღირებულია, მნიშვნელოვანნილად ამ ზღვარის ძნელი გარღვევის რეზულტატია. ქართველი ადამიანის და საზოგადოების თავისუფალ, შეუზღუდველ მხატვრულ ხედვას წინ რომ არაფერი ეღლობებოდეს, ჩვენს პროზაში მაღალი ფასეულობები, ვფიქრობთ, მეტი იქნებოდა.

შემჩნეულია, რომ თავისუფლების უქონლობა ხელს უშლის ხალხს თავისი თავის ჭეშმარიტ დანახვაში. თვითშენარჩუნების ინსტინქტი თავისუფლებას მოკლებულ ერს კარნახობს თავდაცვის მარტივ და არცთუ საუკეთესო საშუალებას — იქმნიდეს, ჭვრეტდეს და სხვასაც უჩვენებდეს თავის იდეალიზებულ ხატს, ხოლო ბოროტებას და მანკიერებას უპირატესად მისდამი დაპირისპირებულ ძალაში, საერთოდ უცხოში ხედავდეს.

თუ დავუკვირდებით, ქართული პროზის ყველაზე ნეგატიური პერსონაჟები ხშირად არაქართველები არიან: მიხეილ

ჯავახიშვილის ჯაყო, რასპუტინი, ყაშა; გრიგოლ რობაქიძის ბერზინი; კონსტანტინე გამსახურდიას არზაყანი და ფარსმან სპარსი (ეს უკანასკნელი წარმოშობით თუმცა ქართველია, მაგრამ დენაციონალიზებულია); ლეო ქიაჩელის კუზმა კილ-გა... რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ქართველი მწერ-ლები უცხოთა სიძულვილით არიან შეპყრობილი, მათვე შექ-მნილი აქვთ არაქართველთა სიმპათიური სახეები. ეს მიგვა-ნიშნებს იმაზე, რომ ისინი ერიდებიან ძლიერი, დიდი ბორო-ტების დანახვას ქართველ ადამიანში, ამჯობინებენ იგი არა-ქართველში აღმოაჩინონ; ეს მიგვანიშნებს იმ ძნელად გადა-სალახავ ზღუდეზე, რომელიც თვით ნიჭიერ მწერალთა ცნო-ბიერებაში არსებობს და რომელსაც ისინი აწყდებიან ქართ-ველი ადამიანის გამოსახვისას. აქ ნახსენები ყველა პერსო-ნაჟი საინტერესოა, შინაგანად სავსე და მხატვრულად მარ-თალია სწორედ იმის წყალობით, რომ მათში ადამიანის ბუნება, რომელშიც შეიძლება ბოროტება მძლავრობდეს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშეა გამოკვეთილი.

პროზის ხელოვნება ძვირფასია როგორც ადამიანის არ-სების და არსებობის მთელი წინააღმდეგობრივი მრავალგვა-რობის დამნახველი და ხორცშემსხმელი უნიკალური ხე-ლოვნება. ადამიანის არსება და არსებობა კი სიკეთეს და ბოროტებას შორის არის განფენილი, სიკეთის და ბოროტე-ბის დიალექტიკური მთლიანობაა. ადამიანისადმი ამოუწუ-რავი და შეუნელებელი ინტერესი, ადამიანის ფენომენისადმი დაუინებული ყურადღება, რომელიც პროზის სიძლიერის პი-რობაა, ალიძვრება სწორედ იმის განცდით თუ შეგნებით, რომ ადამიანი არის სიკეთის და ბოროტების დაუსრულებე-ლი ბრძოლა მუდამ წინასწარგანუჭრეტელი და ცვალებადი შედეგით.

ადამიანზე წარმოდგენა, რომელსაც ქართული ეროვნუ-ლი მსოფლებელი მოიცავს, უპირველეს ყოვლისა „ვეფხის-ტყაოსანშია“ კრისტალიზებული. რუსთაველის პოემაში ადა-მიანი ამაღლებულია, კეთილშობილი, სხვადასხვა ღირსებე-ბით შემკული... პოემის გმირებში ადამიანის ბუნების მრა-ვალფეროვნება უხვად არის გამომზეურებული და ღრმად იხატება მათ შინასამყაროში მოქმედი ნეგატიური ძალებიც — მიდრეკილება ამამღვრეველი ირაციონალური იმპულსე-ბის და აფექტების აყოლისკენ, სასოწარკვეთილი პასიურო-

ბისკენ, გადამეტებული სიამაყე, ზოგჯერ დაუნდობლობაც... მაგრამ ეს ძალები ისეა შეზრდილი მათსავე შეუდარებლად უფრო დიდ ღირსებებთან, რომ ისინი ამ გმირების სახეებს მომხიბვლელობას არ აკლებენ; მათ ავტორი მორალისტის თვალთახედვით არ აფასებს. პოემაში ბოროტების სათავე ჩვეულებრივი ადამიანური სამყაროს მიღმაა გადატანილი. ბოროტების არასუბსტანციურობის რუსთაველისეული კონცეფცია გულისხმობს იმასაც, რომ ბოროტებას არა აქვს სუბსტანციური საყრდენი თვით ადამიანში.

რუსთაველის ადრეულრენესანსული ოპტიმისტური მსოფლმხედველობისგან განუყოფელი ადამიანის კეთილი არსის რწმენა და ნდობა ადამიანისადმი, რომლისთვისაც ბუნებრივია იყოს ამაღლებული და კეთილშობილი, ტრადიციული ქართული ნაციონალური მსოფლგაგების ნიშნად იყვეთება და ღრმა გავლენას ახდენს ქართულ მხატვრულ ცნობიერებაზე.

ადამიანის შესახებ ამგვარი, პოეტურად ნათელი და ნდობით გამსჭვალული წარმოდგენის ამკარა თუ ფარული ზემოქმედება, ერთი მხრივ, ქართული კულტურის ჰუმანისტურ გეზს განამტკიცებს; მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ზემოქმედება, როგორც ჩანს, განაპირობებს იმას, რომ ჩვენში შედარებით ნაკლები ძალისაა მიდრეკილება ადამიანის ფენომენის დაბული ესთეტიკური ჭვრეტისკენ, ეჭვნარევი, ჩაძიებული ანალიზისკენ და ადამიანის ბუნების სირთულის და წინააღმდეგობრიობის, მასში ბოროტი საწყისის საკმაოდ დიდი წილის სრულად გამომჟღავნებისკენ. პროზის ჭეშმარიტი ფასეულობის უპირველესი მაჩვენებელი კი სწორედ ადამიანის ფართო და მრავალმნიშვნელოვანი მხატვრული კონცეფციაა...

შესაძლოა, ყველაზე დრამატული სულიერი პროცესი, რომელიც დღევანდელ საქართველოში მიმდინარეობს, არის ტრადიციულ-ოპტიმისტური თვალსაზრისის რღვევა ადამიანზე საერთოდ და ქართველ ადამიანზე კერძოდ. ახლა ეს თვალსაზრისი უფრო კრიტიკული და მკაცრი შეხედულებით იცვლება. სავარაუდოა, რომ ქართული მხატვრული აზროვნებაც უფრო „პროზაული“ გახდება...

ეროვნული და დასავლური

ინდივიდუალიზმი თუ ეგოიზმი

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობაში ქართველებისთვის განსაკუთრებით მახლობელი და მიმზიდველი აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი ღრმა თავისებურება — ინდივიდუუმის თავისთავადი ფასეულობის განმტკიცება. ქრისტიანული თვალსაზრისით, ყოველი ცალკეული ადამიანი სამყაროს შემოქმედი ღვთაებრივი პიროვნების პარტნიორი და მსოფლიო სულიერი დრამის სრულფასოვანი, აუცილებელი მონაწილეა; თვითეული კაცი ღმერთის სიყვარულის და მზრუნველობის ადრესატია, ამასთანავე მას თავისუფლება აქვს მინიჭებული და აბსოლუტური პასუხისმგებლობა ეკისრება. ეს ინდივიდის თვითშეგრძნებას, თვითცნობიერებას აღვივებს და ამახვილებს.

ქრისტიანობის შემწეობით იხვეწება ქართული ინდივიდუალიზმი, რომლის სრულყოფილ არსს და იერს „ვეფხისტყაოსანში“ ვპოვებთ. აქ ინდივიდუალიზმი გამოვლენილია როგორც პიროვნების უმაღლესი ფასეულობის, ღირსების და დანიშნულების თვითშეგნება და ამავე დროს მის მიერ სხვა პიროვნების ასეთივე რანგის სრული აღიარება. რუსთაველის გმირების ინდივიდუალიზმი არათუ უარყოფს სხვათან ნებას, უფლებებს, ინტერესებს, არამედ სწორედ სხვებთან თანხმიერების ძიებით ამაგრებს თავისთავს. იგი ესადაგება ღმერთის პიროვნულ ბუნებას და მის მიერ ინდივიდუალიზაციის პრინციპით შექმნილ სამყაროს („გვაქვს უთვალავი ფერითა“), ადამიანის კეთილშობილურ მოწოდებას და საზოგადოების უზენაეს ინტერესებს.

თუ ქრისტიანობის წიაღში მომწიფებული და რენესანსის მიერ მძლავრად დამკეიდრებული ინდივიდუალიზმის საფუძველზე დასავლურ სამყაროში, საბოლოო ანგარიშით, თავისუფალი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა წარმოიშვა, საქართველოს შემდგომი ცხოვრება ამ გეზით ველარ წარიმართა. მძიმე ისტორიულმა პირობებმა ინდივიდუალიზმის თანმდევი ცდუნებები, რომლებიც რამდენადმე „ვეფხის-

ტყაოსანშიც“ მუდავნდება, უკიდურესად გაამძაფრა, მისი დამდაბლების, გადაგვარების საფრთხე მაქსიმალურად გაანივთა. პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ „მეს“ ძლიერი შეგრძნება და ცნობიერება მოიცავს ამ „მეს“ შენარჩუნების, გადარჩენის ასეთსავე ძლიერ მოთხოვნილებას, რომელსაც დრამატული გარემოებები, განადგურების საშიშროება მეტად ამწვავებს და უბიძგებს განხორციელდეს სხვა ადამიანთა ხარჯზე.

ამგვარად გადაძალა ინდივიდუალიზმი მისივე ცოდვით-დაცემის ნაყოფმა — მძაფრმა ეგოიზმმა, პირადი თვითშენარჩუნების და თვითდამკვიდრებისკენ წრეგადასულმა სწრაფვამ და სხვა ადამიანების ღირსების და ინტერესთა უგულებელყოფამ. გაბატონდა ინდივიდუალიზმის მკვეთრად გამოსატულ ეგოიზმად გადაგვარების ტენდენცია.

განსაკუთრებით ძნელად შესაზღუდავი გახდა ეს ტენდენცია საქართველოს რუსეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ. დამოუკიდებელ სახელმწიფოში ეგოიზმის ძალას ერთგვარად მაინც ანელებდა იმის შეგნება, რომ თავკერძობა მავნეა ქვეყნისთვის. ხოლო ქართული სახელმწიფობრიობის გაუქმებამ ეგოიზმს ხელ-ფეხი კიდევ უფრო გაუხსნა – იგი ისე მიუტევებელი აღარ ჩანდა, რადგან ქვეყნის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

შემდეგ, კომუნისტური დიქტატურის დროს, თვითშენარჩუნების ინსტინქტის გახელებამ და ამასთანავე კარიერის კეთების, აღზევების არნახულად მოძალებულმა საცდურმა ქართული ხასიათის დეფორმირება საშინელი სისწრაფით და ძალით გააგრძელა. დამახინჯებული ინდივიდუალიზმის „განვითარებას“ დიდად შეეწყო ხელი, რადგან დიქტატურა არის აღზევებულთა დაკანონებული თავმოთხობა, თვითნებობა, მათ მიერ ზნეობრივი და სამართლებრივი პრინციპების უკუგდება, ანუ სამყაროსთან ეგოცენტრული მიმართების გამეფება. დიქტატორი და ისინი, ვისაც იგი ძალაუფლებას მეტნაკლებად უწილადებს, მასას წარმატებულობის ეტალონებად ნარმოუდებიან, ესე იგი, არსებითად მომხიბლავი და სანიმუშოა გამარჯვებული ეგოცენტრიზმი...

საქართველოს აღორძინება ეგოიზმის ინდივიდუალიზმად გარდაქმნის ტოლფასია. ეს გულისხმობს პიროვნების ღირსების გრძნობის გამოცოცხლებას, რომელიც სხვისი

ღირსების აღიარებით აფუძნებს და აძლიერებს თავისთავს; ანუ გულისხმობს ტრადიციული ქართული მორალური ცნობიერების ჩამომყალიბებელი მთავარი ძალის — თავმოყვარეობის გალვიძებას, რომელიც ადამიანის არაზნეობრივი იმპულსების შემაკავებელია და მის ენერგიას კონსტრუქციული საქმიანობისკენ მიმართავს, ამით კი თავისუფლებას ნერგავს და იცავს.

1990

ქართული ორსახოვნება

ეროვნულ თემაზე მსჯელობის სრულ და გაბედულ გულაბდილობას, რომლითაც გამოირჩევა ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“, ჩვენ მხოლოდ ახლა ვეჩვევით. ეს გულაბდილობა, წერილის ავტორის წრფელი ტკივილი დასაფასებელია, იმის მიუხედავად, გავიზიარებთ მის მოსაზრებებს თუ არა.

ნიკოლო მიწიშვილის თვალთახედვა უპირისპირდება ეროვნული თვითაღქმის ნარცისულ სტილს და ამით არის საინტერესო და შთამცემდავი. სხვა საკითხია, რამდენად საფუძვლიანია მისი პოზიცია.

ისევე როგორც ახლანდელ ნიჰილისტურ განწყობილებებს, ნიკოლო მიწიშვილის ნიჰილიზმს იწვევს მოუზომავი პრეტენზიების, ილუზიების გაქარწყლება. ეროვნული ნიჰილიზმი ილუზიების სინამდვილესთან შეუსაბამობის გაცნობიერებას მოსდევს. ილუზიები რომ არ ყოფილიყო, არც ნიჰილიზმი იქნებოდა.

ნიკოლო მიწიშვილი იმის გამო წუხს, რომ არსებობს ქართულ კულტურაზე ძლიერი კულტურები. მაგრამ ბუნებრივია, რომ მცირერიცხოვანი, თითქმის მუდმივად განსაკდელში მყოფი ხალხის კულტურა ჩამოუვარდებოდეს დიდი და მძლავრი სახელმწიფოების კულტურას. დავჯერდეთ იმას, რომ ჩვენს კულტურულ ფასეულობათა ნაწილი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონეა.

„ფიქრებში“ ლაპარაკია „ქართული იდეის“ ბუნდოვანების თუ არარსებობის შესახებ, მაგრამ ქართულ კულტურაში განფენილი სამყაროს სურათის და ფასეულობათა წყობის ორიგინალური იერი მკაფიოა. ხოლო თუ ის გვინდა, რომ მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი ქვეყნების როლის ტოლფასი როლი მოგვეკუთვნოს, ეს გადაჭარბებული პრეტენზიულობაა. ცხადია, რეალობასთან მისი შეუთავსებლობა არ ნიშნავს, რომ ქართულ კულტურას არა აქვს თავისი გამორჩეული სახე. როგორც ვხედავთ, ნიჰილიზმს დაუკმაყოფილებელი ეროვნული ამბიციურობა, თამაზ ნატროშვილის თქმით, „ეროვნული განდიდების მანია“ წარმოშობს.

ჩვენი მეტისმეტი პრეტენზიულობა არ არის აუხსნელი — უპირველეს ყოვლისა მას კვებავს მეთორმეტე საუკუნის

საქართველოს ხსოვნა, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი განვითარება ტრაგიკულად რომ არ ჩახშობილიყო, შეიძლება დიდ ქვეყნებთან გატოლების ჩვენს უინს ნიადაგი მართლაც აღმოჩენოდა. ამიტომ დაგვრჩა გამოუყენებელი, არა-რეალიზებული პოტენციის ტკივილიანი შეგრძნება, რომელ-საც აქართვებდა ილუზია, რომ „ოქროს ხანის“ საქართველო ერთი ხელის განვდენაზეა. ახლა გვიხდება იმის აღიარება, რომ მას ძალიან ვართ დაშორებული და ეს მწარეა. დაცემის სილრმე იმ სიმაღლით განიზომება, რომელზეც პრეტენზიას ვაცხადებდით. წამხდარი რაინდი ტრივიალურ ნაძირალაზე უარესად გამოიყურება, რადგან მისი წახდენის საზომი რაინდული კოდექსია.

„ქართული იდეა“, რომლის გამოუკვეთელობაზეც ნიკოლო მინიშვილი საუბრობს, ყოველ შემთხვევაში, მისი ერთ-ერთ მთავარი წახნაგი, ალბათ, ადამიანთა ორმა, ფუნდამენტური ახლობლობის და ნათესაობის რწმენაა. ამ ინტუიტურ გრძნობას და მისგან აღმოცენებულ ნათლად გააზრებულ იდეალს, განსაკუთრებული შთაგონებით გამოთქმულს რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას პოეტურ ენაზე, ქართულ ცნობიერებაში და ყოფაში წარმმართველი მნიშვნელობა ეკისრება: კულტის რანგშია აყვანილი ადამიანური ურთიერთობების, თანაცხოვრების თბილი სიმჭიდროვე, ადამიანების ახლობლური კეთილმოსურნეობა ერთმანეთისადმი, ურთიერთდაბმარება და ურთიერთგატანა... ქართველი ადამიანის-თვის ტრადიციულად შეუდარებელი ფასეულობა და მიმზიდველობა აქვს არსებობის ასეთ წესს, ახლობლობის ეთოსს. მაშინაც კი, როცა მისი წამდვილი შინაარსი აორთქლებულია და იგი ილუზორულ-ფარისევლურ ხასიათს იძენს, ახლობლობის ეთოსი მაინც ძალაშია — თვით ფარისევლური მოჩვენებითობაც მისი მაიძულებელი ზემოქმედების გამოვლენაა.

როგორც ამბობენ, ჩვენი წაკლი ჩვენივე ღირსებების გაგრძელებაა. და, შესაძლოა, პარადოქსული ქართული ორსახოვნება იქიდანაც წარმოდგებოდეს, რომ ახლობლობის სული, ატმოსფერო ბადებს ადამიანთა თანაბრობის მწვავე მოთხოვნილებას და ბიძგს აძლევს მეტოქეობის უინს, ეს კი სათავედ ედება ყველანაირი საშუალებით თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვას, ეგოისტურ ინდივიდუალიზმს.

ხოლო იგი თუმცა პრივატულ არსებობასაც ამღვრევს, გაცილებით უფრო შეუკავებელია სოციალურ და სახელმწიფოებრივ ყოფაში, რადგან სწორედ აქ მიმდინარეობს ეგოისტურ ლტოლვათა განსაკუთრებული ძალით აღმძვრელი პროცესი — ძალაუფლების, პატივის, სიმდიდრის განაწილება.

განყენებულად თუ ვიმსჯელებთ, თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა, ინდივიდუალიზმი დასავლეთთან უნდა გვაახლოებდეს. მაგრამ დასავლური ინდივიდუალიზმი ერწყმის რაციონალიზმს, რომელიც ზღუდავს თვითნებობას და ეგოისტურ ინსტინქტებს, ანესრიგებს სოციალურ ყოფიერებას, აადვილებს კანონის მორჩილებას, რადგან კანონი სწორედ რაციონს წარმონაქმნია, ობიექტივირებული გონებაა. ჩვენი ინდივიდუალიზმი კი გადაჯაჭვულია აღმოსავლურად ჭარბ მგრძნობელობასთან; ჩვენს თვითნებობას გონიერება და, შესაბამისად, კანონმორჩილება არ ლაგმავს, იგი არც ვნებების დუღილს აცხრობს.

თავის დროზე ქართულ მსოფლგაგებაშიც დაისახა ინდივიდუალიზმის და რაციონალიზმის მთლიანობა, მაგრამ მისი სინამდვილეში დამკვიდრება ვეღარ მოხერხდა. „ვეფხისტყაოსანი“ ინდივიდუუმის პირადი ბედნიერების პრინციპთან ერთად გონების, რაციონალური და მიზანმიმართული ქმედების უპირატესობას აფუძნებს უკონტროლო ვნებათლევის და აფექტების მოძალების მიმართ, რომელიც არსებითი სასიცოცხლო მიზნების მიღწევას შეუძლებელს ხდის და პასიურობით და ფატალიზმით სრულდება; ანუ ამ წიგნში დასავლეთი ძლევს აღმოსავლეთს. რეალობაში შემდგომ პირიქით მოხდა...

გვინდა გამოვეხმაუროთ „ფიქრებთან“ დაკავშირებით გივი მალულარიას მიერ გამოთქმულ აზრს ერის კულტურული აღზრდის აუცილებლობის შესახებ. კულტურის და განათლების ტვირთია ქართული ცნობიერების განახლება და თანამედროვე სამყაროსთან მისადაგება. კულტურამ უნდა შეაძლებინოს ერს, ისევე როგორც პიროვნებას, საკუთარი არსების ფლობა და დახვენა, მისი პოზიტიური მხარეების გაძლიერება და უარყოფითი ძალების მეტნაკლებად დამორჩილება, სუბლიმირება. კულტურა გაკეთილმობილებული, გაფაქიზებული ბუნებაა და ეს ერის შინაგან ბუნებასაც ეხება.

თავმომწონეობის ბანგი

საქართველოს თანამედროვე ტრაგედიას აქვს არამარტო სოციალურ-პოლიტიკური, არამედ უფრო ღრმა მიზეზებიც, რომლებიც სულიერი არსებობის სფეროშია საძიებელი. საერთოდაც სარწმუნო ჩანს თვალსაზრისი, რომ პოლიტიკა საზოგადოების სულიერი ცხოვრების სილრმეში მიმდინარე პროცესის უკუფენაა სინამდვილის ზედაპირზე.

იმის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად, რაც ახლა საქართველოში ხდება, მოგვევლინა ჩვენი არა-ადეკვატური წარმოდგენა საკუთარ თავზე, არაჭეშმარიტი ეროვნული თვითგაგება და თვითშეფასება. ეს უფრო თვალსაჩინო იქნება, თუკი გავიაზრებთ, რომ ადეკვატური წარმოდგენა თავის რაობაზე, მიღრეკილებებზე და შესაძლებლობებზე ხელს უწყობს ერის, ისევე როგორც პიროვნების, ზრდას, ნამდვილ თვითდამკვიდრებას, მის მიერ რეალისტური მიზნების გამოკვეთას და წაყოფიერ აქტივობას ამ მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, საკუთარი თავის არასწორი გაგება და შეფასება, პრეტენზიების და შესაძლებლობების უთანადობა იწვევს პიროვნების თუ ერის შინაგანი ზრდის შეფერხებას, დეზორინტირებას, ხელისმოცარვას. ის კომიკურ, ტრაგიკომიკურ ან, როცა რეალობასთან კონფლიქტი განსაკუთრებით ღრმაა, ტრაგიკულ ხედრს უმზადებს პიროვნებასაც და ერსაც.

საინტერესოა, თუ როდის და როგორ ჩამოუყალიბდა ქართველ ხალხს თავისთავზე იდეალიზებული შეხედულება, როგორ აღმოცენდა მის თვითცნობიერებაში საკუთარი სიდიადის და აღმატებულობის გრძნობა, ერთგვარი „სრულფასოვნების კომპლექსი“, რომელიც სინამდვილესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა.

თუმცა შეიძლება გვეჩვენებოდეს, რომ საკუთარი თავისადმი აღტაცებული დამოკიდებულება მუდამ მძლავრობდა, მაგრამ ადრე საქართველო უკეთესად, უფრო რეალისტურად აცნობიერებდა თავის არსებას. ადრეულ ქართულ კულტურაში ეროვნული თვითტებობის გამოვლინებები თითქმის არ შეინიშნება (იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ თავისი სულისკვეთებით საერთო განწყობის ანარეკლი არ ჩანს). თუ XII საუკუნეში თავს იჩენს აღფრთო-

ვანება საქართველოს სახელმწიფო ბრივი ძლიერების გამო, საქართველოს სიდიადის განცდა, ამას ობიექტური საფუძველი ჰქონდა. მომდევნო საუკუნეებში კი საქართველოს და ქართველების განდიდების ანაბეჭდები არ შეიმჩნევა, რაც აგრეთვე ბუნებრივია. ამისგან მთლიანად დაზღვეულია ისეთი მწერლების შემოქმედება, როგორებიც სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი არიან. მათი მიმართება ნაციონალური სინამდვილისადმი ძალიან შორსაა თავმომწონეობისა გან, მეტად ფხიზელი და კრიტიკულია. ქართული სინამდვილის „მოპირკეთების“ ცდას ვერც ბარათაშვილის პოეზიაში ვპოვებთ, ხოლო თავის პირად წერილებში იგი საკმაოდ მნარე შენიშვნებს გამოთქვამს ამ სინამდვილის მიმართ. მის შემოქმედებაში წარსულის იდეალიზაციის წილიც უმნიშვნელოა, რაც მითუფრო თვალშისაცემია, რომ რომანტიკოსებს საერთოდ გამოარჩევთ წარსულის ამაღლებულად წარმოსახვა.

ჩვენთანაც ეროვნული ისტორიის იდეალიზება რომანტიზმში იქნა წამოწყებული. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“ საქართველოს წარსული და არამარტო წარსული ცხოვრება გმირობის და სიქველის ბრნყინვალე აღლუმად არის წარმოდგევნილი, რომელშიც არავითარ ბოროტებას დისონანსი არ შეაქვს. უფრო ღრმა თვალთახედვა მსჭვალვს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, სადაც წარსულის სიმაღლით განიზომება და შეძრნუნებით განიცდება აწმყოს დაკინებულობა. ასეთი შეპირისპირება შენარჩუნებულია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ხედვაში: ისინი ძალიან კრიტიკულად უყურებენ და აფასებენ თავის თანადროულ ქართულ საზოგადოებას, მაგრამ წარსულიდან გამოარჩევენ ჰეროიულს და ამაღლებულს („მეფე დიმიტრი თავდადებული“, „თორნიკე ერისთავი“, „ბახტრიონი“...). მათთვის წარსულის ცალმხრივი, ჰეროიზებულ-იდეალიზებული წარმოჩენა უბადრუკი თანამედროვეობის მხილების საშუალებაა.

თვითგანდიდების და წარცისიზმის ფენომენი ქართულ ეროვნულ თვითცნობიერებაში ჩამოყალიბებულ სახეს იძენს და ბატონდება მხოლოდ მეოცე საუკუნეში, რომლის დამდეგიდან სისტემატიზებული ხასიათი ეძღვევა ქართული სამყაროს ზეანევის და მონუმენტალიზაციის ლიტერატურულ-სააზროვნო ტენდენციას. მისი ნებით ქართულ სინამდვილეს

მასშტაბი და ბრნჟინვალება აქვს მომატებული, რასაც ხელს უწყობს კონკრეტულ-ემპირიული რეალობის შევიწროება და გამკრთალება მითიურ-ლეგენდური წარმოსახვის მიერ.

ეს ტენდენცია, XIX საუკუნის ტრადიციისგან განსხვავებით, საქართველოს და ქართველებს სახავს არა როგორც შორეულ წარსულში დიდ ქვეყანას და ხალხს, რომელმაც შემდეგ დაქვეითება განიცადა, არამედ როგორც ახლაც არ-სებითად დიდს. მისთვის საქართველოს, ქართველობის არსი რაღაც მეტაფიზიკურია და იგი, თუნდაც გარეშე მიზეზების გამო მთელი სისრულით ვერ ვლინდებოდეს ან თვითონვე რაღაც ნაკლიც ახლდეს, მაინც ნაკლის ჩათვლით ყოველ-თვის დიადი, ცხოველმყოფელი და მძლავრია.

ამ არსის მეტაფიზიკური ამაღლებულობა ენობრივად გამოიხატება თანამედროვე მეტყველებისგან საგანგებო და-შორებით, სიტყვისთვის არქაულ-ზეანული ელფერის მიცე-მით. იქმნება პრეტენზიული სტილი, რომლის შესაფერისია ლიტერატურული გმირიც...

თვითგანდიდების ტენდენციამ დაძლია ქართული სინამ-დვილის რეალისტურად უილუზიო ლიტერატურული წარმო-სახვა — ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის ესთეტიკურ-ზნეობრივი პოზიციის საყრდენი პრინციპი და დიდი ზეგავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ქართული მასობრივი ცხობიერების ფორმირებაზე.

ასე იმიტომაც მოხდა, რომ კომუნისტური იდეოლოგი-ზებული დიქტატურა ძნელად ითმენდა ეროვნული ხასიათის, ცნობიერებისკენ მიმართულ ცოცხალ და კრიტიკულ აზრ-საც. იგი მიუღებელი იყო საბჭოთა რეჟიმისთვის, რომელიც არამარტო თრგუნავდა, არამედ ეპირფერებოდა კიდეც საბ-ჭოთა კავშირის ხალხებს — ამ ხერხითაც იმორჩილებდა მათ. ერი, რომლის პატივმოყვარეობაც დაკმაყოფილებულია, ნაკ-ლებად უფიქრდება თავის არსებობას, ნაკლებად სვამს მწვა-ვე კითხვებს და ამდენად უფრო უწყინარი და იოლი სამართავია.

მაგრამ საქართველოში ეროვნული თავმომწონეობის და თვითგანდიდების მთავარ, ყველაზე ძლიერ გამლვივებლად მაინც სტალინის ფენომენი მოგვევლინა: საბედისწერო მნიშ-ვნელობა ჰქონდა ამ პირვენების ქართველობას. სტალინის კულტის პირობებში საქართველოს ისტორიის, საერთოდ ქართული სამყაროს ზეანევა და განდიდება ამ კულტის,

სტალინის განდიდების თანხმიერი იყო. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს აძლიერებდა და ერთი მიმართულებით მოქმედებდა, აჯადოებდა ქართულ მასობრივ ცნობიერებას ილუზით, რომ საქართველოს სიდიადე აღორძინდა და განხორციელდა სტალინის გრანდიოზულ ფიგურაში. ისტორიული რომანების გმირები, ქართველი მეფეები სტალინის არქეტიპებად და წინამორბედად წარმოდგებოდნენ; ჩვენი თვალსაჩინო პოეტები ამირანს ადარებდნენ სტალინს ან, ვთქვათ, აცხადებდნენ, რომ მისი სული თამარ მეფის სულიდან აღენოთ და მისი აკვანიც თამარის ხელით დაირწა. საქართველოს დიადი წარსულის და ანმყოს უწყვეტობა სტალინში განსახიერდა: „ორი სახელი ერთმანეთს ერწყმის, დიდი სტალინი და დიდი შოთა“. თვით სტალინსაც ჭირდებოდა ქართული სამყაროს განდიდება საკუთარი სიდიადის როგორც კანონზომიერი მოვლენის წარმოსაჩენად (ამიტომ ჩატარდა მისი კურთხევით რუსთაველის და ილიას იუბილეები, ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში...).

სტალინი ქართველთა გამორჩეულობის და აღმატებულობის შეუვალ არგუმენტად იქცა, ამის გამო აღმოჩნდა მისი კულტი ჩვენში ასე გამძლე. ქართულმა თავმომწონეობამ სწორედ სტალინის მმართველობის პერიოდში და სტალინის ფიგურის ზეგავლენით მიიღო საბოლოო სახე და კანონიკური სტატუსი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართული სამყაროს განდიდება ნაციონალური თვითმყოფადობის და ღირსების დაცვის საშუალებად ისახებოდა, მაგრამ არსებითად თვითგანდიდების ფენომენი ამრუდებდა პატრიოტიზმს. ხელისუფლებისთვის კი ეროვნულ თვითგანდიდებას და თვითგანდიდებას საფრთხე არასდროს შეუქმნია. თვითგანდიდება სინამდვილეში ეროვნული უმნებობის საფარველია და მას ხელისუფლება არამარტო იწყნარებდა, არამედ იყენებდა კიდეც. მისთვის საშიში იქნებოდა თვალახელილი, კრიტიკული პატრიოტიზმი, ხოლო თვითგანდიდებაში იმაღლებოდა საფრთხე ჩვენთვის და არა საბჭოთა რეჟიმისთვის.

პოსტსტალინური ეპოქის ქართულ კულტურაში შეადრებით გაძლიერდა ნაციონალური სინამდვილისადმი რეალისტურ-კრიტიკული დამოკიდებულება — ლიტერატურაში, თე-

ატრში, კინოში ... მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მასობრივ ცნობიერებაში უკვე მყარად ჩაბეჭდილი არააღეკვატური ეროვნული ავტოპორტრეტის შესასწორებლად. საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს თავმომწონეობით დაბანგული საქართველო ისე შეხვდა, რომ არ იცნობდა თავის ჭეშმარიტ რაობას, შესაძლებლობებს — ზნეობრივს, ინტელექტუალურს, მატერიალურს. ამიტომ იფეთქა უინმა, საქართველო ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დამშლელ ძალთა ავანგარდი, რასაც ლამის თვით საქართველოს დამლა მოყვეს ... ხალხს განუმტკიცებდნენ და უღრმავებდნენ მისი სიდიადის სასიამოვნო ილუზიას, მაცდურ ილუზიას, რომ მისთვის ნებისმიერი სიძნელე იოლად გადასალახია. და რეალობამაც საშინელი შურისძიება არ დააყოვნა.

რეალობა კი ის არის, რომ რომანტიკული ქართველი რაინდის სტერეოტიპული ხატის ზედაპირის ქვეშ თავი შეაფარა ამაყმა უკულტურობამ და უმაქნისობამ, დაგროვდა ავალმყოფური ეგოიზმის ფეთქებადი ნივთიერება, ქვენა იმპულსთა დამანგრეველი ენერგია. და თუმცა ახლაც, როგორც ყოველთვის საქართველოს ისტორიაში, მუდავნდება კეთილშობილების და თვით გმირობის მაგალითებიც, ერის და ქვეყნის მთლიან სულიერ-ზნეობრივ სახეს, ცხადია, ეს არ აყალიბებს.

მაგრამ საქართველოს ახლანდელი განსაცდელი, შესაძლოა, არ გამოდგეს ამაო ტანჯვა, თუ იგი გააღვიძებს სამყაროს და სამყაროში საკუთარი თავის მართლად ხედვის და თვითსრულყოფის მყარ მოთხოვნილებას — პიროვნების, საზოგადოების, ერის განვითარება მხოლოდ ჭეშმარიტი თვითშემეცნების საფუძველზე შესაძლებელი.

სწორედ თვითსრულყოფის და არა პრიმიტიული, შინაგანად ცარიელი თვითტკბობის სტიმულატორი უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში დადასტურებული ნაციონალური ენერგიის ძლიერი გამოვლინებები, ქართული კულტურის შთამბეჭდავი მონაპოვრება. რა თქმა უნდა, თვითსრულყოფა, ღირსების აღდგენა და პროგრესი ძნელი მისაღწევია. შეუდარებლად უფრო ადვილია დეკლამაციურ და ამდენად უნაყოფო თვითგვემას მოვყვეთ, ეროვნულ ნიჰილიზმს დავნებდეთ, რომელსაც საკუთარ თავზე შეფერადებული და გადაჭარბებული წარმოდგენის მსხვრევა წარმოშობს.

1993

მყარი სახელმწიფოს გარეშე

დღევანდელი ქართველები, ისევე როგორც სხვა ხალხები, თავისთავში, თავის ცნობიერებაში და სოციალური ცხოვრების წესში ატარებენ საკუთარ ისტორიას. ჩვენში გაცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენს არსებაში შენივთებულია ჩვენი ისტორიული ბიოგრაფია.

ხშირად გვეჩვენება (უფრო სწორად, გვეჩვენებოდა), რომ ახლანდელი ქართველები პირდაპირ მეთორმეტე საუკუნიდან მოვდივართ, ამ ეპოქასთან უშუალოდ ვართ დაკავშირებული. სინამდვილეში ქართული ნაციონალური ხასიათი, როგორიც იგი დღეს წარმოგვიდგება, ძირითადად სწორედ მეთორმეტე საუკუნის შემდეგ, უკანასკნელი ხუთი-ექვსი საუკუნის მანძილზეა ფორმირებული. რა განასხვავებს ამ პერიოდს წინა პერიოდისგან, როცა საქართველომ ძლიერებას, კეთილდღეობას, კულტურულ აღმავლობას მიაღწია? ეს განსხვავება თითქოს თავისთავად ცხადია, ყველასთვის აშკარაა — მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ქვეყანა თითქმის განუწყვეტლივ განიცდიდა სასტიკ აგრესიას, იყო დაპყრობები, ნგრევა...

რა თქმა უნდა, ეს ტრაგედიაა, მაგრამ ჩვენ არ ვაცნობიერებთ, რომ არანაკლებ ტრაგიკული და საბედისწერო იყო ის, რაც აგრესია შედეგად მოსდევდა — სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, წესრიგის დასუსტება და მორყევა, ანარქიული სტიქიის მძლავრობა. მეთორმეტე საუკუნის მერე ქართველი ხალხი ცხოვრობდა მყიფე, ნგრევადი სახელმწიფოებრიობის პირობებში, თითქმის მუდმივი არეულობის, კანონიერების რღვევის ვითარებაში, ანდა, ბოლო ორ საუკუნეზე თუ ვილაპარაკებთ, უცხო სახელმწიფოს ფარგლებში, რაც ასევე არ აღვივებდა სახელმწიფოებრივი წესრიგისადმი და კანონისადმი პატივისცემას (მითუმეტეს, რომ თვით ეს სახელმწიფოც არ გამოირჩეოდა კანონიერების პატივისცემით).

ჩვენმა უახლოესმა ისტორიამ უფრო შორეული ისტორიის მკვეთრად დანახვის, ადეკვატური გაგების შესაძლებლობა მოგვცა. თუ წარმოვიდგენთ და გავიაზრებთ, რომ საქართველო ასწლეულების მანძილზე ცხოვრობდა ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ უკანასკნელ ხანებში, — სახელმწიფო წესრიგის გარეშე, ომების, ანარქიის, განუკითხაობის

ვითარებაში — აღარ გაგვაკვირვებს, რომ ახლა ასე გვიჭირს სახელმწიფოს ორგანიზება, რომ ასე სუსტია ჩვენი სახელმწიფოებრივი შეგნება, კულტურა.

მყარი, მოწესრიგებული სახელმწიფოებრიობის გარეშე ვერ ვითარდება, დაქვეითებას განიცდის განათლება და კულტურა როგორც სისტემა და მხოლოდ ხანდახან, სტიქიურად, არაკანონზომიერად თუ ხდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ენერგიის გამოსხივება. ამიტომ მეთოთხმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში თითქმის არ შექმნილა მაშინდელი ქართული ცხოვრების მართლად გამომსახველი, ესთეტიკურად ღირებული მხატვრული ნაწარმოებები, თორემ უფრო გაგვიადვილდებოდა დაგვენახა, რომ ქართული ნაციონალური ხასიათის ჩამოყალიბებელი უპირატესად სწორედ ეს ეპოქაა და ჩვენ ყველაზე მეტად მისი მემკვიდრეები ვართ. ერთადერთი იმდროინდელი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც მძაფრად გვიჩვენებს და გვაგრძნობინებს, თუ რას ნიშნავს საზოგადოებისთვის ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს გარეშე არსებობა, როგორ სოციალურ და ზნეობრივ ქაოსს წარმოშობს ისედაც სუსტი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების კიდევ უფრო დამასუსტებელი და დამაგრეველი ურთიერთდაპირისპირება, გურამიშვილის „დავითიანია“...

როცა სახელმწიფო, კანონიერება და სამართალი სუსტია, ხდება ძალაუფლების გაფანტვა და მისი განაწილება ძლიერი ინდივიდების მიერ, რომლებიც თვითონ აწესებენ „კანონებს“, მოქმედებენ ვოლუნტარისტულად, თავისი ეგო-ისტური იმპულსების და ინტერესების კარნახით. სახელმწიფოს უძლურება საზოგადოებაში თვითნებობის და ეგოცენტრიზმის სულს ამკვიდრებს, რაც დიდ თუ პატარა ტირანებს აღმოაცენებს.

ტირანი ფეოდალის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტიპს ხატავს ნიკო ლორთქიფანიძე „მრისხანე ბატონში“. ეს არის ადამიანი, რომლისთვისაც არც ამქვეყნიური სამართალი არ-სებობს და არც ზეციური, არაფერს ნიშნავს ზნეობრივი იმპერატივები და მის მტაცებლურ, სასტიკ ძალაუფლების ნებას ვერც სახელმწიფოს მიმართ შეიში თოკავს, რადგან სახელმწიფო სუსტია, მოშლილია.

„მრისხანე ბატონში“ ჩანს, რომ ცხოვრება სახელმწიფო-ებრივი წესრიგის და კანონიერების გარეშე ხალხში შიშის, დაუცველობის სულის გამომფიტავ გრძნობას ბადებს, უკი-დურესად ამწვავებს თვითგადარჩენისკენ ზნეობრივად ბრმა ლტოლვას...

სახელმწიფოს მხრივ დაუცველი ადამიანი ძლიერ მფარ-ველს ეძებს რომელიმე აღზევებული პერსონის სახით. ანდა იგი უნდა დაიცვას ახლობელთა წრემ, გვარმა, სანათესაომ – კლანმა. არსებობს აგრეთვე პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც მათთან მიკედლებულ ადამიანს ასე თუ ისე იცა-ვენ, თუმცა ეს გაერთიანებები საკმაოდ მყიფეა.

ნიკო ლორთქიფანიძის „უამთა სიავეში“ ვხედავთ პიროვ-ნებას, რომელსაც აწუხებს თავისი ქვეყნის ყოველმხრივი დეგრადაცია, სახელმწიფოს სისუსტით რომ არის გამოწვეული, სურს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და ქვეყნის პროგრესული განვითარება; მაგრამ მის უკან არ დგას ძლიერი კლანი, ხოლო ის პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც თავისკენ იბირებს, მიუღებელია მისთვის როგორც სახელმ-წიფოს ინტერესებთან დაპირისპირებული; თანაც ამ დაჯ-გუფებასთან კავშირი იულონისგან რაინდული მორალის უგულებელყოფას მოითხოვს... ზნეობრივად ამღვრეულ გა-რემოში იულონი უცოდველი მაინც ვერ რჩება, მაგრამ ის იმ-დენად ცოდვებისთვის არ ისჯება, რამდენადაც თავის კეთილშობილებას ემსხვერპლება, ისევე როგორც ვახტანგი „მრისხანე ბატონში“ — ანარქიულ, უკანონო და უზნეო სო-ციალურ სინამდვილეში კეთილშობილების გამოვლენა სი-ცოცხლისთვის სახიფათოა.

ამ სინამდვილის არსებითი ნიშანი მატერიალურ სიდუხ-ჭირესთან ერთად არის რელიგიური ცხოვრების გადატა-კებაც, რწმენის სისუსტე, ღმერთისგან სიშორე. რელიგიის-გან მხოლოდ ფორმალიზებული რიტუალი და რიტორიკაა დარჩენილი, იგი ვეღარ წარმართავს და ანესრიგებს ადამია-ნების ზნეობრივ ყოფიერებას.

როგორ უნდა დაპინდულიყო ქრისტიანული ცნობიერება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, რომ ჩვეულებრივ ამბად, ყოველდღიური ყოფის ატრიბუტად ქცეულიყო ადა-მიანების დატყვევება და გაყიდვა, ადამიანებით ვაჭრობა. რასაკვირველია, ამ მოვლენაში რელიგიურობის შესუსტე-

ბასთან ერთად სახელმწიფოებრივი წესრიგის სრული მოშპლაც მუღლავნდება. ორივე ეს ფაქტორი თვითნებობის, ეგოცენტრიზმის მკვებავია და ტირანის სოციალურ-ფსიქოლოგური ტიპის გვერდით ყაჩალის ტიპს აჩენს.

ყაჩალი და ტირანი ერთი ფენომენის ნაირსახეობებად შეიძლება მივიჩნიოთ, მათ ბევრი რამ აქვთ საზიარო — ავტორიტარულობა, ძალის კულტი, ვოლუნტარიზმი, რელიგიურ და ეთიკურ ფასეულობათა იგნორირება. არც ტირანი და არც ყაჩალი არ ცნობს კანონს და სამართალს, ორივე კანონგარეშე არსებობს.

ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიოსა და დავითში“ ადამიანებით მოვაჭრე ყაჩალი სახელმწიფო წესრიგის მოშლის პროდუქტია, უკანონობის მსხვერპლია და თავის მხრივ ამრავლებს უკანონობას, ბოროტებას. მისი ნიჰილიზმი, ცინიზმი რელიგიისადმი კანონზომიერად წარმოიშობა საზოგადოებაში, სადაც სული და ზნეობა საყრდენგამოცლილია. მაგალითად, აյ არაბუნებრივი არ არის, რომ ღვთისმსახურები უკულტურო, უსინდისო ადამიანები იყვნენ.

ეს ცრუქრისტიანული საზოგადოება მონურ შემგუებლობას იჩენს აღმაშფოთებელი ბოროტებისადმი — ადამიანებით ვაჭრობისადმი, ყაჩალს ხალხიც და საერო თუ სასულიერო ზედაფენაც ტერორიზებული ჰყავს და პროტესტის გრძნობას ეს არავისში ბადებს. თავნახრილი მორჩილება უკანონო, უსამართლო ძალისადმი, სულმოკლე კონფორმიზმი სახელმწიფოებრიობის და რელიგიურობის რღვევის თანმდევია.

ბოროტებას არ ურიგდება საქართველოს ევროპელი სტუმარი — მისთვის როგორც ჭეშმარიტად რელიგიური ადამიანისთვის ქრისტიანობა აქტიური სულიერი დაპირისპირება ბოროტებასთან არამარტო საკუთარ თავში, არამედ სოციალურ გარემოშიც. იგი თავისი პიროვნული ყოფიერების სიღრმიდან შეაღწევს ყაჩალის შინაგანი არსების სიღრმეში, პოულობს იქ აგრესიულობის პირველმიზეზს, ფესვს — შიშს და მოძალადის სულის განკურნებას შეძლებს. მაგრამ ეს სასწაულის ტოლფასი აქტი ამაო გამოდგება, რადგან სახელმწიფოებრივ და ზნეობრივ წესრიგს მოკლებულ სინაძღვილეში მხოლოდ სიკეთის და სიმართლის ჩამხშობი რაღაც

ჯოჯოხეთური მექანიზმია მოწესრიგებული და შეუცდომ-ლად მოქმედი.

ევროპის, დასავლური სამყაროს სახე, რომელიც ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიოსა და დავითშია“ აღბეჭდილი, თვალში-საცემად განსხვავდება მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ქართულ პროზაში გამოკვეთილი დასავლეთის კრიტიკული სურათისგან. „ანტონიოსა და დავითში“ ევროპა წარმოგვიდგება თავისი ძირეული შრეებით. მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის და კანონის პატივისცემის გარდა ეს არის ჭეშმარიტების მოუსვენრად მაძიებელი სული და გონება, პიროვნების ავტონომიურობის ღრმა გრძნობა, ინდივიდუუმის ინტენსიური თვითცნობიერება და ამასთანავე სინამდვილი-სადმი აქტიური, პასუხისმგებლური დამოკიდებულება, ადამიანის მაღალი ღირსების რწმენა.

ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებში დასავლეთის და საქართველოს შეხვედრა ტრაგიკულად სრულდება. ახლანდელ რეალობაში, იმედია, დასავლურ სამყაროსთან ჩვენი კონტაქტი უფრო წარმატებული იქნება და დასავლეთის დახმარება უნაყოფო არ აღმოჩნდება. ამის შედეგი კი მყარი, კანონიერებაზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება უნდა იყოს. თუ ეს ვერ მოხერხდა, სიკეთის ქმნის, სიყვარულის მოთხოვნილება და უნარი, ნიჭიერება, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ყოველთვის იყო და ახლაც არის საქართველოში, ვერასდროს გადაძალავს ჩვენს არსებაში ისტორიის მიერ აღძრულ ნეგატიურ მიდრეკილებებს.

1999

ეროვნული და დასავლური

კამათი იდეოლოგიის შესახებ, რომელიც ქართულ საზოგადოებაში მიმდინარეობს, ცხადყოფს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის არარსებობას თუ უკმარისობას ჩვენს ცხოვრებაში.

ვფიქრობთ, რომ ეს „რაღაც“, რასაც კამათის მონაწილე-თა ნაწილი „ეროვნულ იდეოლოგიას“ უწოდებს, სინამდვილეში არის მყაფიო ნაციონალური თვითგაგება, ერის მიერ საკუთარი არსების და ყოფიერების საზრისის პოზიტიური ხედვა.

ეს კი დაკარგულია და იქმნება ვაკუუმი, რომლის არსებობაც განსაკუთრებით ხელისშემშლელია და სახიფათოც არის მაშინ, როცა ახალი სახელმწიფო ფუძნდება.

ქართულმა ნაციონალურმა თვითგაგებამ ჩვენს საუკუნეში არარქალისტური ხასიათი შეიძინა და სინამდვილის მიერ მოწყობილ უშედავათო შემოწმებას ვერ გაუძლო. ეს, ერთი მხრივ, ეროვნულ ნიჰილიზმს აჩენს, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ჩამოყალიბდეს ახალი ეროვნული თვითცნობიერება — რეალობის მკვიდრ ნიადაგზე, სიცრუის და თავისმოტყუების გარეშე.

ინდივიდმა შეიძლება მთელი ცხოვრება პესიმისტურად თუ ნიჰილისტურად განწყობილმა გალიოს, მაგრამ საზოგადოება თავისი ბუნებით ოპტიმისტური მსოფლმხედველობისკენ მსწრაფველია. მას უსათუოდ ესაჭიროება პოზიტიური მრნამსი, ფასეულობები და თუ არსებობის გაგრძელების ნება და ძალა აქვს, ადრე თუ გვიან მოიპოვებს კიდეც მათ.

ჩვენ ზოგჯერ გვგონია, რომ დასავლური ცივილიზაცია ტოტალურად ურნებუნო და ნიჰილისტურია. თუმცა ამ ცივილიზაციას მართლაც აქვს თავისი სერიოზული პრობლემები, მაგრამ მის საფუძვლად დადებული ჭეშმარიტებები დასავლური საზოგადოების დიდი უმრავლესობის მიერ ორგანულად არის შეთვისებული. კერძოდ, ის, რომ სახელმწიფოს დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დამყარებული წყობა ყველაზე სამართლიანი და ნაყოფიერია; რომ აზრთა და პოზიციათა მრავალფეროვნება, პლურალიზმი ბუნებრივი და აუცილებელია; რომ პიროვნების თავისუფლება, ღირსება ხელშეუხებელია და მას უნდა ჰქონდეს საშუალება თვითონ

განსაზღვროს თავისი მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესი, გამოავლინოს თავისი უნარი და შესაძლებლობები... დასავლურ სამყაროში ეს ჭეშმარიტებები და ფასეულობები რომ არ წამდეთ, მათ ცოცხლად რომ არ განიცდიდნენ, ამ სამყაროს დიდი ხანია კრახი არ აცდებოდა.

ჩვენთვის ეს ფასეულობები უცნობი არ არის, მაგრამ მათ ვერ შეიძინეს ისეთი მიმზიდველობა, რომ რწმენის საგნად იქცნენ, სასიცოცხლო ძალების მომცემი ქმედითი ეთოსი წარმოშვან. ამის მიზეზებს შორის მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ძველი, საბჭოთა სისტემის დაშლა მოხდა ზემოდან განხორციელებული რევოლუციის შედეგად და საზოგადოებაში ახალი ფასეულობები, მათი დამკავიდრების მოთხოვნილება შინაგანად, სპონტანურად არ აღმოცენებულა და მომწიფებულა. ამიტომ გვეჩვენება, რომ თავს გვახვევენ რაღაც ჩვენს არსებასთან სრულიად შეუთავსებელს და უცხოს.

სინამდვილეში დასავლურ ფასეულობებს და ქართული კულტურის ღრმა ტენდენციებს შორის გარკვეული თანხმი-ერება არსებობს და ამის აქცენტირებაც არის საჭირო, რათა ახალმა ღირებულებრივმა ორიენტირებმა ჩვენს საზოგადოებაში სიცოცხლისუნარიანობა მოიპოვოს.

ის, რაც ქართული კულტურის შუაგულშია განვითარი და რასაც შეუძლია შორეული ფასეულობები ჩვენთვის ახლობელი გახადოს, არის ჰუმანიზმი, მსოფლგაგება, რომელმაც დასავლურ სამყაროში ეს ფასეულობები ჩამოაყალიბა. ქართულ მსოფლხედვაში არსებითია ადამიანის უმაღლესი ფასეულობის და ლირსების ინტენსიური განცდა, ნდობა ადამიანის კეთილი ბუნების და შემოქმედებითი შესაძლებლობები-სადმი, რწმენა, რომ სამყარო ადამიანის ბედნიერებისათვის არის შექმნილი... ქართული კულტურის ჰუმანიზმი თავის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებებში თავისებური პერსონალიზმის სახეს იძენს — პიროვნების სრულყოფილი თვითგანხორციელებაა სამყაროს არსებობის გამართლება; პიროვნებაა ის ძალა, რომელიც სამყაროს გარდაქმნას, სრულქმნას ესწრაფის; პიროვნებაში იბადება ჭეშმარიტების შუქი, რომელიც სინამდვილის ჰარმონიას თუ დისპარმონიას ნათელს ფენს; პიროვნების სილრმისეულ მისწრაფებებთან შესაბამისობით ან შეუსაბამობით განიზომება სახელმწიფოს და საზოგადოების ნამდვილი ფასი; სამყაროში მოქმედ

ტლანქ, ქვენა ძალებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ პიროვნებათა სოლიდარობა, თვითმყოფად პიროვნებათა ნამდვილი კომუნიკაცია, დიალოგი და დაახლოება, მათი უნარი, დაძლიონ სიუცხოვე და გაიგონ სხვისი განუმეორებელი თავისებურება, სხვისი თვალსაზრისი და სიმართლე... ასე იკვეთება ქრისტიანობაზე დაყრდნობილი ქართული ნაციონალური მსოფლმხედველობა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი ეპიკოსი მწერლის, რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და ამ მსოფლმხედველობის ანაბეჭდები მეტნაკლებად ჩვენი კულტურის სხვა ღირებულ ნიმუშებსაც ემჩნევა.

ჰუმანიზმი, პერსონალიზმი მოიცავს პატრიოტიზმსაც, რომელიც თავისი არსით სწორედ ჰუმანისტური, ადამიანური ღირსების განმამტკიცებელი ფენომენია, პიროვნების სრულყოფილი თვითორეალიზების აუცილებელი საყრდენია; თვით დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოც ძირეული ჰუმანისტური და პერსონალისტური ფასეულობაა.

ჩვენი აზრით, ამგვარი რამ შეიძლება წარმოვიდგინოთ „ეროვნული იდეოლოგიის“ შინაარსად და არა გაქვავებულ შეხედულებათა, დოგმათა, ყალბ მითოლოგებათა მძიმე ბლოკი.

ოღონდ არ არსებობს არავითარი საჭიროება, ყოველივე ამას იდეოლოგიის, მითუმეტეს სახელმწიფო იდეოლოგიის შელახული და უსიამოვნო ასოციაციების აღმძვრელი ცნება დავუკავშიროთ. ეს ცნება არ ესადაგება ეროვნული თვით-შეგნების აღდგენა-განახლებას, იმის გააზრებას, რომ ჰუმანიზმი ჩვენი ეროვნული მსოფლგაგების ბირთვია, რომ ჩვენი იდეალი ჰუმანური, პიროვნების პრიმატის დამამკვიდრებელი ქართული საზოგადოება და სახელმწიფოა. დღეს ამ იდეალს ტრაგიკულად ვართ დაშორებული.

ჰუმანიზმის ხელახალი აღმოჩენა დასავლური ფასეულობების დამკვიდრებასაც ნიშნავს, რადგან იგი ჩვენს ეროვნულ მსოფლმხედველობასაც უდევს საფუძვლად და დასავლურსაც. ჩვენ იმდენად შევინარჩუნებთ თვითმყოფად ნაციონალურ სულიერ წყობას, რადგენადაც შევძლებთ ჰუმანიზმის აღორძინებას და თუ ასეთი რამ მართლა მოხდება, იმავდროულად ეს იქნება დასავლეთან ნამდვილი, სილრმისეული და არა ზედაპირული დაახლოება.

ილიას ფორმულა ჩვენს დროში

დასავლური ლიბერალიზმი დღეს ფაქტობრივად დასავლელი ხალხების, პირველ რიგში ამერიკელების ნაციონალიზმია, ანუ ლიბერალური იდეოლოგია არის მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზების მოქნილი და ეფექტური საშუალება. ეს იდეოლოგია შესაძლებელია ქართული ნაციონალიზმის ფორმადაც ვაქციოთ, მისი მეშვეობით ჩვენი სახელმწიფო და კულტურა განვავითაროთ. ეს იქნება თანამედროვე სინამდვილის კონტექსტში ილია ჭავჭავაძის მიერ „აჩრდილში“ ფორმულირებული იდეის ხორცის შესხმა: „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შენტებული, უქმისა დრტვინვით, გულისნვითა მნარე ცრემლს დალვრის...“. საქართველოს ხსნა, ილია ჭავჭავაძის აზრით, ის არის, რომ მისი მოძრაობა დაემთხვეს მსოფლიოს განვითარების გეზს — „საზოგადო ცხოვრების დენას“, რომ ქართველებმა გაიაზრონ, რა არის კაცობრიობის ყოფიერებაში პერსპექტივის მქონე, პროგრესული და მას დაუკავშირონ თავისი ბედი.

„მცნების ნათელი“, რომელზეც ილია ლაპარაკობს, შემმეცნებელი გონების სინათლეა, უპირველესად კი მკაფიო, მყარი ქრისტიანული მორალური ცნობიერება და პრინციპებია, ქრისტიანული ჰუმანური ზნეობაა — ილია ჭავჭავაძის ფორმულაში ჩვენი ქვეყნის მოდერნიზების აუცილებლობა შეთავსებულია ქართული კულტურის ტრადიციული საყრდენის შენარჩუნების აუცილებლობასთან.

ამგვარი სინთეზის განხორციელება საქართველოს ისტორიის ახლანდელ ეტაპზეც აქტუალურია. ლიბერალური დემოკრატიის და კაპიტალიზმის თანმდევი ჭარბი პრაგმატიზმი და ინდივიდუალიზმი, მასობრივი კულტურის მოძღვანება და ცხოვრების სტილის ვულგარიზაცია ქრისტიანულ-მა ჰუმანიზმა შეიძლება გააწონასწოროს. იგი ამკვიდრებს მატერიალური ფასეულობების მიმართ სულიერ ფასეულობათა არსებით უპირატესობას, ზნეობრივ მომთხოვნელობას პირველ რიგში საკუთარი თავის და არა სხვების მიმართ, ადამიანის ლირსების პატივისცემის და ადამიანისადმი გუ-

ლისხმიერების ატმოსფეროს... ყოველივე ეს დღეს საქართველოს ისე ჭირდება, როგორც, შესაძლოა, არასდროს დაჭირვებია.

ლიბერალიზმი ამჟამად კოსმოპოლიტიზმის გამოვლინებად წარმოგვიდგება. თავიდან ქრისტიანობის კოსმოპოლიტურობაც უფრო თვალსაჩინო იყო, მთულებელს წარმართულ „ნაციონალისტურ“ რელიგიურ კულტებთან შედარებით, მაგრამ ამის მიუხედავად მან ჩვენში (ცხადია, სხვაგანაც) ეროვნული შეფერილობა მიიღო და ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გამოკვეთას და დაცვას ემსახურა. ეროვნულ ნიადაგზე ასეთივე ადაპტირება უნდა განიცადოს ლიბერალურმა დემოკრატიამაც.

პრიმიტივიზებული, შინაგანად მწირი კოსმოპოლიტიზმის ყველაზე ენერგიული დამნერგავი მასობრივი კულტურაა. მას უპირველესად სრულფასოვანი ლიტერატურა და ხელოვნება შეიძლება დაუბირისპირდეს, რომელიც ბუნებრივად არის ეროვნულიც და უნივერსალურიც, რომელშიც ერის და კაცობრიობის სულიერი მთლიანობაა გაცხადებული. ოღონდ ამ დაპირისპირების შედეგი სოციალურ ცხოვრებაში საგრძნობი და ხელშესახები მაშინ იქნება, თუ სახელმწიფო განახორციელებს უტყუარ ეთიკურ და ესთეტიკურ ფასეულობათა დასამკვიდრებლად და სუროგატების მღვრიე ნაკადის შესასუსტებლად მიმართულ კულტურულ პოლიტიკას.

2001